Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

10

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის ხელმწიფ
1950

ვ. ი. ლენინი

ტომი

10

1905 ნოემბერი — *1906* ივნისი

წინასიტყვაობა

მეათე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1905 წლის ნოემბრიდან 1906 წლის 6 (19) ივნისამდე, ლენინის პეტერბურგში მოღვაწეობის პერიოდში, ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ.

ბოლშევიკურ ლეგალურ გაზეთ «ნოვაია ჟიზნში» დაბეჭდილ სტატიებში: «პარტიის რეორგანიზაციის შესახებ», «ჯარი და რევოლუცია», «პროლეტარიატი და გლეხობა», «მომაკვდავი თვითმპყრობელობა და ხალხის ძალაუფლების ახალი ორგანოები» და სხვა სტატიებში გარკვეულია პარტიის ამოცანები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

ბროშურა «კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები» და 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ ლენინის მიერ დაწერილი სტატიები აჯამებენ რევოლუციის პირველი წლის შედეგებს და განაზოგადებენ მიღებულ გამოცდილებას.

ნაშრომში «მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა» გადმოცემული და დასაბუთებულია ბოლშევიკური აგრარული პროგრამა მემამულეთა მიწის კონფისკაციისა და მთელი მიწის ნაციონალიზაციისა.

ტომში დიდი ადგილი უჭირავს პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობისადმი მიძღვნილ ნაშრომებს: «ტაქტიკური პლატფორმა რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობისათვის», სიტყვები და გამოსვლები ყრილობაზე, «მოხსენება რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ».

ტომში იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შეტანილი სტატია «ჩვენი ამოცანები და მუშათა დეპუტატების საბჭო». ამ სტატიაში ლენინი შეფასებას აძლევს საბჭოებს როგორც აჯანყების ორგანოებს და ახალი, რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახს.

ახალ დოკუმენტებს, რომლებიც პირველად იბეჭდება თხზულებებში, წარმოადგენენ ლენინის ცალკეული გამოსვლები რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე: გამოსვლა მურატოვის (მოროზოვის) შესწორების დასაცავად პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ, რეზოლუცია ყრილობის წინაშე სამანდატო კომისიის ანგარიშგების შესახებ, განცხადება ყრილობის მიერ ოქმების დამტკიცების აუცილებლობის შესახებ, წერილობითი განცხადება ყრილობის მე-17 სხდომაზე, წერილობითი განცხადება ყრილობის 21-ლ სხდომაზე; სიტყვები და გამოსვლები რსდმპ პეტერბურგის საერთო საქალაქო კონფერენციაზე (1906 წლის თებერვალსა და მარტში). თხზულებებში პირველად შედის ლენინის სტატიები «რეზოლუცია და რევოლუცია», «შევაჭრებაც კი არა სურთ!», რომლებიც დაიბეჭდა 1906 წელს ბოლშევიკურ ლეგალურ გაზეთ «ვოლნაში». ორივე სტატია კადეტების წინააღმდეგ არის მიმართული.

ჩვენი ამოცანები და მუშათა დეპუტატების საბჭო

(წერილი რედაქციას)[1]

დაწერილია 1905 წ.
4 (15 17) ნოემბერს.

პირველად დაიბეჭდა 1940 წ.
5 ნოემბერს გაზეთ «პრავდაში», № 308.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1 ტ. 10



პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ჩვენი ამოცანები და შუშათა დეპუტატების საბჭო». — 1905 წ. ნოემბერი

დაპატარავებულია

ამხანაგებო! მუშათა დეპუტატების საბჭოს მნიშვნელობისა და როლის საკითხი ამჟამად პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიისა და მთელი დედაქალაქის პროლეტარიატის დღის წესრიგში დგას. მე კალამს ხელს ვკიდებ, რათა ამ მწვავე საკითხზე ზოგიერთი აზრი გამოვთქვა, მაგრამ მანამდე აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია ერთი უაღრესად არსებითი შენიშვნა გავაკეთო. მე ჩემს აზრს გამოვთქვამ როგორც გ ა რ ე შ ე პ ი რ ი. მე ჯერ კიდევ წერა მიხდება წყეული შორეთიდან, მოძულებული ემიგრანტული «საზღვარგარეთიდან». ხოლო ასეთ კონკრეტულ პრაქტიკულ საკითხზე სწორი აზრის შედგენა ისე, რომ პეტერბურგში არ ვიყო, ისე, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო ერთხელაც არ ვნახო, ისე, რომ თანამომუშავე ამხანაგებმა ერთმანეთს შეხედულებანი არ გავუზიაროთ, თითქმის ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ რედაქციის პასუხისმგებლობისთვის მიმინდვია მოთავსება თუ არმოთავსება ამ წერილისა, რომელიც საქმესთან გაუცნობელი ადამიანის მიერ არის დაწერილი. მე უფლებას ვიტოვებ შევიცვალო აზრი, როდესაც ბოლოს და ბოლოს შევძლებ გავეცნო საკითხს მარტო «ქალალდების მიხედვით» არა.

ახლა კი საქმეს შევუდგეთ. ვფიქრობ, ამხ. რადინი მართალი არ არის, როცა «ნოვაია ჟიზნის» მეხუთე ნომერში (მე ვნახე რსდმპ ჩვენი ფაქტიური ცენტრალური ორგანოს მხოლოდ ხუთი ნომერი) აყენებს საკითხს: მუშათა დეპუტატების საბჭო თუ პარტია? ვფიქრობ, ასე საკითხის დაყენება არ შეიძლება, საკითხი უ ს ა თ უ ო დ ასე უნდა გადაწყდეს: მ უ შ ა თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ც დ ა პ ა რ ტ ი ა ც. სა-

კითხი — და უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, თუ როგორ გავანაწილოთ და როგორ შეეაერთოთ საბჭოს ამოცანები და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამოცანები.

ვფიქრობ, საბჭოს მხრივ მიზანშეწონილი არ იქნებოდა მთლიანად ერთ რომელიმე პარტიას მიმხრობოდა. ალბათ, ეს აზრი გააკვირვებს მკითხველებს, და ამიტომ მე (კვლავ მეტად დაბეჯითებით მოგაგონებთ, რომ ეს არის გარეშე პირის აზრი) პირდაპირ გადავალ ჩემი შეხედულებების განმარტებაზე.

მუშათა დეპუტატების საბჭო წარმოიშვა საყოველთაო გაფიცვიდან, გაფიცვის გამო და გაფიცვის მიზნების **გულისთვის**. ვინ უძღვებოდა და ძლევამოსილად ვინ ჩაატარა გაფიცვა? **მ თ ე ლ მ ა** პროლეტარიატმა, რომელშიც, საბედნიეროდ **უმცირესობის სახით, არა** სოციალ-დემოკრატებიც **ურევია. რა მიზნებს ისახავდა** გაფიცვა? ეკონომიურსა და პოლიტიკურს ერთად. ეკონომიური მიზნები ეხებოდა **მ თ ე ლ** პროლეტარიატს, ყველა მუშას და ნაწილობრივ ყველა მშრომელსაც და არა მარტოოდენ დაქირავებულ მუშებს. პოლიტიკური მიზნები ეხებოდა მთელ ხალხს, უფრო სწორი იქნება ვთქვათ — რუსეთის ყველა ხალხს. პოლიტიკური მიზნები იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის ყველა ხალხი განთავისუფლებულიყო თვითმპყრობელობის უღლისაგან, **ბატონყმობისაგან, უუფლებობისაგან, პოლიციური** თვითნებობისაგან.

გავყვეთ ქვევით. უნდა განაგრძოს თუ არა პროლეტარიატმა ეკონომიური ბრძოლა? უსათუოდ, ამაზე არ არის და არც შეიძლება იყოს ორი აზრი სოციალ-დემოკრატებს შორის. ასეთი ბრძოლა უნდა აწარმოონ მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა თუ ის უნდა წარმოებდეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული დროშით? ვფიქრობ, რომ არა; მე კვლავ იმ **აზრს** ვადგივარ, რომელიც **გამოვთქვი** (მართალია, **სრულიად სხვა**, უკვე მოძველებულ პირობებში) «რა ვაკეთოთ?»-ში — სახელდობრ, **პროფესიული** კავშირების შემადგენლობის და, **მაშასადამე**, პროფესიული, ეკონომიური ბრძოლის მონაწილეთა შემადგენლობის შეზღუდვა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიუ-

ლი პარტიის წევრებით მიზანშეუწონელია*. ვფიქრობ, რომ როგორც პროფესიული ორგანიზაცია მუშათა დეპუტატების საბჭო იქით უნდა ი ს წ რ ა ფ ო დ ე ს, რომ თავის შემადგენლობაში შეიყვანოს დეპუტატები ყ ვ ე ლ ა მუშისა, მოსამსახურისა, შინამოსამსახურისა, მოჯამაგირისა და სხვათა, ყ ვ ე ლ ა ს ი, ვისაც კი სურს და შეუძლია მხარდამხარ ბრძოლა მთელი მშრომელი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ყ ვ ე ლ ა ს ი, ვისაც კი გააჩნია ელემენტარული პოლიტიკური სინდისი, ყველასი, გარდა შავრაზმელებისა. ჩვენ კი, სოციალ-დემოკრატები, ჩვენდათავად შევეცდებით, ჯერ ერთი, ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის სრული (შეძლებისდაგვარად) შემადგენლობით შევიდეთ ყველა პროფესიულ კავშირში, ხოლო, მეორეც, ვისარგებლოთ ამხანაგ-პროლეტარებთან ერთად გაწეული ბრძოლით, მათ შეხედულებათა განურჩევლად, რათა დაუცხრომლად, განუხრელად ვიქადაგოთ ე რ თ ა დ ე რ თ ი თანამიმდევარი, ერთადერთი ნამდვილად პროლეტარული მსოფლმხედველობა — მ ა რ ქ ს ი ზ მ ი. ასეთი ქადაგებისათვის, პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში ასეთი მუშაობისათვის ჩვენ უსათუოდ შევინარჩუნებთ, განვამტკიცებთ და განვავითარებთ შეგნებული პროლეტარიატის სრულიად დამოუკიდებელ, პრინციპულად მტკიცე კლასობრივ პარტიას, ე. ი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. პროლეტარული ბრძოლის თვითეული ნაბიჯი, განუყრელად შედუღებული ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ, გეგმაზომიერ და ორგანიზებულ მუშაობასთან, სულ უფრო და უფრო დააახლოებს რუსეთის მუშათა კლასის მ ა ს ე ბ ს სოციალ-დემოკრატიასთან.

მაგრამ საკითხის ეს ერთი ნახევარი, ეკონომიური ბრძოლის საკითხი, შედარებით მარტივია და არა მგონია განსაკუთრებულ უთანხმოებას იწვევდეს. სულ სხვაა საკითხის მეორე ნახევარი, — პოლიტიკური ხელმძღვანელობის, პოლიტიკური ბრძოლის საკითხი. შეიძლება კიდევ უფრო გავაკვირვო მკითხველე-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4. ტომი 5, გვ. 572 — 593. რ ე დ.

ბი, მაგრამ ახლავე უნდა ვთქვა, რომ ამ მხრივაც მიზანშეუწონლად მიმაჩნია მოვთხოვოთ მუშათა დეპუტატების საბჭოს სოციალ-დემოკრატიული პროგრამის მიღება და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში შესვლა. ვფიქრობ, პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობის გასაწევად ამჟამად თანაბრად და უსათუოდ საჭიროა **საბჭოც** (გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ლ ი იმ მიმართულებით, რომლის შესახებაც ახლა ვილაპარაკებთ) და **პარტიაც.**

შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მე მგონია (ჩემს განკარგულებაში **არსებული** არასრული და მხოლოდ «ქალალდის» ცნობების მიხედვით), **რომ** პოლიტიკური თვალსაზრისით მუშათა დეპუტატების **საბჭოს** უნდა ვუყურებდეთ როგორც დ რ ო ე ბ ი თ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ თ ა ვ რ ო ბ ი ს **ჩანასახს.** ვფიქრობ, **საბჭომ** რაც შეიძლება საჩქაროდ **უნდა** გამოაცხადოს თავი მთელი რუსეთის დროებით **რევოლუციურ** მთავრობად ან (**რაც** იგივეა, **მხოლოდ** სხვა ფორმით) **უნდა** შ ე ქ მ ნ ა ს **დროებითი** რევოლუციური მთავრობა.

პოლიტიკურმა ბრძოლამ ახლა განვითარების სწორედ ისეთ საფეხურს მიაღწია, როცა რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალები დაახლოებით გაწონასწორდნენ, როცა მეფის მთავრობა უ კ ვ ე უძლურია ჩაახშოს **რევოლუცია,** ხოლო **რევოლუცია ჯ ე რ კ ი დ ე ვ** საკმაოდ ძლიერი ვერ არის, **რომ** სავსებით აღგავოს **შავრაზმული** მთავრობა. მეფის **მთავრობა** სრულიად **გახრწნილია.** მაგრამ იგი ცოცხლად იხრწნება **და** თავისი **მძორის** შხამით მთელ **რუსეთს** სწამლავს. **მეფის** კონტრრევოლუციური ძალების **გახრწნას** უსათუოდ **უნ**და დავუპირისპიროთ ახლავე, **დაუყოვნებლივ,** სრულიად **გადაუდებელად,** **რევოლუციური** ძალების ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა. ეს ორგანიზაცია სწორედ უკანასკნელ დროს მიდის წინ **შესახიშნავი** სიჩქარით. ამას ბოლოს **რევოლუციური** არმიის რაზმების (თავდაცვის რაზმებისა და სხვ.) **შექმნაც,** პროლეტარიატის **მასობრივი** სოციალ-**დემოკრატიული** ორგანიზაციების **სწრაფი** **განვითარებაც,** **რევოლუციური** **გლეხობის** **მიერ** **გლეხთა** **კომიტეტების** **შექმნაც,** **პირველი** **თავისუფალი** **კრებებიც**

მატროსთა და ჯარისკაცთა მუნდირებში გამოწყობილი ჩვენი ძმა პროლეტარებისა, რომლებიც მძიმე და ძნელ, მაგრამ ნამდვილ და ნათელ გზას იკაფავენ თავისუფლებისა და სოციალიზმისაკენ.

ახლა გვაკლია სწორედ გაერთიანება ყველა ნამდვილად რევოლუციური, ყველა უკვე რევოლუციურად მოქმედი ძალებისა. გვაკლია სრულიად რუსეთის პოლიტიკური ცენტრი, ცოცხალი, ახალი, ხალხში ღრმა ფესვების გადგმით ძლიერი, მასების უცილობელი ნდობით აღჭურვილი, მჩქეფარე რევოლუციური ენერგიის მქონე, ორგანიზებულ რევოლუციურ და სოციალისტურ პარტიებთან მჭიდროდ დაკავშირებული ცენტრი. ასეთი ცენტრის შექმნა შეუძლია მხოლოდ რევოლუციურ პროლეტარიატს, პროლეტარიატს, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა პოლიტიკური გაფიცვა, პროლეტარიატს, რომელიც ახლა აწყობს საყოველთაო-სახალხო შეიარაღებულ აჯანყებას, პროლეტარიატს, რომელმაც რუსეთს სანახევროდ უკვე მოუპოვა თავისუფლება და სრულ თავისუფლებასაც მოუპოვებს.

იბადება კითხვა: რატომ არ უნდა იყოს ასეთი ცენტრის ჩანასახი მუშათა დეპუტატების საბჭო? იმიტომ, რომ საბჭოში სოციალ-დემოკრატებს გარდა სხვებიც არიან? ეს მინუსი კი არა, პლუსია. ჩვენ მუდამ იმას ვლაპარაკობდით, რომ აუცილებელია სოციალ-დემოკრატებისა და რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატების საბრძოლო გაერთიანება. ჩვენ ამას ვლაპარაკობდით, მუშებმა კი ეს განახორციელეს. და ჩინებულადაც მოიქცნენ, რომ განახორციელეს. როცა «ნოვაია ჟიზნში» წავიკითხე იმ ა მ ხ ა ნ ა გ - მ უ შ ე ბ ი ს წერილი, რომლებიც სოც.-რევ. პარტიას ეკუთვნიან და პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ საბჭო ერთ-ერთ პარტიაში შედიოდეს, მე არ შემეძლო არ მეფიქრნა, რომ ეს ამხანაგი-მუშები ბევრ რამეში პრაქტიკულად მართალი არიან. რასაკვირველია, ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს შორდება, რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების შეერთებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია, მაგრამ

ამაზე ხომ ლაპარაკიც არ არის. ის მუშები, რომლებიც ს.-რ. შეხედულებებს იზიარებენ და პროლეტარიატის რიგებში იბრძვიან, ჩვენი ღრმა რწმენით, თანამიმდევარი არ არიან, რადგან ისინი თუმცა ჭეშმარიტად პროლეტარულ საქმეს აკეთებენ, მაგრამ არაპროლეტარულ შეხედულებებს ინარჩუნებენ. ჩვენ ვალდებული ვართ გადაჭრით ვებრძოლოთ იდეურად ამ არათანამიმდევრობას, მაგრამ უნდა ვებრძოლოთ ისე, რომ ამით ზიანი არ მოუვიდეს საარსებო, საჭირბოროტო, ცოცხალ, ყველას მიერ აღიარებულ, ყველა პატიოსანი ადამიანის გამაერთიანებელ რევოლუციურ საქმეს. სოციალისტ-რევოლუციონერების შეხედულებები ჩვენ კვლავინდებურად მიგვაჩნია არა სოციალისტურ, არამედ რევოლუციურ-დემოკრატიულ შეხედულებებად. მაგრამ საბრძოლო მიზნებისათვის ვალდებული ვართ ერთად ვიაროთ სრული პარტიული დამოუკიდებლობის შენარჩუნებით, საბჭო კი სწორედ საბრძოლო ორგანიზაცია არის და ასეთიც უნდა იყოს. ერთგული და პატიოსანი რევოლუციონერ-დემოკრატების გაძევება ისეთ დროს, როცა ჩვენ სწორედ დემოკრატიულ რევოლუციას ვახდენთ, უაზრობა და უგუნურება იქნებოდა. მათს არათანამიმდევრობას ჩვენ ადვილად დავძლევთ, ვინაიდან ჩვენს შეხედულებებს თვით ისტორია ესარჩლება, ყოველ ნაბიჯზე ესარჩლება სინამდვილე. თუ მათ სოციალ-დემოკრატიზმი ვერ ასწავლა ჩვენმა წიგნმა, — სოციალ-დემოკრატიზმს მათ შეასწავლის ჩვენი რევოლუცია. არათანამიმდევარნი არიან, რა თქმა უნდა, ის მუშებიც, რომლებიც ქრისტიანებად რჩებიან, რომელთაც ღმერთი სწამთ, და ის ინტელიგენტებიც, რომლებიც (ფუი! ფუი!) მისტიკას მისდევენ, — მაგრამ ჩვენ მათ არ გავაძევებთ არათუ საბჭოდან, არამედ პარტიიდანაც კი, ვინაიდან მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ნამდვილი ბრძოლა, რიგსა და მწკრივში მუშაობა მარქსიზმის ჭეშმარიტებაში დაარწმუნებს ყველა სიცოცხლისუნარიან ელემენტს და უკუაგდებს ყველაფერს, რაც სიცოცხლისუნარიანობას მოკლებულია. ხოლო ჩვენი ძალა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში მარქსისტების უდიდესი ძალა, ჩვენ ერთი წუთითაც არ გვაეჭვებს.

ჩემი შეხედულებით მუშათა დეპუტატების საბჭო როგორც პოლიტიკურად ხელმძღვანელი რევოლუციური ცენტრი მეტად ფართო კი არა, პირიქით, მეტად ვიწრო ორგანიზაცია არის. საბჭომ თავი უნდა გამოაცხადოს დროებითს რევოლუციურ მთავრობად, ან უნდა შეადგინოს ეს მთავრობა და საამისოდ უეჭველად უნდა მიიზიდოს ახალი დეპუტატები არა მარტო მუშებისაგან, არამედ, ჯერ ერთი, მატროსებისა და ჯარისკაცებისგან, რომლებიც უკვე ყველგან მიისწრაფიან თავისუფლებისაკენ, მეორე, რევოლუციური გლეხობისგან, მესამე, რევოლუციური ბურჟუაზიული ინტელიგენციისგან. საბჭომ უნდა აირჩიოს დროებითი რევოლუციური მთავრობის ძლიერი ბირთვი და შეავსოს იგი ყველა რევოლუციური პარტიისა და ყველა რევოლუციური (მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ რევოლუციური და არა ლიბერალური) დემოკრატების წარმომადგენლებით. ჩვენ ასეთი ფართო და ჭრელი შემადგენლობა კი არ გვაშინებს, არამედ გვსურს ეს, ვინაიდან პროლეტარიატისა და გლეხობის გაუერთიანებლად, სოციალ-დემოკრატებისა და რევოლუციური დემოკრატების საბრძოლო დაახლოების გარეშე რუსეთის დიდი რევოლუციის სრული წარმატება შეუძლებელია. ეს იქნება დროებითი კავშირი ნათლად გარკვეული უახლოესი პრაქტიკული ამოცანებისთვის, ხოლო სოციალისტური პროლეტარიატის კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი, ძირითადი ინტერესების სადარაჯოზე, მისი საბოლოო მიზნების სადარაჯოზე განუხრელად იდგება დამოუკიდებელი და პრინციპულად მტკიცე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

მეტყვიან: ფართო და ჭრელი შემადგენლობის დროს განა შეიძლება პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის საკმაოდ შემჭიდროებული და ერთიანი ცენტრის შექმნა? ვუპასუხებ შეკითხვით: რას გვასწავლის ოქტომბრის რევოლუცია? [3] განა საგაფიცვო კომიტეტი მ ა რ თ ლ ა ც საყოველთაოდ აღიარებული ცენტრი, ნამდვილი მთავრობა არ აღმოჩნდა? და განა ეს კომიტეტი სიამოვნებით არ მიიღებდა თავის რიგებში «კავშირებისა» და «კავშირთა კავშირის» [4] იმ ნაწილის წარმომად-

გენლებს, რომელიც ნამდვილად რევოლუციურია და ნამდვილად მხარს უჭერს პროლეტარიატს მის ულმობელ ბრძოლაში თავისუფლებისათვის? საჭიროა მხოლოდ, რომ ძლიერი იყოს დროებითი რევოლუციური მთავრობის ძირითადი წმინდა პროლეტარული ბირთვი, რომ, მაგალითად, ასეულ მუშებსა, მატროსებსა, ჯარისკაცებსა და გლეხებზე მოდიოდეს ინტელიგენტურ-რევოლუციურ კავშირთა ათეული დეპუტატები. და მე ვფიქრობ, რომ პროლეტარები შესძლებენ მალე დაამყარონ ნამდვილი სწორი პროპორცია.

მეტყვიან: განა შეიძლება წამოვაყენოთ ასეთი მთავრობის პროგრამა, პროგრამა, რომელიც საკმაოდ სრული იქნება საიმისოდ, რომ უზრუნველყოთ რევოლუციის გამარჯვება, და საკმაოდ ფართო, რომ შევქმნათ შესაძლებლობა ისეთი საბრძოლო შეერთებისა, რომლისთვისაც სრულიად უცხო იქნება აზრის ბოლომდე გამოუთქმელობა, ყოველგვარი ბუნდოვანება, დაფარვა, პირმოთნეობა? ვუპასუხებ: ასეთი პროგრამა ცხოვრებამ უკვე საკმაოდ წამოაყენა. ასეთი პროგრამა პრინციპულად უკვე აღიარებულია მოსახლეობის უკლებლივ ყველა კლასისა და ფენის ყველა შეგნებული ელემენტის მიერ, თვით მართლმადიდებელი მღვდლების მიერაც კი. ამ პროგრამაში პირველ ადგილას უნდა იყოს ნამდვილი და სრული განხორციელება პოლიტიკური თავისუფლებისა, რასაც ასე ფარისევლურად დაგვპირდა მეფე. გაუქმება ყველა იმ კანონისა, რომელნიც ბოჭავენ სიტყვის, სინდისის, კრებების, პრესის, კავშირების, გაფიცვების თავისუფლებას, მოსპობა ყველა იმ დაწესებულებისა, რომელნიც ზღუდავენ ამ თავისუფლებას, უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, რეალურად, უზრუნველყოფილ და გატარებულ იქნას საქმით. ეს პროგრამა უნდა შეიცავდეს ნამდვილად სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომელიც დაეყრდნობოდა თავისუფალ და შეიარაღებულ ხალხს და რომლის ხელში იქნებოდა მთელი ძალაუფლება და მთელი ძალღონე ახალი წესწყობილების დასამყარებლად რუსეთში. ეს პროგრამა უნდა შეიცავდეს ხალხის შეიარაღების მოთხოვნას. ასეთი შეიარაღების აუცილებლობა ყველას შეგ-

ნებული აქვს. მხოლოდ საჭიროა ბოლომდე მივიყვანოთ და გავაერთიანოთ ის საქმე, რომელიც უკვე დაწყებულია და ყველგან წარმოებს. შემდეგ, დროებითი რევოლუციური მთავრობის პროგრამა უნდა შეიცავდეს მტარვალი მეფის მიერ დაჩაგრულ ეროვნებათათვის ნამდვილი და სრული თავისუფლების დაუყოვნებლივ მინიჭების მოთხოვნას. თავისუფალი რუსეთი იშვა. პროლეტარიატი თავის პოსტზე დგას. იგი არ დაუშვებს, რომ გმირული პოლონეთი კვლავ გასრისონ. იგი თვითონ ჩაებმება ბრძოლაში და არა მარტო მშვიდობიანი გაფიცვით, არამედ იარაღით ხელში აღსდგება რუსეთისა და პოლონეთის თავისუფლებისათვის. ეს პროგრამა უნდა შეიცავდეს 8-საათიანი სამუშაო დღის განმტკიცებას, რასაც უკვე «იპყრობენ» მუშები, და კაპიტალისტური ექსპლოატაციის ალაგმვის სხვა გადაუდებელ ღონისძიებებს. დასასრულ, ამ პროგრამაში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნას მთელი მიწის გადასვლა გლეხების ხელში, მთელი მიწის ჩამორთმევის საქმეში გლეხობის ყოველგვარი რევოლუციური ზომებისთვის მხარის დაჭერა (რა თქმა უნდა, წვრილი მიწათსარგებლობის «გამთანაბრებლობის» ილუზიებისთვის მხარის დაუჭერლად) და დაარსება ყველგან გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისა, რომელთა ჩამოყალიბება უკვე ახლაც დაწყებულია თავისთავად.

შავრაზმელებისა და შავრაზმული მთავრობის გარდა ვინ არ აღიარებს ახლა ამ პროგრამის გადაუდებლობას და პრაქტიკულ საარსებო საჭიროებას? სიტყვიერად ხომ ბურჟუაზიული ლიბერალებიც კი მზად არიან აღიარონ იგი! ჩვენ კი რევოლუციური ხალხის ძალებით უნდა გავატაროთ ის საქმით, ჩვენ საამისოდ რაც შეიძლება ჩქარა უნდა გავაერთიანოთ ეს ძალები პროლეტარიატის მიერ დროებითი რევოლუციური მთავრობის გამოცხადების საშუალებით. რა თქმა უნდა, ასეთი მთავრობის რეალური დასაყრდენი შეიძლება იყოს მხოლოდ შეიარაღებული აჯანყება. მაგრამ განზრახული მთავრობა ხომ სწორედ **ორგანო** იქნება ამ აჯანყებისა, რომელიც იზრდება და უკვე მწიფდება. რევოლუციური მთავრობის შექმნას პრაქ-

ტიკულად ვერ შევუდგებოდით, სანამ აჯანყება არ გაიზრდებოდა იმდენად, რომ ის ყველასათვის ცხადი გამხდარიყო, ყველასათვის, შეიძლება ითქვას, ხელშესახები გამხდარიყო. ახლა კი სწორედ აუცილებელია პოლიტიკურად გავაერთიანოთ ეს აჯანყება, გავმართოთ იგი, მივცეთ მას ნათელი პროგრამა, გადავაქციოთ რევოლუციური არმიის ყველა უკვე მრავალრიცხოვანი და რიცხობრივად სწრაფად მზარდი რაზმები ამ ახალი, მართლაც თავისუფალი და მართლაც სახალხო მთავრობის დასაყრდენად და იარაღად. ბრძოლა გარდუვალია, აჯანყება აუცილებელია, გადამწყვეტი შეჯახება უკვე ძალიან მოახლოებულია. დროა მტერი პირდაპირ გამოვიწვიოთ, გახრწნა-მოდებულ ცარიზმს დავუპირისპიროთ პროლეტარიატის ორგანიზებული ხელისუფლება, მანიფესტით მივმართოთ მთელ ხალხს მოწინავე მუშების მიერ შექმნილი დროებითი რევოლუციური მთავრობის სახელით.

ახლა უკვე ნათლად ვხედავთ, რომ რევოლუციური ხალხის წიაღში მოიძებნებიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ამ დიდი საქმის შესრულება, ადამიანები, თავდადებულად ერთგულნი რევოლუციისა და, რაც მთავარია, ადამიანები მჩქეფარე, უსაზღვრო ენერგიით აღჭურვილნი. ახლა უკვე ცხადად ვხედავთ, რომ არსებობს ელემენტები რევოლუციური არმიისა, რომელიც მხარს დაუჭერს ამ საქმეს, რომ ყოველივე, რაც კი პატიოსანი, ცოცხალი, შეგნებული რამ არის მოსახლეობის ყველა კლასში საბოლოოდ ზურგს შეაქცევს ცარიზმს, როცა ახალი მთავრობა გადამწყვეტ ომს გამოუცხადებს მომაკვდავ ბატონყმურ, პოლიციურ რუსეთს.

მოქალაქენო! — საჭირო იქნებოდა გვეთქვა რევოლუციური მთავრობის ამ ომის გამოცხადების დროს, ამ მანიფესტში, — მოქალაქენო, მოახდინეთ არჩევანი! იქ მთელი ძველი რუსეთია, ადამიანის ექსპლოატაციის, ჩაგვრის, ადამიანის შემბილწველი ყველა ბნელი ძალა; აქ — თავისუფალ, ყველა სახელმწიფო საქმეში თანასწორუფლებიან მოქალაქეთა კავშირი. იქ ექსპლოატატორთა, მდიდართა, პოლიციელთა კავშირია; აქ — ყველა მშრომელის, ხალხის მთელი ცოცხალი ძალების,

მთელი პატიოსანი ინტელიგენციის კავშირი. იქ შავი რაზმებია, აქ — თავისუფლებისათვის, განათლებისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლი ორგანიზებული მუშები.

მოქალაქენო, მოახდინეთ არჩევანი! აი ჩვენი პროგრამა, რომელიც დიდი ხანია წამოაყენა მთელმა ხალხმა. აი ჩვენი მიზნები, რომელთა გულისთვის ჩვენ ომს ვუცხადებთ შავრაზმელთა მთავრობას. ჩვენ თავს არ ვახვევთ ხალხს არავითარ ჩვენს მოგონილ ახალ რამეს, ჩვენ მხოლოდ ვკისრულობთ თაოსნობას საქმით განვახორციელოთ ის, ურომლისოდაც, საერთო და ერთსულოვანი აღიარებით, ცხოვრება აღარ შეიძლება რუსეთში. ჩვენ არ ვემიჯნებით რევოლუციურ ხალხს, მის სამსჯავროზე გაგვაქვს თვითეული ჩვენი ნაბიჯი, თვითეული ჩვენი გადაწყვეტილება, ჩვენ მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ თვით მშრომელთა მასებში წარმოშობილ თავისუფალ თაოსნობას ვეყრდნობით. ჩვენ ვაერთიანებთ ყველა და ყოველგვარ რევოლუციურ პარტიას, ჩვენს რიგებში მოვუხმობთ დეპუტატებს მოსახლეობის ყოველი ჯგუფისაგან, რომელიც მზადაა იბრძოლოს თავისუფლებისათვის, ჩვენი პროგრამისათვის, რაც ხალხის ელემენტარულ უფლებებსა და საჭიროებებს უზრუნველჰყოფს. ჩვენ განსაკუთრებით ვუწვდით ხელს ჯარისკაცთა მუნდირში გადაცმულ ამხანაგ-მუშებსა და ჩვენს ძმაგლეხებს მემამულეთა და მოხელეთა უღლის წინააღმდეგ ბოლომდე ერთად საბრძოლველად, მიწისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

მოქალაქენო! ემზადეთ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. შავრაზმულ მთავრობას რუსეთის შებილწვის ნებას არ მივცემთ. ჩვენ არ მოვატყუებინებთ თავს რამდენიმე მოხელის შეცვლით, რამდენიმე პოლიციელის გადადგომით, ვიდრე შავრაზმული პოლიციის მთელი მასა ინარჩუნებს ძალაუფლებას მკვლელობისა, ძარცვა-გლეჯისა და აღვირაშვებულობისათვის ხალხის მიმართ. დაე ლიბერალურმა ბურჟუებმა დაიმცირონ თავი ამ შავრაზმული მთავრობის წინაშე შუამდგომლობით. შავრაზმელები ხითხითებენ, როცა მათ ემუქრებიან ისევ მეფის მოხელეთა ისევ მეფის სასამართლოთი. ჩვენ ვუბრძანებთ ჩვე-

ნი არმიის რაზმებს დააპატიმრონ შავი რაზმის გმირნი, რომელნიც გამოათრობენ და მოისყიდიან ხოლმე უმეცარ ხალხს, ჩვენ ყველა ამ გარეწართ, როგორიცაა კრონშტადტის პოლიციმეისტერი, გადავცემთ საჯარო, სრულიად სახალხო, რევოლუციურ სასამართლოს.

მოქალაქენო! მეფის მთავრობას ზურგი შეაქცია ყველამ, გარდა შავი რაზმებისა. მაშ გაერთიანდით რევოლუციური მთავრობის გარშემო, შეწყვიტეთ ყველა გამოსაღებისა და გადასახადის გადახდა, მთელი ძალღონე მიმართეთ თავისუფალი სახალხო ლაშქრის მოწყობისა და შეიარაღებისაკენ. ნამდვილი თავისუფლება რუსეთისთვის უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც რევოლუციური ხალხი გამარჯვებული აღმოჩნდება შავრაზმული მთავრობის ძალებზე. სამოქალაქო ომში ნეიტრალურნი არ არიან და არც შეიძლება იყვნენ. თეთრების პარტია — ცარიელი ლაჩრული ფარისევლობაა. ვინც თავს არიდებს ბრძოლას, ის მხარს უჭერს შავრაზმელთა თარეშს. ვინც მხარს არ უჭერს რევოლუციას, ის რევოლუციის წინააღმდეგია. ვინც რევოლუციონერი არ არის, იგი შავრაზმელია.

ჩვენ ვკისრულობთ სახალხო აჯანყების ძალთა გაერთიანებასა და მომზადებას. დაე, 9 იანვრის დიადი დღის წლისთავზე რუსეთში ნუ დარჩება მეფის ხელისუფლების დაწესებულებათა ნატამალიც კი. დაე, საერთაშორისო პროლეტარიატის საგაზაფხულო დღესასწაულმა მოუსწროს უკვე თავისუფალ რუსეთს თავისუფლად მოწვეული სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრებით!

აი როგორ წარმომიდგენია მუშათა დეპუტატების საბჭოს განვითარება დროებით რევოლუციურ მთავრობად. აი რა ამოცანებს დავუსახავდი მე უპირველეს ყოვლისა ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციას, ყველა შეგნებულ მუშას, თვით საბჭოსაც, მოსკოვის მომავალ მუშათა ყრილობასაც და გლეხთა კავშირის ყრილობასაც *.

პარტიის რეორგანიზაციის შესახებ [6]

I

ჩვენი პარტიის სამოქმედო პირობები ძირიანფესვიანად იცვლება. მოპოვებულია კრებების, კავშირების, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. რა თქმა უნდა, ეს უფლებები სრულიად არ არის მტკიცე, და ახლანდელ თავისუფლებებზე დაყრდნობა უგუნურება იქნებოდა, თუ დანაშაული არა. გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა, და ამ ბრძოლისათვის მომზადება პირველ რიგში უნდა იდგეს. პარტიის კონსპირაციული აპარატი უნდა შევინარჩუნოთ. მაგრამ ამასთანავე აუცილებლად და რაც შეიძლება ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ახლანდელი, შედარებით უფრო ფართო ასპარეზი. კონსპირაციული აპარატის გვერდით აუცილებლად საჭიროა შევქმნათ ახალ-ახალი, ღია და ნახევრადღია პარტიული (და პარტიის მომხრე) ორგანიზაციები. თუ ეს უკანასკნელი მუშაობა არ ჩატარდება, ახალ პირობებთან ჩვენი საქმიანობის შეგუება, ახალი ამოცანების გადაწყვეტა წარმოუდგენელია...

ორგანიზაციის ახალ საფუძველზე დაყენებისათვის საჭიროა პარტიის ახალი ყრილობის მოწვევა. წესდების მიხედვით იგი წელიწადში ერთხელაა დანიშნული, დანიშნულია 1906 წლის მაისისთვის, მაგრამ ახლა ყრილობის მოწვევის დაჩქარება აუცილებელია. თუ მომენტით ვერ ვისარგებლეთ, ხელიდან გავუშვებთ მას — იმ მხრივ, რომ ორგანიზაციის საჭიროება, რასაც მუშები მეტად მწვავედ განიცდიან, მახინჯ, საშიშ ფორმებს მიიღებს, ვააძლიერებს რომელიმე «დამოუკიდებელთ» [7] და სხვ.. საჭიროა დავაჩქაროთ ახლებურად ორგანიზება, საჭიროა საერთო მსჯელობის საგნად გავხადოთ ახალი ხერხები, საჭიროა გაბედულად და გადაჭრით განვსაზღვროთ «ახალი ვეზი».

ამ ნომერში მოთავსებული და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ხელმოწერილი მიმართვა პარტიისადმი [8], ჩემი ღრმა რწმენით, ამ ახალ გეზს საკვანძოდ მართებულად განსაზღვრავს. ჩვენ, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებს, «უმრავლესობის» მომხრეებს, არაერთხელ გვითქვამს, რომ ბოლომდე გატარებული დემოკრატიზაცია პარტიისა, კონსპირაციული მუშაობის პირობებში, შეუძლებელი იყო, რომ «არჩევნობის საწყისი» ამ პირობებში მხოლოდ ფრაზაა. და ცხოვრებამაც ჩვენი ნათქვამი დაადასტურა. ლიტერატურაში (იხილე «მუშის» ბროშურა აქსელროდის წინასიტყვაობით და «ერთი მრავალთაგანი მუშის» წერილი «ისკრაში» [9], აგრეთვე ბროშურაში — «მუშები პარტიული გათიშვის შესახებ») უმცირესობის ყოფილ მომხრეებს უკვე არაერთხელ ალუნიშნავთ, ფაქტიურად ვერავითარი სერიოზული დემოკრატიზაციის, ვერავითარი ნამდვილი არჩევნობის გატარებას ვერ ვახერხებდითო. მაგრამ ახალ პირობებში, პოლიტიკურ თავისუფლებაზე გადასვლის დროისათვის არჩევნობაზე გადასვლის აუცილებლობას ჩვენ, ბოლშევიკები, ყოველთვის აღვიარებდით: რსდმპ III ყრილობის ოქმები ამას განსაკუთრებით დამაჯერებლად ამტკიცებენ, თუ კი ამას კიდევ დამტკიცება ესაჭიროება.

ამრიგად, ამოცანა ნათლად დგას: შევინარჩუნოთ ჯერჯერობით კონსპირაციული აპარატი და განვავითაროთ ახალი, ღია აპარატი. ყრილობის მიმართ ეს ამოცანა (რომლის კონკრეტული განხორციელება, რა თქმა უნდა, პრაქტიკულ უნარიანობას და ადგილისა და დროის ყველა პირობის ცოდნას მოითხოვს) ამნაირად გამოიხატება: მოვიწვიოთ IV ყრილობა წესდების საფუძველზე და ამავე დროს ახლავე, დაუყოვნებლივ, დავიწყოთ არჩევნობის საწყისის გამოყენება. ცენტრალურმა კომიტეტმა ეს ამოცანა ასე გადაწყვიტა: კომიტეტელები, ფორმალურად როგორც სრულუფლებიანი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რეალურად როგორც პარტიული თანამომდევნობის წარმომადგენლები, ყრილობაზე მიდიან გადამწყვეტი ხმით, უფლების ძალით. პარტიის ყ ვ ე ლ ა წევრის მიერ, მა-

შასადამე, პარტიაში შემავალ მუშათა მასის მიერაც არჩეული დელეგატები ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი უფლების ძალით მ ო ი წ ვ ი ა სათათბირო ხმით. ც. კ.-მა ამასთანავე განაცხადა, რომ იგი მაშინვე წინადადებას მისცემს ყრილობას ეს სათათბირო ხმა გადამწყვეტ ხმად აქციოს. დათანხმდებიან თუ არა ამას კომიტეტთა სრულუფლებიანი დელეგატები?

ც. კ. აცხადებს, რომ, მისი აზრით, უსათუოდ დათანხმდებიან. მე, პირადად, ეს ღრმად მწამს. შეუძლებელია არ დაეთანხმო ასეთ რამეს. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის ხელმძღვანელთა უმრავლესობა ამას არ დაეთანხმოს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარტიულ მუშაკთა ხმები, რომელთაც უაღრესი გულმოდგინებით აღრიცხავს გაზეთი «ნოვაია ჟიზნ», ძალიან მალე დაამტკიცებენ ჩვენი შეხედულების სისწორეს: თუ კი ასეთი ნაბიჯის გამო (სათათბირო ხმის გადამწყვეტ ხმად გადაქცევის გამო) ბრძოლა კიდეც მოგველოს, მისი შედეგი ეჭვს არ იწვევს.

დაუკვირდით ამ საკითხს მეორე მხრივ, არა ფორმალური თვალსაზრისით, არამედ არსებითად. მოელის თუ არა საფრთხე სოციალ-დემოკრატიას ჩვენ მიერ წამოყენებული გეგმის განხორციელებით?

საფრთხე შეიძლება იმაში დაინახონ, რომ პარტიაში ერთბაშად შევლენ არა სოციალ-დემოკრატთა მასები. მაშინ პარტია მასაში გაითქვიფება, პარტია აღარ იქნება კლასის შეგნებული მოწინავე რაზმი, პარტია მაჩანჩალის როლამდე ჩამოქვეითდებაო. ეს უცილობლად სავალალო პერიოდი იქნებოდა. და ამ საფრთხეს, უეჭველია, ფ რ ი ა დ ს ე რ ი ო ზ უ ლ ი მნიშვნელობა ე ქ ნ ე ბ ო დ ა, ჩვენს შორის დემაგოგიისადმი მიდრეკილება **რომ არსებობდეს,** პარტიულობის საფუძვლები (პროგრამა, ტაქტიკური წესები, ორგანიზაციული გამოცდილება) რომ სულ არ მოგვეპოვებოდეს, ანდა სუსტი და მერყევი იყოს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ სწორედ ეს «**რომ**» არ არსებობს. ჩვენს შორის, ბოლშევიკებს შორის, **არათუ არ ყოფილა** დემაგოგიისადმი მიდრეკილება, არამედ, პირიქით, ჩვენ ყოველ-

თვის გადაჭრით, აშკარად და პირდაპირ ვებრძოლით დემაგოგიის სულ მცირეოდენ ცდებსაც კი, პარტიაში შემავალთაგან მოვითხოვდით შეგნებულობას, პარტიული განვითარების საქმეში დაჟინებით ვიცავდით თანამომდევნობის უდიდეს მნიშვნელობას, ვქადაგებდით დისციპლინას და პარტიის **ყველა** წევრის აღზრდას ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში. ჩვენ გვაქვს და მტკიცედ დგას ყველა სოციალ-დემოკრატის მიერ ოფიციალურად აღიარებული ჩვენი პროგრამა, რომლის ძირითადი დებულებები არსებითად არავითარ კრიტიკას არ იწვევს (ცალკეული მუხლებისა და ფორმულირებათა კრიტიკა ყოველ ცოცხალ პარტიაში სავსებით კანონიერი და აუცილებელი რამაა). ჩვენ მოგვეპოვება ტაქტიკური რეზოლუციები, რომელნიც თანამიმდევრად და სისტემატურად მუშავდებოდა როგორც II, ისე III ყრილობაზე და სოციალ-დემოკრატიული პრესის მრავალწლოვანი მუშაობით. ჩვენ გვაქვს ერთგვარი ორგანიზაციული გამოცდილებაც და ფაქტიური ორგანიზაციაც, რომელმაც აღმზრდელობითი როლი შეასრულა და უეჭველად ნაყოფიც გამოიღო, რაც ერთბაშად არა ჩანს, მაგრამ რისი უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ ბეც ან დაბრმავებულ ადამიანებს.

არა, ამხანაგებო, ნუ გავაზვიადებთ ამ საფრთხეს. სოციალ-დემოკრატიამ სახელი მოიპოვა, მიმართულება შეჰქმნა, შეჰქმნა სოციალ-დემოკრატ მუშათა კადრები. და ამჟამად, როდესაც გმირმა პროლეტარიატმა საქმით დაამტკიცა, რომ იგი მზადაა ბრძოლისათვის და უნარიც შესწევს სოლიდარულად, მედგრად იბრძოლოს ნათლად შეგნებული მიზნებისათვის, იბრძოლოს წმინდა სოციალ-დემოკრატიული სულისკვეთებით, — ასეთ დროს პირდაპირ სასაცილო იქნებოდა დაეჭვება, რომ მუშები, რომელნიც ჩვენს პარტიაში შედიან და რომელნიც ხვალ, ც. კ.-ის მიწვევით, მასში შევლენ, 100-დან 99 შემთხვევაში სოციალ-დემოკრატები იქნებიან. მუშათა კლასი ინსტინქტურად, სტიქიურად სოციალ-დემოკრატიულია, ხოლო სოციალ-დემოკრატიის ათზე მეტი წლის მუშაობას სრულებითაც ცოტა როდი გაუკეთებია ამ სტიქიურობის შეგნებულობად გადაქცევისათვის. ნუ იგონებთ ათასგვარ საშინელებას, ამხანაგებო!

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველ ცოცხალსა და განვითარების განმცდელ პარტიაში ყოველთვის იქნება მერყეობის, უმტკიცობისა და ქანაობის ელემენტები. . მაგრამ ეს ელემენტები ემორჩილებიან და დაემორჩილებიან სოციალ-დემოკრატთა მტკიცე და შემჭიდროებული ბირთვის ზედმოქმედებას.

ჩვენი პარტია შეფერხდა იატაკქვეშეთში. მას სული ეხუთებოდა იქ უკანასკნელ წლებში, როგორც სამართლიანად თქვა III ყრილობის ერთმა დელეგატმა. იატაკქვეშეთი ირღვევა. მაშ გაბედულად გასწით წინ, ხელთ აიღეთ ახალი იარაღი, დაურიგეთ იგი ახალ ადამიანებს, გააფართოეთ თქვენი დასაყრდენი ბაზები, მოუწოდეთ თქვენკენ ყველა სოციალ-დემოკრატ მუშას, ასობით და ათასობით ჩააბით ისინი პარტიულ ორგანიზაციათა რიგებში. დაე მათმა დელეგატებმა გამოაცოცხლონ ჩვენი ცენტრების რიგები, დაე მათი შემწეობით ამ ცენტრებში შეიჭრას ახალგაზრდა რევოლუციური რუსეთის ახალი სული. აქამდე რევოლუცია ამართლებდა და გაამართლა კიდეც მარქსიზმის ყველა ძირითადი თეორიული დებულება, სოციალ-დემოკრატიის ყველა არსებითი ლოზუნგი. და რევოლუციამ გაამართლა აგრეთვე ჩ ვ ე ნ ი, სოციალ-დემოკრატიული მუშაობა, გაამართლა ჩვენი იმედი და რწმენა პროლეტარიატის ჭეშმარიტი რევოლუციურობისა. მაშ უკუვაგდოთ ყოველგვარი წვრილმანობა პარტიის საჭირო რეფორმის საქმეში, ერთბაშად დავადგეთ ახალ გზას. ეს როდი წაგვართმევს ძველ კონსპირაციულ აპარატს (იგი რომ მუშა სოციალ-დემოკრატებმა აღიარეს და დაადასტურეს, ეჭვს გარეშეა: ეს ცხადჰყო ცხოვრებამ და რევოლუციის მსვლელობამ ასჯერ უფრო დამარწმუნებლად, ვიდრე ამის დამტკიცებას შესძლებდნენ გადაწყვეტილებანი და დადგენილებანი). ეს ჩვენ შეგვძენს აგრეთვე ახალ, ახალგაზრდა ძალებს, გამოსულთ ერთადერთი ნამდვილად რევოლუციური, და ბოლომდე რევოლუციური, კლასის წიაღიდან, — კლასისა, რომელმაც რუსეთს სანახევროდ უკვე მოუპოვა თავისუფლება, კლასისა, რომელიც მოუპოვებს მას სრულ თავისუფლებას, კლასისა, რომელიც წაიყვანს მას თავისუფლების გზით სოციალიზმისაკენ!

II

ჩვენი პარტიის ც. კ.-ის დადგენილება რსდმპ IV ყრილობის მოწვევის შესახებ, დაბეჭდილი «ნოვაია ჟიზნის» მე-9 ნომერში, გადამწყვეტ ნაბიჯს დგამს პარტიულ ორგანიზაციაში დემოკრატიული საწყისის სრული განხორციელებისაკენ. ყრილობის დელეგატების არჩევნები (დელეგატები ჯერ სათათბირო ხმით იქნებიან, შემდეგ კი, უეჭველია, მათ გადამწყვეტი ხმა მიენიჭებათ) ერთ თვეში უნდა მოხდეს. ამრიგად, პარტიის ყველა ორგანიზაცია რაც შეიძლება მალე უნდა შეუდგეს კანდიდატთა პიროვნებისა და ყრილობის ამოცანების საკითხის განხილვას. აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს იმის შესაძლებლობას, **რომ მომაკვდავი** თვითმპყრობელობა კვლავ ეცდება წაგვართვას დაპირებული თავისუფლებანი, თავს დაესხას რევოლუციურ მუშებს, განსაკუთრებით კი მათს ბელადებს. ამიტომ არა მგონია საჭირო იყოს (განსაკუთრებულ შემთხვევათა გარდა) დელეგატთა ნამდვილი გვარების გამოქვეყნება. ვიდრე შავრაზმელები ხელისუფლების სათავეში არიან, ფსევდონიმებს, რომლებსაც პოლიტიკური მონობის ხანამ შეგვაჩვია, ჯერ კიდევ ვერ შეველევით. დელეგატთა კანდიდატების არჩევაც ზედმეტი არ იქნებოდა, — ისევ-ისე, **ძველებურად, «ჩავარდნის შემთხვევისთვის»**. მაგრამ ყველა ამ **კონსპირაციულ სიფრთხილეზე** ჩვენ აღარ შევჩერდებით, რადგან **ის ამხანაგები, რომლებიც** მუშაობის ადგილობრივ **პირობებს იცნობენ**, ადვილად დასძლევენ ყველა დაბრკოლებას, რომელიც შეიძლება ამ მხრივ წარმოიშვას. თვითმპყრობელობის **პირობებში რევოლუციურ** მუშაობაში დიდად გამოცდილი ამხანაგები **თავიანთი** რჩევა-დარიგებით უნდა დაეხმარონ ყველა იმათ, ვინც სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას იწყებს ახალ «თავისუფალ» (ჯერ კიდევ ვითომ **თავისუფალ**) პირობებში. თავისთავად ცხადია, **ამასთან ჩვენი** კომიტეტების წევრებს დიდი ტაქტი მოეთხოვებათ: **წინანდელი** ფორმალური **პროგრამატიკები** ამჟამად აუცილებლად **ჰკარგავენ** მნიშვნელობას, და სულ ხშირად საჭირო ხდება კვლავ «თავიდან» დაწყე-

ბა, საჭირო ხდება ახალ პარტიულ ამხანაგთა ფართო ფენებს დ ა ვ უ მ ტ კ ი ც ო თ მტკიცე სოციალ-დემოკრატიული პროგრამის, ტაქტიკის ორგანიზაციის მთელი მნიშვნელობა. ნუ დავივიწყებთ, რომ აქამდე ძალიან ხშირად საქმე გვქონდა მხოლოდ ამა თუ იმ სოციალური ფენიდან გამოყოფილ რევოლუციონერებთან, ახლა კი საქმე გვექნება მასის ტიპიურ წარმომადგენლებთან: ეს ცვლილება მოითხოვს, რომ შევცვალოთ არა მარტო პროპაგანდისა და აგიტაციის ხერხები (მეტი პოპულარობის საჭიროება, საკითხისადმი მიდგომის უნარი, იმის უნარი, რომ სულ მარტივად, თვალსაჩინოდ და მართლაც დამაჯერებლად განვუმარტოთ სოციალიზმის ძირითადი ჭეშმარიტებანი), არამედ ორგანიზაციის ხერხებიც.

ამ შენიშვნაში მინდა შევჩერდე ახალი ორგანიზაციული ამოცანების ერთ მხარეზე. ც. კ.-ის დადგენილება ყრილობაზე დელეგატებს იწვევს ყ ვ ე ლ ა პარტიული ორგანიზაციიდან და მოუწოდებს ყ ვ ე ლ ა მუშა სოციალ-დემოკრატს შევიდნენ ამნაირ ორგანიზაციებში. ეს კეთილი სურვილი რომ ნამდვილად განხორციელდეს, არ კმარა მუშების უბრალო «მოწვევა», არ კმარა წინანდელი ტიპის ორგანიზაციების რიცხვის უბრალო გადიდება. არა, საამისოდ აუცილებელია ყველა ამხანაგმა დამოუკიდებლად, შემოქმედებითი გზით ერთად შეიმუშაოს ორგანიზაციის ა ხ ა ლ ი ფორმები. აქ შეუძლებელია რაიმე წინასწარ განსაზღვრული ნორმების მითითება, რადგან მთელი ეს საქმე ახალია; აქ გამოყენებულ უნდა იქნას ადგილობრივი პირობების ცოდნა და, რაც მთავარია, პარტიის ყ ვ ე ლ ა წევრის ინიციატივა. მუშათა პარტიის ორგანიზაციის ახალი ფორმა ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ძირითადი ორგანიზაციული უჯრედის ახალი ფორმა უსათუოდ უფრო ფართო უნდა იყოს ძველ წრეებთან შედარებით. გარდა ამისა, ალბათ, ახალი უჯრედი უფრო ნაკლებ მკაცრად ჩამოყალიბებული, უფრო «თავისუფალი», «lose», ორგანიზაცია უნდა იყოს. კავშირების სრული თავისუფლებისა და მოსახლეობის სამოქალაქო უფლებათა სავსებით უზრუნველყოფის შემთხვევაში ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველგან უნდა დაგვეარსებინა სოციალ-დემოკრატიული

(არა მარტო პროფესიული, არამედ პოლიტიკური, პარტიული) კავშირები. ახლანდელ პირობებში კი იქით უნდა მივისწრაფოდეთ, რომ მივუახლოვდეთ ამ მიზანს ყოველგვარი გზებითა და საშუალებებით, რაც კი ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდება.

საჭიროა დაუყოვნებლივ გავუღვიძოთ ინიციატივა ყველა პარტიულ მუშაკსა და ყველა იმ მუშას, რომელნიც სოციალ-დემოკრატიას თანაუგრძნობენ. საჭიროა დაუყოვნებლივ მოვაწყოთ ყველგან და ყოველ ადგილას რეფერატები, საუბრები, მიტინგები, მასობრივი კრებები და ვაცნობოთ რსდმპ IV ყრილობის მოწვევა, პოპულარულად და საკვლევით გასაგები ფორმით განვუმარტოთ ამ ყრილობის ამოცანები, აღვნიშნოთ ყრილობის ორგანიზაციის ახალი ფორმა, მივუწოდოთ ყველა სოციალ-დემოკრატს მონაწილეობა მიიღონ ახალ საფუძვლებზე ნამდვილად პროლეტარული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნაში. ასეთი მუშაობა გამოცდილების მრავალ მითითებას მოგვცემს, ორ-სამ კვირაში (თუ საქმეს ენერგიულად მოვკიდებთ ხელს) მუშათა წრიდან წამოაყენებს ახალ სოციალ-დემოკრატიულ ძალებს, ბევრად უფრო ფართო ფენებში გამოაცოცხლებს ინტერესს სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი, რომლის ხელახლა გარდაქმნა ჩვენ გადავწყვიტეთ ამჟამად ყველა მუშა-ამხანაგთან ერთად. ყველა კრებაზე დაუყოვნებლივ დაყენებული იქნება კავშირების, პარტიის ორგანიზაციების, ჯგუფების შექმნის საკითხი. ყოველი კავშირი, ორგანიზაცია, ჯგუფი მყისვე აირჩევს თავის ბიუროს ან გამგეობას ან განმკარგულებელ კომისიას, ერთი სიტყვით, ცენტრალურ და მუდმივ დაწესებულებას ორგანიზაციის საქმეების გასაძღოლად, პარტიის ადგილობრივ დაწესებულებებთან კავშირურთიერთობის დასამყარებლად, პარტიული ლიტერატურის მისაღებად და გასავრცელებლად, პარტიული მუშაობისათვის გამოსაღებთა შესაგროვებლად, კრებების, ლექციების, რეფერატების მოსაწყობად, დასასრულ, პარტიული ყრილობის დელეგატის არჩევნების მოსამზადებლად. პარტიის კომიტეტები, რა თქმა უნდა, იზრუნავენ იმაზე, რომ დახმარება გაუწიონ ყოველ ასეთ ორგანიზაციას, მიაწოდონ მას მასალები იმის გასაცნო-

ბად, თუ რას წარმოადგენს რსდმ პარტია, როგორია მისი ისტორია და მისი ახლანდელი დიადი ამოცანები.

შემდეგ, დროა იმაზედაც ვიზრუნოთ, რომ შევქმნათ მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ადგილობრივი სამეურნეო, ასე ვთქვათ, დასაყრდნობი პუნქტები პარტიის წევრთა ხარჯზე გამართული სასადილოების, საჩაიების, ლუდხანების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, ტირების * და სხვათა და სხვათა სახით. ნუ დავივიწყებთ, რომ, გარდა «თვითმპყრობელი» პოლიციისა, მუშა სოციალ-დემოკრატებს დევნას დაუწყებენ «თვითმპყრობელი» მეპატრონეებიც, რომელნიც სამსახურიდან დაითხოვენ აგიტატორებს, და ამიტომ მეფაბრიკეების თვითნებობისაგან რაც შეიძლება უფრო დამოუკიდებელი ბაზის შექმნა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საქმეა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა, მოქმედების თავისუფლების ახლანდელი გაფართოებით ყოველნაირად უნდა ვისარგებლოთ, და რაც უფრო უზრუნველყოფილი იქნება ეს თავისუფლება, მით უფრო ენერგიულად წამოვაყენებთ ლოზუნგს: «ხალხისაკენ!». ახლა თვით მუშების ინიციატივა ისეთი მოცულობით გამოიჩენს თავს, რომელზედაც ჩვენ, გუშინდელი კონსპირატორები და წრეების მუშაკნი, ოცნებასაც კი ვერ გავბედავდით. ახლა სოცია-

* მე არ ვიცი შესაფერისი რუსული სიტყვა და «ტირს» ვუწოდებ იმ შენობას, სადაც გამართულია მიზანში სროლა, სადაც მოიპოვება ყოველგვარი იარაღის მარაგი და ყოველ მსურველს შეუძლია მისვლა და მცირე ფასად რევოლვერისა და თოფის სროლა მიზანში. რუსეთში გამოცხადებულია კრებებისა და კავშირების თავისუფლება. მოქალაქეებს უფლება აქვთ შეიკრიბონ სროლის სასწავლებლადაც, ამით არავის არაფითარი საფრთხე არ მოელის. ევროპის ყოველ დიდ ქალაქში თქვენ შეხვდებით ყველასთვის ღია ტირებს — სარდაფებში, ხანდახან ქალაქგარეთ და სხვ. ხოლო მუშებისთვის სროლის შესწავლა, იარაღის ხმარების შესწავლა სრულიადაც ზედმეტი არ არის. რასაკვირველია, ამ საქმეს სერიოზულად და ფართოდ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მოვკიდოთ ხელი, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება კავშირების თავისუფლება და შეგვეძლება სამართალში მივცეთ ის პოლიციელი არამზადები, რომელნიც გაბედავდნენ ასეთ დაწესებულებათა დახურვას.

ლიზმის იდეების ზედმოქმედება პროლეტარიატის მასებზე ისეთი გზით მიდის და წავა, რომელსაც ჩვენ ხშირად სრულიად თვალსაც ვეღარ გავადევნებთ. ასეთი პირობების შესაბამისად, საჭიროა ვიზრუნოთ სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენციის უფრო მართებულად განაწილებაზე *, რათა იგი ტყუილ-უბრალოდ არ დაეხეტებოდეს იქ, სადაც მოძრაობა უკვე ფეხზეა დამდგარი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, იოლად მიდის თავისი ძალებით, რათა იგი მიდიოდეს «ქვედაფენებში», სადაც სამუშაო უფრო მძიმეა, პირობები უფრო ძნელია, მცოდნე და გამოცდილ ადამიანთა საჭიროება უფრო დიდია, სინათლის წყაროები ნაკლებია და პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემა უფრო სუსტია. ჩვენ ახლა «ხალხში» უნდა წავიდეთ არჩევნების დროსაც, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს თვით უაღრესად მივარდნილი კუთხეების მთელი მოსახლეობაც კი, — და აშკარა ბრძოლის შემთხვევაშიც (ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია), რათა დავაუძლურებოთ პროვინციული ვანდეის [10] რეაქციულობა, რათა უზრუნველვყოთ მთელ ჩვენს ქვეყანაში, პროლეტარიატის მთელ მასაში იმ ლოზუნგების გავრცელება, რომელთაც მსხვილი ცენტრები წამოაყენებენ.

რა თქმა უნდა, ყოველი უკიდურესობა მავნებელია; საქმის სავსებით მკვიდრად და, შეძლებისამებრ, «სანიმუშოდ» დაყენებისათვის ჩვენ ჯერ კიდევ ახლაც ხშირად მოგვიხდება ამა თუ იმ მნიშვნელოვან ცენტრში საუკეთესო ძალების თავმოყრა. გამოცდილება გვიჩვენებს, როგორი პროპორციის დაცვა იქნება ამ მხრივ საჭირო. ამჟამად ჩვენი ამოცანაა იმდენად არა ახალ საფუძვლებზე ორგანიზების ნორმების გამო-

* პარტიის III ყრილობაზე მე გამოვთქვამდი სურვილს, რომ პარტიის კომიტეტებში, დაახლოებით, 2 ინტელიგენტზე 8 მუშა უნდა მოდიოდეს-მეთქი. (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 8, გვ. 480. რ ე დ.). როგორ მოძველდა ეს სურვილი!

ახლა უნდა ვისურვოთ პარტიის ახალ ორგანიზაციებში პარტიის სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენციის ერთ წევრზე რამდენიმე ასეული მუშა სოციალ-დემოკრატი მოდიოდეს.

გონება, რამდენადაც უაღრესად ფართო და გაბედული მუშაობის გაჩაღება, რათა IV ყრილობაზე შევაჯამოთ და გავაფორმოთ პარტიული გამოცდილების მონაცემები.

III

პირველ ორ ნარკვევში ჩვენ შევჩერდით პარტიაში არჩევნობის საწყისის საერთო მნიშვნელობაზე და ახალი ორგანიზაციული უჯრედებისა და ორგანიზაციული ფორმების აუცილებლობაზე. ახლა განვიხილოთ კიდევ ერთი უაღრესად არსებითი საკითხი, სახელდობრ: პარტიული გაერთიანების საკითხი.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ მუშა სოციალ-დემოკრატთა დიდი უმრავლესობა მეტად უკმაყოფილოა პარტიული გათიშვით და გაერთიანებას მოითხოვს. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ გათიშვამ გამოიწვია მუშა სოციალ-დემოკრატების (ან იმათი, ვინც მზად იყო სოციალ-დემოკრატი გამხდარიყო) ერთგვარი გულის გაგრილება სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართ.

მუშებმა თითქმის დაჰკარგეს იმის იმედი, რომ პარტიის «ზედაფენები» თვითონვე გაერთიანდებიან. გაერთიანების აუცილებლობა ოფიციალურად აღიარა როგორც რსდმპ III ყრილობამ, ისე მენშევიკების კონფერენციამ მიმდინარე წლის მაისში. მას შემდეგ ნახევარმა წელმა განვლო, მაგრამ გაერთიანების საქმე თითქმის არ წაწეულა წინ. გასაკვირველი როდია, რომ მუშებს მოუთმენლობა დაეტყოთ. გასაკვირველი როდია, რომ «ერთი მრავალთაგანი მუშა», რომელიც გაერთიანებაზე წერდა «ისკრაში» და «უმრავლესობის» მიერ გამოცემულ ბროშურაში («მუშები პარტიული გათიშვის შესახებ», ც. კ.-ის გამოცემა. ჟენევა, 1905 წ.), ბოლოს, სოციალ-დემოკრატიულ ინტელიგენციას «ქვევიდან მუშტით» დაემუქრა. ზოგიერთ სოციალ-დემოკრატს (მენშევიკებს) ეს მუქარა ძაშინ არ ეჭაშნიკათ, სხვებმა (ბოლშევიკებმა) იგი კანონიერად და ძირითადად სავსებით სამართლიანად მიიჩნიეს.

მე მგონია, ახლა დადგა დრო, როცა შ ე გ ნ ე ბ უ ლ მუშა სოციალ-დემოკრატებს თავიანთი განზრახვა (არ ვამბობ «მუქარა», ვინაიდან ამ სიტყვას ბრალდების, დემაგოგიის სუნი უდის, ჩვენ კი მთელი ძალღონით უნდა გავურბოდეთ ერთსაც და მეორესაც) შეუძლიათ და კიდევაც უნდა გაახორციელონ. მართლაც, ამჟამად უკვე დადგა ან, ყოველ შემთხვევაში, დგება დრო, როდესაც პარტიულ ორგანიზაციაში არჩევნობა შეიძლება გამოვიყენოთ არა სიტყვიერად, არამედ საქმით, არა როგორც ლამაზი, მაგრამ ცარიელი ფრაზა, არამედ როგორც ნამდვილად ახალი საწყისი, რაც ნამდვილად აახლებს, აფართოებს და განამტკიცებს პარტიულ კავშირურთიერთობას. «უმრავლესობამ» ც. კ.-ის სახით პირდაპირ მოუწოდა დაუყოვნებლივ შემოეღოთ და გამოეყენებინათ არჩევნობა. უმცირესობაც ამავე გზას დაადგა. ხოლო მუშა სოციალ-დემოკრატები ყველა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, დაწესებულებაში, კრებაზე, მიტინგზე და სხვ. გიგანტურ, უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ.

მაშასადამე, ახლა უკვე საშუალება გვაქვს არა მარტო დ ა ვ ა რ წ მ უ ნ ო თ, რომ გაერთიანდნენ, არა მარტო პ ი რ ო ბ ა ჩამოვართვათ, რომ გაერთიანდებიან, არამედ ნამდვილად გ ა ვ ა ე რ თ ი ა ნ ო თ როგორც ერთი, ისე მეორე ფრაქციის ორგანიზებულ მუშათა უმრავლესობის უბრალო გადაწყვეტილებით. აქ არავითარი «თავს მოხვევა» არ იქნება, ვინაიდან ერთიანობის აუცილებლობა პრინციპულად ყველას მიერ აღიარებულია, და მუშებს მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ პრაქტიკულად გადაწყვიტონ პრინციპულად უკვე გადაწყვეტილი საკითხი.

მართლაცდა, სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობაში ინტელიგენტური და პროლეტარული (მუშათა) ფუნქციების თანაფარდობა, შეიძლება საკმაოდ ზუსტად გამოვხატოთ ასეთი ზოგადი ფორმულით: ინტელიგენცია კარგად სწყვეტს საკითხებს «პრინციპულად», კარგად ხატავს სქემას, კარგად მსჯელობს გაკეთების აუცილებლობაზე... ხოლო მუშები აკეთებენ, უფერულ თეორიას სისხლსა და ხორცს ასხამენ.

და მეც ოდნავადაც დემაგოგიას არ მივმართავ, მუშათა მოძრაობაში შეგნებულობის დიდ როლს სრულიადაც არ დავამცირებ, მარქსისტული თეორიის, მარქსისტული პრინციპების გიგანტურ მნიშვნელობას არაფრით არ შევასუსტებ, თუ ვიტყვი ახლა: როგორც ყრილობაზე, ისე კონფერენციაზე ჩვენ შევქმენით პარტიის გაერთიანების «უფერული თეორია»; ამხანაგო მუშებო! დაგვეხმარეთ ამ უფერულ თეორიას სისხლი და ხორცი შევასხათ! მრავლად შედით პარტიულ ორგანიზაციებში. ჩვენი IV ყრილობა და მენშევიკების მეორე კონფერენცია გადააქციეთ მუშა სოციალ-დემოკრატთა დიდმნიშვნელოვან და გრანდიოზულ ყრილობად. ჩვენთან ერთად პრაქტიკულად ხელი მოჰკიდეთ შეერთების საკითხს, — დაე ამ საკითხში, გამონაკლისის სახით (ეს ისეთი გამონაკლისია, რომელიც საწინააღმდეგო წესს ადასტურებს!), ერთი მეათედი თეორია იყოს და ცხრა მეათედი — პრაქტიკა. გარწმუნებთ, ასეთი სურვილი კანონიერი, ისტორიულად აუცილებელი და ფსიქოლოგიურად გასაგებია. ჩვენ იმდენ ხანს «ვთეორეტიკოსობდით» (ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, — ზოგჯერ ფუჭად) ემიგრანტობის ატმოსფეროში, რომ, ღმერთმანი, არა უშავს რა, თუ ახლა ცოტათი, რაოდენადმე, ოდნავ «გადავღუნავთ მშვილდს მეორე მხრისაკენ» და პრაქტიკას ცოტათი უფრო წინ წამოვწევთ. გაერთიანების საკითხში, რომელსაც, გათიშვის მიზეზებთან დაკავშირებით, აუარებელი მელანი და ქაღალდი შევალიეთ, ამ საკითხში ამგვარი ხერხი უეჭველად საჭიროა. კერძოდ, ჩვენ, ემიგრანტებს, მოგვენატრა პრაქტიკა. და ამასთანავე ჩვენ ხომ უკვე მთელი დემოკრატიული რევოლუციის ფრიად კარგი და სრული პროგრამა დავწერეთ. მაშ მოდით გავვერთიანდეთ ამ რევოლუციის საქმის გულისთვისაც!

«ნოვაია ჟიზნ» №№ 9, 13, 14;
1905 წ. 10, 15 და 16 ნოემბერი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება გაზეთ
«ნოვაია ჟიზნის» ტექსტის
მიხედვით

პროლეტარიატი და გლეხობა [11]

გლეხთა კავშირის ყრილობა, რომელიც ამჟამად მოსკოვში მიმდინარეობს, კვლავ დღის წესრიგში აყენებს გლეხთა მოძრაობისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების არსებითს საკითხს. რუსეთის მარქსისტებისთვის ეს საკითხი ყოველთვის არსებითი იყო მათი პროგრამისა და ტაქტიკის განსაზღვრის დროს. რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროგრამის ჯერ კიდევ პირველ პროექტში, რომელიც 1884 წელს საზღვარგარეთ დაბეჭდა, «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა, გლეხთა საკითხს უაღრესად სერიოზული ყურადღება ჰქონდა მიქცეული.

მას შემდეგ ვერ დავასახელებთ მარქსისტთა ვერც ერთ დიდ ნაწარმოებს, მიძღვნილს ზოგადი საკითხებისადმი, ვერც ერთ სოციალ-დემოკრატიულ ბეჭდვითს ორგანოს, რომელიც არ იმეორებდეს, არ ავითარებდეს, ცალკეულ შემთხვევებს არ უფარდებდეს მარქსისტულ შეხედულებებსა და ლოზუნგებს.

ამჟამად გლეხთა მოძრაობის საკითხი არსებითი გახდა არა მარტო თეორიული, არამედ უაღრესად უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობითაც. ახლა ჩვენი ზოგადი ლოზუნგები უნდა გადავაქციოთ რევოლუციური პროლეტარიატისაგან რევოლუციური გლეხობისადმი მიმართულ პირდაპირ მოწოდებებად. ახლა დადგა მომენტი, როდესაც გლეხობა გამოდის რუსეთის ცხოვრების ახალი წყობის შეგნებულ შემოქმედად. და გლეხობის შეგნებულობის ზრდაზე დიდადაა დამოკიდებული რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობა და შედეგი.

რას მოელის რევოლუციისაგან გლეხობა? რის მიცემა შეუძლია რევოლუციას გლეხობისათვის? — აი ის ორი საკითხი, რომელნიც აუცილებლად უნდა გადაწყვიტოს ყოველმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და განსაკუთრებით ყოველმა შეგნებულმა მუშამ, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ მოღვაწეს ამ სიტყვის საუკეთესო, ბურჟუაზიული პოლიტიკანობით შეურყვნელი მნიშვნელობით.

გლეხობას მიწა და თავისუფლება უნდა. ამაზე ორი აზრი შეუძლებელია არსებობდეს. ყველა შეგნებული მუშა მთელი ძალღონით მხარს უჭერს რევოლუციურ გლეხობას. ყველა შეგნებულ მუშას სურს და მიისწრაფის იმისაკენ, რომ გლეხობამ მიიღოს მთელი მიწა და მთელი თავისუფლება. მთელი მიწა — ეს იმას ნიშნავს, რომ არ დავჯერდეთ არავითარ ნაწილობრივ დათმობასა და ნასუფრალს, ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხთა და მემამულეთა შეთანხმება კი არ უნდა ვივარაუდოთ, არამედ მიწის მემამულური საკუთრების გაუქმება. და შეგნებული პროლეტარიატის პარტიამ, სოციალ-დემოკრატიამ, გადაჭრით გამოთქვა თავისი აზრი ამის სასარგებლოდ: რსდმ პარტიამ თავის III ყრილობაზე, რომელიც მიმდინარე წლის მაისში შესდგა, მიიღო რეზოლუცია, სადაც პირდაპირ ნათქვამია — მხარს ვუჭერთ გლეხთა რევოლუციურ მოთხოვნებს თ ვ ი თ **მთელი** კერძომფლობელური მიწის კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა მ დ ე ო. ეს რეზოლუცია სავსებით ცხადჰყოფს, რომ შეგნებული მუშების პარტია მხარს უჭერს გლეხთა მიერ მთელი მიწის მოთხოვნას. რსდმპ III ყრილობის რეზოლუციას ამ მხრივ შინაარსით სავსებით ემთხვევა ჩვენი პარტიის მეორე ნახევრის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია.

«მთელი თავისუფლება» — ეს ნიშნავს იმ მოხელეთა და თანამდებობის პირთა არჩევნობას, რომელნიც საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმეებს მართავენ. «მთელი თავისუფლება» — ეს ნიშნავს ისეთი სახელმწიფო ხელისუფლების სრულ მოსპობას, რომელიც მთლად და მხოლოდ და მხოლოდ ხალხზე არ იქნება დამოკიდებული, რომელიც ხალხის მიერ არ

იქნება არჩეული, ხალხის წინაშე არ იქნება ანგარიშვალდებული და რომლის გადაყენება ხალხს არ შეეძლება. «მთელი თავისუფლება» — ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი კი არ უნდა ემორჩილებოდეს მოხელეებს, არამედ მოხელეები უნდა ემორჩილებოდნენ ხალხს.

რა თქმა უნდა, ყველა გლეხი, რომელიც მიწისა და თავისუფლებისათვის იბრძვის, სავსებით შეგნებულად არ ეკიდება ამ ბრძოლას და ყველა არ მოითხოვს რესპუბლიკას. მაგრამ გლეხთა მოთხოვნების დემოკრატიული მიმართულება ეჭვს გარეშეა. ამიტომ გლეხობის ამ მოთხოვნების მხარის დაჭერა პროლეტარიატის მხრივ უზრუნველყოფილია. გლეხებმა უნდა იცოდნენ, რომ ქალაქებში აფრიალებული წითელი დროშა — ეს არის ბრძოლის დროშა არა მარტო მრეწველობისა და სოფლის მუშების უახლოესი და საარსებო მოთხოვნებისათვის, არამედ მილიონობით და ათეული მილიონობით წვრილ მიწათმოქმედთა მოთხოვნებისთვისაც.

ბატონყმობის ნაშთების ყოველი და ყოველგვარი ფორმა და სახე აქამდე შეუბრალებლად ჩაგრავს მთელ გლეხურ მასას, და წითელი დროშის ქვეშ დარაზმულმა პროლეტარებმა ომი გამოუცხადეს ამ ჩაგვრას.

მაგრამ წითელი დროშა მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ პროლეტარიატი მხარს უჭერს გლეხთა მოთხოვნებს. იგი პროლეტარიატის დამოუკიდებელ მოთხოვნებსაც ნიშნავს. იგი ნიშნავს არა მარტო მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას, არამედ აგრეთვე ბრძოლას ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ბრძოლას ხალხის მასების სიღატაკის წინააღმდეგ, ბრძოლას კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ. და აი აქ ჩვენს წინაშე დგება მეორე საკითხი: რის მიცემა შეუძლია რევოლუციას გლეხობისათვის? გლეხთა მრავალი გულწრფელი მეგობარი (მათ შორის, მაგალითად, სოციალისტ-რევოლუციონერები) ანგარიშს არ უწევს ამ საკითხს, ვერ ამჩნევს მის მნიშვნელობას. მათ ჰგონიათ, რომ საკმარისია დავაყენოთ და გადავწყვიტოთ საკითხი — რა სურთ გლეხებს და საკმარისია მივიღოთ ამის პასუ-

ხი: მიწა და თავისუფლებაო. ეს დიდი შეცდომაა. სრული თავისუფლება, ყველა მოხელის სრული არჩევნობა, თვით სახელმწიფოს მეთაურისაც, ვერ მოსპობს კაპიტალის ბატონობას, ვერ მოსპობს ერთი მუჭა ადამიანების სიმდიდრესა და მასების სიღატაკეს. ვერც მიწის კერძო საკუთრების სრული გაუქმება მოსპობს კაპიტალის ბატონობასა და მასების სიღატაკეს. მთელი ხალხის კუთვნილ მიწაზედაც დამოუკიდებელი მეურნეობის გაძღოლას შესძლებს მხოლოდ ის, ვისაც აქვს კაპიტალი, მხოლოდ ის, ვისაც აქვს იარაღები, ჰყავს პირუტყვი, აქვს მანქანები, თესლის მარაგი, საერთოდ ფულადი სახსრები და სხვა. ხოლო ის, ვისაც არა გააჩნია რა, გარდა თავისი მარჯვენისა, მუდამ კაპიტალის მონად დარჩება, თვით დემოკრატიული რესპუბლიკის დროსაც, მაშინაც კი, როცა მიწა მთელი ხალხის კუთვნილება იქნება. აზრი მიწის «სოციალიზაციისა» კაპიტალის სოციალიზაციის გარეშე, აზრი გამთანაბრებელი მიწათსარგებლობის შესაძლებლობისა, კაპიტალისა და სასაქონლო მეურნეობის არსებობის დროს — შეცდომაა. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში სოციალიზმს ისეთი ხანა განუცდია, როდესაც ამ ან ამის მსგავს შეცდომას უმრავლესობა იზიარებდა. მუშათა კლასის ბრძოლის გამოცდილებამ ყველა ქვეყანაში საქმით ნათელჰყო ასეთი შეცდომის მთელი საშიშროება, და ამჟამად მისგან სავსებით განთავისუფლდნენ ევროპისა და ამერიკის პროლეტარი-სოციალისტები.

ამრიგად, შეგნებულ მუშათა წითელი დროშა ნიშნავს, ჯერ ერთი, იმას, რომ ჩვენ მთელი ძალღონით მხარს ვუჭერთ გლეხთა ბრძოლას მთელი თავისუფლებისა და მთელი მიწისათვის; მეორე, იგი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამაზე კი არ ვჩერდებით, არამედ უფრო შორს მივდივართ. ჩვენ, გარდა მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისა, ვეწევით ბრძოლას სოციალიზმისათვის. სოციალიზმისათვის ბრძოლა ეს არის ბრძოლა კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას უწინარეს ყოვლისა ეწევიან დაქირავებული მუშები, რომელნიც პირდაპირ და სავსებით კაპიტალზე არიან დამოკიდებული. წვრილი შეპატრონეები კი ნაწილობრივ თვითონაც ფლობენ

კაპიტალს, ხშირად თვითონაც ეწევიან მუშების ექსპლოატაციას. ამიტომ წვრილ გლეხთაგან ყველანი კი არ დგებიან სოციალიზმისათვის მებრძოლთა რიგებში, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც გადაჭრით და შეგნებულად გადადიან მუშათა მხარეზე კაპიტალის წინააღმდეგ, ვინც მხარს უჭერენ საერთო საკუთრებას კერძო საკუთრების წინააღმდეგ.

აი რატომ ამბობენ სოციალ-დემოკრატები, რომ ისინი იბრძვიან მთელ გლეხობასთან ერთად მემამულეებისა და მოხელეების წინააღმდეგ; გარდა ამისა, ისინი, ქალაქელი პროლეტარები სოფლელ პროლეტარებთან ერთად, იბრძვიან კაპიტალის წინააღმდეგ. მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა — დემოკრატიული ბრძოლაა. კაპიტალის ბატონობის მოსპობისათვის ბრძოლა — სოციალისტური ბრძოლაა.

მაშ მხურვალე სალამი ვუძღვნათ გლეხთა კავშირს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება შეთანხმებულად და მედგრად, თავდადებით და მტკიცედ იბრძოლოს სრული თავისუფლებისა და მთელი მიწისათვის. ეს გლეხები — ნამდვილი დემოკრატები არიან. შეცდომები დემოკრატიზმისა და სოციალიზმის ამოცანების გაგებაში ჩვენ მოთმინებით, დინჯად უნდა განვუმარტოთ მათ, როგორც მოკავშირეებს, რომლებთანაც გვაერთებს საერთო დიადი ბრძოლა. ეს გლეხები — ნამდვილი რევოლუციური დემოკრატები არიან, რომლებთანაც ერთად უნდა ვიაროთ და ვივლით კიდევაც ახლანდელი რევოლუციის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში. საყოველთაო გაფიცვის გეგმას, გადაწყვეტილებას, რომ შემდეგში ქალაქის მუშებიც და მთელი ღარიბი გლეხობაც ერთსულოვნად, შეერთებულად ამხედრდნენ, — ამ გეგმას და გადაწყვეტილებას ჩვენ უდიდესი, სრული თანაგრძნობით ვეპყრობით. ყველა შეგნებული მუშა ყოველ ძალღონეს იხმარს, რომ ხელი შეუწყოს ამ გეგმის განხორციელებას. მაგრამ ვერავითარი კავშირი, თუნდაც ყველაზე პატიოსან და გაბედულ რევოლუციურ დემოკრატებთან, ვერ დაავიწყებინებს პროლეტარებს თავიანთ კიდევ უფრო დიად და მნიშვნელოვან მიზანს: სოციალიზმისათვის ბრძოლას,

ბრძოლას კაპიტალის ბატონობის სრული მოსპობისათვის, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან ყველა მშრომელის განთავისუფლებისათვის. წინ, მუშებო და გლეხებო, მიწისა და თავისუფლებისათვის საერთო ბრძოლისაკენ! წინ, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მიერ გაერთიანებულო პროლეტარებო, სოციალიზმისათვის საბრძოლველად!

«ნოვაია ჟიზნ» № 11,
1905 წ. 12 ნოემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«ნოვაია ჟიზნის» ტექსტის
მიხედვით

პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა

სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ახალმა პირობებმა, რომლებიც რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა, დღის წესრიგში დააყენა პარტიული ლიტერატურის საკითხი. არალეგალური და ლეგალური ბეჭდვითი სიტყვის განსხვავება, — ეს სავალალო მემკვიდრეობა ბატონყმური, თვითმპყრობელური რუსეთის ეპოქისა, გაქრობას იწყებს. იგი ჯერ კიდევ არ მომკვდარა, სრულიადაც არა. ჩვენი პრემიერ-მინისტრის ფარისევლური მთავრობა ჯერ კიდევ იმდენ უწესობას სჩადის, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოს «იზვესტია» [12] «არალეგალურად» იბეჭდება; მაგრამ, გარდა მთავრობის შერცხვენისა, გარდა ახალ-ახალი მორალური მათრახების მიღებისა, არაფერი გამოდის ბრიყვული ცდებისაგან — «აკრძალონ» ის, რისი ხელის შეშლაც მთავრობას არ ძალუძს.

არალეგალური და ლეგალური ბეჭდვითი სიტყვის განსხვავების არსებობის დროს პარტიული და არაპარტიული ბეჭდვითი სიტყვის საკითხი მეტად უბრალოდ და მეტად ყალბად, დამახინჯებულად წყდებოდა. მთელი არალეგალური ბეჭდვითი სიტყვა პარტიული იყო, მას სცემდნენ ორგანიზაციები, უძღვებოდნენ ჯგუფები, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყვნენ პარტიის პრაქტიკულ მუშაკთა ჯგუფებთან. მთელი ლეგალური ბეჭდვითი სიტყვა იყო არა პარტიული, — ინიტომ რომ პარტიულობა აკრძალული იყო, — მაგრამ ამა თუ იმ პარტიისაკენ «მიიდრიკებოდა». აუცილებელი იყო მა-

ხინჯი კავშირგაბმულობა, არანორმალური «თანაცხოვრება», ყალბი შენიღბვა; ერთმანეთში იყო არეული იმ ადამიანთა სიტყვის იძულებით შეკვეცა, რომელთაც სურდათ გამოეთქვათ პარტიული შეხედულებანი, და იმ პირთა აზრის ნაკლებობა თუ აზრის სილაჩრე, ვინც ამ შეხედულებებამდე ვერ მომწიფებულიყო, ვინც, არსებითად, პარტიის კაცი არ იყო.

ეზოპური სიტყვების, ლიტერატურული ლაქიობის, მონური ენის, იდეური ყმობის წყეული დრო! პროლეტარიატმა ბოლო მოუღო ამ უმსგავსობას, რომლისაგანაც სული ეხუთებოდა ყოველივეს, რაც კი რამ ცოცხალი და ახალი იყო რუსეთში. მაგრამ პროლეტარიატმა ჯერჯერობით მხოლოდ სანახევროდ მოუპოვა თავისუფლება რუსეთს.

რევოლუცია ჯერ არ დამთავრებულა. თუ ცარიზმს უ კ ვ ე ა ღ ა რ ძალუძს რევოლუციის დამარცხება, რევოლუციას ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ ძალუძს ცარიზმის დამარცხება. და ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ყველგან და ყველაფერში თავს იჩენს აშკარა, პატიოსანი, პირდაპირი, თანამიმდევარი პარტიულობის ეს არაბუნებრივი შეხამება არალეგალურ, შენიღბულ, «დიპლომატიურ», მოქნილ «ლეგალობასთან». ამ არაბუნებრივმა შეხამებამ ჩვენს გაზეთზედაც მოახდინა გავლენა: რამდენიც არ უნდა იოხუნჯოს ბ-ნმა გუჩკოვმა სოციალ-დემოკრატიულ ტირანიაზე, რომელიც კრძალავს ლიბერალურ-ბურჟუაზიული, ზომიერი გაზეთების ბეჭდვას, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოსთვის, «პროლეტარისთვის» [13], თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ უ რ-პოლიციური რუსეთის კარები მაინც დახშულია.

ასე თუ ისე, რევოლუციის ნახევარი ყველას გვაიძულებს დაუყოვნებლივ შევუდგეთ საქმის ახლად მოგვარებას. ლიტერატურა ახლა შეიძლება $^{9}/_{10}$-ით «ლეგალურადაც» კი პარტიული იყოს. ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზნისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამეწარმეო, ჩარჩული ბეჭდვითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერიზმისა და ინდი-

ვიდუალიზმისა, «ბატონკაცური ანარქიზმისა» და მოგებისადმი მისწრაფებისა, — სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პ ა რ ტ ი უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და განახორციელოს იგი რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით.

რაში მდგომარეობს პარტიული ლიტერატურის ეს პრინციპი? ეს პრინციპი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სოციალისტური პროლეტარიატისთვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფთა მოგების იარაღი იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძლება ინდივიდუალური საქმე იყოს, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი. ძირს უპარტიო ლიტერატორები! ძირს ზეკაცი ლიტერატორები! ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნ ა წ ი ლ ი, «პატარა ბორბალი და ხრახნი» ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მთელი მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს. ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ორგანიზებული, გეგმაშეწონილი გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა.

«ყოველგვარი შედარება მოიკოჭლებსო», ამბობს გერმანული ანდაზა. მოიკოჭლებს ჩემი შედარებაც ლიტერატურისა ხრახნთან, ცოცხალი მოძრაობისა მექანიზმთან. მოინახებიან, ალბათ, ისეთი ისტერიკული ინტელიგენტებიც, რომლებიც მორთავენ გოდებას ასეთი შედარების გამო, რაც აბეზარებს, ადუნებს, «აბიუროკრატებს» თავისუფალ იდეურ ბრძოლას, კრიტიკის თავისუფლებას, ლიტერატურული შემოქმედების თავისუფლებას და სხვა და სხვა. არსებითად, ასეთი გოდება მხოლოდ ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური ინდივიდუალიზმის გამოსახულება იქნებოდა. უდავოა, ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი შეეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკი-

ლებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა-და შინაარსს. ყოველივე ეს უდავოა, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ პროლეტარიატის პარტიული საქმის ლიტერატურული ნაწილი არ შეიძლება შაბლონურად გავაიგივეოთ პროლეტარიატის პარტიული საქმის სხვა ნაწილებთან. ყოველივე ეს სრულიადაც არ უარჰყოფს ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის იმ უცხო და უცნაურ დებულებას, რომ ლიტერატურული საქმე უსათუოდ და აუცილებლად უნდა გაწდეს სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობის ნაწილი, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია დანარჩენ ნაწილებთან. გაზეთები სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციის ორგანოები უნდა გახდნენ. ლიტერატორები უსათუოდ პარტიულ ორგანიზაციებში უნდა შევიდნენ. გამომცემლობანი და საწყობები, მაღაზიები და სამკითხველოები, ბიბლიოთეკები და წიგნების სხვადასხვა სავაჭრო — ყველაფერი ეს უნდა გახდეს პარტიული, ანგარიშვალდებული. მთელ ამ მუშაობას თვალყური უნდა ადევნოს ორგანიზებულმა სოციალისტურმა პროლეტარიატმა, მან უნდა გაუწიოს კონტროლი ყველაფერ ამას, მთელ ამ მუშაობაში, უკლებლივ, უნდა შეიტანოს ცოცხალი პროლეტარული საქმის ცოცხალი ნაკადი და, ამრიგად, ყოველგვარი ნიადაგი გამოაცალოს ძველ-თაძველ, ნახევრადობლომოვისებურ, ნახევრადჩარჩულ რუსულ პრინციპს: მწერალი თავისთვის წერს, მკითხველიც თავისთვის კითხულობს.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიტყვით, რომ ეს გარდაქმნა ლიტერატურული საქმისა, რომელიც აზიურმა ცენზურამ და ევროპის ბურჟუაზიამ წაბილწა, ერთბაშად მოხდება. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ვიქადაგოთ რაიმე ერთსახოვანი სისტემა ან ამოცანის გადაწყვეტა რამდენიმე დადგენილებით. არა, სქემატიზმზე ამ დარგში ყველაზე ნაკლებ შეიძლება ლაპარაკი. საქმე ის არის, რომ მთელმა ჩვენმა პარტიამ, მთელმა შეგნებულმა სოციალ-დემოკრატიულმა პროლეტარიატმა მთელ რუსეთში შეიგნოს ეს ახალი ამოცანა, ნათლად

დაეყენოს იგი და ყველგან მოჰკიდოს ხელი მის გადაწყვეტას. თავი დავაღწიეთ რა ბატონყმური ცენზურის ტყვეობას, ჩვენ არა გვსურს ტყვედ ჩაუვარდეთ და არც ჩაუვარდებით ბურჟუაზიულ-ჩარჩულ ლიტერატურულ ურთიერთობას. ჩვენ გვსურს შევქმნათ და კიდევაც შევქმნით თავისუფალ ბეჭდვითს სიტყვას, თავისუფალს არა მარტო პოლიციისაგან, არამედ აგრეთვე კაპიტალისაგან, კარიერიზმისაგან; — ესეც ცოტაა: აგრეთვე ბურჟუაზიულ-ანარქისტული ინდივიდუალიზმისაგან თავისუფალსაც.

ეს უკანასკნელი სიტყვები პარადოქსად ან მკითხველების დაცინვად მოეჩვენებათ. რაო? შესძახებს, ალბათ, რომელიმე ინტელიგენტი, თავისუფლების მგზნებარე მომხრე. რაო? თქვენ გსურთ კოლექტიურობას დაუმორჩილოთ ისეთი სათუთი, ინდივიდუალური საქმე, როგორიცაა ლიტერატურული შემოქმედება! თქვენ გსურთ, რომ მუშები ხმების უმრავლესობით სწყვეტდნენ მეცნიერების, ფილოსოფიის, ესთეტიკის საკითხებს! თქვენ უარყოფთ აბსოლუტურად ინდივიდუალური იდეური შემოქმედების აბსოლუტურ თავისუფლებას!

— დამშვიდდით, ბატონებო! ჯერ ერთი, ლაპარაკია პარტიულ ლიტერატურაზე და პარტიული კონტროლისადმი მის დაქვემდებარებაზე. ყველას ნება აქვს სრულიად შეუზღუდავად წეროს და ილაპარაკოს ყველაფერი, რაც მასა სურს. მაგრამ ყოველ ნებაყოფლობითს კავშირს (მათ შორის პარტიასაც) აგრეთვე ნება აქვს გააძევოს ისეთი წევრები, რომელნიც ანტიპარტიულ შეხედულებათა ქადაგებისათვის პარტიის ფირმით სარგებლობენ. სიტყვისა და პრესის თავისუფლება სრული უნდა იყოს. მაგრამ კავშირების თავისუფლებაც ხომ სრული უნდა იყოს. მე ვალდებული ვარ, სიტყვის თავისუფლების გამო, მოგცე შენ სრული უფლება იყვირო, იცრუო და წერო რაც გნებავს. მაგრამ შენ ვალდებული ხარ, კავშირების თავისუფლების გამო, მომცე უფლება დავდო ან გავწყვიტო კავშირი იმ ადამიანებთან, რომლებიც ამასა და ამას ლაპარაკობენ. პარტია ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც გარდუვალად დაიშლებოდა, ჯერ იდეუ-

რად, შემდგომ კი მატერიალურადაც, იგი რომ თავის რიგებს არ სწმენდდეს ისეთი წევრებისაგან, რომელნიც ანტიპარტიულ შეხედულებებს ქადაგებენ. ხოლო პარტიულსა და ანტიპარტიულს შორის მიჯნის გასავლებად არსებობს პარტიული პროგრამა, პარტიის ტაქტიკური რეზოლუციები და მისი წესდება, დასასრულ, არსებობს მთელი გამოცდილება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისა, პროლეტარიატის საერთაშორისო ნებაყოფლობითი კავშირებისა, — პროლეტარიატისა, რომელსაც მუდამ შეჰყავდა თავის პარტიაში ცალკეული ელემენტები ან მიმდინარეობანი, არა სავსებით თანამიმდევარნი, არა სავსებით წმინდა მარქსისტულნი, არა სავსებით მართებულნი, მაგრამ რომელიც აგრეთვე მუდამ ახდენდა თავისი პარტიის პერიოდულ «წმენდას». ასე იქნება ჩვენთანაც, პარტიის შ ი გ ნ ი თ, ბურჟუაზიული «კრიტიკის თავისუფლების» ბატონო მომხრეებო: ახლა პარტია ჩვენში ერთბაშად მასობრივი ხდება, ახლა ჩვენ განვიცდით მკვეთრ გადასვლას აშკარა ორგანიზაციაზე, ახლა ჩვენთან უსათუოდ შემოვა ბევრი არათანამიმდევარი (მარქსისტული თვალსაზრისით) ადამიანი, შეიძლება, ზოგიერთი ქრისტიანიც, შეიძლება, ზოგიერთი მისტიკოსიც კი. ჩვენ მაგარი კუჭი გვაქვს, ჩვენ სალკლდოვანი მარქსისტები ვართ. ჩვენ გადავხარშავთ ამ არათანამიმდევარ ადამიანებს. აზრის თავისუფლება და კრიტიკის თავისუფლება პარტიის შიგნით ვერასოდეს ვერ დაგვავიწყებინებს ადამიანთა თავისუფლად დაჯგუფებას ნებაყოფლობით კავშირებად, რომელთაც პარტიები ეწოდება.

მეორე, ბატონო ბურჟუაზიულო ინდივიდუალისტებო, უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი სიტყვები აბსოლუტურ თავისუფლებაზე მხოლოდ ფარისევლობაა. ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა მასები გაღატაკებული არიან და ერთი მუჭა მდიდრები მუქთახორობენ, შეუძლებელია რეალური და ნამდვილი «თავისუფლება». განა თქვენ თავისუფალი ხართ თქვენი ბურჟუაზიული გამომცემლისაგან, ბატონო მწერალო? თქვენი ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან, რომელიც თქვენ-

გან მოითხოვს პორნოგრაფიას ჩარჩოებსა და სურათებში, პროსტიტუციას «წმინდა» სასცენო ხელოვნების «დამატების» სახით? ეს აბსოლუტური თავისუფლება ხომ ბურჟუაზიული თუ ანარქისტული ფრაზაა (ვინაიდან, როგორც მსოფლმხედველობა, ანარქიზმი უკუღმა გადმობრუნებული ბურჟუაზიულობაა). არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენიღბული (ანდა ფარისევლურად ნილაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან.

და ჩვენ, სოციალისტები, ვამხელთ ამ ფარისევლობას, ვგლეჯთ ყალბ აბრებს, — არა იმიტომ, რომ ხელში შეგვრჩეს არაკლასობრივი ლიტერატურა და ხელოვნება (ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ სოციალისტურ უკლასო საზოგადოებაში), არამედ იმიტომ, რომ ფარისევლურად თავისუფალ, ნამდვილად კი ბურჟუაზიასთან დაკავშირებულ ლიტერატურას დავუპირისპიროთ ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან ა შ კ ა რ ა დ დაკავშირებული ლიტერატურა.

ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა სალონების გულმოყირჭებულ «გმირ-ქალს», არა მოწყენილ და სისუქნის ქონით შეწუხებულ «ზედა ფენის ათეულ ათასებს», არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობის რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას გაანაყოფიერებს სოციალისტური პროლეტარიატის გამოცდილებითა და ცოცხალი მუშაობით, რომელიც შეჰქმნის მუდმივ ურთიერთმოქმედებას წარსულის გამოცდილებასა (მეცნიერული სოციალიზმი, რომელმაც

დააგვირგვინა სოციალიზმის განვითარება მისი პრიმიტიული, უტოპიური ფორმებიდან) და ახლანდელ გამოცდილებას შორის (ამხანაგ მუშების ახლანდელი ბრძოლა).

მაშ შევუდგეთ მუშაობას, ამხანაგებო! ჩვენს წინაშე ძნელი და ახალი, მაგრამ დიადი და მადლიერი ამოცანა — მოვაწყოთ უდიდესი, მრავალმხრივი, მრავალსახოვანი ლიტერატურული საქმე, მჭიდროდ და განუყრელად დაკავშირებული სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობასთან. მთელი სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს. ყველა გაზეთი, ჟურნალი, გამომცემლობა და სხვ. დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს სარეორგანიზაციო მუშაობას, ისეთი მდგომარეობის მომზადებას, რომ ისინი ამა თუ იმ საფუძველზე სავსებით შედიოდნენ ამა თუ იმ პარტიულ ორგანიზაციაში. მხოლოდ მაშინ გახდება «სოციალ-დემოკრატიული» ლიტერატურა მართლაც სოციალ-დემოკრატიული, მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი თავისი მოვალეობის შესრულებას, მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებშიც თავი დააღწიოს ბურჟუაზიის უღელს და ნამდვილად მოწინავე და ბოლომდე რევოლუციური კლასის მოძრაობას შეუერთდეს.

«ნოვაია ჟიზნ» № 12,
1905 წ. 13 ნოემბერი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება გაზეთ
«ნოვაია ჟიზნის» ტექსტის
მიხედვით

პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1905 წ. 14 (27) ნოემბრის დადგენილება ლოკაუტთან ბრძოლის ზომების შესახებ[14]

მოქალაქენო! ას ათასზე მეტი მუშა ქუჩაშია გამოყრილი პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში.

თვითმპყრობელურმა მთავრობამ ომი გამოუცხადა რევოლუციურ პროლეტარიატს. რეაქციული ბურჟუაზია უერთდება თვითმპყრობელობას და ცდილობს შიმშილით დაიმორჩილოს მუშები და ჩაშალოს ბრძოლა თავისუფლებისათვის.

მუშათა დეპუტატების საბჭო აცხადებს, რომ მუშათა მასის ეს ჯერ გაუგონარი დათხოვნა პროვოკაცია არის მთავრობისა. მთავრობას უნდა გამოიწვიოს პეტერბურგის პროლეტარიატის ერთეული აფეთქებანი; მთავრობა მოწადინებულია ისარგებლოს იმით, რომ სხვა ქალაქების მუშები ჯერ კიდევ არ არიან საკმაოდ მჭიდროდ შეკავშირებული პეტერბურგის მუშებთან, — და დაამარცხოს ერთნიც და მეორენიც ცალ-ცალკე.

მუშათა დეპუტატების საბჭო აცხადებს, რომ თავისუფლების საქმე საფრთხეშია. მაგრამ მუშები მთავრობის ამ პროვოკაციაზე არ წამოეგებიან. მუშები არ მიიღებენ ბრძოლას იმ არახელსაყრელ პირობებში, რომელშიც მთავრობას სურს თავს მოახვიოს მათ ბრძოლა. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ და კიდევაც გამოვიყენებთ ყოველ ძალღონეს, რათა გავაერთიანოთ მთელი ბრძოლა სრულიად რუსეთის პროლეტარიატისაც, რევოლუციური გლეხობისაც, არმიისაც და ფლოტი-

საც, რომელნიც უკვე გმირულად მხედრდებიან თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ამის გამო მუშათა დეპუტატების საბჭო ადგენს:

1) ყველა დახურული ქარხანა უნდა გაიხსნას დაუყოვნებლივ და ყველა დათხოვნილი ამხანაგი უკანვე იქნას მიღებული თავთავის ადგილზე. მოვუწოდებთ ხალხის ყველა ფენას, რომელნიც არა სიტყვით, არამედ საქმით აფასებენ თავისუფლებას, მხარი დაუჭირონ ამ მოთხოვნას.

2) ამ მოთხოვნის მხარის დასაჭერად მუშათა დეპუტატების საბჭოს აუცილებლად მიაჩნია მიმართოს მთელი რუსეთის პროლეტარიატის სოლიდარობას და თუ ვინიცობაა მოთხოვნა შეუსრულებელი დარჩება — მოუწოდოს მას მიმართოს საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას და გადამწყვეტი ბრძოლის სხვა საშუალებებს.

3) ამ გამოსვლის მოსამზადებლად მუშათა დეპუტატების საბჭო ავალებს აღმასრულებელ კომიტეტს, დელეგატების გაგზავნით და სხვა საშულებებით, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს სხვა ქალაქების მუშებს, რკინიგზელთა, ფოსტა-ტელეგრაფის, გლეხთა და სხვა კავშირებს, აგრეთვე არმიასა და ფლოტს.

4) ამ წინასწარი მუშაობის შესრულების შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს მუშათა დეპუტატების საბჭოს სასწრაფო კრებას საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად გაფიცვის შესახებ.

5) პეტერბურგის პროლეტარიატმა წინადადება მისცა ყველა მუშას და საზოგადოებისა და ხალხის ყველა ფენას მხარი დაუჭირონ დათხოვნილ მუშებს ყოველგვარი საშუალებით — მატერიალური, ზნეობრივი და პოლიტიკური საშუალებით.

«ნოვაია ჟიზნ» № 13,
1905 წ. 15 ნოემბერი.

იბეჭდება გაზეთ
«ნოვაია ჟიზნის» ტექსტის
მიხედვით

ჩაშლილი პროვოკაცია

მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილება,* რომელსაც »მ ნომერში ვბეჭდავთ, რევოლუციის განვითარების მეტისმეტად მნიშვნელოვან ეტაპს მოასწავებს.

მთავრობისა და ბურჟუაზიის კავშირი ცდილობს ისარგებლოს პროლეტარიატის ძალღონის დაქანცვით და დაამარცხოს იგი. პეტერბურგის ფაბრიკა-ქარხნებში რევოლუციური გზით რვა საათის სამუშაო დღის შემოღების გამოცხადებაზე ბურჟუაზია «ლოკაუტით» უპასუხებს.

შეთქმულება შემდგარია. გადაწყვეტილია გაფიცვის წინააღმდეგ ბრძოლა მუშების მასობრივი დათხოვნით. სახაზინო ქარხნები იხურება მთელ რიგ კერძო ქარხნებთან ერთად. ათი ათასობით მუშა ქუჩაშია გამოყრილი. პეტერბურგის პროლეტარიატი, წინანდელი ბრძოლით ძალღონე-დაქანცული, უნდათ პროვოკაციულად გამოიწვიონ ახალ ბრძოლაში მისთვის ყოვლად არახელსაყრელ პირობებში.

მუშათა დეპუტატების საბჭომ, სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლების მითითებათა თანახმად, გადაწყვიტა გამოეაშკარავებინა მუშების წინაშე კონტრრევოლუციის შეთქმულება და გაეფრთხილებინა პეტერბურგის პროლეტარიატი არ გაბმულიყო ხაფანგში. ცალ-ცალკე ბრძოლაში გამოწვევაზე მან უპასუხა მოწოდებით გაეერთიანებინათ ბრძოლა მთელ რუსეთში, მან უპასუხა დაუყოვნებლივი ზომების მიღებით რევოლუციური მუშების კავშირის განსამტკიცებლად

* იხ. ეს ტომი, გვ. 42 — 43. რედ.

რევოლუციურ გლეხობასთან, არმიისა და ფლოტის იმ ნაწილებთან, რომლებიც იწყებენ აჯანყებას რუსეთის ყველა კუთხეში.

ასეთ მომენტში უფრო მეტად არის საჭირო, ვიდრე ოდესმე, მთელი ძალღონე მივმართოთ რევოლუციის არმიის გაერთიანებლად მთელ რუსეთში, საჭიროა დავზოგოთ ძალები, გამოვიყენოთ მოპოვებული თავისუფლებანი აგიტაციისა და ორგანიზაციის გასაასკეცებლად, მოვემზადოთ ახალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. დაე თვითმპყრობელობა შეუერთდეს რეაქციულ ბურჟუაზიას! დაე ლიბერალურმა ბურჟუაზიამ (რომელიც წარმოდგენილია საერობო და საქალაქო მოღვაწეთა მოსკოვის ყრილობაზე [15]) ნდობა გამოუცხადოს მთავრობას, რომელიც ფარისევლურად ლაპარაკობს თავისუფლებაზე და სამხედრო ძალით ახრჩობს პოლონეთს თავისუფლების უძირითადეს გარანტიათა მოთხოვნის გამო!

თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის კავშირს ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ სოციალ-დემოკრატიისა და მთელი რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის კავშირი. სოციალისტური პროლეტარიატი ხელს უწვდის თავისუფლებისათვის მებრძოლ გლეხობას და მოუწოდებს მას მთელ ჩვენს ქვეყანაში საერთო, შეთანხმებული შეტევისაკენ.

აი, რაში მდგომარეობს მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილების უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ მთელი პარტია დაეხმაროს მუშათა დეპუტატების საბჭოს. ჩვენ მივისწრაფით არა მარტოოდენ დემოკრატიული გადატრიალებისკენ. ჩვენ ვიბრძვით სოციალიზმისათვის, ე. ი. მშრომელთა სრული განთავისუფლებისათვის ყოველგვარი, არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე ეკონომიური ჩაგვრისაგან. ჩვენს პარტიაში ვაერთიანებთ მხოლოდ იმათ, ვინც აღიარებს ამ დიად მიზანს და ერთი წუთითაც არ ივიწყებს ძალთა მომზადებას მის მისაღწევად.

მაგრამ ჩვენ, სოციალისტები, სწორედ ჩვენი სოციალისტური მიზნის მისაღწევად, მივისწრაფით დემოკრატიული

რევოლუციის უაღრესად გადაჭრით გატარებისაკენ, სრული თავისუფლების მოპოვებისაკენ სოციალიზმისათვის წარმატებით საბრძოლველად. ამიტომაც, რევოლუციურ დემოკრატებთან, რომელთაც ვაჭრობა კი არა სურთ მთავრობასთან, არამედ ბრძოლა, რევოლუციის შეკვეცა კი არ უნდათ, არამედ ბოლომდე მიყვანა, — ასეთ ადამიანებთან ჩვენ ხელიხელჩაკიდებულმა უნდა ვიაროთ, თუმცა არ უნდა გავითქვიფოთ მათში. მაშ გაუმარჯოს სოციალისტური პროლეტარიატისა და მთელი რევოლუციური ხალხის კავშირს! რეაქციის მთელი ძალები, კონტრრევოლუციის მთელი ცდები დაიმსხვრევა მათი საერთო იერიშის წინაშე.

«ნოვაია ჟიზნ» № 13,
1905 წ. 15 ნოემბერი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«ნოვაია ჟიზნის» ტექსტის
მიხედვით

ჯარი და რევოლუცია

სევასტოპოლის აჯანყება უფრო და უფრო ფართოვდება. საქმე დასასრულს უახლოვდება. თავისუფლებისათვის მებრძოლი მატროსები და ჯარისკაცები უფროსებს იშორებენ. დაცულია სრული წესრიგი. მთავრობა ვერ ახერხებს კრონშტადტის საზიზღარი ფანდების განმეორებას, ვერ ახერხებს ვერავითარი დარბევის გამოწვევას. ესკადრამ უარი თქვა ზღვაში გასვლაზე და ქალაქს ემუქრება, თუ შეეცდებიან აჯანყებულთა ჩახშობას. «ოჩაკოვის» უფროსობა იკისრა სამსახურიდან გადამდგარმა ლეიტენანტმა მშიდტმა, რომელიც გადაყენებულია «კადნიერი» სიტყვისათვის: იარაღით ხელში უნდა დავიცვათ 17 ოქტომბრის მანიფესტით დაპირებული თავისუფლებანიო. «რუსის»[16] ცნობით, დღეს, 15-ს, უნდა გათავდეს ის ვადა, რომელიც მატროსებს დამორჩილებისათვის დაუნიშნეს.

ჩვენ, მაშასადამე, გადამწყვეტი მომენტის წინაშე ვდგავართ. უახლოესი დღეები — შეიძლება, საათებიც — გვიჩვენებს, სავსებით გაიმარჯვებენ აჯანყებულნი, დამარცხდებიან, თუ რაიმე შეთანხმება მოხდება. ყოველ შემთხვევაში, სევასტოპოლის ამბები მოასწავებს ჯარში არსებული ძველი, მონური წესის სრულ კრახს, იმ წესისა, რომელიც ჯარისკაცებს შეიარაღებულ მანქანებად აქცევდა და თავისუფლებისადმი სულ მცირედი მისწრაფების დათრგუნვის იარაღად ხდიდა.

სამუდამოდ წავიდა ის დრო, როდესაც რუსეთის არმია — როგორც ეს 1849 წელს მოხდა — მიდიოდა რევოლუციის ჩასახშობად რუსეთის საზღვრებს იქით[17]. ახლა არმია საბოლოოდ ჩამოშორდა თვითმპყრობელობას. იგი ჯერ მთლად რევოლუციური არ არის. ჯარისკაცთა და მატროსთა პოლიტიკური შეგნებულობა ჯერ კიდევ ძალიან დაბალია. მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ შეგნებამ უკვე გაიღვიძა, რომ

ჯარისკაცთა შორის დაიწყო თავისი მოძრაობა, რომ თავისუფლების სული ყაზარმებშიც ყველგან შეიჭრა. რუსეთში ყაზარმა ძალიან ხშირად ყოველგვარ საპყრობილეზე უარესი იყო; არსად ისე არ ამცირებდნენ და არ ჩაგრავდნენ პიროვნებას, როგორც ყაზარმაში; ასე არსად გავრცელებული არ ყოფილა ტანჯვა-წამება, ცემა-ტყეპა, ადამიანის აბუჩად აგდება. და ეს ყაზარმა რევოლუციის კერად ხდება.

სევასტოპოლის ამბები ერთეული და შემთხვევითი როდია. არაფერს ვიტყვით ფლოტსა და არმიაში ნამდვილი აჯანყების წინანდელ ცდებზე. შევადაროთ სევასტოპოლის ხანძარს პეტერბურგის ნაპერწკლები. მოვიგონოთ ჯარისკაცთა ის მოთხოვნები, რომელთა წაყენებას ამჟამად ფიქრობენ პეტერბურგის სხვადასხვა სამხედრო ნაწილში (ეს მოთხოვნები დაბეჭდილია ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში). რა შესანიშნავი დოკუმენტია მოთხოვნათა ეს ნუსხა! როგორ ცხადჰყოფს იგი, რომ მონური არმია რევოლუციურ არმიად იქცევა. და რა ძალა შეაკავებს ახლა ამგვარ მოთხოვნათა გავრცელებას მთელ ფლოტსა და მთელ არმიაში?

პეტერბურგის ჯარისკაცები მოითხოვენ საჭმლის, ტანსაცმლის, სადგომის გაუმჯობესებას, ჯამაგირის მომატებას, სამსახურის ვადისა და ყოველდღიური წვრთნის დროის შემცირებას. მაგრამ მათ მოთხოვნათა შორის კიდევ უფრო მეტი ადგილი უჭირავს სხვა მოთხოვნებს, რომელთა წაყენება შეეძლო მხოლოდ მოქალაქე-ჯარისკაცს. უფლება ფორმაში ჩაცმულად, «ყველა მოქალაქესთან ერთად», ყოველგვარი კრების დასწრებისა, უფლება ყაზარმაში ყოველგვარი გაზეთების კითხვისა და შენახვისა, თავისუფლება სინდისისა, ყველა ეროვნების უფლებრივად გათანასწორება, ყაზარმის გარეთ ყოველგვარი ხელქვეითობის სრული გაუქმება, ჯარისკაცის პირად მოსამსახურედ დაყენების მოსპობა, სამხედრო სასამართლოების მოსპობა და ყველა სამხედრო-სასამართლო საქმის საერთო სამოქალაქო სასამართლოსადმი დაქვემდებარება, კოლექტიური საჩივრების წარდგენის უფლება, თავდაცვის უფლება უფროსის მხრივ ხელის შეხების

ოდნავი განზრახვისას, — ასეთია პეტერბურგის ჯარისკაცთა უმთავრესი მოთხოვნები.

ეს მოთხოვნები ცხადჰყოფს, რომ არმიის უდიდესი ნაწილი უკვე სოლიდარულია თავისუფლებისათვის აჯანყებული სევასტოპოლელებისა.

ეს მოთხოვნები ცხადჰყოფს, რომ თვითმპყრობელობის მსახურთა ფარისევლური ლათაიები არმიის ნეიტრალიტეტის შესახებ, იმის შესახებ, რომ არმია აუცილებლად დაშორებული უნდა იყოს პოლიტიკას და სხვ., ეს ლათაიები ვერავითარ თანაგრძნობას ვერ ჰპოვებს ჯარისკაცთა შორის.

არმიას არ შეუძლია და არც უნდა იყოს ნეიტრალური. ნუ ჩაითრევთ არმიას პოლიტიკაში — ეს არის ლოზუნგი ბურჟუაზიისა და ცარიზმის ფარისეველი ფარეშებისა, რომელნიც ნამდვილად ყოველთვის ითრევდნენ არმიას რეაქციულ პოლიტიკაში და რუს ჯარისკაცებს შავი რაზმის მსახურებად, პოლიციის დამჭაშებად აქცევდნენ. შეუძლებელია განზე იდგე თავისუფლებისათვის საერთო სახალხო ბრძოლისაგან. ვინც ამ ბრძოლას გულგრილად ეკიდება, იგი ხელს უწყობს პოლიციური მთავრობის უმსგავსობას, მთავრობისა, რომელიც თავისუფლებას დაგვპირდა, რათა ეს თავისუფლება აბუჩად აეგდო.

მოქალაქე ჯარისკაცთა მოთხოვნები სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნებია, ყველა რევოლუციური პარტიის მოთხოვნებია, შეგნებული მუშების მოთხოვნებია. თავისუფლების მომხრეთა რიგებში ჩადგომა, ხალხის მხარეზე გადასვლა თავისუფლების საქმის გამარჯვებასა და ჯარისკაცთა მოთხოვნების განხორციელებას უზრუნველჰყოფს.

მაგრამ ეს მოთხოვნები რომ მართლაც სრულად და მტკიცედ განხორციელდეს, საჭიროა კიდევ პატარა ნაბიჯის გადადგმა წინ. საჭიროა ერთად, ერთ მთლიანობად, თავი მოვუყაროთ წყეული ყაზარმა-კატორღით განაწამებ ჯარისკაცთა ყველა ცალკეულ მოთხოვნას. ხოლო ერთად თავმოყრილი ეს მოთხოვნები ნიშნავს: მუდმივი ჯარის მოსპობას, მის შეცვლას ხალხის საყოველთაო შეიარაღებით.

მუდმივ ჯარს ყველგან და ყველა ქვეყანაში იყენებენ იმდენად არა გარეშე, რამდენადაც შინაური მტრის წინააღმდეგ. მუდმივი ჯარი ყველგან რეაქციის იარაღად, შრომის წინააღმდეგ ბრძოლაში კაპიტალის მსახურად, ხალხის თავისუფლების ჯალათად გადაიქცა. მაშ ჩვენს დიდ განმათავისუფლებელ რევოლუციაში ნუ შევჩერდებით მარტოოდენ კერძო მოთხოვნებზე. ბოროტება ძირფესვიანად აღმოვფხვრათ. სრულიად მოვსპოთ მუდმივი ჯარი. დაე ჯარი შეედუღოს შეიარაღებულ ხალხს, დაე ჯარისკაცებმა თავიანთი სამხედრო ცოდნა შეიტანონ ხალხში, დაე მოისპოს ყაზარმა და იგი თავისუფალმა სამხედრო სკოლამ შესცვალოს. ვერავითარი ძალა ქვეყნად ვერ გაბედავს თავისუფალი რუსეთის ხელყოფას, თუ ამ თავისუფლებას ბურჯად შეუდგება შეიარაღებული ხალხი, რომელიც მოსპობს სამხედრო კასტას და ყველა ჯარისკაცს მოქალაქეებად გადააქცევს და იარაღის ტარების უნარიან ყველა მოქალაქეს — ჯარისკაცებად.

დასავლეთ ევროპის გამოცდილებამ ცხადჰყო მუდმივი ჯარის მთელი რეაქციულობა. სამხედრო მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ სავსებით შესაძლებელია განხორციელება სახალხო მილიციისა, რომელსაც შეუძლია დადგეს სამხედრო ამოცანათა სიმაღლეზე როგორც თავდაცვითს, ისე შეტევითს ომში. დაე ფარისეველმა თუ სენტიმენტალურმა ბურჟუაზიამ იოცნებოს განიარაღებაზე. ვიდრე ქვეყნად ჩაგრულნი და ექსპლოატირებულნი არსებობენ, — ჩვენ განიარაღებას კი არა, ხალხის საყოველთაო შეიარაღებას უნდა მოვითხოვდეთ. მხოლოდ ის უზრუნველჰყოფს სრულ თავისუფლებას. მხოლოდ ის დაამხობს სავსებით რეაქციას. მხოლოდ ამ გარდაქმნის შემდეგ ნამდვილად ისარგებლებენ თავისუფლებით მილიონობით მშრომელნი და არა მხოლოდ ერთი მუჭა ექსპლოატატორები.

დაწერილია 1905 წ. 15 (28) ნოემბერს.
დაბეჭდა 1905 წ. 16 ნოემბერს
გაზეთ «ნოვაია ჟიზნში», № 14.
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

სასწორი ქანაობს

იმ მდგომარეობას, რომელსაც რუსეთი განიცდის, ხშირად გამოხატავენ სიტყვით: ანარქია. ეს უმართებულო და ყალბი სიტყვა ნამდვილად მხოლოდ იმას გამოხატავს, რომ ჩვენს ქვეყანაში არავითარი დამკვიდრებული წესწყობილება არ არსებობს. მთელი ხაზით წარმოებს ახალი, თავისუფალი რუსეთის ომი ძველი, ბატონყმურ-თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ. თვითმპყრობელობას უკვე აღარ ძალუძს რევოლუციის დამარცხება, რევოლუციას ჯერ კიდევ არ ძალუძს ცარიზმის დამარცხება. ძველი წესწყობილება დამარცხებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი, — ახალი, თავისუფალი წყობილება კი არსებობს ისე, რომ მას არ ცნობენ; იგი სანახევროდ მიმალულია და ყოველ ნაბიჯზე დევნილია თვითმპყრობელური წყობილების ოპრიჩნიკების მიერ.

საქმის ასეთმა ვითარებამ შეიძლება ჯერ კიდევ დიდხანს გასტანოს; მას აუცილებლად თან მოჰყვება ქანაობისა და მერყეობის გამოვლინება სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში; ამ მღვრიე წყალში უეჭველად შეეცდებიან თევზის ჭერას ის ადამიანები, რომელნიც თავისუფლებას მტრობენ და რომელთაც ახლა სამხედრო ფანდის ვულისთვის თავისუფლების მეგობრებად მოაქვთ თავი. მაგრამ ეს გარდამავალი მდგომარეობა მით უფრო ნამდვილად მიგვიყვანს რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის სრულსა და გადამწყვეტ გამარჯვებამდე, რაც უფრო მეტს ხანს გასტანს იგი. ვინაიდან ისე ვერაფერი ანათლებს ქალა-

ქისა და სოფლის უაღრესად ბნელ მასებს, ისე ვერაფერი აღაგზნებს უაღრესად გულგრილთ და უაღრესად მძინარეთ, როგორც ეს გაჭიანურებული გახრწნა თვითმპყრობელობისა, რომელიც ყველასაგან განწირულია და რომელიც თვითონვე აღიარებს თავის განწირულებას.

რას გვეუბნება უკანასკნელი პოლიტიკური ამბები — ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ეს ახალი და დიდი გაფიცვა, არმიასა და თვით პოლიციაში მღელვარებისა და რევოლუციური ორგანიზაციის ეს ზრდა, შეუგნებელი და დისციპლინით შებოჭილი ჯარის ეს გამარჯვება თავისუფლების არმიაზე სევასტოპოლში, სახელმწიფო ქაღალდების კურსის ეს ჯერ გაუგონარი დაცემა? ეს ამბები მოწმობს, რომ თვითმპყრობელობა თავის უკანასკნელ ტყვიაწამალს სწვავს, თავის უკანასკნელ რეზერვებს ხარჯავს. ბირჟასაც კი, რომელიც ერთგულქვეშევრდომული, ბურჟუაზიულად მხდალი და რევოლუციის დამთავრებას ბურჟუაზიულად მოწყურებული, — ბირჟასაც კი არა სჯერა სევასტოპოლთან «გამარჯვებულებისა». ეს ამბები მოწმობს, რომ რევოლუციური ხალხი განუხრელად აფართოებს თავის მონაპოვართ, ამხედრებს ახალ-ახალ მებრძოლებს, წვრთნის თავის ძალებს, აუმჯობესებს ორგანიზაციას და წინ მიდის გამარჯვებისაკენ, ზვავივით და შეუჩერებლივ მიდის წინ.

პოლიტიკური გაფიცვის იარაღი უმჯობესდება; ამ იარაღის ხმარებას სწავლობენ ახლა ახალი რიგები იმ მუშაკებისა, ურომლისოდაც ერთ დღესაც კი ვერ იარსებებს თანამედროვე კულტურული საზოგადოება. არმიასა და პოლიციაში თავისუფლების აუცილებლობის შეგნება იზრდება და ამზადებს აჯანყების ახალ კერებს, ახალ კრონშტადტებს, ახალ სევასტოპოლებს.

არა გვგონია საფუძველი ჰქონდეთ ზეიმისათვის სევასტოპოლთან გამარჯვებულებს. ყირიმის აჯანყება დამარცხდა. რუსეთის აჯანყება უძლეველია.

დაე მუშა სოციალ-დემოკრატები ემზადონ კიდევ უფრო დიდი ამბებისათვის, რომელნიც მათ გიგანტურ პასუხისმგებლობას დააკისრებენ!

დაე ნუ დაივიწყებენ, რომ მხოლოდ მტკიცედ შეკავშირებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შეუძლია გამარჯვებისაკენ წაიყვანოს რუსეთის პროლეტარიატი, მთელი მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიულ პროლეტარიატთან ხელიხელჩაკიდებული!

«ნოვაია ჟიზნ» № 16,
1905 წ. 18 ნოემბერი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«ნოვაია ჟიზნის» ტექსტის
მიხედვით

ისწავლეთ მტრებისაგან

«ნაშა ჟიზნის» ბურჟუაზიულმა დემოკრატებმა ლაშქრობა დაიწყეს «მარქსიზმისა და ბარბარიზმის ნარევის» წინააღმდეგ. ჩვენ ძალიან ვურჩევთ ყველა შეგნებულ მუშას ყურადღებით ჩაუკვირდნენ რადიკალური დემოკრატების მსჯელობას.

მოვლენათა პოლიტიკური დედაარსის გარკვევას ისე არაფერი უწყობს ხელს, როგორც მათი შეფასება მოწინააღმდეგეთა მხრივ (რა თქმა უნდა, თუ ეს მოწინააღმდეგენი ხელიდან წასული ბრიყვები არ არიან).

«ნაშა ჟიზნს» არ მოსწონს «რუს. სდმპ ერთი ნაწილის ბრძოლა პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოსთან», ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, არ მოსწონს სოციალ-დემოკრატების ბრძოლა «უპარტიო» კლასობრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ, როგორც თვით გაზეთი ამბობს. პროლეტარები უნდა გაერთიანდნენო, — ამბობენ ჩვენებური რადიკალები. მაშასადამე... მაშასადამე, მართალნი ყოფილან საბჭოს ის მოღვაწენი, რომელნიც «ცდილობენ გააერთიანონ მ თ ე ლ ი პროლეტარიატი, განურჩევლად პოლიტიკური რწმენისა». და რადიკალებიც დიდის ამბით გვამხელენ წინააღმდეგობაში «კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს» ჩვენსავე საკუთარ პრინციპთან.

ისწავლეთ მტრებისაგან, ამხანაგო-მუშებო, რომელნიც თანაუგრძნობთ უპარტიო მუშათა ორგანიზაციის შექმნას ან თუნდაც გულგრილად ეკიდებით ამ სურვილს! მოიგონეთ მარქსისა და ენგელსის «კომუნისტური მანიფესტი», რომელიც ლაპარაკობს პროლეტარიატის კ ლ ა ს ა დ გ ა დ ა ქ ცე-

ვაზე არა მარტო მისი გაერთიანების, არამედ აგრეთვე მისი შეგნებულობის ზრდის მიხედვით[18]. მოიგონეთ ისეთი ქვეყნების მაგალითი, როგორიცაა ინგლისი, სადაც ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ყველგან წარმოებს და ყოველთვის წარმოებდა, ამავე დროს პროლეტარიატი მაინც დაქსაქსული რჩებოდა, მის წარმომადგენლებს ბურჟუაზია ყიდულობდა, მის შეგნებას კაპიტალის იდეოლოგები რყვნიდნენ, მისი ძალა ქუცმაცდებოდა მუშათა არისტოკრატიის ჩამოშორებით მუშათა მასისაგან. მოიგონეთ ყოველივე ეს, ამხანაგო-მუშებო, და თქვენ დარწმუნდებით, რომ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატი არის ისეთი პროლეტარიატი, რომელსაც თავისი კლასობრივი ამოცანები შეუგნია. ძირს უპარტიობა! უპარტიობა ყოველთვის და ყველგან ბურჟუაზიის იარაღი და ლოზუნგი იყო. ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვიაროთ კიდეც, განსაზღვრულ პირობებში, შეუგნებელ პროლეტარებთან ერთად, იმ პროლეტარებთან ერთად, რომელნიც არაპროლეტარულ მოძღვრებას იზიარებენ («სოციალისტ-რევოლუციონერების» პროგრამა), — მაგრამ არავითარ შემთხვევაში და არასოდეს არ უნდა შევასუსტოთ ჩვენი მკაცრი პარტიულობა, არავითარ შემთხვევაში და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ და არც სხვებს დავავიწყებინოთ, რომ პროლეტარიატში არსებული მტრობა სოციალ-დემოკრატიისადმი — ეს არის პროლეტარიატში დარჩენილი ბურჟუაზიულ შეხედულებათა ნაშთი.

«ნოვაია ჟიზნ» № 16,
1905 წ. 18 ნოემბერი.
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» ტექსტის მიხედვით

რევოლუციური კანცელარიულობა და რევოლუციური საქმე

დამფუძნებელი კრების საკითხი ბუნებრივად და აუცილებლად უნდა წარმოშობილიყო ჩვენს რევოლუციურ მოძრაობაში. რათა საბოლოოდ აღვგავოთ თვითმპყრობელური რუსეთის ძველ, ბატონყმურ დაწესებულებათა ნაშთები, რათა განვსაზღვროთ ახალი, თავისუფალი რუსეთის წესწყობილება, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სხვა მთლიანი და თანამიმდევარი გზა, გარდა საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევისა. მართალია, ცხოვრება იშვიათად ახორციელებს ხოლმე სრულად მთლიანსა და თანამიმდევარ ლოზუნგებს, მას ყოველთვის ბევრი რამ გაუთვალისწინებელი, გამართულებელი, შედეგის დამხლართველი, ახლისა და ძველის ერთმანეთში ამრევი შემოაქვს. მაგრამ, ვისაც გულწრფელად სურს ბოლო მოუღოს ძველს და უნარიც შესწევს იღვწოდეს ამ მიზნისათვის, მან ნათლად უნდა განსაზღვროს დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა და მთელი ძალღონით იბრძოლოს მისი სრული და წმინდა სახით განხორციელებისათვის.

შეგნებული პროლეტარიატის პარტიამ, სოციალ-დემოკრატიამ, უკვე თავის პროგრამაში, რომელიც მიღებულ იქნა მეორე ყრილობაზე 1903 წელს, წამოაყენა დამფუძნებელი კრების მოთხოვნა. «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, — ამბობს ჩვენი პროგრამის უკანასკნელი განყოფილება, — მტკიცედ დარწმუნებულია, რომ აღნიშნულ პოლიტიკურ და ეკონომიურ გარდაქმნათა» (დემოკრატიული

სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნა, შრომის დაცვა და სხვ.) «სრული, თანამიმდევარი და მტკიცე განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობისა და მთელი ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევის გზით».

ამ სიტყვებიდან ცხადია, რომ ჩვენი პარტია ყურადღებას აქცევს დამფუძნებელი კრების მოწვევის არა მარტო ფორმალურ, არამედ მატერიალურ პირობებსაც, ე. ი. ისეთ პირობებს, რომელნიც კრებას, მართლაც, საყოველთაო სახალხოს და დამფუძნებელს გახდიდა. არ კმარა კრებას «დამფუძნებელი» დაარქვა, არ კმარა სახალხო წარმომადგენელნი მოიწვიო, თუნდაც ისინი არჩეული იყვნენ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, თუნდაც არჩევნების თავისუფლების ნამდვილად უზრუნველყოფის პირობებში. გარდა ყველა ამ პირობისა საჭიროა კიდევ, რომ დამფუძნებელ კრებას ჰქონდეს ძალაუფლება და შესწევდეს ღონე ახალი წესწყობილების დამყარებისათვის. რევოლუციათა ისტორიაში ყოფილა ისეთი მაგალითები, როცა კრება დამფუძნებლად ითვლებოდა, ნამდვილად კი რეალური ძალა და ძალაუფლება მას კი არ ეპყრა, არამედ ძველ თვითმპყრობელურ ხელისუფლებას. ასე იყო გერმანიის 1848 წლის რევოლუციის დროს, — ამიტომაც იყო, რომ იმ ეპოქის «დამფუძნებელმა» კრებამ, ყბადაღებულმა ფრანკფურტის პარლამენტმა, საზიზღარი «სალაყბოს» სამარცხვინო რეპუტაცია მოიპოვა: ეს კრება ლაყბობდა თავისუფლებაზე, დეკრეტით აცხადებდა თავისუფლებას, ხოლო თავისუფლების მომსპობ ხელისუფლების დაწესებულებათა თავიდან მოსაშორებლად რეალურ ზომებს არ იღებდა. სრულიად ბუნებრივია, რომ ლიბერალური ბურჟუაზიის უმწეო მოლაყბეთა ეს უმწეო კრება სამარცხვინოდ გაქრა ასპარეზიდან.

რუსეთში ამჟამად დამფუძნებელი კრების მოწვევის საკითხი თანამედროვე პოლიტიკურ საკითხთა პირველ რიგში დგას. და სწორედ ახლა უაღრესად საარსებო მნიშვნელობა ენიჭება ამ საკითხის რეალურ მხარეს. მნიშვნელობა აქვს

იმდენად არა იმას, მოწვეული იქნება თუ არა დამფუძნებელი კრება (ამას ხვალ, შეიძლება, მინისტრ-მაკლერი გრ. ვიტეც კი დაეთანხმოს), არამედ იმას, იქნება თუ არა იგი ნამდვილად საყოველთაო სახალხო და ნამდვილად დამფუძნებელი.

მართლაც, უკვე ჩვენი რევოლუციის გამოცდილებამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ ახლა იწყება, თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა ოინებად შეიძლება აქციონ სიტყვები და დაპირება საერთოდ, და დამფუძნებელი კრების ლოზუნგი კერძოდ. მოიგონეთ ამას წინათ მოსკოვში გამართული ერობელებისა და მოქალაქეების, «კადეტების» ყრილობა. მოიგონეთ მათი ცნობილი ფორმულა: სახელმწიფო სათათბირო დამფუძნებელი ფუნქციებით და კონსტიტუციის შესამუშავებლად მეფის დასტურით... ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა პრესამაც კი აღნიშნა ამ ფორმულის შინაგანი წინააღმდეგობა და უაზრობა. ახალი სახელმწიფო წესწყობილების «დაფუძნება» ძველი მთავრობის მეთაურის «დასტურით», — ეს ხომ ორი ხელისუფლების, ორი თანაბარი (ქაღალდზე) უმაღლესი ხელისუფლების: აჯანყებული ხალხის ხელისუფლებისა და ძველი თვითმპყრობელობის ხელისუფლების დაკანონებას ნიშნავს. ცხადია, თანასწორობა მათ შორის მხოლოდ მოჩვენებითია, მათ შორის «შეთანხმება» ნამდვილად ისაზღვრება ძ ა ლ ი ს უპირატესობით ამა თუ იმ მხარეზე. მაშასადამე, ძველი რუსეთიდან ახალზე გადასვლის თავიანთი «იდეალური» გეგმით ლიბერალური ბურჟუები აკანონებდნენ ორი თანაბარი მტრული და ერთმანეთთან მებრძოლი ძალის თანაარსებობას, ე. ი. აკანონებდნენ მუდმივ, გაუთავებელ ბრძოლას.

ამ წინააღმდეგობის ახსნა უბრალო ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით შეუძლებელია. მაგრამ მას სავსებით ხსნის ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების ლოგიკა. ბურჟუაზიას ეშინია სრული თავისუფლებისა, სრული დემოკრატიზმისა, ვინაიდან მან იცის, რომ შეგნებული, ე. ი. სოციალისტური პროლეტარიატი ისარგებლებს თავისუფლებით კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ

ბურჟუაზიას, არსებითად, სურს არა სრული თავისუფლება, არა ხალხის სრული თვითმპყრობელობა, არამედ რეაქციასთან მორიგება, თვითმპყრობელობასთან მორიგება. ბურჟუაზიას სურს პარლამენტარიზმი, რათა უზრუნველჰყოს კაპიტალისა და არა ბიუროკრატიის ბატონობა, და ამავე დროს მას სურს მონარქია, მუდმივი ჯარი, ბიუროკრატიის გარკვეულ უპირატესობათა შენარჩუნება, რათა საშუალება არ მისცეს რევოლუციას ბოლომდე მივიდეს, რათა პროლეტარიატი არ შეაიარაღოს, — რადგან შეიარაღებად იგი თვლის როგორც უშუალოდ იარაღით შეიარაღებას, ისე სრული თავისუფლებით შეიარაღებას. ბურჟუაზიის წინააღმდეგობრივი კლასობრივი მდგომარეობა თვითმპყრობელობასა და პროლეტარიატს შუა — აუცილებლად წარმოშობს, ამა თუ იმ ცალკეულ პირთა ნებისა და შეგნების დამოუკიდებლადაც კი, «შეთანხმების» უაზრო და სულელურ ფორმულებს. დამფუძნებელი კრების ლოზუნგი ფრაზად გადაქცეული გამოდგა, თავისუფლებისათვის აჯანყებული პროლეტარიატის დიადი მოთხოვნა ჯამბაზობამდეა დაქვეითებული; ასე ბილწავს ბურჟუაზია ყოველივესა და ყველაფერს ამ ქვეყნად, იგი ბრძოლის ადგილს ჩარჩობას აჭერინებს.

«ნაშა ჟიზნის» რადიკალური ბურჟუები ვერ მიმხვდარან ლიბერალების მიერ საკითხის ამ აუცილებლივ ყალბსა და მოჩვენებითს დაყენებას, როდესაც ისინი სერიოზული სახით გვიხატავენ ბატონ ფალბორკისა და ჩარნოლუსკის მიერ დამფუძნებელი კრების მოწვევის «პროექტის» შემუშავებას, შემდეგ კი მის შემუშავებას კავშირთა კავშირის ცენტრალური ბიუროს მიერაც. სასაცილოა ასეთი «პროექტების» შედგენა, ბატონებო! თქვენ ადგიხართ კადეტების გზას, რომელთაც რევოლუციას უღალატეს. თქვენ გავიწყდებათ, რომ ქალალდის პროექტები, მსგავსად ყოველგვარი კონსტიტუციური ილუზიებისა, რყვნის ხალხის რევოლუციურ შეგნებას და ასუსტებს მის საბრძოლო ენერგიას, ვინაიდან საკითხის სიმძიმის ცენტრი იჩქმალება, მთელი მისი დაყენება მახინჯდება. თქვენ ხომ პოლიტიკური ანბანის პროპაგანდას არ ეწევით, —

თქვენ პრაქტიკულად აყენებთ საკითხს; ამას მოწმობს თვით ხასიათი «უკიდურეს და ზომიერ პარტიათა წარმომადგენლების მიერ» პროექტის განხილვისა, რომელიც თქვენ წამოიწყეთ. ეს მანილოვობაა, პატივცემულო ბურჟუაზიულო დემოკრატებო, როდესაც თქვენ, ერთი მხრივ, აღიარებთ იმის სასურველობას, რომ დამფუძნებელ კრებას «სრული» ძალაუფლება ეკუთვნოდეს, ხოლო, მეორე მხრივ, ცდილობთ უკიდურესი პარტიები «ზომიერ» პარტიებს შეუერთოთ, ე. ი. ასეთი სრული ძალაუფლების მსურველნი შეუერთოთ იმათ, ვისაც ეს არა სურთ.

ძირს ზიზილ-პიპილებიანი სამოსელი! გვეყოფა ყალბი ლიბერალური ფრაზები! დროა გავიმიჯნოთ. მარჯვნივ არის თვითმპყრობელობა და ლიბერალური ბურჟუაზია, რომელნიც ფაქტიურად გააერთიანა იმან, რომ მათ არა სურთ გადასცენ დამფუძნებელ კრებას ერთიანი, სრული და განუყოფელი ძალაუფლება. მარცხნივ არის სოციალისტური პროლეტარიატი და რევოლუციური გლეხობა ანუ, უფრო ფართოდ, მთელი რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატია. მათ უნდათ სრული ძალაუფლება დამფუძნებელი კრებისათვის. ამ მიზნით მათ შეუძლიათ შეჰკრან და უნდა შეჰკრან კიდეც საბრძოლო კავშირი, ისე კი, რა თქმა უნდა, რომ ერთმანეთში არ გაითქვიფონ. მათ ესაჭიროებათ არა ქაღალდის პროექტები, არამედ საბრძოლო ზომები, არა საკანცელარიო მუშაობის ორგანიზაცია, არამედ თავისუფლებისათვის ძლევამოსილი ბრძოლის ორგანიზაცია.

«ნოვაია ჟიზნ» № 18,
1905 წ. 20 ნოემბერი.
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება გაზეთ
«ნოვაია ჟიზნის» ტექსტის
მიხედვით

მომაკვდავი თვითმპყრობელობა და ხალხის ძალაუფლების ახალი ორგანოები [19]

იზრდება აჯანყება. იზრდება ვიტეს თვითმპყრობელური მთავრობის უძლურება, დაბნეულობა, გახრწნა. ღრმავდება და ფართოვდება ხალხის სულ სხვადასხვაგვარი ჯგუფების, ფენებისა და კლასების ორგანიზაცია, რევოლუციურ და კონტრრევოლუციურ ძალთა ორგანიზაცია.

ასეთია თანამედროვე მდგომარეობა. იგი შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით: რევოლუციის ორგანიზაცია და მობილიზაცია. საზღვაო ბრძოლას სევასტოპოლში ზედ მოჰყვა სახმელეთო ბრძოლები ვორონეჟსა და კიევში. შეიარაღებული აჯანყება ამ უკანასკნელ ქალაქში, ჩანს, კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს წინ, რევოლუციური არმიის შეერთების ნაბიჯს რევოლუციურ პროლეტარიატსა და სტუდენტობასთან. ამას მოწმობს, ყოველ შემთხვევაში, «რუსის» ცნობა კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გამართული მიტინგის შესახებ, რომელსაც 16 000 კაცი დაესწრო და რომელსაც აჯანყებულ მესანგრე ჯარისკაცთა ბატალიონი იცავდა.

სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ლიბერალური ბურჟუაზიაც კი, რომელიც მთელი თავისი არსებით მოწყურებულია თვითმპყრობელობასთან მორიგებას, კარგავს მოთმინებას, კარგავს რწმენას «დიდ» ჯამბაზ ვიტესადმი და მარცხნივ იხედება იმ ძალის საძებნელად, რომელსაც შეუძლია განახორციელოს აუცილებელ საჭიროებად გამხდარი გადატრიალება.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა «რუსის» პოზიცია. გაზეთი ნათლად ხედავს, რომ «მოვლენები თანდათან თავს იყრიან ისეთ ზვავად, როგორც 17 ოქტომბრის წინ». და აი ის, ერთი

მხრივ, მიმართავს ერობის იმავე მოღვაწეებს, რომელთაც დაგვანახეს არანაკლები დაბნეულობა, უძლურება და უმწეობა, ვიდრე თვითმპყრობელურმა მთავრობამ. «რუსი» მოუწოდებს ერობის მოღვაწეებს «არ დააყოვნონ» და მიიღონ «მონაწილეობა კარსმომდგარ ამბებში», რათა «ამ ამბების შედეგს მიეცეს ლმობიერი, ქვეყნისთვის ყველაზე ნაკლებ საზარალო, ყველაზე უფრო ხელსაყრელი ფორმები». მეორე მხრივ, იგივე «რუსი» ედავება «სლოვოს»[20] და აცხადებს, «არავის არ სჯერა, რომ ახლანდელმა მთავრობამ ახლანდელ ვითარებაში შესძლოს სახელმწიფო სათათბიროს მოწვევაო». «ახლა, — ამბობს «რუსი», — უნდა ვიფიქროთ ისეთი მთავრობის შექმნაზე, რომელიც შესძლებდა სათათბიროს მოწვევას».

ამრიგად, ლიბერალური ბურჟუაზია, რევოლუციური პროლეტარიატის ზეგავლენით, კიდევ მარცხნივ დგამს ნაბიჯს. გუშინ მას განზრახული ჰქონდა ევაჭრა ვიტესთან და (საერობო ყრილობაზე) კენჭისყრით პირობითი ნდობა გამოუცხადა მას. დღეს ვიტესადმი ნდობა ჰქრება, და კაპიტალი ახალ მთავრობას მოითხოვს. «რუსი» წინადადებას აძლევს ყველა განმათავისუფლებელ პარტიას შექმნან დეპუტატთა განსაკუთრებული საყოველთაო სახალხო საბჭო, რომელიც გადაიქცეოდა «მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენის მძლავრ საშუალებად, თუ იგი კიდევ (!!!) გამოიჩენს მუშაობის უნარს, გადაიქცეოდა ხალხის ძალაუფლების უკვე მზამზარეულ ორგანოდ, რათა დროებით იკისროს მთავრობის მოვალეობანი უკანასკნელის სრული უუნარობისა და კრახის შემთხვევაში».

ხალხის ძალაუფლების ორგანოს, რომელიც დროებით კისრულობს იმ მთავრობის მოვალეობებს, რომელმაც კრახი განიცადა, უბრალო და ნათელ ენაზე დროებითი რევოლუციური მთავრობა ეწოდება. ასეთი მთავრობა დროებითი უნდა იყოს, ვინაიდან მისი უფლებამოსილება თავდება ააყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევისთანავე. ასეთი მთავრობა რევოლუციური უნდა იყოს, ვინაიდან იგი სცვლის მთავრობას, რომელმაც კრახი განიცადა, სცვლის

მას რევოლუციაზე დაყრდნობით. თვით შეცვლა არ შეიძლება სხვანაირად მოხდეს, თუ არა რევოლუციური გზით. ეს მთავრობა უნდა გახდეს «ხალხის ძალაუფლების ორგანო», მან ყველგან უნდა განახორციელოს ხალხის მიერ წამოყენებული მოთხოვნები და მაშინვე, დაუყოვნებლივ, ყველგან შესცვალოს თვითმპყრობელობისა და შავრაზმელების «ძალაუფლების» ყველა ძველი «ორგანო» ხალხის ძალაუფლების ორგანოებით, ე. ი. ან დროებითი რევოლუციური მთავრობის რწმუნებულებით, ან არჩეული წარმომადგენლებით ყველა იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია არჩევნები, რასაკვირველია, საყოველთაო, თანასწორი. პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, რომ ლიბერალურ მონარქისტულ ბურჟუაზიას დროებითი რევოლუციური მთავრობის იდეა დაებადა. ჩვენ მოხარული ვართ ამისა არა იმიტომ, რომ ლიბერალებს ვთვლიდეთ რევოლუციის მხარეზე გადმოსულებად, რომ უცბად ვიწამეთ მათი გულწრფელობა, სიმტკიცე და თანამიმდევრობა. არა, ჩვენ ამის მოხარული ვართ იმიტომ, რომ ეს რევოლუციის ძლიერების ცხადი და უეჭველი ნიშანია. მაშასადამე, რევოლუცია ძალა გამხდარა, თუ ლიბერალურმა მონარქისტულმა ბურჟუაზიამაც კი შეიგნო ახლა დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის აუცილებლობა.

ჩვენ არ გვავიწყდება, რა თქმა უნდა, რომ ლიბერალებს იმდენად ასეთი მთავრობის დაწესება არა სურთ, რამდენადაც ამით თვითმპყრობელობას ემუქრებიან, როგორც მყიდველი ემუქრება გამყიდველს — მეორე დუქანში წავალო. დაგვითმეთ, ბ-ნო ვიტე, თორემ წავალთ დროებით რევოლუციურ მთავრობაში, რომელსაც, «რბილად» რომ ვთქვათ, ეწოდება: «დეპუტატთა საერთო საბჭო» ანუ «დეპუტატთა საყოველთაო სახალხო საბჭო»! მხოლოდ აქ კიდევ და კიდევ შევაჭრების სურვილით აიხსნება ის მოჩვენებითი შეუსაბამობა და უაზრობა, რომ «რუსი» აცხადებს — ვიტეს მთავრობას უნარი არ შესწევს სახალხო წარმომადგენლები მოიწვიოსო და ამავე

დროს, ერთბაშად, დასაშვებად თვლის იმის შესაძლებლობას, რომ ეს მთავრობა «კიდევ გამოიჩენს მუშაობის უნარსაო».

არა, ბატონო ლიბერალებო, ახლა ისეთი დრო არ არის, რომ ეშმაკობამ გასჭრას, რომ ორპირობა გამოუმჟღავნებელი დარჩეს! ხალხი ებრძვის თვითმპყრობელობას, რომელიც (17 ოქტომბერს) დაგვპირდა თავისუფლებას, რათა დასცინოს თავისუფლებას, რათა აბუჩად აიგდოს თავისუფლება. დროებითი რევოლუციური მთავრობა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის ორგანოა. თავისუფლებისათვის ბრძოლა იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც თავისუფლებას ჰქელავს, არის (ამ ბრძოლის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე) შეიარაღებული აჯანყება, რომელიც კიდევაც მიმდინარეობს ახლა რუსეთში მთელი ხაზით. დროებითი რევოლუციური მთავრობა აჯანყების ორგანოა, რომელიც აერთიანებს ყველა აჯანყებულთ და პოლიტიკურად ხელმძღვანელობს აჯანყებას. ამიტომ დროებითი რევოლუციური მთავრობის შესაძლებლობასა და აუცილებლობაზე ლაპარაკი და ამავე დროს ძველ, შესაცვლელ, მთავრობასთან შეთანხმების დაშვება — ნიშნავს ან დაბნეულობას, ან გამცემლობას. მართლაც, დაუფიქრდით, ბატონო «რუსის» პუბლიცისტებო: ნუთუ მოინახებიან ისეთი ბრიყვები რევოლუციის მომხრეთა შორის, რომლებიც დროებითი რევოლუციური მთავრობის შემადგენლობაში ნებაყოფლობით მიიღებდნენ იმ ადამიანებს ან პარტიის წარმომადგენლებს, რომლებიც შესაძლებლად თვლიან ძველი მთავრობის «მუშაობის უნარიანობას» და განაგრძობენ მასთან უკანა დერეფნიდან სიარულს, მასთან ვაჭრობას? დაფიქრდით: მოიგებდა თუ წააგებდა რუსეთის არმია, მას რომ თავის რიგებში შეეყვანა მანჯურიის პატრიოტული ახალგაზრდობა? უეჭველია, წააგებდა, ვინაიდან მანჯურელი პატრიოტები რუსეთს გასცემდნენ და იაპონელებს ჩაუგდებდნენ ხელში. და რუსეთის რევოლუციური ხალხიც წააგებს, თუ «პატრიოტები», ფულის ქისის მონარქისტულად განწყობილი პატრიოტები (ე. ი. ლიბერალური ბურჟუები) უღალატებენ მას და ვიტეს თვითმპყრობელობას ჩაუგდებენ ხელში.

დაე ლიბერალური ბურჟუაზიისათვის დროებითი რევოლუციური მთავრობა იყოს უბრალო მუქარა თვითმპყრობელობის მიმართ. სოციალისტური პროლეტარიატისათვის, რევოლუციური გლეხობისათვის და ყველა იმათთვის, ვინც გადაჭრით და საბოლოოდ დგება მათ მხარეზე თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ეს დიდი და უაღრესად სერიოზული ამოცანაა, რომელიც დღითი-დღე, სულ უფრო და უფრო საარსებო ხდება. ოქტომბრის რევოლუციამ, მომდევნო სამხედრო აჯანყებებთან დაკავშირებით, იმდენად დააუძლურა თვითმპყრობელობა, რომ ხალხის ახალი ძალაუფლების ორგანოებმა თავისით დაიწყეს ზრდა პოლიტიკური გაფიცვით გაფხვიერებულ, თავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლით გაპოხიერებულ ნიადაგზე. ეს ორგანოებია რევოლუციური პარტიები და მებრძოლი ორგანიზაციები მუშების, გლეხების და ხალხის იმ სხვა ელემენტებისა, რომელნიც ნამდვილად ეწევიან რევოლუციურ ბრძოლას. ეს ორგანოები საქმით ახორციელებენ სოციალისტური პროლეტარიატისა და რევოლუციური წვრილი ბურჟუაზიის კავშირს. ეს საბრძოლო კავშირი ჩვენ ახლა უნდა გავაფართოოთ და განვამტკიცოთ, გავაფორმოთ და შევამჭიდროოთ, რათა ახალი ძალაუფლების ორგანოები მზად იყვნენ 17 ოქტომბრის მომავალი განმეორებისათვის, რათა მაშინ თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლნი მთელ რუსეთში გამოვიდნენ დაუყოვნებლივი პოლიტიკური გარდაქმნების საერთო პროგრამით, ორგანიზებულნი, გამოწრთობილნი, მიზნის ნათლად შემგნებნი, გამიჯნულნი ყველა გამცემლისაგან, ყველა მერყევთა და ყველა უქმადმოლაყბეთაგან. ჩვენთვის, სოციალისტური პროლეტარიატის წარმომადგენლებისთვის, მომავალი დემოკრატიული გადატრიალება მხოლოდ ერთ-ერთი ნაბიჯია სოციალისტური გადატრიალების დიადი მიზნისაკენ. გვახსოვს რა ეს, ჩვენ არასოდეს არ გავითქვიფებით წვრილბურჟუაზიულ პარტიებსა თუ ჯგუფებში, რარიგ გულწრფელი, რევოლუციური და ძლიერიც უნდა იყვნენ ისინი; ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ

სოციალიზმის გზაზე მუშა და წვრილი მეპატრონე აუცილებლად და არა ერთხელ დაშორდებიან ერთმანეთს. მაგრამ, სწორედ სოციალიზმის ინტერესებისათვის ჩვენ ახლა ყოველ ძალღონეს ვიხმართ, რაოა დემოკრატიული გადატრიალება უფრო ჩქარა, უფრო სრულად და გადაჭრით განხორციელდეს. საამისოდ ჩვენ დროებითს საბრძოლო კავშირს შეკრავთ და ვკრავთ მთელ რევოლუციურ დემოკრატიასთან ჩვენი საერთო უახლოესი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. ამ მიზნით ჩვენ შევდივართ, ჩვენი პარტიული თავისებურებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებით, მუშათა დეპუტატების საბჭოებშიც და სხვა რევოლუციურ კავშირებშიც. გაუმარჯოს ხალხის ძალაუფლების ახალ ორგანოებს! გაუმარჯოს ხალხის ძალაუფლების ერთიან, უმაღლეს და ძლევამოსილ ორგანოს!

ხრლო რადიკალურ ბურჟუებს გამოთხოვებისას ჩვენ ვეტყვით: თქვენ ლაყბობთ, ბატონებო, ხალხის ძალაუფლების ორგანოების შესახებ. ძალაუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ ძალა. ძალა თანამედროვე საზოგადოებაში შეიძლება იყოს მხოლოდ შეიარაღებული ხალხი შეიარაღებული პროლეტარიატის მეთაურობით. თავისუფლებისადმი თანაგრძნობა რომ სიტყვებით მტკიცდებოდეს, მაშინ, ალბათ, მოგვიხდებოდა თავისუფლების მომხრეებად ჩაგვეთვალა 17 ოქტომბრის მანიფესტის ავტორებიც ეკ. თუ იგი საქმეებით მტკიცდება, — მაშინ ახლა ერთადერთი ასეთი საქმეა მუშების შეიარაღების ხელისშეწყობა, ნამდვილად რევოლუციური არმიის შექმნისა და განმტკიცების ხელისშეწყობა. მაშ აირჩიეთ, ბატონებო: ბ-ნ ვიტეს მისაღებ ოთახში თავისუფლების ნაფლეთების გამოსათხოვად, თავისუფლების შეკვეცისათვის სავაჭროდ, — თუ «ხალხის ძალაუფლების ორგანოებში», ანუ დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, სრული თავისუფლებისათვის თავდადებით საბრძოლველად. აირჩიეთ!

«ნოვაია ჟიზნ» № 19,
1905 წ. 23 ნოემბერი.
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება გაზეთ
«ნოვაია ჟიზნის» ტექსტის
მიხედვით

სოციალიზმი და ანარქიზმი

მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გუშინ, 23 ნოემბერს, დაადგინა: უარყოფილ იქნას ანარქისტების თხოვნა აღმასრულებელ კომიტეტსა და მუშათა დეპუტატების საბჭოში მათი წარმომადგენლების დაშვების შესახებ. ამ დადგენილების მიზეზი თვითონ აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგნაირად განმარტა: «1) მთელ საერთაშორისო პრაქტიკაში ყრილობებსა და სოციალისტურ კონფერენციებს თავის შემადგენლობაში არა ჰყავთ ანარქისტთა წარმომადგენელნი, რადგან ისინი თავიანთი იდეალების მიღწევის საშუალებად პოლიტიკურ ბრძოლას არ აღიარებენ; 2) წარმომადგენლობა შეიძლება იყოს პარტიისაგან, ანარქისტები კი პარტია არ არის».

აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ჩვენ მიგვაჩნია უაღრესად სწორ ნაბიჯად, რომელსაც უდიდესი პრინციპული და პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, თუ მუშათა დეპუტატების საბჭოს განვიხილავთ, როგორც მუშათა პარლამენტს ან როგორც პროლეტარიატის თვითმმართველობის ორგანოს, მაშინ ანარქისტების დაშვების უარყოფა უმართებულო იქნებოდა. თუმცა ძალიან უმნიშვნელოა (საბედნიეროდ) ანარქისტების გავლენა ჩვენს მუშათა წრეში, მაგრამ მუშათა ერთი ნაწილი, უეჭველია, მათ მაინც ემხრობა. ანარქისტები პარტიას წარმოადგენენ, ორგანიზაციას თუ ჯგუფს, ან თანამოაზრეთა თავისუფალ კავშირს,—ეს ფორ-

მალური საკითხია და სერიოზული პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ბოლოს, თუ ანარქისტები, რომელნიც პოლიტიკურ ბრძოლას უარჰყოფენ, თვითონ თხოულობენ ისეთ დაწესებულებაში შეშვებას, რომელიც ამ ბრძოლას ეწევა, ასეთი აშკარა არათანამიმდევრობა, რა თქმა უნდა, ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს ანარქისტთა მსოფლმხედველობისა და ტაქტიკის მთელ მერყეობას. მაგრამ «პარლამენტიდან» ან «თვითმმართველობის ორგანოდან» მერყეობისათვის გარიცხვა, რასაკვირველია, არ შეიძლება.

აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება სავსებით მართებულად მიგვაჩნია და სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ამ დაწესებულების ამოცანებს, მის ხასიათსა და შემადგენლობას. მუშათა დეპუტატების საბჭო არც მუშათა პარლამენტია და არც პროლეტარული თვითმმართველობის ორგანო, საერთოდ იგი თვითმმართველობის ორგანო კი არა, განსაზღვრული მიზნების მისაღწევად შექმნილი მებრძოლი ორგანიზაციაა.

ამ მებრძოლ ორგანიზაციაში, დროებითი, გაუფორმებელი საბრძოლო შეთანხმების საფუძველზე, შედიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (პროლეტარული სოციალიზმის პარტიის) წარმომადგენელნი, «სოციალისტ-რევოლუციონერების» პარტიის წარმომადგენელნი (წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის წარმომადგენელნი ანუ რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის უკიდურესი მემარცხენეფრთა), და, ბოლოს, მრავალი «უპარტიო» მუშა. მაგრამ ეს უკანასკნელნი საერთოდ უპარტიოები კი არ არიან, არამედ მხოლოდ უპარტიო რევოლუციონერები, ვინაიდან მათი თანაგრძნობა სავსებით რევოლუციის მხარეზეა, რომლის გამარჯვებისათვის თავდადებული ენთუზიაზმით, ენერგიითა და თავგანწირვით იბრძვიან. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იქნება აღმასრულებელ კომიტეტში რევოლუციური გლეხობის წარმომადგენლების შეყვანაც.

არსებითად, მუშათა დეპუტატების საბჭო სოციალისტებისა და რევოლუციური დემოკრატების გაუფორმებელი, ფარ-

თო საბრძოლო კავშირია, ამასთანავე, რა თქმა უნდა, «უპარტიო რევოლუციურობა» ჰფარავს მთელ რიგ გარდამავალ საფეხურებს პირველთა და მეორეთა შორის. ასეთი კავშირის აუცილებლობა ცხადია პოლიტიკური გაფიცვების მოსაწყობად და საარსებო, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მიერ აღიარებულ და მოწონებულ დემოკრატიულ მოთხოვნათათვის ბრძოლის სხვა, უფრო აქტიური, ფორმების გამოსაყენებლად. ამგვარ კავშირში ანარქისტები პლუსი კი არა, მინუსი იქნებიან; ისინი მასში მხოლოდ დეზორგანიზაციას შეიტანენ; ამით ისინი შეასუსტებენ საერთო შეტევის ძალას; მათ ჯერ კიდევ «შეუძლიათ დავა» პოლიტიკურ გარდაქმნათა საარსებო მნიშვნელობის შესახებ. ანარქისტების გარიცხვა იმ მებრძოლი კავშირიდან, რომელიც, ასე ვთქვათ, ჩვენს დემოკრატიულ რევოლუციას ახორციელებს, სავსებით აუცილებელია ამ რევოლუციის თვალსაზრისისა და ინტერესების მიხედვით. მებრძოლ კავშირში მხოლოდ ისინი უნდა იყვნენ, ვინც ამ კავშირის მიზნისათვის იბრძვის. და თუნდაც, მაგალითად, «კადეტებმა», ან «უფლებრივი წესრიგის პარტიამ»[21] პეტერბურგის თავიანთ ორგანიზაციებში რამდენიმე ას-ასი მუშა შეაგროვონ, — არა გვგონია მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამგვარ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს კარი გაუღოს.

აღმასრულებელი კომიტეტი თავისი გადაწყვეტილების განსამარტებლად საერთაშორისო სოციალისტური ყოილობების პრაქტიკას იმოწმებს. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ამ განცხადებას, პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს ორგანოს მხრივ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის იდეური ხელმძღვანელობის ამ აღიარებას. რუსეთის რევოლუციამ უკვე მოიპოვა საერთაშორისო მნიშვნელობა. რუსეთის რევოლუციის მოწინააღმდეგენი უკვე შეთქმულებას აწყობენ ვილჰელმ II-სთან, ევროპის ყოველგვარ ბნელეთის მოციქულებთან, მოძალადეებსა, სალდაფონებსა და ექსპლოატატორებთან ერთად თავისუფალი რუსეთის წინააღმდეგ. ნურც ჩვენ დავივიწყებთ, რომ ჩვენი რევოლუციის სრული გამარჯ-

ვება მოითხოვს რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის კავშირს ყველა ქვეყნის სოციალისტ მუშებთან.

საერთაშორისო სოციალისტურმა ყრილობებმა ტყუილად კი არ მიიღეს გადაწყვეტილება ანარქისტების დაუშვებლობის შესახებ. სოციალიზმსა და ანარქიზმს შუა მთელი უფსკრულია, რომლის მიჩქმალვას ამაოდ ცდილობენ მაძებარი პოლიციის პროვოკატორი აგენტები ან რეაქციულ მთავრობათა საგაზეთო მსახურნი. ანარქისტების მსოფლმხედველობა. უკეთ გადმობრუნებული ბურჟუაზიული მსოფლმხედველობაა. მათი ინდივიდუალისტური თეორიები, მათი ინდივიდუალისტური იდეალი აშკარად უპირისპირდება სოციალიზმს. მათი შეხედულებანი გამოხატავენ არა მომავალს ბურჟუაზიული წყობილებისას, რომელიც შეუკავებელი ძალით მიექანება შრომის განსაზოგადოებისაკენ, არამედ ამ წყობილების აწმყოსა და თვით წარსულსაც კი, ბრმა შემთხვევის ბატონობას დაქსაქსულ, მარტოხელა, წვრილ მწარმოებელზე. მათი ტაქტიკა, რომელიც პოლიტიკურ ბრძოლას უარჰყოფს, თიშავს პროლეტარებს და სინამდვილეში მათ ამა თუ იმ ბურჟუაზიული პოლიტიკის პასიურ მონაწილეებად აქცევს, ვინაიდან ნამდვილი ჩამოშორება პოლიტიკისაგან მუშებისათვის შეუძლებელი და განუხორციელებელია.

რუსეთის ახლანდელ რევოლუციაში პროლეტარიატის ძალთა შემჭიდროების, მისი დარაზმვის, მუშათა კლასის პოლიტიკური სწავლებისა და აღზრდის ამოცანა განსაკუთრებით შეუპოვრად იჭრება წინ. რაც უფრო მეტ უწესოებას სჩადის შავრაზმული მთავრობა, რაც უფრო გულმოდგინედ მუშაობენ მისი პროვოკატორი აგენტები უმეცარი მასის ქვენა გრძნობების გასაღვივებლად, რაც უფრო მეტი თავგანწირულებით მიმართავენ ცოცხლად გახრწნილი თვითმპყრობელობის დამცველნი რევოლუციის სახელის გატეხის ცდას მათ მიერ მოწყობილი ძარცვა-გლეჯის, დარბევის, მუხანათურ მკვლელობათა და ღატაკთა გამოთრობის საშუალებით, — მით უფრო დიდმნიშვნელოვანია დარაზმვის ეს ამოცანა,

რომელიც უწინარეს ყოვლისა სოციალისტური პროლეტარიატის პარტიას ეკისრება. ამიტომ ჩვენ იდეური ბრძოლის ყოველგვარ საშუალებას მივმართავთ, რათა ანარქისტების გავლენა რუს მუშებზე ისეთივე უმნიშვნელო დარჩეს, როგორც აქამდეც იყო.

დაწერილია 1905 წ. 24 ნოემბერს
(7 დეკემბერს).

დაიბეჭდა 1905 წ. 25 ნოემბერს
გაზეთ «ნოვაია ჟიზნში», № 21.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის მიხედვით

სოციალისტური პარტია და უპარტიო რევოლუციურობა

I

რუსეთის რევოლუციური მოძრაობა სწრაფად ედება მოსახლეობის ახალ-ახალ ფენებს და მთელ რიგ უპარტიო ორგანიზაციებს ჰქმნის. გაერთიანების საჭიროება მით უფრო ძლიერ იჩენს თავს, რაც უფრო დიდხანს თრგუნავდნენ და დევნიდნენ მას. ამა თუ იმ, ხშირად გაუფორმებელი სახით, ორგანიზაციები გამუდმებით ჩნდებიან, ამასთანავე მათი ხასიათი მეტისმეტად ორიგინალურია. აქ ვერ შეხვდებით მკვეთრად შემოფარგლულ ჩარჩოებს, მსგავსად ევროპის ორგანიზაციების ჩარჩოებისა. პროფესიული კავშირები პოლიტიკურ ხასიათს იღებენ. პოლიტიკური ბრძოლა უერთდება ეკონომიურს, — მაგალითად, გაფიცვის სახით, — და ჰქმნის დროებითი ან ცოტად თუ ბევრად მუდმივი ორგანიზაციების შერწყმულ ფორმებს.

როგორია ამ მოვლენის მნიშვნელობა? როგორი უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება მისდამი?

მტკიცე პარტიულობა დიდად განვითარებული კლასობრივი ბრძოლის თანამგზავრი და შედეგია. და, პირიქით, აშკარა და ფართო კლასობრივი ბრძოლის ინტერესები აუცილებლად მტკიცე პარტიულობის განვითარებას მოითხოვენ. ამიტომ შეგნებული პროლეტარიატის პარტია, სოციალ-დემოკრატია, ყოველთვის სრულიად კანონიერად ებრძვის უპარტიობას და განუხრელად მუშაობს პრინციპულად მტკიცე, მკვიდრად შემჭიდროებული სოციალისტური მუშათა პარ-

ტიის შექმნისათვის. ეს მუშაობა მასებში წარმატებით მიმდინარეობს იმისდაკვალად, რამდენადაც კაპიტალიზმის განვითარება მთელ ხალხს სულ უფრო და უფრო ღრმად თიშავს კლასებად და ამწვავებს წინააღმდეგობას მათ შორის.

სავსებით გასაგებია, რომ რუსეთის ახლანდელმა რევოლუციამ წარმოშვა და ახლაც წარმოშობს ასე ბევრ უპარტიო ორგანიზაციას. ეს რევოლუცია დემოკრატიულია, ე. ი. თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიური შინაარსით ბურჟუაზიულია. ეს რევოლუცია ამხობს თვითმპყრობელურ-ბატონყმურ წყობილებას და ათავისუფლებს მისგან ბურჟუაზიულ წყობილებას; ამგვარად, იგი ახორციელებს ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა კლასის მოთხოვნებს და ამ მხრივ იგი საერთო სახალხო რევოლუციაა. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენი რევოლუცია კლასობრივი არ იყოს; რა თქმა უნდა, არა. მაგრამ იგი მიმართულია იმ კლასებისა და კასტების წინააღმდეგ, რომელთაც ბურჟუაზიული საზოგადოების თვალსაზრისით დრო მოუჭამიათ და იჭამენ და რომელნიც უცხონი არიან ამ საზოგადოებისთვის, ხელს უშლიან მის განვითარებას. ხოლო რადგან ჩვენი ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრება ყველა თავისი ძირითადი თვისებით უკვე ბურჟუაზიული გახდა, რადგან მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ნამდვილად უკვე არსებობის ბურჟუაზიულ პირობებში ცხოვრობს, ამიტომ რევოლუციის საწინააღმდეგო ელემენტები ბუნებრივად სულ მთლად მცირერიცხოვანი არიან და «ხალხთან» შედარებით ჭეშმარიტად «ერთ მუჭას» წარმოადგენენ. ამიტომ ბურჟუაზიული რევოლუციის კლასობრივი ხასიათი აუცილებლად თავს იჩენს თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა კლასის «საერთო სახალხო», ერთი შეხედვით, არაკლასობრივი ბრძოლის სახით.

რუსეთშიც, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქას ახასიათებს კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივ წინააღმდეგობათა შედარებითი განუვითარებლობა. მართალია, რუსეთში ახლა კაპიტალიზმი ბევრად

უფრო განვითარებულია, ვიდრე 1848 წლის გერმანიაში, 1789 წლის საფრანგეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ წმინდა-კაპიტალისტურ წინააღმდეგობებს ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან ჩრდილავს ჩვენში «კულტურისა» და აზიურობის, ევროპეიზმისა და თათრობის, კაპიტალიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგობანი, ე. ი. პირველ რიგში დგება ისეთი მოთხოვნები, რომელთა შესრულება განავითარებს კაპიტალიზმს, გასწმენდს მას ფეოდალიზმის ნაშთებისაგან, გაუმჯობესებს ცხოვრებისა და ბრძოლის პირობებს პროლეტარიატისთვისაც და ბურჟუაზიისთვისაც.

მართლაც, თუ ჩავუკვირდებით იმ მოთხოვნებს, განაწესებს, **doléances**-ს *, რომელთაც უამრავი რაოდენობით ადგენენ ახლა რუსეთის ყოველ ქარხანაში, ყოველ კანცელარიაში, ყოველ **პოლკში, პოლიციელთა** ყოველ რაზმში, ყოველ **ეპარქიაში**, ყოველ სასწავლებელში და სხვ., და სხვ., ადვილად დავინახავთ, რომ მათი უდიდესი ნაწილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა «კულტურული» მოთხოვნებია. მე იმის თქმა მინდა, რომ ეს თავისთავად სპეციფიკური კლასობრივი მოთხოვნები კი არ არის, არამედ ელემენტური უფლებრივი მოთხოვნებია, ისეთი მოთხოვნებია, რომლებიც კაპიტალიზმს კი **არ** არღვევენ, არამედ, პირიქით, ევროპეიზმის ფარგლებში შეჰყავთ იგი, **კაპიტალიზმს** ბარბაროსობისა, ველურობისა, მექრთამეობისა და ბატონყმობის სხვა «რუსული» ნაშთებისაგან ათავისუფლებენ. არსებითად, პროლეტარული მოთხოვნებიც უმრავლეს შემთხვევაში ისეთი გარდაქმნებით კმაყოფილდება, რომელთა განხორციელებაც სავსებით შესაძლებელია კაპიტალიზმის ფარგლებში. რუსეთის პროლეტარიატი ამჟამად და დაუყოვნებლივ მოითხოვს არა იმას, რაც ძირს უთხრის კაპიტალიზმს, არამედ იმას, რაც მას სწმენდს და მის განვითარებას აჩქარებს, აძლიერებს.

ცხადია, კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროლეტარიატის განსაკუთრებული მდგომარეობა იწვევს იმას, რომ მუშე-

* — საჩივრებს. რ. ი. ფ.

ბის მისწრაფება სოციალიზმისადმი, მათი კავშირი სოციალისტურ პარტიასთან სტიქიური ძალით იჩენს თავს მოძრაობის სულ ადრინდელ საფეხურებზე. მაგრამ თვით სოციალისტური მოთხოვნები ჯერ კიდევ წინაა, ხოლო დღის წესრიგშია — მუშების დემოკრატიული მოთხოვნები პოლიტიკაში, ეკონომიური მოთხოვნები კაპიტალიზმის ფარგლების ეკონომიკაში. პროლეტარიატიც კი რევოლუციას ახდენს, ასე ვთქვათ, პროგრამა-მინიმუმისა და არა პროგრამა-მაქსიმუმის ფარგლებში. გლეხობაზე, მოსახლეობის ამ გიგანტურ, რიცხობრივად სრულიად ჭარბ მასაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მისი «პროგრამა-მაქსიმუმი», მისი საბოლოო მიზნები არ სცილდება კაპიტალიზმის ფარგლებს, კაპიტალიზმისა, რომელიც კიდევ უფრო ფართოდ და უფრო დიდად გაიშლება, თუ მთელი მიწა მთელი გლეხობისა და მთელი ხალხის ხელში გადავა. ამჟამად გლეხური რევოლუცია ბურჟუაზიული რევოლუციაა, — რაც უნდა «შეურაცხყოფდეს» ეს სიტყვები ჩვენებური ფილისტერული სოციალიზმის სენტიმენტალურ რაინდთა სენტიმენტალურ სმენას.

ახლანდელი რევოლუციის ზემოთ მოხაზული ხასიათი სრულიად ბუნებრივად წარმოშობს უპარტიო ორგანიზაციებს. ამასთან მთელ მოძრაობას ერთობლივ აუცილებლად გარეგანი უპარტიობის, მოჩვენებითი უპარტიობის დაღი ესმება — მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოჩვენებითი. «ადამიანური», კულტურული ცხოვრების, გაერთიანების, საკუთარი ღირსების დაცვის, ადამიანისა და მოქალაქის თავის უფლებათა დაცვის მოთხოვნილება ყველას და ყველაფერს მოიცავს, აერთიანებს ყველა კლასს, გიგანტურად წინ უსწრებს ყოველგვარ პარტიულობას, აფხიზლებს ადამიანებს, რომელთაც ჯერ კიდევ სულაც არა აქვთ პარტიულობამდე ამაღლების უნარი. უახლოეს, ელემენტარულ-აუცილებელ უფლებათა და რეფორმათა საარსებო საჭიროება უკან სწევს, ასე ვთქვათ, რაიმე შემდგომზე ფიქრსა და მოსაზრებებს. მიმდინარე ბრძოლით გატაცება, საჭირო და კანონიერი გატაცება, ურომლისოდაც შეუძლებელია ბრძოლის წარმატება, გვაიძულებს გავაიდეალოთ ეს

უახლოესი, ელემენტარული მიზნები, გვიხატავს მათ საამოფერად, ხანდახან ფანტასტიკურ სამოსშიც კი ახვევს ხოლმე მათ; უბრალო დემოკრატიზმს, ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს, სოციალიზმად ღებულობენ და სოციალიზმის «უწყებაში» რიცხავენ. ყოველივე და ყველაფერი თითქოს «უპარტიოა»; ყოველივე და ყველაფერი თითქოს გადახლართულია ერთ «განმათავისუფლებელ» (ნამდვილად კი მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების განმათავისუფლებელ) მოძრაობად; ყოველივე და ყველაფერი «სოციალიზმის» ოდნავ, სუსტ იერს ღებულობს, განსაკუთრებით დემოკრატიულ ბრძოლაში სოციალისტური პროლეტარიატის მოწინავე როლის მეოხებით.

ასეთ პირობებში უპარტიობის იდეამ არ შეიძლება განსაზღვრული დროებითი გამარჯვებანი არ მოიპოვოს. უპარტიობა არ შეიძლება ახალმოდის ლოზუნგად არ გახდეს, — ვინაიდან მოდა უმწეოდ მისჩანჩალებს უკან ცხოვრებას, ხოლო პოლიტიკური ზედაპირის ყველაზე «ჩვეულებრივ» მოვლენად სწორედ უპარტიო ორგანიზაცია ჩანს; უპარტიო დემოკრატიზმი, უპარტიო გაფიცვები, უპარტიო რევოლუციურობა.

იბადება კითხვა: როგორ უ ნ დ ა უყურებდნენ უპარტიობის ამ ფაქტსა და უპარტიობის ამ იდეას სხვადასხვა კლასის მომხრენი, წარმომადგენელნი? — როგორ უნდა უყურებდნენ არა სუბიექტური, არამედ ობიექტური აზრით, ე. ი. არა იმ აზრით, როგორც საჭიროა ვუყურებდეთ ამას, არამედ იმ აზრით, თუ როგორი აუცილებელი დამოკიდებულება იქმნება ამ ფაქტისადმი სხვადასხვა კლასის ინტერესთა და თვალსაზრისთა მიხედვით.

II

როგორც უკვე ცხადვყავით, უპარტიობა ჩვენი რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის წარმონაშობი — ან, თუ გნებავთ, გამოხატულებაა. ბურჟუაზიას არ შეუძლია უპარტიობისაკენ არ იხრებოდეს, რადგან ბურჟუაზიული საზოგადოების თავისუფლებისათვის მებრძოლთა შორის პარტიების არარსებობა ნიშნავს სწორედ ამავე ბურჟუაზიული საზოგადოების წინა-

აღმდეგ ახალი ბრძოლის არარსებობას. ვინც «უპარტიო» ბრძოლას ეწევა თავისუფლებისათვის, მას ან არ გაეგება თავისუფლების ბურჟუაზიული ხასიათი, ან აკანონებს ამ ბურჟუაზიულ წყობილებას, ანდა მის წინააღმდეგ ბრძოლას, მისი «გაუმჯობესების» საქმეს გადასდებს ხოლმე ბერძნულ კალენდებამდე [22]. და პირიქით, ვინც შეგნებულად ან შეუგნებლად ბურჟუაზიული წესწყობილების მხარეზეა, იგი არ შეიძლება არ გრძნობდეს უპარტიობის იდეისადმი მიდრეკილებას.

კლასებად დაყოფაზე დამყარებულ საზოგადოებაში მტრულ კლასებს შორის ბრძოლა, თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, აუცილებლად პოლიტიკურ ბრძოლად იქცევა. კლასთა პოლიტიკური ბრძოლის ყველაზე მთლიანი, სრული და ჩამოყალიბებული გამოხატულება პარტიათა ბრძოლაა. უპარტიობა პარტიათა ბრძოლისადმი გულგრილობაა. მაგრამ ეს გულგრილობა ნეიტრალიტეტს, ბრძოლისაგან თავშეკავებას როდი უდრის, რადგან კლასობრივ ბრძოლაში შეუძლებელია ნეიტრალობა, კაპიტალისტურ საზოგადოებაში შეუძლებელია «თავი შეიკავო» პროდუქტთა ან სამუშაო ძალის გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობისაგან. გაცვლა-გამოცვლა კი უცილობლად წარმოშობს ეკონომიურ ბრძოლას, ხოლო მასთან ერთად — პოლიტიკურ ბრძოლასაც. ამიტომ ბრძოლისადმი გულგრილობა სინამდვილეში სრულიადაც არ მოასწავებს ბრძოლისაგან ჩამოცილებას, თავშეკავებას ან ნეიტრალიტეტს. გულგრილობა ჩუმი მხარისდაჭერაა იმისი, ვინც ძლიერია, ვინც ბატონობს. ვინც რუსეთში თვითმპყრობელობას გულგრილად უყურებდა მის დამხობამდე ოქტომბრის რევოლუციის დროს, იგი ჩუმად მხარს უჭერდა თვითმპყრობელობას. ვინც თანამედროვე ევროპაში გულგრილად უყურებს ბურჟუაზიის ბატონობას, იგი ჩუმად მხარს უჭერს ბურჟუაზიას. ვინც გულგრილად უყურებს თავისუფლებისათვის ბრძოლის ბურჟუაზიული ხასიათის იდეას, იგი ჩუმად მხარს უჭერს ბურჟუაზიის ბატონობას ამ ბრძოლაში, ბურჟუაზიის ბატონობას თავისუფალ რუსეთში, რომელიც ახლა იბადება. პოლიტიკური განურჩევლობა — პოლიტიკური მაძღრობაა.

«განურჩევლად», «გულგრილად» ლუკმაპურს უყურებს მაძღარი ადამიანი; მშიერი კი ლუკმაპურის საკითხში ყოველთვის «პარტიული» იქნება. ლუკმაპურისადმი «განურჩევლობა და გულგრილობა» იმას კი არ ნიშნავს, რომ კაცს პური არ სჭირდებოდეს, არამედ იმას, რომ კაცი ყოველთვის უზრუნველყოფილია პურით, რომ მას პური არასოდეს არ უჭირს, რომ იგი მტკიცედ შეეწყო მაძღართა «პარტიას». ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უპარტიობა მხოლოდ ფარისევლური, დაფარული, პასიური გამოხატულებაა კუთვნილებისა მაძღართა პარტიისადმი, გაბატონებულთა პარტიისადმი, ექსპლოატატორთა პარტიისადმი.

უპარტიობა ბურჟუაზიული იდეაა. პარტიულობა სოციალისტური იდეაა. ეს დებულება, საერთოდ და მთლიანად, მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოებას შეეფარდება. რა თქმა უნდა, საჭიროა ვიცოდეთ, როგორ მივუყენოთ ეს ზოგადი ჭეშმარიტება ცალკეულ კერძო საკითხებსა და კერძო შემთხვევებს. მაგრამ ამ ჭეშმარიტების დავიწყება ისეთ დროს, როდესაც მთელი ბურჟუაზიული საზოგადოება მთლიანად ამხედრებულია ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, საქმით ნიშნავს სრულიად ხელი ავიღოთ ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალისტურ კრიტიკაზე.

რუსეთის რევოლუცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ თავისი განვითარების დასაწყის პერიოდშია, უკვე მრავალ მასალას იძლევა ზემოხსენებულ ზოგად მოსაზრებათა დასადასტურებლად. მტკიცე პარტიულობას ყოველთვის იცავდა და იცავს მხოლოდ სოციალ-დემოკრატია, შეგნებული პროლეტარიატის პარტია. ჩვენებურ ლიბერალებს, ბურჟუაზიის შეხედულებათა წარმომადგენლებს, სრულიად ვერ აუტანიათ სოციალისტური პარტიულობა და კლასობრივი ბრძოლის გაგონებაც კი არა სურთ: მოვიგონოთ თუნდაც ბ-ნ როდიჩევის მიერ ამას წინათ წარმოთქმული სიტყვები; მან მეასედ გაიმეორა ის, რასაც ლაპარაკობდა და ღეჭდა როგორც საზღვარგარეთული «ოსვობოჟდენიე» [23], ისე რუსული ლიბერალიზმის უამრავი ვასალური ორგანო. ბოლოს, შუათანა კლასის, წვრილ-

ბურჟუაზიის, იდეოლოგიამ მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა სხვადასხვა ელფერის რუსი «რადიკალების» შეხედულებებში, დაწყებული «ნაშა ჟიზნით»[24], რ.-დ. («რადიკალ-დემოკრატებით)[25] და გათავებული «სოციალისტ-რევოლუციონერებით». სოციალიზმისა და დემოკრატიზმის ერთმანეთში აღრევა ამ უკანასკნელებმა ყველაზე ნათლად აღბეჭდეს აგრარულ საკითხში და სახელდობრ «სოციალიზაციის» (მიწის სოციალიზაციის — კაპიტალის უსოციალიზაციოდ) ლოზუნგში. ცნობილია აგრეთვე, რომ ისინი, შემწყნარებელნი ბურჟუაზიული რადიკალიზმისა, არ იწყნარებენ სოციალ-დემოკრატიული პარტიულობის იდეას.

ჩვენს თემას არ შეადგენს იმის გარჩევა, თუ სახელდობრ როგორ იხატება სხვადასხვა კლასის ინტერესები ყველა სახის რუსი ლიბერალებისა და რადიკალების პროგრამასა და ტაქტიკაში. ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხეთ აქ ამ საინტერესო საკითხს და ახლა უნდა გადავიდეთ უპარტიო ორგანიზაციებისადმი ჩვენი პარტიის დამოკიდებულების პრაქტიკულ-პოლიტიკურ დასკვნებზე.

დასაშვებია თუ არა სოციალისტების მონაწილეობა საერთო პარტიულ ორგანიზაციებში? თუ დასაშვებია, რა პირობებშია იგი დასაშვები? როგორი ტაქტიკა უნდა გავატაროთ ასეთ ორგანიზაციებში?

პირველ კითხვაზე ვერ ვუპასუხებთ უცილობლად, პრინციპულად: არა. სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ არავითარ შემთხვევაში და არავითარ პირობებში არ შეიძლება სოციალისტებმა მონაწილეობა მიიღონ უპარტიო (ე. ი. ცოტად თუ ბევრად შეგნებულად თუ შეუგნებლად ბურჟუაზიულ) ორგანიზაციებში. დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში უპარტიო ორგანიზაციებში მონაწილეობაზე უარისთქმა განსაზღვრულ შემთხვევებში დემოკრატიულ რევოლუციაში მონაწილეობაზე უარისთქმა იქნებოდა. მაგრამ უეჭველია, რომ სოციალისტებმა ეს «განსაზღვრული შემთხვევები» ვიწროდ უნდა შემოფარგლონ, რომ მათ ამნაირი მონაწილეობის დაშვება შეუძლიათ მხოლოდ სასტიკად განსაზღვრულ, შეზღუდულ

პირობებში. ვინაიდან, თუ უპარტიო ორგანიზაციებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოშობს კლასობრივი ბრძოლის შედარებითი განუვითარებლობა, მეორე მხრივ, მტკიცე პარტიულობა ერთ-ერთი პირობაა იმისა, რომ კლასობრივი ბრძოლა შეგნებული, ნათელი, გარკვეული, პრინციპული გახდეს.

პროლეტარიატის პარტიის იდეური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაცვა სოციალისტთა მუდმივი, უცვლელი და უცილობელი მოვალეობაა. ვინც ამ მოვალეობას არ ასრულებს, იგი საქმით უკვე სოციალისტი აღარ არის, რაგინდ გულწრფელიც იყოს მისი «სოციალისტური» (სიტყვიერად სოციალისტური) რწმენა. უპარტიო ორგანიზაციებში მონაწილეობა სოციალისტისათვის დასაშვებია მხოლოდ როგორც გამონაკლისი. და თვით ამ მონაწილეობის მიზნები და მისი ხასიათი, პირობები და სხვა სავსებით უნდა დაუმორჩილდეს ძირითად ამოცანას: სოციალისტური პროლეტარიატის მომზადებასა და ორგანიზაციას სოციალისტური რევოლუციის შეგნებული ხელმძღვანელობისათვის.

გარემოებამ შეიძლება გვაიძულოს მონაწილეობა მივიღოთ უპარტიო ორგანიზაციებში, — განსაკუთრებით დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში და, კერძოდ, ისეთი დემოკრატიული რევოლუციისა, რომელშიც პროლეტარიატი თვალსაჩინო როლს ასრულებს. ასეთი მონაწილეობა შეიძლება აუცილებელი გახდეს, მაგალითად, გაურკვეველ-დემოკრატიული აუდიტორიის წინაშე სოციალიზმის საქადაგებლად ანდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სოციალისტებისა და რევოლუციური დემოკრატების ერთობლივი ბრძოლისათვის. პირველ შემთხვევაში ასეთი მონაწილეობა თავის შეხედულებათა გატარების საშუალება იქნება; მეორე შემთხვევაში — ეს იქნება საბრძოლო შეთანხმება განსაზღვრული რევოლუციური მიზნების მისაღწევად. ორივე შემთხვევაში მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ დროებითი იყოს. ორივე შემთხვევაში იგი დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სავსებით დაცული იქნება მუშათა პარტიის დამოუკიდებლობა და უპარტიო კავშირებსა

თუ საბჭოებში «წარგზავნილ» პარტიის წევრებსა და ჯგუფებს მთლიანად მთელი პარტია გაუწევს აუცილებელ კონტროლსა და ხელმძღვანელობას.

როდესაც ჩვენი პარტიის მუშაობა ფარული იყო, ამგვარი კონტროლისა და ხელმძღვანელობის განხორციელება უდიდეს, ზოგჯერ თითქმის დაუძლეველ, სიძნელეს წარმოადგენდა. ახლა, როცა პარტიის მუშაობა სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, ეს კონტროლი და ეს ხელმძღვანელობა შეიძლება და უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება ფართოდ და აუცილებლად არა მარტო პარტიის «ზედაფენების» წინაშე, არამედ «ქვედაფენების» წინაშეც, პარტიაში შემავალი მთელი ორგანიზებული მუშების წინაშე. მუშათა პარტიის პრაქტიკაში აუცილებლად უნდა შემოვიდეს უპარტიო კავშირებსა თუ საბჭოებში სოციალ-დემოკრატების გამოსვლების ანგარიშები, რეფერატები ამგვარი გამოსვლის პირობებისა და ამოცანების შესახებ, ყოველგვარი ტიპის პარტიული ორგანიზაციების რეზოლუციები ამნაირ გამოსვლათა შესახებ. მთელი პარტიის მხოლოდ ასეთ რ ე ა ლ უ რ მონაწილეობას, მონაწილეობას ყველა ამგვარ გამოსვლათა წ ა რ მ ა რ თ ვ ა შ ი შეუძლია საქმით დაუპირისპიროს ჭეშმარიტი სოციალისტური მუშაობა საერთო დემოკრატიულ მუშაობას.

რა ტაქტიკას უნდა ვადგეთ უპარტიო კავშირებში? ჯერ ერთი, ყოველგვარი შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ დამოუკიდებელი კავშირურთიერთობის დასამყარებლად და მთელი ჩვენი სოციალისტური პროგრამის პროპაგანდის გასაჩაღებლად. მეორე, უნდა განვსაზღვროთ მომენტის უახლოესი პოლიტიკური ამოცანები დემოკრატიული გადატრიალების უაღრესად სრული და გადამწყვეტი განხორციელების თვალსაზრისით, მივცეთ პოლიტიკური ლოზუნგები დემოკრატიულ რევოლუციაში, წამოვაყენოთ იმ გარდაქმნათა «პროგრამა», რომელნიც უნდა განახორციელოს მებრძოლმა რევოლუციურმა დემოკრატიამ მოვაჭრე, ლიბერალური დემოკრატიისაგან განსხვავებით.

საქმის მხოლოდ ასეთი დაყენებით შეიძლება დასაშვები და ნაყოფიერი იყოს ჩვენი პარტიის წევრთა მონაწილეობა იმ უპარტიო რევოლუციურ ორგანიზაციებში, რომელთაც დღეს მუშები ჰქმნიან, ხოლო ხვალ გლეხები, ზეგ კი ჯარისკაცები შეჰქმნიან და სხვ.. საქმის მხოლოდ ასე დაყენებით შევძლებთ განვახორციელოთ ბურჟუაზიულ რევოლუციაში მუშათა პარტიის ორგვარი ამოცანა: ბოლომდე მივიყვანოთ დემოკრატიული გადატრიალება, გავაფართოოთ და განვამტკიცოთ კადრები სოციალისტური პროლეტარიატისა, რომელსაც თავისუფლება ესაჭიროება ულმობელი ბრძოლისათვის კაპიტალის ბატონობის დასამხობად.

«ნოვაია ჟიზნ» №№ 22 და 27;
1905 წ. 26 ნოემბერი და 2 დეკემბერი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«ნოვაია ჟიზნის» ტექსტის
მიხედვით

სოციალიზმი და რელიგია

მთელი თანამედროვე საზოგადოება აგებულია მუშათა კლასის უდიდესი მასების ექსპლოატაციაზე მოსახლეობის სულ უმნიშვნელო უმცირესობის მიერ, რომელიც მიწათმფლობელთა და კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნის. ეს საზოგადოება მონათმფლობელურია, ვინაიდან კაპიტალისათვის მთელ სიცოცხლეში მომუშავე «თავისუფალ» მუშებს «უფლება აქვთ» მხოლოდ ისეთ საარსებო საშუალებებზე, რაც აუცილებელია მოგების შემქმნელი მონების შესანახად, კაპიტალისტური მონობის უზრუნველყოფისა და მარადისობისათვის.

მუშების ეკონომიური ჩაგვრა უცილობლად იწვევს და წარმოშობს ყოველგვარი სახის პოლიტიკურ ჩაგვრას, სოციალურ დაბეჩავებას, მასების სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების გატლანქვებასა და დაბნელებას. მუშებს შეუძლიათ მეტ-ნაკლები პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვონ თავიანთი ეკონომიური განთავისუფლებისათვის საბრძოლველად, მაგრამ ვერავითარი თავისუფლება ვერ იხსნის მათ სიღატაკისა, უმუშევრობისა და ჩაგვრისაგან, სანამ კაპიტალის ბატონობას არ დაამხობენ. რელიგია ერთ-ერთი სახეა სულიერი ჩაგვრისა, რომელიც ყველგან და ყოველ ადგილას ლოდად აწევს მუდამ სხვებისთვის მუშაობით, გაჭირვებითა და მარტოობით დათრგუნვილ ხალხის მასებს. ექსპლოატირებულ კლასთა უძლურება ექსპლოატატორებთან ბრძოლაში ისევე გარდუვალად წარმოშობს უკეთესი საიქიო ცხოვრების რწმენას, როგორც ველურის უძლურება ბუნებასთან ბრძოლაში წარმოშობს ღმერთთა, ეშმაკთა, სასწაულთა და სხვათა რწმენას. იმას, ვინც მთელ სიცოცხლეში მუშაობს და გაჭირვებულია,

რელიგია ასწავლის მორჩილებას და მოთმინებას სააქაო ცხოვრებაში და ანუგეშებს ზეციური ჯილდოს იმედით. ხოლო იმათ, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს, რელიგია სააქაო ცხოვრებაში ქველმოქმედებას ასწავლის, მთელი მათი ექსპლოატატორული არსებობის გასამართლებლად ძალიან იაფ საშუალებას აწვდის და ხელსაყრელ ფასად აძლევს ზეციური კეთილდღეობის ბილეთებს. რელიგია ხალხის ბანგია. [რელიგია სულიერი მათრობელასმაგვარი რამაა, რომელშიც ახრჩობენ კაპიტალის მონები თავიანთ ადამიანურ სახეს, ადამიანის რაოდენადმე ღირსი ცხოვრების მოთხოვნებს.

მაგრამ მონა, რომელსაც თავისი მონობა შეუგნია და თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლა დაუწყია, სანახევროდ უკვე მონა აღარაა.] თანამედროვე შეგნებული მუშა, მსხვილი საფაბრიკო მრეწველობის მიერ აღზრდილი, ქალაქის ცხოვრებით განათლებული, ზიზღით უკუაგდებს რელიგიურ ცრურწმენას; იგი ზეცას ხუცებისა და ბურჟუაზიული მუზმუზელების განკარგულებაში სტოვებს, ხოლო თვითონ უკეთესი ცხოვრების მოსაპოვებლად იბრძვის აქვე, დედამიწაზე. თანამედროვე პროლეტარიატი სოციალიზმის მხარეზე დგება, სოციალიზმი კი მეცნიერებას იშველიებს რელიგიურ ბურუსთან საბრძოლველად და მუშას საიქიო ცხოვრების რწმენისაგან **ათავისუფლებს** იმით, რომ რაზმავს მას ამქვეყნიური უკეთესი ცხოვრებისათვის ნამდვილად საბრძოლველად.

რელიგია კერძო საქმედ უნდა გამოცხადდეს — ჩვეულებრივ ამ სიტყვებით გამოხატავენ ხოლმე სოციალისტების დამოკიდებულებას რელიგიისადმი. მაგრამ ამ სიტყვების მნიშვნელობა ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, რათა მათ არავითარი გაუგებრობა არ გამოიწვიონ. ჩვენ მოვითხოვთ რელიგია კერძო საქმედ იყოს მიჩნეული სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია რელიგია კერძო საქმედ მივიჩნიოთ ჩვენი საკუთარი პარტიის მიმართ. სახელმწიფოს არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეს რელიგიასთან, რელიგიური საზოგადოებანი არ უნდა იყვნენ დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლებასთან. ყველა სრულიად თავისუ-

ფალი უნდა იყოს იწამოს რომელი რელიგიაც უნდა ან არა-
ვითარი რელიგია არ იწამოს, ე. .ი. იყოს ათეისტი, როგორიც
ჩვეულებრივ არის ხოლმე ყოველი სოციალისტი. სრულიად და-
უშვებელია მოქალაქეთა რაიმე უფლებრივი განსხვავება მათი
სხვადასხვა რელიგიური რწმენის გამო. ოფიციალურ დოკუ-
მენტებში ყოველგვარი ხსენებაც კი მოქალაქეთა ამა თუ იმ
სარწმუნოების აღიარების შესახებ აუცილებლად უნდა მოის-
პოს. არავითარი სახელმწიფო თანხა არ უნდა ეძლეოდეს ეკ-
ლესიას, არავითარი სახელმწიფო თანხა არ უნდა ეძლეოდეს სა-
ეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებებს, რომელნიც უნდა
გახდნენ თავისუფალ, ხელისუფლებისაგან სავსებით დამოუ-
კიდებელ მოქალაქე-თანამოაზრეთა კავშირებად. მხოლოდ ამ
მოთხოვნათა ბოლომდე განხორციელებით შეიძლება ბოლო
მოეღოს იმ სამარცხვინო და წყეულ წარსულს, როდესაც ეკ-
ლესია სახელმწიფოს ყმა იყო, ხოლო რუსეთის მოქალაქენი
სახელმწიფო ეკლესიის ყმები იყვნენ, როდესაც არსებობდა
და მოქმედებდა შუასაუკუნებრივი, ინკვიზიტორული კანონე-
ბი (ეს კანონები აქამდე დარჩენილია ჩვენს სისხლის სამარ-
თლის დებულებებსა და წესდებებში), რომლებიც სდევნიდნენ
რწმენისა ან ურწმუნოებისათვის, ძალას ატანდნენ ადამიანის
სინდისს, სახაზინო სამსახურს და სახაზინო შემოსავალს უკავ-
შირებდნენ ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ-საეკლესიო ბანგის
ჩამორიგებას. სახელმწიფოსაგან ეკლესიის სავსებით გამოყო-
ფა — აი ის მოთხოვნა, რომელსაც სოციალისტური პროლეტა-
რიატი თანამედროვე სახელმწიფოსა და თანამედროვე ეკლე-
სიას უდგენს.

რუსეთის რევოლუციამ უნდა განახორციელოს ეს მოთ-
ხოვნა, როგორც პოლიტიკური თავისუფლების აუცილებელი
შემადგენელი ნაწილი. ამ მხრივ რუსეთის რევოლუცია განსა-
კუთრებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, რადგან პოლი-
ციურ-ბატონყმური თვითმპყრობელობის საზიზღარმა ბიუროკ-
რატიზმმა სამღვდელოებაშიც კი უკმაყოფილება, მღელვარე-
ბა და აღშფოთება გამოიწვია. თუმცა ძალიან დაბეჩავებული,
ძალიან უმეცარი იყო რუსეთის მართლმადიდებელი სამღვდე-

ლობა, მაგრამ ახლა ისიც კი გამოაღვიძა რუსეთის ძველი, შუასაუკუნებრივი წესწყობილების დამხობის ჭექა-ქუხილმა. ისიც კი მხარს უჭერს თავისუფლების მოთხოვნას, პროტესტს აცხადებს ბიუროკრატიზმისა და მოხელეთა თვითნებობის წინააღმდეგ, პოლიციური მაძებრობის წინააღმდეგ, რაც «ღვთის მსახურთ» თავს მოახვიეს. ჩვენ, სოციალისტებმა, მხარი უნდა დავუჭიროთ ამ მოძრაობას, ბოლომდე უნდა მივიყვანოთ პატიოსან და გულწრფელ სასულიერო პირთა მოთხოვნები, თავისუფლებაზე ლაპარაკში ჩავიჭიროთ ხოლმე ისინი და მოვთხოვოთ, რომ მათ გადაჭრით გასწყვიტონ ყოველგვარი კავშირი რელიგიასა და პოლიციას შორის. ან თქვენ გულწრფელნი ხართ, და მაშინ მხარი უნდა დაუჭიროთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის სრულ გამოყოფას, მხარი უნდა დაუჭიროთ სარწმუნოების სავსებით და უსათუოდ კერძო საქმედ გამოცხადებას. ანდა თქვენ არ იზიარებთ თავისუფლების ამ თანამიმდევარ მოთხოვნებს, — და მაშინ თქვენ, ცხადია, ჯერ კიდევ ტყვე ხართ ინკვიზიციის ტრადიციებისა; მაშინ, ცხადია, თქვენ ჯერ კიდევ ეტმასნებით სახაზინო ადგილებსა და სახაზინო შემოსავალს; მაშინ, ცხადია, თქვენ არა გწამთ თქვენივე იარაღის სულიერი ძალა, განაგრძობთ სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ქრთამის მიღებას, — მაშინ მთელი რუსეთის შეგნებული მუშები დაუნდობელ ბრძოლას გიცხადებენ.

სოციალისტური პროლეტარიატის პარტიის მიმართ რელიგია კერძო საქმე არ არის. ჩვენი პარტია მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის შეგნებულ, მოწინავე მებრძოლთა კავშირია. ასეთი კავშირი არ შეიძლება გულგრილად უყურებდეს და არც უნდა უყურებდეს გულგრილად შეუგნებლობას, უმეცრებას ან ბნელეთის მოციქულობას რელიგიურ რწმენათა სახით. ჩვენ მოვითხოვთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრულ გამოყოფას, რათა რელიგიურ ბურუსს წმინდა იდეური და მხოლოდ იდეური იარაღით, ჩვენი პრესით, ჩვენი სიტყვით ვებრძოლოთ. მაგრამ ჩვენი კავშირი, რსდმპ, სხვათა შორის, ჩვენ დავაარსეთ სწორედ მუშების ყოველგვარი სარწმუნოებ-

რივი გაბრიყვების წინააღმდეგ ამგვარი ბრძოლისათვის. ჩვენთვის იდეური ბრძოლა კერძო საქმე კი არა, საერთო პარტიული, საერთო პროლეტარული საქმეა.

თუ ასეა, რატომ არ ვამბობთ ჩვენს პროგრამაში, რომ ათეისტები ვართ? რატომ არ ვუკრძალავთ ქრისტიანებსა და ღვთის მორწმუნეთ ჩვენს პარტიაში შემოსვლას?

ამ კითხვის პასუხი უნდა განმარტავდეს იმ დიდმნიშვნელოვან განსხვავებას, რომელიც რელიგიის საკითხის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალ-დემოკრატიულ დაყენებას შორის არსებობს.

მთელი ჩვენი პროგრამა აგებულია მეცნიერულ და, ამასთანავე, სწორედ მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე. ამიტომ ჩვენი პროგრამის განმარტება აუცილებლად სარწმუნოებრივი ბურუსის ჭეშმარიტი ისტორიული და ეკონომიური ფესვების განმარტებასაც შეიცავს. ჩვენი პროპაგანდა აუცილებლად ათეიზმის პროპაგანდასაც შეიცავს; სათანადო მეცნიერული ლიტერატურის გამოცემა, რომელსაც აქამდე სასტიკად კრძალავდა და სდევნიდა თვითმპყრობელურ-ბატონყმური სახელმწიფო ხელისუფლება, ახლა ჩვენი პარტიული მუშაობის ერთ-ერთ დარგს უნდა შეადგენდეს. ჩვენ, ალბათ, ახლა მოგვიხდება გავყვეთ იმ რჩევას, რაც ენგელსმა ერთხელ გერმანელ სოციალისტებს მისცა: გადმოთარგმნეთ და მასობრივად გაავრცელეთ XVIII საუკუნის ფრანგული საგანმანათლებლო და ათეისტური ლიტერატურაო [28].

მაგრამ ამასთანავე ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავყვეთ სარწმუნოებრივი საკითხის აბსტრაქტულ, იდეალისტურ, «წმინდა გონებრივ», კლასთა ბრძოლის გარეშე დაყენებას, როგორც ამას ხშირად სჩადიან ბურჟუაზიული რადიკალ-დემოკრატები. სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს მუშათა მასების უსაზღვრო ჩაგვრასა და გაუხეშებაზე დამყარებულ საზოგადოებაში შეიძლებოდეს რელიგიურ ცრურწმენათა გაფანტვა ცარიელი ქადაგებით. ბურჟუაზიული შეზღუდულობა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ რელიგიის მიერ კაცობრიობის ჩაგვრა მხოლოდ პროდუქტი და ანარეკლია სა-

ზოგადოების შიგნით არსებული ეკონომიური ჩაგვრისა. ვერავითარი წიგნებით და ვერავითარი ქადაგებით ვერ გავანათლებთ პროლეტარიატს, თუ იგი კაპიტალიზმის ბნელი ძალების წინააღმდეგ მისსავე საკუთარმა ბრძოლამ არ გაანათლა. ამ ქვეყნად სამოთხის დასამყარებლად ჩაგრული კლასის ამ ნამდვილი რევოლუციური ბრძოლის ერთიანობას ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პროლეტარების აზრთა ერთიანობას ზეციური სამოთხის შესახებ.

აი რატომ არ ვაცხადებთ და არც უნდა ვაცხადებდეთ ჩვენს პროგრამაში ჩვენს ათეიზმს; აი რატომ არ ვუკრძალავთ და არც უნდა ვუკრძალავდეთ პროლეტარებს, რომელთაც ძველ ცრურწმენათა ესა თუ ის ნაშთი შერჩენიათ, ჩვენს პარტიასთან დაახლოებას. მეცნიერულ მსოფლმხედველობას ჩვენ ყოველთვის ვიქადაგებთ; რომელიმე «ქრისტიანთა» არათანამიმდევრობასთან ბრძოლა ჩვენთვის აუცილებელია, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს საჭირო იყოს რელიგიის საკითხი დავაყენოთ პირველ ადგილას, რომელიც მას სრულიადაც არ ეკუთვნის, საჭირო იყოს ნამდვილად რევოლუციური, ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის ძალთა დაქსაქსვა რაღაც მესამეხარისხოვან აზრთა თუ ბოდვათა გულისთვის, რომელთაც ყოველგვარ პოლიტიკურ მნიშვნელობას სწრაფად უკარგავს, სწრაფად გადაისვრის ხოლმე ხარახურის საკუჭნაოში თვით ეკონომიური განვითარების მსვლელობა.

რეაქციული ბურჟუაზია ყველგან ზრუნავდა და ახლა ჩვენშიც იწყებს ზრუნვას, რათა გააღვივოს რელიგიური შუღლი, რათა მასების ყურადღება მიმართოს ამ მხრივ და ააშოროს იმ ნამდვილად მნიშვნელოვან და ძირითად ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებს, რომელთაც ახლა პრაქტიკულად სწყვეტს თავის რევოლუციურ ბრძოლაში გაერთიანებული სრულიად რუსეთის პროლეტარიატი. პროლეტარულ ძალთა დაქსაქსვის ამ რეაქციულმა პოლიტიკამ, რომელიც დღეს თავს იჩენს, უმთავრესად, შავრაზმული დარბევებით, შეიძლება ხვალ რაიმე უფრო მოქნილი რეფორმები მოიგონოს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მას დავუპირისპირებთ პროლეტარული სოლიდარობისა

და მეცნიერული მსოფლმხედველობის დინჯად, მტკიცედ და მოთმინებით ქადაგებას, რაც სრულიად თავისუფალია მეორეხარისხოვან უთანხმოებათა გამწვავებისაგან.

რევოლუციური პროლეტარიატი მიაღწევს იმას, რომ რელიგია სახელმწიფოსათვის მართლაც კერძო საქმედ იქცეს. და ამგვარ, შუასაუკუნებრივი ხავსისაგან გაწმენდილ პოლიტიკურ წყობილებაში პროლეტარიატი გააჩაღებს ფართო, აშკარა ბრძოლას ეკონომიური მონობის — კაცობრიობის რელიგიური გაბრიყვების ამ ნამდვილი წყაროს მოსასპობად.

«ნოვაია ჟიზნ» № 28,
1905 წ. 3 დეკემბერი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«ნოვაია ჟიზნის» ტექსტის
მიხედვით

«უმრავლესობის» ტამერფორსის კონფერენციის რეზოლუცია აგრარულ საკითხზე[27]

1905 წ. 12 — 17 (25 — 30) დეკემბერი

1. კონფერენცია აღიარებს, რომ გლეხთა მოძრაობის განვითარება სავსებით ადასტურებს რევოლუციური მარქსიზმის ძირითად პრინციპულ შეხედულებებს ამ მოძრაობის როგორც რევოლუციურ ხასიათზე, ისე მის ჭეშმარიტ საზოგადოებრივ-ეკონომიურ დედაარსზე, მოძრაობისა, რომელიც ანგრევს ბატონყმობის ნაშთებს და ჰქმნის სოფლად თავისუფალ ბურჟუაზიულ ურთიერთობას; კონფერენცია ფიქრობს, რომ ჩვენი პარტიის აგრარული პროგრამა სასურველია ამნაირად შეიცვალოს: მუხლი ჩამონაჭრების შესახებ ამოღებულ იქნას; მის მაგივრად აღინიშნოს, რომ პარტია მხარს უჭერს გლეხობის რევოლუციურ ღონისძიებებს თვით მთელი სახელმწიფო, საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო, საკაბინეტო და კერძომფლობელური მიწის კონფისკაციამდე; თავის მთავარ და მუდმივ ამოცანად ისახავს სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელ ორგანიზაციას, მისი ინტერესებისა და სოფლის ბურჟუაზიის ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობის ახსნა-განმარტებას, სოციალიზმის საბოლოო მიზანზე მითითებას, სოციალიზმისა, რომელსაც ერთადერთს შეუძლია მოსპოს საზოგადოების კლასებად დაყოფა და ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაცია.

2. კონფერენცია სურვილს გამოთქვამს, რომ აგრარული პროგრამიდან ამოღებულ იქნას გამოსასყიდ გადასახდელთა დაბრუნების და ამგვარად მიღებული თანხებიდან განსაკუთრებული ფონდის შექმნის მოთხოვნა. ხოლო სახელმწიფო, სამონასტრო და სხვ. მიწების კონფისკაციის მოთხოვნა გადატანილ იქნას სხვა მუხლში.

ჰექტოგრაფირებული ფურცელი
კონფერენციის რეზოლუციებით,
გამოცემული 1905 წ. დეკემბერს

იბეჭდება ფურცლის
ტექსტის მიხედვით

რევოლუციის ეტაპები, მიმართულება და პერსპექტივები

1) მუშათა მოძრაობა ერთბაშად ფეხზე აყენებს პროლეტარიატს რსდმ პარტიის ხელმძღვანელობით და აღვიძებს ლიბერალურ ბურჟუაზიას: 1895 — 1901/2.

2) მუშათა მოძრაობა გადადის აშკარა პოლიტიკურ ბრძოლად და იერთებს ლიბერალური და რადიკალური ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკურად გამოღვიძებულ ფენებს: 1901/2 — 1905.

3) მუშათა მოძრაობა ჩაღდება პირდაპირ რევოლუციად, ამავე დროს ლიბერალური ბურჟუაზია უკვე შეკავშირდა კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიად და ფიქრობს შეაჩეროს რევოლუცია ცარიზმთან მორიგებით, მაგრამ ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის რადიკალური ელემენტები ემხრობიან პროლეტარიატთან კავშირს რევოლუციის განსაგრძობად: 1905 (განსაკუთრებით მიწურული).

4) მუშათა მოძრაობა იმარჯვებს დემოკრატიულ რევოლუციაში, ლიბერალების პასიური ლოდინისა და გლეხობის აქტიური მხარდაჭერის პირობებში. პლუს რადიკალური, რესპუბლიკური ინტელიგენცია და წვრილი ბურჟუაზიის სათანადო ფენები ქალაქად. გლეხთა აჯანყება იმარჯვებს, მემამულეთა ხელისუფლება დამსხვრეულია.

(«პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა»).

5) ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც დროს უცდიდა მესამე პერიოდში, პასიური იყო მეოთხეში, პირდაპირ კონტრ-

1) Раб. Петербург подготовил почву сразу подركت. р. с.-д. и будит литер-дело: 1895—1901 гг.

2) Раб. движ. перех. в дух борьбы клас. обду и приобретает пролетарски классовый характер и ст. дело: 1901/2—1905.

3) Раб. движ. разгорается в грандиозное пожарище, пугает либ. дело и ст. дело (от осторожных робких нужен) и заставляет (compatriciat) с царизмом, но радик. дело и ст. дело ~~[illegible]~~ сближаются к союзу с крестьян. для продолжения революции

1905 (янв. 22)

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რევოლუციის ეტაპები, მიმართულება და პერსპექტივები». — 1905 წ.

დაპატარაკებულია

რევოლუციური ხდება და ირაზმება, რათა რევოლუციის მონაპოვარნი წაართვას პროლეტარიატს. გლეხობაში მთელი მისი შეძლებული ნაწილი და საშუალო გლეხობის მოზრდილი ნაწილიც «ჭკვიანდება», წყნარდება, პირს იბრუნებს კონტრრევოლუციისაკენ, რათა ძალაუფლება წაართვას პროლეტარიატს და მის თანამგრძნობ ღარიბ გლეხობას.

6) მეხუთე პერიოდში დამყარებული ურთიერთობის ნიადაგზე იზრდება და ჩაღდება ახალი კრიზისი და ახალი ბრძოლა, ამასთანავე პროლეტარიატი იბრძვის უკვე დემოკრატიულ მონაპოვართა შესანარჩუნებლად სოციალისტური გადატრიალებისათვის. ეს ბრძოლა თითქმის უიმედო იქნებოდა მარტოოდენ რუსეთის პროლეტარიატისათვის, და მისი დამარცხება ისევე გარდუვალი იქნებოდა, როგორც გერმანიის რევოლუციური პარტიის დამარცხება 1849 — 1850 წლებში ან როგორც საფრანგეთის პროლეტარიატის დამარცხება 1871 წელს, რუსეთის პროლეტარიატს **რომ** ევროპის სოციალისტური პროლეტარიატი არ მოშველებოდა.

ამრიგად, ამ სტადიაში ლიბერალური ბურჟუაზია და შეძლებული (+ნაწილობრივ საშუალო) გლეხობა აწყობენ კონტრრევოლუციას. რუსეთის პროლეტარიატი პლუს ევროპის პროლეტარიატი აწყობს რევოლუციას.

ასეთ პირობებში რუსეთის პროლეტარიატს შეუძლია მეორე გამარჯვება მოიპოვოს. საქმე უკვე უიმედო აღარ არის. მეორე გამარჯვება იქნება სოციალისტური გადატრიალება ევროპაში.

ევროპის მუშები გვიჩვენებენ, «როგორ ხდება ეს», და მაშინ ჩვენ მათთან ერთად ვახდენთ სოციალისტურ გადატრიალებას.

დაწერილია 1905 წ. დამლევს
ან 1906 წ. დამდეგს.

პირველად დაიბეჭდა 1926 წ.
«ლენინის კრებულში», V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მუშათა პარტია და მისი ამოცანები თანამედროვე ვითარებაში[28]

სტუდენტობის ზოგადი ამოცანები რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში უკვე არაერთხელ გაურკვევიათ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში, და ამიტომ ამ სტატიაში მათზე აღარ შევჩერდებით. სოციალ-დემოკრატ სტუდენტებს არა სჭირდებათ ვუმტკიცოთ არც მუშათა მოძრაობის მთავარი როლი, არც გლეხთა მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობა და არც ერთისა და მეორისადმი იმ ინტელიგენტთა დახმარების მნიშვნელობა, რომელთაც აწონ-დაწონეს მარქსისტული მსოფლმხედველობა, დადგნენ პროლეტარიატის მხარეზე და მზად არიან გახდნენ მუშათა პარტიის ღირსეული წევრები.

ჩვენ განზრახვა გვაქვს თუნდაც მოკლედ შევჩერდეთ მეორე საკითხზე, რომელსაც ამჟამად ყველაზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

რაში მდგომარეობს რუსეთის დიდი რევოლუციის თანამედროვე ვითარების თავისებურება?

იმაში, რომ მოვლენებმა სავსებით გამოააშკარავეს 17 ოქტომბრის მანიფესტის მთელი მოჩვენებითობა. კონსტიტუციური ილუზიები გაფანტულია. მთელი ხაზით რეაქცია მძვინვარებს. თვითმპყრობელობა სავსებით აღდგენილია და «გაძლიერებულიც» კი არის ადგილობრივი სატრაპების დიქტატორული უფლებებით, დაწყებული დუბასოვით და გათავებული დაბალი პოლიციით.

სამოქალაქო ომი გაჩაღებულია. პოლიტიკური გაფიცვა, როგორც ასეთი, იწყებს თავისი თავის ამოწურვას, წარსულს

ბარდება, როგორც მოძრაობის დრომოჭმული ფორმა. პიტერში, მაგალითად, დაუძლურებულმა და დაქანცულმა მუშებმა ვერ შესძლეს დეკემბრის გაფიცვის ჩატარება. მეორე მხრივ, მოძრაობა მთლიანად, ამჟამად რეაქციის მიერ შევიწროებული, მაინც უეჭველად ბევრად უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

მოსკოვის გმირმა პროლეტარიატმა გვიჩვენა აქტიური ბრძოლის შესაძლებლობა და ამ ბრძოლაში ქალაქის მოსახლეობის ისეთი ფენების მასა ჩააბა, რომელნიც აქამდე თუ რეაქციონერებად არა, პოლიტიკურად გულგრილ ფენებად მაინც ითვლებოდნენ. მოსკოვის ამბები კი[20] იყო იმ «მდინარების» მხოლოდ ერთ-ერთი უაღრესად რელიეფური გამოხატულება, რომელმაც რუსეთის ყველა კუთხეში გადმოხეთქა. გამოსვლის ახალი ფორმა ისეთი გიგანტური ამოცანების წინაშე იდგა, რომელთა გადაწყვეტა ერთბაშად, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. მაგრამ ეს ამოცანები ახლა დაყენებულია მთელი ხალხის წინაშე ნათლად და მკაფიოდ, მოძრაობა აყვანილია უფრო მაღლა, შემჭიდროებულია, გამობრძმედილია. არაფერს არ ძალუძს წაართვას რევოლუციას ეს მონაპოვარი.

დუბასოვის ზარბაზნებმა გაუგონარი ძალით გაარევოლუციურეს ხალხის ახალი მასები. განახლებულ კარიკატურულ სათათბიროს უკვე წინასწარვე ბევრად უფრო მეტი მტრობით შეხვდნენ მოწინავე მებრძოლთა რიგებში, შეუდარებლად მეტი სკეპტიციზმით ბურჟუაზიის რიგებში, ვიდრე ძველ ბულიგინის სათათბიროს.

მაშ რა მდგომარეობაა ამჟამად?

თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს. ახლა ჩვენ მოგველის ბრძოლის უკანასკნელ ფორმათა გამოცდილების შეთვისებისა და გადამუშავების ახალი სამუშაო, მოძრაობის უმთავრეს ცენტრებში ძალთა მომზადებისა და ორგანიზაციის სამუშაო.

მთავრობისთვის უაღრესად ხელსაყრელი იქნებოდა პროლეტართა დაქსაქსული გამოსვლების წინანდებურად დათრგუნვა. მთავრობას სურს მუშები დაუყოვნებლივ ჩაითრიოს ბრძოლაში პიტერშიც, მათთვის მეტად არახელსაყრელ პირობებში. მაგრამ მუშები არ აჰყვებიან ამ პროვოკაციას და შესძ-

ლებენ შემდგომი სრულიად რუსეთის მასშტაბით გამოსვლის დამოუკიდებლად მომზადების გზაზე დგომას.

ძალები ასეთი გამოსვლისათვის მოგვეპოვება: ისინი იზრდებიან უფრო ჩქარა, ვიდრე ოდესმე. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი იყო ჩაბმული დეკემბრის ამბების მდინარებაში. მოძრაობა ჯერ კიდევ არ გაშლილა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით.

შეხედეთ თუნდაც ბურჟუაზიულ-ზომიერსა და შავრაზმულ პრესას. არავის, «ნოვოე ვრემიასაც» [30] კი, არა სჯერა მთავრობის ტრაბახი ყოველი ახალი აქტიური გამოსვლის ჩანასახშივე დაუყოვნებლივ ჩახშობის შესახებ. არავის ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ გიგანტური ფიცხი მასალა, გლეხობა, მთელი სიძლიერით მხოლოდ გაზაფხულისათვის იფეთქებს. არავის სჯერა, რომ მთავრობას გულწრფელად სურდეს სათათბიროს მოწვევა ან შეეძლოს მისი მოწვევა რეპრესიების, საქმის გაჭიანურების, კანცელარიულობის, უუფლებობისა და უმეცრების ძველი სისტემის პირობებში.

არა რევოლუციონერთა გატაცება, რაც ასწილ სახიფათოა ისეთ საკითხში, როგორიცაა გადამწყვეტი გამოსვლის საკითხი, არამედ ცხადი, თვით რევოლუციის მოწინააღმდეგეთა მიერაც აღიარებული, ფაქტები მოწმობენ იმას, რომ მოსკოვში მთავრობამ ისეთი «გამარჯვება» მოიპოვა, რომელმაც მისი მდგომარეობა კიდევ უფრო უიმედო გახადა, ვიდრე იგი ოქტომბრამდე იყო.

გლეხთა აჯანყება იზრდება. ფინანსური კრახი ახლოვდება. ოქროს ვალუტა იღუპება. ნახევარი მილიარდი მანეთის დანაკლისის შევსება შეუძლებელია, მიუხედავად ევროპის რეაქციული ბურჟუაზიის სრული მზადყოფნისა დაეხმაროს თვითმპყრობელობას. რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოსადეგი ჯარები ყველა უკვე ამოძრავებულია, ხოლო კავკასიისა და ციმბირის «დამშვიდება» ჯერ კიდევ ჭიანურდება. 17 ოქტომბრის შემდეგ არმიასა და ფლოტში დაწყებული აშკარა მღელვარება, რა თქმა უნდა, არ დაცხრება მთელ რუსეთში თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ ძალადობის გამოყენებით. ტყვეების დაბრუნება და მანჯუ-

რიის არმიის დაბრუნება ამ მღელვარების გამწვავებას ნიშნავს. შინაური მტრის წინააღმდეგ ჯარის ახალი ნაწილების მობილიზაცია ახალ საფრთხეს უქმნის თვითმპყრობელობას. კრიზისი არათუ გადაჭრილია, პირიქით, იგი მოსკოვის «გამარჯვებამ» უფრო გააფართოვა და გაამწვავა.

დაე მუშათა პარტიის წინაშე აშკარად დაისახოს მისი ამოცანები. ძირს კონსტიტუციური ილუზიები! საჭიროა შევაგროვოთ ახალი, პროლეტარიატის მომხრე ძალები. საჭიროა «დავაგროვოთ გამოცდილება» რევოლუციის ორი დიადი თვისა (ნოემბერი და დეკემბერი). ხელახლა უნდა შეეგუოთ აღდგენილ თვითმპყრობელობას, უნდა მოვახერხოთ ყველგან, სადაც კი საჭიროა, ისევ ჩავძვრეთ იატაკქვეშ. საჭიროა უფრო გარკვეულად, პრაქტიკულად დავაყენოთ ახალი აქტიური გამოსვლის კოლოსალური ამოცანები, ვემზადოთ მისთვის უფრო მტკიცედ, უფრო სისტემატურად, უფრო შეუპოვრად და, რამდენადაც შესაძლებელია, დავზოგოთ საგაფიცვო ბრძოლით დაღლილი პროლეტარიატის ძალები.

ტალღა ტალღას მისდევს. დედაქალაქს — პროვინცია. გაჩაპირა მხარეებს — რუსეთის თვით შუაგული. პროლეტარიატს — ქალაქის წვრილი ბურჟუაზია. ქალაქს — სოფელი. რეაქციული მთავრობის ჩავარდნა მის უფართოეს ამოცანათა შესრულებაში აუცილებელია. რუსეთის დიდი რევოლუციის პირველი ფაზის შედეგი ბევრად არის დამოკიდებული ჩვენს მომზადებაზე 1906 წლის გაზაფხულისათვის.

დაწერილია 1905 წლის
დეკემბრის დამლევს.

დაიბეჭდა 1906 წ. 4 იანვარს
გაზეთ «მოლოდაია როსსიაში», № 1
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

გამოვუცხადოთ თუ არა ბოიკოტი სახელმწიფო სათათბიროს?

«უმრავლესობის» პლატფორმა

მუშათა კლასის პარტია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ერთიანდება. მისი ორი ნახევარი ერთმანეთს უერთდება და პარტიის უკვე გამოცხადებულ გამაერთიანებელ ყრილობას ამზადებს.

მაგრამ პარტიის ორივე ნახევარს შორის დარჩა კიდევ ერთი უთანხმოება სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. პარტიის ყველა წევრი ნათლად უნდა გაერკვეს ამ საკითხში, რათა შეგნებულად აირჩიოს საერთო ყრილობის დელეგატები, რითა დავა ისე გადაწყვიტოს, როგორც ეს სურს პარტიის ყველა წევრს და არა მხოლოდ მის ახლანდელ ცენტრალურსა და ადგილობრივ დაწესებულებებს.

ბოლშევიკები და მენშევიკები თანახმანი არიან იმისა, რომ ახლანდელი სათათბირო სახალხო წარმომადგენლობის უბადრუკი გაყალბებაა, რომ უნდა ვებრძოლოთ ამ სიყალბეს, ვემზადოთ შეიარაღებული აჯანყებისათვის მთელი ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული დამფუძნებელი კრების მოსაწვევად.

დავაა მხოლოდ ტაქტიკაზე სათათბიროს მიმართ. მენშევიკები ამბობენ: ჩვენმა პარტიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს რწმუნებულთა და ამრჩეველთა არჩევნებშიო. ბოლშევიკები ამბობენ: აქტიური ბოიკოტი გამოვუცხადოთ სათათბიროსო. ამ ფურცელში ჩვენ გადმოვცემთ ბოლშევიკების შეხედულებას, რომლებმაც რსდმ პარტიის 26 ორგანიზაციის წარმომა-

დგენელთა ამასწინათ გამართულ კონფერენციაზე მიიღეს რეზოლუცია არჩევნებში მონაწილეობის წინააღმდეგ. *.

რას ნიშნავს სათათბიროს აქტიური ბოიკოტი? ბოიკოტი ნიშნავს არჩევნებში მონაწილეობაზე უარისთქმას. ჩვენ არა გვსურს არც სათათბიროს დეპუტატების, არც ამრჩევლების, არც რწმუნებულების არჩევა. აქტიური ბოიკოტი ნიშნავს არა არჩევნებისაგან უბრალოდ ჩამოშორებას, არამედ საარჩევნო კრებების ფართოდ გამოყენებას სოციალ-დემოკრატიული აგიტაციისა და ორგანიზაციისათვის. კრებების გამოყენება იმას ნიშნავს, რომ შეიჭრა იქ ლეგალურადაც (ამომრჩეველთა სიაში ჩაწერით) და არალეგალურადაც, გადმოსცე იქ სოციალისტების მთელი პროგრამა და ყველა შეხედულება, ცხადჰყო სათათბიროს მთელი სიცრუე და სიყალბე, მოუწოდო დამფუძნებელი კრებისათვის საბრძოლველად.

რატომ ვამბობთ უარს არჩევნებში მონაწილეობაზე?

იმიტომ, რომ არჩევნებში მონაწილეობით ჩვენდა უნებურად ხალხში სათათბიროსადმი რწმენას განვამტკიცებთ, ამით შევასუსტებთ სახალხო წარმომადგენლობის გაყალბების წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის ძალას. სათათბირო პარლამენტი კი არა, თვითმპყრობელობის ხრიკია. ჩვენ უნდა ჩავფუშოთ ეს ხრიკი არჩევნებში ყოველგვარი მონაწილეობის უარყოფით.

იმიტომ, რომ, თუ დასაშვებად მივიჩნევთ არჩევნებში მონაწილეობას, მაშინ ბოლომდე, სათათბიროს დეპუტატების არჩევნებამდე უნდა მივიდეთ. ბურჟუაზიული დემოკრატები, მაგალითად, ხოდსკი «ნაროდნოე ხოზიაისტვოში», გვირჩევენ კიდეც ამ მიზნით კადეტებთან საარჩევნო შეთანხმებებს. მაგრამ ახლა ყველა სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც, უარყოფს ამ შეთანხმებებს, რადგან ესმის, რომ სათათბირო პარლამენტი კი არა, ახალი პოლიციური მოტყუებაა.

იმიტომ, რომ ახლა ჩვენ არჩევნებიდან პარტიულ სარგებლობას ვერ მივიღებთ. აგიტაციის თავისუფლება არ არსებობს.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 107 — 108. რ ე დ

მუშათა კლასის პარტია დევნილია. მის წარმომადგენლებს გაუსამართლებლად აპატიმრებენ, მისი გაზეთები დახურულია, მისი კრებები აკრძალულია. არჩევნების დროს პარტიას არ შეუძლია თავისი დროშა ლეგალურად გაშალოს, არ შეუძლია მთელი ხალხის წინაშე თავისი კანდიდატები წამოაყენოს ისე, რომ ამით ისინი პოლიციას ხელში არ ჩაუგდოს. საქმის ასეთი ვითარების დროს ჩვენი აგიტაციისა და ორგანიზაციის მიზნებს ბევრად უკეთეს სამსახურს უწევს კრებების რევოლუციური გამოყენება უარჩევნებოდ, ვიდრე კრებებში მონაწილეობა ლეგალური არჩევნებისათვის.

მენშევიკები სათათბიროს დეპუტატების არჩევნებს უარყოფენ, მაგრამ რწმუნებულებისა და ამრჩევლების არჩევა კი სურთ. რისთვის? იმისათვის, რომ მათგან სახალხო სათათბირო ან თავისუფალი, არალეგალური წარმომადგენლობა, მუშათა (და აგრეთვე გლეხთა) დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს მსგავსი რამ შექმნან?

ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ: თუ თავისუფალი წარმომადგენლები გვინდა, მათი არჩევის დროს რად უნდა გავუწიოთ ანგარიში რაღაც სათათბიროს? რად უნდა მივცეთ პოლიციას ჩვენი რწმუნებულების სიები? ანდა რად უნდა შევქმნათ მუშათა დეპუტატების ახალი საბჭოები ახლებურად, როდესაც ჯერ კიდევ არსებობს (მაგალითად, პიტერში) მუშათა დეპუტატების ძველი საბჭოები? ეს ამაოა, და საზიანოცაა, რადგან გამოიწვევს არასწორ, ოცნებობის განწყობილებას, თითქოს იმ საბჭოების გამოცოცხლება, რომლებიც ეცემიან და იხრწნებიან, შეიძლებოდეს ახალი არჩევნებით და არა აჯანყების ხელახალი მომზადებითა და გაფართოებით. ხოლო აჯანყების მიზნებისათვის კანონიერი არჩევნების კანონიერ ვადებში დანიშვნა პირდაპირ სასაცილოა.

მენშევიკები იმოწმებენ ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას პარლამენტებში, უვარგის პარლამენტებშიც კი. ეს დამოწმება სწორი არ არის. პარლამენტში ჩვენც ბოლომდე მივიღებთ მონაწილეობას. მაგრამ მენშევიკები თვითონაც ხედავენ, რომ სათათბირო პარლამენტი როდია, თვი-

თონვე უარს ამბობენ მასში მონაწილეობაზე. ამბობენ, მუშათა მასა დაიღალა და ლეგალური არჩევნებით დასვენება სწადიაო. მაგრამ პარტიას არ შეუძლია და არც უნდა ააგოს თავისი ტაქტიკა ზოგიერთი ცენტრის დროებით დაღლილობაზე. ეს პარტიის დაღუპვა იქნებოდა, ვინაიდან დაღლილი მუშები მოგვცემდნენ არაპარტიულ წარმომადგენლებს, რომელთაც მხოლოდ პარტიის სახელის გატეხა შეუძლიათ. საჭიროა მედგრად და მოთმინებით მუშაობა, პროლეტარიატის ძალთა დაზოგვა, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავკარგოთ იმის რწმენა, რომ განწყობილების დაცემა დროებითია, რომ მუშები უფრო მძლავრად, უფრო გაბედულად აღსდგებიან, ვიდრე მოსკოვში, რომ ისინი აღგვიან მეფის სათათბიროს. დაე სათათბიროში წავიდნენ განუვითარებელი, უმეცარი ადამიანები, — პარტია თავის ბედს მათ არ დაუკავშირებს. პარტია მათ ეტყვის: თქვენივე საკუთარი ცხოვრების გამოცდილება დაადასტურებს ჩვენს პოლიტიკურ წინასწარმეტყველებას. თქვენსავე თავზე გამოცდით, რა მატყუარობაა ეს სათათბირო, და მაშინ თქვენ დაუბრუნდებით პარტიას, რაკი დაინახავთ მის რჩევათა სისწორეს.

მენშევიკების ტაქტიკა წინააღმდეგობით აღსავსე და არათანამიმდევარია (არჩევნებში მონაწილეობა მივიღოთ, მაგრამ სათათბიროს დეპუტატებს ნუ ავირჩევთო). ასეთი ტაქტიკა მასობრივი პარტიისათვის გამოუსადეგარია, რადგან მარტივი და ნათელი გადაწყვეტილების მაგივრად დაბნეულ და ორაზროვან გადაწყვეტილებას მოგვცემს. იგი პრაქტიკული არ არის, რადგან რწმუნებულთა სიები თუ პოლიციას ჩაუვარდა ხელში, პარტია ძალიან დაზარალდება. დასასრულ, ეს ტაქტიკა სინამდვილეში განუხორციელებელია, რადგან კრებებზე მენშევიკების გამოსვლას ჩვენი პროგრამით აუცილებლად ის მოჰყვება, რომ ლეგალური არჩევნების ნაცვლად მივიღებთ კრებების არალეგალურ გამოყენებას უარჩევნებოდ. კრებებში მენშევიკების მონაწილეობას პოლიციური პირობები გადააქცევს იმად, რომ არჩევნებში მენშევიკების მონაწილეობას მოჰყვება კრებების ბოლშევიკური რევოლუციური გამოყენება.

ძირს სათათბირო! ძირს ახალი პოლიციური თვალთმაქცობა! მოქალაქენო! პატივი ეცით მოსკოვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებით! გაუმარჯოს თავისუფლად არჩეულ საყოველთაო სახალხო დამფუძნებელ კრებას!

ასეთია ჩვენი საბრძოლო ლოზუნგი. და ამ ლოზუნგს მხოლოდ აქტიური ბოიკოტის ტაქტიკა შეეფერება.

დაწერილია 1906 წ. იანვარში.
დაიბეჭდა 1906 წ. იანვარს
რსდმპ ც. კ.-ისა და გაერთიანებული
ც. კ.-ის ფურცლებში

იბეჭდება რსდმპ ც. კ.-ის
ფურცლის ტექსტის
მიხედვით

სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკა

დაწერილია 1906 წ. იანვარში.
დაიბეჭდა 1906 წ. თებერვალს
ბროშურაში: «სახელმწიფო სათათ-
ბირო და სოციალ-დემოკრატია»
გამომც. «პროლეტარსკოე დელო»,
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება ბროშურის
ტექსტის მიხედვით

11 დეკემბრის კანონმა [31] კვლავ დააყენა დღის წესრიგში სათათბიროს მიმართ ჩვენი ტაქტიკის საკითხი. მივიღოთ თუ არ მივიღოთ მონაწილეობა სათათბიროს არჩევნებში? — ამის შესახებ გაცხოველებით ჭორიკანობს ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პრესა. ამ საკითხზე თავისი აზრი გამოთქვა ამას წინათ რსდმპ «უმრავლესობის» ორგანიზაციების კონფერენციამ. ამ კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობდნენ 26 ორგანიზაციის წარმომადგენელნი, მათ შორის 14 მუშა, არჩეულნი პარტიის 4000-ზე მეტი ორგანიზებული წევრის მიერ, შესცვალა ცენტრალური კომიტეტის მიერ განზრახული და გამოცხადებული პარტიის IV ყრილობა. ყრილობა ვერ შესდგა რკინიგზელთა გაფიცვის, მოსკოვის აჯანყებისა და რუსეთის სულ სხვადასხვა კუთხეში მომხდარი სხვადასხვაგვარი ამბების გამო. მაგრამ ჩამოსულმა დელეგატებმა მოაწყეს «უმრავლესობის» კონფერენცია, რომელმაც, სხვათა შორის, სათათბიროს არჩევნების საკითხიც განიხილა და იგი უარყოფით გადაწყვიტა, არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობის აზრით. აი კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციის სათანადო ნაწილი:

«თვითმპყრობელური მთავრობა 17 ოქტომბრის შემდეგ მუდამ ფეხქვეშ თელავდა პროლეტარიატის მიერ მოპოვებულ ყველა ძირითად სამოქალაქო თავისუფლებას. მთავრობამ სისხლით მორწყო მთელი ჩვენი ქვეყანა, ივი ზარბაზნებსა და ტყვიამფრქვევებს უშენს თავისუფლებისათვის მებრძოლ მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებსა და მატროსებს! მთავრობა აბუჩად იგდებს დამფუძნებელი კრების მოწვევის საყოველთაო სახალხო მოთხოვნას და 11 დეკემბრის კანონით ცდილობს კვლავ მოატყუოს პროლეტარიატი და გლეხობა და გადასდოს თავისი საბოლოო დაღუპვა.

11 დეკემბრის კანონი ფაქტიურად სათათბიროში მონაწილეობას უსპობს პროლეტარიატსა და გლეხობის მასას და წინასწარ ცდილობს ყოველგვარი ხრიკებისა და პოლიციურ შეზღუდვათა შემწეობით უზრუნველყოს სათათბიროში ექსპლოატატორული კლასების შავრაზმული ელემენტების სიჭარბე.

კონფერენცია გამოთქვამს რწმენას, რომ მეფის ახალ კანონზე რუსეთის მთელი შეგნებული პროლეტარიატის პასუხი იქნება გადამწყვეტი ბრძოლა სახალხო წარმომადგენლობის როგორც ამ, ისე ყოველგვარი სხვა გაყალბების წინააღმდეგ.

კონფერენცია ფიქრობს, რომ სოციალ-დემოკრატია უნდა მიისწრაფოდეს, რომ ჩაფუშოს ეს პოლიციური სათათბირო და უარყოს მასში ყოველგვარი მონაწილეობა».

შემდეგ რეზოლუცია ყველა პარტიულ ორგანიზაციას ურჩევს ფართოდ გამოიყენონ საარჩევნო კრებები, მაგრამ არა იმისათვის, რომ პოლიციის შეზღუდვებს დაემორჩილონ და რაიმე არჩევნები მოახდინონ, არამედ იმისათვის, რომ პროლეტარიატის რევოლუციური ორგანიზაცია გააფართოონ და ხალხის ყველა ფენაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის აგიტაცია გასწიონ, რადგან მხოლოდ მასზე სრული გამარჯვების შემდეგ შეიძლება ხალხის ნამდვილად და თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მოწვევა.

სწორია თუ არა საკითხის ასეთი გადაწყვეტა? ამაზე რომ პასუხი გავცეთ, ჯერ განვიხილოთ შესაძლებელი საწინააღმდეგო მოსაზრებანი. სათათბიროში მონაწილეობის სასარგებლოდ ლაპარაკი ახლა შეიძლებოდა იმ გარემოების გამო, რომ მუშებმა სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის ზოგიერთი უფლება მიიღეს, აგრეთვე იმის გამოც, რომ აგიტაციის თავისუფლება რაოდენადმე უფრო ფართოა, ვიდრე 6 აგვისტოს კანონით დაპირებული ბულიგინის «პირველი» სათათბიროს ეპოქაში. ეს მოსაზრებანი, მოსკოვისა და სხვა აჯანყებების ჩახშობასთან დაკავშირებით, რამაც ვამოიწვია მიწყნარების, ახალი ძალების დაგროვებისა და მომზადების ერთგვარი პერიოდის აუცილებლობა, — რსდმპ «უმცირესობას» ბუნებრივად იქით ხრიდნენ და ხრიან, რომ მხარი დაუჭიროს არჩევნებში მონაწილეობას, ყოველ შემთხვევაში, რწმუნებულთა და ამრჩეველთა

არჩევნებში მაინც. ასეთი სოციალ-დემოკრატები ფიქრობენ, რომ ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ სახელმწიფო სათათბიროში მოხვედრას, რომ ამრჩეველთა არჩევაზე შორს წასვლა საჭირო არ არის, მაგრამ აუცილებელია, რომ მუშათა კურიის არჩევნების მოცემული შესაძლებლობა გამოვიყენოთ აგიტაციისათვის, პროლეტარიატის ორგანიზაციისა და მისი პოლიტიკური აღზრდისათვის.

ამ არგუმენტების გამო უწინარეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ ისინი სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობენ სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობისა და სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის ზოგადი საფუძვლებიდან. ჩვენ, «უმრავლესობის» წარმომადგენლებმა, უნდა აღვიაროთ ეს, რათა არ ჩავვარდეთ ფრაქციულ უკიდურესობაში, რომელსაც შეუძლია ავნოს პარტიის ერთიანობის უსათუოდ საჭირო საქმეს. ჩვენ უეჭველად ხელახლა, საქმიანად უნდა განვიხილოთ ტაქტიკის საკითხი. თუ მოვლენებმა დაადასტურა სისწორე ჩვენი ტაქტიკისა 6 აგვისტოს სათათბიროს მიმართ, რომელიც მართლაც ჩაფუშა, ბოიკოტი გამოუცხადა და აღგავა პროლეტარიატმა, აქედან ჯერ კიდევ სრულიადაც თავისთავად არ გამომდინარეობს, რომ ახალი სათათბიროს ჩაფუშვაც ამგვარადვე მოხერხდება. სიტუაცია ახლა იმდაგვარი აღარ არის, და გულმოდგინედ უნდა ავწონ-დავწონოთ მონაწილეობის სასარგებლო და საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

ჩვენ მოკლედ გადმოვეცით, ჩვენი აზრით, მთავარი მოსაზრებანი მის სასარგებლოდ. გადავიდეთ საწინააღმდეგო მოსაზრებებზე.

ახალი სათათბირო უეჭველად სახალხო წარმომადგენლობის კარიკატურაა. ჩვენი მონაწილეობა არჩევნებში ხალხის მასებს დამახინჯებულ წარმოდგენას მისცემს იმ შეფასებაზე, რომელსაც ჩვენ სათათბიროს ვაძლევთ.

აგიტაციის თავისუფლება არ არსებობს. კრებებს ერეკებიან. დელეგატებს აპატიმრებენ.

დუბასოვის «კონსტიტუციონალიზმის» ანკესზე რომ წამოვეგოთ, ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი პარტიული დროშის

გაშლას მასების წინაშე, ხოლო ჩვენს პარტიულ ძალებს თითქმის ამაოდ შევასუსტებთ, რადგან ჩვენი კანდიდატების «ლეგალური» გამოსვლა მხოლოდ დასაპატიმრებელთა გამზადებულ სიას ჩაუგდებს ხელში პოლიციას.

რუსეთის უმეტეს ადგილებში სამოქალაქო ომია გაჩაღებული. მიწყნარება აქ შეიძლება მხოლოდ დროებითი იყოს. მზადება კიდევ და კიდევ აუცილებელია. ჩვენი პარტიისათვის ამის დაკავშირება 11 დეკემბრის კანონის მიხედვით არჩევნების საქმესთან მიზანშეუწონელიცაა და პრაქტიკულადაც განუხორციელებელია. ჩვენ, კიდეც რომ მოვინდომოთ, «კანონის მიხედვით» არჩევნები არ გამოგვივა, რადგან ბრძოლის პირობები ამის საშუალებას არ მოგვცემს. ცალკეული გამონაკლისები, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ მათი გულისათვის სრულიად რუსეთის პროლეტარულ ტაქტიკაში არევ-დარევის, დეზორგანიზაციისა და ერთიანობის უქონლობის შეტანა რაციონალური არ არის.

სათათბიროს არჩევნები 11 დეკემბრის კანონის მიხედვით, დუბასოვებისა და დურნოვოების ბატონობის დროს, პარლამენტარიზმის წმინდა წყლის თამაშობაა. პროლეტარიატს არ შეჰფერის თამაშობაში მონაწილეობა.

პროლეტარიატის მასობრივი პარტიის ტაქტიკა მარტივი, ნათელი, პირდაპირი უნდა იყოს. ხოლო რწმუნებულთა და ამრჩეველთა არჩევა სათათბიროს დეპუტატთა აურჩევლად საკითხის არეულ-დარეულ და ორპოფ გადაწყვეტას იწვევს. ერთი მხრივ, აღიარებულია ლეგალური ფორმა არჩევნებისა კანონის მიხედვით. მეორე მხრივ, კანონი «იფუშება», რადგან არჩევნები წარმოებს არა კანონის განხორციელების მიზნით, არა სათათბიროში დეპუტატების გაგზავნის მიზნით. ერთი მხრივ, იწყება საარჩევნო კამპანია; მეორე მხრივ, იგი სწყდება ყველაზე მნიშვნელოვან (ყველა არჩევნების თვალსაზრისით) პუნქტში, სათათბიროს უშუალო შემადგენლობის გარკვევის დროს. ერთი მხრივ, მუშები თავიანთ (რწმუნებულთა და ამრჩეველთა) არჩევნებს ზღუდავენ 11 დეკემბრის კანონის უაზრო და რეაქციული ჩარჩოებით. მეორე მხრივ,

ამ მუშათა არჩევნებს, რომელიც აშკარად არასრულად და არასწორად ასახავს პროლეტარიატის მოწინავე მისწრაფებებს, ეკისრება სათათბიროს გარეშე (რომელიმე არალეგალური წარმომადგენლობის ან არალეგალური სათათბიროს ან სახალხო სათათბიროს და სხვ. სახით) განახორციელოს ეს მისწრაფებანი. გამოდის უაზრობა: არარსებული პარლამენტის არჩევნები არარსებული საარჩევნო უფლების საფუძველზე. პიტერსა და მოსკოვში მუშათა დეპუტატების საბჭოები აირჩიეს თვითონ მუშებმა არა პოლიციური «კანონიერი ფორმების» მიხედვით. და ამ საბჭოების დაპატიმრებამ ფრიად მნიშვნელოვანი გაკვეთილი მისცა მუშებს. ამ დაპატიმრებამ ცხადჰყო, რარიგ სახიფათოა ცრუკონსტიტუციონალიზმის ნდობა, რარიგ მოკლებულია სიმტკიცეს «რევოლუციური თვითმმართველობა» რევოლუციურ ძალთა გაუმარჯვებლად, რარიგ არასაკმარისია დროებითი უპარტიო ორგანიზაცია, რომელსაც ზოგჯერ შეუძლია შეავსოს მტკიცე და ხანგრძლივი საბრძოლო პარტიული ორგანიზაცია, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესცვლის მას. დედაქალაქის მუშათა დეპუტატების საბჭოები იმიტომ დაეცნენ, რომ მათ არ აღმოაჩნდათ საკმაოდ მტკიცე დასაყრდენი პროლეტარიატის მებრძოლ ორგანიზაციაში. ჩვენ რომ ეს საბჭოები ამრჩეველთა ან რწმუნებულთა კრებებით შევცვალოთ, ეს იქნება სიტყვიერი დასაყრდენი მებრძოლი დასაყრდენის ნაცვლად, კვაზი-პარლამენტური დასაყრდენი რევოლუციური დასაყრდენის ნაცვლად. ეს იგივე იქნებოდა, ჩვენ რომ არარსებული ზარბაზანი მუყაოზე დახატული ზარბაზნით შეგვეცვალა.

შემდეგ, არჩევნებში მონაწილეობით ჩვენ პროლეტარიატს ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი ყალბ დამოკიდებულებაში ვაყენებთ. ეს უკანასკნელი კვლავ ითიშება. ზომიერი ლიბერალები (კადეტები) თავგამოდებით იცავენ მონაწილეობას. რადიკალები ბოიკოტისკენ იხრებიან. ამ გათიშვის კლასობრივი სარჩული ცხადია: ბურჟუაზიის მარჯვენა ფრთა სათათბიროს საშუალებით რეაქციასთან მორიგებისაკენ იხრება. ბურჟუაზიის მარცხენა ფრთა რევოლუციასთან კავ-

შირისაკენ ან, ყოველ შემთხვევაში, მისთვის მხარდაჭერისაკენ იხრება (გაიხსენეთ კავშირთა კავშირის შეერთება პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მანიფესტთან მთავრობის ფინანსური კრახის შესახებ [35]). ბოიკოტის ტაქტიკა რევოლუციური და ოპორტუნისტული ბურჟუაზიისადმი პროლეტარიატის ნათელ და სწორ დამოკიდებულებას ამყარებს. მონაწილეობის ტაქტიკა საშინელ ქაოსს შეიტანდა და ხელს შეუშლიდა პროლეტარიატს გამოეცნო მისი უახლოესი მოკავშირეები და მისი მტრები.

ბოლოს, მონაწილეობის პრაქტიკული მიზნები, თუ მეტად არა, ნაკლებ განსახორციელებელი არ არის ბოიკოტითაც. პროლეტარიატის ძალთა აღნუსხვა, აგიტაცია და ორგანიზაცია, მუშათა კურიაში ს.-დ. ბატონობის უზრუნველყოფა, — ყოველივე ეს სავსებით შესაძლებელია საარჩევნო კრებების რევოლუციური გამოყენების დროსაც ნაცვლად მათში მონაწილეობისა, ყოველივე ეს სრულიადაც არ მოითხოვს სახელდობრ «რწმუნებულთა» და სახელდობრ «ამრჩეველთა» არჩევას. ყოველივე ამას უფრო ცუდად მივაღწევთ, თუ ძალებს მოვაცდენთ ამ სასაცილო ლეგალური არჩევნებისათვის, რადგან ამ არჩევნების მიზნებს ჩვენ თვითონვე არა ვცნობთ, ხოლო პოლიციისათვის ამის შეტყობინება სრულიადაც არ არის ჩვენთვის ხელსაყრელი. პრაქტიკულად თითქმის ყოველთვის გამოგვივა, უთუოდ, სწორედ საარჩევნო კრებების რევოლუციური გამოყენება და არა მათში მონაწილეობა, რადგან მუშები პოლიციურ შეზღუდვებს არ დაემორჩილებიან, «გარეშე პირთ» (იგულისხმე ს.-დ.) არ გამოდევნიან, არჩევნების წესებს არ დაიცავენ. მოვლენათა ძალა, რევოლუციური სიტუაციის ძალა იქამდე მიგვიყვანს, რომ «საარჩევნო» კრებებზე არჩევნები კი არ გვექნება, არამედ პარტიული აგიტაცია არჩევნების გარეშე და არჩევნების წინააღმდეგ, ე. ი. გვექნება ეგრეთწოდებული «აქტიური ბოიკოტი». რანაირადაც უნდა ვუყურებდეთ საქმეს, რაგვარადაც უნდა განვმარტავდეთ ჩვენს შეხედულებებს, რანაირ შენიშვ-

ნებსაც უნდა ვაყენებდეთ, ყოველ შემთხვევაში, არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად აქვს ტენდენცია წარმოშვას აზრი დამფუძნებელი კრების სათათბიროთი შეცვლის შესახებ, სათათბიროს მეოხებით დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ და სხვ. სათათბიროში წარმომადგენლობის სიყალბისა და ფიქციურობის ცხადყოფა, დამფუძნებელი კრების რევოლუციური გზით მოწვევის მოთხოვნა და იმავე დროს სათათბიროში მონაწილეობა — ისეთი ტაქტიკაა, რომელსაც შეუძლია რევოლუციურ მომენტში მხოლოდ თავგზა აუბნიოს პროლეტარიატს, მხოლოდ მხარი დაუჭიროს მუშათა მასის ყველაზე ნაკლებად შეგნებულ ელემენტებს და ამ მასის ბელადთაგან ყველაზე ნაკლებად სინდისიერ, ყველაზე ნაკლებად პრინციპულ ელემენტებს. ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ ჩვენი ს.-დ. კანდიდატურების სრული და უსრულესი დამოუკიდებლობის შესახებ, ჩვენი მონაწილეობის წმინდა და უწმინდესი პარტიულობის შესახებ, მაგრამ პოლიტიკური ვითარება ყოველგვარ განცხადებაზე ძლიერია. სინამდვილე არ გამოვა, არ შეიძლება გამოვიდეს, ამ განცხადებათა თანახმად: სინამდვილეში აუცილებლად მივიღებთ, ჩვენი ნების წინააღმდეგ, არა სოციალ-დემოკრატიულ და არა პარტიულ მუშათა პოლიტიკას ახლანდელ სათათბიროში ახლანდელი მონაწილეობით.

ერთადერთი სწორი ტაქტიკა არის ტაქტიკა, რომელსაც «უმრავლესობის» კონფერენცია გვირჩევს.

ამ დასკვნის საინტერესო დადასტურებას (არაპირდაპირს) «კადეტების» პოზიცია წარმოადგენს. თავის «სიკვდილისწინა» ნომერში (20 დეკემბრის თარიღით) «ნაროდნაია სვობოდა» შემდეგნაირად მსჯელობს ხელახლა ამოტივტივებული საკითხის გამო — წავიდეთ თუ არა სათათბიროში. უახლოესი ამოცანაა სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევა. გაზეთს ეს დებულება დამტკიცებულად მიაჩნია. ვინ და როგორ მოიწვევს ამ დამფუძნებელ კრებას? «ნაროდნაია სვობოდას» აზრით, ამაზე სამნაირი პასუხია შესაძლებელი:

1) კანონიერი (ანუ **de facto** * თვითმპყრობელური) მთავრობა; 2) დროებითი რევოლუციური მთავრობა; 3) სახელმწიფო სათათბირო, როგორც «ძალაუფლების მეტოქე ძალაუფლება». თავისთავად იგულისხმება, რომ «კადეტები» მესამე «გამოსავალს» ირჩევენ და სწორედ ამგვარი გამოსავალის გულისთვის დაჟინებით მოითხოვენ სათათბიროში მონაწილეობის აუცილებლობას. პირველ გამოსავალს ისინი უარყოფენ, უკუაგდებენ რა მთავრობაზე ყოველგვარი იმედის დამყარებას. მეორე გამოსავალის შესახებ ისინი მსჯელობის უაღრესად დამახასიათებელ, შემდეგს ნიმუშს იძლევიან:

«განა შეიძლება იმედი ვიქონიოთ იმ დროებითი მთავრობის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ **განხორციელებისა**, რომელზედაც რევოლუციური პარტიები ახლაც — **ჩახშობილი** აჯანყების სისხლიანი თავბრუდახვევის დროს — **განაგრძობენ ოცნებას? ვთქვათ** პირდაპირ: არა, არ შეიძლება, — და **არ შეიძლება** არა იმიტომ, **რომ** შეიარაღებული აჯანყება შეუძლებელია: **მოსკოვმა** წინააღმდეგი **დაგვიმტკიცა**; და არცთუ იმიტომ, **რომ** ასეთი აჯანყება **საბედისწეროდ** იქნება ჩახშობილი შეიარაღებული ძალით: ვის შეუძლია მომავალი იწინასწარმეტყველოს?

დროებითი მთავრობის იმედი იმიტომ არ შეიძლება ვიქონიოთ, **რომ** იგი ვ ე რ ა ვ ი თ ა რ პ ი რ ო ბ ებ ში — თუნდაც წარმატებითი აჯანყების შემთხვევაშიც — ვერ იქნება საკმაოდ მტკიცე და ავტორიტეტული იმისათვის, **რომ** რუსეთის მიწაწყლის «დანგრეული ნაგებობა კვლავ ააგოს». **მას საზოგადოებრივი** სიღრმიდან **მომდინარე** კონტრრევოლუციური ტალღა **წალეკავს.**

რუსეთის რევოლუცია თვეობით კი არა, წლობით გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში მან მოასწრო თავისი გზის გარკვევით და მკვეთრად დასახვა; და პირდაპირ უნდა ითქვას, **რომ** ამ გზას არც შეიარაღებული აჯანყებისა და არც დროებითი მთავრობისაკენ არ მივყავართ. ნუ დავხუჭავთ თვალს სინამდვილის წინაშე. ლიბერალური ინტელიგენციაც, გლეხობაც და პროლეტარიატიც — **რევოლუციურნი** არიან, **მაგრამ** ამ სამი ელემენტის **რევოლუციური** კოალიცია **შეიარაღებული** აჯანყების **ბაირაღით** — შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა. ნუ **გამოვეკიდებით** იმის **განხილვას**, ვინ **არის** მართალი **და** ვინ მტყუანი; ფაქტი ფაქტად რჩება. **მაგრამ** ამ **შემთხვევაში** **რა** ელემენტებისაგან **შეიძლებოდა** **შემდგარიყო** **რევოლუციურ** **პარტიათა** **ეს** **ყბადაღებული** **დროებითი** **მთავრობა?** **რა** **იქნებოდა** **იგი?** **პროლეტარიატის** **დიქტატურა?** **მაგრამ** **თანამედროვე** **რუსეთში** **პროლეტარიატის** **დიქტატურაზე** **ლაპარაკიც** **ზედმეტია**»...

* — ფაქტიურად, ნამდვილად. რ ე დ.

ჩვენ განგებ ამოვწერეთ სრულად ეს მსჯელობა, რადგან იგი ჩინებულად, და «კადეტებისთვის» იშვიათი სიცხადით გადმოგვცემს ლიბერალურ-ბურჟუაზიული თვალსაზრისის დედაარსს. ამ მსჯელობის შეცდომები ისე თვალსაჩინოა, რომ საკმარისია მათზე მოკლედ მივუთითოთ. თუ ახლა დამტკიცებულია შეიარაღებული აჯანყების შესაძლებლობა და წინასწარ შეუძლებელია დამტკიცება მისი უიმედობისა წარმატების აზრით, მაშინ ეს რაღა პასუხია: «კონტრრევოლუცია წალეკავს»? ეს არის სიტყვის ბანზე აგდება, რაც თავისი უძლურებით სასაცილოა. რევოლუცია უკონტრრევოლუციოდ არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს. ახლა აი 17 ოქტომბერიც კონტრრევოლუციურმა ტალღამ წალეკა, მაგრამ განა ეს კონსტიტუციური მოთხოვნების უნიადაგობას ამტკიცებს? საქმე ის კი არ არის, იქნება თუ არა კონტრრევოლუცია, არამედ ის, თუ საბოლოო ანგარიშით ვინ დარჩება გამარჯვებული აუცილებლად ხანგრძლივი და ბედის ყოველგვარი უკუღმართობით აღსავსე ბრძოლების შემდეგ?

«ნაროდნაია სვობოდას» ესმის, რომ ამ საკითხს სოციალურ ძალთა მხედველობაში მიღება სწყვეტს. და იგიც მხედველობაში იღებს, აღიარებს როგორც პროლეტარიატის, ისე გლეხობისა და ლიბერალური ინტელიგენციის რევოლუციურობას. მაგრამ გაზეთი «ბრძანებს»: მათი «კოოპერაცია შეიარაღებული აჯანყების ბაირაღით — შეუძლებელიაო». რატომ? ამაშია საკითხის მთელი დედააზრი და ცარიელი ლათაიებით აქ ფონს ვერ გახვალ. ეს ფაქტია და ფაქტად რჩება, რომ ჯანყდება პროლეტარიატი, ჯანყდება გლეხობაც, ბურჟუაზიული ინტელიგენციის, ყოველ შემთხვევაში, ერთგვარი ნაწილის მონაწილეობით. როცა გაზეთმა აღიარა (ახლა ამას არავისი აღიარება აღარ სჭირდება) შეიარაღებული აჯანყების შესაძლებლობის ფაქტი, როცა მან აღიარა, რომ ყველა მომავალი აფეთქების უეჭველი წარუმატებლობის წინასწარმეტყველება შეუძლებელიაო, მან თავის მსჯელობას ყოველგვარი ნიადაგი გამოაცალა. გაზეთი თავს იძვრენს მხოლოდ სიყალბით, უარყოფს რა პროლეტარიატის დიქტატურის,

ე. ი. სოციალისტური დიქტატურის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც ლაპარაკი უნდა იყოს პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიულ დიქტატურაზე. ამ კლასებისადმი თანაგრძნობა და მათთვის ხელის შეწყობა წვრილი ბურჟუაზიის განსაზღვრული ნაწილის მხრივ საერთოდ და ბურჟუაზიული ინტელიგენციის განსაზღვრული ნაწილის მხრივ კერძოდ — უზრუნველყოფილია; რჩება ორგანიზებულობისა და ბრძოლის უნარის დონის საკითხი. ეს, რა თქმა უნდა, მეტად დიდი და სერიოზული საკითხია, მაგრამ მისი ხელაღებით უარყოფით გადაწყვეტა მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომელთაც აშკარად სურთ თავი დაიძვრინონ საკითხის გადაჭრისაგან.

ლიბერალური მემამულეების პოზიცია ცხადია. სათათბიროში მონაწილეობა მათ სწორედ იმიტომ უნდათ, რომ არა სურთ რევოლუციურ ბრძოლაში მონაწილეობა. მათ სათათბიროს მოწვევა სწორედ იმიტომ უნდათ, რომ არ უნდათ დამფუძნებელი კრების რევოლუციურად მოწვევა. მათ სათათბირო სწორედ იმიტომ უნდათ, რომ მორიგება სურთ. სათათბიროსადმი ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატების სხვადასხვანაირი დამოკიდებულება, ამგვარად, სავსებით ცხადად გამოხატავს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი პოზიციის განსხვავებას, ხოლო თუ რამდენად უიმედოა მორიგებაზე და სათათბიროზე ოხვრა გამწვავებული სამოქალაქო ომის ეპოქაში, ეს, სხვათა შორის, ჩანს «კადეტური» გაზეთების დახურვით და საერთოდ მთელი ლიბერალური ლეგალური პრესის საცოდავი არსებობით. მთელ ამ პრესას ყოველდღე მოჰყავს უამრავი ფაქტი, რომლებიც გვიჩვენებენ სათათბიროს წარმომადგენლობის სრულ სიყალბეს, რაოდენადმე მაინც თავისუფალი აგიტაციის, რაოდენადმე მაინც სწორი არჩევნების სრულ შეუძლებლობას. რევოლუციური და კონტრრევოლუციური სიტუაციის სინამდვილე ყოველგვარ საბუთებზე უკეთ არღვევს სათათბიროში ბრძოლის მიზნით მონაწილეობის ოცნებას, ყოველგვარ საბუთებ-

ზე უკეთ ადასტურებს აქტიური ბოიკოტის ტაქტიკის სისწორეს.

დასასრულ ორიოდე სიტყვა კიდევ იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა დავაყენოთ ახლა ჩვენი შინაპარტიული აგიტაცია სათათბიროს აქტიური ბოიკოტის სასარგებლოდ რსდმპ ფრაქციების ამჟამად მიმდინარე შეერთებასთან და რსდმპ სრულ გაერთიანებასთან დაკავშირებით.

შეერთება აუცილებელია. შეერთებას მხარი უნდა დავუჭიროთ. შეერთების გულისთვის ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ მენშევიკებთან ტაქტიკის გამო ამხანაგობის ფარგლებში, უნდა ვეცადოთ გადავაჯეროთ პარტიის ყველა წევრი, პოლემიკას მივცეთ სასარგებლო და საწინააღმდეგო საბუთების საქმიანი გადმოცემის, პროლეტარიატის პოზიციისა და მისი კლასობრივი ამოცანების გარკვევის ხასიათი. მაგრამ შეერთება სრულიადაც არ გვავალდებულებს მივჩქმალოთ ტაქტიკური უთანხმოებანი ან არათანამიმდევრად და არა წმინდა სახით გადმოვცეთ ჩვენი ტაქტიკა. სრულიადაც არა. იდეური ბრძოლა იმ ტაქტიკისათვის, რომელიც ჩვენ სწორად მიგვაჩნია, აუცილებლად უნდა ვაწარმოოთ აშკარად, პირდაპირ და გადაჭრით ბოლომდე, ე. ი. პარტიის გამაერთიანებელ ყრილობამდე. ერთიან პარტიაში პარტიის უშუალო მოქმედებათა განმსაზღვრელი ტაქტიკა ერთი უნდა იყოს. ასეთი ერთიანი ტაქტიკა უნდა იყოს პარტიის წევრთა უმრავლესობის ტაქტიკა: როდესაც უმრავლესობა სავსებით გამორკვეულია, უმცირესობა ვალდებულია დაემორჩილოს მას თავის პოლიტიკურ მოქმედებაში, ოღონდ ისე, რომ შეინარჩუნოს კრიტიკისა და აგიტაციის უფლება, რათა საკითხი ახალ ყრილობაზე გადაწყდეს.

ჩვენი პარტიის ახლანდელ მდგომარეობაში ორივე ფრაქცია დათანხმდა გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევას, ორივე დათანხმდა დაემორჩილოს მის გადაწყვეტილებებს. სწორედ გამაერთიანებელი ყრილობა დაადგენს პარტიის ერთიან ტაქტიკას. ჩვენი ამოცანაა მთელი ძალღონით დავაჩქაროთ ამ ყრილობის მოწვევა და უაღრესად ენერგიუ-

ლად ვიმუშაოთ იმისათვის, რომ პარტიის ყველა წევრმა ნათლად გაიგოს და ნათელი წარმოდგენა იქონიოს სათათბიროში მონაწილეობის ტაქტიკის სხვადასხვაობაზე, რომ პარტიის ყველა წევრმა საქმის სრული ცოდნით, როგორც ერთი, ისე მეორე მხარის საბუთების სავსებით აწონ-დაწონით შეგნებულად და არა შემთხვევით აირჩიოს დელეგატები საერთო ყრილობისთვის, რომელიც გააერთიანებს მთელ პარტიას და გააერთიანებს ჩვენს ტაქტიკას.

რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ტაქტიკა[33]

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია მეტად მძიმე მომენტს განიცდის. სამხედრო წესები, დახვრეტა და ეგზეკუციები, გაჭედილი საპყრობილეები, შიმშილით გაწამებული პროლეტარიატი, მრავალი არალეგალური დასაყრდენი პუნქტის დანგრევითა და ლეგალურთა უქონლობით გაძლიერებული ორგანიზაციული ქაოსი, ბოლოს, დავა ტაქტიკის შესახებ, რაც დაემთხვა პარტიის ერთიანობის აღდგენის ძნელ საქმეს, — ყოველივე ეს აუცილებლად იწვევს პარტიული ძალების ერთგვარ დაქსაქსულობას.

ამ დაბნეულობიდან თავის დაღწევის ფორმალურ საშუალებას წარმოადგენს გამაერთიანებელი პარტიული ყრილობის მოწვევა და, ჩვენი ღრმა რწმენით, პარტიის ყველა მუშაკი მთელი ძალღონით უნდა აჩქარებდეს მის მოწვევას. მაგრამ ვიდრე მიმდინარეობს მუშაობა ყრილობის მოსაწვევად, აუცილებელია ყველას წინაშე დავაყენოთ და მეტისმეტად სერიოზულად განვიხილოთ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი დაქსაქსულობის უფრო ღრმა მიზეზების შესახებ. სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის საკითხი, არსებითად, მხოლოდ მცირედი ნაწილია პარტიის მთელი ტაქტიკის გადასინჯვის დიდი საკითხისა. ხოლო ეს უკანასკნელი საკითხი, თავის მხრივ, მხოლოდ მცირე ნაწილია რუსეთის თანამედ-

როვე მდგომარეობისა და რუსეთის რევოლუციის ისტორიაში ახლანდელი მომენტის მნიშვნელობის დიდი საკითხისა.

ამ მომენტის ორგვარ შეფასებასთან დაკავშირებით ორი ტაქტიკური ხაზი ისახება. ზოგიერთებს (მაგალითად, იხ. ლენინის სტატია «მოლოდაია როსსიაში» *) მოსკოვისა და სხვა აჯანყებათა ჩახშობა მხოლოდ ახალი, უფრო გადამწყვეტი შეიარაღებული ბრძოლის ნიადაგისა და პირობების მომზადებად მიაჩნიათ. მომენტის მნიშვნელობას კონსტიტუციური ილუზიების დამსხვრევაში ხედავენ. რევოლუციის ორი დიადი თვე (ნოემბერი და დეკემბერი) მიჩნეულია მშვიდობიანი საყოველთაო გაფიცვის საყოველთაო სახალხო შეიარაღებულ აჯანყებად გადაზრდის პერიოდად. მისი შესაძლებლობა დამტკიცებულია, მოძრაობა უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი, ფართო მასებმა დააგროვეს მომავალი აჯანყების წარმატებისათვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილება, მშვიდობიანმა გაფიცვებმა თავისი თავი ამოსწურეს. საჭიროა უფრო გულმოდგინედ დავაგროვოთ ეს გამოცდილება, საშუალება მივცეთ პროლეტარიატს ძალღონე მოიკრიბოს, გადაჭრით უკუვაგდოთ ყოველგვარი კონსტიტუციური ილუზიები და სათათბიროში მონაწილეობის ყოველგვარი აზრი, უფრო შეუპოვრად და უფრო მოთმინებით ვამზადოთ ახალი აჯანყება, განვამტკიცოთ კავშირი გლეხობის ორგანიზაციებთან, გლეხობისა, რომელიც, ალბათ, გაზაფხულზე კიდევ უფრო მძლავრად აღდგება.

სხვები მომენტს სხვანაირად აფასებენ. ამბ. პლეხანოვმა თავისი «დნევნიკის» [84] მესამე და განსაკუთრებით მეოთხე ნომერში ყველაზე თანამიმდევრად დასახა სხვანაირი შეფასება, თუმცა, სამწუხაროდ, ყველგან ბოლომდე არ გამოუთქვამს თავისი აზრი.

«უდროოდ დაწყებულმა პოლიტიკურმა გაფიცვამ, — ამბობს ამბ. პლეხანოვი, — შეიარაღებულ აჯანყებამდე მიგვიყვანა მოსკოვში, როსტოვში და სხვაგან. პროლეტარიატის ძა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 96 — 99. რედ.

ლა საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. ამ გარემოების გათვალისწინება ძნელი არ იყო. ამიტომ ხელი არ უნდა მოგვეკიდათ იარაღისთვის». მუშათა მოძრაობის შეგნებული ელემენტების პრაქტიკული ამოცანა «იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატს მიუთითონ მის შეცდომაზე, გზურკვიონ მას მთელი რისკი იმ თამაშობისა, რომელსაც შეიარაღებული აჯანყება ეწოდება». პლეხანოვი არ უარყოფს იმას, რომ მას მოძრაობის შეფერხება სურს. იგი მოგვაგონებს, თუ როგორ აფრთხილებდა მარქსი კომუნამდე ნახევარი წლით ადრე პარიზის პროლეტარიატს უდროო აფეთქებებისაგან. «ცხოვრებამ გვიჩვენა, — ამბობს პლეხანოვი, — რომ ტაქტიკა, რომელსაც ჩვენი პარტია უკანასკნელ თვეებში ადგა, უმწეოა. ახალ დამარცხებათა საფრთხის გამო ჩვენ ვალდებული ვართ შევითვისოთ ახალი ტაქტიკური ხერხები»... «მთავარია ის, რომ დაუყოვნებლივ უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშათა პროფესიულ მოძრაობას». — «ჩვენი ამხანაგების ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი მეტისმეტად გაიტაცა შეიარაღებული აჯანყების აზრმა, ამიტომაც მას აღარ შეუძლია რაოდენადმე მაინც სერიოზულად მოეკიდოს პროფესიული მოძრაობისათვის ხელის შეწყობის საქმეს»... «ჩვენ უნდა ვაფასებდეთ არაპროლეტარული ოპოზიციური პარტიების მხრივ დახმარებას და არ უნდა უკუვაგდებდეთ მათ უტაქტო გამოსვლებით». სრულიად ბუნებრივია, რომ პლეხანოვი სათათბიროს ბოიკოტის წინააღმდეგაც ილაშქრებს (თუმცა ბოლომდე არ ამბობს, სათათბიროში მონაწილეობის მომხრეა თუ იმისა, რომ ამრჩევლებმა შექმნან «მენშევიკების» სანუკვარი «რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოები»). «საარჩევნო აგიტაცია სოფლად პირდაპირ დააყენებდა მიწის საკითხს». მიწის ჩამორთმევას იწონებს ჩვენი პარტიის ორივე ნაწილი, და მათი რეზოლუციები «ახლა დროა განვახორციელოთო».

ასეთია პლეხანოვის შეხედულებანი, რაც ჩვენ თითქმის მთლად გადმოვეცით თვით «დნევნიკის» ავტორისავე ფორმულირებით.

იმედი გვაქვს მკითხველი ამ გადმოცემით დარწმუნდა, რომ სათათბიროს მიმართ ტაქტიკის საკითხი მხოლოდ ნაწილია საერთო ტაქტიკის საკითხისა, რომელიც, თავის მხრივ, ექვემდებარება მთელი თანამედროვე რევოლუციური მომენტის შეფასების საკითხს. ტაქტიკის შესახებ უთანხმოებათა ფესვები შემდეგით გამოიხატება. ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისთვისო, ამბობენ ზოგიერთნი, და მოგვიწოდებენ აჯანყების რისკის გამორკვევისაკენ და სიმძიმის ცენტრის პროფესიულ მოძრაობაზე გადატანისაკენ. მეორე და მესამე გაფიცვაც და აჯანყებაც შეცდომა იყოო. სხვები კი ფიქრობენ, რომ იარაღის ხელში აღება საჭირო იყო, რადგან უამისოდ მოძრაობა უმაღლეს საფეხურზე ვერ ავიდოდა, ვერ შეიმუშავებდა **აჯანყების** საქმეში აუცილებელ პრაქტიკულ გამოცდილებას, ვერ განთავისუფლდებოდა მარტოოდენ მშვიდობიანი გაფიცვის ვიწრო მხარეებისაგან, გაფიცვისა, რომელმაც ამოსწურა თავისი თავი როგორც ბრძოლის საშუალებამ. მაშასადამე, ზოგიერთთათვის აჯანყების საკითხი დღის წესრიგიდან პრაქტიკულად იხსნება, — ყოველ შემთხვევაში, ახალ სიტუაციამდე, რომელიც გვაიძულებდა ერთხელ კიდევ გადაგვესინჯა ტაქტიკა. აქედან გარდუვალად გამომდინარეობს «კონსტიტუციისადმი» შეგუება (სათათბიროში მონაწილეობა და ლეგალურ პროფესიულ მოძრაობაში გაძლიერებული მუშაობა). სხვებისთვის, პირიქით, აჯანყების საკითხი სწორედ ახლა დგება დღის წესრიგში პრაქტიკულად შეძენილი გამოცდილების საფუძველზე, რამაც დაამტკიცა ჯართან ბრძოლის შესაძლებლობა და დასახა შემდგომი გამოსვლის უფრო შეუპოვრად და უფრო მოთმინებით მომზადების უშუალო ამოცანები. აქედან გამომდინარეობს ლოზუნგი: ძირს კონსტიტუციური ილუზიები! და ლეგალური პროფესიული მოძრაობისათვის მცირე, ყოველ შემთხვევაში არა «მთავარი» ადგილის მიჩენა.

თავისთავად ცხადია, ეს სადავო საკითხი ჩვენ უნდა განვიხილოთ მოქმედების არა ამა თუ იმ გზის სასურველობის თვალსაზრისით, არამედ მომენტის ობიექტური პირობებისა

და საზოგადოებრივ ძალთა მხედველობაში მიღების თვალსაზრისით. პლეხანოვის შეხედულება ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია. მოსკოვის აჯანყების შეფასება, რაც იმაში გამოიხატა, რომ «ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისთვისო», მეტისმეტად ცალმხრივია. აჯანყების საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა არსებითად ნიშნავს დამთავრებულად აღიარო რევოლუციური პერიოდი და დაწყებულად მიიჩნიო დემოკრატიული გადატრიალების «კონსტიტუციური» პერიოდი, ე. ი., მაგალითისათვის რომ ვთქვათ, ერთმანეთს გაუთანაბრო დეკემბრის აჯანყების ჩაქრობა რუსეთში და 1849 წლის აჯანყების ჩაქრობა გერმანიაში. რა თქმა უნდა, ჩვენი რევოლუციის ასეთი შედეგი შეუძლებელი არ არის, და დღევანდელი დღის თვალსაზრისით, როცა რეაქცია მთელი სიმძლავრით იწყებს გაშლას, ადვილია აღიარო, რომ ასეთი შედეგი უკვე გვაქვს. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ უფრო მიზანშეწონილია გადაჭრით ხელი აიღო აჯანყების იდეაზე, თუ ობიექტურმა პირობებმა შეუძლებელი გახადეს ის, ვიდრე ძალა დახარჯო ახალ, უნაყოფო ცდებზე.

მაგრამ ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მეტისმეტი აჩქარებით გაგვეზოგადებინა და მთელი პერიოდისათვის კანონად გაგვეხადა საქმის ისეთი ვითარება, რაც ამ წუთში შეიქმნა. განა ჩვენ არ გვიხილავს გამძვინვარებული რეაქცია რევოლუციის მიერ წინგადადგმული თითქმის ყოველი დიდი ნაბიჯის შემდეგ? და განა, ამ რეაქციის მიუხედავად, მოძრაობა რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ არ იწყებოდა უფრო მძლავრად? თვითმპყრობელობა არ წავიდა დათმობაზე მთელი საზოგადოებრივი განვითარების აუცილებელი მოთხოვნების წინაშე; პირიქით, თვითმპყრობელობა უკან-უკან მიდის, რითაც უკვე პროტესტებს იწვევს თვით ბურჟუაზიაში, რომელსაც უხაროდა აჯანყების ჩაქრობა. რევოლუციური კლასების, პროლეტარიატისა და გლეხობის ძალები სულაც არ ამოწურულა. ეკონომიური კრიზისი, ფინანსური მოშლილობა უფრო ფართოვდება და ღრმავდება, ვიდრე ნელდება. ახა-

ლი აფეთქების შესაძლებლობას უკვე ახლა, როცა პირველი აჯანყების ჩაქრობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, აჯანყებისადმი უსათუოდ მტრულად განწყობილი «მართლწესიერი» ბურჟუაზიის ორგანოებიც კი აღიარებენ *. სათათბიროს ჯამბაზური ხასიათი სულ უფრო და უფრო ცხადად იხატება, და არჩევნებში პარტიული მონაწილეობის ცდის უიმედობა სულ უფრო უეჭველი ხდება.

ჩვენ რომ ასეთ პირობებში დღის წესრიგიდან აჯანყების საკითხი მოვხსნათ, ეს იქნება სიბეცე, ეს იქნება დღევანდელი მომენტის სიტუაციის წინაშე მონური მორჩილება. შეხედეთ, რა წინააღმდეგობაში ვარდება პლეხანოვი, როდესაც მხურვალედ გვირჩევს განვახორციელოთ რეზოლუცია გლეხობაში მიწის ჩამორთმევის სასარგებლო აგიტაციის შესახებ და ამავე დროს მიზნად ისახავს უტაქტო გამოსვლებით არ ჩამოგვაშოროს ოპოზიციური პარტიები, ოცნებობს მიწის საკითხის «პირდაპირ» დაყენებაზე სოფლად საარჩევნო აგიტაციის დროს. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ლიბერალი მემამულეები მილიონობით «უტაქტობას» გაპატიებენ, მაგრამ არ გაპატიებენ მიწის ჩამორთმევისადმი მოწოდებას. კადეტებიც კი ტყუილად როდი ამბობენ, ჩვენც მომხრენი ვართ გლეხთა აჯანყებების ჯარის საშუალებით ჩახშობისა, ოღონდ ამ ჯარს ჩვენ უნდა განვაგებდეთ და არა ბიუროკრატიაო (იხ. თავ. დოლგორუკოვის სტატია «პრავოში»). შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სწორედ საარჩევნო აგიტაციის დროს მიწის საკითხი არასოდეს არ დაისმება «პირდაპირ», როგორადაც იგი დაისვა, როგორადაც ისმება და დაის-

* აი, მაგალითად, რას წერს კონსერვატიულ-ბურჟუაზიული «სლოვო» (№ 364 25 იანვრის თარიღით): «ცენტრის ყველაზე დარწმუნებულ მომხრეთა შორის სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის ხმები, მართალია, ჯერ კიდევ გაუბედავი და არცთუ მტკიცე, რომ რევოლუციური პარტიების მიერ მომზადებული ახალი აფეთქების მოუხდენლად რეფორმა აუცილებელი სისრულითა და მთლიანობით არ განხორციელდება... ზევიდან მშვიდობიანი გზით რეფორმის გატარების იმედები ახლა უკვე თითქმის აღარ არის».

მება სათათბიროს გარეშე და პოლიციის მონაწილეობით წარმოებული არჩევნების გარეშე.

ჩვენ სავსებით მხარს ვუჭერთ მიწის ჩამორთმევის ლოზუნგს. მაგრამ მიწის ჩამორთმევა მხოლოდ ლიტონი სიტყვაა, თუ იგი შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებას არ მოასწავებს, რადგან გლეხთა წინააღმდეგ ახლა დგას არა მარტო ჯარი, არამედ მემამულეთა მიერ დაქირავებული მოხალისეთა რაზმებიც. მიწის ჩამორთმევის ქადაგებით გლეხებს ჩვენ აჯანყებისაკენ მოვუწოდებთ. და განა უფლება გვექნებოდა, რევოლუციურ ფრაზას თუ არ ავყვებოდით, ეს ჩაგვედინა, ქალაქებში მუშების აჯანყების, მუშების მიერ გლეხთა დახმარების იმედი რომ არ გვქონოდა? მწარე დაცინვა იქნებოდა, რომ გლეხებს, რომელნიც ტალღად აზვირთდებიან და მიწების ჩამორთმევას დაიწყებენ, მუშებმა შესთავაზონ პოლიციის მეურვეობაში მყოფ პროფესიულ საზოგადოებათა დახმარება მებრძოლ ორგანიზაციათა უქონლობის გამო.

არა, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს დღის წესრიგიდან მოვხსნათ აჯანყების საკითხი. ჩვენ ხელახლა არ უნდა გარდავქმნათ პარტიული ტაქტიკა რეაქციის ახლანდელი მომენტის პირობების თვალსაზრისით. ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა დავკარგოთ იმის იმედი, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოვახერხებთ აჯანყების სამი დაქსაქსული ნაკადის — მუშათა, გლეხთა და სამხედრო აჯანყებათა ერთ ძლევამოსილ აჯანყებად შეერთებას. ჩვენ უნდა ვემზადოთ ამისათვის და, რა თქმა უნდა, უარი არ უნდა ვთქვათ პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის გაფართოებისათვის ყველა და ყოველგვარ «ლეგალურ» საშუალებათა გამოყენებაზე, თუმცა სრულიადაც არ უნდა მოვიტყუოთ თავი ამ საშუალებათა სიმტკიცისა და მათი მნიშვნელობის შეფასებისას. ჩვენ უნდა დავაგროვოთ მოსკოვის, დონეცის, როსტოვისა და სხვა აჯანყებათა გამოცდილება, გავავრცელოთ მისი გაცნობა, შეუპოვრად და მოთმინებით უნდა ვამზადოთ ახალი მებრძოლი ძალები, მთელი რიგი პარტიზანული საბრძოლო გამოსვლებით გავწვრთნათ და გამოვბრძმედოთ ისინი. შესაძლებელია, ახალი

აფეთქება არც მოხდეს გაზაფხულზე, მაგრამ იგი ახლოვდება, იგი, ალბათ, არცთუ ისე შორსაა. ჩვენ მას უნდა შევხვდეთ შეიარაღებულნი, სამხედრო ყაიდაზე ორგანიზებულნი, გადამწყვეტი შეტევითი მოქმედების უნარით აღჭურვილნი.

აქ ჩვენ თავს ნებას მივცემთ ორიოდე სიტყვა ვთქვათ მებრძოლი რაზმების პარტიზანულ გამოსვლებზე. ჩვენ ვფიქრობთ, ძველი ტიპის ტერორთან მათი შედარება შეცდომაა. ტერორი ცალკეული პირებისადმი შურისძიება იყო. ტერორი ინტელიგენტთა ჯგუფების შეთქმულება იყო. ტერორი სრულიად არ იყო დაკავშირებული მასების არავითარ სულისკვეთებასთან. ტერორი მასების არავითარ მებრძოლ ხელმძღვანელებს არ ამზადებდა. ტერორი აჯანყებისადმი რწმენის უქონლობის, აჯანყებისათვის პირობების არარსებობის შედეგი — აგრეთვე სიმპტომი და თანამგზავრი — იყო.

პარტიზანული გამოსვლები შურისძიება კი არა, სამხედრო მოქმედებაა. ეს გამოსვლები ისევე ნაკლებად ჰგვანან ავანტიურას, როგორც ბრძოლის მთავარ ასპარეზზე სიწყნარის დროს მტრის არმიის ზურგზე მოხალისეთა რაზმების თავდასხმები არა ჰგვანან დუელანტების ან შეთქმულთა მკვლელობას. პარტიზანული მოქმედება მებრძოლი რაზმებისა, რომლებიც დიდი ხანია უკვე დააარსეს ორივე ფრაქციის სოციალ-დემოკრატებმა მოძრაობის ყველა უდიდეს ცენტრში და რომლებიც, უმთავრესად, მუშებისაგან შესდგებიან, უსათუოდ მეტად აშკარად, მეტად უშუალოდ არიან დაკავშირებული მასების განწყობილებასთან. მებრძოლი რაზმების პარტიზანული მოქმედება უშუალოდ ამზადებს მასების მებრძოლ ხელმძღვანელებს. მებრძოლი რაზმების პარტიზანული მოქმედება ახლა უკვე არამცთუ აჯანყებისადმი რწმენის დაკარგვის ან აჯანყების შეუძლებლობის შედეგი არაა, არამედ, პირიქით, მიმდინარე აჯანყების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. რა თქმა უნდა, შეცდომა ყველაფერში და ყოველთვის შესაძლებელია; შესაძლებელია უდროო გამოსვლების უადგილო ცდები; შესაძლებელია გატაცებანი და უკიდურესობანი, რაც ყოველთვის და უსათუოდ საზიანოა და რა-

საც შეუძლია უაღრესად სწორ ტაქტიკასაც კი ავნოს. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ წმინდა რუსული ცენტრების უმრავლესობაში ჩვენ დღემდე სხვა უკიდურესობაცა გვაქვს, — ჩვენი მებრძოლი რაზმების არასაკმაო ინიციატივა, მათი ნაკლები საბრძოლო გამოცდილება, მათი გამოსვლების ნაკლები გაბედულება. ამ მხრივ ჩვენ გაგვასწრეს კავკასიამაც, პოლონეთმაც და ბალტიისპირა მხარემაც, ე. ი. სწორედ ისეთმა ცენტრებმა, სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული.

ჩვენ უნდა დავეწიოთ ამ ცენტრებს. ჩვენ კი არ უნდა ვაკავებდეთ, არამედ ხელს უნდა ვუწყობდეთ მებრძოლი რაზმების პარტიზანულ გამოსვლებს, თუ კი არა გვსურს მარტოოდენ სიტყვიერად ვამზადებდეთ აჯანყებას და თუ პროლეტარიატი აჯანყებისათვის სერიოზულად მომზადებულად მიგვაჩნია.

რუსეთის რევოლუცია იმით დაიწყო, რომ მეფეს თავისუფლების ბოძებას სთხოვდნენ. დახვრეტამ, რეაქციამ, ტრეპოვობამ კი ვერ ჩაახშო, არამედ გააღვივა მოძრაობა. რევოლუციამ მეორე ნაბიჯიც გადადგა. მან მეფეს ძალით გამოჰგლიჯა ხელიდან თავისუფლების აღიარება. იგი იარაღასხმული იცავდა ამ თავისუფლებას. ერთბაშად ვერ დაიცვა. დახვრეტა, რეაქცია, დუბასოვობა მოძრაობას კი ვერ ჩააქრობენ, არამედ გააღვივებენ. ჩვენს წინაშე ისახება მესამე ნაბიჯი, რომელიც რევოლუციის შედეგს განსაზღვრავს: რევოლუციური ხალხის ბრძოლა ძალაუფლებისათვის, რომელიც ნამდვილად შესძლებს თავისუფლების განხორციელებას. ამ ბრძოლაში ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს არა ოპოზიციური, არამედ რევოლუციური დემოკრატიული პარტიების მხარდაჭერისა. აქ სოციალისტური პროლეტარიატის გვერდით იქნება დემოკრატიულ-რევოლუციური გლეხობა. ეს დიადი ბრძო-

ლაა, ძნელი ბრძოლაა, ბრძოლა დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის, მისი სრული გამარჯვებისათვის. მაგრამ ყველა ნიშანი ამჟამად იმას მოწმობს, რომ მოვლენათა მსვლელობა ასეთ ბრძოლას გვიახლოვებს. მაშ ვიზრუნოთ, რომ ახალმა ტალღამ რუსეთის პროლეტარიატს ახალი ბრძოლისათვის გამზადებულს მოუსწროს.

«პარტიინიე იზვესტია» № 1,
1906 წ. 7 თებერვალი.
ხელმოწერა: ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი

იბეჭდება გაზეთ
«პარტიინიე იზვესტიას»
ტექსტის მიხედვით

რსდმპ პეტერბურგის საერთო საქალაქო კონფერენცია [35]

1906 წ. 11 (24) თებერვალი

კონფერენციაზე ოკრუგისა და ვიბორგის ორგანიზაციების წარმომადგენლობის უფლებამოსილების საკითხის შესახებ გამოსვლები

1

ოკრუგის ორგანიზაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით ჩაიფუშა კონფერენციის პირველი გადაწყვეტილება მანდატების საერთო ფორმალური შემოწმების შესახებ. ოკრუგის ორგანიზაციაში იყო 56 საეჭვო ხმა, და მხოლოდ მათზე შეიძლებოდა ლაპარაკი. კომიტეტი და რაიონული კონფერენცია ამოწმებდნენ არჩევას; თუ არ ვენდობით პეტერბურგის კომიტეტის გადაწყვეტილებას ოკრუგის ორგანიზაციის შესახებ, თანამიმდევრობა უნდა დავიცვათ და იქამდე მივიდეთ, რომ ყველა რაიონი შევამოწმოთ.

2

ამხ. მარტოვის მიერ წამოყენებული საკითხი ფორმალურ მხარეს ეხება; თუ თქვენ გადაწყვიტეთ ერთი რაიონი განიხილოთ შემოსული პროტესტების საფუძველზე, საჭიროა ასევეთივე გადაწყვეტილება გამოვიტანოთ იმ სხვა რაიონებზედაც, რომელთა შესახებ პროტესტი შემოაქვთ. ამხ. აკიმი [36] უსწორობას ხედავს ვიბორგის რაიონში, და კონფერენციამ, რო-

მელმაც გადაწყვეტილება მიიღო ოკრუგის ორგანიზაციის შესახებ, ეს გადაწყვეტილება ვიბორგის რაიონზედაც უნდა გავრცელოს.

3

წესრიგისათვის. თუ პეტერბურგის კომიტეტმა ოკრუგის ორგანიზაცია სრულუფლებიანად აღიარა, მე მაკვირვებს ამხ. მარტოვის წინადადება — გაირიცხოს ეს ორგანიზაციაო კონფერენციიდან.

4

ამხ. მარტოვის წინადადებას შეუძლებელია კენჭი ეყაროს, მის მიერ აღძრული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ პეტერბურგის **კომიტეტს შეუძლია.**

5

ჩაუფიქრდით, ამხანაგებო, იმ საკვირველებას, რომელსაც თქვენ გთავაზობენ. ვიხილავდით დიდმნიშვნელოვან საკითხს, **რომლის** გადაწყვეტაში პეტერბურგის მთელმა ორგანიზაციამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, თქვენ კი უცბად წინადადებას გაძლევენ ჩამოსჭრათ უზარმაზარი ნაწილი — ოკრუგის რაიონი. ჩაუფიქრდით ამას. ასეთი კენჭისყრა არსებითად შეუწყნარებლად მიმაჩნია. გთხოვთ კენჭი უყაროთ: სურს თუ **არა კრებას** კენჭი **უყაროს ამხ. მარტოვის** წინადადებას?

6

საქმეს გულდამშვიდებით უნდა მოვეკიდოთ. საქმე ისაა, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ოკრუგის ორგანიზაციას წავართვათ კონფერენციაზე ხმის მიცემის უფლება; რაკი მისი წარმომადგენლობა კანონიერია, მაშინ ახლანდელ კენჭისყრაში მონაწილეობის მიუღებლობა უკანონობის მწვერვალია; მისი წარმომადგენლობა **თქვენ კანონიერად** აღიარეთ, მას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია, როცა მისი **წარმომადგენლობის** კანონიერებას ვიხილავდით; ყველა შემდგომი **საკითხის** კენჭისყრაში მან მონაწილეობა უნდა მიიღოს.

რეზოლუცია მარტოვის წინადადების წინააღმდეგ პ. კ.-ის მოხსენების მოხსნის შესახებ

კრება აღიარებს, რომ ამხ. მარტოვის მიერ აღძრული საკითხი განხილვის საგანი ვერ გახდება და არც კენჭისყრას მოითხოვს.

რეზოლუციის დასაბუთება

ამხ. მარტოვი მართალი არ არის; იგი ამბობს, რომ შენიშვნები, როგორც, მაგალითად, «კვლავ დგება», დაუშვებელია, — ეს სწორი არ არის. კრებებზე ყველგან დაშვებულია ყოველგვარი შენიშვნები. რაც შეეხება მოხსენებას, მისი მოსმენა აუცილებელია. მოხსენებას მოუნდება სულ რაღაც 15 — 20 წუთი, თორემ გვეტყვიან, კონფერენციაზე, გარდა მორალური უმართებულობისა, იყო აგრეთვე იურიდიული უმართებულობანიო (მორალურს გარდა, იყო აგრეთვე იურიდიული დაუდევრობანიო). მოხსენება უსათუოდ უნდა მოვისმინოთ. თუ საჭიროდ სცნობთ მის დამტკიცებას — დაამტკიცეთ, თუ საჭიროდ არა სცნობთ — ნუ დაამტკიცებთ.

წინადადება პ. კ.-ის მოხსენების გამო

მინდა შემოვიტანო წინადადება. ამხ. აკიმის მიერ აღძრული საკითხი მოხსენების მოწონების შესახებ შეიძლება მოიხსნას დღის წესრიგიდან; მე ვაყენებ ასეთ გადაწყვეტილებას: «კრებამ, მოისმინა რა პეტერბურგის კომიტეტის მოხსენება, კონფერენციის წარმომადგენლობა აღიარა კანონიერად, კონფერენცია — ჩამოყალიბებულად და მისი გადაწყვეტილება პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისთვის— სავალდებულოდ».

გამოსვლა წინადადების დასაცავად

თანახმა ვარ, რომ კენჭი უნდა ეყაროს აზრის მიხედვით, მაგრამ ჩემი წინადადება მიმაჩნია ყველაზე რადიკალურად, სხვები კი შემარიგებელია. თუ თქვენ უარყოფთ რადიკალურს, მაშინ კენჭს უყრით შემარიგებელს.

შენიშვნა ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ წარდგენილი რეზოლუციის გამო

ვწუხვარ, თუ კრება მოვქანცე გრძელი რეზოლუციით, მაგრამ თუ გვსურს ვიმსჯელოთ არსებითად, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ ის, რასაც კრიტიკის ქარცეცხლში ვატარებთ. ჩემს რეზოლუციაში შეჯამებული იყო ყველაფერი, რაც წინათ თქმულა დისკუსიებზე და რაზედაც სალაპარაკოდ აქ დრო არ გვქონდა, კრების კიდევ გადადება აღარ შეიძლება. თუ დრო არ არის რეზოლუციის განსახილველად, შეიძლება კომისია ავირჩიოთ.

პირველად დაიბეჭდა
1930 წ. ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 12 (107)

იბეჭდება
მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის არქივში
დაცულ მდივნის ჩანაწერთა
მიხედვით

რსდმპ პეტერბურგის საერთო საქალაქო კონფერენცია (II)

1906 წ. თებერვლის დამლევი (მარტის დამდეგი)

გამოსვლები ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ წარდგენილი რეზოლუციის დასაცავად

1

რეზოლუცია გრძელია, — «საგანგებო პარაკლისივით», როგორც ამხ. დანი ამბობს, — ეს მართალია, მაგრამ ამ ნაკლს ფარავს ღირსება — რეზოლუციაში განხილულია ყველა მოსაზრება, ურომლისოდაც ტაქტიკის განმარტება არ იქნება მოფიქრებული, არ იქნება სწორი. მასისათვის საჭიროა სიმოკლე, მაგრამ ეს რეზოლუცია განკუთვნილია ორგანიზაციებისთვის და არა მასებისთვის. კამათი ყველა მუხლის მიხედვით არ ყოფილა, მაგრამ ყველა მუხლს კი შეეხო. უნდა განვავითაროთ იმ შეხედულებათა მთელი ერთობლიობა, რაც პოლიტიკური აგიტაციით ტარდება. უმრავლესობის მიერ უმცირესობის რაიმე ჩახშობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, თუმცა, მართალი რომ ვთქვათ, დამარცხებული ნაწილის მდგომარეობა მაინც და მაინც მიმზიდველი ვერ არის. გამოსავლად შეიძლება დავსახოთ მუშაობის განაწილება: თქვენ აკრიტიკეთ სათათბირო, ჩვენ კი განვავითარებთ ტაქტიკას. ამხ. დანისთვის იმ მუხლების დაცვის თავს მოხვევა, რომელთაც იგი არ ეთანხმება, არავის არა სურს. ფრაქციულობისა და პოლემიკის დაბრალება — უსაფუძვლოა.

2

(მარტოვის) მოკლე რეზოლუციაშიც არის პოლემიკა, მაგრამ რისთვის გინდათ სასაცილოდ გაგვხადოთ, როცა წინადადებას გვაძლევთ მივიღოთ ის. გრძელი რეზოლუციის პროექტში თითქოს არის ისეთი მოტივები, რომელნიც პროლეტარიატს არ განუხილავს. მაგრამ თავგზააბნეულთა ფიტულმა აბუჩად აიგდო თვით წარმომადგენლობის იდეა [37], და მათ ამასთანავე, ალბათ, გლეხობაც ჰყავდათ მხედველობაში.

მოსაზრებანი რეზოლუციის პროექტის მე-3 და მე-6 მუხლების შესწორებათა წინააღმდეგ

1

თქვენ ასუსტებთ რეზოლუციას, მთავრობა არათუ ხელს **უშლის არჩევას, არამედ** საერობო უფროსებსაც კი სხამს **როგორც** არჩეულებს.

2

ამხ. დანის შესწორება ზუსტი არ არის. «17 ოქტომბრის კავშირი» [38] ოპოზიციას წარმოადგენს, მაგრამ მას არ სდევნიან. ჩვენ უნდა გამოვესარჩლოთ კადეტებს, თუ მათ სდევნიან, თუნდაც მათ სულ არაფრისთვის სდევნიდნენ.

3

«ზუბატოვობა» — არა მარტო არაკეთილსაიმედოთა დაჭერის პოლიციური ფორმაა, ის ანგარიშს უწევს მუშათა მოძრაობას, ის მუშათა კლასის ორგანიზაციაა. «ზუბატოვობა» — ეს ჭეშმარიტად რუსული გამოგონებაა. მას ახლაც იყენებენ. სათათბირო — პოლიციური თამაშია, მაგრამ მასში კონსტიტუციის ნატამალიც არ არის. საერთოდ აქ სიტყვა «ზუბატოვობა» ნახმარია როგორც შედარება, ამიტომაც იგი როგორც განსაზღვრა სრული არაა. დასასრულ, ჩვენ ხომ ვამბობთ, რომ ეს სრულიად რუსეთის, სახელმწიფოებრივი «ზუბატოვობის» «ახალი» ფორმაა. ჩვენი

ტაქტიკა აქაც ისეთია, როგორიც ყოველთვის იყო «ზუბატოვობის» მიმართ. ჩვენ ვესწრებოდით ზუბატოველთა კრებებსაც, მაგრამ მათი წევრები არასოდეს არ ვყოფილვართ.

გამოსვლები რეზოლუციის პროექტის მე-7 და მე-8 მუხლების განხილვის დროს

1

ამხ. დანის განცხადება ფაქტიური უსწორობის შესახებ ჩემთვის სრულიად ახალი ამბავია. აქამდე ოფიციალურად არსად არ განუცხადებიათ — «სათათბიროში მონაწილეობა» დასაშვებიაო [20]. არც პარვუსს, არც პლეხანოვსაც კი ეს აქამდე არ უთქვამთ. შემდეგ, ანგარიშის გაუწევლობა იმისთვის, რომ პროლეტარიატის შეგნებული ნაწილი საკითხს უყურებს ასე, და არა სხვანაირად, ჩვენთვის ვიწრო იქნებოდა, და ჩვენც მას ვითვალისწინებთ, ეს შემთხვევითი ფაქტი როდია. მე მზადა ვარ შევიტანო შესწორება: «დიდი უმრავლესობა» ნაცვლად სიტყვისა: «ყველანი».

2

ამხ. დანის ოფიციალური განცხადება ჩემთვის განსაკუთრებით საგულისხმოა, ასეთი განცხადება საერთოდ პირველად მესმის. სასურველია მხოლოდ, რომ ის პრესაში გამოქვეყნდეს, რადგან აქამდე პრესაში არაფერი ამის მსგავსი არ დაბეჭდილა. მენშევიკები მუდამ პროტესტსაც კი აცხადებდნენ, როცა მათ ასეთ აზრს მიაწერდნენ ხოლმე. გაერთიანებული ც. კ.-ის ფურცელი ამტკიცებს, პარტიის ორივე ნაწილი იმის თანახმაა, რომ სათათბიროში მონაწილეობის მიღება არ შეიძლებაო. ეს დოკუმენტია, და ჩვენი რეზოლუციის ამ მუხლში მისი საწინააღმდეგო არა არის რა. პლეხანოვის შესახებ დანის შენიშვნა სწორი არ არის. მან უბრალოდ თქვა: «ბოიკოტის წინააღმდეგი ვარო», და ყველაზე საინტერესო ადგილას დასვა წერტილი. ჩვენ საკმაოდ ვიცნობთ საქმის ვითარებას, და პოლტავის დამოწმებას არ შეურყევია ჩვენი

აზრი სათათბიროში მონაწილეობის საკითხზე პროლეტარიატის უმრავლესობის შეხედულების შესახებ. სოლიდარობა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს.

3

დანი ფიქრობს, რომ რაკი სათათბირო შეიკრიბება, ეს უკვე 1849 წელი იქნებაო. ეს არ არის მართალი. სათათბირო — ეს არის 1847 წლის შეერთებული ლანდტაგი [40], ხოლო 1847 წლის შეერთებულ ლანდტაგში ჩვენ მონაწილეობას ვერ მივიღებთ. აუცილებლად მიმაჩნია ლუნაჩარსკის მითითებანი ცნობად მივიღოთ. საჭიროდ ვთვლი ვუპასუხო სამ კითხვაზე: 1) სწორია თუ არა ის ფაქტი, რომ უმრავლესობა მართალია? — სწორია; ჩვენი აზრი არავის გაუბათილებია, **ყველაფერი,** რაც ითქვა — დაუსაბუთებელია და არ გამოდგება იმის საკმაო საფუძვლად, რომ ფაქტის დამოწმება ამოიშალოს; 2) ანგარიში უნდა გაეწიოს თუ არა ამ ფაქტს? — აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში; 3) როგორ უყურებს ცენტრალური ორგანოს რედაქცია საკითხს, რომელსაც მოტივაციის ეს მუხლი ეხება? — მე ვამტკიცებ, რომ სათათბიროში მონაწილეობას იგი შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ა დ სცნობდა. არ ვფიქრობდი, რომ ეს ასე შეურაცხყოფდა ამხანაგ მენშევიკებს, აქამდე არავის არასოდეს და არსად არ უთქვამს იმის მსგავსი რამ, რაც ამხ. დანმა თქვა. ამხ. დანი მერყეობს, და ჩემთვის ეს მეტად არასასიამოვნოა.

4

ამბობენ, მთელი შემდგომი ნაწილი პოლემიკით არის სავსეო. ტყუილია, ასეთ მიზნებს ჩვენ არ დავისახავდით. რატომ არ შეიძლება სათათბიროში მონაწილეობის მიღება? იმიტომ რომ ხალხმა შეიძლება იფიქროს, ღირს მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებში მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობენ ამხანაგი მენშევიკები ხალხზეო. ჩვენ არ ვილანძღებით, ჩვენ საბუთს ვარჩევთ. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მხოლოდ ფიტულები წარვგზავნოთ.

წერილობითი განცხადება კონფერენციის ბიუროს

ფაქტიური განცხადება. მე ვაცხადებ, რომ ამხ. დანის მტკიცებანი სწორი არ არის და რომ იგი ვერ უარყოფს ვერც ერთ ჩემს განცხადებას იმის შესახებ, რომ პრესაში არ გამოქვეყნებულა ამხ. დანის განცხადების მსგავსი მტკიცებანი.

რეზოლუცია ბოიკოტის ტაქტიკის დასაბუთების შესახებ

კონფერენცია აუცილებლად თვლის ვრცლად დაასაბუთოს პეტერბურგის ს.-დ. ორგანიზაციის გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზანშეუწონლობის შესახებ სრულიადაც არა იმისთვის, რომ პოლემიკა გამართოს ამხანაგ ყოფილ მენშევიკებთან და ჩრდილი მიაყენოს მათ, როგორც სოციალ-დემოკრატებს, არამედ იმ მიზნით, რომ ზუსტად და ოფიციალურად გადმოსცეს ორგანიზაციების უმრავლესობის აზრი სრული ბოიკოტის ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ.

პირველად დაიბეჭდა
1931 წ. ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 1 (108)

იბეჭდება
მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის არქივში
დაცულ მდივნის ჩანაწერთა
მიხედვით

ქალაქ პეტერბურგისა და მისი მიდამოების ყველა მუშასა და მუშა-ქალს[41]

ამხანაგო მუშებო! რსდმპ მთელი პეტერბურგისა და საოკრუგო ორგანიზაციის შეკავშირებულმა სოციალ-დემოკრატმა მუშებმა გამოიტანეს საბოლოო და პარტიის კომიტეტისა და ყველა ადგილობრივი ორგანიზაციისათვის სავალდებულო გადაწყვეტილება სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საკითხზე. მიუხედავად პოლიციის მხრივ ყოველგვარი დაბრკოლებისა და მახის დაგებისა, მუშებმა შესძლეს 120 საწრეო კრების მოწყობა, სადაც დაწვრილებით განიხილეს საკითხი ჩვენს პარტიაში დასახული ორივე ტაქტიკის წარმომადგენელთა მონაწილეობით. 2000-ზე მეტმა მუშამ და ინტელიგენტმა, ჩვენი პარტიის წევრებმა, მონაწილეობა მიიღეს საკითხის კენჭისყრაში და 1168 ხმის უმრავლესობით 926-ის წინააღმდეგ (კენჭისყრაში მონაწილეობდა 2094 კაცი) მხარი დაუჭირეს არა მარტო სათათბიროს სრულ ბოიკოტს, არამედ მისი ყოველგვარი არჩევნების სრულ ბოიკოტსაც. ყველა რაიონში არჩეულ წარმომადგენელთა (პარტიის ყოველ 30 წევრზე, რომლებიც ხმას აძლევდნენ, — თითო დელეგატი) კონფერენციამ კვლავ განიხილა საკითხი და 36 ხმით 29-ის წინააღმდეგ (გადამწყვეტი ხმა ჰქონდა 65 კაცს) გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება აქტიური ბოიკოტის ტაქტიკის სასარგებლოდ.

ამრიგად, პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულმა პროლეტარიატმა თავისი სიტყვა თქვა. ახლა პარტიული ორგანიზაციის მთელი ძალები, იმ მოწინავე მუშების მთელი ძალღონე, რომელნიც თანაუგრძნობენ სოციალ-დემოკრატიას და სურთ ანგარიში გაუწიონ მის გადაწყვეტილებას, იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მუშათა კლასის და მთელი მოსახლეობის უფართოეს ფენებს გააცნონ სოციალ-დემოკრატიის გადაწყვეტილება, გაავრცელონ მასებში სწორი გაგება იმ მიზნებისა, რომელთაც ისახავს შეგნებული პროლეტარიატი, და იმ საშუალებებისა, რომელთაც იგი ირჩევს თავისი მიზნების მისაღწევად.

რატომ გამოუცხადეს პეტერბურგის სოციალ-დემოკრატებმა სრული ბოიკოტი სათათბიროს, რატომ თქვეს სრული უარი ყოველგვარ არჩევნებში მონაწილეობაზე?

იმიტომ, რომ სახელმწიფო სათათბირო ყალბი სათათბიროა. ეს არის სახალხო წარმომადგენლობის გაყალბება. ეს არის არა სახალხო, არამედ პოლიციელთა და მემამულეთა სათათბირო. არჩევნები დანიშნულია არა ყველასათვის თანაბრად, არამედ ისეა მოწყობილი, რომ მემამულეებსა და მსხვილ კაპიტალისტებს სრული უპირატესობა ჰქონდეთ მუშებისა და გლეხების მიმართ. მთელი მუშათა კლასის სამ მეოთხედს სავსებით წართმეული აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ხოლო დანარჩენ ერთ მეოთხედს იწვევენ აირჩიონ დეპუტატები სამ საცერში გაცხრილვით, რომ ჯერ აირჩიონ რწმუნებულნი, რწმუნებულებმა აირჩიონ ამრჩევლები, ხოლო ამრჩევლებმა (სულ 24) მემამულეებთან და კაპიტალისტებთან ერთად (ასზე მეტი) უნდა აირჩიონ სათათბიროს წევრები.

მთავრობა კიდევ უფრო უხეშად იგდებს აბუჩად გლეხებს. გლეხთა დეპუტატებს ოთხ საცერში ცხრილავენ: ჯერ ირჩევენ ათკომლეულებს ვოლოსტების მიხედვით (და თანაც ღარიბი გლეხობა, რომელსაც სახლკარი და მიწა არა აქვს, გამორიცხულია ამ არჩევნებიდან); შემდეგ ათკომლეულნი

ირჩევენ რწმუნებულთ: რწმუნებულნი ირჩევენ ამრჩევლებს; ამრჩევლები ირჩევენ სათათბიროს წევრებს და თანაც ისე, რომ ამრჩეველთა მთელი რიცხვიდან გუბერნიების მიხედვით გლეხები უმეტეს ნაწილად უმცირესობაში რჩებიან.

რისთვის მოუწყვიათ ეს სამ და ოთხ საცერში გაცხრილვა? იმისთვის, რომ მუშებმა და გლეხებმა ვერ შესძლონ სათათბიროში თავიანთი ნამდვილი წარმომადგენლების გაყვანა. იმისთვის, რომ სათათბიროში არ მოხვდნენ მუშათა და გლეხთა დამცველი ადამიანები. იმისთვის, რომ ხალხის წარმომადგენლები უწოდონ თავიანთ თავს ერთმა მუჭა შავრაზმელმა მემამულეებმა და კაპიტალისტებმა, რომელნიც პოლიციის დახმარებით მთელ მუშა ხალხს ძარცვავენ.

მუშებო და გლეხებო! ნუ ენდობით პოლიციელთა და მემამულეთა სათათბიროს. ხალხის წარმომადგენლებს კი არ უყრიან იქ თავს, არამედ ხალხის მტრებს, რათა უკეთ შეკრან პირი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. მიმოიხედეთ გარშემო: განა მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ თავისუფლად აირჩიონ სათათბიროში თავიანთი ნამდვილი წარმომადგენლები, დეპუტატები? განა პოლიციური მთავრობა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად არ იჭერს საუკეთესო მუშებსა და საუკეთესო გლეხებს? მთელ რუსეთში მძვინვარებს სახალხო საქმისთვის მებრძოლ გლეხთა დახვრეტა და აწიოკება. მთელი რუსეთი წასალეკად და დასარბევად აქვს მიცემული სამხედრო მუნდირებში გამოწყობილ გაკოტრებულ თავადაზნაურ ნაშიერთა ბრბოს. თავისუფლების ყველა დაპირება, რაც ჩვენ მთავრობისაგან გვსმენია, მოძალადეთა ფეხითაა გათელილი. ყველა საპყრობილე გაჭედილია ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლებით.

მთავრობას სურს ხალხი მოატყუოს ყალბი სათათბიროს მოწვევით. მთავრობას სურს მემამულეთა სათათბიროს დახმარებით კიდევ ისესხოს ფული ხალხის დასაჩაგრავად, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, გლეხებისა და მუშების წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად. მთავრობას სურს გაგვაბას

პოლიციის ხაფანგში, რათა მონაწილეობა მივიღოთ ამ მოტ-ყუებაში, რომელსაც სათათბიროს არჩევნები ეწოდება.

შეგნებული მუშები გვერდს უვლიან ამ პოლიციის ხ-ფანგს. ყოველგვარი არჩევნების გარეშე პირდაპირ უნდა განვუცხადოთ მთავრობას და მთელ ხალხს, რომ ჩვენ მონ-წილეობას არ ვიღებთ კომედიაში. ჩვენ არ დავუშვებთ მოტყუებას. ჩვენ ყველას წინაშე ვამხელთ პოლიციურ სიც-რუეს. ჩვენ ვაფრთხილებთ იმ მუშებსა და გლეხებს, რომელ-ნიც კიდევ ვერ მიმხვდარან ტყუილს და სათათბიროსგან სიკეთეს გამოელიან ხალხისთვის: თუ ვინიცობაა მაინც შეეცდებიან ისინი მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, დაინა-ხავენ, რომ სათათბიროში ხვდებიან არა მუშათა და გლეხთა დეპუტატები, არამედ პოლიციისათვის სასურველი კაპი-ტალისტები და მემამულეები. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მუშას და ყველა გლეხს, ყველა პატიოსან ადამიანს ებრძ-ლონ პოლიციურ მატყუარობას.

ჩვენ წინანდებურად ვიბრძვით ხალხის ნამდვილ წარმო-მადგენელთა ნამდვილი კრებისათვის. ასეთი კრება არჩეულ უნდა იქნას თავისუფლად, ყველას მიერ თანასწორად, ისე რომ არავითარი პრივილეგია არ მიეცეთ მემამულეებსა და მდიდრებს, არავითარი დაბრკოლება არ შექმნას ხელისუფ-ლებამ და პოლიციამ. მხოლოდ თავისუფლად არჩეული საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება შეიძლება იყოს ნამდვილი და არა ყალბი სათათბირო. მხოლოდ ასეთ სათათ-ბიროს შეუძლია შემოიღოს საუკეთესო წესწყობილება რუსეთში, შეამსუბუქოს მუშების ცხოვრება, მისცეს გლეხებს მიწა, თავისუფლება მისცეს მთელ ხალხს.

17 ოქტომბერს მუშებმა თავიანთი ბრძოლით აიძულეს მთავრობა თავისუფლების დაპირება მიეცა. მთავრობამ დაარღვია ყველა თავისი დაპირება. მუშები ახლა უფრო შეთანხმებულად, უფრო შეუპოვრად იბრძოლებენ ხალხის თავისუფლებისათვის. მუშები სულით არ ეცემიან დროებით დამარცხებათა გამო. მუშებმა იციან, რომ თავისუფლებისა-თვის ბრძოლა ძნელი და მძიმეა, მაგრამ თავისუფლების

საქმე მთელი ხალხის საქმეა. თავისუფლების საქმე გაიმარჯვებს, ბრძოლა კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდება. მუშები სულს მოითქვამენ მათთვის მიყენებულ დამარცხებათაგან, ისინი უფრო ერთსულოვნად და მჭიდროდ დაირაზმებიან მთავრობის წინააღმდეგ. ისინი ახალ ძალებს შეაგროვებენ. ისინი გლეხთა უფრო ფართო მასებს განუმარტავენ მთავრობის ყველა ტყუილს და მასთან ბრძოლის აუცილებლობას. მუშები გლეხებთან ერთად ამხედრდებიან და დაამხობენ იმ პოლიციელ მოძალადეთა მთავრობას, რომლებიც ხალხს ასე აბუჩად იგდებენ.

ძირს ყალბი, პოლიციელთა და მემამულეთა სათათბირო!

გაუმარჯოს თავისუფლად არჩეულ საყოველთაო სახალხო დამფუძნებელ კრებას!

დაწერილია 1906 წ.
თებერვალს, 11 (24)-ს შემდეგ.

დაიბეჭდა 1906 წ. თებერვალს
რსდმპ გაერთიანებული
პ. კ.-ის ცალკე ფურცლად

იბეჭდება ფურცლის ტექსტთან
შედარებული ხელნაწერის
მიხედვით

რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის რეზოლუცია ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ[42]

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ:

1) სახელმწიფო სათათბირო, მოწვეული 6 აგვისტოს და 11 დეკემბრის კანონთა საფუძველზე, წარმოადგენს სახალხო წარმომადგენლობის უაღრესად უხეშ გაყალბებას, ვინაიდან პროლეტარიატისა და გლეხობის უდიდესი უმრავლესობა ფაქტიურად ჩამოშორებულია სათათბიროში მონაწილეობას იმის წყალობით, რომ არჩევნები არ მიმდინარეობს საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე და ამრჩევლებიც მუშებისა და გლეხებისაგან სამ-ოთხ საცერში იცხრილებიან;

2) ამრჩეველთა შემადგენლობის ხელოვნური შერჩევით და მდიდარი მემამულეებისა და დიდი კაპიტალისტების სასარგებლოდ მთელი რიგი პრივილეგიების შექმნით მთავრობა ცდილობს უზრუნველყოს სათათბიროში არა მარტო ექსპლოატატორულ კლასთა, არამედ ამ კლასთა სწორედ შავრაზმული ელემენტების სრული სიჭარბე;

3) მთავრობა ყოვლად უსირცხვილოდ ამახინჯებს ასეთ ვიწრო წოდებრივ-შეზღუდულ არჩევნებსაც კი და ბოჭავს აგიტაციის ყოველგვარ თავისუფლებას, ყოველგან შემოაქვს სამხედრო წესები და პოლიციის სრული თვითნებობა, ყოველგვარი კანონების წინააღმდეგ და სრულიად გაუსამართლებლად სდევნის არა მარტო რევოლუციური და სოციალისტური პარტიების, არამედ მონარქისტული ლიბერალური ბურჟუაზიის (კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების და სხვ.) პარტიის წარმომადგენლებსაც კი;

4) მთავრობა ახლა აუქმებს თვით თავის კანონსაც არჩევნების ერთდროულობის შესახებ, რათა სხვადასხვა ადგი-

ლას ხელოვნურად დანიშნოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტები და თვით არჩევნები ისე დააჩქაროს, რომ შეუძლებელი გახდეს რაიმე ურთიერთობის დამყარება არჩეულთა და მოსახლეობას შორის;

5) თვითმპყრობელური მთავრობა იმედოვნებს სათათბიროს მოწვევის საშუალებით იმოქმედოს რუსეთისა და, განსაკუთრებით, საზღვარგარეთის საზოგადოებრივ აზრზე, რათა გადასდოს თავისი გარდუვალი დაღუპვა და მილიონობით ახალი სესხი მიიღოს რევოლუციის ჩასახშობად და ხალხის ჩაგვრის განსაგრძობად;

6) 20 თებერვლის კანონი [43], რომელიც სახელმწიფო საბჭოს ზედა პალატად აქცევს, კიდევ უფრო აუარესებს სათათბიროს დებულებას და ცდილობს საბოლოოდ ჩამოაქვეითოს მისი როლი თვითმპყრობელური ბიუროკრატიის უძლურ სათათბირო დანამატად;

7) ამგვარ სათათბიროში მონაწილეობა ასეთ პოლიტიკურ პირობებში შეუძლებლად მიაჩნია ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების უდიდეს უმრავლესობას;

8) სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ამა თუ იმ სტადიაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას შეუძლია არასწორი წარმოდგენა შექმნას ხალხში იმის შესახებ, თითქოს შესაძლებელი იყოს რაოდენადმე სწორი არჩევნები იმ პარტიებისათვის, რომლებიც ხალხის ფართო მასების ინტერესებს იცავენ;

9) არჩევნებში მონაწილეობას შეუძლია პროლეტარიატის ყურადღების სიმძიმის ცენტრი სათათბიროს გარეშე მიმდინარე მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და სხვ. რევოლუციურ მოძრაობათაგან გადაიტანოს ერთი ციცქნა ფსევდოლეგალურ, ცრუკონსტიტუციურ საარჩევნო კამპანიაზე და კიდევ უფრო დააქვეითოს მუშათა კლასის დროებით დაქვეითებული განწყობილება და ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს ბრძოლის რევოლუციური პერიოდი დამთავრებუ-

ლია, აჯანყების საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია და პარტია კონსტიტუციურ გზას ადგება;

10) სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები ისეთ პირობებს გულისხმობს, რომელნიც პარტიისაგან მოითხოვს ლეგალობისა და სიმშვიდის დაცვას და, ამრიგად, ჩვენი მონაწილეობა ამ არჩევნებში ზიანს მიაყენებს საარსებო რევოლუციურ ამოცანას — მთავრობის წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებათა გაძლიერებას სწორედ სათათბიროს არჩევნებისა და მოწვევის დროს;

11) სოციალ-დემოკრატების პარტიას არ შეუძლია, ყველაზე ნაკლებ განვითარებული მასების პრაქტიკული აღზრდის მიზნით, მათთან ერთად გამოვიდეს არჩევნებში, ვინაიდან ასეთ ნაკლებ განვითარებულ მასებს უნდათ თვით სათათბიროში მონაწილეობის მიღება და ეს უნდათ კანონიერი გზით, ხოლო პარტია, რომელიც კანონებს ვერ დაემორჩილება, ასეთი მასების მხოლოდ ბუნებრივ უნდობლობას გამოიწვევდა და ხელს შეუშლიდა მათ სათათბიროს კამპანიის გაკვეთილების გულწრფელად და თანამიმდევრად ათვისებაში;

12) მუშების მიერ წამოყენებულ რწმუნებულებს და ამრჩევლებს, პოლიციური გზით მათი ამომრჩევლების შემადგენლობის ხელოვნურად შერჩევის გამო, მათი უფლებამოსილების მოკლევადიანობისა და ვიწრო ხასიათის გამო, არჩევნების ზემოაღნიშნული ვითარების გამო, არაფრის მიცემა არ შეუძლიათ მუშათა კლასის ფართო ფენების ნამდვილი რევოლუციური ორგანიზაციისათვის;

13) საგუბერნიო საარჩევნო კრებებიდან ამრჩეველთა იმ ნაწილის წასვლით, რომლის მიმხრობასაც, საუკეთესო შემთხვევაში, სოციალ-დემოკრატია შესძლებდა, სათათბიროს ჩაშლა შეუძლებელია;

14) რუსეთის ყველაზე დაჩაგრულ ეროვნებათა პროლეტარიატის შეგნებული წარმომადგენლები (პოლონეთის, ებრაელთა, ლატვიის, ლიტვის სოციალ-დემოკრატია) გადაჭრით

უარყოფენ ჯამბაზურ არჩევნებში ყოველგვარ მონაწილეობას და მთელი ენერგიით იბრძვიან მის მომწყობთა წინააღმდეგ;

15) ბურჟუაზიული დემოკრატიისა და გლეხობის (გლეხთა კავშირი, მასწავლებელთა კავშირი, კავშირთა კავშირი, სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია, პოლონეთის სოციალისტური პარტია, პოლონეთის პროგრესული პარტია და ა. შ.) ყველა მებრძოლი ელემენტის საზოგადოებრივი აზრი უარყოფს სათათბიროსაც და მის არჩევნებსაც.

ვილებთ რა ყოველივე ამას მხედველობაში, ჩვენ, პეტერბურგის მუშების — რსდმპ წევრების — წარმომადგენელთა კრება საჭიროდ ვთვლით:

1) უსათუოდ უარი ვთქვათ სახელმწიფო სათათბიროში ყოველგვარ მონაწილეობაზე;

2) უსათუოდ უარი ვთქვათ სახელმწიფო სათათბიროს ყოველგვარ არჩევნებში მონაწილეობაზე რომელ სტადიაზედაც უნდა იყოს;

3) რაც შეიძლება უფრო ფართოდ გავაჩაღოთ აგიტაცია ხალხში სათათბიროს ნამდვილი ხასიათის განსამარტებლად, იმ სიცრუის გასაფანტავად, რომლითაც შეცდომაში შეჰყავთ რუსეთისა და ევროპის საზოგადოებრივი აზრი, და იმის ცხადსაყოფად, თუ როგორ აუცილებელია გლეხთა იმ ნაწილის იმედის გაცრუება, რომელიც სათათბიროსაგან სიკეთეს მოელის;

4) გამოვიყენოთ ყოველნაირად, ლეგალურადაც და არალეგალურადაც, არჩევნებთან დაკავშირებული ყოველგვარი კრებები საერთოდ სოციალ-დემოკრატების შეხედულებათა განსამარტებლად, კერძოდ სათათბიროს კრიტიკის ქარცეცხლში გასატარებლად და განსაკუთრებით საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების რევოლუციური გზით მოწვევისათვის ბრძოლისაკენ მოსაწოდებლად;

5) როცა ერთმანეთს ვუპირისპირებთ სათათბიროს მეშვეობით თავისუფლებისათვის ბრძოლას და ამ ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებს, ასეთი აგიტაციის დროს გაძლიერებული ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ მუშებსა და მთელ

ხალხს გავაცნოთ გამოცდილება დეკემბრის აჯანყებისა, რომელიც მომასწავებელია ნამდვილი სახალხო თავისუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლის უმაღლესი სტადიის დასაწყისისა;

6) სათათბიროს გამო ამ აგიტაციის დროს გაძლიერებული ყურადღება მივაქციოთ ღრმა ეკონომიურ და ფინანსურ კრიზისს, რეაქციონერ კაპიტალისტთა მხრივ მუშების ექსპლოატაციის უაღრესად გაძლიერებას, უმუშევრობის გამწვავებას ქალაქებში და შიმშილს სოფლად, გაზაფხულზე მოსალოდნელ გლეხთა მოძრაობას, ჯარის მღელვარების ფაქტებს, როგორც ისეთ გარემოებებს, რაც ახლო მომავალში მეტისმეტად შესაძლებლად ხდის ახალ სახალხო აფეთქებას, რომელიც აღგვის სახელმწიფო სათათბიროს ან მის მოწვევამდე, ან მოწვევის შემდეგ, როცა მოსახლეობას საბოლოოდ გაუცრუვდება მისი იმედი;

7) ეს აგიტაცია, სხვათა შორის, იმისთვისაც გამოვიყენოთ, რომ სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის ის ლაჩარი წარმომადგენლები (მაგალითად, კ.-დ.), რომლებიც რყვნიან მოსახლეობის მოქალაქობრივ თვითშეგნებას იმით, რომ გამწვავებული სამოქალაქო ომის დროს ქადაგებენ კონსტიტუციურ ილუზიებს, გვირჩევენ სათათბიროს მოწვევას და მასში მონაწილეობის მიღებას, უარყოფენ ძალადობის გამოყენებას ხალხის უდიდესი უმრავლესობის თავისუფლებისა და უფლებების დასაცავად ისეთ დროს, როცა მხოლოდ ველური ძალმომრეობით ინარჩუნებს ძალაუფლებას შეიარაღებული ბრბო, რომელიც მთავრობას უწოდებს თავის თავს.

დაწერილია 1906 წ.
თებერვლის დამლევს —
მარტის დამდეგს.
დაიბეჭდა 1906 წ. მარტში
„ კ.-ის ცალკე ფურცლად

იბეჭდება ფურცლის ტექსტის
მიხედვით

რუსეთის რევოლუცია და პროლეტარიატის ამოცანები

I

როგორია დემოკრატიული რევოლუციის მდგომარეობა რუსეთში: დამარცხებულია იგი, თუ ჩვენ მხოლოდ დროებით მიწყნარებას განვიცდით? იყო თუ არა დეკემბრის აჯანყება რევოლუციის კულმინაციური პუნქტი და ჩვენ ახლა შეუჩერებლივ მივექანებით «შიპოვის კონსტიტუციური» რეჟიმისაკენ?" თუ რევოლუციური მოძრაობა საერთოდ და მთლიანად კი არ ნელდება, არამედ განაგრძობს აღმავლობას, ამზადებს ახალ აფეთქებას, მიწყნარების დროს ახალ ძალებს იკრებს და პირველი წარუმატებელი აჯანყების შემდეგ გვპირდება მეორეს, რომელსაც წარმატების ბევრად უფრო მეტი შანსი აქვს?

ასეთია ის ძირითადი საკითხები, რომელნიც ამჟამად რუსეთის სოციალ-დემოკრატების წინაშე დგას. ვრჩებით რა მარქსიზმის ერთგულნი, ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა ავარიდოთ თავი ზოგადი ფრაზების საშუალებით იმ ობიექტური პირობების ანალიზს, რომელთა მხედველობაში მიღება საბოლოო ანგარიშით სამუდამოდ სწყვეტს ამ საკითხებს. ხოლო მათ გადაწყვეტაზე კი დამოკიდებულია სოციალ-დემოკრატიის მთელი ტაქტიკა, და ჩვენი დავაც, მაგალითად, სათათბიროს ბოიკოტის შესახებ (რომელიც, სხვათა შორის, უკვე დასასრულს უახლოვდება, რადგან რსდმპ ორგანიზაციათა უმრავლესობა ბოიკოტს მიემხრო) ამ დიდი საკითხების მხოლოდ სულ პატარა ნაწილაკს წარმოადგენს.

ჩვენ ეს-ეს არის ვთქვით, რომ მარქსისტს არ შეჰფერის ამ საკითხების თავიდან მოშორება ზოგადი ფრაზებით. ასეთი ზოგადი ფრაზებია თუნდაც იმაზე მითითება, რომ ჩვენ არასოდეს არ გვესმოდა რევოლუცია მარტოოდენ «შუბებისა და ფიწლების» აზრით, რომ ჩვენ რევოლუციონერები ვიყავით მაშინაც, როდესაც არ ვაყენებდით პირდაპირ შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოწოდებას, რომ ჩვენ რევოლუციონერებად დავრჩებით პარლამენტის პერიოდშიც, როდესაც იგი დადგებაო, და სხვ. ასეთი ლათაიები იქნებოდა მხოლოდ უბადრუკი თავდაძვრენა, კონკრეტული ისტორიული საკითხის შეცვლა აბსტრაქტული მოსაზრებებით, რომლებიც სრულიად ვერაფერს არკვევენ და მხოლოდ სიგლახაკისა თუ პოლიტიკური დაბნეულობის საფარველს წარმოადგენენ. რათა ჩვენი აზრი მაგალითით დავადასტუროთ, დავიმოწმოთ მარქსის დამოკიდებულება გერმანიის 1848 წლის რევოლუციისადმი. ასეთი დამოწმება მით უფრო სასარგებლო იქნება, რომ ჩვენში არსებობს მთელი რიგი ნიშნები ბურჟუაზიის ასეთივე და კიდევ უფრო მკვეთრი დაყოფისა რეაქციულ და რევოლუციურ ფრთად, — დაყოფისა, რასაც ადგილი არა ჰქონია, მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. არსებითად რომ ითქვას, ჩვენ მიერ ზემოთ დაყენებული ძირითადი საკითხებიც რუსეთის რევოლუციის მდგომარეობის შესახებ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, გერმანიასთან ანალოგიის შეფარდებით (რასაკვირველია, იმ პირობითი და განსაზღვრული აზრით, რა აზრითაც მხოლოდ დასაშვებია საერთოდ ისტორიული ანალოგია), ასეთი სიტყვებით: 1847 თუ 1849 წელი? განვიცდით თუ არა ჩვენ რევოლუციის უდიდესი აღმავლობის ბოლოს (როგორც გერმანია 1847 წელს, როდესაც იწვევდნენ და მოიწვიეს გერმანიის სახელმწ. სათათბირო, ეგრეთწოდებული შეერთებული ლანდტაგი), თუ ჩვენ განვიცდით (როგორც გერმანია 1849 წელს) რევოლუციის სავსებით გამოფიტვის ბოლოს და შეკვეცილი კონსტიტუციის უფერული დღეების დასაწყისს?

მარქსი სწორედ 1850 წლის განმავლობაში აყენებდა ამ საკითხს, სწყვეტდა მას და, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა იგი არა თავდაძვრენით, არამედ პირდაპირი პასუხით, რომელიც გამოიყვანა მან ობიექტური პირობების ანალიზიდან. 1849 წელს რევოლუცია ჩახშობილი იყო, მთელი რიგი აჯანყებები მარცხით დამთავრდა, ხალხის მიერ ფაქტიურად მოპოვებული თავისუფლება წართმეულ იქნა, «რევოლუციონერთა» წინააღმდეგ რეაქცია მძვინვარებდა. «კომუნისტთა კავშირის» (მაშინდელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, რომელსაც ფაქტიურად მარქსი ხელმძღვანელობდა) აშკარა პოლიტიკური გამოსვლა შეუძლებელი გახდა. «ყველგან თავს იჩენდა — ამბობს კავშირის ც. კ.-ის მიმართვა თავისი წევრებისადმი 1850 წ. ივნისში — რევოლუციური პარტიის ძლიერი ს ა ი დ უ მ ლ ო (ხაზგასმა ყველგან ჩვენია) ორგანიზაციის მოთხოვნილება მთელ გერმანიაში». ც. კ. საზღვარგარეთიდან გერმანიაში გზავნის ემისარს, რომელიც «ყველა გამოსადეგ ძალებს კავშირის ხელში» უყრის თავს. მარქსი წერს (1850 წლის მარტის «მიმართვა») ახალი აღმავლობის, ახალი რევოლუციის შესაძლებლობაზე, ურჩევს მუშებს დამოუკიდებლად შეკავშირებას, განსაკუთრებით მოითხოვს მთელი პროლეტარიატის აუცილებელ შეიარაღებას, პროლეტარული გვარდიის შექმნას, «განიარაღების ყოველგვარი ცდის ძალით ჩაშლის» აუცილებლობას. მარქსი მოითხოვს «რევოლუციური მუშათა მთავრობების» შექმნას და განიხილავს, თუ როგორ უნდა მოიქცეს პროლეტარიატი «მომავალი აჯანყების დროს და მის შემდეგ». მარქსი გერმანიის დემოკრატიას ნიმუშად უსახავს 1793 წლის იაკობინურ საფრანგეთს (იხ. «კომუნისტთა კელნის პროცესი», რუს. თარგმ., გვ. 115 და სხვ.) [45].

გადის ნახევარი წელი. მოსალოდნელი აღმავლობა არ იწყება. კავშირის ცდამ წარმატება ვერ ჰპოვა. «რევოლუციის აღმავლობა — წერდა ენგელსი 1885 წელს — 1850 წლის განმავლობაში სულ უფრო ნაკლებად მოსალოდნელი, თითქმის შეუძლებელიც კი ხდებოდა» [46]. 1847 წლის სამრეწველო

კრიზისმა განვლო. იწყებოდა მრეწველობის აყვავება. და, აი, მარქსი ითვალისწინებს ობიექტურ პირობებს და მკვეთრად და გარკვევით აყენებს საკითხს. 1850 წლის შემოდგომაზე იგი კატეგორიულად აცხადებს, რომ ახლა, ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ძალთა ასეთი საუცხოო განვითარების დროს — «ნ ა მ დ ვ ი ლ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ზ ე ლ ა პ ა რ ა კ ი ც კ ი შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა»[47].

როგორც მკითხველი ხედავს, მარქსი ძნელი საკითხისაგან თავს როდი იძვრენს. იგი სიტყვას რევოლუციას როდი ათამაშებს, საარსებო პოლიტიკურ საკითხს ცარიელი აბსტრაქციებით როდი სცვლის. მას არ ავიწყდება, რომ რევოლუცია საერთოდ ყოველ შემთხვევაში წინ მიდის, რადგან წარმოებს ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარება, და პირდაპირ ლაპარაკობს დემოკრატიული რევოლუციის შეუძლებლობაზე ამ სიტყვის უშუალო და ვიწრო მნიშვნელობით. მარქსი ძნელ საკითხს ისე სწყვეტს, რომ არ იმოწმებს პროლეტარიატის ამა თუ იმ ფენაში დაცემულობისა და დაღლილობის «განწყობილებას» (როგორც ამას ხშირად სჩადიან მაჩანჩალად გამხდარი სოციალ-დემოკრატები). არა, სანამ მას დაქვეითებული განწყობილების ფაქტზე მეტი მონაცემები არ ჰქონდა (1850 წლის მარტში), იგი განაგრძობდა მოწოდებას შეიარაღებისა და აჯანყებისაკენ, განაგრძობდა მის მზადებას და თავისი სკეპტიციზმითა და დაბნეულობით მუშების განწყობილებას როდი აქვეითებდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც მარქსმა ცხადჰყო «ნამდვილი რევოლუციის» «გამოფიტვის» აუცილებლობა, — მხოლოდ მაშინ შეიცვალა მან შეხედულება. და, რაკი აზრი შეიცვალა, მარქსმა პირდაპირ და აშკარად მოითხოვა ტაქტიკის ძირითადად შეცვლა, აჯანყების მზადების სრული შეწყვეტა, რადგან ასეთი მზადება მაშინ მხოლოდ თამაშობა იქნებოდა. აჯანყების ლოზუნგი პირდაპირ მოიხსნა დღის წესრიგიდან. პირდაპირ და გარკვევით აღიარებულ იქნა, «მოძრაობის ფორმა შეიცვალაო».

ახლანდელ მძიმე მომენტში მარქსის ეს მაგალითი მუდამ თვალწინ უნდა გვქონდეს. უახლოეს მომავალში «ნამდვილი

რევოლუციის» შესაძლებლობის, «მოძრაობის» ძირითადი «ფორმის», აჯანყებისა და მისი მომზადების საკითხს უდიდესი სერიოზულობით უნდა მოვეპყრათ, მაგრამ მებრძოლი პოლიტიკური პარტია ვალდებულია ეს საკითხი პირდაპირ და გარკვეულად, თავდაძვრენის, სიტყვის ბანზე აგდების და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გადაწყვიტოს. პარტია, რომელიც ამგვარ საკითხზე ნათელი პასუხის შემუშავებას ვერ შესძლებს, პარტიის სახელწოდების ღირსი ვერ იქნებოდა.

II

ამრიგად, რა ობიექტური მონაცემები მოგვეპოვება ამ საკითხის გადასაწყვეტად? «მოძრაობის» უშუალო რევოლუციური «ფორმის» სრული გამოფიტვის, ახალი აჯანყების შეუძლებლობის, უბადრუკი ბურჟუაზიული კვაზი-კონსტიტუციონალიზმის ერაში რუსეთის შესვლის აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს მთელი რიგი, ასე ვთქვათ, ზედაპირზე ამოტივტივებული ფაქტები, რომლებიც ყველას თვალში ხვდება. ბურჟუაზიის შებრუნება უეჭველია. მემამულე კადეტებს ჩამოშორდა და 17 ოქტომბრის კავშირში შევიდა. მთავრობამ უკვე გვიბოძა ორპალატიანი «კონსტიტუცია». სამხედრო წესების, ეგზეკუციებისა და დაპატიმრებათა შემწეობით იქმნება ყალბი სათათბიროს მოწვევის შესაძლებლობა. ქალაქთა აჯანყება ჩახშობილია და გლეხთა მოძრაობა გაზაფხულზე შეიძლება განმარტოებული, უძლური აღმოჩნდეს. წარმოებს მემამულეთა მიწების გაყიდვა, და, მაშასადამე, ძლიერდება ბურჟუაზიული, «წყნარი» გლეხობის ფენა. განწყობილების დაცემა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ აშკარაა. ბოლოს, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ რევოლუციის დამარცხების წინასწარმეტყველება საერთოდ უფრო ადვილი და, ასე ვთქვათ, იოლია, ვიდრე მისი აღმავლობის წინასწარმეტყველება, რადგან ამჟამად ხელისუფლება რეაქციის მხარეზეა, და დღემდე რევოლუციები «მეტ წილად» თავდებოდა... დაუმთავრებლად.

რა საბუთები გვაქვს საწინააღმდეგო აზრის სასარგებლოდ? ამ საკითხზე სიტყვა მივცეთ კ. კაუტსკის, რომლის შეხედულებათა სიფხიზლე და საჭირბოროტო, მწვავე პოლიტიკური საკითხების მეტად მშვიდად, საქმიანად და გულმოდგინედ განხილვის უნარი ყველა მარქსისტს მოეხსენება. კაუტსკიმ თავისი აზრი მოსკოვის აჯანყების ჩახშობის შემდეგ მალე გამოთქვა სტატიაში: «რუსეთის რევოლუციის შანსები». გამოქვეყნდა ამ სტატიის რუსული თარგმანიც, — რა თქმა უნდა, ცენზურის მიერ დამახინჯებული (იმის მსგავსად, როგორადაც დამახინჯდა რუსული თარგმანი კაუტსკის მეორე მშვენიერი ნაშრომისა: «აგრარული საკითხი რუსეთში»).

კაუტსკი მძიმე საკითხს თავს როდი არიდებს. იგი როდი ცდილობს ცარიელი ფრაზებით თავიდან მოიშოროს საკითხი საერთოდ რევოლუციის უძლეველობისა, პროლეტართა კლასის მუდმივი და განუწყვეტელი რევოლუციურობისა და ა. შ. არა, იგი პირდაპირ აყენებს კონკრეტულ ისტორიულ საკითხს რუსეთის თანამედროვე, ახლანდელი დემოკრატიული რევოლუციის შანსების შესახებ. იგი თავის სტატიას მიუკიბ-მოუკიბავად იწყებს იმით, რომ რუსეთიდან 1906 წლის დამდეგით დაწყებული, მოგვდის თითქმის მარტოოდენ სამწუხარო ცნობები, რომელთაც «შ ე უ ძ ლ ი ა თ დ ა ჰ ბ ა დ ო ნ ა ზ რ ი, რ ო მ ე ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს ა ბ ო ლ ო ო დ ჩ ა ხ შ ო ბ ი ლ ი ა დ ა ს უ ლ ს ღ ა ფ ა ვ ს». ამ გარემოების გამო ზეიმობენ არა მარტო რეაქციონერები, არამედ რუსი ლიბერალებიცო, ამბობს კაუტსკი და «კუპონების» ამ უკანასკნელ გმირთ სავსებით დამსახურებული დამცინავი სიტყვებით ამკობს (როგორც ჩანს, კაუტსკის ჯერ კიდევ არ შეუგნია პლეხანოვის თეორია, თითქოს რუსი სოციალ-დემოკრატები უნდა «აფასებდნენ არაპროლეტარული ო პ ო ზ ი ც ი უ რ ი პარტიების დახმარებას»).

და აი კაუტსკიც დაწვრილებით განიხილავს ამ ბუნებრივად წარმოშობილ აზრს. მოსკოვის მუშების დეკემბრის დამარცხების გარეგანი მსგავსება პარიზის მუშების (1848 წ.)

ივნისის დამარცხებასთან ეჰვს გარეშეა. იქაც და აქაც მუშათა შეიარაღებული აჯანყება მთავრობამ «პროვოკაციულად» გამოიწვია ისეთ მომენტში, როცა მუშათა კლასი ჯერ კიდევ საკმარისად არ იყო ორგანიზებული. იქაც და აქაც, მიუხედავად მუშების გმირული წინააღმდეგობისა, რეაქციამ გაიმარჯვა. რა დასკვნა გამოჰყავს აქედან კაუტსკის? ხომ არ დაასკვნის იგი, მსგავსად პლეხანოვის პედანტური დარიგებისა, ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისთვისაო? არა, კაუტსკი როდი ჩქარობს გადავიდეს ბეც და იაფფასიან მორალიზებაზე უკანა რიცხვით. იგი ი კ ვ ლ ე ვ ს ობიექტურ მონაცემებს, რომელთაც შეუძლიათ გადაწყვიტონ საკითხი: საბოლოოდ ჩახშობილია თუ არა რუსეთის რევოლუცია.

კაუტსკი პროლეტარიატის პარიზის (1848 წ.) და მოსკოვის (1905 წ.) დამარცხებას შორის ოთხ ძირითად განსხვავებას ხედავს. ჯერ ერთი, პარიზის დამარცხება მთელი საფრანგეთის დამარცხება იყო. არაფერი ამის მსგავსი არ შეიძლება ითქვას მოსკოვზე. პეტერბურგის, კიევის, ოდესის, ვარშავის, ლოძის მუშები არ დამარცხებულან. ისინი დაუძლურებულნი არიან საშინლად მძიმე ბრძოლით, რომელიც უკვე მთელი წელიწადი გრძელდება, მაგრამ მათი მხნეობა ვერ გასტეხეს. ისინი ძალღონეს იკრებენ, რომ კვლავ დაიწყონ თავისუფლებისათვის ბრძოლა.

მეორე, კიდევ უფრო არსებითი განსხვავება ისაა, რომ 1848 წელს გლეხები საფრანგეთში რეაქციის მხარეზე იყვნენ, ხოლო 1905 წელს რუსეთში რევოლუციის მხარეზე არიან. მიმდინარეობს გლეხთა აჯანყებანი. მთელი არმიები მათს ჩაქრობას უნდებიან. ეს არმიები ქვეყანას ისე ავერანებენ, როგორც მხოლოდ გერმანია გავერანდა 30-წლიანი ომით. სამხედრო ეგზეკუციები დროებით აფრთხობენ გლეხებს, მაგრამ ეს ეგზეკუციები მხოლოდ აძლიერებენ მათს სიღატაკეს, აძლიერებენ მათს გამოუვალ მდგომარეობას. ისინი აუცილებლად წარმოშობენ, ისევე როგორც 30-წლიანი ომის აოხრებანი, ადამიანთა ახალ-ახალ მასებს, რომელნიც იძულებული იქნებიან ომი გამოუცხადონ არსებულ წესწყობი-

ლებას, არ დაუშვებენ რუსეთში მშვიდობის დამყარებას და ყოველგვარ აჯანყებას მიემხრობიან.

მესამე, მეტისმეტად მნიშვნელოვანი, განსხვავება შემდეგია. 1848 წლის რევოლუცია 1847 წლის კრიზისმა და შიმშილობამ მოამზადა. რეაქცია კრიზისის დამთავრებასა და მრეწველობის აყვავებას ემყარებოდა. «ახლანდელმა ტერორის რეჟიმმა რუსეთში, პირიქით, უეჭველად უნდა გამოიწვიოს იმ ეკონომიური კრიზისის გამწვავება, რომელიც წლობით თავს დასტრიალებს მთელ რუსეთს». 1905 წლის შიმშილობა მთელი თავისი შედეგებით საგრძნობი იქნება ჯერ კიდევ უახლოეს თვეებში. რევოლუციის ჩახშობა უდიდესი სამოქალაქო ომია, ომი მთელი ხალხის წინააღმდეგ. ეს ომი საგარეო ომზე ნაკლებად როდი ჯდება, მასთან იგი აოხრებს არა სხვის, არამედ საკუთარ ქვეყანას. ახლოვდება ფინანსური კრახი. გარდა ამისა ახალი სავაჭრო ხელშეკრულებანი რუსეთს განსაკუთრებულ აფორიაქებას უქადიან და მათ მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გამოწვევაც კი შეუძლიათ. ამრიგად, რამდენადაც მეტ ხანს გასტანს რეაქციული ტერორი, მით უფრო საშინელი იქნება ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, მით უფრო მძლავრი იქნება აღშფოთება საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ. «ასეთი სიტუაცია, — ამბობს კაუტსკი, — უძლეველად ხდის ცარიზმის საწინააღმდეგო ყოველგვარ მძლავრ მოძრაობას. და ასეთი მოძრაობა ბლომად იქნება. ამაზე იზრუნებს რუსეთის პროლეტარიატი, რომელმაც უკვე თავისი გმირობისა და თავდადების ამდენი დიდი საბუთები მოგვცაო».

კაუტსკის მიერ აღნიშნული მეოთხე განსხვავება რუსი მარქსისტებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა. ჩვენში, სამწუხაროდ, ახლა მეტად გავრცელებულია რაღაც უკბილო, არსებითად წმინდა-კადეტური ხითხითი «ბრაუნინგებისა» და «მებრძოლი რაზმების» შესახებ. იმის სათქმელად, რომ აჯანყება შეუძლებელია და მისი კვლავ მზადება არც კი ღირსო, არავის ჰყოფნის ვაჟკაცობა და პირდაპირობა, რისი ნიმუშიც მოგვცა მარქსმა. ხოლო ხითხითი რევოლუციონერების სამ-

ხედრო მოქმედებათა შესახებ ძალიან გვიყვარს. ჩვენს თავს მარქსისტებს ვუწოდებთ, მაგრამ ვარჩევთ თავი ავარიდოთ აჯანყების ს ა მ ხ ე დ რ ო მხარის (რასაც მარქსი და ენგელსი ყოველთვის სერიოზულ მნიშვნელობას აძლევდნენ [48]) ანალიზს და უბადლო მედიდური დოქტრინიორობით ვაცხადებთ: «ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისთვისაო...». კაუტსკი სხვანაირად იქცევა. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების შესახებ მას ჯერ მეტად მცირე ცნობები ჰქონდა, იგი მაინც ცდილობს ჩაუფიქრდეს საკითხის სამხედრო მხარესაც. იგი ცდილობს მოძრაობა შეაფასოს როგორც ბრძოლის ახალი, მასების მიერ შემუშავებული, ფორმა და არა ისე, როგორც აფასებენ შეტაკებებს ჩვენებური რევოლუციური კურიოპატკინები: რაკი გაძლევენ — აიღე; რაკი გცემენ — გაიქეცო; რაკი გცემეს, მაშასადამე, არც უნდა აგეღო ხელთ იარაღიო!

«პარიზის ივნისის ბრძოლაც — ამბობს კაუტსკი — და მოსკოვის დეკემბრის ბრძოლაც ბარიკადული შეტაკებები იყო. მაგრამ პირველი — კატასტროფა, ძველი საბარიკადო ტაქტიკის აღსასრული იყო. მეორე — ახალი საბარიკადო ტაქტიკის დასაწყისი იყო. და ამდენად ჩვენ უნდა გადავსინჯოთ ის შეხედულება, რომელიც ენგელსმა გამოთქვა მარქსის «კლასთა ბრძოლის» წინასიტყვაობაში, სახელდობრ ის შეხედულება, თითქოს საბარიკადო ბრძოლათა ეპოქამ საბოლოოდ განვლო [49]. ნამდვილად კი განვლო მხოლოდ ძ ვ ე ლ ი საბარიკადო ტაქტიკის ეპოქამ. აი რა დაამტკიცა მოსკოვის ბრძოლამ, როცა ერთმა მუჭა აჯანყებულებმა შესძლეს, ორი კვირის განმავლობაში, გამაგრებოდნენ ჭარბ მებრძოლ ძალებს, აღჭურვილთ თანამედროვე არტილერიის ყოველგვარი იარაღით».

ასე ლაპარაკობს კაუტსკი. იგი სულთათანას როდი უგალობს აჯანყებას პირველი ცდის წარუმატებლობის გამო. იგი წარუმატებლობის გამო კი არ ბუზღუნებს, არამედ ბრძოლის ახალი, უმაღლესი ფორმის ჩასახვასა და ზრდას ი კ ვ ლ ე ვ ს, არჩევს ჯარის დეზორგანიზაციისა და უკმაყოფილების, ქალაქის მოსახლეობის მხრივ მუშებისათვის დახმარების გაწევის, მასობრივი გაფიცვისა და აჯანყების შეერთების მნიშვნელობას. იგი იკვლევს, თუ როგორ ს წ ა ვ ლ ო ბ ს პროლეტარიატი აჯანყებას. იგი გადასინჯავს მოძველებულ სამხედრო თეორიებს და ამით მოუწოდებს მთელ პარტიას მოსკოვის გამოც-

დილების გადამუშავებისა და შეთვისებისაკენ. იგი მთელ მოძრაობას უყურებს, როგორც გაფიცვიდან აჯანყებაზე გადასვლას, და ცდილობს გაიგოს, რანაირად უნდა შეაერთონ მუშებმა ერთიც და მეორეც წარმატების მისაღწევად.

კაუტსკი თავის სტატიას შემდეგი სიტყვებით ათავებს: «ასეთია მოსკოვის გაკვეთილები. თუ რა გავლენას მოახდენენ ისინი მომავალი ბრძოლის ფორმებზე, ამის აქედან (ე. ი. გერმანიიდან) განჭვრეტა ამჟამად შეუძლებელია. მართლაცდა, აქამდე რუსეთის რევოლუციის ყველა წინანდელ გამოვლინებაში ჩვენ ვხედავდით დაურაზმავი მასების სტიქიურ აფეთქებებს, არც ერთი ეს გამოვლინება გეგმის მიხედვით წინასწარ დასახული და მომზადებული არ ყოფილა. განსაზღვრული დროის განმავლობაში, ალბათ, მომავალშიც ასე იქნება.

მაგრამ თუ ამჟამად კიდევ შეუძლებელია ბრძოლის მომავალი ფორმების გარკვევით წინასწარმეტყველება, სამაგიეროდ ყველა ნიშანი იმას მოწმობს, რომ ჩვენ აუცილებლად შემდგომ ბრძოლებს უნდა ველოდეთ, რომ ახლანდელი პირქუში (უნჰეიმლიხე) სიმშვიდე მხოლოდ მიყუჩებაა ქარიშხლის წინ. ქალაქებსა და სოფლებში მასებს ოქტომბრის მოძრაობამ უჩვენა, თუ რა ძალის გაშლა შეუძლიათ მათ. იანვრის რეაქციამ შემდგომ ისინი ტანჯვით აღსავსე უფსკრულში გადასჩეხა. ამ უფსკრულში მათ ყველაფერი აღელვებს, აღშფოთებისათვის განაწყობს, და არ არსებობს ისეთი ფასი, რასაც ისინი მეტად ძვირად მიიჩნევდნენ ამ უფსკრულიდან თავის დასაღწევად. მალე კვლავ აღსდგებიან მასები, მალე ისინი კიდევ უფრო ძლიერნი გაილაშქრებენ! დაე კონტრრევოლუციამ თავისუფლებისათვის ბრძოლის გმირთა გვამებზე თავისი ზეიმი იდღესასწაულოს: უკვე ახლოვდება ამ ზეიმის აღსასრული, განთიადი წითლად იღებება, მოდის პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ა».

III

ჩვენს მიერ მოხაზული საკითხი მთელი სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის ძირითადი საკითხია. მომავალმა პარტიულმა ყრილობამ ეს საკითხი პირველ რიგში და ფრიად ნათ-

ლად და გარკვეულად უნდა გადაწყვიტოს, და პარტიის ყველა წევრმა, ყველა შეგნებულმა მუშამ დაუყოვნებლივ მთელი ძალღონე უნდა დაძაბოს იმისათვის, რომ საკითხის გადასაწყვეტად ყოველმხრივი მასალა დააგროვოს, განიხილოს იგი და ყრილობაზე ისეთი დელეგატები გაგზავნოს, რომელნიც თავისი სერიოზული და პასუხსაგები ამოცანისათვის სავსებით მომზადებულნი იქნებიან.

ყრილობის დელეგატთა არჩევნები ტაქტიკური პლატფორმების სრული გარკვევის საფუძველზე უნდა მოხდეს. წამოყენებულ საკითხზე ესა თუ ის თანამიმდევარი და მთლიანი პასუხი არსებითად წინასწარ სწყვეტს სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკური პლატფორმის ყოველგვარ წვრილმანებს.

ან — ან.

ან ჩვენ აღვიარებთ, რომ ამჟამად «ნამდვილ რევოლუციაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია». მაშინ ჩვენ ეს აშკარად და გადაჭრით ყველას გასაგონად უნდა განვაცხადოთ, რაოა შეცდომაში არ შევიყვანოთ არც ჩვენი თავი, არც პროლეტარიატი, არც ხალხი. მაშინ ჩვენ უეჭველად უნდა უკუვაგდოთ, როგორც პროლეტარიატის უშუალო ამოცანა, დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა. მაშინ ჩვენ ვალდებული ვართ დღის წესრიგიდან სრულიად მოვხსნათ აჯანყების საკითხი, შევწყვიტოთ მებრძოლი რაზმების შეიარაღებისა და შეკავშირების ყოველგვარი მუშაობა, ვინაიდან აჯანყების თამაში არ შეჰფერის მუშათა პარტიას. მაშინ ჩვენ რევოლუციური დემოკრატიის ძალები ამოწურულად უნდა მივიჩნიოთ და უშუალო ამოცანად დავისახოთ მხარდაჭერა ლიბერალური დემოკრატიის ამა თუ იმ ფენებისათვის, როგორც რეალური ოპოზიციური ძალისათვის კონსტიტუციური რეჟიმის დროს. მაშინ ჩვენ სახელმწიფო სათათბირო უნდა მივიჩნიოთ პარლამენტად, თუნდაც ცუდ პარლამენტად, მონაწილეობა უნდა მივიღოთ არათუ არჩევნებში, არამედ თვით სათათბიროშიც. მაშინ პირველ რიგში უნდა წამოვაყენოთ პარტიის ლეგალიზაცია, პარტიული პროგრამის სათანადო შეცვლა, მთელი მუშაობის «კანონიერ» ფარგლებთან შეგუება, ანდა, ყოველ

შემთხვევაში, არალეგალური მუშაობისათვის მინიმალური და დაქვემდებარებული ადგილის დათმობა. მაშინ პროფესიულ კავშირთა ორგანიზაციის ამოცანა ჩვენ შეგვიძლია ისეთივე პირველხარისხოვან პარტიულ ამოცანად ჩავთვალოთ, როგორიც წინა ისტორიულ პერიოდში შეიარაღებული აჯანყება იყო. მაშინ ჩვენ დღის წესრიგიდან უნდა მოვხსნათ აგრეთვე გლეხთა მოძრაობის რევოლუციური ლოზუნგებიც (როგორიცაა მემამულეთა მიწების კონფისკაცია), რადგან ასეთი ლოზუნგები პრაქტიკულად აჯანყების ლოზუნგებია, ხოლო აჯანყებისაკენ მოწოდება ისე, რომ მისთვის სერიოზულად სამხედრო წესით არ. ემზადო, არ გწამდეს იგი, — აჯანყების არასაკადრისი თამაში იქნებოდა. მაშინ ჩვენ უნდა უკუვაგდოთ ყოველგვარი ლაპარაკი არა მარტო დროებით რევოლუციურ მთავრობაზე, არამედ ეგრეთწოდებულ «რევოლუციურ თვითმმართველობაზედაც», ვინაიდან გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ამ ტერმინით მართებულად თუ უმართებულოდ აღნიშნული დაწესებულებანი ფაქტიურად საქმის ვითარების გამო აჯანყების ორგანოებად, რევოლუციური მთავრობის ჩანასახებად იქცევიან.

ან ჩვენ აღვიარებთ, რომ ამჟამად ნამდვილ რევოლუციაზე შეიძლება ლაპარაკი და უნდა ვილაპარაკოთ კიდეც. ჩვენ უშუალო-რევოლუციური ბრძოლის ახალ და უმაღლეს ფორმებს აუცილებელ ან, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე მოსალოდნელ ფორმებად აღვიარებთ. მაშინ პროლეტარიატის მთავარი პოლიტიკური ამოცანა, მთელი მისი მუშაობის ძარღვი, მთელი მისი ორგანიზაციული კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი მოქმედების სული და გული უნდა იყოს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ბ ო ლ ო მ დ ე მ ი ყ ვ ა ნ ა. ყოველგვარი თავდაძვრენა ამ ამოცანისაგან მაშინ იქნებოდა კლასობრივი ბრძოლის ცნების მხოლოდ ჩამოქვეითება მის ბრენტანოსებურ გაგებამდე [30], იქნებოდა პროლეტარიატის გადაქცევა ლიბერალური მონარქისტული ბურჟუაზიის მაჩანჩალად. მაშინ პარტიის ყველაზე საარსებო და ცენტრალურ პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს ძალების მომზადება და პროლეტა-

რიატის ორგანიზაცია შეიარაღებული აჯანყებისათვის, როგორც ბრძოლის უმაღლესი, მოძრაობის მიერ მიღწეული, ფორმისათვის. მაშინ აუცილებელია კრიტიკულად შევისწავლოთ უაღრესად უშუალო პრაქტიკული მიზნებით დეკემბრის აჯანყების მთელი გამოცდილება. მაშინ უნდა გავაათკეცოთ ძალღონე მებრძოლი რაზმების ორგანიზაციისა და მათი შეიარაღებისათვის. მაშინ აჯანყებისათვის უნდა ვემზადოთ პარტიზანული საბრძოლო მოქმედებითაც, რადგან სასაცილო იქნებოდა «მზადება» მარტოოდენ ჩაწერითა და აღრიცხვით. მაშინ სამოქალაქო ომი გამოცხადებულად უნდა ჩავთვალოთ და ვიგულისხმოთ, რომ ის გრძელდება, მასთან პარტიის მ თ ე ლ ი მოქმედება უნდა დაექვემდებაროს პრინციპს: «რაკი ომია, ომის წესებით ვიმოქმედოთ». მაშინ პროლეტარიატის კადრების აღზრდა შ ე ტ ე ვ ი თ ი სამხედრო მოქმედებისათვის უსათუოდ საჭიროა. მაშინ გლეხთა მასაში რევოლუციური ლოზუნგების გადასროლა ლოგიკური და თანამიმდევარია. რევოლუციურ და მხოლოდ რევოლუციურ დემოკრატიასთან საბრძოლო შეთანხმებათა ამოცანა პირველ რიგში დგება: ბურჟუაზიული დემოკრატიის დაყოფას საფუძვლად ედება სწორედ აჯანყების საკითხი. ვინც აჯანყების მომხრეა, პროლეტარიატი მათთან «ერთად ურტყამს», თუმცა «ცალკე მიდის»; ვინც აჯანყების წინააღმდეგია, მათ ჩვენ შეუბრალებლად ვებრძვით, ან უკუვაგდებთ ჩვენგან, როგორც საზიზღარ ფარისევლებსა და იეზუიტებს (კადეტები). მთელ აგიტაციაში მაშინ ჩვენ პირველ რიგში ვაყენებთ კონსტიტუციური ილუზიების კრიტიკასა და მხილებას აშკარა სამოქალაქო ომის თვალსაზრისით, ვაყენებთ იმ გარემოებებსა და პირობებს, რომელნიც განუხრელად ამზადებენ სტიქიურ რევოლუციურ აფეთქებებს. მაშინ ჩვენ სათათბიროს პარლამენტად კი არა, პოლიციის კანცელარიად აღვიარებთ და უარვყოფთ რაიმე მონაწილეობას ჯამბაზურ არჩევნებში, რომელიც პროლეტარიატს რყვნის და დეზორგანიზაცია შეაქვს მასში. მუშათა კლასის პარტიის ორგანიზაციის საფუძვლად მაშინ ჩვენ ვაყენებთ (როგორც მარქსი აყენებდა 1849 წელს) «მძლავრ საი-

დუმლო ორგანიზაციას», რომელსაც უნდა ჰქონდეს «აშკარა გამოსვლათა» განსაკუთრებული აპარატი, განსაკუთრებული თათები უნდა ჰქონდეს შეყოფილი ყველა ლეგალურ საზოგადოებასა და დაწესებულებაში, დაწყებული მუშათა პროფესიული კავშირებით და გათავებული კანონს დაქვემდებარებული პრესით.

მოკლედ რომ ვთქვათ: ან დემოკრატიული რევოლუცია გათავებულად უნდა ჩავთვალოთ, დღის წესრიგიდან მოვხსნათ აჯანყების საკითხი და «კონსტიტუციურ» გზას დავადგეთ. ანდა აღვიარებთ, რომ დემოკრატიული რევოლუცია კვლავ გრძელდება და პირველ რიგში ვაყენებთ მისი დამთავრების ამოცანას, ვავითარებთ და საქმით ვიყენებთ აჯანყების ლოზუნგს, ვაცხადებთ სამოქალაქო ომს და შეუბრალებლად ვგმობთ ყოველგვარ კონსტიტუციურ ილუზიას.

არა მგონია საჭირო იყოს ჩვენთვის მკითხველებს განვუცხადოთ, რომ გადაჭრით ვემხრობით ჩვენი პარტიის წინაშე მდგარი საკითხის ამ უკანასკნელ გადაწყვეტას. თანდართული ტაქტიკური პლატფორმა დასკვნას უნდა უკეთებდეს და სისტემატურად გადმოსცემდეს ჩვენს შეხედულებებს, რომელთაც ჩვენ გავატარებთ ყრილობაზე და ყრილობის მთელი მოსამზადებელი მუშაობის განმავლობაში. ამ პლატფორმას უნდა ვუყურებდეთ არა როგორც რაღაც დამთავრებულს, არამედ როგორც ტაქტიკური საკითხების გასარკვევ კონსპექტს და იმ რეზოლუციებისა და დადგენილებების პირველ მონასახს, რომელთაც ჩვენ პარტიულ ყრილობაზე დავიცავთ. ეს პლატფორმა განხილულ იქნა ყოფილ «ბოლშევიკ» თანამოაზრეთა (მათ შორის «პროლეტარის» რედაქტორთა და თანამშრომელთა) კერძო კრებებზე და კოლექტიური მუშაობის ნაყოფია.

«პარტიინიე იზვესტია» № 2,
1906 წ. 20 მარტი.
ხელმოწერა: ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი

იბეჭდება გაზეთ «პარტიინიე იზვესტიას» ტექსტის მიხედვით

ტაქტიკური პლატფორმა რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობისათვის

პროექტი რეზოლუციებისა რსდმპ
გამაერთიანებელი ყრილობისათვის [51]

დაიბეჭდა გაზეთ
«პარტიინიე იზვესტიაში» № 7,
1906 წ. 20 მარტს

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

თერთმეტი რეზოლუცია, რომელთაც მკითხველს ვუდგენთ, შეადგინა «პროლეტარის» ყოფილი რედაქტორებისა და თანამშრომლების და რამდენიმე პრაქტიკოსისაგან შემდგარმა თანამოაზრეთა ჯგუფმა. ეს არის არა დამთავრებული პროექტი, არამედ მონახაზი, რომელმაც შეძლებისამებრ სრული წარმოდგენა უნდა მოგვცეს პარტიის განსაზღვრული ნაწილის ტაქტიკურ შეხედულებათა მთელ ერთობლიობაზე და გააადვილოს ის სისტემატური დისკუსია, რომელიც გაერთიანებული ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით ახლა ჩვენი პარტიის ყველა წრესა და ორგანიზაციაში იწყება.

ტაქტიკური რეზოლუციები შეფარდებულია ყრილობის დღის წესრიგთან, რომელიც წამოყენებულია გაერთიანებული ც. კ.-ის ცნობილ ფურცელში [12]. მაგრამ პარტიის წევრები სრულიადაც არ არიან მოვალენი ამ დღის წესრიგს დასჯერდნენ. ყველა ტაქტიკური შეხედულების სრული გადმოცემის გულისთვის ჩვენ აუცილებლად საჭიროდ ვცანით დაგვემატებინა ორი საკითხი, რომელიც არაა შეტანილი გაერთიანებული ც. კ.-ის დღის წესრიგში, სახელდობრ: «დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტი» და «პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანები დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტში». ამ საკითხების გაურკვევლად შეუძლებელია ტაქტიკის უფრო კერძო საკითხების განხილვა. ამიტომ ყრილობას წინადადებას ვაძლევთ თავის დღის წესრიგში დააყენოს ზოგადი საკითხი: «დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტი და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანები».

რაც შეეხება აგრარულ პროგრამასა და გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულებას, ამ საკითხზე საჭიროა განსაკუთ-

რებული ბროშურა *. გარდა ამისა გაერთიანებულმა ც. კ.-მა დანიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელიც ამ საკითხზე მოხსენებას ამზადებს ყრილობისათვის [52].

ვაქვეყნებთ რა რეზოლუციების ჩვენს მონახაზებს, მოვუწოდებთ პარტიის ყველა წევრს მონაწილეობა მიიღონ მათს განხილვასა, შესწორებასა და შევსებაში. წერილობითი მოხსენებები და პროექტები შეიძლება ჩვენი პარტიის ორგანიზაციების საშუალებით გაეგზავნოს რსდმპ სანკტ-პეტერბურგის კომიტეტს იმ ჯგუფისათვის გადასაცემად, რომელმაც რეზოლუციების პროექტები შეიმუშავა.

დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტი

ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ საწარმოო ძალთა მასობრივად განადგურებასა და ხალხის გაუგონარ გაჩანაგებასთან ერთად ეკონომიური და ფინანსური კრიზისი, რომელსაც რუსეთი განიცდის, არათუ არ ნელდება, არამედ, პირიქით, ფართოვდება და მწვავდება, რაც იწვევს საშინელ უმუშევრობას ქალაქად და შიმშილობას სოფლად;

2) რომ თუმცა მსხვილ კაპიტალისტთა და მემამულეთა კლასის წრეში, რომელიც შეშინებულია ხალხის რევოლუციური თვითმოქმედებით, ხალხისა, რომელიც საფრთხეს უქადის მის პრივილეგიებსა და მტაცებლურ ინტერესებს, წარმოებს მკვეთრი შებრუნება ოპოზიციისგან თვითმპყრობელობასთან შეთანხმებისაკენ რევოლუციის ჩახშობის მიზნით, მაგრამ სამაგიეროდ პოლიტიკური თავისუფლებისა და სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა ნამდვილად განხორციელების მოთხოვნები ფართოვდება და მტკიცდება წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის ახალ ფენებში;

3) რომ ახლანდელი რეაქციული მთავრობა, რომელიც საქმით ძველი თვითმპყრობელობის შენარჩუნებას ცდილობს,

თრგუნავს თავის მიერ გამოცხადებულ ყველა თავისუფლებას, მხოლოდ სათათბირო ხმას აძლევს შეძლებულ კლასთა ზედაფენებს, უხეშად აყალბებს სახალხო წარმომადგენლობას, შემოაქვს სამხედრო რეპრესიებისა, მხეცური ეგზეკუციებისა და მასობრივი სიკვდილით დასჯის რეჟიმი მთელ ჩვენს ქვეყანაში და გაუგონრად აძლიერებს პოლიციურ და ადმინისტრაციულ თვითნებობას, რითაც იწვევს მღელვარებასა და უკმაყოფილებას ბურჟუაზიის ფართო ფენებში, გაბოროტებასა და აღშფოთებას პროლეტარიატისა და გლეხობის მასებში და ამზადებს ნიადაგს ახალი, უფრო ფართო და მწვავე პოლიტიკური კრიზისისათვის;

4) რომ 1905 წლის დამლევის მოვლენათა მსვლელობამ—მასობრივმა გაფიცვებმა ქალაქად, აღშფოთებამ სოფლად და დეკემბრის შეიარაღებულმა აჯანყებამ, რომელიც გამოწვეული იყო ხალხის მიერ მოპოვებულ და მთავრობის მიერ წართმეულ თავისუფლებათა დაცვისადმი მისწრაფებით, ხოლო შემდეგ განმათავისუფლებელი მოძრაობის შეუბრალებელმა სამხედრო დათრგუნვამ ცხადჰყო კონსტიტუციური ილუზიების ამაოება და თვალი აუხილა ხალხის ფართო მასებს ასეთი ილუზიების მავნებლობაზე იმ ეპოქაში, როდესაც თავისუფლებისათვის ბრძოლამ აშკარა სამოქალაქო ომის დაძაბულობას მიაღწია;

ჩვენ აღვიარებთ და წინადადებას ვაძლევთ ყრილობას აღიაროს:

1) რომ დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში არათუ არ ცხრება, არამედ, პირიქით, ახალი აღმავლობისაკენ მიდის, და შედარებითი მიწყნარების ახლანდელ პერიოდს უნდა ვუყურებდეთ არა როგორც რევოლუციის ძალთა დამარცხებას, არამედ როგორც რევოლუციური ენერგიის დაგროვების პერიოდს, განვლილი სტადიების პოლიტიკური გამოცდილების შეთვისებას, მოძრაობაში ხალხის ახალი ფენების ჩაბმას და, მაშასადამე, ახალი უფრო მძლავრი რევოლუციური შეტევის მომზადებას;

2) რომ ამჟამად განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ფორმას წარმოადგენს ლეგალური ბრძოლა კი არა კვაზი-კონსტიტუციურ ნიადაგზე, არამედ ხალხის იმ ფართო მასების უშუალო რევოლუციური მოძრაობა, რომლებიც ამსხვრევენ პოლიციურ-ბატონყმურ კანონებს, ჰქმნიან რევოლუციურ სამართალს და ძალდატანების გზით ანადგურებენ ხალხის ჩაგვრის ორგანოებს;

3) რომ პროლეტარიატის, როგორც თანამედროვე საზოგადოების მოწინავე კლასის, ინტერესები მოითხოვს დაუნდობელ ბრძოლას იმ კონსტიტუციური ილუზიების წინააღმდეგ, რომლებსაც ავრცელებს ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია (მათ შორის კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების პარტია), ფარავს რა ამით თავის ვიწრო-კლასობრივ ინტერესებს, და რომლებიც სამოქალაქო ომის პერიოდში უაღრესად გამხრწნელ გავლენას ახდენენ ხალხის პოლიტიკურ თვითშეგნებაზე.

შეიარაღებული აჯანყება

ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ რუსეთის თანამედროვე დემოკრატიული რევოლუციის მთელი ისტორია გვიჩვენებს, საერთოდ და მთლიანად, მოძრაობის განუხრელ აღმავლობას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის სულ უფრო და უფრო მასობრივი, მთელი ჩვენი ქვეყნის მომცველი, გადამწყვეტი და შეტევითი ფორმებისაკენ;

2) რომ ოქტომბრის პოლიტიკურმა გაფიცვამ, რომელმაც უკუაგდო ბულიგინის სათათბირო და აიძულა თვითმპყრობელური მთავრობა გამოეცხადებინა პოლიტიკური თავისუფლების საფუძვლები, ცხადჰყო პროლეტარიატის გიგანტური ძალა და სრულიად რუსეთის მასშტაბით მისი ერთსულოვანი გამოსვლის შესაძლებლობა კლასობრივი ორგანიზაციების ყველა ნაკლის მიუხედავად;

3) რომ მშვიდობიანი საყოველთაო გაფიცვა მოძრაობის შემდგომი ზრდის დროს არასაკმარისი აღმოჩნდა, ხოლო მისი ხშირად გამოყენება მიზანს ვერ აღწევს და პროლეტარიატის ძალთა დაშლას იწვევს;

4) რომ მთელმა რევოლუციურმა მოძრაობამ სტიქიური ძალით გამოიწვია შემდეგ დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, როდესაც არა მარტო პროლეტარიატი, არამედ ქალაქის ღარიბი მოსახლეობისა და გლეხობის ახალი ძალები ხელს ჰკიდებდნენ იარაღს რეაქციული მთავრობის ხელყოფისაგან ხალხის მიერ მოპოვებულ თავისუფლებათა დასაცავად;

5) რომ დეკემბრის აჯანყებამ წამოაყენა ახალი საბარიკადო ტაქტიკა და საერთოდ დაამტკიცა შესაძლებლობა ხალხის აშკარა შეიარაღებული ბრძოლისა თვით თანამედროვე ჯარის წინააღმდეგაც კი;

6) რომ ხალხის მასებში, კონსტიტუციურ დაპირებათა მიუხედავად, სამხედრო-პოლიციური დიქტატურის შემოღების მეოხებით მწიფდება შეგნება იმ რეალური ძალაუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობისა, რომლის დაუფლება რევოლუციურ ხალხს შეუძლია მხოლოდ აშკარა ბრძოლით თვითმპყრობელობის ძალებთან;

7) რომ თვითმპყრობელობა ასუსტებს და ხრწნის თავის სამხედრო ძალებს, როდესაც იყენებს მათ იმ მოსახლეობის დასამორჩილებლად შეიარაღებული ხელით, რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენენ, როდესაც არ ახორციელებს სამხედრო საქმეში მომწიფებულ რეფორმებს, რომელთაც არმიის ყველა პატიოსანი ელემენტი მოითხოვს, როდესაც არ ღებულობს ზომებს სათადარიგო ჯარისკაცთა საშინელი მდგომარეობის შესამსუბუქებლად და ჯარისკაცთა და მატროსთა მოთხოვნას მხოლოდ პოლიციურ-ყაზარმულ სისასტიკეთა გაძლიერებით უპასუხებს;

ჩვენ აღვიარებთ და წინადადებას ვაძლევთ ყრილობას აღიაროს:

1) რომ შეიარაღებული აჯანყება ამჟამად წარმოადგენს თავისუფლებისათვის ბრძოლის არა მარტო აუცილებელ სა-

შუალებას, არამედ მოძრაობის უკვე ფაქტიურად მიღწეულ საფეხურს, რომელიც, ახალი პოლიტიკური კრიზისის ზრდისა და გამწვავების გამო, გვიხსნის გზას შეიარაღებული ბრძოლის თავდაცვითი ფორმებიდან შეტევითს ფორმებზე გადასვლისათვის;

2) რომ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა მოძრაობის ახლანდელ მომენტში განხილულ უნდა იქნას იმდენად არა როგორც ბრძოლის დამოუკიდებელი საშუალება, რამდენადაც როგორც აჯანყების დამხმარე საშუალება; რომ, მაშასადამე, მომენტის შერჩევა ასეთი გაფიცვისათვის, შერჩევა ადგილისა და შრომის იმ დარგებისა, რომლებიც მან უნდა მოიცვას, სასურველია დაუქვემდებაროთ ბრძოლის მთავარი ფორმის — **შეიარაღებული აჯანყების** მომენტსა და პირობებს;

3) **რომ** პარტიის საპროპაგანდო და სააგიტაციო მუშაობაში გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს დეკემბრის აჯანყების პრაქტიკული გამოცდილების შესწავლას, მის სამხედრო კრიტიკას და მომავლისათვის უშუალო გაკვეთილების გამოტანას;

4) რომ საჭიროა კიდევ უფრო ენერგიული მოქმედების განვითარება მებრძოლი რაზმების გამრავლებისათვის, მათი **ორგანიზაციის** გაუმჯობესებისა და ყოველგვარი იარაღით **მომარაგებისათვის**, მასთან, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, **საჭიროა** მოწყობა არა მარტო პარტიული მებრძოლი **რაზმებისა, არამედ** აგრეთვე პარტიის მომხრე და სრულიად **უპარტიო რაზმებისა;**

5) რომ აუცილებელია მუშაობის გაძლიერება ჯარში; ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მოძრაობის წარმატებისათვის საკმარისი არ არის მარტო მღელვარება ჯარში, არამედ აუცილებელია პირდაპირი შეთანხმება ჯარის ორგანიზებულ, რევოლუციურ-დემოკრატიულ ელემენტებ**თან,** მთავრობის წინააღმდეგ უაღრესად გადამწყვეტი შეტევითი მოქმედების მიზნით;

6) რომ გლეხთა მზარდი მოძრაობის გამო, რომელიც სულ ახლო მომავალში შეიძლება მთელ აჯანყებად გადაიქცეს, სასურველია მთელი ძალღონე მივმართოთ მუშათა და გლეხთა მოქმედების გაერთიანებისაკენ შეძლებისდაგვარად ერთობლივი და ერთდროული საბრძოლო გამოსვლების მოსაწყობად.

პარტიზანული საბრძოლო გამოსვლები

ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ დეკემბრის აჯანყების დროიდან რუსეთში თითქმის არსად არ შეწყვეტილა სავსებით სამხედრო მოქმედება, რაც ახლა გამოიხატება რევოლუციური ხალხის მხრივ მტერზე ცალკეული პარტიზანული თავდასხმებით;

2) რომ ასეთი პარტიზანული მოქმედება, რაც აუცილებელია ორი მოწინააღმდეგე შეიარაღებული ძალის არსებობისა და დროებით გამარჯვებული სამხედრო რეპრესიის თავაშვებულობის დროს, ამავე დროს იწვევს მტრის დეზორგანიზაციას და ამზადებს მომავალ აშკარა და მასობრივ შეიარაღებულ მოქმედებას;

3) რომ ამგვარი გამოსვლები აუცილებელია აგრეთვე ჩვენი მებრძოლი რაზმების საბრძოლო აღზრდისა და სამხედრო სწავლებისათვის, რაზმებისა, რომლებიც დეკემბრის აჯანყების დროს მრავალ ადგილას პრაქტიკულად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ მათთვის ახალი საქმისათვის;

ჩვენ აღვიარებთ და წინადადებას ვაძლევთ ყრილობას აღიაროს:

1) რომ პარტიამ ახლანდელ პერიოდში პრინციპულად დასაშვებად და მიზანშეწონილად უნდა აღიაროს იმ რაზმების პარტიზანული საბრძოლო გამოსვლები, რომლებიც შედიან მასში ან მას ემხრობიან;

2) რომ პარტიზანული საბრძოლო გამოსვლები თავისი ხასიათით უნდა შეეფარდოს აჯანყების დროს მუშათა მასების ხელმძღვანელთა კადრების აღზრდისა და შეტევითი და

მოულოდნელი სამხედრო მოქმედების გამოცდილების შემუშავების ამოცანას;

3) რომ ასეთ გამოსვლათა უმთავრეს უშუალო ამოცანად აღიარებულ უნდა იქნას მთავრობის, პოლიციისა და სამხედრო აპარატების განადგურება და დაუნდობელი ბრძოლა აქტიურ-შავრაზმულ ორგანიზაციებთან, რომლებიც მოსახლეობისადმი ძალადობასა და მის დაშინებას მიმართავენ;

4) რომ დასაშვებია აგრეთვე საბრძოლო გამოსვლები მტრის, ე. ი. თვითმპყრობელური მთავრობის, ფულადი სახსრების ხელში ჩასაგდებად და ამ სახსრების გამოსაყენებლად აჯანყების საჭიროებათათვის, ამასთან სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოსახლეობის ინტერესები რაც შეიძლება ნაკლებად ილახებოდეს;

5) რომ პარტიზანული საბრძოლო გამოსვლები უნდა ხდებოდეს პარტიის კონტროლით და თანაც ისე, რომ პროლეტარიატის ძალები ტყუილ-უბრალოდ არ იფლანგებოდეს, და რომ ამასთან მხედველობაში მიღებულ იქნას ამა თუ იმ ადგილის მუშათა მოძრაობის პირობები და ფართო მასების სულიერი განწყობილება.

დროებითი რევოლუციური მთავრობა და რევოლუციური ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები

ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ რევოლუციური მოძრაობა თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლად გადაზრდისას აქამდე დაქსაქსულ ადგილობრივ აჯანყებათა ფორმას იღებდა;

2) რომ ამ აშკარა ბრძოლაში ადგილობრივი მოსახლეობის ელემენტები, რომლებსაც ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ გადაჭრით გამოსვლის უნარი შესწევდათ (თითქმის მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატი და წვრილი ბურჟუაზიის მოწინავე ფენები), მიყვანილ იქნენ აუცილებლობამდე

შეექმნათ ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ფაქტიურად ახალი რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახებს წარმოადგენენ, — მუშათა დეპუტატების საბჭოები პეტერბურგში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ვლადივოსტოკში, კრასნოიარსკში და სხვაგან, რკინიგზელთა კომიტეტები ციმბირსა და სამხრეთში, გლეხთა კომიტეტები სარატოვის გუბერნიაში, ქალაქის რევოლუციური კომიტეტები ნოვოროსიისკსა და სხვა ქალაქებში და, ბოლოს, არჩევითი სასოფლო ორგანოები კავკასიასა და ბალტიისპირა მხარეში;

3) რომ აჯანყების თავდაპირველ, ჩანასახ ფორმასთან შესაბამისად მისი ეს ორგანოები ამდენადვე დაქსაქსულნი, შემთხვევითნი, გაუბედავნი იყვნენ თავიანთ მოქმედებაში და არ ეყრდნობოდნენ რევოლუციის ორგანიზებულ შეიარაღებულ ძალას, — ამიტომაც მათ კონტრრევოლუციური არმიების პირველი შეტევითი მოქმედებისთანავე აუცილებელი დაღუპვა მოელოდათ;

4) რომ მხოლოდ დროებით რევოლუციურ მთავრობას, როგორც ძლევამოსილი აჯანყების ორგანოს, ძალუძს გასტეხოს რეაქციის ყოველივე წინააღმდეგობა, უზრუნველჰყოს წინასაარჩევნო აგიტაციის სრული თავისუფლება, მოიწვიოს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრის საფუძველზე დამფუძნებელი კრება, რომელსაც შეეძლება ხალხის თვითმპყრობელობის ნამდვილად განხორციელება და პროლეტარიატის სოციალ-ეკონომიურ მოთხოვნათა მინიმუმის ცხოვრებაში გატარება;

ჩვენ აღვიარებთ და წინადადებას ვაძლევთ ყრილობას აღიაროს:

1) რომ პროლეტარიატის წინაშე, რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ინტერესებისათვის, ახლა წამოყენებულია უცილობელი ამოცანა რევოლუციურ დემოკრატიასთან ერთად ხელი შეუწყოს აჯანყების გაერთიანებას და ამ აჯანყების გამაერთიანებელი ორგანოს შექმნას დროებითი რევოლუციური მთავრობის სახით;

2) რომ რევოლუციური მთავრობის ამოცანის წარმატებით შესრულების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ადგილობრივი რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოების შექმნა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრის საფუძველზე ყველა იმ ქალაქსა და თემში, რომელნიც აჯანყებას ემხრობიან;

3) რომ ჩვენი პარტიის რწმუნებულთა მონაწილეობა დროებით რევოლუციურ მთავრობაში რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ერთად დასაშვებია ძალთა თანაფარდობის მიხედვით და მას ფორმალურად პირობად უნდა დაედვას პარტიის კონტროლი მის რწმუნებულთა მიმართ, ხოლო, არსებითად, მუშათა კლასის დამოუკიდებელი ინტერესების დაცვა და სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებლობის განუხრელი დაცვა, სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც სრული სოციალისტური გადატრიალებისაკენ მიისწრაფვის და ამდენად შეურიგებელი მტრობით არის განწყობილი ყველა ბურჟუაზიული პარტიისადმი;

4) რომ მიუხედავად იმისა, შესაძლებელი იქნება თუ არა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა დროებით რევოლუციურ მთავრობაში, საჭიროა პროპაგანდის გაწევა პროლეტარიატის უალრესად ფართო ფენებში რევოლუციის მონაპოვართა დაცვის, განმტკიცებისა და გაფართოების მიზნით დროებით მთავრობაზე შეიარაღებული პროლეტარიატის ნუდმივი ზეგავლენის აუცილებლობის იდეისა, პროლეტარიატისა, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს.

მუშათა დეპუტატების საბჭოები

ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ მუშათა დეპუტატების საბჭოები სტიქიურად ჩნდებიან მასობრივი პოლიტიკური გაფიცვების ნიადაგზე, როგორც მუშათა ფართო მასების უპარტიო ორგანიზაციები;

2) რომ ეს საბჭოები აუცილებლად იცვლებიან ბრძოლის მსვლელობაში როგორც თავისი შემადგენლობით, შეჰყავთ

რა წვრილი ბურჟუაზიის ყველაზე რევოლუციური ელემენტები, ისე თავისი მოქმედების შინაარსით, იქცევიან რა წმინდა საგაფიცვო ორგანიზაციებიდან საერთო რევოლუციური ბრძოლის ორგანოებად;

3) რომ, რამდენადაც ეს საბჭოები წარმოადგენენ რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახებს, მათი ძალა და მნიშვნელობა სავსებით დამოკიდებულია აჯანყების ძალასა და წარმატებაზე;

ჩვენ აღვიარებთ და წინადადებას ვაძლევთ ყრილობას აღიაროს:

1) რომ მუშათა დეპუტატების უპარტიო საბჭოებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მონაწილეობას უნდა იღებდეს და თვითეული საბჭოს შიგნით აუცილებლად ჰქმნიდეს პარტიის წევრთა რაც შეიძლება ძლიერ ჯგუფებს და ამ ჯგუფების მოქმედებას მკაცრად უკავშირებდეს პარტიის საერთო მოქმედებას;

2) რომ ასეთი ორგანიზაციების შექმნა იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს და გაღრმავდეს სოციალ-დემოკრატიის გავლენა პროლეტარიატზე და პროლეტარიატის გავლენა დემოკრატიული რევოლუციის მსვლელობასა და შედეგზე, შესაძლოა, განსაზღვრულ პირობებში, ჩვენი პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ამოცანად იქცეს;

3) რომ მუშათა დეპუტატების უპარტიო საბჭოებში მონაწილეობის მისაღებად მიზიდულ უნდა იქნან მუშათა რაც შეიძლება ფართო ფენები, აგრეთვე რევოლუციური დემოკრატიის წარმომადგენლები, განსაკუთრებით გლეხებიდან, ჯარისკაცებიდან და მატროსებიდან;

4) რომ მუშათა დეპუტატების საბჭოების მოქმედებისა და გავლენის სფეროს გაფართოებისას აუცილებელია მივუთითოთ იმაზე, რომ ასეთი დაწესებულებანი, თუ ისინი არ ეყრდნობიან რევოლუციურ არმიას და არ ამხობენ მთავრობის ხელისუფალთ (ე. ი. არ იქცევიან დროებით რევოლუციურ მთავრობებად), აუცილებლად განწირული არიან დასამ-

ხობად; ამიტომ ხალხის შეიარაღება და პროლეტარიატის ს ზედრო ორგანიზაციის განმტკიცება განხილულ უნდა იქ-ნას როგორც ასეთ დაწესებულებათა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ყოველ რევოლუციურ მომენტში.

დამოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისადმი

ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ სოციალ-დემოკრატიას ყოველთვის აუცილებლად მიაჩნდა მხარის დაჭერა ყოველი ოპოზიციური და რევოლუ-ციური მოძრაობისათვის, რომელიც მიმართული იყო რუ-სეთში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წეს-წყობილების წინააღმდეგ;

2) რომ ამჟამად, როდესაც რევოლუცია სხვადასხვა კლა-სის აშკარად გამოსვლას იწვევს და ამ ნიადაგზე იწყება პო-ლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება, სოციალ-დემოკრა-ტიის უცილობელ ამოცანას წარმოადგენს მათი კლასობრივი შინაარსის გარკვევა, ამა თუ იმ მომენტში კლასთა ურთი-ერთდამოკიდებულების გათვალისწინება და, ამასთან შეფარ-ღებით, სხვადასხვა პარტიისადმი თავისი დამოკიდებულების განსაზღვრა;

3) რომ მუშათა კლასის მთავარ ამოცანას დემოკრატიული რევოლუციის დღევანდელ მომენტში წარმოადგენს მისი ბო-ლომდე მიყვანა, და ამიტომ სოციალ-დემოკრატიამ სხვა პარტიებისადმი თავისი დამოკიდებულების განსაზღვრის დროს განსაკუთრებით უნდა მიიღოს მხედველობაში ის გა-რემოება, თუ რამდენად შესწევს უნარი ამა თუ იმ პარტიას აქტიურად შეუწყოს ხელი ამ მიზანს;

4) რომ ამ თვალსაზრისით რუსეთში არსებული ყველა არა სოციალ-დემოკრატიული პარტია (რეაქციული პარტიე-ბის გამოკლებით) იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: ლიბერა-ლურ-მონარქისტულ პარტიებად და რევოლუციურ-დემოკ-რატიულ პარტიებად;

ჩვენ აღვიარებთ და წინადადებას ვაძლევთ ყრილობას აღიაროს:

1) რომ ლიბერალურ-მონარქისტული პარტიების მემარჯვენე ფრთა (17 ოქტომბრის კავშირი, უფლებრივი წესრიგის პარტია, სავაჭრო-სამრეწველო პარტია და სხვ.) წარმოადგენს მემამულეებისა და მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის კლასობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც აშკარად კონტრრევოლუციურნი არიან, მაგრამ საბოლოოდ ჯერ კიდევ არ შესთანხმებიან თვითმპყრობელურ ბიუროკრატიას ხელისუფლების განაწილების შესახებ; რომ პროლეტარიატის პარტიამ თავისი მიზნებისათვის უნდა გამოიყენოს ეს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი კონფლიქტი და ამასთანავე ასეთ პარტიებთან უაღრესად დაუნდობელი ბრძოლა უნდა აწარმოოს;

2) რომ მემარცხენე ფრთის ლიბერალურ-მონარქისტული პარტიები (დემოკრატიული რეფორმების პარტია, კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები და სხვ.), რომლებიც ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ გარკვეულ კლასობრივ ორგანიზაციებს, მუდამ ქანაობენ დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასა და მსხვილი ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ელემენტებს შუა, ხალხზე დაყრდნობის მისწრაფებასა და მისი რევოლუციური თვითმოქმედების შიშს შუა, და თავიანთ მისწრაფებებში არ სცილდებიან მოწესრიგებული ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებს, რომელსაც პროლეტარიატის მხრივ ხელყოფისაგან იცავს მონარქია და ორპალატიანი სისტემა; ხალხის პოლიტიკურად აღზრდის მიზნით სოციალ-დემოკრატიამ უნდა გამოიყენოს ამ პარტიების მოქმედება, რისთვისაც მათს ფარისევლურ-დემოკრატიულ ფრაზეოლოგიას უნდა დაუპირისპიროს პროლეტარიატის თანამიმდევარი დემოკრატიზმი და დაუნდობლად გამოამჟღავნოს კონსტიტუციური ილუზიები, რომლებსაც ისინი ავრცელებენ;

3) რომ რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიები და ორგანიზაციები (სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია, გლეხთა კავშირი, ნახევრადპროფესიული კავშირებისა და

ნახევრადპოლიტიკური კავშირების ნაწილები და სხვ.) ყველაზე დაახლოებით გამოხატავენ გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასების ინტერესებსა და თვალსაზრისს, გადაჭრით გამოდიან მემამულური მიწათმფლობელობისა და ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ, ცდილობენ თანამიმდევრობით გაატარონ დემოკრატიზმი და თავიანთ, არსებითად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ, ამოცანებს ჰფარავენ ცოტად თუ ბევრად ბუნდოვანი სოციალისტური იდეოლოგიით; სოციალ-დემოკრატია სცნობს ასეთ პარტიებთან საბრძოლო შეთანხმებათა შესაძლებლობასა და აუცილებლობას და ამავე დროს განუხრელად უნდა ააშკარავებდეს მათს ცრუ-სოციალისტურ ხასიათს და ებრძოდეს მათს მისწრაფებას მიაფუჩეჩონ კლასობრივი წინააღმდეგობა პროლეტარსა და წვრილ მეპატრონეს შორის;

4) რომ სოციალ-დემოკრატიასა და რევოლუციურ დემოკრატიას შორის ასეთ დროებით საბრძოლო შეთანხმებათა უახლოეს პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენს რევოლუციური გზით საყოველთაო სახალხო, სრული ძალაუფლებით აღჭურვილი, დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრის საფუძველზე;

5) რომ დროებითი საბრძოლო შეთანხმებანი ამჟამად შესაძლებელი და მიზანშეწონილია მხოლოდ იმ ელემენტებთან, რომლებიც სცნობენ შეიარაღებულ აჯანყებას, როგორც ბრძოლის საშუალებას, და მას აქტიურად ხელს უწყობენ.

დამოკიდებულება ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიებისადმი

ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ რევოლუციის მსვლელობაში რუსეთის ყველა ეროვნების პროლეტარიატს უფრო და უფრო ამჭიდროებს

2) რომ ეს საერთო ბრძოლა იწვევს რუსეთის სხვადასხვა ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების უფრო და უფრო მეტ დაახლოებას;

3) რომ მრავალ ქალაქში წინანდელ ფედერაციულ კომიტეტთა ნაცვლად უკვე იქმნებიან ამა თუ იმ ადგილის ყველა ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შეერთებული კომიტეტები;

4) რომ ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობა ამჟამად აღარ იცავს ფედერაციის პრინციპს, რაც სამართლიანად უარჰყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობამ;

ჩვენ აღვიარებთ და წინადადებას ვაძლევთ ყრილობას აღიაროს:

1) რომ აუცილებელია უაღრესად ენერგიული ზომების მიღება რუსეთის ყველა ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის რაც შეიძლება მალე შესაერთებლად ერთიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად;

2) რომ გაერთიანებას საფუძვლად უნდა დაედოს თვითეული ადგილის ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სრული შეერთება;

3) რომ პარტიამ ფაქტიურად უნდა უზრუნველჰყოს თვითეული ეროვნების სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის ყველა პარტიული ინტერესისა და საჭიროების დაკმაყოფილება, ანგარიში გაუწიოს მის კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებებსაც; ასეთი უზრუნველყოფის საშუალებები შეიძლება იყოს: ამა თუ იმ ეროვნების სოციალ-დემოკრატების განსაკუთრებული კონფერენციების მოწყობა, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლობა პარტიის ადგილობრივ, საოლქო და ცენტრალურ დაწესებულებებში, შექმნა ლიტერატორთა, საგამომცემლო, აგიტატორთა და სხვ. განსაკუთრებული ჯგუფებისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლობის მოწყობა პარტიის ც. კ.-ში შეიძლებოდა, მაგალითად, ამგვარად: საერთო პარტიულ

ყრილობას ც. კ.-ის შემადგენლობაში შეჰყავს წევრთა განსაზღვრული რაოდენობა იმ კანდიდატთა რიცხვიდან, რომლებსაც აყენებენ საოლქო ყრილობები რუსეთის იმ ადგილებისა, სადაც ამჟამად არსებობენ განცალკევებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები.

პროფესიული კავშირები

ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ სოციალ-დემოკრატია ყოველთვის აღიარებდა ეკონომიურ ბრძოლას, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს;

2) რომ ეკონომიური ბრძოლის მიზნით მუშათა კლასის ყველაზე მიზანშეწონილ ორგანიზაციას, როგორც ყველა კაპიტალისტური ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, ფართო პროფესიული კავშირები წარმოადგენენ;

3) რომ ამჟამად ვამჩნევთ რუსეთის მუშათა მასების ფართო მისწრაფებას პროფესიულ კავშირებად გაერთიანებისადმი;

4) რომ ეკონომიურ ბრძოლას შეუძლია გამოიწვიოს მუშათა მასების მდგომარეობის მტკიცე გაუმჯობესება და მათი ჰეშმარიტად-კლასობრივი ორგანიზაციის განმტკიცება მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს ბრძოლა სწორად იქნება შეხამებული პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლასთან;

ჩვენ აღვიარებთ და წინადადებას ვაძლევთ ყრილობას აღიაროს:

1) რომ პარტიის ყველა ორგანიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს უპარტიო პროფესიული კავშირების შექმნას და წააქეზოს მათში შესვლისათვის ამა თუ იმ პროფესიის ყველა წარმომადგენელი, რომლებიც პარტიის შემადგენლობაში შედიან;

2) რომ პარტია ყოველი ძალღონით უნდა მიისწრაფოდეს, რომ პროფესიული კავშირების მონაწილე მუშები აღზარდოს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და სოციალისტური ამოცანების ფართოდ გაგების სულისკვეთებით, რათა თავისი მოღვაწეობით მოიპოვონ ფაქტიურად ხელმძღვანელი

როლი ასეთ კავშირებში, და, ბოლოს, რათა ასეთ კავშირებს შეეძლოთ, განსაზღვრულ პირობებში, პირდაპირ მიემხრონ პარტიას, მაგრამ ისე კი, რომ სრულიადაც არ გარიცხონ თავისი შემადგენლობიდან უპარტიო წევრები.

დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროსადმი

ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ სახელმწიფო სათათბირო წარმოადგენს სახალხო წარმომადგენლობის უხეშ გაყალბებას, რადგან:

ა) საარჩევნო უფლება არ არის საყოველთაო, თანასწორი, იგი მრავალსაფეხურიანია, უამრავი მუშა და გლეხი ფაქტიურად გამორიცხულია სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობისაგან, და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ამრჩეველთა რიცხვის თანაფარდობაც შეგუებულია პოლიციის მიზნებთან;

ბ) თავისი უფლებების მოცულობითა და სახელმწიფო საბჭოსადმი დამოკიდებულების მხრივ სათათბირო წარმოადგენს თვითმპყრობელური ბიუროკრატიის უბადრუკ დანამატს;

გ) არჩევნების ვითარება სრულიად შეუძლებლად ხდის ხალხის ნების წამდვილ გამოხატვას აგიტაციის თავისუფლების არარსებობის გამო, სამხედრო რეპრესიების, მასობრივი სიკვდილით დასჯის, დაპატიმრებების, პოლიციური და ადმინისტრაციული თვითნებობის გამო;

დ) ასეთი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის ერთადერთ მიზანს მთავრობისათვის წარმოადგენს ხალხის მოტყუება, თვითმპყრობელობის განმტკიცება, ახალ ფინანსურ თაღლითობათა გაადვილება მისთვის და მორიგება ექსპლოატატორული კლასების რეაქციულ ელემენტებთან, რომლებისთვისაც უზრუნველყოფილია უმრავლესობა სახელმწიფო სათათბიროში;

2) რომ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობას, — რაც არაფერს იძლევა პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების განვითარებისათვის, მისი კლასობრივი

ორგანიზაციის და საბრძოლო მზადყოფნის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, — უფრო პროლეტარიატის დეზორგანიზაცია და გახრწნა შეუძლია, რადგან:

ა) არჩევნებში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა აუცილებლად შეუნარჩუნებდა ხალხს კონსტიტუციურ ილუზიებს, იმის რწმენას, რომ არჩევნებს შეუძლია მოგვცეს ხალხის ნების რაოდენადმე სწორი გამოხატვა და ისეთი წარმოდგენა, თითქოს პარტია ყალბ კონსტიტუციურ გზას ადგებოდეს;

ბ) მუშათა რწმუნებულებისა და ამრჩევლების კოლეგიებს მათი მცირერიცხოვანობის და მათი ფუნქციების ხანმოკლეობისა და სპეციალურობის გამო არაფრის მოცემა არ შეუძლიათ პროლეტარიატის ნამდვილად რევოლუციური ორგანიზაციისათვის;

გ) არჩევნებში მონაწილეობას პროლეტარიატის ყურადღების სიმძიმის ცენტრი გადააქვს რევოლუციური მოძრაობიდან, რომელიც სათათბიროს გარეშე მიმდინარეობს, მთავრობის კომედიაზე, მასებში ფართო აგიტაციის სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამრჩევლების მცირე წრეებზე;

დ) ჩვენს მონაწილეობას არჩევნებში არ შეუძლია დაეხმაროს მასის იმ ყველაზე უმეცარი ფენების სოციალ-დემოკრატიულ აღზრდას, რომლებიც სათათბიროში მიდიან, მასთან მხოლოდ და მხოლოდ კანონიერი გზით, რომელსაც ამჟამად რსდმპ ვერ დაადგება;

ე) ამრჩევლების ნაწილის მხრივ საგუბერნიო საარჩევნო კრებების მიტოვება ვერც სათათბიროს ჩაშლიდა და ვერც ფართო სახალხო მოძრაობას გამოიწვევდა;

ვ) რომ არჩევნებში მონაწილეობა ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის დროს აიძულებს სოციალ-დემოკრატებს ან განზე გადგნენ, ისე რომ არავითარი სარგებლობა არ მოუტანონ მოძრაობას, ანდა ფაქტიურად კადეტების უსიტყვო ხელშემწყობთა როლამდე ჩამოქვეითდნენ;

ჩვენ აღვიარებთ და წინადადებას ვაძლევთ ყრილობას აღიაროს:

1) რომ რსდმპ გადაჭრით უარი უნდა თქვას სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობაზე;

2) რომ რსდმპ გადაჭრით უარი უნდა თქვას სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობაზე, რა სტადიაზედაც უნდა იყოს;

3) რომ რსდმპ რაც შეიძლება ენერგიულად უნდა გამოიყენოს არჩევნებთან დაკავშირებული ყველა და ყოველგვარი კრება საერთოდ ს.-დ. შეხედულებათა გადმოცემისათვის, კერძოდ სახელმწიფო სათათბიროს ულმობელი კრიტიკისათვის, განსაკუთრებით იმისათვის, რომ მოუწოდოს საბრძოლველად საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების რევოლუციური გზით მოწვევისათვის;

4) რომ რსდმპ უნდა გამოიყენოს აგრეთვე სათათბიროს გამო წარმოებული აგიტაცია, რათა ხალხის რაც შეიძლება ფართო მასებს გააცნოს პარტიის ყველა ტაქტიკური შეხედულება მთელს მიმდინარე რევოლუციურ მომენტზე და მისგან გამომდინარე ყველა ამოცანა.

პარტიის ორგანიზაციის საფუძვლები

ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ პარტიის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი ამჟამად ყველას მიერ არის აღიარებული;

2) რომ მისი განხორციელება არსებული პოლიტიკური პირობების დროს თუმცა გაძნელებულია, მაგრამ განსაზღვრულ ფარგლებში მაინც შესაძლებელია;

3) რომ პარტიული ორგანიზაციის კონსპირაციული და ღია აპარატის ერთმანეთში არევა პარტიისათვის უაღრესად დამღუპველი და მთავრობის პროვოკაციისათვის ხელშემწყობი აღმოჩნდა;

ჩვენ აღვიარებთ და წინადადებას ვაძლევთ ყრილობას აღიაროს:

1) რომ არჩევნების პრინციპი პარტიის ორგანიზაციებში უნდა გატარდეს ძირიდან ზემომდე;

2) რომ ამ პრინციპისგან გადახვევა, მაგალითად, ორსაფეხურიანი არჩევნები ან კოოპტაცია არჩევითს დაწესებულებებში და სხვ. დასაშვებია მხოლოდ დაუძლეველ პოლიციურ დაბრკოლებათა დროს და განსაკუთრებულ, საგანგებოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

3) რომ აუცილებლად საჭიროა პარტიული ორგანიზაციის კონსპირაციული ბირთვის შენარჩუნება და განმტკიცება;

4) რომ ყოველგვარი აშკარა გამოსვლისათვის (პრესაში, კრებებზე, კავშირებში, განსაკუთრებით პროფესიულ კავშირებში და ა. შ.) უნდა მოეწყოს ორგანიზაციების განსაკუთრებული განყოფილებანი, რომლებმაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიაყენონ ზიანი კონსპირაციულ უჯრედთა მთლიანობას;

5) რომ პარტიის ცენტრალური დაწესებულება უნდა იყოს ერთიანი, ე. ი. პარტიის საერთო ყრილობა უნდა ირჩევდეს ერთიან ც. კ.-ს, რომელიც ნიშნავს პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციას და ა. შ.

მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა [54]

დაწერილია 1906 წ. მარტის
მეორე ნახევარში.

დაიბეჭდა ცალკე ბროშურად 1906 წ.
აპრილის დამდეგს «ნაშა მისლის»
გამომცემლობით

იბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით

КНИГОИЗДАТЕЛЬСТВО „НАША МЫСЛЬ“
Петербургъ, Литейный, 60, кв. 9.

Н. ЛЕНИНЪ.

Пересмотръ аграрной программы РАБОЧЕЙ ПАРТІИ.

№ 1.

Цѣна 10 коп.

С.-ПЕТЕРБУРГЪ.
1906

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა «მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა». — 1906 წ.
დაპატარავებულია

მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვის აუცილებლობას ამჟამად ყველა აღიარებს. «უმრავლესობის» უკანასკნელმა კონფერენციამ (1905 წ. დეკემბერი) ფორმალურად წამოაყენა ეს მომწიფებული საკითხი, რომელიც უკვე დასმულია გამაერთიანებელი ყრილობის დღის წესრიგში.

ჩვენ განზრახული გვაქვს თავდაპირველად წარმოვადგინოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში აგრარული საკითხის დაყენების მეტად მოკლე ნარკვევი, შემდეგ პროგრამის იმ სხვადასხვა პროექტის მიმოხილვა, რომლებსაც ამჟამად სოციალ-დემოკრატები აყენებენ, და, ბოლოს, იმ პროექტის მონახაზი, რომელსაც ჩვენ ვიცავთ.

1. აგრარულ საკითხზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა ისტორიული განვითარების მოკლე ნარკვევი

რუსეთის სოციალ-დემოკრატია თავისი წარმოშობიდანვე აღიარებდა აგრარული და სპეციალური გლეხთა საკითხის უდიდეს მნიშვნელობას რუსეთში და ამ საკითხის დამოუკიდებელი ანალიზი ყველა თავის საპროგრამო სქემაში შეჰქონდა.

ამის საწინააღმდეგო აზრი, რომელსაც ხშირად ავრცელებენ ნაროდნიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები, ემყარება სრულ უვიცობას ან საქმის განზრახ დამახინჯებას.

რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამის უკვე პირველი პროექტი, რომელიც «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა

გამოაქვეყნა 1884 წელს, შეიცავს «აგრარული ურთიერთობის რადიკალური გადასინჯვისა» და სოფლად ყოველგვარი ბატონყმური დამოკიდებულების ლიკვიდაციის მოთხოვნას (რადგან ძველი სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა, რომელიც საზღვარგარეთ გამოდიოდა, ხელთ არა გვაქვს, იძულებული ვართ ზეპირად მოვიყვანოთ ციტატები, პასუხს ვაგებთ რა საერთო აზრისათვის, მაგრამ არა თვით ციტატების ტექსტისათვის).

შემდეგ, პლეხანოვი როგორც ჟურნალ «სოციალ-დემოკრატში»[88] (80-იანი წლების დამლევს), ისე ბროშურებში: «მთელი რუსეთის გაჩანაგება» და «სოციალისტების ამოცანები რუსეთის შიმშილობასთან ბრძოლაში» (1891—1892 წლები) არაერთხელ დ ა მ ე ტ ა დ გ ა დ ა ჭ რ ი თ ხაზს უსვამდა გლეხთა საკითხის უდიდეს მნიშვნელობას რუსეთში და იმასაც კი აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია მთელი მიწის გადანაწილებაც მომავალი დემოკრატიული გადატრიალების დროს და რომ სოციალ-დემოკრატიას სრულიადაც არ ეშინია ამ პერსპექტივისა და არც გაურბის მასო. მთელი მიწის გადანაწილება, რაც სრულიადაც არ წარმოადგენს სოციალისტურ ღონისძიებას, უდიდეს ბიძგს მისცემდა კაპიტალიზმის განვითარებას, შინაური ბაზრის ზრდას, გლეხობის კეთილდღეობის გადიდებას, თემის დაშლას, სოფლად კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარებას, ძველი, ბატონყმურ-კაბალური რუსეთის ყოველგვარი ნაშთების ლიკვიდაციასო.

პლეხანოვის ამ მითითებას მთელი მიწის გადანაწილებაზე ჩვენთვის განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სოციალ-დემოკრატებმა ერთბაშად მოგვცეს რუსეთის აგრარული საკითხის სწორედ ისეთი თეორიული დაყენება, რომელსაც ისინი ახლაც განუხრელად იცავენ.

რუსი სოციალ-დემოკრატები, მათი პარტიის წარმოშობიდან სულ უკანასკნელ დრომდე, ყოველთვის იცავდნენ სამს შემდეგ დებულებას. პ ი რ ვ ე ლ ი. აგრარული გადატრიალება აუცილებლად იქნება ნაწილი დემოკრატიული გადატრია-

ლებისა რუსეთში. ამ გადატრიალების შინაარსი იქნება სოფლის განთავისუფლება ბატონყმურ-კაბალური ურთიერთობისაგან. მ ე ო რ ე. მომავალი აგრარული გადატრიალება, თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიური მნიშვნელობით, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალება იქნება; იგი არათუ შეასუსტებს, არამედ გააძლიერებს კაპიტალიზმისა და კაპიტალისტურ კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარებას. მ ე ს ა მ ე. სოციალ-დემოკრატიას ყოველგვარი საფუძველი აქვს გადაჭრით მხარი დაუჭიროს ამ გადატრიალებას და ამასთანავე დაისახოს ესა თუ ის უახლოესი ამოცანები, მაგრამ ისე კი, რომ ხელი არ შეიბოჭოს და სრულიადაც არა თქვას უარი თუნდაც მთელი მიწის გადანაწილების მხარისდაჭერაზე.

ვინც ამ სამ დებულებას არ იცნობს, ვისაც ისინი არ ამოუკითხავს მ თ ე ლ სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში რუსეთის აგრარულ საკითხზე, ის ან არ იცნობს საქმის ვითარებას, ანდა გვერდს უხვევს საქმის დედაარსს (როგორც მუდამ იქცევიან სოციალისტ-რევოლუციონერები).

ვუბრუნდებით რა გლეხთა საკითხზე სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა განვითარების ისტორიას, აღვნიშნავთ კიდევ 90-იანი წლების დამლევის ლიტერატურიდან «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანებს» (1897) *, სადაც გადაჭრით უარყოფილია აზრი, თითქოს სოციალ-დემოკრატები «გულგრილად» უყურებდნენ გლეხობას და განმეორებულია სოციალ-დემოკრატიის ზოგადი შეხედულებანი; შემდეგ აღვნიშნავთ გაზეთ «ი ს კ რ ა ს». მის მესამე ნომერში, რომელიც გამოვიდა 1 9 0 1 წ ლ ი ს გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ზ ე (მარტი და აპრილი), ე. ი. ე რ თ ი წ ლ ი თ ა დ რ ე რუსეთის გლეხთა პირველ დიდ აჯანყებამდე, მოთავსებული იყო სარედაქციო სტატია «მუშათა პარტია და გლეხობა» **, რომელიც ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავდა გლეხთა საკითხის მნიშვნელობას და, სხვათა შორის,

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 2, გვ. 397 — 431. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 4, გვ. 517 — 527. რ ე დ.

სხვა მოთხოვნებს გარდა ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნასაც აყენებდა.

ეს სტატია შეიძლება განვიხილოთ როგორც რსდმპ იმ აგრარული პროგრამის პირველი მონახაზი, რომელიც «ისკრის» და «ზარიას» რედაქციის სახელით გამოქვეყნდა 1902 წლის ზაფხულს და ჩვენი პარტიის II ყრილობაზე (1903 წ. აგვისტო) პარტიის ოფიციალური პროგრამა გახდა.

ამ პროგრამაში მთელი ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ განხილულია როგორც ბურჟუაზიული წყობილების ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ, და მარქსიზმის პრინციპული თვალსაზრისი უაღრესი სიცხადით აღბეჭდილია აგრარული ნაწილის ძირითად დებულებაში: «ბატონყმობის ნაშთების მოსპობის მიზნით, რომლებიც მძიმე ლოდად აწევთ უშუალოდ გლეხებს, და სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფლად განვითარებისათვის პარტია მოითხოვს»...

სოციალ-დემოკრატიული პროგრამის თითქმის ყველა კრიტიკოსი დუმილით გვერდს უხვევს ამ ძირითად დებულებას: ისინი ვერ ამჩნევენ სპილოს.

II ყრილობაზე მიღებული აგრარული პროგრამის ცალკეული მუხლები, გარდა უდავო მოთხოვნებისა (წოდებრივ გადასახადთა გაუქმება, იჯარის შემცირება, მიწის თავისუფალი მოხმარება), შეიცავდნენ აგრეთვე გამოსასყიდ გადასახდელთა დაბრუნების მოთხოვნას და გლეხთა კომიტეტების დაარსებას ჩამონაჭრების დასაბრუნებლად და ბატონყმურ დამოკიდებულებათა ნაშთების მოსასპობად.

უკანასკნელი მუხლი, ჩამონაჭრების შესახებ, ყველაზე მეტ კრიტიკას იწვევდა სოციალ-დემოკრატთა რიგებში. ამ მუხლს აკრიტიკებდა აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი «ბორბა», რომელიც (თუ მეხსიერება არ მღალატობს) მემამულეთა მთელი მიწის ექსპროპრიაციის წინადადებას აყენებდა[56], აკრიტიკებდა ამხ. იქსიც[57] (მისი კრიტიკა ჩემს პასუხთან ერთად* ცალკე ბროშურად გამოვიდა ჟენევაში

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 544 — 563. რედ.

1903 წლის ზაფხულზე, სწორედ II ყრილობის წინ და იგი ხელთ ჰქონდათ დელეგატებს). ამბ. იქსი ჩამონაჭრებისა და გამოსასყიდ გადასახდელთა დაბრუნების ნაცვლად აყენებდა: 1) საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწების კონფისკაციას და «დემოკრატიული სახელმწიფოს მფლობელობაში» გადაცემას; 2) «მსხვილ მიწათმფლობელთა მიწის რენტის დაბეგვრას პროგრესიული გადასახადით, რათა შემოსავლის ეს ფორმა გადასულიყო დემოკრატიული სახელმწიფოს ხელში ხალხის საჭიროებათათვის», და 3) «კერძომფლობელური მიწების (მსხვილი მიწათმფლობელობის) ნაწილის, ხოლო თუ შესაძლებელია, მთელი მიწისაც, მსხვილი თვითმმართველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების (ერობების) მფლობელობაში გადასვლას».

მე ვაკრიტიკებდი ამ პროგრამას და ვუწოდებდი მას «მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნის გაუარესებულ და წინააღმდეგობრივ ფორმულირებას», და ხაზგასმით აღვნიშნავდი, რომ გლეხთა კომიტეტებს მნიშვნელობა აქვთ როგორც საბრძოლო ლოზუნგს, რომელიც ფეხზე აყენებს დაჩაგრულ წოდებას; — რომ სოციალ-დემოკრატიამ ხელი არ უნდა შეიბოჭოს და უარი არ უნდა თქვას ჩამორთმეული მიწების თუგინდ «გაყიდვაზეც»; — რომ ჩამონაჭრების დაბრუნება სრულიადაც არ ზღუდავს სოციალ-დემოკრატიის მისწრაფებებს, ის ზღუდავს მხოლოდ სოფლის პროლეტარიატისა და გლეხური ბურჟუაზიის მიერ საერთო ამოცანების წამოყენების შესაძლებლობას. მე ხაზგასმით აღვნიშნავდი, რომ «თუ მთელი მიწის მოთხოვნა ნაციონალიზაციის მოთხოვნა იქნება, ანდა თანამედროვე მეურნე გლეხობის ხელში მიწის გადასვლის მოთხოვნა იქნება, მაშინ ჩვენ ამ მოთხოვნას შევაფასებთ პროლეტარიატის ინტერესების თვალსაზრისით, მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა შ ი მ ი ვ ი ღ ე ბ თ ს ა ქ მ ი ს ყ ვ ე ლ ა გ ა რ ე მ ო ე ბ ა ს (ხაზგასმა ჩვენია); ჩვენ წინდაწინვე ვერ ვიტყვით, მაგ., გამოვა თუ არა ჩვენი მეურნე გლეხობა, როდესაც მას რევოლუცია გააღვიძებს პოლიტიკური ცხოვრებისათვის, რო-

გორც დემოკრატიულ-რევოლუციური პარტია, თუ როგორც წესრიგის პარტია» (ხსენებული ბროშურის 35 — 36 გვ. *).

იმავე აზრს, რომ ჩამონაჭრები არ ზღუდავენ არც გლეხთა მოძრაობის გაქანებას, არც ჩვენი მხრივ მისთვის მხარდაჭერას, თუ იგი უფრო შორს წავა, მე ვავითარებდი ბროშურაშიც — «სოფლის ღარიბებს» (გამოვიდა 1903 წ., II ყრილობის წინ), სადაც «ჩამონაჭრებს» «ზღუდე» კი არა, «კარი» ** ეწოდება, და მთელი მიწის გლეხობის ხელში გადასვლის აზრს არათუ არ უარვყოფდი, არამედ განსაზღვრულ პოლიტიკურ ვითარებაში მივესალმებოდი კიდევაც.

მთელი მიწის გადანაწილების შესახებ 1902 წლის აგვისტოს, ვიცავდი რა აგრარული პროგრამის პროექტს, ვწერდი («ზარია» № 4, გვ. 176):

«მიწის ხელახალი გაყოფის მოთხოვნაში რეაქციულია წვრილი გლეხური წარმოების გაყოვლადებისა და გამარადისების უტოპია, მაგრამ მასში (გარდა უტოპიისა, თითქოს «გლეხობას» შეუძლია იყოს სოციალისტური გადატრიალების მატარებელი) არის რევოლუციური მხარეც, სახელდობრ: იმის სურვილი, რომ გლეხთა აჯანყების საშუალებით აღიგავოს ბატონყმური წყობილების ყველა ნაშთი»***.

ამრიგად, 1902 — 1903 წლების ლიტერატურის ცნობები უცილობლად ამტკიცებს, რომ ჩამონაჭრების მოთხოვნა ამ მუხლის ავტორებს არასოდეს არ გაუგიათ იმ აზრით, რომ იგი ზღუდავდეს გლეხთა მოძრაობის გაქანებას და მისთვის ჩვენს მხარდაჭერას. მაგრამ მიუხედავად ამისა მოვლენათა მსვლელობა ცხადყოფდა, რომ პროგრამის ეს მუხლი ვერ არის დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან გლეხობის მოძრაობა უდიდესი სისწრაფით ფართოვდება და ღრმავდება, და ჩვენი პროგრამა ფართო მასებში შეშფოთებას იწვევს, ხოლო მუშათა კლასის პარტიამ ანგარიში უნდა გაუწიოს ფართო მა-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 555. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 521 — 522. რ ე დ.

*** იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 163. რ ე დ.

სებს და არ შეუძლია იმოწმებდეს მარტოოდენ კომენტარებს, რომლებიც პარტიისათვის არასავალდებულო საბუთებით განმარტავენ საყოველთაოდ სავალდებულო პროგრამას.

აგრარული პროგრამის გადასინჯვის აუცილებლობა მწიფდებოდა. 1905 წლის დამდეგს «ბოლშევიკურ» სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ «ვპერიოდის» (გამოდიოდა 1905 წ. იანვრიდან მაისამდე ყოველკვირეულად ჟენევაში) ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო აგრარული პროგრამის ცვლილების პროექტი, სადაც მუხლი ჩამონაჭრების შესახებ ამოგდებული იყო და იგი შეცვლილი იყო «გლეხთა მოთხოვნების მხარდაჭერით მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციამდე»*.

მაგრამ რსდმპ III ყრილობაზე (1905 წ. მაისი) და იმავე დროს მომხდარ «უმცირესობის» «კონფერენციაზე» თვით პროგრამის გადასინჯვის საკითხი არ დასმულა. საქმე გათავდა ტაქტიკური რეზოლუციის შემუშავებით. ამასთან პარტიის ორივე ნახევარი შეთანხმდა იმაზე, რომ მხარს დაუჭერენ გლეხთა მოძრაობას და მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციასაც კი.

ნამდვილად რომ ითქვას, ამ რეზოლუციებმა წინასწარ გადაწყვიტა რსდმპ აგრარული პროგრამის გადასინჯვის საკითხი. «უმრავლესობის» უკანასკნელ კონფერენციაზე (1905 წლის დეკემბერი) მიღებულ იქნა ჩემი წინადადება — გამოგვეთქვა სურვილი ამოგდებული ყოფილიყო მუხლები ჩამონაჭრების და გამოსასყიდ გადასახდელთა დაბრუნების შესახებ და ისინი შეცვლილ ყოფილიყო მითითებით, რომ მხარს ვუჭერთ გლეხთა მოძრაობას და მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციასაც კი**.

ამით დავამთავრებთ აგრარულ საკითხზე რსდმპ შეხედულებათა ისტორიული განვითარების მოკლე ნარკვევს.

---

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 8, გვ. 270. რ ე დ.

** რეზოლუცია დაიბეჭდა «რუსში», «ნაშა ჟიზნსა» და «პრავდაში» [illegible] (იხ. ეს ტომი, გვ. 90 — 91. რ ე დ.).

II. ოთხი მიმდინარეობა სოციალ-დემოკრატიის შიგნით აგრარული პროგრამის საკითხზე

ამჟამად ამ საკითხზე, გარდა «ბოლშევიკური» კონფერენციის ზემოხსენებული რეზოლუციისა, ხელთა გვაქვს აგრარული პროგრამის ორი მზა პროექტი — ამხ. მასლოვისა და ამხ. როჟკოვისა და დაუმთავრებელი პროექტები, ე. ი. ისეთები, რომლებიც პროგრამის მზა პროექტს არ იძლევიან, ამხ. ფინის, ამხ. პლეხანოვისა და კაუტსკის შენიშვნები და მოსაზრებანი.

მოკლედ გადმოვცემთ ამ მწერლების შეხედულებებს.

ამხ. მასლოვი გვაწვდის ამხ. იქსის რამდენადმე სახეშეცვლილ პროექტს. სახელდობრ, იქსის პროექტიდან იგი აგდებს მიწის რენტის პროგრესიული გადასახადით დაბეგვრას და ასწორებს კერძომფლობელური მიწების ერობის ხელში გადაცემის მოთხოვნას. მასლოვის შესწორება მდგომარეობს, ჯერ ერთი, იმაში, რომ იგი აგდებს იქსის სიტყვებს: «თუ შესაძლებელია მთელი მიწაც» (ე. ი. მთელი მიწა ერობათა მფლობელობაში გადავიდეს); მეორე, მასლოვი სრულიად აგდებს «ერობას», რაც მოხსენიებული აქვს იქსს და «მსხვილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების — ერობების» მაგივრად ამბობს — «მსხვილი საოლქო ორგანიზაციების». მასლოვის მთელი სათანადო მუხლი ამბობს ასე:

«კერძომფლობელური მიწების (მსხვილი მიწათმფლობელობა) გადაცემა თვითმმართველი მსხვილი საოლქო ორგანიზაციების მფლობელობაში. ჩამოსართმევი მიწის ნაკვეთების მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავს საოლქო სახალხო წარმომადგენლობა». მაშასადამე, მასლოვი გადაჭრით უარყოფს იქსის მიერ პირობითად აღიარებულ სრულ ნაციონალიზაციას და მოითხოვს «მუნიციპალიზაციას» ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, «პროვინციალიზაციას». ნაციონალიზაციის საწინააღმდეგოდ მასლოვი აყენებს სამ მოსაზრებას: 1) ნაციონალიზაცია ეროვნებათა თვითგამორკვევის შელახვა იქნებოდა; 2) თავიანთი მიწების ნაციონალიზაციას არ დასთანხმდებიან

გლეხები, განსაკუთრებით მეკომური გლეხები; 3) ნაციონალიზაცია გააძლიერებს ბიუროკრატიას, რომელიც აუცილებელია კლასობრივ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოშიო.

მემამულეთა მიწების დაყოფას («განაწილებას») მასლოვი აკრიტიკებს მხოლოდ როგორც სოციალისტ-რევოლუციონერთა ფსევდო-სოციალისტურ უტოპიას და არ აფასებს ამ ღონისძიებას «ნაციონალიზაციასთან» შედარებით.

რაც შეეხება როჟკოვს, მას არც დაყოფა სურს, არც ნაციონალიზაცია; იგი მოითხოვს მხოლოდ, რომ მუხლი ჩამონაჭრების შესახებ შეიცვალოს ამნაირი მუხლით: «გლეხებისათვის გამოუყიდველად გადაცემა ყველა იმ მიწისა, რომლებიც მათი სამეურნეო დამონების იარაღს წარმოადგენენ» (იხ. კრებული «მიმდინარე მომენტი»[59], გვ. 6 ამხ. ნ. როჟკოვის სტატიისა). ამხ. როჟკოვი მოითხოვს საეკლესიო და სხვა მიწების კონფისკაციას, მაგრამ არ მიუთითებს «დემოკრატიული სახელმწიფოს მფლობელობაში მათ გადაცემაზე» (როგორც ეს ამხ. მასლოვს სურს).

შემდგომ, ამხ. ფინი თავის დაუმთავრებელ სტატიაში («მირ ბოჟი»[60], 1906) უარყოფს ნაციონალიზაციას და, როგორც ჩანს, იქით იხრება, რომ მემამულეთა მიწები გლეხებს კერძო საკუთრებად დაურიგდეთ.

ამხ. პლეხანოვიც «დნევნიკის» მეხუთე ნომერში ერთი სიტყვითაც კი არ ეხება ჩვენს აგრარულ პროგრამაში განსაზღვრულ ცვლილებათა საკითხს. როდესაც მასლოვს აკრიტიკებს, ის იცავს მხოლოდ «მოქნილ ტაქტიკას» საერთოდ, უარყოფს «ნაციონალიზაციას» (იმოწმებს რა «ზარიას» ძველ მოსაზრებებს) და, თითქოს, მემამულეთა მიწების გლეხთა შორის დაყოფისაკენ იხრება.

დასასრულ, კ. კაუტსკი თავის საუცხოო ნაშრომში «აგრარული საკითხი რუსეთში» გადმოგვცემს ამ საკითხზე სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებათა ზოგად საფუძვლებს და სრულ თანაგრძნობას უცხადებს მემამულეთა მიწების დაყოფას, და განსაზღვრულ პირობებში, თითქოს, შესაწყნა-

რებლად თვლის ნაციონალიზაციასაც, მაგრამ საერთოდ სრულიად არც ერთი სიტყვით არ ეხება რსდმპ არც ძველ აგრარულ პროგრამას, არც მისი შეცვლის პროექტებს.

ვაჯამებთ რა ჩვენს პარტიაში დასახულ აზრებს რსდმპ აგრარული პროგრამის საკითხზე, ვღებულობთ ამ აზრების შემდეგ ოთხ ძირითად ტიპს:

1) რსდმპ აგრარული პროგრამა არ უნდა მოითხოვდეს მემამულეთა მიწების არც ნაციონალიზაციას, არც კონფისკაციას (ამ აზრისანი არიან ახლანდელი პროგრამის ან მის ისეთ მცირე შესწორებათა დამცველნი, როგორსაც ამხ. ნ. როჟკოვი გვირჩევს);

2) რსდმპ აგრარული პროგრამა უნდა მოითხოვდეს მემამულეთა მიწების კონფისკაციას და არ მოითხოვდეს მიწის ნაციონალიზაციას არავითარი ფორმით (ამ აზრისანი არიან, როგორც ჩანს, ამხ. ფინი და, შეიძლება, ამხ. პლეხანოვიც, თუმცა მისი აზრი ბუნდოვანია);

3) მემამულეთა მიწების ჩამორთმევა თავისებურ და შეზღუდულ ნაციონალიზაციასთან ერთად (იქსის, მასლოვის, გრომანისა და სხვების «ეროობიზაცია» და «პროვინციალიზაცია»);

4) მემამულეთა მიწების კონფისკაცია და, განსაზღვრულ პოლიტიკურ პირობებში, მიწის ნაციონალიზაცია (პროგრამა, რომელსაც აყენებს ჩვენი პარტიის გაერთიანებული ცენტრალური კომიტეტის მიერ დანიშნული კომისიის უმრავლესობა; ეს პროგრამა, რომელსაც ამ სტრიქონების დამწერი იცავს, დაბეჭდილია ქვემოთ, ბროშურის ბოლოში) *.

განვიხილოთ ყველა ეს აზრი.

ახლანდელი პროგრამის ან იმ პროგრამის მომხრენი, რომელსაც ამხ. როჟკოვი აყენებს, გამოდიან ან იმ შეხედულებიდან, რომ მსხვილი მამულების კონფისკაცია, რაც იწვევს წვრილ მამულებად მათ დაყოფას, საერთოდ შეუძლე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 222 — 223. რედ.

ბელია სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისით დავიცვათ, ან იმ შეხედულებიდან, რომ პროგრამაში ყოვლად შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს კონფისკაციას, მისი ადგილი მხოლოდ ტაქტიკურ რეზოლუციაშიაო.

დავიწყოთ პირველი შეხედულებით. გვეუბნებიან, რომ მსხვილი მამულები — მოწინავე კაპიტალისტური ტიპიაო. მათი კონფისკაცია, მათი დაყოფა არის რეაქციული ღონისძიება, ნაბიჯის გადადგმა უკან წვრილი მეურნეობისაკენო. სოციალ-დემოკრატები შეუძლებელია ასეთი ღონისძიების მომხრენი იყვნენო.

ასეთი შეხედულება ჩვენ უმართებულოდ მიგვაჩნია.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ გლეხთა თანამედროვე მოძრაობის საერთო და საბოლოო შედეგი და არ უნდა ჩავახრჩოთ იგი ცალკეულ შემთხვევებსა და წვრილმანებში. საერთოდ და მთლიანად თანამედროვე მემამულური მეურნეობა რუსეთში უფრო მეურნეობის ბატონყმურ-კაბალურ სისტემას მისდევს, ვიდრე კაპიტალისტურს. ვინც ამას უარყოფს, იგი ვერ ახსნის გლეხთა თანამედროვე ფართო და ღრმა რევოლუციურ მოძრაობას რუსეთში. ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნის წამოყენების დროს ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ საკმარისად ვერ შევაფასეთ გლეხობის დემოკრატიული, სახელდობრ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის სიფართოვე და სიღრმე. უგუნურებაა ამ შეცდომის დაჟინებით დაცვა ახლა, როდესაც რევოლუციამ ბევრი რამ გვასწავლა. კაპიტალიზმის განვითარებისათვის მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია ბევრად უფრო დიდ პლუსს მოგვცემს, ვიდრე არის ის მინუსი, რომელიც შოჰყვებოდა მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის დაყოფას. დაყოფა კაპიტალიზმს ვერც მოსპობს და ვერც უკან დააქანებს, არამედ დიდად გასწმენდს, განაზოგადებს, გაფართოებს და გაამაგრებს ნიადაგს მისი (კაპიტალიზმის) ახალი განვითარებისათვის. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ გლეხთა მოძრაობის გაქანების შეზღუდვა სრულიადაც არ არის სოციალ-დემოკრატების საქ-

მე, ხოლო ამჟამად მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციის მოთხოვნის უარყოფა უკვე გამოსახული საზოგადოებრივი მოძრაობის გაქანების აშკარა შეზღუდვა იქნებოდა.

ამიტომ ის ამხანაგები, რომელნიც ამჟამად იბრძვიან მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციის მოთხოვნის წინააღმდეგ, ისევე ცდებიან, როგორც ცდებიან ინგლისელი მაღაროელები, რომელთაც 8 საათზე ნაკლები სამუშაო დღე აქვთ და მთელ მათს ქვეყანაში კანონძდებლობის გზით 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების წინააღმდეგ იბრძვიან.

ზოგიერთი ამხანაგი «დროის სულისკვეთებას» უთმობს. პროგრამაში იყოს — ჩამონაჭრები თუ იმ მიწების ჩამორთმევა, რომლებიც დამონების იარაღს წარმოადგენენ, — ამბობენ ისინი. ტაქტიკურ რეზოლუციაში — კონფისკაცია. ერთმანეთში როდი უნდა ავრიოთ პროგრამა და ტაქტიკაო.

ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ, რომ პროგრამასა და ტაქტიკას შორის აბსოლუტური ზღვარის გავლების ცდას მხოლოდ სქოლასტიკისა და პედანტიზმისაკენ მივყავართ. პროგრამა განსაზღვრავს სხვა კლასებისადმი მუშათა კლასის ზოგად, ძირითად დამოკიდებულებას. ტაქტიკა კი — კერძო და დროებითს დამოკიდებულებას. ეს, რა თქმა უნდა, სამართლიანია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სოფლად ბატონყმობის ნაშთებთან მთელი ჩვენი ბრძოლა კერძო და დროებითი ამოცანაა პროლეტარიატის საერთო სოციალისტურ ამოცანებთან შედარებით. შიპოვისებურმა «კონსტიტუციურმა რეჟიმმა» 10 — 15 წელი რომ გასძლოს რუსეთში, ეს ნაშთები გაჰქრება მოსახლეობისათვის უამრავი ტანჯვის მიყენებით, მაგრამ მაინც გაჰქრება, თავისთავად გადაშენდება. მაშინ გლეხთა რაოდენადმე ძლიერი დემოკრატიული მოძრაობა შეუძლებელი გახდება; უკვე შეუძლებელი იქნება დაცვა რაიმე აგრარული პროგრამისა «ბატონყმობის ნაშთთა მოსპობის მიზნით». მაშასადამე, განსხვავება პროგრამასა და ტაქტიკას შორის მხოლოდ შეფარდებითია. ხოლო არახელსაყრელობა მასობრივი პარტიისათვის, რომელიც სწორედ

ახლა გამოდის უფრო აშკარად, ვიდრე წინათ, ფრიად დიდია, თუ პროგრამაში არის კერძო, შეზღუდული და ვიწრო, ხოლო ტაქტიკურ რეზოლუციაში — საერთო, ფართო და ყოვლისშემცველი მოთხოვნა. სულ ერთია, ჩვენი პარტიის აგრარული პროგრამის ხელახლა გადასინჯვა ძალიან მალე მოგვიხდება: იმ შემთხვევაშიც, თუ დუბასოვ-შიპოვის «კონსტიტუცია» განმტკიცდება, და იმ შემთხვევაშიც, თუ გლეხთა და მუშათა აჯანყება გაიმარჯვებს. მაშასადამე, მაინცდამაინც იმის გამოკიდება, რომ სამარადისო სახლი ავაგოთ, არ გვჭირდება.

გადავდივართ შეხედულებათა მეორე ტიპზე. მემამულეთა მიწების კონფისკაცია, მათი დაყოფა — კიდევ ჰო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა ნაციონალიზაციაო, გვეუბნებიან ჩვენ. დაყოფის დასაცავად იმოწმებენ კაუტსკის, იმეორებენ ყველა სოციალ-დემოკრატის წინანდელ მოსაზრებებს (შეადარე «ზარია» № 4) ნაციონალიზაციის წინააღმდეგ. ჩვენ სავსებით და უეჭველად ვეთანხმებით იმას, რომ მემამულეთა მიწების დაყოფა ამჟამად, საერთოდ და მთლიანად, აშკარად პროგრესული ღონისძიება იქნებოდა როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური აზრით. ჩვენ ვეთანხმებით აგრეთვე იმასაც, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წვრილ მესაკუთრეთა კლასი, გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი, შეიძლება «უფრო მტკიცე ბურჯი იყოს დემოკრატიისა, ვიდრე პოლიციურ-კლასობრივ, თუნდაც კონსტიტუციურ, სახელმწიფოზე დამოკიდებულ მოიჯარადრეთა კლასი» (ლ ე ნ ი ნ ი, «პასუხი იქსს», გვ. 27 *).

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის ახლანდელ მომენტში ასეთი მოსაზრებებით დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა, 1902 წლის ძველი პოზიციის დაცვით დაკმაყოფილება — უეჭველად იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ანგარიში არ გავუწიოთ არსებითად შეცვლილ სოციალურ-კლასობრივ და პოლიტიკურ კონიუნქტურას. 1902 წლის აგვისტოში «ზარია» აღნიშნავდა (წიგ. 4, პლეხანოვის

სტატია, გვ. 36), ჩვენში «მოსკოვსკიე ვედომოსტი»[21] იცავს ნაციონალიზაციასო, და იმ უდავოდ სწორ აზრს ატარებდა, რომ მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა ყველგან და ყოველთვის სრულიადაც არ არის რევოლუციურიო. ეს უკანასკნელი აზრი, რა თქმა უნდა, სამართლიანია, მაგრამ პლეხანოვის იმავე სტატიაში (გვ. 37) აღნიშნულია, რომ «რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ ე პ ო ქ ა შ ი» (ხაზგასმა პლეხანოვისაა) მსხვილ მიწათმფლობელთა ექსპროპრიაცია შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ჩვენში და რომ განსაზღვრულ ვითარებაში აუცილებელი იქნება საკითხის დაყენება მის შესახებო.

უეჭველია, საქმის ვითარება ახლა 1902 წელთან შედარებით არსებითად შეცვლილია. 1905 წელს რევოლუცია მაღლა ავიდა და ახლა ძალებს ამზადებს ახალი აღმავლობისათვის. «მოსკოვსკიე ვედომოსტის» მიერ მიწის ნაციონალიზაციის დაცვაზე (რაოდენადმე სერიოზული აზრით) ლაპარაკიც კი შეუძლებელია. პირიქით, მიწის კერძო საკუთრების ხელუხლებლობის დაცვა ძირითად მოტივად იქცა როგორც ნიკოლოზ II სიტყვების, ისე გრინგმუტისა და კომპ. გოდებისა. გლეხთა აჯანყებამ უკვე აამოძრავა ბატონყმური რუსეთი, და მომაკვდავი თვითმპყრობელობის მთელი იმედები ახლა დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ მემამულეთა კლასთან მორიგებაზე, რომელიც საშინლად შეუშინებია გლეხთა მოძრაობას. არათუ «მოსკოვსკიე ვედომოსტი», არამედ «სლოვოც», შიპოველების ორგანო, ებრძვის ვიტეს და კუტლერის «სოციალისტურ» პროექტს, რომელიც გვირჩევს არა ნაციონალიზაციას, არამედ მიწის ნაწილის მხოლოდ საეალდებულო გ ა მ ო ყ ი დ ვ ა ს. მთავრობის მხრივ «გლეხთა კავშირის» გააფთრებული დევნა და გააფთრებული «დრაგონადები» მღელვარე გლეხების წინააღმდეგ ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს, რომ გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათი უკვე სავსებით გამოისახა.

ამ მოძრაობამ, როგორც ყოველმა ღრმა სახალხო მოძრაობამ, უკვე გამოიწვია და ახლაც იწვევს გლეხობის უდიდეს რევოლუციურ ენთუზიაზმს და რევოლუციურ ენერგიას. თა-

ვის ბრძოლაში მიწის მემამულური საკუთრების წინააღმდეგ, მემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, გლეხები აუცილებლობით მიდიან და უკვე მივიდნენ, თავიანთი მოწინავე წარმომადგენლების სახით, საერთოდ მიწის მთელი კერძო საკუთრების გაუქმების მოთხოვნამდე*.

რომ ახლა მიწის საერთო სახალხო საკუთრების იდეა მეტისმეტად ფართოდ ტრიალებს გლეხობაში, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ, მიუხედავად გლეხობის მთელი უვიცობისა, მიუხედავად მისი სურვილების მთელი რეაქციულ-უტოპიური ელემენტებისა, ამ იდეას, საერთოდ და მთლიანად, რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათი აქვს**.

სოციალ-დემოკრატებმა უნდა გასწმინდონ ეს იდეა მისი რეაქციული და მეშჩანურ-სოციალისტური გაყალბებისაგან, — ეს უდავოა. მაგრამ სოციალ-დემოკრატები დიდ შეც-

---

* იხ. «გლეხთა კავშირის ყრილობათა 1905 წ. 1 აგვისტოს და 6 ნოემბრის დადგენილებანი», სპბ. 1905 წ., გვ. 6, და «სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობის ოქმები» (სპბ. 1905 წ.) passim (ყველგან. რ ე დ.).

**ამხანაგი პლეხანოვი «დნევნიკის» მეხუთე ნომერში აფრთხილებს რუსეთს არ გაიმეოროს ვან ჰან-ჩეს (ჩინეთის რეფორმატორი XI საუკუნეში, რომელმაც შემოიღო მიწის ნაციონალიზაცია, მაგრამ წარმატება არ ჰქონია) ცდები და ცდილობს დაამტკიცოს, რომ მიწის ნაციონალიზაციის გლეხური იდეა თავისი წარმოშობით რეაქციულია. ამ არგუმენტაციის ნაძალადევობა თვალში გეცემათ. ჭეშმარიტად qui prouve trop, ne prouve rien (ვინც ძალიან ბევრს ამტკიცებს, იგი ვერაფერს ამტკიცებს). XX საუკუნის რუსეთის XI საუკუნის ჩინეთთან შედარება რომ შეიძლებოდეს, მაშინ მე და პლეხანოვი, ალბათ, არ ვილაპარაკებდით არც რუსეთის გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიულ ხასიათზე, არც კაპიტალიზმზე. რაც შეეხება მიწის ნაციონალიზაციის გლეხური იდეის რეაქციულ წარმოშობას (თუ ხასიათს), მთელი მიწის გადანაწილების იდეაშიც ხომ უეჭველად არის ნიშნები არათუ რეაქციული წარმოშობისა, არამედ მისი რეაქციული ხასიათისაც ამჟამად. რეაქციული ელემენტები მოიპოვება გლეხთა მთელ მოძრაობაში და გლეხთა მთელ იდეოლოგიაში, მაგრამ ეს სრულიადაც არ აბათილებს მთლიანად მთელი ამ მოძრაობის საერთო რევოლუციურ-დემოკრატიულ ხასიათს. ამიტომ თავისი დებულება (განსაზღვრულ პოლი-

დომას ჩაიდენდნენ, მათ რომ უკუეგდოთ მთელი ეს მოთხოვნა და ვერ მოეხერხებინათ მისი რევოლუციურ-დემოკრატიული მხარის გამოყოფა. ჩვენ სავსებით გულახდილად და გადაჭრით უნდა განვუცხადოთ გლეხს, რომ მიწის ნაციონალიზაცია ბურჟუაზიული ღონისძიებაა, რომ იგი სასარგებლოა მ ხ ო ლ ო დ განსაზღვრულ პოლიტიკურ პირობებში, მაგრამ გლეხთა მასის წინაშე ჩვენი, სოციალისტების, გამოსვლა ამ ღონისძიების ც ა რ ი ე ლ ი უარყოფით საერთოდ ბეცი პოლიტიკა იქნებოდა. და ეს იქნებოდა არა მარტო ბეცი პოლიტიკა, არამედ თეორიული დამახინჯებაც მარქსიზმისა, რომელმაც სრული სიცხადით დაადგინა, რომ მიწის ნაციონალიზაცია შესაძლებელია, წარმოსადგენია ბურჟუაზიულ საზოგადოებაშიც, რომ იგი არათუ შეაფერხებს, არამედ გააძლიერებს კაპიტალიზმის განვითარებას, რომ იგი არის აგრარულ ურთიერთობათა დარგში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რეფორმათა მ ა ქ ს ი მ უ მ ი.

და განა ვისმე შეუძლია უარჰყოს, რომ ა მ ჟ ა მ ა დ გლეხობის წინაშე ჩვენ უნდა გამოვიდეთ სწორედ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნათა მაქსიმუმით? ნუთუ აქამდე კიდევ შესაძლებელია ვერ ვხედავდეთ კავშირს გლეხის აგრარული მოთხოვნების (მიწის კერძო საკუთრების გაუქმება) რადიკალიზმსა და მისი პოლიტიკური მოთხოვნების (რესპუბლიკა და სხვ.) რადიკალიზმს შორის?

არა, სოციალ-დემოკრატების პოზიცია აგრარულ საკითხში ამჟამად, როდესაც საქმე ეხება დემოკრატიული გადატრიალების ბოლომდე მიყვანას, შესაძლებელია იყოს მხოლოდ შემდეგნაირი: მემამულური საკუთრების წინააღმდეგ და გლეხური საკუთრების სასარგებლოდ საერთოდ მიწის კერძო საკუთრების არსებობის დროს. მიწის კერძო საკუთრების წინა-

---

ტიკურ პირობებში შეუძლებელია სოციალ-დემოკრატებმა მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა წამოაყენონ) პლეხანოვმა არათუ ვერაფრით ვერ დაამტკიცა, არამედ განსაკუთრებით შეასუსტა კიდეც თავისი გაცვეთილი ნაძა-

აღმდეგ და მიწის ნაციონალიზაციის სასარგებლოდ **განსაზღვრული პოლიტიკური პირობების დროს.**

აქ ჩვენ მივადექით შეხედულებათა მე-3 ტიპს: იქსის, მასლოვისა და სხვათა «ერობიზაციას» ანუ «პროვინციალიზაციას». მასლოვის წინააღმდეგ აქ გვიხდება ნაწილობრივ იგივე გავიმეოროთ, რასაც მე 1903 წელს იქსის წინააღმდეგ ვლაპარაკობდი, სახელდობრ: რომ იგი იძლევა «მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნის გაუარესებულ და წინააღმდეგობრივ ფორმულირებას» (ლენინი. «პასუხი იქსს», გვ. 42 *). მიწის გადაცემა კი, — ვწერდი იქვე — (საერთოდ რომ ითქვას) სასურველია დემოკრატიული სახელმწიფოს ხელში და არა **წვრილი** საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელში (თანამედროვე ან მომავალი ერობის მსგავსისა).

რას გვირჩევს მასლოვი? იგი გვირჩევს დომხალს: ნაციონალიზაცია **პლუს** ერობიზაცია, **პლუს** მიწის კერძო საკუთრება და **სრულიად არაღნიშნავს** იმ სხვადასხვანაირ პოლიტიკურ პირობებს, როცა პროლეტარიატისათვის ხელსაყრელია (შედარებით) მიწათმოწყობის ესა თუ ის სისტემა. მართლაც, მასლოვი თავისი პროექტის მე-3 **მუხლში** მოითხოვს საეკლესიო და სხვა მიწების «კონფისკაციას» და «მათ გადაცემას დემოკრატიული სახელმწიფოს მფლობელობაში». ეს არის ნაციონალიზაციის წმინდა ფორმა. იბადება კითხვა, რატომ არ არის აღნიშნული ის პოლიტიკური პირობები, რომლებიც უვნებელყოფენ ნაციონალიზაციას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში? რატომ არ არის აქ ნაციონალიზაციის მაგივრად ერობიზაცია წამოყენებული? რატომ არის აქ არჩეული ისეთი ფორმულირება, რომელიც **გამორიცხავს** ჩამორთმეული მიწების გაყიდვას? ** არც ერთ ამ კითხვაზე მასლოვი პასუხს არ იძლევა.

---

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 562. **რედ.**

** შეად. **ლენინი.** «პასუხი იქსს», გვ. 27: «სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ სოციალ-დემოკრატია ყველა პირობებში და ყოველთვის წინააღმდეგი იქნება გაყიდვისა» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6,

როდესაც მასლოვი საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწების ნაციონალიზაციას გვირჩევს და იმავე დროს დავობს ნაციონალიზაციის წინააღმდეგ საერთოდ, იგი თავის თავსვე ამათრახებს. მისი საბუთები ნაციონალიზაციის წინააღმდეგ ნაწილობრივ სრული და ზუსტი არ არის, ნაწილობრივ კი სავსებით სუსტია. პირველი საბუთი: ნაციონალიზაცია ლახავს ეროვნებათა თვითგამორკვევას. შეუძლებელია პიტერიდან განაგებდე ამიერკავკასიის ტერიტორიასო.— ეს საბუთი კი არა, თავიდან ბოლომდე გაუგებრობაა. ჯერ ერთი, ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებას აღიარებს ჩვენი პროგრამა და, მაშასადამე, ამიერკავკასიას «უფლება» აქვს თვითგამორკვევისა და პიტერისაგან ჩამოშორებისა. მასლოვი ხომ წინააღმდეგი არ არის ოთხფორმულიანი [62] სისტემისა იმ საბაბით, რომ «ამიერკავკასია» შეიძლება არ დაგვეთანხმოსო! მეორე, როგორც ადგილობრივი, ისე საოლქო ფ ა რ თ ო თვითმმართველობა ს ა ე რ თ ო დ აღიარებულია ჩვენი პროგრამით და, მაშასადამე, იმაზე ლაპარაკი, რომ «პეტერბურგის ბიუროკრატია განაგებდეს მთიელების მიწას» (მასლოვი, გვ. 22), პირდაპირ სასაცილოა! მესამე, ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს მიწების «ერობიზაციის» კანონი სულ ერთია პ ი ტ ე რ ი ს დამფუძნებელმა კრებამ მაინც უნდა გამოსცეს, იმიტომ რომ მასლოვს ხომ არა სურს ყოველ განაპირა მხარეს უფლება მიეცეს მემამულური მიწათმფლობელობა შეინარჩუნოს! მაშასადამე, მასლოვის მთელი საბუთი ბათილდება.

მეორე საბუთი: «მიწის ნაციონალიზაცია გულისხმობს მ თ ე ლ ი მიწის სახელმწიფოს ხელში გადაცემას. მაგრამ განა გლეხები დათანხმდებიან ნებაყოფლობით გადასცენ ვისმე თავიანთი მიწები, განსაკუთრებით მეკომური გლეხები?» (მასლოვი, გვ. 20).

ჯერ ერთი, მასლოვი სიტყვებს ათამაშებს ან ცნებებს ერთმანეთში ურევს. ნაციონალიზაცია ნიშნავს მიწის საკუთრების უფლების — რენტის მიღების უფლების გადაცემას დ*

---

*) გვ. 545. რ ე დ.). მიწის კერძო საკუთრების გაუუქმებლობას ვარაუდობდე და გაყიდვას უარყოფდე — არც ლოგიკურია და არც გონივრული.

სრულიადაც არ ნიშნავს თვით მიწის გადაცემას. ნაციონალიზაცია სრულიადაც არ ნიშნავს ყველა გლეხის მიერ მიწების არანებაყოფლობით გადაცემას ვისმესთვის. განვუმარტოთ მასლოვს ეს მაგალითით. სოციალისტური გადატრიალება ნიშნავს არა მარტო მიწის საკუთრების გადაცემას, არამედ თვით მიწის, როგორც მეურნეობის ობიექტის გადაცემასაც მთელი საზოგადოებისათვის. განა ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალისტებს სურთ წაართვან მიწა წვრილ გლეხებს მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ? არა, არც ერთ გონიერ სოციალისტს არასოდეს არ წამოუყენებია ამნაირი სისულელე.

განა ვისმე საჭიროდ მიაჩნია ამას საგანგებო შენიშვნა გაუკეთოს სოციალისტურ პროგრამაში, სადაც ლაპარაკია მიწის კერძო საკუთრების საზოგადოებრივი საკუთრებით შეცვლაზე? არა, სოციალ-დემოკრატების არც ერთი პარტია არ აკეთებს ასეთ შენიშვნას. მით უფრო ნაკლები საფუძველი გვაქვს ნაციონალიზაციის შესახებ გამოგონილ საშინელებათა შესათხზველად. ნაციონალიზაცია ნიშნავს რენტის გადაცემას სახელმწიფოსათვის. გლეხები უმრავლეს შემთხვევაში მიწიდან არავითარ რენტას არ ღებულობენ. მაშასადამე, ნაციონალიზაციის დროს მათ არაფრის გადახდა არ მოუხდებათ, ხოლო გლეხურ-დემოკრატიული სახელმწიფო (რომელსაც ჩუმად გულისხმობს მასლოვი მისი ერობიზაციით და ზუსტად არც კი განსაზღვრავს) შემოიღებს კიდევ პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადს და წვრილ მეპატრონეთ გადასახადებს შეუმცირებს. ნაციონალიზაცია გააადვილებს მიწების მობილიზაციას, მაგრამ იგი სრულიადაც არ ნიშნავს წვრილი გლეხებისათვის მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ მიწების ჩამორთმევას.

მეორე, თუ ნაციონალიზაციის წინააღმდეგ მოვიყვანთ არგუმენტებს მეკომურ გლეხთა «ნებაყოფლობითი თანხმობის» თვალსაზრისით, მაშინ ჩვენ შევეკითხებით მასლოვს: «ნებაყოფლობით დათანხმდებიან თუ არა» მესაკუთრე გლეხები, რომ საუკეთესო, სახელდობრ მემამულეთა, საეკლესიო და საუფლისწულო მიწებს მათ ᲨᲔᲮᲝᲚᲝᲓᲘᲗᲐᲠᲘᲗ აძლევდეს

ის «დემოკრატიული სახელმწიფო», სადაც გლეხები ძალას წარმოადგენენ? ეს ხომ ამას ნიშნავს: უხეირო, სანადელო მიწები — აჰა, საკუთრებად გქონდეს, ხოლო კარგი, მემამულეთა მიწები — იჯარით აიღეო. შავი პური უფასოდ აიღე, თეთრში კი ფული გადაიხადეო. გლეხები ამას არასოდეს არ დასთანხმდებიან. ორში ერთი, ამხ. მასლოვ: ან ეკონომიური ურთიერთობა იწვევს კერძო საკუთრების აუცილებლობას და იგი ხელსაყრელია, — მაშინ უნდა ვილაპარაკოთ მემამულეთა მიწების დაყოფაზე ან საერთოდ კონფისკაციაზე. ან შესაძლებელი და ხელსაყრელია მთელი მიწის ნაციონალიზაცია, — და მაშინ საჭირო აღარ არის უსათუოდ განსაკუთრებული გამონაკლისი დავუშვათ გლეხებისათვის. ნაციონალიზაციის შეერთება პროვინციალიზაციასთან, ხოლო პროვინციალიზაციისა კერძო საკუთრებასთან — პირდაპირ დომხალია. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს უ ა ღ რ ე ს ა დ ს რ უ ლ ი გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს დ რ ო ს ა ც კ ი ასეთი ღონისძიება ვერასოდეს ვერ განხორციელდებოდა.

III. ამხ. მასლოვის მთავარი შეცდომა

აქ საჭიროა შევჩერდეთ კიდევ ერთ მოსაზრებაზე, რომელიც წინა მოსაზრებიდან გამომდინარეობს, მაგრამ უფრო დაწვრილებით განხილვას მოითხოვს. ჩვენ ახლა განვაცხადეთ, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მასლოვის პროგრამა განუხორციელებელია დემოკრატიული რევოლუციის უაღრესად სრული გამარჯვების დროსაც კი. საერთოდ რომ ითქვას, პროგრამის განსაზღვრული მოთხოვნების «განუხორციელებლობა» საქმის დღევანდელ ვითარებაში ან უახლოეს მომავალში მათი შესრულების წარმოუდგენლობის აზრით არ შეიძლება ამ მოთხოვნათა საწინააღმდეგო არგუმენტად ჩაითვალოს. კ. კაუტსკიმ მეტად რელიეფურად აღნიშნა ეს თავის სტატიაში როზა ლუქსემბურგის წინააღმდეგ პოლონეთის

დამოუკიდებლობის საკითხის გამო.* როზა ლუქსემბურგი ლაპარაკობდა ამ დამოუკიდებლობის «განუხორციელებლობაზე»; კ. კაუტსკი კი უპასუხებდა, საქმე აღნიშნული აზრით «განხორციელება» კი არ არის, არამედ ის, თუ რამდენად შეესაბამება განსაზღვრული მოთხოვნა საზოგადოების განვითარების საერთო მიმართულებას ან საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ სიტუაციას მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში. აიღეთ, მაგალითად, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის მოთხოვნა ხალხის მიერ ყველა მოხელის არჩევის შესახებო, ამბობდა კაუტსკი. რა თქმა უნდა, ეს მოთხოვნა «განუხორციელებელია» გერმანიაში ამჟამად არსებული საქმის ვითარების თვალსაზრისით. მაგრამ მიუხედავად ამისა ეს მოთხოვნა სავსებით სწორი და აუცილებელია, რადგან იგი არის განუყრელი შემადგენელი ნაწილი თანამიმდევარი დემოკრატიული გადატრიალებისა, რომლისკენაც მიდის მთელი საზოგადოებრივი განვითარება და რომლისთვისაც იღწვის სოციალ-დემოკრატია, როგორც სოციალიზმის პირობისათვის და როგორც სოციალიზმის პოლიტიკური ზედნაშენის აუცილებელი შემადგენელი ელემენტისათვის.

ამიტომ, როცა მასლოვის პროგრამის განუხორციელებლობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვებს: დემოკრატიული რევოლუციის უაღრესად სრული გამარჯვების დროსაც კი. ჩვენ სრულიადაც იმაზე არ ვლაპარაკობთ, რომ მასლოვის პროგრამა განუხორციელებელია ახლანდელ პოლიტიკურ ურთიერთობათა და პირობათა თვალსაზრისით. არა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სწორედ სრული და ბოლომდე თანამიმდევარი დემოკრატიული გადატრიალების დროს, ე. ი. სწორედ ისეთი პოლიტიკური პირობების დროს, რომლებიც ყველაზე დაშორებული იქნება ახლანდელს და რომლებიც ყველაზე უფრო ხელშემწყობი იქნება ძირითადი აგრარული რე-

* ამოსაწერი ამ სტატიიდან მოყვანილია «ზარიას» მეოთხე ნომერში, ჩემს სტატიაში აგრარული პროგრამის პროექტის შესახებ (იხ. თხზულებანი, ვამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 141 — 142. რ ე დ.).

ფორმებისათვის, სწორედ ასეთი პირობების დროს მასლოვის პროგრამა განუხორციელებელია არა იმიტომ, რომ იგი, ასე ვთქვათ, ძალიან დიდია, არამედ იმიტომ, რომ იგი ძალიან მცირეა ამ პირობების თვალსაზრისით. სხვანაირად რომ ვთქვათ: თუ საქმე დემოკრატიული რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე არ მივა, მემამულეთა მიწათმფლობელობის რაიმე დანგრევაზე, საუფლისწულო და სხვ. მიწების რაიმე კონფისკაციაზე, რაიმე მუნიციპალიზაციაზე და სხვ. სერიოზულად ლაპარაკიც კი შეუძლებელი იქნება. პირიქით, თუ საქმე დემოკრატიული რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე მივა, გადატრიალებას ა რ შ ე უ ძ ლ ი ა მიწების ნაწილის მარტო მუნიციპალიზაციით დაკმაყოფილდეს. გადატრიალება, რომელიც აღგვის მთელ მემამულურ მიწათმფლობელობას (ხოლო სწორედ ასეთს გადატრიალებას გულისხმობს როგორც მასლოვი, ისე ყველა ის, ვინც მემამულეთა მიწების დაყოფის ან კონფისკაციის მომხრეა), — ასეთი გადატრიალება მოითხოვს ისეთ რევოლუციურ ენერგიას და რევოლუციურ გაქანებას, რომელიც აღწევს ისტორიაში ჯერ გაუგონარ დონეს. ასეთი გადატრიალების შესაძლებლობის ვარაუდი მემამულური მიწათმფლობელობის კონფისკაციის გარეშე (მასლოვი პროგრამის თავის პროექტში ლაპარაკობს მხოლოდ «გასხვისებაზე» და არა კონფისკაციაზე), «ხალხში» მთელი მიწის ნაციონალიზაციის იდეის უაღრესად ფართოდ გაუვრცელებლად, დემოკრატიზმის პოლიტიკურად ყველაზე უფრო მოწინავე ფორმების შეუქმნელად, უაზრობის ვარაუდს ნიშნავს. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და საბოლოო ანგარიშით სავსებით ექვემდებარება საწარმოო ურთიერთობას. მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობის ძირითადი ღონისძიება წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი ფორმების ძირიანფესვიანად შეუცვლელად (ხოლო მოცემული ეკონომიური რეფორმის დროს ეს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიზმის მიმართულებით), წარმოუდგენელია უმისოდ, რომ «ხალხისა»

და გლეხთა აზრი, რომელიც მიწის კერძო საკუთრების უმსხვილესი ნაირსახეობის მოსპობას მოითხოვს, არ ილაშქრებდეს მიწის კერძო საკუთრების წინააღმდეგ საერთოდ. სხვანაირად რომ ვთქვათ: ისეთი გადამწყვეტი გადატრიალება, როგორიცაა მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობა, თავისთავად აუცილებლად წინსვლის უძლიერეს ბიძგს აძლევს მთელ საზოგადოებრივ, ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას. სოციალისტი, რომელიც დღის წესრიგში აყენებს ასეთი გადატრიალების საკითხს, აუცილებლად უნდა ჩაუკვირდეს ახალ, მისგან გამომდინარე, საკითხებსაც, მან ეს გადატრიალება უნდა განიხილოს არა მარტო მისი წარსულის, არამედ მისი მომავლის თვალსაზრისითაც.

აი სწორედ ამ მხრივ არის ამხ. მასლოვის პროექტი განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი. ეს პროექტი, ჯერ ერთი, არასწორად აყალიბებს იმ ლოზუნგებს, რომლებმაც ამჟამად, ახლავე და დაუყოვნებლივ უნდა გააღვივონ, გააძლიერონ, გაავრცელონ და «მოაწყონ» აგრარული რევოლუცია. ასეთი ლოზუნგები კი შეიძლება იყოს მხოლოდ მემამულეთა მთელი მიწის კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა და ამ მიზნით შექმნა უსათუოდ გ ლ ე ხ თ ა კ ო მ ი ტ ე ტ ებ ი ს ა, რომლებიც იქნებიან ადგილობრივი, ხალხთან დაახლოებული და ძლიერი რევოლუციური ხელისუფლების ორგანოების ერთადერთი მიზანშეწონილი ფორმა. მეორე, ეს პროექტი სწორი არ არის იმის გამო, რომ ზუსტად არ აღნიშნავს იმ პოლიტიკურ პირობებს, ურომლისოდაც «მუნიციპალიზაცია» არათუ აუცილებლად სასარგებლო ღონისძიება არ არის, არამედ უეჭველად საზიანოც არის პროლეტარიატისა და გლეხობისათვის, სახელდობრ, იგი «დემოკრატიული სახელმწიფოს» ცნების არავითარ ზუსტსა და ნათელ განმარტებას არ იძლევა. მესამე, ეს პროექტი, — და ეს ერთ-ერთი ყველაზე არსებითი და ყველაზე იშვიათად შემჩნეული მისი ნაკლია, — ახლანდელ აგრარულ გადატრიალებას არ განიხილავს მისი მომავლის თვალსაზრისით, არ აღნიშნავს ამ გადატრიალებიდან უშუალოდ გამომ-

დინარე ამოცანებს, ხასიათდება შეუსაბამობით იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ წანამძღვრებს შორის, რომლებზედაც აგებულია ეს პროექტი.

მართლაც, უფრო ყურადღებით ჩაუკვირდით ყველაზე ძლიერ (მესამე) საბუთს, რომლითაც შეიძლება მასლოვის პროექტის დაცვა. ეს საბუთი ამბობს: ნაციონალიზაცია გააძლიერებს ბურჟუაზიული სახელმწიფოს ძალაუფლებას, მაშინ როდესაც მუნიციპალური და საერთოდ ასეთი სახელმწიფოს ადგილობრივი ორგანოები უფრო დემოკრატიული არიან, მათ უზომო ტვირთად არ აწევთ არმიის ხარჯები, უშუალოდ არ ასრულებენ პროლეტარიატის პოლიციური ჩაგვრის ამოცანებს და სხვ. და ა. შ. ადვილად დასანახია, რომ ეს საბუთი გულისხმობს ა რ ა ს ა ვ ს ე ბ ი თ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ სახელმწიფოს, სახელდობრ ისეთს, სადაც სწორედ ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტს, ცენტრალურ ხელისუფლებას, შენარჩუნებული აქვს ყველაზე მეტი სიახლოვე ძველ სამხედრო-ბიუროკრატიულ წესწყობილებასთან, სადაც ადგილობრივი დაწესებულებანი, როგორც მეორეხარისხოვანნი და დაქვემდებარებულნი, ცენტრალურ დაწესებულებებზე უკეთესი, უფრო დემოკრატიული არიან, ე. ი. ეს საბუთი გულისხმობს ბ ო ლ ო მ დ ე მ ი უ უ ვ ა ნ ე ლ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ გ ა დ ა ტ რ ი ა ლ ე ბ ა ს. ეს საბუთი ჩ უ მ ა დ გულისხმობს რაღაც საშუალოს ალექსანდრე III ეპოქის რუსეთსა, როდესაც ერობანი ცენტრალურ დაწესებულებებზე უკეთესი იყვნენ, და იმ ეპოქის საფრანგეთს შორის, როდესაც იგი იყო «რესპუბლიკა ურესპუბლიკელებოდ», როდესაც რ ე ა ქ ც ი უ ლ მ ა ბურჟუაზიამ, პროლეტარიატის გაძლიერებით შეშინებულმა, შეჰქმნა ანტიდემოკრატიული «მონარქიული რესპუბლიკა» ისეთი ცენტრალური დაწესებულებებით, რომელნიც ადგილობრივზე ბევრად უარესი, უფრო ნაკლებად დემოკრატიული არიან და მილიტარიზმის, ბიუროკრატიზმის, პოლიციურობის სულით უფრო მეტად არიან გაჟღენთილი. მასლოვის პროექტი, არსებითად, ჩუმად გულისხმობს, რომ ჩვენი პოლიტიკური პროგ-

რამა-მინიმუმის მოთხოვნები სრულად არ არის განხორციელებული, რომ ხალხის თვითმპყრობელობა უზრუნველყოფილი არ არის, მუდმივი ჯარი არ მოსპობილა, მოხელეების არჩევითობა არ შემოღებულა და სხვ., — სხვანაირად რომ ვთქვათ: ჩვენი დემოკრატიული რევოლუცია ისევე არ მისულა ბოლომდე, როგორც ევროპის დემოკრატიული რევოლუციების უმეტესობა, ისევე შეკვეცილია, დამახინჯებულია, «უკანაა დაბრუნებული», როგორც ყველა ეს უკანასკნელნი. მასლოვის პროექტი სპეციალურად შეფარდებულია ორჭოფულ, არათანამიმდევარ, არასრულ ან რეაქციის მიერ შეკვეცილ და «უვნებელყოფილ» დემოკრატიულ გადატრიალებასთან *.

სწორედ ეს გარემოება ხდის მასლოვის პროექტს სრულიად ხელოვნურს, მექანიკურს, ამ სიტყვის ზემოხსენებული აზრით განუხორციელებელს, შინაგანად წინააღმდეგობრივსა და მერყევს, ბოლოს, ცალმხრივს (ვინაიდან გადასვლა დემოკრატიული გადატრიალებიდან მხოლოდ ანტიდემოკრატიულ ბურჟუაზიულ რეაქციაზეა ნაგულისხმევი და არა სოციალიზმისათვის პროლეტარიატის გამძაფრებულ ბრძოლაზე).

სრულიად შეუწყნარებელია ჩ უ მ ა დ ვარაუდობდე, რომ დემოკრატიული გადატრიალება ბოლომდე არ არის მიყვანილი, რომ ჩვენი პოლიტიკური პროგრამა-მინიმუმის ძირითადი მოთხოვნები განხორციელებული არ არის. ასეთი რამე ვალდებული ვართ არათუ მივჩქმალოთ, არამედ მთელი სიზუსტით აღვნიშნოთ. მასლოვს რომ სურვილი ჰქონოდა თავის პოზიციაზე მტკიცედ დგომისა, მას რომ სურვილი ჰქონოდა თავის პროექტში გაურკვევლობის, შინაგანი სიყალბის ყოველგვარი ელემენტის თავიდან აცილებისა, მაშინ მას უნდა ეთქვა: რადგან ის სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ ახლანდელი გადატრიალებიდან მივიღებთ, «ალბათ», ძალიან ნაკლებად

* კაუტსკი, რომელსაც მასლოვი იმოწმებს, განსაკუთრებით შენიშნავს თავის წიგნში «Agrarfrage» («აგრარული საკითხი». რ ე დ.), რომ ნაციონალიზაციას, რაც სისულელეა მეკლენბურგის პირობებში, სხვანაირი მნიშვნელობა ექნებოდა დემოკრატიულ ინგლისში ან ავსტრალიაშიო.

დემოკრატიული იქნება, უმჯობესია კი არ გავაძლიეროთ მისი ძალაუფლება ნაციონალიზაციით, არამედ დავჯერდეთ ეროვბიზაციას, ვინაიდან, «უ ნ დ ა ვ ი ფ ი ქ რ ო თ», ერობები უკეთესნი და უფრო დემოკრატიულნი იქნებიან, ვიდრე ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულებებიო. ასეთია და მხოლოდ ასეთი მასლოვის პროექტის ჩუმი წანამძღვარი. ამიტომ, როდესაც თავის პროექტში იგი ხმარობს გამოთქმას «დემოკრატიული სახელმწიფო» (მ. მე-3) და ისიც სრულიად უშენიშვნოდ, იგი უდიდეს ტყუილს ამბობს, თავისი თავიც პროლეტარიატიც და მთელი ხალხიც შეცდომაში შეჰყავს, ვინაიდან სინამდვილეში თავის პროექტს იგი «უფარდებს» სწორედ ა რ ა დემოკრატიულ სახელმწიფოს, რეაქციულ სახელმწიფოს, რომელიც წარმოიშვა ბოლომდე მიუყვანელი ან რეაქციის მიერ «წართმეული» დემოკრატიზმიდან.

რაკი ეს ასეა, — ეს კი უეჭველად ასეა, — ცხადი ხდება მასლოვის პროექტის მთელი ხელოვნურობა და «შეთხზულობა». მართლაც, თუ ვიკარაუდებთ სახელმწიფოს ისეთი ცენტრალური ხელისუფლებით, რომელიც უფრო რეაქციულია, ვიდრე ადგილობრივი ხელისუფლებანი, საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის მსგავს სახელმწიფოს ურესპუბლიკელებოდ, მაშინ პირდაპირ სასაცილოა იმის ფიქრი, თითქოს შესაძლებელი იყოს ასეთი სახელმწიფოს დროს მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობა, ანდა მის დროს რევოლუციური შეტევით განხორციელებული მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობის შენარჩუნება. ყოველ ა ს ე თ სახელმწიფოს დედამიწის იმ ნაწილში, რომელსაც ევროპა ეწოდება, იმ საუკუნეში, რომელსაც XX საუკუნე ჰქვია, კლასობრივი ბრძოლის ობიექტური ლოგიკის ძალით აუცილებლად უნდა დ ა ე წ ყ ო მემამულური მიწათმფლობელობის დ ა ც ვ ი თ ან მისი ა ღ დ გ ე ნ ი თ, თუ იგი ნაწილობრივ უკვე დანგრეულია. ყოველი ასეთი ნახევრად-დემოკრატიული, საქმით კი რეაქციული სახელმწიფოს მთელი აზრი, ობიექტური აზრი ხომ ის არის, რომ დაიცვას ბურჟუაზიულ-მემამულური და მოხელური ხე-

ლისუფლების ძირითადი საფუძვლები და გასწიროს მხოლოდ ყველაზე ნაკლებად არსებითი პროგროგატივები. ასეთ სახელმწიფოებში რეაქციული ცენტრალური ხელისუფლებისა და შედარებით «დემოკრატიული» ადგილობრივი დაწესებულებების, ერობების, მუნიციპალური სამმართველოებისა და სხვათა თანაარსებობა მარტოოდენ, მხოლოდ და მხოლოდ ხომ იმით აიხსნება, რომ ეს ადგილობრივი დაწესებულებანი გართულნი არიან ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის უვნებელი «პირისაბანთა მოკალვით», წყლის მომარაგებით, ელექტრონის ტრამვაებით და სხვა ღონისძიებებით, რომელთაც არ შეუძლიათ საფუძვლები გამოუთხარონ იმას, რასაც «არსებული საზოგადოებრივი წესწყობილება» ეწოდება. ბავშვური გულუბრყვილობა იქნებოდა ის დაკვირვებანი, რომლებიც მოუხდენიათ ერობათა საქმიანობაზე წყლის მომარაგებისა და განათების დარგში, გავავრცელოთ მათ შესაძლებელ «საქმიანობაზე» მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობის დარგში. ეს იმას ემგვანებოდა, რომ საფრანგეთის რომელიმე მიყრუებული კუთხის მთლად სოციალ-დემოკრატებისაგან არჩეულ საქალაქო საბჭოს განეზრახა მთელ საფრანგეთში მოეხდინა «მუნიციპალიზაცია» კერძო შენობებით დაკავებული მიწის კერძო საკუთრებისა. საქმეც სწორედ ის არის, რომ მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობის ღონისძიება თავისი ხასიათით ცოტა არ იყოს განსხვავდება წყლის მომარაგების, განათების, ასენიზაციისა და სხვათა გაუმჯობესების ზომებისაგან. საქმეც სწორედ ის არის, რომ პირველი «ღონისძიება» მეტად თავხედურად «ეხება» მთელი «არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების» ძირითად საფუძვლებს, გიგანტური ძალით არყევს და ძირს უთხრის ამ საფუძვლებს, უადვილებს პროლეტარიატს შეტევას მთელი ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ ისტორიაში გაუგონარი მასშტაბით. დიახ, აქ ყოველმა ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ უწინარეს ყოელისა და ყველაზე მეტად უნდა იზრუნოს ბურჟუაზიული ბატონობის საფუძველთა შე-

ნარჩუნებაზე: ყოველგვარ უფლებებს და პრივილეგიებს პირისაბანთა ავტონომიურად მოკალვის დარგში მყისვე მოსპობენ, მთელი მუნიციპალიზაცია ერთბაშად გაქრება, ადგილობრივ დაწესებულებებში დემოკრატიზმის ყოველგვარ ნასახს აღმოფხვრიან «დამსჯელი ექსპედიციებით», რაკი ბურჟუაზიულ-მემამულურ სახელმწიფოს ძირითად ინტერესებს შეეხებიან. გულუბრყვილო სახით იმის ვარაუდი, რომ რეაქციული ცენტრალური ხელისუფლების დროს შესაძლებელია მუნიციპალურ-დემოკრატიული ავტონომია და ამ «ავტონომიის» გავრცელება მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობაზე — ეს იმას ნიშნავს, რომ აშკარა აბდაუბდის ან უსაზღვრო პოლიტიკური გულუბრყვილობის უბადლო ნიმუშებს იძლეოდე.

IV. ჩვენი აგრარული პროგრამის ამოცანები

რსდმპ აგრარული პროგრამის საკითხი საგრძნობლად გამოიკვეთა, ჩვენ რომ გვეცადა და ეს პროგრამა გადმოგვეცა იმ მარტივი და ნათელი რჩევის სახით, რაც სოციალ-დემოკრატიამ უნდა მისცეს პროლეტარიატსა და გლეხობას დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში.

პირველი რჩევა აუცილებლად ასეთი იქნება: მთელი ძალონე მიმართეთ გლეხთა აჯანყების სრული გამარჯვებისაკენ. თუ ასეთი გამარჯვება ვერ მოვიპოვეთ, სერიოზულად ლაპარაკიც კი არ შეიძლება არც მემამულეთაგან «მიწის ჩამორთმევაზე», არც ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაზე. ხოლო გლეხების აჯანყებისაკენ მოწოდების ლოზუნგი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია (და არა გასხვისება საერთოდ ან ექსპროპრიაცია საერთოდ, რაც ჩრდილში სტოვებს გამოყიდვის საკითხს) და უსათუოდ კონფისკაცია გლეხთა კომიტეტების მიერ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

ყოველგვარი სხვა რჩევა (მათ შორის მასლოვის მიერ წამოყენებული «გასხვისების» ლოზუნგიც და მთელი მისი

მუნიციპალიზაციაც) არის მოწოდება საკითხის გადაწყვეტისაკენ არა აჯანყებით, არამედ მემამულეებთან მორიგებით, რეაქციულ ცენტრალურ ხელისუფლებასთან მორიგებით, არის მოწოდება საკითხის არა რევოლუციური, არამედ ბიუროკრატიული გზით გადაწყვეტისაკენ, ვინაიდან ყველაზე დემოკრატიული საოლქო და საერობო ორგანიზაციებიც კი არ შეიძლება ბიუროკრატიული არ იყვნენ გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებთან შედარებით, რომელნიც იქვე, ადგილობრივ, მყისვე უნდა გაუსწორდნენ მემამულეებს და ხელთ იგდონ ის უფლებები, რომლებსაც სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების სანქცია ესაჭიროებათ.

მეორე რჩევა აუცილებლად ასეთი იქნება: თუ სრულად არ გავატარებთ პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაციას, თუ არ დავამყარებთ რესპუბლიკას და საქმით არ უზრუნველვყოფთ ხალხის თვითმპყრობელობას, ისე ფიქრიც კი არ შეიძლება არც გლეხთა აჯანყების მონაპოვართა შენარჩუნებაზე, არც იმაზე, რომ რაიმე შემდგომი ნაბიჯი გადაიდგას წინ. ჩვენი ეს რჩევა მუშებისა და გლეხებისადმი განსაკუთრებით ნათლად და ზუსტად უნდა ჩამოვაყალიბოთ, რათა შეუძლებელი იყოს რაიმე ეჭვი, რაიმე ორაზროვნობა, რაიმე მიკიბ-მოკიბული განმარტება, რაიმე ჩუმი დაშვება ისეთი უაზრობისა, როგორიცაა შესაძლებლობა რეაქციული ცენტრალური ხელისუფლების არსებობის დროს მემამულეთა მიწათმფლობელობის მოსპობისა. ამიტომ, როცა გაძლიერებით წინ ვაყენებთ ჩვენს პოლიტიკურ რჩევას, გლეხს უნდა ვუთხრათ: მიწას რომ მიიღებ, წინ უნდა გასწიო, თორემ მემამულეები და მსხვილი ბურჟუაზია აუცილებლად დაგამარცხებენ და უკან გადაგისროლებენ. შეუძლებელია მიწა ჩაიგდო ხელში და შეინარჩუნო იგი ისე, თუ ახალი პოლიტიკური მონაპოვარნი არ გექნება, თუ ახალსა და კიდევ უფრო გადამჭრელ ლახვარს არ ჩასცემ მიწის მთელ კერძო საკუთრებას საერთოდ. პოლიტიკაში, ისევე როგორც მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუ წინ არ მიდიხარ — ეს იმას ნიშნავს, რომ

უკან იქნე გადასროლილი. ან ბურჟუაზია, გამაგრებული დემოკრატიული გადატრიალების შემდეგ (რაც ბუნებრივად ამაგრებს ბურჟუაზიას), წაართმევს ყველა მონაპოვარს როგორც მუშებს, ისე გლეხთა მასებს, — ანდა პროლეტარიატი და გლეხთა მასა გზას გაიკაფავენ წინ. ეს კი ნიშნავს — რესპუბლიკას და ხალხის სრულ თვითმპყრობელობას. ეს ნიშნავს: რესპუბლიკის მოპოვების პირობებში მთელი მიწის ნაციონალიზაციას, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების შესაძლებელ მაქსიმუმს, როგორც ბუნებრივსა და აუცილებელ წინგადადგმულ ნაბიჯს ბურჟუაზიული დემოკრატიზმის გამარჯვებიდან სოციალიზმისათვის ნამდვილი ბრძოლის დაწყებისაკენ.

მესამე და უკანასკნელი რჩევა: დაირაზმენით ცალკე, ქალაქისა და სოფლის პროლეტარებო და ნახევრადპროლეტარებო. ნუ ენდობით ნურავითარ მეპატრონეებს, თუნდაც წვრილ, თუნდაც «მშრომელ» მეპატრონეებს. ნუ მოიტყუებთ თავს წვრილი მეურნეობით, როცა შენარჩუნებულია სასაქონლო წარმოება. რაც უფრო ახლოვდება გლეხთა აჯანყების გამარჯვება, მით უფრო ახლოა გლეხ-მეპატრონეთა მობრუნება პროლეტარიატის წინააღმდეგ, მით უფრო საჭიროა დამოუკიდებელი პროლეტარული ორგანიზაცია, მით უფრო ენერგიულად, შეუპოვრად, გადაჭრით და ხმამაღლა უნდა მოვუწოდებდეთ სრული სოციალისტური გადატრიალებისაკენ. ჩვენ ბოლომდე მხარს ვუჭერთ გლეხთა მოძრაობას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის სხვა კლასის მოძრაობა, ა რ ა ი მ ი ს ი, რომელსაც შეუძლია მოახდინოს და მოახდენს კიდევაც სოციალისტურ გადატრიალებას. ამიტომ ჩვენ განზე ვტოვებთ საკითხს, რა ვუყოთ მიწას მისი, როგორც მეურნეობის ობიექტის, დაყოფის მხრივ, — ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლიათ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და გადაწყვეტენ კიდევაც მხოლოდ მეპატრონეები და წვრილი მეპატრონენი. ჩვენ კი დიდად (ხოლო გლეხთა აჯანყების გამარჯვების შემდეგ თითქმის განსაკუთრებით) გვაინტერესებს საკითხი: რა

ჰქნას სოფლის პროლეტარიატმა? ჩვენ ვმუშაობთ და ვიმუშავებთ, უმთავრესად, ამ საკითხზე, ხოლო წვრილი ბურჟუის იდეოლოგებს დავუთმობთ შეთხზან მიწათსარგებლობის გათანაბრება, და სხვა ამდაგვარი რამეები. ჩვენ ამ საკითხზე, ახალი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რუსეთის ძირითად საკითხზე ვუპასუხებთ: სოფლის პროლეტარიატი დამოუკიდებლად უნდა დაირაზმოს ქალაქის პროლეტარიატთან ერთად სრული სოციალისტური გადატრიალებისათვის საბრძოლველად.

მაშასადამე, ჩვენს აგრარულ პროგრამაში უნდა იყოს სამი ძირითადი ნაწილი: ჯერ ერთი, მემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ გლეხთა უაღრესად გადამწყვეტი რევოლუციური შეტევისაკენ მოწოდების ფორმულირება; მეორე, იმ შემდგომ ნაბიჯზე ზუსტად მითითება, რომელიც შეუძლია გადადგას და უნდა გადადგას კიდევაც მოძრაობამ გლეხების მონაპოვართა განსამტკიცებლად და დემოკრატიის გამარჯვებიდან სოციალიზმისათვის პროლეტარიატის უშუალო ბრძოლაზე გადასასვლელად; მესამე, პარტიის იმ კლასობრივი პროლეტარული ამოცანების აღნიშვნა, რომლებიც მით უფრო გადაჭრით გვიახლოვდებიან და მით უფრო შეუპოვრად მოითხოვენ ნათლად იქნან ისინი დაყენებული, რაც უფრო ახლოა გლეხთა აჯანყების გამარჯვება.

მასლოვის პროგრამა ვერ წყვეტს ვერც ერთ იმ ძირითად ამოცანას, რომლებიც ახლა რსდმ პარტიამ უნდა გადაწყვიტოს: ეს პროგრამა არ იძლევა ისეთ ლოზუნგს, რომელიც ახლავე, დაუყოვნებლივ, უაღრესად ანტიდემოკრატიული სახელმწიფოს ეპოქაშივე წარმართავს გლეხთა აჯანყებას გამარჯვებისაკენ, — ეს პროგრამა არ იძლევა იმ პოლიტიკურ გარდაქმნათა ზუსტ განსაზღვრას, რომლებიც აუცილებელია აგრარულ გარდაქმნათა დამთავრებისა და განმტკიცებისათვის, — იგი არ მიგვითითებს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც აუცილებელია მიწის რეფორმის დარგში უაღრესად სრული და თანამიმდევარი დემოკრატიზმის პირობებში, — იგი არ

იძლევა ჩვენი პარტიის პროლეტარული პოზიციის დახასიათებას ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნის მიმართ. ეს პროგრამა არ განსაზღვრავს არც «პირველი ნაბიჯის» პირობებს, არც «მეორე ნაბიჯის» ამოცანებს, არამედ ყველაფერს ერთმანეთში ურევს ერთ გროვად, დაწყებული საუფლისწულო მიწების გადაცემით არარსებული «დემოკრატიული სახელმწიფოს» ხელში და შემდეგ მემამულეთა მიწების გადაცემით დემოკრატიული მუნიციპალიტეტების ხელში იმის შიშით, ვაი თუ ცენტრალური ხელისუფლება არადემოკრატიული ხასიათისა იყოსო! ამ პროგრამას, არარევოლუციურს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობით ახლანდელ მომენტში, აგებულს ნახევრადრეაქციულ ცენტრალურ ხელისუფლებასთან სრულიად ხელოვნური და სრულიად დაუჯერებელი მორიგების ვარაუდზე, არ შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა პარტიას რუსეთში დემოკრატიული გადატრიალების განვითარების არც ერთი შესაძლებელი და წარმოსადგენი გზის დროს.

ვაჯამებთ: ერთადერთი სწორი პროგრამა დემოკრატიული გადატრიალების პირობის დროს ასეთი იქნება: მემამულეთა მიწების კონფისკაცია და გლეხთა კომიტეტების * დაარსება დაუყოვნებლივ უნდა მოვითხოვოთ და ამ მოთხოვნას არ უნდა დავურთოთ არავითარი შემზღუდველი შენიშვნები. ასეთი

* «იქსისა» არ იყოს, მასლოვი «წინააღმდეგობას ხედავს იმაში, რომ ჩვენ მოვითხოვთ წოდებათა მოსპობას და გლეხთა, ე. ი. წოდებრივი კომიტეტების დაარსებას. ნამდვილად აქ მხოლოდ მოჩვენებითი წინააღმდეგობაა: წოდებათა მოსასპობად საჭიროა დაბალი, დაჩაგრული წოდების «დიქტატურა», — სწორედ ისევე, როგორც საერთოდ კლასებისა და მათ შორის პროლეტართა კლასის მოსასპობად საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურა. მთელი ჩვენი აგრარული პროგრამა მიზნად ისახავს ბატონყმური და წოდებრივი ტრადიციების მოსპობას აგრარულ ურთიერთობათა სფეროში, ხოლო ასეთი მოსპობისთვის შეიძლება მივმართოთ მარტოდმარტო დაბალ წოდებას, ბატონყმური წესწყობილების ამ ნაშთებით დაჩაგრულთ». ლენინი. «პასუხი იქსს», გვ. 29 (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 547. რ ე დ.).

მოთხოვნა რევოლუციური და ხელსაყრელია როგორც პროლეტარიატის, ისე გლეხობის თვალსაზრისით ყოველგვარ, თუნდაც უცუდეს პირობებშიც. ამნაირ მოთხოვნას აუცილებლად მოჰყვება პოლიციური სახელმწიფოს კრახი და დემოკრატიზმის გაძლიერება.

მაგრამ კონფისკაციით დაკმაყოფილება შეუძლებელია. დემოკრატიული რევოლუციისა და გლეხთა აჯანყების ეპოქაში ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია უსათუოდ უარვყოთ მიწის ნაციონალიზაცია. მხოლოდ აუცილებელია ეს მოთხოვნა შევაპირობოთ ისეთი განსაზღვრული პოლიტიკური წესწყობილების სავსებით ზუსტი აღნიშვნით, ურომლისოდაც ნაციონალიზაცია ზიანს მიაყენებდა პროლეტარიატსა და გლეხობას.

ასეთი პროგრამა სრული და მთლიანი იქნება. იგი მოგვცემს იმის უეჭველ მაქსიმუმს, რაც კი საერთოდ წარმოსადგენია ყოველგვარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების დროს. იგი ხელებს არ შეუბოჭავს სოციალ-დემოკრატიას, რადგან შესაძლებლად თვლის დაყოფასაც და ნაციონალიზაციასაც სხვადასხვა პოლიტიკურ კონიუნქტურის მიხედვით. იგი არავითარ შემთხვევაში უთანხმოებას არ ჩამოაგდებს გლეხობასა და პროლეტარიატს შორის, როგორც დემოკრატიზმისათვის მებრძოლთა შორის *. იგი ახლავე და დაუყოვნებლივ, პოლიციურ თვითმპყრობელური პოლიტიკური წესწყობილების დროს, წამოაყენებს უეჭველად რევოლუციურ და ამ წესწყობილების გამარევოლუციურებელ ლოზუნგებს, იგი ამასთანავე სხვა მოთხოვნებსაც წამოაყენებს იმ პირობით, რომ დემოკრატიული რევოლუცია სავსებით

* რათა უკუვაგდოთ ყოველგვარი აზრი, თითქოს მუშათა პარტიას სურს თავს მოახვიოს გლეხობას რეფორმების რაიმე პროექტები გლეხობის ნების მიუხედავად, მიუხედავად გლეხობის შიგნით არსებული დამოუკიდებელი მოძრაობისა, — პროგრამის პროექტს ერთვის **ვარიანტი ა**, სადაც, ნაციონალიზაციის პირდაპირი მოთხოვნის მაგივრად, ლაპარაკია ჯერ იმაზე, რომ პარტია მხარს დაუჭერს რევოლუციური გლეხობის მისწრაფებას მიწის კერძო საკუთრების მოსპობისაკენ.

გაიმარჯვებს, ე. ი. საქმის ისეთი ვითარების პირობით, როდესაც დემოკრატიული გადატრიალების დამთავრება ახალ პერსპექტივებსა და ახალ ამოცანებს გადაგვიშლის.

პროგრამაში აუცილებლად საჭიროა მთელ დემოკრატიულ აგრარულ გადატრიალებაში ჩვენი განსაკუთრებული პროლეტარული პოზიციის ზუსტად აღნიშვნა. არ უნდა მოვერიდოთ იმას, რომ ასეთი აღნიშვნის ადგილი ტაქტიკურ რეზოლუციაშია, ან იმას, რომ ეს არის პროგრამის ზოგადი ნაწილის განმეორება.

ჩვენი პოზიციის ნათელსაყოფად და მასების წინაშე მის გასარკვევად ღირს დავთმოთ მწყობრი სქემა თემების დაყოფისა საპროგრამო და ტაქტიკურ ნაწილებად.

და ჩვენც ვადგენთ აგრარული პროგრამის სათანადო პროექტს, შემუშავებულს «აგრარული კომისიის» უმრავლესობის მიერ («აგრარული კომისია» დანიშნა რსდმპ გაერთიანებულმა ცენტრალურმა კომიტეტმა ახალი აგრარული პროგრამის პროექტის შესადგენად).

V. აგრარული პროგრამის პროექტი

იმ მიზნით, რომ მოისპოს ბატონყმური წესწყობილების ნაშთები, რომლებიც მძიმე ლოდად აწევთ უშუალოდ გლეხებს, და სოფლად თავისუფლად განვითარდეს კლასობრივი ბრძოლა, პარტია მოითხოვს:

1) ყველა საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო, სახელმწიფო, საკაბინეტო და მემამულეთა მიწის კონფისკაციას;

2) გლეხთა კომიტეტების დაარსებას მემამულეთა ძალაუფლებისა და მემამულეთა პრივილეგიების ყოველგვარი კვალის დაუყოვნებლივ მოსპობისა და ჩამორთმეული მიწების ფაქტიური გამგებლობისათვის, სანამ საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება ახალ მიწათმოწყობის საქმეს მოაწესრიგებდეს;

3) ყველა იმ გადასახადისა და ბეგრის გაუქმებას, რომლებიც ამჟამად გლეხობას ეკისრება, როგორც მოხარკე წოდებას;

4) ყველა იმ კანონის გაუქმებას, რომლებიც ზღუდავენ გლეხს თავისი მიწის გამგებლობის საქმეში;

5) არჩეული სახალხო სასამართლოებისათვის უფლების მინიჭებას — შეამცირონ უზომოდ დიდი საიჯარო ქირა და გაბათილებულად გამოაცხადონ კაბალური ხასიათის გარიგებანი.

ხოლო თუ თანამედროვე რევოლუციის გადაჭრით გამარჯვება რუსეთში სავსებით უზრუნველჰყოფს ხალხის თვითმპყრობელობას, ე. ი. შეჰქმნის რესპუბლიკას და სავსებით დემოკრატიულ სახელმწიფო წყობილებას, პარტია შეეცდება მიაღწიოს* მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას, და მთელი მიწის მთელი ხალხის საერთო საკუთრებად გადაცემას.

ამასთან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ყოველგვარ შემთხვევაში და დემოკრატიულ აგრარულ გარდაქმნათა ყოველგვარი მდგომარეობის დროს თავის ამოცანად ისახავს განუხრელად ისწრაფოდეს იმისაკენ, რომ დამოუკიდებელ კლასობრივ ორგანიზაციად დარაზმოს სოფლის პროლეტარიატი, განუმარტოს მას გლეხური ბურჟუაზიის ინტერესებისა და მისი ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობა, გააფრთხილოს იგი ნუ მოიხიბლება წვრილი მეურნეობის სისტემით, რომელსაც არასოდეს, სასაქონლო წარმოების არსებობის დროს, არ ძალუძს მოსპოს მასების სიღატაკე, და, ბოლოს, მიუთითოს სრული სოციალისტური გადატრიალების აუცილებლობაზე, როგორც ყოველგვარი სიღატაკისა და ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობის ერთადერთ საშუალებაზე.

---

* ვარიანტი ა.

...პარტია ცდილობს დაუჭერს რევოლუციური ვლეხობის მისწრაფებას მიწის კერძო საკუთრების გაუქმებისაკენ და მოითხოვს მთელი მიწა ვადავიღეს სახელმწიფოს საკუთრებად.

წინასიტყვაობა რუსულ ენაზე გამოცემული ბროშურისა: «კ. კაუტსკი. აღარ არსებობს სოციალ-დემოკრატია!»

ბროშურა, რომლის რუსულ თარგმანს მკითხველს ვუდგენთ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი დიდად გამოჩენილი წარმომადგენლის კალამს ეკუთვნის. ამ ბროშურის ავტორმა ბევრად უფრო მეტის მოცემა შესძლო, ვიდრე მოსალოდნელი იყო, თუ მისი აღებული თემის მიხედვით განვსჯით. მეფაბრიკეთა არაკეთილსინდისიერი მსახურის ბ-ნ ბიურგერის ყალბ მტკიცებათა უბრალო უარყოფის მაგივრად ჩვენ გვაქვს არა მარტო გერმანიის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ყველაზე ძირითადი საკითხების შესანიშნავად ცხადი და ყველასათვის მისაწვდომი გადმოცემა. წვრილი წარმოების დაცემა, ხალხის გაღატაკება ყველგან ხდება. ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და სწავლულები ოფლში იწურებიან, მსგავსად ბ-ნ ბიურგერისა, რათა მიჩქმალონ ეს მოვლენები. ამიტომ ამგვარ ვაჟბატონთა ჩვეულებრივი საბუთების სისტემატურ განხილვას მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ბროშურის ავტორს თითქმის მხოლოდ და მხოლოდ გერმანულ მონაცემებთან აქვს საქმე. სასურველია ზოგიერთ საკითხში ეს მონაცემები სათანადო რუსული მონაცემებით შეივსოს. ამას, ალბათ, შეეცდებიან ბროშურის გამომცემლები, თუ კი ეს ბროშურა ისე ფართოდ გავრცელდება, რისი ღირსიც იგი სავსებით არის. მხოლოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ გერმანულთან შედარებით რუსეთის სამრეწველო და სასოფლო-

სამეურნეო სტატისტიკა ყოვლად უმწეო მდგომარეობაშია. გერმანიის მიმართ არსებობს შესაძლებლობა ერთმანეთს შევადაროთ მონაცემები იმ ორი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო აღწერისა, რაც მთელს გერმანიაში სხვადასხვა დროს არის ჩატარებული. რუსეთში არც ერთი ასეთი აღწერა არ ყოფილა, და, გარდა საერობო სტატისტიკისა, რომელმაც ევროპულად გამოიკვლია სახალხო მეურნეობის პატარა ცალკეული კუთხეები, ჩვენ გვაქვს მხოლოდ სხვადასხვა «უწყებათა» ცრუ, უთავბოლო, კანცელარიულად არეული სტატისტიკა, რომელიც უფრო პოლიციური თავდაძვრენის სახელწოდების ღირსია.

რუსეთის ბიუროკრატია ხელს უშლის რუს ხალხს გაიგოს მთელი სიმართლე თავისი მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ყოველი განათლებული რუსი მკითხველი ადვილად მოიგონებს ჩვენი ლიტერატურიდან ასობითა და ათასობით ისეთ მაგალითებს გლეხთა მეურნეობის მდგომარეობის, შინასამრეწველო სარეწების, საფაბრიკო ყოფაცხოვრების შესახებ,— რომლებიც სავსებით ადასტურებენ ბროშურის ავტორის დასკვნებს. ყოველი რუსი მუშა და გლეხი ადვილად შეამჩნევს, რომ ბროშურაში აღწერილი ხალხის გაღატაკება კიდევ უფრო ფართო მასშტაბით, კიდევ უფრო მწვავე სახით, კიდევ უფრო უხეში ფორმებით ხდება რუსეთში.

ნ. ლ ე ნ ი ნ

1906 წლის მარტი.

დაიბეჭდა 1906 წ. მარტ — აპრილს ბროშურაში: «კ. კაუტსკი. აღარ არსებობს სოციალ-დემოკრატიას»

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები

დ. წერილია 1906 წ. 24 — 28 მარტს
(6 -- 10 აპრილს).

დაიბეჭდა ცალკე ბროშურად
1906 წ. აპრილს.
«ნაშა ჟისნის» გამოსცემლობა

იბეჭდება ბროშურის **ტექსტის**
მიხედვით

I

რა ობიექტური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს მონაწილეობას სათათბიროს არჩევნებში?

კადეტების გამარჯვებამ თავბრუ დაასხა ჩვენებურ ლიბერალურ პრესას. საარჩევნო კამპანიაში კადეტებმა თავის ირგვლივ გააერთიანეს ყველა ან თითქმის ყველა ლიბერალი. გაზეთები, რომელნიც მანამდე კადეტების პარტიას არ ეკუთვნოდნენ, ფაქტიურად ამ პარტიის ორგანოებად იქცნენ. ლიბერალური პრესა ზეიმობს. ყოველი მხრიდან გამარჯვების ყიჟინი და მთავრობის მიმართ მუქარა ისმის. ამ ყიჟინს — ეს ფრიად დამახასიათებელი გარემოებაა, — მუდამ უერთდება ხან ნიშნის მომგები, ხან კი შემწყნარებელი გამოსვლები სოციალ-დემოკრატების მიმართ.

— დახეთ, რა შეცდომა ჩაიდინეთ, როცა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეთ! ახლა ხომ ხედავთ? ახლა ხომ აღიარებთ შეცდომას? ახლა ხომ აფასებთ ბრძენი და შორსმჭვრეტელი პლეხანოვის რჩევას? — ასეთი და ამის მსგავსი სიტყვები მოისმის უსაზღვროდ გახარებული ლიბერალური პრესის ფურცლებიდან. პლეხანოვზე შესანიშნავად მართებულად თქვა ამბ. სტეპანოვმა (კრებული: «მიმდინარე მომენტი», სტატია «შორიდან»), მას ბერნშტეინის მსგავსი რაღაც შეემთხვაო. და ისე როგორც თავის დროზე ბერნშტეინს ელოლიავებოდნენ გერმანელი ლიბერალები და იგი ცამდე აჰყავდა ყველა «პროგრესულ» ბურჟუაზიულ გაზეთს, ასევე ახლა რუსეთში არ მოიპოვება არც ერთი ლიბერალური გაზეთი, ლიბერალური საგაზეთო სტატიაც კი («ს ლ ო ვ ო ს» ჩათვლით, დიახ, დიახ, ოქტიაბრისტული «ს ლ ო ვ ო ს» ჩათვლით!),

რომლებიც არ ეკონებოდნენ, არ ჰკოცნიდნენ, არ ეფერებოდნენ ბრძენ და შორსმჭვრეტელ, გონიერ და ფხიზელ პლეხანოვს, რომელმაც გამბედაობა გამოიჩინა და ბოიკოტის წინააღმდეგ გაილაშქრა.

მაშ ვნახოთ, რა დაამტკიცა კადეტთა გამარჯვებამ. ვისი შეცდომა გამოამჟღავნა მან? რომელი ტაქტიკის უნაყოფობა ამხილა?

პლეხანოვი, სტრუვე და კომპ. ჩაგვჩიჩინებენ, ბოიკოტი შეცდომა იყო. რატომ ფიქრობენ ასე კადეტები, ეს სავსებით ცხადია. მათი წინადადება მოსკოვიდან სათათბიროში ერთი მუშის გაყვანის შესახებ (იხ. «ნაშა ჟიზნ» 23 მარტის თარიღით) ცხადჰყოფს, რომ კადეტებმა იციან მუშების დახმარების დაფასება, რომ ისინი ეძებენ სოციალ-დემოკრატებთან მორიგებას თავისი გამარჯვების დამთავრებისა და განმტკიცების მიზნით, რომ ისინი ასეთ გარიგებას სდებენ უპარტიო მუშებთან ისევე, როგორც დასდებდნენ მას ს.-დ. პარტიასთან. კადეტებს რომ სძაგთ ბოიკოტი, როგორც უარისთქმა მათთვის, კადეტებისათვის, მხარის დაჭერაზე, როგორც «მემარცხენეთა» უარისთქმა მათთან, კადეტებთან, მორიგებაზე, — ეს სრულიად ბუნებრივია.

მაგრამ რა სურს პლეხანოვს და მის მომხრე (ნაწილობრივ შეგნებულად, ნაწილობრივ შეუგნებლად) მენშევიკებს, ან ჩვენს რუს ს.-დ. ანტიბოიკოტისტებს? აფსუს, აფსუს! პლეხანოვი მათში ყველაზე გაბედულად, ყველაზე თანამიმდევრად, ყველაზე თავისუფლად და ნათლად გადმოსცემს თავის შეხედულებებს, — და თავისი მეხუთე «დნევნიკით» * იგი კიდევ და კიდევ ცხადჰყოფს, რომ მ ა ნ თ ვ ი თ ო ნ ა ც ა რ ი ც ი ს, რ ა ს უ რ ს. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მივიღოთო, — გაჰყვირის იგი. რისთვის? იმ რევოლუციური თვითმმართველობის მოსაწყობად, რომელსაც მენშევიკები ქადაგებენ? თუ იმისთვის, რომ სათათბიროში წავიდეთ?

* «დნევნიკ სოციალ-დემოკრატა» № 5.

პლეხანოვი წრიალებს, წაჯექ-უკუჯექობს, მლიქვნელობს, სოფიზმებით თავს არიდებს ამ მარტივ, პირდაპირ და ნათელ კითხვებს. პლეხანოვი თვეობით გაჩუმებული იყო, როდესაც მენშევიკები ჯერ კიდევ «ისკრის» ფურცლებზე რევოლუციურ თვითმმართველობას ჰქადაგებდნენ (და როდესაც იგი უყოყმანოდ აცხადებდა მენშევიკურ ტაქტიკას თანავუგრძნობ), ახლა კი იგი უცბად უაღრესად აბუჩადამგდებ ფრაზას ისვრის მენშევიკების ამ «განთქმული რევოლუციური თვითმმართველობის» წინააღმდეგ. რატომ და რით არის იგი განთქმული, ამხანაგო პლეხანოვო? მის «განთქმულობას» ხომ არ უწყობდნენ ხელს სწორედ ის ბოლშევიკები, რომელთა წინააღმდეგაც ახლა პლეხანოვს სურს ომი გააჩაღოს და რომელნიც დიდი ხანია აღნიშნავდნენ ამ ლოზუნგის უკმარისობას, გაურკვევლობას და ორჭოფობას?

პასუხი არ არის. პლეხანოვი არაფერს არ განმარტავს. იგი მხოლოდ ორაკულის ფრაზებს ისვრის და საკითხს გვერდს უვლის. ამასთან ორაკულსა და პლეხანოვს შორის ის განსხვავებაა, რომ ორაკული მოვლენებს წინასწარმეტყველებს, ხოლო პლეხანოვი თავის განაჩენს წარმოთქვამს მოვლენათა განვლის შემდეგ, ვახშმის შემდეგ გვაწოდებს მდოგვს. როდესაც მენშევიკები ოქტომბრის რევოლუციამდე, დეკემბრის აჯანყებამდე ლაპარაკობდნენ «რევოლუციურ თვითმმართველობაზე», ლაპარაკობდნენ რევოლუციური აღმავლობის დაწყებამდე, მაშინ პლეხანოვი სდუმდა, მაგრამ იწონებდა მენშევიკების ტაქტიკას საერთოდ, სდუმდა, თითქოს მოლოდინში იყო, თითქოს საგონებელში იყო ჩავარდნილი და ვერ გაებედნა რაოდენადმე გარკვეული აზრი შეედგინა. როდესაც რევოლუციური ტალღა მიწყნარდა, როდესაც «თავისუფლების დღეებმა» და აჯანყების დღეებმა განვლეს, როდესაც ასპარეზიდან გაჰქრნენ მუშათა, ჯარისკაცთა, რკინიგზელთა და სხვ. დეპუტატების სხვადასხვა საბჭოები (საბჭოები, რომლებიც მენშევიკებს რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოე-

ბად ეჩვენებოდათ, ხოლო ბოლშევიკები მათ თვლიდნენ რევოლუციური ძალაუფლების, ჩანასახ, დაქსაქსულ, სტიქიურ და ამიტომ უძლურ ორგანოებად), — ერთი სიტყვით, როდესაც საკითხს სიმწვავე დაეკარგა, როდესაც ვახშამი უკვე შეჭმული იყო, მაშინ ჩნდება პლეხანოვი თავისი მდოგვით, მაშინ იჩენს იგი თავის, ბატონ სტრუვესა და კომპანიისთვის მოსაწონ, სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობას... გუშინდელი დღის შესახებ.

თუ რატომ არის ამხ. პლეხანოვი უკმაყოფილო რევოლუციური თვითმმართველობით, ეს გაურკვეველი რჩება. პლეხანოვი ახლა ეთანხმება ბოლშევიკებს იმაზე, რომ რევოლუციური თვითმმართველობა ბევრს «თავგზას უბნევსო» («დნევნიკ» № 5), მაგრამ ყველაფერი გვიჩვენებს, რომ ასეთი ლოზუნგი პლეხანოვს მეტისმეტად დიდად ეჩვენება, ხოლო ბოლშევიკებს იგი მეტისმეტად მცირედ მიაჩნიათ. პლეხანოვს ჰგონია, რომ ეს ლოზუნგი ძალიან შორს მიდის, ჩვენ კი გვგონია, რომ იგი საკმარისად შორს ვერ მიდის. პლეხანოვი იქითკენ იხრება, რომ მენშევიკები «რევოლუციური თვითმმართველობისაგან» უკან მოვაბრუნოთ, სათათბიროში ფხიზელი და საქმიანი მუშაობისათვის. ჩვენ კი იქითკენ ვიხრებით, — და არათუ ვიხრებით, არამედ შეგნებულად და ცხადად მოვუწოდებთ იმისაკენ, — რომ რევოლუციური თვითმმართველობიდან ნაბიჯი გადავდგათ წინ, აჯანყების მთლიანი, გეგმაშეწონილი, შეტევითი ორგანოების, რევოლუციური ძალაუფლების ორგანოების აუცილებლობის აღიარებისაკენ. პლეხანოვი პრაქტიკულად დღის წესრიგიდან ხსნის აჯანყების ლოზუნგს (თუმცა ამის პირდაპირ და გარკვეულად თქმას ვერ ბედავს); — სრულიად ბუნებრივია, რომ იგი უკუაგდებს რევოლუციური თვითმმართველობის ლოზუნგსაც, თვითმმართველობისა, რომელიც უაჯანყებოდ და აჯანყების ვითარების გარეშე სასაცილო და მავნებელი თამაში იქნებოდა. პლეხანოვი თავის თანამოაზრეებზე — მენშევიკებზე ცოტა უფრო თანამიმდევარია.

ამრიგად, რისთვისღა უნდა მივიღოთ მონაწილეობა და როგორ მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში, ამხანაგო პლეხანოვო? არა რევოლუციური თვითმმართველობისათვის, რომელიც მხოლოდ «თავგზას გვიბნევს». მაშასადამე, სათათბიროში მონაწილეობისათვის? — მაგრამ აქ პლეხანოვს ორ-კეცი გაუბედაობა იპყრობს. მას არა სურს უპასუხოს, მაგრამ რადგან რუსეთიდან ჩამოსულ ამხანაგებს n + 1 სურთ არა მარტო «გადაათვალიერონ» «მომწერლო» მწერლის დღიურები, არამედ რამენაირად გარკვეულად იმოქმედონ მუშათა მასაში, რადგან ეს მომაბეზრებელი n + 1 კორესპონდენტები მისგან ზუსტ პასუხს მოითხოვენ, პლეხანოვი ბრაზდება. ძნელად წარმოსადგენია იმაზე მეტად უმწეო და იმაზე მეტად კურიოზული რამ, ვიდრე მისი ბრაზიანი განცხადება, რომ პედანტობა, სქემატიზმი და სხვ. იქნებოდა ამომრჩეველთაგან მოგვეთხოვა იმის ცოდნა, თუ სად და რისთვის ირჩევენ ისინიო. მოწყალება მოიღეთ, ამხ. პლეხანოვო! თქვენ ხომ პირდაპირ დაგცინებენ თქვენი მეგობარი კადეტებიც და ჩვენი მუშებიც, თქვენ რომ მასის წინაშე სერიოზულად დაიწყოთ დაცვა ამ მშვენიერი პროგრამისა: მონაწილეობა მიიღეთ არჩევნებში, აირჩიეთ, მაგრამ ნუ იკითხავთ, სად და რისთვის ირჩევთო. აირჩიეთ სათათბიროს საარჩევნო კანონის მიხედვით, მაგრამ არ გაბედოთ იმის ფიქრი (ეს პედანტობა და სქემატიზმი იქნებოდა), რომ სათათბიროში ირჩევთო.

რატომ აებნა გზა-კვალი ასე აშკარად ამხ. პლეხანოვს, რომელსაც ოდესღაც ეხერხებოდა ნათლად წერა და ზუსტი პასუხის გაცემა? იმიტომ, რომ მან სწორად ვერ შეაფასა დეკემბრის აჯანყება და მიმდინარე პოლიტიკურ მომენტზე ძირეულად შემცდარი აზრი შეიმუშავა. იგი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომელიც მას აიძულებს ეშინოდეს იმისა, რომ ბოლომდე მოიფიქროს თავისი აზრები, ეშინოდეს სინამდვილისათვის თვალის გასწორებისა.

ახლა კი, «სათათბიროს კამპანიის» შეუფერადებელი სინამდვილე უკვე საკმაოდ ნათლად გამოისახა. ახლა უკვე

ფაქტებმა უპასუხეს იმ კითხვაზე, თუ რა ობიექტური მნიშვნელობა აქვს არჩევნებს და მათში მონაწილეობას, მიუხედავად თვით მონაწილეთა ნების, შეგნების, სიტყვებისა და დაპირებებისა. მენშევიკებს შორის ყველაზე გამბედავს, ამხ. პლეხანოვს, სწორედ იმიტომ ეშინია აშკარად მხარი დაუჭიროს სათათბიროში მონაწილეობას, რომ ამ მონაწილეობამ უკვე გამოააშკარავა თავისი ხასიათი. არჩევნებში მონაწილეობა ნიშნავს ან კადეტებისათვის მხარის დაჭერას და მათთან მორიგებას, ანდა არჩევნობის თამაშს. ამ დებულების სიმართლე ახლა თვით ცხოვრებამ დაამტკიცა. პლეხანოვი «დნევნიკის» მეხუთე ნომერში იძულებული იყო ეღიარებინა ამ მსჯელობის მეორე ნახევრის სისწორე, ეღიარებინა უაზრობა ლოზუნგისა: «რევოლუციური თვითმმართველობა». «დნევნიკის» მეექვსე ნომერში პლეხანოვი, თუ იგი საქმის არსებითად განხილვას თავს არ აარიდებს, იძულებული იქნება პირველი ნახევარიც აღიაროს.

პოლიტიკურმა სინამდვილემ საბოლოოდ ჩაშალა მენშევიკების ტაქტიკა, ის ტაქტიკა, რომელსაც ისინი იცავდნენ თავიანთ «პლატფორმაში» (ჰექტოგრაფირებული ფურცელი, სადაც მოხსენებულია მარტოვისა და დანის სახელები, გამოცემული ს.-პეტერბურგში 1905 წლის დამლევს თუ 1906 წლის დამდეგს) და თავიანთ ნაბეჭდ განცხადებებში (გაერთ. ც. კ.-ის ფურცელი, სადაც ორივე ტაქტიკაა გადმოცემული, დანის სტატია ცნობილ ბროშურაში). ეს იყო ტაქტიკა არჩევნებში მონაწილეობისა არა სათათბიროს არჩევნებისათვის. სათათბიროში მონაწილეობაზე, ვიმეორებთ, არც ერთ ასე თუ ისე გამოჩენილ მენშევიკს პრესაში კრინტის დაძვრაც კი არ გაუბედნია. და აი სწორედ ეს «წმინდა» მენშევიკური ტაქტიკა საბოლოოდ ჩაფუშა ცხოვრებამ. არჩევნებში მონაწილეობაზე «რევოლუციური თვითმმართველობისათვის», საგუბერნიო საარჩევნო კრებების დატოვებისათვის და სხვ. არა მგონია ახლა სერიოზულად ლაპარაკი შეიძლებოდეს. მოვლენებმა ფრიად ნათლად დაგვანახა, რომ არჩევნობის

ასეთი თამაში, პარლამენტარიზმის თამაში, გარდა სოციალ-დემოკრატიის სახელის გატეხისა, გარდა სირცხვილისა და სკანდალისა, ვერაფერს შესძენს ამ ტაქტიკას.

თუ ზემოთქმულის კიდევ რაიმე მტკიცება არის საჭირო, ერთ-ერთი ყველაზე ცხადი საბუთი ჩვენი პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტმა მოგვცა. ეს არის ერთიანი ორგანიზაცია, რომელმაც გააერთიანა უმრავლესობისა და უმცირესობის ფრაქციები. ტაქტიკაც მიღებული იყო ასევე «ერთიანი», ე. ი., ყოველ შემთხვევაში, სანახევროდ მაინც მენშევიკური: მონაწილეობა მივიღოთ რწმუნებულთა არჩევნებში, რათა ს.-დ. გავლენა განვამტკიცოთ მუშათა კურიაში, მერე კი არჩევნები ჩავშალოთ, ამრჩეველთა არჩევაზე უარის თქმითო. ეს იყო შიდლოვსკის კომისიის მიმართ მიღებული ტაქტიკის განმეორების ცდა. ეს იყო «პირველი ნაბიჯი» სწორედ ამხ. პლეხანოვის მიერ წამოყენებული ზომების ყაიდაზე: მონაწილეობას მივიღებთ და მერე თავის დროზე გავარკვევთ უფრო დაწვრილებითო.

მოსკოვის საოლქო კომიტეტის მენშევიკურ-პლეხანოვისეული ტაქტიკა, როგორც მოსალოდნელიც იყო, სასტიკად ჩაიფუშა. რწმუნებულები არჩეულ იქნენ. გავიდნენ სოციალ-დემოკრატები, ნაწილობრივ ორგანიზაციის წევრებიც კი. ამასობაში ბოიკოტის საწინააღმდეგო კანონმაც მოუსწრო [23]. რწმუნებულნი ორ ცეცხლს შუა მოექცნენ: ან საპყრობილეში თავის ამოყოფა ბოიკოტის სასარგებლო აგიტაციისათვის, ან ამრჩეველთა არჩევა. საოლქო კომიტეტის აგიტაცია, არალეგალური, ისე როგორც ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციის აგიტაცია, უძლური აღმოჩნდა თავი გაერთვა მის მიერ ამოძრავებული ძალებისთვის. რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ მ ა დ ა ა რ ღ ვ ი ე ს მ ო ც ე მ უ ლ ი დ ა პ ი რ ე ბ ა, დახიეს თავიანთი იმპერატიული მანდატები და... ა მ რ ჩ ე ვ ე ლ ნ ი ა ი რ ჩ ი ე ს. ამრჩეველთა შორისაც ნაწილი სოციალ-დემოკრატები და თვით ორგანიზაციის წევრებიც კი აღმოჩნდნენ.

ამ სტრიქონების დამწერი დაესწრო იმ მეტად მძიმე სცენას მოსკოვის საოლქო კომიტეტის სხდომაზე, როდესაც ხელმძღვანელი ს.-დ. ორგანიზაცია იხილავდა საკითხს: რა ვქნათ და როგორ მოვიქცეთ ახლა ამ ჩავარდნილი (პლეხანოვისეული) ტაქტიკის მიმართო. ტაქტიკის ჩავარდნა იმდენად ცხადი იყო, რომ კომიტეტის წევრ მენშევიკებს შორის ერთიც არ აღმოჩენილა, საგუბერნიო საარჩევნო კრებაში ამრჩეველთა მონაწილეობას ან რევოლუციურ თვითმმართველობას, ანდა რაიმე ამის მსგავსს რომ მიმხრობოდა. მეორე მხრივ, ძნელი იყო აგრეთვე სასჯელის რაიმე ზომის მიღება იმპერატიული მანდატების დამრღვევ მუშა-რწმუნებულთა წინააღმდეგ. კომიტეტი იძულებული გახდა განზე გამდგარიყო და დუმილით ეღიარებინა თავისი შეცდომა.

ასეთი იყო პლეხანოვისეული ტაქტიკის შედეგი: აირჩიე და ნუ ჩაუფიქრდები კარგად (არ სურდათ კარგად ჩაფიქრებოდნენ, სრულიად არ სურდათ ჩაფიქრება: იხ. «დნევნიკის» № 5), თუ რისთვის და რად ირჩევ. სინამდვილესთან პირველ შეხებისთანავე მენშევიკური «ტაქტიკა» გაცამტვერდა, — ეს არც გასაკვირველია, რადგან ეს «ტაქტიკა» (არჩევნებში მონაწილეობა არა არჩევისათვის) მხოლოდ ლამაზ სიტყვებსა და კეთილ განზრახვებს წარმოადგენდა. განზრახვები განზრახვებად დარჩა, სიტყვები სიტყვებად, ნამდვილად კი ის გამოვიდა, რასაც ობიექტური პოლიტიკური სიტუაციის შეუბრალებელი ლოგიკა გვიკარნახებდა: ან მონაწილეობა უნდა მიგვეღო არჩევნებში კადეტების მხარის დასაჭერად, ანდა არჩევნობა გვეთამაშნა. მაშასადამე, მოვლენებმა საკუთარი დაადასტურა ის, რასაც ვწერდი ჩემს პატარა სტატიაში: «სახელმწიფო სათათბირო და ს.-დ. ტაქტიკა». «ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ ჩვენი ს.-დ. კანდიდატურების სრული და უსრულესი დამოუკიდებლობის შესახებ, ჩვენი მონაწილეობის წმინდა და უწმინდესი პარტიულობის შესახებ, მაგრამ პოლიტიკური ვითარება ყოველგვარ განცხადებაზე ძლიერია. სინამდვილეში არ გამოვა, არ შეიძ-

ლება გამოვიდეს, ამ განცხადებათა თანახმად. სინამდვილეში აუცილებლად მივიღებთ, ჩვენი ნების წინააღმდეგ, არა სოციალ-დემოკრატიულ და არა პარტიულ მუშათა პოლიტიკას ახლანდელ სათათბიროში ახლანდელი მონაწილეობით» (გვ. 5). *

აბა ერთი სცადონ მენშევიკებმა ან პლეხანოველებმა და უარყონ ეს დასკვნა, — ოღონდ არა სიტყვებით, არამედ საქმით, ფაქტებით. ახლა ჩვენს პარტიაში ყოველი ადგილობრივი ორგანიზაცია თავის ტაქტიკაში ხომ ავტონომიურია. მაშ რატომაა, რომ ვერსად რუსეთში ვერ მივიღეთ ხეირიანი და გონივრული მენშევიკური ტაქტიკა? რსდმპ მოსკოვის ჯგუფმა, მენშევიკურმა და ბოლშევიკურ კომიტეტთან შეუერთებელმა, რატომ არ მოამზადა «პლეხანოვისეული» ან თავისი საკუთარი საარჩევნო კამპანია იმ არჩევნებისათვის, რომელიც მოსკოვში მოხდება ზეგ, კვირას, 26 მარტს? რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ არ სურდა. დარწმუნებული ვარ, არც იმიტომ, რომ უნარი არ შესწევდა. იმიტომ, რომ ობიექტური პოლიტიკური სიტუაცია უკარნახებდა ან ბოიკოტს, ან კადეტებისათვის მხარის დაჭერას. ახლა მოსკოვის გუბერნიის ამრჩეველთა შორის სოციალ-დემოკრატებიც არიან. არჩევნები სავსებით გამოისახა. საგუბერნიო საარჩევნო კრება ჯერ კიდევ შორსაა. დრო კიდევ არის, ამხანაგო პლეხანოვო. დრო კიდევ არის, ამხანაგო მენშევიკებო! მაშ ურჩიეთ ამ ამრჩევლებს, როგორ მოიქცნენ**. ერთხელ მაინც უჩვენეთ მათ არა უკანა რიცხვით, რომ თქვენ ტაქტიკა გაქვთ. ამ ამრჩევლებმა უბრალოდ უნდა დასტოვონ საგუბერნიო საარჩევნო კრება? თუ უნდა წავიდნენ და შექმნან რევოლუციური თვითმმართველობა? თუ ცარი-

* იხ. ეს ტომი, გვ. 113. რ ე დ.

** ეს სტრიქონები უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც წავიკითხე «რეჩის» 30-ე ნომერი 24 მარტის თარიღით, სადაც მოსკოვიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში ნათქვამია: «რამდენადაც ახლა შეიძლება გამოვარკვიოთ, მომავალ საგუბერნიო საარჩევნო ბრძოლაში კადეტებსა და მემარჯვენე პარტიებს დაახლოებით თანაბარი შანსები აქვთ: როგორც ოქტიაბრისტებს (11) ვაჭარ-მრეწველებთან (26) და უკიდურესი მემარჯვენე პარტიების წარ-

ელი ბარათები მისცენ? თუ, ბოლოს, აირჩიონ სათათბიროს წევრები, და თუ ასე მოიქცევიან, ვინ აირჩიონ? თავისივე სოციალ-დემოკრატი ფუჭი და უნაყოფო, კულისებს უკან ამოფარებული დემონსტრაციის მოსახდენად? ბოლოს, მთავარი საკითხი, რომელზედაც უნდა გვიპასუხოთ თქვენ, ამხანაგო მენშევიკებო და ამხანაგო პლეხანოვო: როგორ უნდა მოიქცნენ ეს ამრჩევლები, თუ მათი ხმებით გადაწყდება კადეტების ან ოქტიაბრისტების არჩევა? თუ, მაგალითად, კადეტი იქნება A — 1, ოქტიაბრისტი A, ხოლო სოციალ-დემოკრატი ამრჩეველი ორია? თავის შეკავება* ის იქნებოდა, რომ ოქტიაბრისტებს დახმარებას გაუწევდით კადეტების დასამარცხებლად! დაგვრჩენია ხმა მივცეთ კადეტებს და ს ა მ ს ა ხ ი ს ა-

---

მომადგენლებთან (13) ერთად სულ 50 საკმაოდ გამორკვეული ხმა აქვთ, ასევე კადეტებსაც (22), თუ მათ მივუმატებთ უპარტიო პროგრესისტებს (11) და მუშებს (17), აგრეთვე 50 ხმა ექნებათ. ამრიგად, წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელ პარტიას მიემხრობა 9 ამრჩეველი, რომელთა მიმართულება გაურკვეველია».

ვთქვათ, ეს 9 — ლიბერალები, ხოლო 17 მუშა — ს.-დ. პარტიის რწმუნებულნი არიან (როგორც ეს სურდათ პლეხანოვსა და მენშევიკებს). მაშინ ჯამი იქნება: 42 კადეტი, 50 მემარჯვენე, 17 სოციალ-დემოკრატი. რაღა დარჩენიათ სოციალ-დემოკრატებს თუ არა კადეტებთან საარჩევნო შეთანხმება სათათბიროში ადგილების გასანაწილებლად?

* არა მგონია საჭირო იყოს დამატება, რომ თავისივე ს.-დ. არჩევით, ეს ორნი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ბ შ ი შ ა ვ რ ა ზ მ ე ლ ე ბ ს დ ე ხ მ ა რ ე ბ ო დ ნ ე ნ. სოციალ-დემოკრატის არჩევა თავშეკავებას გაუთანაბრდებოდა, ესე იგი გაუთანაბრდებოდა პასიურ ჩამოცილებას ბრძოლისაგან, რომელშიც შავრაზმელები კადეტებს ამარცხებენ.

P. S. (Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.). ტექსტში შეცდომით იყო ნათქვამი, საგუბერნიო საარჩევნო კრება ჯერ კიდევ შორსაა. იგი ახლა უკვე შესდგა. შავრაზმელებმა გაიმარჯვეს, რადგან ვლეხები ვერ მოურიგდნენ კადეტებს. სხვათა შორის, «ნაშა ჟიზნის» იმავე ნომერში, საიდანაც ჩვენ ეს ცნობა მოგვყავს (№ 405, 28 მარტის თარიღით), იუწყებიან: «ბოლოთი «პუტ» სარწმუნო წყაროდან გადმოგვცემს, რომ გუშინ (მოსკოვში) ბევრმა სოციალ-დემოკრატმა მენშევიკმა არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მიიღო, აძლევდნენ რა ხმას «ახალხთ თავისუფლების» ს

ნაცვლოდ მათ ვთხოვოთ ადგილი სათათბიროში?

ეს სრულებით არ არის ჩვენი მოგონილი დასკვნა. ეს სრულებით არ არის პოლემიკური ხერხი მენშევიკების წინააღმდეგ. ეს დასკვნა — თვით სინამდვილეა. მუშების მონაწილეობას არჩევნებში, სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობას არჩევნებში ნამდვილად აქამდე და მხოლოდ აქამდე მივყავართ. კადეტებმა სწორად გაითვალისწინეს პეტერბურგის გამოცდილება, როდესაც ბინის დამქირავებელი უპარტიო მუშები ხმას აძლევდნენ მათ, რათა ხელი შეეშალათ ოქტიაბრისტების გამარჯვებისათვის. კადეტებმა გაითვალისწინეს ეს გამოცდილება და პირდაპირი წინადადებით მიმართეს მოსკოვის მუშებს: მხარი დაგვიჭირეთ, და ერთ-ერთ თქვენს წარმომადგენელს გავიყვანთ სათათბიროშიო. კადეტებმა უფრო სწორად გაიგეს პლეხანოვის ტაქტიკის ნამდვილი მნიშვნელობა, ვიდრე თვით პლეხანოვმა. თავისი წინადადებით მათ წინასწარ განჭვრიტეს არჩევნების აუცილებელი პოლიტიკური შედეგი. უპარტიო მუშა ამრჩეველთა ადგილას პარტიული მუშა სოციალ-დემოკრატები რომ ყოფილიყვნენ, ისინიც იმავე დილემის წინაშე იქნებოდნენ: ან ჩამოშორებოდნენ და ამით შავრაზმელებისათვის ხელი შეეწყოთ, ანდა დაედვათ პირდაპირი ან არაპირდაპირი, ჩუმი ან ხელშეკრულებით გაფორმებული გარიგება კადეტებთან.

დიახ, დიახ, ტყუილად როდი ეამბორებიან ახლა კადეტები პლეხანოვს, სრულიადაც არ ამ ამბორის ფასი ცხადია. Do ut des, როგორც ლათინური ანდაზა ამბობს: გაძლევ, რომ შენ მომცეო. მე გეამბორები იმისთვის, რომ შენი რჩევით მე ზედმეტ ხმებს მაძლევ. მართალია, შენ, შეიძლება, სრულიადაც არ გინდოდა ეს; შენ გრცხვენოდა კიდეც საჯაროდ გაგემხილა ჩვენი ამბორის მიღება. შენ ყოველნაირი მართალ-ტყუილით (განსაკუთრებით ტყუილით!) გაურბოდი პასუხს იმ კითხვებზე, რომელნიც მეტად მოურიდებლად, მეტად უშუალოდ უახლოვდებოდნენ ჩვენი მეგობრული გარიგების თვით დედაარსს. მაგრამ საქმე ხომ სრულებით შენს სურვილებსა, შენს

ზრახვებსა და შენს კეთილ (სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისით კეთილ) განზრახვებში არ არის. საქმე შ ე დ ე გ ე ბ შ ი ა, შედეგები კი ჩვენთვის ხელსაყრელია.

პლეხანოვის ტაქტიკის კადეტური გაგება სინამდვილეს შეეფერება. ამიტომ ისინი სასურველ შედეგსაც ღებულობენ: მუშათა ხმების შეძენა, მუშებთან გარიგების დადება, მ უ შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს (კადეტებთან ერთად) უ რ თ ი ე რ თ პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ი ს დ ა კ ი ს რ ე ბ ა კ ა დ ე ტ უ რ ი ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს, კადეტური პოლიტიკის გამო.

მათ მიერ წამოყენებული ტაქტიკის პლეხანოვისებური გაგება სინამდვილეს შეეფერება. ამიტომ პლეხანოვის კეთილი განზრახვები მხოლოდ ჯოჯოხეთის მოკირწყვლას ემსახურება. არჩევნების გამო მ ა ს ე ბ ი ს წინაშე სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია, მ ა ს ე ბ ი ს ორგანიზაცია, სოციალ-დემოკრატიის გარშემო მ ა ს ე ბ ი ს მობილიზაცია და სხვ. და ა. შ. (იხილე პლეხანოვის თანამოაზრის დანის დეკლამაცია მის ბროშურაში), ყოველივე ეს ქაღალდზე რჩება. როგორადაც არ უნდა სურდეს ეს რომელიმე ჩვენგანს, — სურვილთა განხორციელებას ობიექტური პირობები უშლის ხელს. მასის წინაშე სოციალ-დემოკრატიული დროშის გაშლა ვერ ხერხდება (გაიხსენეთ მოსკოვის საოლქო კომიტეტის მაგალითი), არალეგალურ ორგანიზაციას საშუალება არა აქვს ლეგალურ ორგანიზაციად გადაიქცეს, იალქანი ხელიდან უსხლტება უძლურ მესაჭეს, რომელიც **quasi** *-პარლამენტურ მორევში გადაეშვა ისე, რომ არავითარი სერიოზული მოწყობილობა არა აქვს. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გ ა მ ო დ ი ს ა რ ა ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი დ ა ა რ ა პ ა რ ტ ი უ ლ ი მ უ შ ა თ ა პ ო ლ ი ტ ი კ ა, არამედ კადეტური მუშათა პოლიტიკა.

მაგრამ თქვენი ბოიკოტი ხომ სრულიად უსარგებლო და უძლური რამ აღმოჩნდა! გვიკიჟინებენ ყოველი მხრივ კადეტები. მუშები, რომელთაც სათათბიროს და ჩვენი, კადეტების, შერცხვენა უნდოდათ ბოიკოტის მაგალითით, — მუშები,

* — ვითომდა. რ ე დ.

რომელთაც ფიტული აირჩიეს სათათბიროში, აშკარად შეცდნენ! სათათბირო ფიტულებისა კი არა, კადეტური იქნებაო!

კარგი ერთი, ბატონებო! თქვენ გულუბრყვილონი ხართ, ანდა გულუბრყვილოებად მოგაქვთ თავი. სათათბირო თუ კადეტური იქნება, სიტუაცია სხვანაირი გვექნება, მაგრამ სათათბირო მაინც ფიტული იქნება. მუშებს შესანიშნავი ფხიზელი კლასობრივი ინსტინქტი ხელმძღვანელობდა, როდესაც ისინი ფიტულის არჩევის უბადლო დემონსტრაციით სიმბოლიურად გამოხატავდნენ მომავალ სათათბიროს, აფრთხილებდნენ გულუბრყვილო ხალხს, თავიდან იხსნიდნენ პასუხისმგებლობას ფიტულობის თამაშისათვის.

თ ქ ვ ე ნ ე ს ა რ გ ე ს მ ი თ? ნება გვიბოძეთ აგიხსნათ.

II

პირველი არჩევნების სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა

რუსეთის პირველ პოლიტიკურ არჩევნებს მეტად დიდი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ კადეტები, თავიანთი გამარჯვებით დამთვრალნი და კონსტიტუციურ ილუზიებში მთლად ჩაფლულნი, სრულიად მოკლებულნი არიან ამ არჩევნების ნამდვილი მნიშვნელობის გაგების უნარს.

უწინარეს ყოვლისა განვიხილოთ, რომელი კლასობრივი ელემენტები ჯგუფდებიან კადეტების ირგვლივ. ამ საკითხზე არჩევნები იძლევა მეტისმეტად საგულისხმო და ძვირფას მასალას, რომელიც ჯერ სრულებითაც არ არის სრული. მაგრამ ზოგი რამ უკვე ისახება და განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. აი შეჯამებული მონაცემები ამრჩეველთა შესახებ 18 მარტისთვის (ე. ი. პეტერბურგის არჩევნებამდე), ამოღებული ჩვენს მიერ «რუსსკიე ვედომოსტიდან» [84]:

ყრილობის მიერ არჩეულ ამომრჩეველთა რაოდენობა

პოლიტიკური მიმართულებანი *	ქალაქის ამომრჩეველნი	მიწათ-მფლობელნი	სულ
მემარცხენენი	268	128	396
მემარჯვენენი	118	172	290
უპარტიონი	101	178	279
სულ . .	487	478	965

ეს ცნობები ჯერ მეტად უკმარია, მაგრამ ისინიც კი ცხადჰყოფენ (და პეტერბურგის არჩევნები მხოლოდ აძლიერებს ასეთ დასკვნას), რომ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა საერთოდ, და კადეტთა პარტია კერძოდ, ერთგვარ სოციალურ ძვრას განიცდის. ამ მოძრაობის სიმძიმის ცენტრი უფრო ქალაქებისაკენ გადადის. მოძრაობა დემოკრატიული ხდება. წინაურდება ქალაქის «წვრილფეხა» ობივატელი.

მიწათმფლობელთა შორის მემარჯვენეები სჭარბობენ (თუ ვივარაუდებთ, რომ უპარტიოები თანაბრად ნაწილდებიან მემარცხენეთა და მემარჯვენეთა შორის, — ასეთი ვარაუდი, ალბათ, ზედმეტი პესიმიზმით უფრო სცოდავს, ვიდრე ოპტიმიზმით). ქალაქელ ამომრჩეველთა შორის ბევრად უფრო სჭარბობენ მემარცხენეები.

მემამულემ კადეტები მიატოვა და 17 ოქტომბრის კავშირს და მის მსგავს პარტიებს მიაშურა. სამაგიეროდ წვრილი ბურჟუაზია, ყოველ შემთხვევაში ქალაქისა (სოფლისაზე ჯერ ცნობები არ არის, და ძნელიც იქნება სათათბირომდე ამგვარი ცნობების მიღება), აშკარად გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე, აშკარად დემოკრატიზმისაკენ იხრება. თუ ერობათა ყრილობების ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელ (და «ოსვობოჟდე-

* მემარცხენეებს ჩვენ მივაკუთვნეთ: ს.-დ. (2), კადეტები (304), დემოკრატიულ რეფორმათა პარტია (4), პროგრეს. მიმართ. (59), ზომიერი ლიბერალები (17), ებრ. თანასწორუფლებიანობის კავშირი (3) და პოლონ. ნაც. (7); მემარჯვენეებს: ოქტიაბრისტები (124), ვაჭარ-მრეწველთა პარტია (51), კონსტ.-მონარქ. (7), უფლ. წესრიგის პარტია (5), მემარჯვენეები (49), მონარქისტები (54).

ნიეურ») მოძრაობაში მემამულეები სჭარბობდნენ, ახლა უკვე გლეხთა აჯანყებებმა და ოქტომბრის რევოლუციამ მათი უმეტესი ნაწილი გადაჭრით კონტრრევოლუციის მხარეზე გადაისროლა. კადეტების პარტია ორგვაროვანი რჩება: მასში ვხედავთ ქალაქის წვრილ ბურჟუაზიასაც და ლიბერალ მემამულეებსაც, — მაგრამ უკანასკნელნი, ეტყობა, პარტიაში უკვე უმცირესობას შეადგენენ. სჭარბობს წვრილბურჟუაზიული დემოკრატია.

მაშასადამე, დიდი მიახლოებით, თითქმის დარწმუნებით, შეგვიძლია ორი შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: პირველი, წვრილი ბურჟუაზია პოლიტიკურად ყალიბდება და გარკვეულად გამოდის მთავრობის წინააღმდეგ; მეორე, კადეტების პარტია წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის «პარლამენტური» პარტიად ხდება.

ეს დასკვნები ერთმანეთს არ ემთხვევიან, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. მეორე დასკვნა პირველზე ბევრად ვიწროა, რადგან კადეტები ყველა წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიულ ელემენტებს როდი მოიცავენ და გარდა ამისა იგი მხოლოდ «პარლამენტური» (ე. ი., რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, კ ვ ა ზ ი-პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი, ს ა თ ა მ ა შ ო-პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი) პარტიაა. მაგალითად, პეტერბურგის არჩევნების მნიშვნელობის შესახებ ყველა ცნობა გასაოცრად ემთხვევა ერთმანეთს, — დაწყებული მარჯვე და მორადიკალო «რუსით», მიყოლებული კადეტთა ც. კ.-ის წევრ და სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატ ბ-ნ ნაბოკოვით და გათავებული «ნოვოე ვრემიათი», — ერთმანეთს ეთანხმებიან იმაში, რომ, კაცმა რომ თქვას, ეს იყო იმდენად არა კადეტების ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ ხმის მიცემა, რამდენადაც ხმის მიცემა მ თ ა ვ რ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. კადეტებს გამარჯვება უმთავრესად მხოლოდ ი მ ი ტ ო მ ხედათ, რ ო მ ი ს ი ნ ი (დურნოვოსა და კომპ. წყალობით) ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე პ ა რ ტ ი ა ა ღ მ ო ჩ ნ დ ნ ე ნ. ნამდვილად მემარცხენე პარტიები თავიდან მოშორებულ იქნენ ძალადობით, დაპატიმრებით, აწიოკებით, საარჩევნო კანონითა და სხვ. ყველა

უკმაყოფილო, გაბრაზებული, გაბოროტებული, გაურკვეველ-
რევოლუციური ელემენტი მოვლენათა ვითარებამ, საარჩევნო
ბრძოლის ლოგიკამ, იძულებული გახადა კადეტთა გარშემო
დარაზმულიყვნენ *. ყველა პროგრესული ამრჩევლის ის შე-
ერთება კადეტებთან ერთად, რაც ჩვენ მოვახდინეთ ზემოთ მო-
ყვანილ ცხრილში, სინამდვილეშიც მოხდა. არსებითად ორი დი-
დი ძალა იბრძოდა: მთავრობის მომხრე (კონტრრევოლუციური
მემამულე, კაპიტალისტი და გამხეცებული მოხელე) და მთავ-
რობის მოწინააღმდეგე (ლიბერალი მემამულე, წვრილი ბურ-
ჟუაზია და რევოლუციური დემოკრატიის ყოველგვარი გაურ-
კვეველი ელემენტები). კადეტებს მათზე მემარცხენე ელემენ-
ტები რომ ხმას აძლევდნენ, ეს ეჭვს გარეშეა პეტერბურ-
გის ** არჩევნების საერთო სურათის მიხედვით; ამას ადასტუ-
რებს აგრეთვე მრავალი მოწმის პირდაპირი ჩვენებაც («მდა-
ბიო ხალხის» მიერ ხმის მიცემა «თავისუფლებისათვის» და
სხვ. და ა. შ.); არაპირდაპირ ეს ჩანს კადეტურ პრესაზე ცო-
ტათი უფრო მემარცხენე დემოკრატიული პრესის ერთიანი
გადასვლით კადეტთა ბანაკში. მაშასადამე, თუ ახლანდელი
კადეტური პარტიის ბირთვს შეადგენენ, უეჭველად, ისეთი
ადამიანები, რომელნიც, ალბათ, არავითარი სხვა ხერხიანი
საქმისათვის არ ვარგან, გარდა სათამაშო-პარლამენტური
მჭევრმეტყველური ლაყბობისა, ეს არავითარ შემთხვევაში

* «მოლვა», 22 მარტისა: «არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოად-
გენს, რომ ამ სათათბიროსაგან შემოქმედებითს მუშაობას არ მოელიან, და
კადეტებს მრავლად გზავნიან იქ ადამიანები, რომელნიც მათ პროგრამას
არ ეთანხმებიან, მხოლოდ აკისრებენ მათ ჩვენი ავგიუსის თავლის, ესე იგი
მთავრობის, მრავალი წლის ჭუჭყისაგან გაწმენდის წმინდა საქმესა და
უზარმაზარ შრომას».

** პეტერბურგის არჩევნებმა, რომელმაც ყველა 160 ადგილი კადე-
ტებს არგუნა, მხოლოდ განსაკუთრებული სიცხადით გამოააშკარავა ის, რაც
დასახული იყო და ახლაც ისახება მთელ რიგ სხვა ადგილების არჩევნებში.
ამაში მდგომარეობს პიტერის არჩევნების მთელი მნიშვნელობა.

არ შეიძლება ითქვას წვრილბურჟუაზიულ ამომრჩეველთა მთელ იმ მასაზე, რომელმაც კადეტებს მისცა ხმა. «ჩვენ, არსებითად, იგივე დაგვემართა, რაც გერმანიაში არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატებს ემართებათო, — უთხრა ერთმა კადეტმა კადეტური (ან ნახევრადკადეტური) «ნაშა ჟიზნის» (№ 401, 23 მარტი) რეპორტიორს, — ბევრი მათ ხმას იმიტომ აძლევს, რომ მთავრობის მიმართ ისინი ყველაზე ოპოზიციური პარტიაა».

ეს ძალიან სწორად არის ნათქვამი. მას მხოლოდ პატარა, სულ პატარა დამატება აკლია: გერმანელი სოციალ-დემოკრატები, როგორც მებრძოლი და ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით მოწინავე სოციალისტური პარტია, თავიანთ გარშემო მრავალ შედარებით ჩამორჩენილ ელემენტს იკრებენ. რუსმა კადეტებმა, როგორც ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ჩამორჩენილმა და არა მებრძოლმა დემოკრატიულმა პარტიამ, თან გაიყოლიეს მრავალი მოწინავე და ბრძოლისუნარიანი დემოკრატიული ელემენტი, იმის წყალობით, რომ ბრძოლის ველიდან ძალით განდევნილი იყვნენ ნამდვილი დემოკრატიული პარტიები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: გერმანელ სოციალ-დემოკრატებს თან მიჰყავთ ისინი, ვინც მათ უკან მიჩანჩალებს; რუსი კადეტები თვით მისდევენ კუდში დემოკრატიულ რევოლუციას და თან მიჰყავთ მრავალი მოწინავე მხოლოდ მაშინ, როდესაც მათზე წინ მიმავალი მეტწილად საპატიმრო და საუკუნო განსასვენებელ ადგილებში დასახლებულან... * ეს გაკვრით, რათა ჩვენებურმა კადეტებმა ძალიან დიდი წარმოდგენა არ იქონიონ თავის თავზე გერმანელ სოციალ-დემოკრატებთან შედარების გამო.

---

* საინტერესოა აღინიშნოს «რუსის» აღიარება: კადეტების წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მათ თავის კრებებზე «მემარცხენეები» დაუშვესო. «მოლვის» მე-18 ნომერში (22 მარტი), ბ-ნი ს. ა — ჩ წერს: «ამ პარტიამ (კ.-დ.) ამომრჩეველთა თვალში ცოტა როდი მოიგო იმის გამოც, რომ თავის მიტინგებზე უკიდურესი მემარცხენე პარტიების წარმომადგენლებს უშვებდა და მათთან ძლევამოსილ დისპუტს ეწეოდა». ჩვენთან კამათში კადეტების ძლევამოსილება დაე ბ-ნ ა—ჩ-ის დარჩეს. ჩვენ

სათამაშო-პარლამენტური ბრძოლის ასპარეზიდან მოწინავე დემოკრატიული ელემენტების ჩამოშორების გამო და ამ ჩამოშორების დროის განმავლობაში კადეტებს, ბუნებრივია, შანსები აქვთ ხელთ იგდონ ის სათამაშო პარლამენტი, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ეწოდება. თუ ავიღებთ ზემოხსენებულ ციფრებს, მხედველობაში მივიღებთ კადეტთა პეტერბურგისა და სხვა მერმინდელ გამარჯვებებს, თუ დავურთავთ აგრეთვე იმას, რომ ქალაქელ ამრჩევლებს დიდად სჭარბობენ სოფლელი ამრჩევლები, თუ მიწათმფლობელთა წარმომადგენლებს გლეხთა წარმომადგენლებს მივუმატებთ, საერთოდ და მთლიანად სავსებით შესაძლებლად და სარწმუნოდაც უნდა მივიჩნიოთ ვარაუდი, რომ სათათბირო კადეტური იქნება.

III

რას წარმოადგენს სახალხო თავისუფლების პარტია?

რა როლის შესრულება შეუძლია და რა როლი უნდა შეასრულოს კადეტურმა სათათბირომ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ საჭიროა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ თვით კადეტური პარტიის დახასიათებაზე.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამ პარტიის კლასობრივი სტრუქტურის ძირითადი ნიშანი. ეს პარტია არ არის დაკავშირებული ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ რომელიმე განსაზღვრულ კლასთან, მაგრამ თავისი შემადგენლობით, თავისი ხასიათით, თავისი იდეალებით სავსებით ბურჟუაზიულია და მერყეობს დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასა და მსხვილი ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ელემენტებს შორის. ამ პარტიის სოციალური დასაყრდენია, ერთი მხრივ, ქალაქის მასობრივი

ხავსებით კმაყოფილნი ვართ ს.-დ. და კ.-დ. ბრძოლის შედეგებით პეტერბურგის კრებებზე 1906 წ. მარტს. ამ კრებების მიუდგომელი მონაწილენი ოდესმე იტყვიან, თუ ვის რჩებოდა გამარჯვება.

ობივატელი, — ქალაქის სწორედ ის ობივატელი, რომელიც დეკემბრის სახელოვან დღეებში გულმოდგინედ აგებდა ბარიკადებს მოსკოვში, — ხოლო მეორე მხრივ, ლიბერალი მემამულე, რომელიც მოლიბერალო მოხელის შემწეობით ლამობდა თვითმპყრობელობასთან მორიგებას, ძალაუფლების «უწყინარ» გაყოფას ხალხსა და წყალობითა ღვთისათა ხალხის ყოველგვარ მჩაგვრელთა შორის. პარტიის ეს მეტისმეტად ფართო, გაურკვეველი და შინაგანად წინააღმდეგობრივი კლასობრივი დასაყრდენი (რაც შესამჩნევად იჩენს თავს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, კადეტ ამრჩეველთა სტატისტიკაში) შესანიშნავი სიცხადით არის ასახული კადეტების პროგრამასა და ტაქტიკაში. მათი პროგრამა მთლიანად ბურჟუაზიულია, კადეტებს ვერც კი წარმოუდგენიათ სხვა საზოგადოებრივი წყობილება, გარდა კაპიტალისტურისა, რომლის ფარგლებს ვერ სცილდება მათი ყველაზე გაბედული სურვილებიც კი. პოლიტიკის სფეროში მათი პროგრამა აერთიანებს დემოკრატიზმს, «სახალხო თავისუფლებას» და კონტრრევოლუციას, თვითმპყრობელობის მიერ ხალხის ჩაგვრის თავისუფლებას წმინდა წვრილბურჟუაზიული და პროფესორულ-პედანტური ზედმიწევნილობით. ხელისუფლება სახელმწიფოში დაახლოებით სამ ნაწილად იყოფა, — ასეთია კადეტის იდეალი. ერთი ნაწილი — თვითმპყრობელობას. მონარქია რჩება. მონარქი ინარჩუნებს სახალხო წარმომადგენლობის თანაბარ უფლებებს; სახალხო წარმომადგენლობა «უთანხმდება» მონარქს გამოსაცემ კანონთა შესახებ და დ ა ს ა მ ტ კ ი ც ე ბ ლ ა დ უდგენს მას თავის კ ა ნ ო ნ პ რ ო ე ქ ტ ე ბ ს. ხელისუფლების მეორე ნაწილი — მემამულესა და დიდ კაპიტალისტს. ისინი იღებენ ზედა პალატას, რომელსაც ორსაფეხურიანმა არჩევნებმა და ბინადრობის ცენზმა უნდა ჩამოაშოროს «მდაბიო ხალხის» ელემენტები. ბოლოს, ხელისუფლების მესამე ნაწილი — ხალხს, რომელიც იღებს ქვედა პალატას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმისმიცემის საფუძველზე. რა საჭიროა ბრძოლა, რის მაქნისია შინა ომი?

ამბობს იუდუშკა-კადეტი, ცათ აღაპყრობს თვალს და საყვედურით შესცქერის რევოლუციურ ხალხსაც და კონტრრევოლუციურ მთავრობასაც. ძმებო! შევიყვაროთ ერთმანეთი! დაე მგლებიც მაძღარი იყვნენ და ცხვრებიც უვნებელნი, მონარქიაც ზედა პალატით ხელუხლებელი იყოს და «სახალხო თავისუფლებაც» უზრუნველყოფილი.

კადეტთა ამ პრინციპული პოზიციის პირმოთნეობა თვალში გეცემათ, «მეცნიერული» (პროფესორულ-მეცნიერული) საბუთების სიყალბე, რომლებითაც მას იცავენ, საოცარია. მაგრამ, რასაკვირველია, ძირიანფესვიანად შეცდომა იქნებოდა, ეს პირმოთნეობა და ეს სიყალბე კადეტთა ბელადების ან ცალკეული კადეტების პირადი თვისებებით რომ აგვეხსნა. მარქსიზმისათვის სრულიად უცხოა ასეთი ვულგარული ახსნა, რომელსაც ხშირად მოგვაწერენ ხოლმე ჩვენი მოწინააღმდეგენი. არა, კადეტთა შორის უეჭველად არიან უგულწრფელესი ადამიანები, რომელთაც სწამთ, რომ მათი პარტია «სახალხო თავისუფლების» პარტიაა. მაგრამ მათი პარტიის ორჭოფი და მერყევი კლასობრივი საფუძველი აუცილებლად წარმოშობს მათს ორპირ პოლიტიკას, მათს სიყალბესა და პირმოთნეობას.

ეს მშვენიერი თვისებანი, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო ცხადად, ვიდრე კადეტურ პროგრამაში, თავს იჩენს კადეტურ ტაქტიკაშიც. «პოლიარნაია ზვეზდამ»[65], სადაც ბ-ნი სტრუვე ასე გულმოდგინედ და ასეთი წარმატებით აახლოებდა ერთმანეთთან კადეტობას და ნოვოევრემიალობას, — ჩინებულად, მშვენივრად და შეუდარებლად დაგვიხატა კადეტური ტაქტიკა. სწორედ იმ დროს, როდესაც მოსკოვში სროლა ცხრებოდა, როდესაც სამხედრო-პოლიციური დიქტატურა თავის გაშმაგებულ ორგიებს დღესასწაულობდა, როდესაც მთელ რუსეთში ეგზეკუციები და მასობრივი წამება ტარდებოდა, — «პოლიარნაია ზვეზდაში» გაისმოდა სიტყვები მარცხნიდან მომდინარე ძალადობის წინააღმდეგ, რევოლუციური პარტიების საგაფიცვო კომიტეტთა წინააღმდეგ. დუბასოვების ხარჯზე მეცნიერებით მოვაჭრე კადეტი პროფესორები იქამდისაც კი მი-

დიოდნენ (ბ-ნი კიზევეტერი, კადეტების ც. კ.-ის წევრი და სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატი), რომ სიტყვა დიქტატურას გაძლიერებულ დაცვად თარგმნიდნენ! «მეცნიერი ადამიანები» თავის გიმნაზიურ ლათინურსაც კი ამახინჯებდნენ რევოლუციური ბრძოლის დასამცირებლად. დიქტატურა ნიშნავს — მხედველობაში მიიღეთ ეს ერთხელ და სამუდამოდ, ბატონო კიზევეტერებო, სტრუვეებო, იზგოევებო და კომპ. — შეუზღუდველ, ძალაზე და არა კანონზე დამყარებულ ხელისუფლებას. სამოქალაქო ომის დროს ყოველი გამარჯვებული ხელისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ დიქტატურა. მაგრამ საქმე ისაა, რომ არის დიქტატურა უმცირესობისა უმრავლესობაზე, ერთი მუჭა პოლიციელებისა მთელ ხალხზე, და არის დიქტატურა ხალხის გიგანტური უმრავლესობისა ერთ მუჭა მოძალადეებზე, მძარცველებსა და ხალხის ძალაუფლების უზურპატორებზე. დიქტატურის მეცნიერული ცნების თავიანთი ვულგარული გაყალბებით, თავიანთი გოდებით მარცხნიდან მომდინარე ძალადობის წინააღმდეგ, მარჯვნიდან უაღრესად უკანონო, უაღრესად გათახსირებული ძალადობის თარეშის ეპოქაში, ბატონმა კადეტებმა აშკარად ცხადჰყვეს, როგორია «შემთანხმებლების» პოზიცია გამწვავებულ რევოლუციურ ბრძოლაში. «შემთანხმებელი» ლაჩრულად იმალება, როდესაც ბრძოლა ჩაღდება. როდესაც რევოლუციური ხალხი იმარჯვებს (17 ოქტომბერი), «შემთანხმებელი» სოროდან ძვრება, ბაქი-ბუქით თავს ილამაზებს, უსაზღვროდ ენამრუშობს და გააფთრებული გაჰყვირის: ეს «სასახელო» პოლიტიკური გაფიცვა იყო. როდესაც კონტრრევოლუცია იმარჯვებს — შემთანხმებელი დამარცხებულებს ფარისეველური რჩევა-დარიგებით მიმართავს. გამარჯვებული გაფიცვა «სასახელო» იყო. დამარცხებული გაფიცვები — დანაშაულებრივი, ველური, უაზრო, ანარქიული იყო. დამარცხებული აჯანყება სიგიჟე, სტიქიის თარეში, ბარბაროსობა, სიბრიყვე იყო. ერთი სიტყვით, «შემთანხმებლის» პოლიტიკური სინდისი და პოლიტიკური გონიერება იმაში მდგომარეობს, რომ ფეხქვეშ გაეგოს იმათ,

ვინც ამჟამად უფრო ძლიერია, ფეხებში გაებლანდოს მებრძოლთ, ხელი შეუშალოს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, შეანელოს ბრძოლა და დააჩლუნგოს თავისუფლებისათვის თავგამოდებით მებრძოლი ხალხის რევოლუციური შეგნება.

გლეხები მემამულეთა მიწათმფლობელობის წინააღმდეგ იბრძვიან. ბრძოლა ამჟამად კულმინაციურ წერტილს აღწევს. იგი იმდენად გამწვავდა, რომ საკითხი უკვე პირდაპირ დადგა: მემამულეებს უნდათ ტყვიამფრქვევებს მიმართონ პასუხად გლეხთა სულ მცირეოდენი ცდისა — ხელთ იგდონ საუკუნეთა განმავლობაში თავადაზნაურობის მიერ ნაძარცვი მიწები. გლეხებს სურთ ხელთ იგდონ მთელი მიწა. მაშინ «პოლიარნაია ზვეზდა» მანჭვა-გრეხით ბრძოლაში ჩააბამს ბატონ კაუფმანებს, რომლებიც დაიწყებენ მტკიცებას, რომ მემამულეებს მიწა ცოტა აქვთ, რომ ნამდვილად აქ მიწა არაფერ შუაშია და ყველაფერი მორიგებით შეიძლება გათავდესო.

კადეტების უკანასკნელი ყრილობის ტაქტიკური რეზოლუცია მშვენივრად აჯამებს კადეტების პოლიტიკანობას. დეკემბრის აჯანყების შემდეგ, როდესაც მშვიდობიანმა გაფიცვამ ყველასთვის მეტად აშკარად დასანახად თავისი დრო მოსჭამა, მთელი თავისი ძალები ამოსწურა, უკვე უვარგისი აღმოჩნდა, როგორც ბრძოლის დამოუკიდებელი საშუალება, — ზედაპირზე ამოტივტივდა კადეტების ყრილობის რეზოლუცია (წარდგენილი, მგონი, ბ-ნ ვინავერის მიერ), რომელიც ბრძოლის საშუალებად მშვიდობიან პოლიტიკურ გაფიცვას ალიარებს!

ჩინებულია, უბადლოა, ბატონო კადეტებო! თქვენ შეუდარებელი მოხერხებით შეგითვისებიათ ბურჟუაზიული პოლიტიკანობის სული და აზრი. უნდა შეეცადოთ ხალხს დაეყრდნოთ. უამისოდ ბურჟუაზია ძალაუფლებას ვერ მიაღწევს და არც როდისმე მიუღწევია ძალაუფლებისათვის. მაგრამ ამავე დროს საჭიროა ხალხის რევოლუციური შეტევის შეკავება, რათა მუშებმა და გლეხებმა არ მოიპოვონ, ღმერთმა დაგვიფაროს, სრული და გადამწყვეტი დემოკრატია, ნამდვილი და

არა მონარქისტული, არა «ორპალატიანი» სახალხო თავისუფლება. ამისათვის საჭიროა რევოლუციის მსვლელობის შეფერხება ყოველთვის, როდესაც იგი იმარჯვებს, — და ეს უნდა ხდებოდეს ყოველგვარი საშუალებით, ყოველგვარი ზომებით, დაწყებული, ხალხის თვით გადამწყვეტი გამარჯვების იდეის გასაწბილებლად, «პროფესორების» მიერ ლათინურის «მეცნიერული» დამახინჯებით და გათავებული რევოლუციური ბრძოლის თუნდაც მხოლოდ ისეთ საშუალებათა აღიარებით, რომელთაც უ კ ვ ე თავისი დრო მოუჭამიათ იმ მომენტში, როდესაც თქვენ მათ აღიარებთ! ეს უვნებელიცაა და ხელსაყრელიც. უვნებელია, რადგან დაჩლუნგებული იარაღი, ცხადია, ხალხს გამარჯვებას ვერ მოუპოვებს, ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატსა და გლეხობას ვერ დააყენებს, უკეთეს შემთხვევაში იგი მხოლოდ ოდნავ შეარყევს თვითმპყრობელობას და დაეხმარება კადეტებს, რომ ბურჟუაზიისათვის «უფლებათა» ზედმეტი ნამცეცი დასცინცლონ. ეს ხელსაყრელია, რადგან «რევოლუციურობის» გარეგან იერს, სახალხო ბრძოლისადმი თანაგრძნობის იერს იძლევა, კადეტებისაკენ იზიდავს მრავალი ისეთი ელემენტის სიმპათიებს, რომელთაც გულწრფელად და სერიოზულად სურთ რევოლუციის გამარჯვება.

შრომასა და კაპიტალს შორის მოქანავე წვრილი ბურჟუაზიის ეკონომიური მდგომარეობის თვით დედაარსი აუცილებლად წარმოშობს კადეტების პარტიის პოლიტიკურ მერყეობასა და ორპირობას, წარმოშობს მათს შეთანხმების ყბადაღებულ თეორიას («ხალხს უფლებები აქვს, მაგრამ ამ უფლებათა დამტკიცების უფლება მონარქს ეკუთვნისო»), მათს პარტიას კონსტიტუციური ილუზიების პარტიად აქცევს. წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგს «კონსტიტუციის დედაარსის» გაგება არ შეუძლია. წვრილ ბურჟუას ყოველთვის აქვს მიდრეკილება ქაღალდი საქმის დედაარსად მიიჩნიოს. მას ნაკლები უნარი შესწევს უშუალო-რევოლუციური ბრძოლისათვის შექმნას დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც მებრძოლ კლასს არ ემხრობოდეს. ჩვენი ეპოქის უაღრესად მწვავე ეკონომიურ

ბრძოლას ყველაზე მეტად ჩამოშორებული წვრილი ბურჟუა ამჯობინებს პოლიტიკაშიც პირველი ადგილი სხვა კლასებს დაუთმოს, როდესაც საქმე კონსტიტუციის ნამდვილ მოპოვებას, ნამდვილი კონსტიტუციის ნამდვილ უზრუნველყოფას ეხება. დაე კონსტიტუციური ნიადაგისათვის პროლეტარიატმა იბრძოლოს, ხოლო კონსტიტუციურ ნიადაგზე, რამდენადაც იგი თუნდაც აჯანყებაში დახოცილ მუშათა გვამებს ემყარება, დაე სათამაშო საქმეების კაცუნებმა პარლამენტარიზმობანა ითამაშონ, — ასეთია ბურჟუაზიის იმანენტური ტენდენცია, და კადეტების პარტიაც, საერთო ბურჟუაზიულ მისწრაფებათა ეს განწმენდილი, გაკეთილშობილებული, სუბლიმირებული, სურნელებანასხური, იდეალიზებული, მოშაქრული პერსონიფიკაცია, შესანიშნავი განუხრელობით მოქმედებს აღნიშნული მიმართულებით.

თქვენ თქვენს თავს სახალხო თავისუფლების პარტიას უწოდებთ? მოგვშორდით აქედან! თქვენ სახალხო თავისუფლების მეშჩანური გაყალბების პარტია ხართ, სახალხო თავისუფლების შესახებ მეშჩანური ილუზიების პარტია. თქვენ თავისუფლების პარტია ხართ, რადგან გსურთ თავისუფლება მონარქსა და ზედაპალატას, მემამულეთა პალატას დაუმორჩილოთ. თქვენ ხალხის პარტია ბრძანდებით, რადგან გეშინიათ ხალხის გამარჯვებისა, ე. ი. გლეხთა აჯანყების სრული გამარჯვებისა, მუშათა საქმისთვის მუშათა ბრძოლის სრული თავისუფლებისა. თქვენ ბრძოლის პარტია ხართ, რადგან პროფესორულ მანჭვა-გრეხას იწყებთ ყოველთვის, როდესაც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ნამდვილი, პირდაპირი, უშუალო რევოლუციური ბრძოლა ჩაღდება. თქვენ სიტყვის პარტია ბრძანდებით და არა საქმისა, დაპირებების და არა შესრულებისა, კონსტიტუციური ილუზიების და არა ნამდვილი კონსტიტუციისათვის (არა მხოლოდ ქაღალდის) სერიოზული ბრძოლისა.

როდესაც თავგანწირული ბრძოლის შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდება, როდესაც ზემოთ «გამარჯვებით დაღლილი», ღორი-

ვით გამაძღარი მხეცი * «ისვენებს», ხოლო ქვემოთ «ხმლებს ლესავენ», ახალ ძალებს აგროვებენ, როდესაც ცოტცოტაობით კვლავ იწყება მღელვარება და დუღილი ხალხის სიღრმეში, როდესაც მხოლოდ მზადდება ახალი პოლიტიკური კრიზისი და ახალი დიადი ბრძოლა, — მაშინ სახალხო თავისუფლების მეშჩანური ილუზიების პარტია თავისი განვითარების ზენიტს განიცდის, მთვრალია თავისი გამარჯვებებით. გამაძღარ მხეცს ეზარება კვლავ წამოდგეს და პირდაპირ ეკვეთოს ლიბერალ მოლაყბეებს (მოვასწრებთ! რა გვეჩქარება!). ხოლო მუშათა კლასისა და გლეხობის მებრძოლთათვის ჯერ კიდევ არ დამდგარა ახალი აღმავლობის ჟამი. სწორედ ასეთი მომენტით სარგებლობენ, სწორედ ამ დროს აგროვებენ ყველა უკმაყოფილოთა (ხოლო ახლა ვინღა არის კმაყოფილი?) ხმებს, სწორედ ამ დროს იწყებენ ბულბულივით გალობას ჩვენებური კადეტები.

კადეტები — რევოლუციის საფლავის ჭიები არიან. რევოლუცია დამარხეს. მას ჭიები ღრღნიან. მაგრამ რევოლუციას აქვს თვისება სწრაფად აღსდგეს მკვდრეთით და გაიფურჩქნოს კარგად შემზადებულ ნიადაგზე. ხოლო ნიადაგი შესანიშნავად, მშვენივრად შეამზადა თავისუფლების ოქტომბრის დღეებმა და დეკემბრის აჯანყებამ. და ჩვენც შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ უარვყოთ რევოლუციის დამარხვის ეპოქაში ჭიების სასარგებლო მუშაობა. ეს მსუქანი ჭიები ხომ ასე მშვენივრად ანოყიერებენ ნიადაგს...

გლეხი სათათბიროში კადეტი იქნება! წამოიძახა ერთხელ ბ-ნმა სტრუვემ «პოლიარნაია ზვეზდაში». ეს ძალიან ჰგავს სი-

* სიტალეცი — «ირგვლივ სიჩუმეა»: «სიმები დაწყვეტილია! სიმღერავ, დადუმდი ახლა! ჩვენ ყველაფერი ბრძოლამდე ვთქვით. კვლავ გამოცოცხლდა ურჩხული, მომაკვდავი მხეცი, და სიმების ნაცვლად ხმლები აჟღარუნდნენ... ირგვლივ სიჩუმეა; ამ შემზარავ ღამეში არ გაისმის არავითარი ხმა წარსული ცხოვრებიდან. იქ — ქვემოთ — დამარცხებულნი ხმლებს ლესავენ, ზემოთ — დაღლილ გამარჯვებულსა ვხედავთ. მიიხრწნა და ჩამოხმა გამაძღარი მხეცი. იქ, ქვემოთ, იგი კვლავ რაღაცას ხედავს, იქ ზანზარებს და ჩამოვარდნაზეა ძველი კარი, გოლიათი ბორკილებს ამსხვრევს».

მართლეს. გლეხი, მასობრივად, რა თქმა უნდა, სახალხო თავისუფლების მომხრეა. იგი გაიგონებს ამ კარგ, დიად სიტყვებს, დაინახავს სხვადასხვანაირ «ოქტიაბრისტულ» ტანისამოსში გამოწყობილ ურიადნიკებს, მოძალადე ბოქაულებს, მებატონე-მემამულეებს. გლეხი, უსათუოდ, სახალხო თავისუფლების მხარეს დაიჭერს, ის გაჰყვება ლამაზად შეთითხნილ აბრას, იგი ერთბაშად ვერ მიხვდება მეშჩანურ სიყალბეს, იგი კადეტი გახდება... იგი კადეტი იქნება მანამდე, სანამ მოვლენათა მსვლელობა არ დაანახვებს მას, რომ სახალხო თავისუფლება ჯერ კიდევ მოსაპოვებელია, რომ სახალხო თავისუფლებისათვის ნამდვილი ბრძოლა სათათბიროს გარეთ მოგველის. მაშინ კი... მაშინ გლეხიც და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის მასაც გაითიშება: პატარა, მაგრამ ეკონომიურად მძლავრ, კულაკურ უმცირესობას შეუძლია უკვე გადაჭრით კონტრრევოლუციას მიემხროს, ნაწილი «შეთანხმებას», «შერიგებას», მონარქიასთან და მემამულეებთან სიამტკბილობით გარიგებას მიემხრობა, ნაწილიც რევოლუციის მხარეზე გადავა.

დეკემბერში, დიადი ბრძოლის დროს, ობივატელი ბარიკადებს აგებდა. ობივატელი პროტესტს უცხადებდა მთავრობას, როდესაც აჯანყების ჩახშობის შემდეგ, მარტში, კადეტს ირჩევდა. როდესაც ახლანდელი კონსტიტუციური ილუზიები დაიმსხვრევა, ობივატელი კადეტს ისევ ჩამოშორდება და რევოლუციის მხარეზე გადავა. ობივატელთა რა ნაწილი ჩამოშორდება კადეტთა ლაყბობას და რევოლუციურ ბრძოლას მიემხრობა, გლეხობის რა ნაწილი შეუერთდება მათ, რამდენად ენერგიულად, ორგანიზებულად და წარმატებით გამოვა ახალი შეტევის დროს პროლეტარიატი, — ამას რევოლუციის შედეგი გადაწყვეტს.

კადეტების პარტია ეფემერული, უსიცოცხლო პარტიაა. ამის მტკიცება შეიძლება პარადოქსად ჩანდეს ისეთ მომენტში, როდესაც არჩევნებში კადეტები ბრწყინვალედ იმარჯვებენ, როდესაც მათ, ალბათ, კიდევ უფრო ბრწყინვალე «საპარლამენტო» გამარჯვებანი მოელით სათათბიროში. მაგრამ მარქსიზ-

„ი გვასწავლის ყოველი მოვლენა განვიხილოთ მის განვითარებაში, არ დავჯერდეთ მარტო მის ზედაპირულ მოხაზულობას, „არ დავუჯეროთ ლამაზ აბრებს, გამოვიკვლიოთ პარტიათა ეკონომიური, კლასობრივი საფუძვლები, შევისწავლოთ ის ობიექტური პოლიტიკური ვითარება, რომელიც წინასწარ გადაწყვეტს მათი პოლიტიკური მოღვაწეობის მნიშვნელობასა და შედეგს. მიუყენეთ განხილვის ეს მეთოდი კადეტებს, — და „ქვენ დაინახავთ ჩვენი მტკიცების სისწორეს. კადეტები პარტია კი არა, სიმპტომია. ეს აბრის არა პოლიტიკური ძალა, არამედ ქაფი, რომელიც ჩნდება ცოტად თუ ბევრად ურთიერთის გამაწონასწორებელ მებრძოლ ძალთა შეტაკებით. ისინი წარმოადგენენ, ჭეშმარიტად, გედს, კიბოსა და ორაგულს — მოლაყბე, გაბღენძილ, თვითკმაყოფილ, გონებაშეზღუდულ, მშიშარა ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, კონტრრევოლუციურ მემამულეს, რომელსაც სურს ხელსაყრელ ფასად თავი დაიხსნას რევოლუციისაგან, და, ბოლოს, მაგარ, „აირათიან, მომჭირნე და ხელმოჭერილ წვრილ ბურჟუას. ამ პარტიას „არ სურს და არც შეუძლია რაოდენადმე მტკიცედ იბატონოს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საერთოდ, არა სურს და არც შეუძლია რაიმე გარკვეული გზით წარმართოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. კადეტებს არა სურთ იბატონონ, ისინი ამჯობინებენ მონარქიასა და ზედაპალატას «მიეტმასნონ». მათ არ შეუძლიათ იბატონონ, რადგან ბურჟუაზიული საზოგადოების ნამდვილი ბატონ-პატრონნი, სხვადასხვა შიპოვები და გუჩკოვები, მსხვილი კაპიტალისა და მსხვილი საკუთრების წარმომადგენელნი, ამ პარტიის გარეთ დგანან. კადეტები — თეთრ, სუფთა, მოწესრიგებულ, «იდეალურ» ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე მეოცნებე პარტიაა. გუჩკოვები და შიპოვები — თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში შავბნელი, ნამდვილი, რეალური კაპიტალის პარტიაა. კადეტებს არ შეუძლიათ რევოლუციის წინ წაყვანა, რადგან მათ ზურგს არ უმაგრებს შემჭიდროებული და ნამდვილად რევოლუციური კლასი. მათ ეშინიათ რევოლუციისა. ისინი თავის ირგვლივ

იკრებენ ყველას, მთელ «ხალხს» მხოლოდ კონსტიტუციური ილუზიების ნიადაგზე, აერთიანებენ მხოლოდ უარყოფითი კავშირით: სიძულვილით გამაძღარი მხეცისადმი, — თვითმპყრობელური მთავრობისადმი, რომლის წინააღმდეგ ყველაზე მარცხნივ ახლანდელ «ლეგალურ» ნიადაგზე ამჟამად კადეტები დგანან.

კადეტების ისტორიული როლი — გარდამავალი, წუთიერი როლია. ისინი დაემხობიან კონსტიტუციური ილუზიების აუცილებელ და სწრაფად დამხობასთან ერთად, როგორც დაემხნენ ჩვენებური კადეტების მეტად მსგავსნი და 40-იანი წლების დამლევის ასეთივე წვრილბურჟუაზიული ფრანგი სოციალ-დემოკრატები. კადეტები დაემხობიან და ნიადაგს გაანოყიერებენ... ან შიპოვებისა და გუჩკოვების ხანგრძლივი ზეიმისათვის, რევოლუციის ხანგრძლივი დასამარებისათვის, «სერიოზული» ბურჟუაზიული კონსტიტუციონალიზმისათვის; — ანდა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისათვის.

IV

კადეტური სათათბიროს როლი და მნიშვნელობა

ამრიგად, სახელმწიფო სათათბირო, გვეუბნებიან ლიბერალური გაზეთები, კადეტური იქნებაო. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს ვარაუდი სავსებით მოსალოდნელია. დავძენთ მხოლოდ, რომ თუ კადეტები, თავის ახლანდელ გამარჯვებათა მიუხედავად, უმცირესობაში აღმოჩნდებიან სათათბიროში, ამ გარემოებამ არა გვგონია დიდად მნიშვნელოვნად შესცვალოს იმ პოლიტიკური კრიზისის მსვლელობა, რომელიც კვლავ მწიფდება ახლა რუსეთში. ამ რევოლუციური კრიზისის ელემენტებს მეტად ღრმად აქვთ გადგმული ფესვები, რომ სათათბიროს ამა თუ იმ შემადგენლობამ სერიოზული გავლენა მოახდინოს. მოსახლეობის ფართო მასების დამოკიდებულება მთავრობისადმი სავსებით ცხადია. მთავრობის დამოკიდებულება მთელი საზო-

გადოებრივი განვითარების მომწიფებულ საჭიროებათადმი ცხადზე უცხადესია. რევოლუცია, ბუნებრივია, წინ წავა საქმის ამგვარი ვითარების დროს. მარტოოდენ მოსალოდნელი შეფერხება რუსეთის პოლიტიკური განვითარების გარკვეული მხარეებისა დაკავშირებული იქნება პირველ სათათბიროში შავრაზმელთა სიჭარბესთან. სახელდობრ: შეგვიანდება კრახი კადეტური პარტიისა და კადეტური მომხიბვლელობისა ხალხის თვალში, თუ ახლა კადეტები უმცირესობაში იქნებიან. უმცირესობაში ყოფნა, ოპოზიციად დარჩენა მათთვის ახლა მეტად ხელსაყრელია. შავრაზმელთა სიჭარბეს ხალხი მიაწერდა მთავრობის რეპრესიებს არჩევნების დროს. ოპოზიციური სიტყვები კადეტებისა, რომლებიც გრძნობენ თავიანთი ოპოზიციის «უვნებლობას», განსაკუთრებით ცხარე იქნებოდა. პოლიტიკურად განუვითარებელი მოსახლეობის ფართო მასების წინაშე კადეტების პრესტიჟი შეიძლებოდა გაზრდილიყო ისეთ პირობებში, როდესაც კადეტების «სიტყვები» უფრო ხმამაღალი იქნებოდა, ვიდრე ამჟამად, ხოლო კადეტების «საქმენი» ჯერ კიდევ ბუნდოვანი დარჩებოდა ოქტიაბრისტების მიერ კადეტების მაიორიზების გამო. მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილების ზრდა, ახალი რევოლუციური აღმავლობის მომზადება მაშინაც თავის გზით წავიდოდა, მაგრამ კადეტების არარაობის მხილება შესაძლებელია რამდენადმე შეგვიანებულიყო.

ავიღოთ ახლა მეორე ვარაუდი, უფრო შესაძლებელი, თუ კადეტთა გაზეთების ახლანდელ მტკიცებას დავუჯერებთ. ვთქვათ, კადეტები სათათბიროში უმრავლესობა იქნება, — რასაკვირველია, თუ კადეტებს ასევე შეუერთდებიან სხვადასხვა უპარტიო, «წვრილპარტიული» და სხვა ლიბერალები, რასაც არჩევნების დროს ახლაც ვამჩნევთ. რანაირი იქნება კადეტური სათათბიროს მნიშვნელობა და როლი?

თვითონ კადეტები ამ კითხვაზე ძალიან გარკვეულ პასუხს იძლევიან. მათი განცხადებანი, მათი დაპირებანი, მათი მაღალფარდოვანი ფრაზები აღსავსეა სიმტკიცითა და გამბედაობით. და ჩვენთვის, მუშათა პარტიის წევრებისათვის, უაღრესად

დიდმნიშვნელოვანია ყველა ეს განცხადება გულმოდგინედ შევკრიბოთ, კარგად დავიხსომოთ, უფრო ფართოდ გავავრცელოთ ხალხში, აუცილებლად მივაღწიოთ იმას, რომ პოლიტიკური აღზრდის გაკვეთილებმა (რასაც კადეტები ხალხს აძლევენ) ამაოდ არ ჩაიაროს, რომ მუშებმა და გლეხებმა დანამდვილებით იცოდნენ, რას გვპირდებიან კადეტები და როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ დაპირებებს.

ამ ბროშურაში, — რომელიც წარმოადგენს მხოლოდ იმ მოსიარულე ს.-დ. პუბლიცისტის გაკვრითს შენიშვნებს, რომელიც დურნოვოს და კომპ. ნება-სურვილით ჩამოშორებულია საგაზეთო მუშაობას, — ამ ბროშურაში ფიქრიც კი არ შეგვიძლია იმაზე, რომ შევკრიბოთ სათათბიროში მიმავალი კადეტების ყველა ან თუნდ ყველაზე არსებითი განცხადებანი და დაპირებანი. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ ცოტა რამ იმ ლიტერატურის მიხედვით, რომელიც შემთხვევით ხელთა გვაქვს.

აი გაზეთი «ნაროდნაია სვობოდა», რომელიც დეკემბერში გამოდიოდა და მთავრობამ სწრაფად მიკეტა. ეს არის კადეტების პარტიის პირდაპირი, ოფიციალური ორგანო. ამ გაზეთს რედაქტორობდნენ ამ პარტიის ისეთი ბურჯნი, როგორიც არიან ბატონები მილიუკოვი და გესენი. მისი შინაარსისათვის რომ კადეტების მთელი პარტია აგებს პასუხს, ამაში ოდნავი ეჭვის შეტანაც შეუძლებელია.

20 დეკემბრის ნომერში «ნაროდნაია სვობოდა» არწმუნებს მკითხველს, აუცილებელია სათათბიროში მონაწილეობაო. როგორ ასაბუთებს ამას კადეტების ორგანო? «ნაროდნაია სვობოდა» არც კი ფიქრობს დავას იმის წინააღმდეგ, რომ რუსეთის მორიგი პოლიტიკური ამოცანაა დამფუძნებელი კრების მოწვევა. კადეტების ორგანოს ეს დებულება დამტკიცებულად მიაჩნია. საკითხი, თურმე, მხოლოდ ის ყოფილა, ვინ მოიწვევს ამ დამფუძნებელ კრებას. შესაძლებელია სამგვარი პასუხი: 1) ახლანდელი, ე. ი. ნამდვილად თვითმპყრობელური, მთავ-

რობა; 2) დროებითი რევოლუციური მთავრობა, და 3) სახელმწიფო სათათბირო, როგორც «ძალაუფლების მეტოქე ძალაუფლება». და აი, კადეტები უარყოფენ ორსავე პირველ გამოსავალს — თვითმპყრობელური მთავრობის იმედი მათ არა აქვთ, ხოლო აჯანყების გამარჯვება არა სწამთ. სამაგიეროდ კადეტები მესამე გამოსავალს იწყნარებენ. ისინი სათათბიროში სწორედ იმიტომ გვეპატიჟებიან, რომ ეს სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის საუკეთესო საშუალებაა, ყველაზე საიმედოო და სხვ., და სხვ.

კარგად დაიხსომეთ ეს დასკვნა, ბატონებო! კადეტური პარტია, «სახალხო თავისუფლების» პარტია, ხალხს დაჰპირდა ვისარგებლებ «ძალაუფლების მეტოქე ძალაუფლებით», ვისარგებლებ ჩემი უმრავლესობით სახელმწიფო სათათბიროში (თუ ხალხი დამეხმარება ამ უმრავლესობის მოპოვებაში) სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოსაწვევადაო.

ეს ისტორიული ფაქტია. ეს დიდმნიშვნელოვანი დაპირებაა. ეს პირველი შემოწმებაა იმისა, თუ როგორ სამსახურს გაუწევს უბრჭყალებო სახალხო თავისუფლებას ბრჭყალებიანი «სახალხო თავისუფლების» პარტია.

კადეტური პარტიის ახლანდელ გაზეთებში (ამ პარტიას კი, ვიმეორებთ, ფაქტიურად მიემხრო თითქმის ყველა ლიბერალური ორგანო, მათ შორის «რუს», «ნაშა ჟიზნ» და სხვ.) თქვენ უკვე ველარ შეხვდებით ამგვარ დაპირებას. ლაპარაკობენ მხოლოდ სათათბიროს «დამფუძნებლობის ფუნქციებზე», მაგრამ სათათბიროს მიერ სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევაზე კი უკვე აღარ ლაპარაკობენ. რაც უფრო ახლოვდება ის დრო, როდესაც დაპირებანი შესრულებამ უნდა განამტკიცოს, უკვე ნაბიჯით უკან იხევენ, უკვე გასაძვრენ ხვრელს ამზადებენ.

ან, იქნებ, მთელი საქმე ისაა, რომ მძვინვარე კანონები ახლა დამფუძნებელ კრებაზე პირდაპირი ლაპარაკის საშუალებას არ იძლევიან? ასეა ხომ, ბატონებო? სათათბიროში, სადაც

თქვენი დეპუტატები, კანონით, სიტყვის თავისუფლებით ისარგებლებენ, თქვენ ხომ კვლავ ხმამაღლა დაიწყებთ ლაპარაკს, მოითხოვთ მოწვევას... ამას რას ვამბობ?.. მოიწვევთ სრულიად სახალხო დამფუძნებელ კრებას?

ვიცოცხლოთ და ვნახოთ. და ნურც კადეტების დაპირებას დავივიწყებთ — სათათბიროს საშუალებით სრულიად სახალხო დამფუძნებელ კრებას მოვიწვევთო. კადეტური გაზეთები ამჟამად აჭრელებულია განცხადებებით იმის შესახებ, რომ ისინი, კადეტები, «მთავრობა» იქნებიან, რომ მათ ხელთ ექნებათ «ძალაუფლებაო» და სხვ. და ა. შ. ხელიმც მოგემართოთ, ბატონებო! რაც უფრო მალე გეყოლებათ სათათბიროში უმრავლესობა, მით უფრო მალე დადგება ის დრო, როდესაც თქვენს თამასუქებს გასანაღდებლად წარმოგიდგენენ. აი კადეტების გაზეთი «რუს», მიესალმება რა «სახალხო თავისუფლების» პარტიის გამარჯვებას პიტერში, 22 მარტის ნომერში მხურვალე სტატიას ათავსებს: «ხალხთან ერთად თუ მის წინააღმდეგ?». სათათბიროს მიერ სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევაზე აქ პირდაპირ არ არის ლაპარაკი. მაგრამ, მიუხედავად კადეტების დაპირებებისაგან უკანგადადგმული ამ ნაბიჯისა, მაინც ბევრი კარგი კადეტური პერსპექტივა რჩება:

«მთავარი დანიშნულება სათათბიროსი, რომელიც ახლა იკრიბება, და სახალხო თავისუფლების პარტიისა მასში ის არის, რომ ხალხის რისხვის იარაღი იყოს.

განდევნის და სამართალში მისცემს რა მთავრობის ბოროტმოქმედ წევრებს, მან უნდა მიიღოს მხოლოდ გადაუდებელი ზომები, ხოლო შემდეგ მოიწვიოს ნამდვილი სათათბირო უფრო ფართო საფუძვლებზე, მთელი ხალხის წარმომადგენელი» (ე. ი. მოიწვიოს დამფუძნებელი კრება?).

«ესაა სათათბიროს უცილობელი ამოცანა, ე. ი. ის ამოცანა, რომელსაც მას ამჟამად თვით ხალხი აკისრებს».

დიახ. დიახ. განდევნოს მთავრობა. სამართალში მისცეს მთავრობა. მოიწვიოს ნამდვილი სათათბირო.

კარგად წერს გაზეთი «რუს». კარგად ლაპარაკობენ კადეტები. საოცრად ლამაზად ლაპარაკობენ კადეტები. ცუდი მხო-

ლოდ ის არის, რომ ამ კარგი სიტყვებისათვის მათს გაზეთებს ხურავენ...

მაშ დავიხსომოთ, ბატონებო, ეს ახალი დაპირებაც, მოცემული პიტერის არჩევნების მეორე დღეს, კარგად დავიხსომოთ იგი. კადეტები სათათბიროში მიდიან, რათა განდევნონ მთავრობა, სამართალში მისცენ მთავრობა, რათა ნამდვილი სათათბირო მოიწვიონ.

სათათბიროს შესახებ კადეტების დაპირებათაგან გადავიდეთ ახლა იმაზე, თუ რა «იმედებს» ამყარებს მთავრობა კადეტურ სათათბიროზე. რა თქმა უნდა, ამ «იმედების» ზუსტად ცოდნა არავის შეუძლია, მაგრამ ზოგი რამ მასალა ამაზე მსჯელობისათვის თვით იმავე ოპტიმისტურ კადეტურ გაზეთებსაც მოეპოვებათ. აი, მაგალითად, საფრანგეთში სესხის მიღების შესახებ სულ უფრო და უფრო მეტი სარწმუნო ცნობები მოდის, რომ ეს სესხი გადაწყვეტილი საქმეა, რომ მას მიიღებენ სათათბირომდე. მთავრობა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ნაკლებად იქნება დამოკიდებული სათათბიროზე.

შემდეგ, ვიტე-დურნოვოს სამინისტროს პერსპექტივების შესახებ იგივე გაზეთი «რუს» (ან «მოლვა») ზემოთ ციტირებულ სტატიაში მთავრობას წინადადებას აძლევს: «ხალხთან, ე. ი. სათათბიროსთან ერთად იარეო». როგორც ხედავთ, «მთავრობის ბოროტმოქმედ წევრთა განდევნა» გაგებულია მხოლოდ პიროვნებათა განსაზღვრული შეცვლის აზრით. თუ როგორი შეცვლისა, ეს ჩანს გაზეთის შემდეგი სიტყვებიდან:

«ამჟამად თვით რეაქციისთვისაც კი ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა სამინისტრო ისეთი მოღვაწისა, როგორიცაა დ. ნ. შიპოვი. მარტოოდენ მისი სამინისტრო შესძლებდა სათათბიროში მთავრობისა და საზოგადოების საბოლოო შეჯახების თავიდან აცილებას». მაგრამ ჩვენ «უარესი შანსებით» მივდივართ, შენიშნავს გაზეთი, მოელის რა წმინდა მოხელეური სამინისტროს შექმნას. «აქ დასამტკიცებელიც არაფერია, — ამბობს «მოლვა», — ყველასათვის სავსებით ცხადია, რომ თუ მთავრობა არ ფიქრობს მნიშვნელობა დაუკარგოს სათათბიროს,

მაშინ იგი მოვალეა, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადააყენოს დურნოვო, ვიტე და აკიმოვი. და ასევე ცხადია, რომ თუ ეს არ ხდება, თუ ეს არ მოხდება, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ აპირებენ «ალაგმვისა და აღკვეთის» ჟანდარმული პოლიტიკის გამოყენებას ხალხის წარმომადგენლების მიმართაც, სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგაც. ხოლო საამისოდ, რა თქმა უნდა, უფრო გამოსადეგია ხალხის სისხლში ისედაც უკვე იდაყვებამდე გასვრილი ხელები. სავსებით ცხადია: თუ ბ-ნი დურნოვო რჩება ოპოზიციური სათათბიროს დროს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გარეკოს იგი. სხვა აზრი ამას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ეს ყველას ესმის. ესმის ბირჟასაც და საზღვარგარეთსაც». სათათბიროსათვის «წინააღმდეგობის გაწევა» ნიშნავს «სახელმწიფო გემის ფრიად მღელვარე მორევში ჩაშვებას» და სხვ., და სხვ.

ბოლოს, სურათის სრულსაყოფად მოვიყვანთ კიდევ 21 მარტის კადეტური «ნაშა ჟიზნის» შემდეგ ცნობას «ბიუროკრატიულ სფეროებზე», რომელთა შესახებაც ეს გაზეთი ცდილობს განსაკუთრებით გულმოდგინედ გააცნოს მკითხველს საქმის ვითარება:

«კ.-დ. პარტიის წარმატების სულ უფრო მეტად ზრდამ სფეროების ყურადღება მიიქცია. თავდაპირველად ამ წარმატებამ თითქოს ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია, მაგრამ ამჟამად მას უკვე სავსებით მშვიდად უყურებენ. კვირას ამ საკითხის გამო შესდგა მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელთა კერძო თათბირი, სადაც გამოირკვა ეს დამოკიდებულება და, გარდა ამისა, დასახულ იქნა, ასე ვთქვათ, ტაქტიკა. სხვათა შორის ფრიად დამახასიათებელი მოსაზრებანი გამოითქვა. ზოგიერთთა აზრით, კადეტების წარმატება მთავრობისათვის პირდაპირ ხელსაყრელია: ვინაიდან, თუ სათათბიროში მემარჯვენე ელემენტები გავლენ, ეს მხოლოდ ხელს შეუწყობდა უკიდურეს ჯგუფებს, რომლებსაც საშუალება მიეცემოდათ მიეთითებინათ სათათბიროს შემადგენლობაზე, სათათბიროს საწინააღმდეგო პროპაგანდა გაეწიათ და აღენიშნათ, რომ მისი რეაქციული შემადგენლობა ხელოვნურად არის შერჩეულიო; საზოგადოება მასობრივად სათათბიროს მით უფრო მეტის პატივისცემით მოეპყრობა, რაც უფრო მეტი იქნება იქ კადეტური პარტიის წარმომადგენლები. რაც შეეხება ტაქტიკას სათათბიროს მიმართ, უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ რაიმე «სიურპრიზების» შიშისათვის საფუძველი არ არსებობს «იმ ჩარჩოების გამო, რომლებშიც

სათათბიროა ჩაყენებულიო», როგორც ეს გულახდილად განაცხადა ერთ-ერთმა დამსწრემ. ამიტომ უმრავლესობა ფიქრობს სრულიად არ შეუშალოს ხელი სათათბიროს მომავალ წევრებს, «თუნდაც მათ კიდევაც გააკრიტიკონ მთავრობის ცალკეული პირნიო». ამას ძალიან ბევრი მოელის, და ბიუროკრატების საერთო აზრიც ამ მხრივ ასეთია: «დაე ილაპარაკონ»; «სამართალში მიცემა მოითხოვონ; შესაძლებელია, საქმეს მსვლელობაც მისცენ და სხვ., მერე კი თვითონ მათვე მოპბეზრდებათ; რა გამოვა აქედან, — ამასაც დავინახავთ; ამასობაში კი წევრებმა ხომ საქვეყნო საქმეებს უნდა მიხედონ — და ყველაფერი კალაპოტში ჩადგებაო. ხოლო თუ წევრები განიზრახავენ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებას, არც ამასა აქვს მნიშვნელობა; ბოლოს და ბოლოს მინისტრებს ხომ სათათბირო არ ნიშნავს». ამ საბუთებს, როგორც ამბობენ, დაუმშვიდებია თვით დურნოვოც და ვიტეც, რომელ-ნიც პირველ ხანებში შეაშფოთა კ.-დ. პარტიის წარმატებამ».

ამრიგად, თქვენს წინაშეა «საქმის» დაინტერესებულ უშუალო მონაწილეთა აზრი, შეხედულება და განზრახვა. ერთი მხრივ, ბრძოლის პერსპექტივები. კადეტები გვპირდებიან მთავრობის გაგდებას და ახალი სათათბიროს მოწვევას. მთავრობა აპირებს სათათბიროს გარეკვას, — და მაშინ «მღელვარე მღრეევი». მაშასადამე, საქმე ისაა, ვინ ვის გააგდებს, ან ვინ ვის გარეკავს. მეორე მხრივ, მორიგების პერსპექტივები. კადეტები ფიქრობენ, რომ შიპოვის სამინისტრო შესძლებდა მთავრობისა და საზოგადოების შეჯახების თავიდან აცილებას. მთავრობა ჰფიქრობს: დაე ილაპარაკონ, შესაძლებელია ვინმე სამართალშიც კი მისცენ, მინისტრებს ხომ სათათბირო არ ნიშნავსო. ჩვენ განგებ მოგვყავდა მარტოოდენ თვით გეშეფტის მონაწილეთა აზრები და მასთან მხოლოდ და მხოლოდ მათი სიტყვებით გამოხატული. ჩვენი მხრივ არაფერი დაგვიმატებია. დამატება — მოწმეთა ჩვენების შთაბეჭდილებას შეანელებდა. ამ ჩვენებათა მიხედვით კადეტური სათათბიროს დედაარსი შესანიშნავი სიცხადით იხატება.

ან ბრძოლა, და მაშინ იბრძოლებს არა სათათბირო, არამედ რევოლუციური ხალხი. სათათბიროს იმედი აქვს, რომ გამარჯვების ნაყოფს მოიმკის. ან მორიგება, და მაშინ, ყოველ შემთხვევაში, მოტყუებული დარჩება ხალხი, ე. ი. პროლეტარიატი

და გლეხობა. მორიგების პირობებზე საქმიანი ადამიანები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ნაადრევად არ ლაპარაკობენ, და მხოლოდ ცხარე «რადიკალებს» თუ წამოსცდებათ ზოგჯერ: აი, მაგალითად, მოხელური სამინისტროს შეცვლა «პატიოსანი ბურჟუას» შიპოვის სამინისტროთი, მაშინ შეიძლებოდა ორთავე მხარის უწყინარად მორიგება... მაშინ ძალიან, ძალიან მივუახლოვდებოდით კადეტების იდეალის განხორციელებას: პირველი ადგილი — მონარქიას; მეორე — მემამულეთა და მეფაბრიკეთა ზედა პალატას მისი მიმართულების შესაფერი შიპოვის სამინისტროთი; მესამე ადგილი — «სახალხო» სათათბიროს.

თავისთავად ცხადია, ეს ალტერნატივა, როგორც ყოველგვარი ვარაუდი სოციალური და პოლიტიკური მომავლის შესახებ, განვითარების მხოლოდ უმთავრეს და ძირითად ხაზებს სახავს. სინამდვილეში ხშირად ვხედავთ შერეულ გადაწყვეტილებებს, გადახლართულ ხაზებს, — ბრძოლას ცვლის მორიგება, მორიგებას ერთვის ბრძოლა. აი ბ-ნი მილიუკოვი «რეჩში» (პარასკევი, 24 მარტი) ასევე, სწორედ ასევე, მსჯელობს კადეტების უკვე გამორკვეული გამარჯვების პერსპექტივების შესახებ: ტყუილად გვთვლიან და გვაცხადებენ რევოლუციონერებადო. ყველაფერი გარემოებაზეა დამოკიდებული, ბატონებო, — ჭკუას ასწავლის ძალაუფლების მპყრობელთ ჩვენი «მომხიბლველი დიალექტიკოსი», — შიპოვიც ხომ 17 ოქტომბრამდე «რევოლუციონერი» იყოო. თუ მოისურვებთ და ღვთისნიერად, პატიოსნად მოგვირიგდებით, მაშინ რეფორმა და არა რევოლუცია; არ მოისურვებთ, და მაშინ, ალბათ, მოგვიხდება ცოტაოდენი ძალა დაგატანოთ ქვემოდან, ცოტაოდნად გაწვნიოთ რევოლუცია, შეგაშინოთ, რევოლუციური ხალხის რაიმე დარტყმით დაგაუძლუროთ, მაშინ უფრო დამთმობნი გახდებით, — და მორიგება ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი იქნება.

მაშასადამე, ამოცანის ელემენტები შემდეგნაირია. ხელისუფლების სათავეში დგას მთავრობა, რომელსაც აშკარად არ

ენდობა ბურჟუაზიის ფართო მასა და რომელიც სძულთ მუშებსა და შეგნებულ გლეხებს. მთავრობის ხელთაა ძალის უზარმაზარი იარაღები. სუსტი მხარე ერთია — ფული. და ესეც გამოურკვეველია: შეიძლება, კიდევ მოხერხდეს სესხის შოვნა სათათბირომდე. ჩვენი ვარაუდის თანახმად, მთავრობის წინააღმდეგ დგას კადეტური სათათბირო. რა სურს მას? მისი ფასი «შევაჭრებით» ცნობილია: ეს არის კადეტების პროგრამა, მონარქია და ზედა პალატა დემოკრატიული ქვედა პალატით. მისი ფასი შეუვაჭრებლად? — არ ვიცით. შიპოვის სამინისტროს მსგავსი თუ იქნება რამე... იგი, მართალია, პირდაპირი საარჩევნო უფლების წინააღმდეგია, მაგრამ არა უშავს რა, მაინც პატიოსანი კაცია... ალბათ, მოვრიგდებოდით. მისი ბრძოლის საშუალებებია: ფულის მოცემაზე უარის თქმა. ეს არ არის საიმედო საშუალება, რადგან, ჯერ ერთი, ფული, თითქოს, უსათათბიროდაც იქნება, ხოლო, მეორე, კანონით სათათბიროს უფლებები ფინანსური კონტროლის მხრივ მეტისმეტად უმწეოა. მეორე საშუალებაა: «რომ მათ გვესროლონ» — გახსოვთ, კატკოვი როგორ გამოხატავდა ლიბერალების დამოკიდებულებას მთავრობისადმი: დაუთმე, თორემ «ისინი» გვესვრიანო [66]. მაგრამ კატკოვის დროს «ისინი» მხოლოდ ერთ მუჭა გმირებს წარმოადგენდნენ; მათ სხვა არა შეეძლოთ რა, გარდა ცალკეულ პირთა მოკვლისა. ახლა «ისინი» — ეს არის პროლეტარიატის მთელი მასა, რომელმაც ოქტომბერში გვიჩვენა სრულიად რუსეთის მასშტაბით გასაოცრად ერთსულოვანი გამოსვლის უნარი, ხოლო დეკემბერში გვიჩვენა შეუპოვარი შეიარაღებული ბრძოლის უნარი. «ისინი» ახლა უკვე გლეხთა მასაცაა, რომელმაც გვიჩვენა უნარი რევოლუციური ბრძოლისა დაქსაქსული, შეუგნებელი, არაერთსულოვანი ფორმით, მაგრამ ამ მასაში იზრდება შეგნებულთა რიცხვი, რომელთაც უნარი შესწევთ, შესაფერ პირობებში, თავისუფალი სიოს ოდნავი წამოქროლვისას (ორპირი ქარისაგან დღეს თავის დაფარვა ძალიან ძნელია!) თან გაიყოლონ მილიონები. «მათ» უკვე შეუძლიათ არათუ მინისტრების მოკვლა. «მათ» შეუძლიათ

სრულიად აღგავონ მონარქიაც, ზედა პალატის ყოველგვარი ჭაჭანებაც, მემამულეთა მთელი მიწათმფლობელობაც და მუდმივი არმიაც კი. «მათ» არათუ ეს შეუძლიათ, «ისინი» აუცილებლად იზამენ ამას, თუ შესუსტდა სამხედრო დიქტატურის უღელი — ძველი წესწყობილების ეს უკანასკნელი თავშესაფარი, უკანასკნელი არა თეორიული გაანგარიშების მიხედვით, არამედ უკვე შეძენილი პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით.

ასეთია ამოცანის ელემენტები. თუ როგორ გადაწყდება იგი, აბსოლუტური სიზუსტით ამის წინასწარმეტყველება შეუძლებელია. თუ როგორ გვინდა ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, მისი გადაწყვეტა, როგორ გადაწყვეტს მას ყველა შეგნებული მუშა და შეგნებული გლეხი, ეს ეჭვს გარეშეა: უნდა მივისწრაფოდეთ გლეხთა აჯანყების სრული გამარჯვებისა და ნამდვილად დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვებისაკენ. როგორი იქნება კადეტების ტაქტიკა ამოცანის ასეთ მდგომარეობაში, როგორი უნდა იყოს ეს ტაქტიკა ცალკეულ პირთა ნებისა და შეგნების მიუხედავად, კაპიტალისტურ, თავისი განთავისუფლებისათვის მებრძოლ საზოგადოებაში წვრილი ბურჟუაზიის არსებობის ობიექტური პირობების გამო?

კადეტების ტაქტიკა აუცილებლად და გარდუვალად ის იქნება, რომ იქანაონ თვითმპყრობელობასა და რევოლუციური ხალხის გამარჯვებას შორის, საშუალება არ მისცენ არც ერთ მოწინააღმდეგეს გადაჭრით და საბოლოოდ გასრისოს მეორე. თუ თვითმპყრობელობა გადაჭრით და საბოლოოდ გასრესს რევოლუციას, კადეტები უძლურნი შეიქნებიან, რადგან მათი ძალა რევოლუციისაგან წარმომდგარი ძალაა. თუ რევოლუციური ხალხი, ე. ი. პროლეტარიატი და მემამულეთა მთელი მიწათმფლობელობის წინააღმდეგ აჯანყებული გლეხობა, გადაჭრით და საბოლოოდ გასრესენ თვითმპყრობელობას, მაშასადამე, აღგვიან მონარქიასაც და ყველა მის დანამატს, კადეტებიც უძლურნი იქნებიან, რადგან ყოველივე სიცოცხლისუნარიანი მყისვე ჩამოშორდება მათ და რევოლუციის ან

კონტრრევოლუციის მხარეზე გადავა, პარტიაში კი დარჩება ორიოდე კიზეველტერი, რომელნიც «დიქტატურაზე» ოხრავენ და ლათინურ ლექსიკონებში ეძებენ სათანადო ლათინური სიტყვების მნიშვნელობას. მოკლედ რომ ვთქვათ, კადეტების ტაქტიკა შეიძლება ასე გამოვხატოთ: უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ჰ ყ ო ნ კ ა დ ე ტ ე ბ ი ს პ ა რ ტ ი ი ს ა თ ვ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ხ ა ლ ხ ი ს მ ხ ა რ ი ს დ ა ჭ ე რ ა. სიტყვა «მხარის დაჭერა» უნდა გამოხატავდეს რევოლუციური ხალხის სწორედ ისეთ მოქმედებას, რომელიც, ერთი მხრივ, სავსებით უნდა ექვემდებარებოდეს კადეტების პარტიის ინტერესებს, მის მითითებებს და სხვ., და რომელიც, მეორე მხრივ, არ იქნება მეტისმეტად გადამწყვეტი, შეტევითი, და, რაც მთავარია, არ იქნება მეტისმეტად მძლავრი მოქმედება. რევოლუციური ხალხი არ უნდა იყოს დამოუკიდებელი, — ეს ერთი, და მან არ უნდა გაიმარჯვოს საბოლოოდ, არ უნდა გაანადგუროს თავისი მტერი, — ეს მეორე. საერთოდ და მთლიანად, ამ ტაქტიკას აუცილებლად გაატარებს მთელი კადეტური პარტია და ყოველგვარი კადეტური სათათბირო, ამასთანავე, რასაკვირველია, ამ ტაქტიკას დაასაბუთებენ, დაიცავენ, გაამართლებენ «მეცნიერულ» გამოკვლევათა *, «ფილოსოფიურ» ბუნდოვანებათა, პოლიტიკურ (თუ პოლიტიკანურ) უხამსობათა, «ლიტერატურულ-კრიტიკული» წკმუტუნის (à la ** ბერდიაევისა) და სხვ., და სხვ. მთელი მდიდარი იდეოლოგიური ბაგაჟით.

პირიქით, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია ამჟამად თავისი ტაქტიკა განსაზღვროს დებულებით: მხარი დავუჭიროთ კადეტურ პარტიას და კადეტურ სათათბიროს. ასეთი ტაქტიკა არასწორი და სრულიად უვარგისი იქნებოდა.

რასაკვირველია, გვიპასუხებენ: როგორ? თქვენ უარყოფთ იმას, რაც აღიარებულია თქვენი პროგრამითაც და მთელი

* მსგავსად ბ-ნ კიზეველტერის გამოკვლევისა, რომელმაც აღმოაჩინა, რომ დიქტატურა ლათინურად გაძლიერებულ დაცვას ნიშნავსო.

** — მსგავსად. რ ე დ.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მიერაც? სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის მიერ რევოლუციური და ოპოზიციური ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის მხარის დაჭერას? ეს ხომ ანარქიზმი, უტოპიზმი, მეამბოხეობა, უაზრო რევოლუციონიზმიაო.

მოითმინეთ, ბატონებო. ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა მოგაგონოთ, რომ ჩვენს წინაშეა არა საერთოდ ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის მხარის დაჭერის ზოგადი, აბსტრაქტული საკითხი, არამედ სწორედ კადეტური პარტიისა და სწორედ კადეტური სათათბიროსათვის მხარისდაჭერის კონკრეტული საკითხი. ჩვენ არ უარვყოფთ ზოგად დებულებას, მაგრამ მოვითხოვთ ამ საერთო პრინციპების კონკრეტული გამოყენების პირობათა განსაკუთრებულ ანალიზს. აბსტრაქტული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია. ამას ივიწყებს, მაგალითად, პლეხანოვი, როდესაც უკვე არა ერთხელ აყენებს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს ტაქტიკას: «რეაქცია ცდილობს ჩვენი იზოლაცია მოახდინოს. ჩვენ უნდა ვეცადოთ რეაქციის იზოლაცია მოვახდინოთ». ეს სწორი დებულებაა, მაგრამ იგი სასაცილოდ ზოგადია: იგი თანაბრად ეხება 1870 წლის რუსეთსაც, 1906 წლის რუსეთსაც და საერთოდ რუსეთსაც, აფრიკასაც, ამერიკასაც, ჩინეთსაც და ინდოეთსაც. იგი არც არაფერს ამბობს და არც არაფერს გვაძლევს, რადგან მთელ ამოცანას იმის განსაზღვრა შეადგენს, თუ რა არის რეაქცია და სახელდობრ ვისთან, სახელდობრ როგორ უნდა გავერთიანდეთ (ან თუ არ გავერთიანდებით, შევუთანხმოთ ჩვენი მოქმედება), რათა რეაქციის იზოლაცია მოვახდინოთ. პლეხანოვს ეშინია კონკრეტული მითითება მოგვცეს, ხოლო სინამდვილეში, პრაქტიკაში მისი ტაქტიკა, როგორც უკვე ცხადვყავით, იმაში მდგომარეობს, რომ საარჩევნო კარტელები შევქმნათ სოციალ-დემოკრატებსა და კადეტებს შორის, რომ სოციალ-დემოკრატიამ მხარი დაუჭიროს კადეტებს.

კადეტები რეაქციის წინააღმდეგნი არიან? ვიღებ ჩემს მიერ უკვე ციტირებულ «მოლვის» მეთვრამეტე ნომერს 22 მარტის თარიღით. კადეტებს სურთ მთავრობის გაგდება. ეს ჩინებულია, ეს რეაქციის საწინააღმდეგოა. კადეტებს სურთ თვითმპყრობელურ მთავრობას მოურიგდნენ შიპოვის სამინისტროს შექმნით * ეს ცუდია. ეს რეაქციის ერთ-ერთი უცუდესი სახეა. თქვენ ხედავთ, ბატონებო: აბსტრაქტული დებულებით, ცარიელი ფრაზით რეაქციის შესახებ თქვენ ჯერ კიდევ ერთ ნაბიჯსაც ვერა დგამთ წინ.

კადეტები ბურჟუაზიულ დემოკრატიას წარმოადგენენ? მართალია. მაგრამ გლეხთა მასა, რომელიც მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციას მოითხოვს, ე. ი. იმას, რაც კადეტებს არა სურთ, ესეც ხომ ბურჟუაზიული დემოკრატიაა. ბურჟუაზიული დემოკრატიის როგორც ერთი, ისე მეორე ნაწილის პოლიტიკური მოქმედების ფორმებიც და შინაარსიც სხვადასხვანაირია. სახელდობრ ამჟამად რომელი მათგანისათვის მხარის დაჭერას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის? შეგვიძლია თუ არა ჩვენ, **საერთოდ** რომ **თქვათ**, დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში მხარი დავუჭიროთ პირველს? განა ეს მეორისადმი ღალატი არ იქნებოდა? ან, იქნებ, თქვენ უარყოფთ იმას, რომ კადეტებს, რომელნიც მზად არიან პოლიტიკაში შიპოვს დასჯერდნენ, შეუძლიათ აგრარულ საკითხში კაუფმანს დასჯერდნენ? ხომ ხედავთ, ბატონებო: აბსტრაქტული დებულებით, ცარიელი ფრაზით ბურჟუაზიული დემოკრატიის შესახებ თქვენ ჯერ კიდევ ერთ ნაბიჯსაც ვერა დგამთ წინ.

* შეიძლება, მითხრან: ეს ტყუილია. ეს მხოლოდ სისულელე წამოროშა უბედმა «მოლვამ». გთხოვთ მაპატიოთ: ჩემი აზრით, ეს მართალია. უბედმა «მოლვამ» სიმართლე წამოროშა, — რა თქმა უნდა, დაახლოებითი და არა სიტყვასიტყვით ზუსტი სიმართლე. ვინ გადაწყვეტს ჩვენს დავას? კადეტების განცხადებებზე მითითება? მაგრამ პოლიტიკაში მე სიტყვას არავის ვუჯერებ. კადეტების საქმეები? დიახ, ამ კრიტერიუმს მე ვუჯერი. და ვინც კადეტების მთელ პოლიტიკურ საქციელს განიხილავს საერთოდ და მთლიანად, მან უნდა აღიაროს, რომ «მოლვის» მიერ ნათქვამი ძირითადად სიმართლეს შეეფერება.

— მაგრამ კადეტები ერთიანი, ძლიერი, სიცოცხლის უნარიანი საპარლამენტო პარტიაა!

ტყუილია. კადეტები არ არიან არც ერთიანი, არც ძლიერი, არც სიცოცხლის უნარიანი და არც საპარლამენტო პარტია. ისინი ერთიანნი არ არიან, რადგან მათ ხმა მისცა მრავალმა ისეთმა ადამიანმა, რომელთაც უნარი შესწევთ ბოლომდე ბრძოლისა და არა მარტო მორიგებისა. ისინი ერთიანნი არ არიან, რადგან მათი სოციალური დასაყრდენი შინაგანად წინააღმდეგობრივია: დაწყებული დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიით კონტრრევოლუციურ მემამულემდე. ისინი ძლიერნი არ არიან, რადგან, როგორც პარტიას მათ არა სურთ და არც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ იმ გამწვავებულ, აშკარა სამოქალაქო ომში, რომელიც რუსეთში გაჩაღდა 1905 წლის დამლევს და რომელსაც ყველა შანსი აქვს ახლო მომავალში ხელახალი ენერგიით იფეთქოს. ისინი არ არიან სიცოცხლის უნარიანი, რადგან მათი იდეალი კიდეც რომ განხორციელდეს, ამ იდეალის მიხედვით შექმნილ საზოგადოებაში გაბატონებული ძალა ისინი კი არ იქნებიან, არამედ «სურიოზული» ბურჟუაზიული შიპოვები, გუჩკოვები. ისინი არ წარმოადგენენ საპარლამენტო პარტიას, რადგან ჩვენ პარლამენტი არა გვაქვს. ჩვენ არა გვაქვს კონსტიტუცია, გვაქვს მხოლოდ კონსტიტუციური თვითმპყრობელობა, გვაქვს მხოლოდ კონსტიტუციური ილუზიები, რაც განსაკუთრებით მავნეა გამწვავებული სამოქალაქო ომის ეპოქაში და რასაც განსაკუთრებით გულმოდგინედ ავრცელებენ კადეტები.

და აი ჩვენ აქ საკითხის ცენტრალურ პუნქტს მივადექით. რუსეთის რევოლუციის თანამედროვე მომენტის თავისებურებანი სწორედ ისეთია, რომ ობიექტური პირობები წინა რიგში აყენებს პარლამენტარიზმისათვის გადამწყვეტ პარლამენტგარეშე ბრძოლას, ამიტომ ასეთ მომენტში იმაზე უფრო მავნე და საშიში არა არის რა, როგორც კონსტიტუციური ილუზიები და პარლამენტარიზმობანას თამაში. ასეთ მომენტში «საპარლამენტო» ოპოზიციის პარტიები შეიძლება უფრო

მავნე და საშიში იყვნენ, ვიდრე აშკარა და სავსებით რეაქციული პარტიები: ეს დებულება შეიძლება მხოლოდ იმას მოეჩვენოს პარადოქსად, ვისაც დიალექტიკური აზროვნების უნარი სრულიად არა აქვს. მართლაცდა: თუ ხალხის უფართოეს მასებში პარლამენტარიზმის მოთხოვნა სავსებით მომწიფებულია, თუ ეს მოთხოვნა ემყარება აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-ეკონომიურ საუკუნოებრივ ევოლუციას, თუ პოლიტიკურმა განვითარებამ პირისპირ მიგვიყვანა ამ მოთხოვნის განხორციელებასთან, რაღა უნდა იყოს ამ მოთხოვნის თვალთმაქცურად განხორციელებაზე უფრო საშიში და მავნე? აშკარა ანტიპარლამენტარიზმი საშიში არ არის. იგი სასიკვდილოდ არის განწირული. იგი მოკვდა. მისი გამოცოცხლების ცდები მხოლოდ საუკეთესოდ მოქმედებს მოსახლეობის ყველაზე ჩამორჩენილი ფენების გარეევოლუციურებაზე. თვითმპყრობელობის შენარჩუნების ერთადერთ შესაძლებელ საშუალებად «კონსტიტუციური თვითმპყრობელობა», კონსტიტუციური ილუზიების შექმნა და გავრცელება ხდება. ეს არის თვითმპყრობელობის ერთადერთი სწორი, ერთადერთი გონივრული პოლიტიკა.

და მეც ვამტკიცებ, რომ ამ გონივრულ თვითმპყრობელურ პოლიტიკას ამჟამად კადეტები უფრო მეტად უწყობენ ხელს, ვიდრე «მოსკოვსკიე ვედომოსტი». აიღეთ, მაგალითად, დავა ამ უკანასკნელსა და ლიბერალურ პრესას შორის საკითხზე, არის თუ არა რუსეთი კონსტიტუციური მონარქია. არ არისო, ამბობს «მოსკოვსკიე ვედომოსტი». დიახ, არისო, ერთხმად ამბობენ კადეტური გაზეთები. ამ დავაში «მოსკოვსკიე ვედომოსტი» პროგრესულია, ხოლო კადეტური გაზეთები რეაქციული, რადგან «მოსკოვსკიე ვედომოსტი» მართალს ამბობს, ილუზიებს ამხელს, **aussprechen was ist** *, ხოლო კადეტები ამბობენ ტყუილს, — კეთილგანმზრახველ, კეთილმოსურნე, გულწრფელად სინდისიერ, ლამაზ, მწყობრ, მეცნიერულად შელამაზებულ, კიზევეტერულად შეფერადებულ, სა-

* — ამბობს იმას, რაც არის. რ ე დ.

ლონურად ზრდილობიან, მაგრამ მაინც ტყუილს. და ბრძოლის ახლანდელ მომენტში, — ამ მომენტის ობიექტური პირობების გამო, — იმაზე უფრო საშიში, უფრო მავნე არა არის რა, როგორც ამგვარი ტყუილი.

ცოტას გადავუხვევ. ამას წინათ მე მომიხდა პოლიტიკური რეფერატით გამოსვლა ერთი მეტად განათლებული და უაღრესად თავაზიანი კადეტის ბინაზე. შევეკამათეთ ერთმანეთს. წარმოიდგინეთო, მეუბნებოდა მასპინძელი, რომ ჩვენს წინაშეა ნადირი, ლომი, ხოლო ჩვენ ორი, გასაგლეჯად მიგდებული მონა ვართ. განა უადგილო არაა ამ დროს დავა ჩვენს შორის? განა ვალდებულნი არა ვართ გავერთიანდეთ ამ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, «რეაქციის იზოლაცია მოვახდინოთ», როგორც მშვენივრად ამბობს ყველაზე ბრძენი და ყველაზე შორსმჭვრეტელი სოციალ-დემოკრატი, გ. ვ. პლეხანოვი? — მაგალითი კარგია, და მას ვღებულობ — ვუპასუხე მე. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ამ ორი მონიდან ერთი გვირჩევს: იარაღი მოვიმარაგოთ და ლომს თავს დავესხათო, ხოლო მეორე სწორედ ბრძოლის დროს ათვალიერებს ლომზე ჩამოკიდებულ სამკერდე ნიშანს წარწერით — «კონსტიტუცია», და გაჰყვირის: «მე წინააღმდეგი ვარ ძალადობისა როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ», «მე საპარლამენტო პარტიის წევრი ვარ, მე კონსტიტუციურ ნიადაგზე ვდგავარო». განა არ შეიძლება ლომის ლეკვი, რომელიც ლომის ნამდვილ მიზნებს წამოროშავს ხოლმე, ასეთ პირობებში მასების უფრო სასარგებლო განმანათლებელი და პოლიტიკური და კლასობრივი შეგნების გამავითარებელი იყოს, ვიდრე ლომის საჯიჯგნად ქცეული მონა, რომელიც სამკერდე ნიშნისადმი რწმენას ავრცელებს?

მთელი დედაარსიც სწორედ იმაშია, რომ სოციალ-დემოკრატიის მხრივ ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის მხარის დაჭერაზე მოარული მსჯელობის დროს ზოგად, აბსტრაქტულ დებულებათა გამო ძალიან ხშირად ავიწყდებათ კონკრეტული მომენტის თავისებურებანი, როდესაც მწიფდება გადამწყვე-

ტი ბრძოლა პარლამენტარიზმისათვის და როდესაც პარლამენტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი თვითმპყრობელური მთავრობის მხრივ პარლამენტარიზმობანას თამაშია. ასეთ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ მოგველის საბოლოო პარლამენტგარეშე ბრძოლა, მუშათა პარტიის ამოცანად საპარლამენტო შემთანხმებელთა პარტიისათვის, კონსტიტუციურ ილუზიათა პარტიისათვის მხარის დაჭერის დასახვა პირდაპირ საბედისწერო შეცდომა იქნებოდა, თუ დანაშაული არა პროლეტარიატის წინაშე.

წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთში ჩამოყალიბებული პარლამენტური წყობილება გვაქვს. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ პარლამენტი უკვე მმართველ კლასთა და ძალთა ბატონობის მთავარ ფორმად იქცა, უკვე სოციალურ-პოლიტიკურ ინტერესთა ბრძოლის მთავარ ასპარეზად იქცა. რევოლუციური მოძრაობა ამ სიტყვის უშუალო მნიშვნელობით არ არის, ეკონომიური და სხვა პირობები არ იწვევს რევოლუციურ აფეთქებას მოცემულ, ე. ი. ჩვენს მიერ ნავარაუდევ, მომენტში. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ვერავითარი რევოლუციური დეკლამაცია რევოლუციას ვერ «გამოიწვევდა». ასეთ პირობებში საპარლამენტო ბრძოლაზე ხელის აღება სოციალ-დემოკრატიისათვის სრულიად შეუწყნარებელი იქნებოდა. მუშათა პარტიას უაღრესად სერიოზულად უნდა მოეკიდა ხელი პარლამენტარიზმისათვის, მონაწილეობა უნდა მიეღო «სათათბიროს» არჩევნებში და თვით «სათათბიროშიც», მთელი თავისი ტაქტიკა უნდა დაეპორჩილებინა საპარლამენტო სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნისა და წარმატებითი მოქმედების პირობებისათვის. მაშინ პარლამენტში კადეტების პარტიისათვის მხარის დაჭერა მასზე მარჯვნივ მდგომ ყველა პარტიის წინააღმდეგ ჩვენი უეჭველი მოვალეობა იქნებოდა. მაშინ ამ პარტიასთან საარჩევნო შეთანხმებისა და არჩევნებში, ვთქვათ, საგუბერნიო საარჩევნო კრებებზე (არაპირდაპირი არჩევნების დროს) ერთად გამოსვლის წინააღმდეგ წასვლაც უეჭველად შეუძლებელი იქნებოდა.

უფრო მეტიც. მაშინ ჩვენი ვალდებულება იქნებოდა პარლამენტში სოციალ-დემოკრატების მხრივ შიპოველებისათვის მხარის დაჭერაც კი ნამდვილი და აშკარა რეაქციონერების წინააღმდეგ: რეაქცია ცდილობს ჩვენი იზოლაცია მოახდინოს. — ვიტყოდით მაშინ, — ჩვენ უნდა ვეცადოთ რეაქციის იზოლაცია მოვახდინოთ.

ახლა კი ლაპარაკიც შეუძლებელია იმაზე, რომ რუსეთში ჩამოყალიბებული, საყოველთაოდ აღიარებული, ნამდვილი პარლამენტური რეჟიმი არსებობდეს. ამჟამად რუსეთში მმართველ კლასთა და სოციალურ ძალთა ბატონობის მთავარი ფორმა აშკარად არაპარლამენტური ფორმაა, სოციალურ-პოლიტიკურ ინტერესთა ბრძოლის მთავარი ასპარეზი პარლამენტი არ არის. ასეთ პირობებში საპარლამენტო შემთანხმებელთა პარტიისათვის მხარის დაჭერა მუშათა პარტიის თვითმკვლელობა იქნებოდა — და, პირიქით, მხარის დაჭერა ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის, რომელიც მოქმედებს არაპარლამენტურად, თუნდაც სტიქიურად, დაქსაქსულად, შეუგნებლად (მსგავსად გლეხთა ამბოხებებისა), პირველ რიგში დგება, იქცევა სერიოზულ ნამდვილ საქმედ, რომელსაც უნდა ღავუქვემდებაროთ ყოველივე დანარჩენი... ასეთ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში აჯანყება რეალობაა; პარლამენტარიზმი სათამაშოა, ბრძოლის არაარსებითი ასპარეზია, — მისატყუებელი უფროა, ვიდრე ნამდვილი დათმობა. მაშასადამე, საქმე სრულიადაც ის კი არ არის, რომ ჩვენ უარვყოფდეთ ან სათანადოდ ვერ ვაფასებდეთ პარლამენტარიზმს, — და პარლამენტარიზმის შესახებ ზოგადი ფრაზებით ჩვენი პოზიცია სრულიადაც არ ილახება. საქმე დემოკრატიული რევოლუციის სწორედ ახლანდელი მომენტის კონკრეტული ვითარებაა, როდესაც ბურჟუაზიის შემთანხმებლები, როდესაც ლიბერალური მონარქისტები თვითონ არ უარყოფენ იმის შესაძლებლობას, რომ დურნოვო პირდაპირ გარეკავს სათათბიროს, ანდა კანონი ამ სათათბიროს მნიშვნელობას საბოლოოდ ნულამდე დაიყვანსო, და მიუხედავად ამისა პარლამენტარიზმს

სერიოზულ საქმედ აცხადებენ, ხოლო აჯანყებას — უტოპიად, ანარქიზმად, მეამბოხეობად, უძლურ რევოლუციონარიზმად და ათას სხვა რამედ, როგორც ყველა ეს კიზევეტერი, მილიუკოვი, სტრუვე, იზგოევი და მეშჩანობის სხვა გმირები ამბობენ.

წარმოიდგინეთ, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მონაწილეობა მიიღო სათათბიროს არჩევნებში. გავიყვანეთ სოციალ-დემოკრატ ამრჩევლების განსაზღვრული რაოდენობა. შავრაზმელთა გამარჯვების თავიდან ასაცილებლად მოგვიხდება (რაკი არჩევნების ამ უაზრო კომედიაში ჩავებით) მხარი დავუჭიროთ კადეტებს. სოციალ-დემოკრატიული პარტია საარჩევნო შეთანხმებას სდებს კადეტებთან. კადეტების დახმარებით სათათბიროში გადის სოციალ-დემოკრატთა განსაზღვრული რიცხვი. იბადება კითხვა, ეღირებოდა კი ჩიტი ბდღვნად? მოვიგებდით თუ წავაგებდით ამ საქმეში? ჯერ ერთი, ჩვენ ვერ შევძლებდით ფართოდ გაგვეცნო მასებისათვის სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისით კადეტებთან ჩვენი საარჩევნო შეთანხმებათა პირობები და ხასიათი. კადეტური გაზეთები ასი ათას და მილიონ ეგზემპლარებად გაავრცელებდნენ ბურჟუაზიულ სიცრუეს და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების ბურჟუაზიულ გაყალბებას. ჩვენი ფურცლები, ჩვენი შენიშვნები ცალკეულ განცხადებებში წვეთი იქნებოდა ზღვაში. ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ჩვენ კადეტების სწორედ უხმო დანამატად გადავიქცეოდით. მეორე, შეთანხმების დადებით ჩვენ, უსათუოდ, ჩუმად თუ აშკარად და ფორმალურად, — ეს სულ ერთია, — პროლეტარიატის წინაშე ვიკისრებდით ერთგვარ პასუხისმგებლობას კადეტებისათვის, იმისათვის, რომ კადეტები ყველა დანარჩენზე უკეთესნი არიან, იმისათვის, რომ მათი კადეტური სათათბირო ხალხს დაეხმარება, მთელი მათი კადეტური პოლიტიკისათვის. შეეძლებდით თუ არა შემდგომი «გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი თ» პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნას კადეტების ამა თუ იმ ნაბიჯისათვის, —ეს კიდევ საკითხია, თანაც განცხადებები განცხა-

დებებად დარჩებოდა, ხოლო საარჩევნო შეთანხმების ფ ა ქ ტ ი უკვე გვექნებოდა. და განა ჩვენ გვაქვს საფუძველი თუნდაც რაოდენადმე, თუნდაც არაპირდაპირ ვიკისროთ პროლეტარიატისა და გლეხთა მასის წინაშე კადეტების თავდებობა? განა კადეტებმა ათასგვარი საბუთი არ მოგვცეს, რომ ისინი ჰგვანან სწორედ იმ გერმანელ კადეტ პროფესორებს, სწორედ იმ «ფრანკფურტელ ფრაზიორებს», რომელთაც არათუ სათათბირო, არამედ ეროვნული დამფუძნებელი კრებაც კი რევოლუციის განვითარების იარაღიდან რევოლუციის დაჩლუნგების, რევოლუციის (მორალური) ჩახრჩობის იარაღად აქციეს? კადეტური პარტიისათვის მხარის დაჭერა სოციალ-დემოკრატიის შეცდომა იქნებოდა, და ჩვენი პარტია კარგად მოიქცა, სათათბიროს არჩევნებს რომ ბოიკოტი გამოუცხადა.

კადეტური პარტიისათვის მხარის დაჭერა ახლაც შეუძლებელია სოციალ-დემოკრატიის ამოცანა იყოს. კადეტურ სათათბიროს ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ. შემთანხმებელნი და მტრის მხარეზე გადასულნი ომის დროს შეიძლება მტერზე უფრო საშიშნიც კი იყვნენ. შიპოვი, ყოველ შემთხვევაში, თავის თავს «დემოკრატს» არ უწოდებს, და მას არ გაჰყვება «გლეხი», რომელსაც «სახალხო თავისუფლება» სურს. ხოლო თუ «სახალხო თავისუფლების» პარტია, მას შემდეგ, რაც მან დასდო ესა თუ ის ხელშეკრულება კადეტებისა და სოციალ-დემოკრატების ურთიერთდახმარებაზე, შეუთანხმდებოდა თვითმპყრობელობას დამფუძნებელი კრების იმავე შიპოვის სამინისტროთი შეცვლის შესახებ, — ანდა თავის «მოღვაწეობას» მხოლოდ მყვირალა სიტყვებით და მაღალფარდოვანი რეზოლუციებით ამოსწურავდა, ჩვენ მეტად ყალბ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით.

ამჟამად მუშათა პარტიას კადეტებისათვის მხარის დაჭერა რომ დავუსახოთ ამოცანად, — ეს იგივე იქნებოდა, რომ ორთქლის ამოცანად გამოეცხადებინათ არა გემის მანქანის ამოძრავება, არამედ იმის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რომ გემს შეეძლოს სტვენა. ქვაბებში თუ ორთქლი იქნება, —

სასტვენებიც დაისტვენენ. რევოლუციას თუ ძალა ექნება, — კადეტებიც დაისტვენენ. სტვენის გაყალბება შეიძლება, და პარლამენტარიზმისათვის ბრძოლის ისტორიაში ხალხის თავისუფლების ბურჟუაზიულ გამცემლებს ბევრჯერ ყალბი სტვენა აუტეხიათ და მოუტყუებიათ გულუბრყვილო ადამიანები, რომელნიც ნდობით მოჰკიდებიან ყოველგვარ «პირველ საწარმომადგენლო კრებებს».

ჩვენს ამოცანას შეადგენს არა კადეტური სათათბიროსათვის მხარის დაჭერა, არამედ ამ სათათბიროს შიგნით მომხდარი და ამ სათათბიროსთან დაკავშირებული კონფლიქტების გამოყენება მტერზე თავდასასხმელად, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აჯანყებისათვის საუკეთესო მომენტის შესარჩევად. ჩვენ უნდა შეეფარდოთ იმას, თუ როგორ იზრდება პოლიტიკური კრიზისი სათათბიროში და სათათბიროს ირგვლივ. საზოგადოებრივი სულისკვეთებისათვის ანგარიშის გასაწევად, «დუღილის მომენტის» უფრო სწორად და ზუსტად გასარკვევად სათათბიროს მთელ ამ კამპანიას უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენთვის, მაგრამ მნიშვნელობა სიმპტომისა და არა ბრძოლის რეალური ასპარეზისა. კადეტურ სათათბიროს კი არ დავუჭერთ ჩვენ მხარს, კადეტურ პარტიას კი არ უნდა გავუწიოთ ანგარიში, არამედ ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და განსაკუთრებით გლეხობის იმ ელემენტებს, რომლებიც, ხმას მისცემენ რა კადეტებს, აუცილებლად გულს აიცრუებენ კადეტებზე და ბრძოლის გუნებაზე დადგებიან, — და ეს მით უფრო ჩქარა მოხდება, რაც უფრო გადაჭრით გაიმარჯვებენ კადეტები სათათბიროში. ჩვენი ამოცანაა — მუშების ორგანიზაციის მიზნით, კონსტიტუციურ ილუზიათა მხილების მიზნით, სამხედრო შეტევის მომზადების მიზნით გამოვიყენოთ ვადის მთელი ის გახანგრძლივება, რასაც ოპოზიციური სათათბირო გვაძლევს (ჩვენთვის ვადის ეს გახანგრძლივება მეტად ხელსაყრელია, რადგან პროლეტარიატმა კარგად უნდა მოიკრიბოს ძალები). ჩვენი ამოცანაა — ჩვენს პოსტზე ვიყოთ იმ მომენტში, როდესაც

სათათბიროს კომედია ახალ დიდ პოლიტიკურ კრიზისად გადაიქცევა, და მაშინ მიზნად დავისახავთ არა კადეტებისათვის მხარის დაჭერას (საუკეთესო შემთხვევაში ისინი რევოლუციური ხალხის მხოლოდ სუსტი საყვირი იქნებიან), არამედ თვითმპყრობელური მთავრობის დამხობას და ძალაუფლების გადასვლას რევოლუციური ხალხის ხელში. თუ აჯანყებაში პროლეტარიატი და გლეხობა გაიმარჯვებენ, მაშინ კადეტური სათათბირო რამდენიმე წუთში ხელს მოაწერს ქაღალდს იმ რევოლუციური მთავრობის მანიფესტის მიღების შესახებ, რომელიც საყოველთაო სახალხო დამფუძნებელ კრებას მოიწვევს. თუ აჯანყება ჩაახშეს, — ბრძოლით ღონემიხდილი გამარჯვებული მხარე, შეიძლება, იძულებული გახდეს ძალაუფლების მთელი ნახევარი გაუზიაროს კადეტურ სათათბიროს, რომელიც ქადას მიუჯდება და სინანულის რეზოლუციას მიიღებს შეიარაღებული აჯანყების «სიგიჟის» გამო ისეთ მომენტში, როდესაც ნამდვილი კონსტიტუციური წყობილება ასე შესაძლებელი, ასე ახლოს იყოო... თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოფრინდება.

V.

კადეტური თვითკმაყოფილების ნიმუში

კადეტების გამარჯვებათა და მუშათა პარტიის ამოცანათა შესაფასებლად ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსეთის რევოლუციის წინა პერიოდის ანალიზს ახლანდელ პერიოდთან მისი ურთიერთდამოკიდებულების მხრივ. უმრავლესობისა და უმცირესობის ტაქტიკური რეზოლუციების გამოქვეყნებული პროექტები განსაზღვრავენ აზროვნების ორ ხაზს, ორ მიმართულებას, დაკავშირებულთ ამ შეფასების სხვადასხვანაირ საშუალებებთან. მივუთითებთ რა მკითხველს ამ რეზოლუციებზე, ჩვენ განზრახვა გვაქვს შევჩერდეთ აქ კადეტურ გაზეთ «ნაშა ჟიზნში» მოთავსებულ ერთ სტატიაზე. ეს სტატია, დაწერილი პირველი მენშევიკური რეზოლუციის გამო, მეტისმეტად ბევრ მასალას იძლევა კადეტურ სათათ-

ბიროზე ჩვენს მიერ ზემოთ ნათქვამის შესამოწმებლად, შესავსებად და განსამარტებლად. ამიტომ ჩვენ ამ სტატიას მთლიანად მოვიყვანთ (რ. ბ ლ ა ნ კ ი. «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საჭირბოროტო საკითხებისათვის», «ნაშა ჟიზნ», 1906 წელი, № 401, 23 მარტი):

«რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის «მენშევიკური» ფრაქციის ამ დღეებში გამოქვეყნებული რეზოლუცია პარტიულ ტაქტიკაზე მეტად საგულისხმო დოკუმენტს წარმოადგენს. იგი მოწმობს, რომ რუსეთის რევოლუციის პირველი პერიოდის მძიმე გაკვეთილებს უკვალოდ არ ჩაუვლია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის იმ ნაწილისათვის, რომელიც ყ ვ ე ლ ა ზ ე გ რ ძ ნ ო ბ ი ე რ ი ა სინამდვილის მოთხოვნებისადმი და ყველაზე მეტად გამსჭვალულია მეცნიერული სოციალიზმის პრინციპებით. ა ხ ა ლ ი ტ ა ქ ტ ი კ ა, ფორმულირებული ამ რეზოლუციაში, მ ი ი ს წ რ ა ფ ი ს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა წ ა რ მ ა რ თ ო ს ი მ გ ზ ი თ, რ ო მ ლ ი თ ა ც მ ი ი მ ა რ თ ე ბ ა მ თ ე ლ ი ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ევრმანიის დიადი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობით. ვამბობ «ა ხ ა ლ ი ტ ა ქ ტ ი კ ა»; ეს სავსებით ზუსტი არ არის, რადგან ეს ტაქტიკა მრავალი მხრით არის დაბრუნება ძველი პრინციპებისადმი, რომელნიც საფუძვლად დაუდეს მას რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დაარსებისთანავე მისმა დამფუძნებლებმა, შემდეგ მრავალჯერ განავითარეს მისმა თეორეტიკოსებმა და პუბლიცისტებმა და რომელთაც აღიარებდა რუსეთის რევოლუციის დაწყებამდე თითქმის ყველა რუსი სოციალ-დემოკრატი. მაგრამ ისინი მივიწყებულნი იყვნენ. რევოლუციურმა გრიგალმა მთელი ჩვენი სოციალ-დემოკრატია მსუბუქი ბუმბულივით აიტაცა და თავბრუდამხვევი სისწრაფით გააქროლა იგი; მყისვე თვალთაგან გაქრა ყველა სოციალ-დემოკრატიული და მარქსისტული პრინციპი და იდეა, ასეთი ერთგულებითა და გულმოდგინებით რომ ამუშავებდნენ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, თითქოს ეს იყო მხოლოდ მსუბუქი მტვერი, თხელ ფენად გადაკრული ზედაპირზე; თვით სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის საფუძვლები სულ ერთიანად შეირყა და, თითქოს, ძირფესვიანად ამოგლეჯილ იქნა.

მაგრამ გრიგალმა იტრიალა და იმავე ადგილას დაცხრა, და სოციალ-დემოკრატიაც თავის გამოსავალ წერტილს დაუბრუნდა. გრიგალის ძალაზე შეიძლება იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, რომ მან თან გაიტაცა თვით პარვუსიც, როგორც ამას თვითონ აღიარებს; ვინც პარვუსს იცნობს და იცის, რა ძნელია მისი დაძვრა, მიხვდება, რას ნიშნავს ეს... «რევოლუციური ნიაღვარი შეუკავებლად წინ მიგვაქანებდა», — ამბობს პარვუსი თავის ცნობილ ბროშურაში. «ჩვენ მხოლოდ სიმები ვიყავით იმ ქნარისა, რომელზედაც რე-

ვოლუციის გრიგალი უკრავდა», — შენიშნავს იგი იმავე ბროშურის მეორე ადგილას; ესეც სრულიად სწორია და სავსებით გვიხსნის, თუ ამ დროის სოციალ-დემოკრატიული მუსიკა რატომ ასე ნაკლებად მოგვაგონებდა ბეთ-ჰოვენის, ბახის, თუ — მარქსის სიმფონიებს. ყოველგვარი თეორიები, პრინ-ციპები, თვით აზრიც და უბრალო გონიერებაც კი უკანა რიგში დგება, თით-ქმის კულისებს იქით ჰქრება, როდესაც სცენაზე გამოდის თვით სტიქია ელე-მენტურ ძალთა მთელი ძლიერებით.

მაგრამ ახლა კელავ დადგა აზრისა და გონიერების ჯერი, და შეიძლება დ ა ვ უ ბ რ უ ნ დ ე თ შეგნებულ, გეგმაშეწონილ, სისტემატურ მუშაობას. ამასთანავე, ცხადია, პირველი საქმე უნდა იყოს წინასწარი ზომების მიღება იმის განმეორების წინააღმდეგ, რაც მოხდა რუსეთის რევოლუციის პირველ პერიოდში, მის «Sturm- und Drang-Zeit»-ში *, ე. ი. რევოლუციურ ნია-ღვართა და გრიგალთა გამანადგურებელი მოქმედების წინააღმდეგ. ერთადერ-თი ნამდვილი საამისო საშუალება შეიძლება იყოს მხოლოდ ორგანიზაციის გაფართოება და განმტკიცება; ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ «მენშევი-კების» ფრაქცია პირველ რიგში აყენებს ამ ამოცანას და მას ფართო ფორ-მულირებას აძლევს, რადგან თავის პროგრამაში შეაქვს აგრეთვე ეკონომიუ-რი ორგანიზაციებიც და აღიარებს ყოველგვარი ლეგალური შესაძლებლობის გამოყენების აუცილებლობას. რეზოლუცია თავისუფალია «ლეგალობისადმი» რომანტიკული ზიზღისა და «ეკონომიკისადმი» არისტოკრატული ქედმაღლო-ბისაგან.

ასევე ფხიზლად უყურებს რეზოლუცია მუშათა დემოკრატიისა და ბურ-ჟუაზიული დემოკრატიის ურთიერთობის საკითხს, იგი სავსებით აღიარებს ურთიერთი მხარის დაჭერის აუცილებლობას და შეიარაღებულ რეაქციასთან გადამწყვეტ ბრძოლაში პროლეტარიატის იზოლირებულად გამოსვლის საშიშ-როებას. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რეზოლუციის დამოკიდებუ-ლება შეიარაღებული აჯანყების საკითხისადმი; მას აუცილებლად მიაჩნია «თავი ავარიდოთ ისეთ მოქმედებას, რომელიც პროლეტარიატს ითრევს მთავ-რობასთან შეიარაღებულ შეტაკებებში, ისეთი პირობების დროს, როდესაც იგი განწირულია ამ ბრძოლაში იზოლირებული დარჩეს».

მხოლოდ ამგვარად შეიძლება თავიდან ავიცილოთ ჩვენში პარიზის 1848 წლის ივლისის დღეების განმეორება და შესაძლებელი გავხადოთ კოორდინი-რებული, თუ კოალიციური არა, ბრძოლა მუშათა და ბურჟუაზიული დემოკრა-ტიისა, ურომლისოდაც მოძრაობის წარმატება შეუძლებელია. ბურჟუაზიულ დემოკრატიას, რომელსაც, კარლ მარქსის თქმით, «ყოველ მოწინავე რევო-ლუციაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს», არანაკლები მნიშვნელობა აქვს რუსეთის რევოლუციაშიც. თუ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარ-ტიას არ შეუძლია, ან არ უნდა, იგი თავის აშკარა მოკავშირედ აქციოს, მან

* — «ქარიშხლისა და შეტევის პერიოდი». რ ე დ.

ყოველ შემთხვევაში არ უნდა წაუბიძგოს მას მოპირდაპირე ბანაკისაკენ, რეაქციისაკენ, კონტრრევოლუციისაკენ. რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ ეს არ უნდა ჩაიდინოს, მას ამისი უფლება არა აქვს, იგი ვ ა ლ დ ებ უ ლ ი ა ყოველი საშუალებით თავი აარიდოს ამას განთავისუფლების საქმის გულისთვის და თვით სოციალ-დემოკრატიისავე გულისთვის. და თუ ბურჟუაზიული დემოკრატია ამჟამად შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგია, ამ აჯანყებაზე არ შეიძლება და არც უნდა იყოს ლაპარაკი. ამას აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს, თუნდაც ბურჟუაზია ამასთანავე ემორჩილებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მის დამახასიათებელ მოდუნებას, სისუსტესა და ლაჩრობას,— ასეთ ფაქტებსაც აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს; განა თვით გერმანიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ბელადი არ ამბობდა:

«In der Gewalt sind sie uns stets über!», — «უხეში ძალის მხრივ ისინი, ე. ი. რეაქციონერები, ჩვენ ყოველთვის გვჭარბობენ!»

შეიძლება, მტკიცება «ყოველთვის» სწორი არც იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში «ახლანდელი დროის» მიმართ შესაძლებელია ლიბკნეხტისა და მისდამი ერთსულოვანი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის აზრს ვადგეთ და იმავე დროს არ ვიყოთ ლაჩრები ან თუნდაც მხოლოდ «მოდუნებულნი»... «მენშევიკების» რეზოლუცია, როგორც ჩანს, ამავე თვალსაზრისზე დგას, ყოველ შემთხვევაში — მას უახლოვდება; სწორედ ასევე იგი სხვა მხრივაც პოლიტიკური რეალიზმის იმ სულით არის გაჟღენთილი, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის განმასხვავებელ თვისებას შეადგენს და რომლის მეოხებითაც მან ასეთ უმაგალითო წარმატებებს მიაღწია.

შეუერთდება თუ არა მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია «მენშევიკების» რეზოლუციას? ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენს რევოლუციურ მოძრაობაში, და კიდევ უფრო მეტი ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, — შეიძლება, ამ მოძრაობის მთელი ბედიც მრავალი წლის განმავლობაში. სოციალ-დემოკრატია რუსეთშიც, სწორედ ისევე როგორც ეს სხვა ქვეყნებში მოხდა, მხოლოდ მაშინ შესძლებს დამკვიდრებასა და განმტკიცებას, როდესაც იგი დემოკრატიული მასის სიღრმეში შეიჭრება. ხოლო თუ იგი დემოკრატიის მარტოოდენ ზედა, თუნდაც ყველაზე ნაყოფიერი, ფენის კულტურას დასჯერდა, ახალ გრიგალს ადვილად შეუძლია იგი რუსეთის ნიადაგიდან ძირფესვიანად ამოგლიჯოს, როგორც ეს დაემართა 1848 წლის საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიას, ანდა ორმოციანი წლების ინგლისის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც ცნობილია «ჩარტისტული მოძრაობის» სახელწოდებით».

ასეთია ბატონ ბლანკის სტატია. «კადეტის» უაღრესად ტიპიური მსჯელობა, ყოველი თავისი გამოსავალი წერტილის მხრივ ნაცნობი ყველასათვის, ვისაც ყურადღებით წაუკითხავს

ბ-ნ სტრუვეს «ოსვობოჟდენიე» და მერმინდელი ლეგალური კადეტური პრესა, აქ ისეა კომბინირებული, რომ ახლანდელი პოლიტიკური ტაქტიკის შეფასება დაფუძნებულია რუსეთის რევოლუციის განვლილი პერიოდის შეფასებაზე. უწინარეს ყოვლისა ჩვენც სწორედ წ ა რ ს უ ლ ი ს ამ შ ე ფ ა ს ე ბ ა ზ ე, მის მართებულობასა თუ უმართებულობაზე შევჩერდებით.

ბატონი ბლანკი ერთმანეთს ადარებს რუსეთის რევოლუციის ორ პერიოდს: პირველი მოიცავს, დაახლოებით, 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერს. ეს არის რევოლუციური გრიგალის პერიოდი. მეორეა — ახლანდელი პერიოდი, რომელსაც ჩვენ, რა თქმა უნდა, უფლება გვაქვს ვუწოდოთ სათათბიროს არჩევნებში კადეტების გამარჯვებათა პერიოდი, ან, შეიძლება, თუ წინ გარბენას გავბედავთ, კადეტური სათათბიროს პერიოდი.

ამ პერიოდის შესახებ ბატონი ბლანკი ამბობს, კვლავ დადგა აზრისა და გონების ჯერი და შეგვიძლია დავუბრუნდეთ შეგნებულ, გეგმაშეწონილ, სისტემატურ მუშაობასაო. პირველ პერიოდს კი ბატონი ბლანკი ახასიათებს, პირიქით, როგორც თეორიისა და პრაქტიკის დაშორების პერიოდს. გაჰქრა ყველა სოციალ-დემოკრატიული პრინციპი და იდეა, მივიწყებულ იქნა ტაქტიკა, რომელსაც მუდამ ქადაგებდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ფუძემდებელნი, ძირფესვიანად ამოგლეჯილ იქნა თვით სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის საფუძვლებიცაო.

ბ-ნ ბლანკის ეს ძირითადი მტკიცება — წმინდა ფაქტიური ხასიათისაა. მარქსიზმის მთელი თეორია დაშორდა რევოლუციური გრიგალის პერიოდის «პრაქტიკასაო».

ასეა თუ არა ეს? რა არის მარქსისტული თეორიის პირველი და მთავარი «საფუძველი»? ის, რომ თანამედროვე საზოგადოების ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური და ამიტომ ყოველ რევოლუციაში მოწინავე კლასი — პროლეტარიატია. იბადება კითხვა, ამოგლეჯა თუ არა ძირიანფესვიანად რევოლუციურმა გრიგალმა სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველო-

ბის ეს «საფუძველი»? პირიქით, გრიგალმა იგი უაღრესად ბრწყინვალედ დაადასტურა. სწორედ პროლეტარიატი იყო მთავარი, თითქმის ერთადერთი მ ე ბ რ ძ ო ლ ი ამ პერიოდის დასაწყისში. მსოფლიო ისტორიაში თითქმის პირველად აღინიშნა ბურჟუაზიული რევოლუცია უდიდესი, თვით უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი უნახავი გამოყენებით ბრძოლის წმინდა პროლეტარული იარაღისა — მასობრივი პოლიტიკური გაფიცვისა. პროლეტარიატი უშუალო რევოლუციურ ბრძოლაში ჩაება იმ დროს, როდესაც ბატონი სტრუვეები და ბატონი ბლანკები ბულიგინის სათათბიროში მონაწილეობისაკენ მოუწოდებდნენ, როდესაც კადეტი პროფესორები სტუდენტებს სწავლისაკენ მოუწოდებდნენ. ბრძოლის თავისი პროლეტარული იარაღის საშუალებით პროლეტარიატმა რუსეთს მოუპოვა მთელი ის, უკაცრავად პასუხია, «კონსტიტუცია», რომელსაც შემდეგ მას მხოლოდ აფუჭებდნენ და ჰკვეცავდნენ და ჰკრეჭდნენ. 1905 წლის ოქტომბერში პროლეტარიატმა გამოიყენა ბრძოლის ის ტაქტიკური ხერხი, რაზედაც ნ ა ხ ე ვ ა რ წ ლ ი ს წ ი ნ ა თ ლ ა პ ა რ ა კ ობდა რსდმპ ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი მე-3 ყრილობის რეზოლუცია, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვისა და აჯანყების შეხამების მნიშვნელობას; — სწორედ ამ შეხამებით ხასიათდება «რევოლუციური გრიგალის» მ თ ე ლ ი პერიოდი, 1905 წლის მთელი უკანასკნელი მეოთხედი. ამრიგად, წვრილი ბურჟუაზიის ჩვენებურმა იდეოლოგმა სრულიად მოურიდებლად, სრულიად აშკარად დაამახინჯა სინამდვილე. მან ვერ აღნიშნა ვერც ერთი ფ ა ქ ტ ი, რომელიც მოწმობდეს მარქსისტული თეორიისა და «რევოლუციური გრიგალის» პრაქტიკული გამოცდილების ერთმანეთისაგან დაშორებას; იგი შეეცადა მიეჩქმალა ამ გრიგალის ძირითადი თვისება, რომელმაც უბრწყინვალესად დაადასტურა «ყველა სოციალ-დემოკრატიული პრინციპი და იდეა», «სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ყველა საფუძველი».

ბადახვევა

საყოველთაოდ გასაგები საუბარი კადეტ პუბლიცისტებთან და სწავლულ პროფესორებთან

რა არის, მაინც, ნამდვილი მიზეზი, რამაც ბ-ნი ბლანკი აიძულა მისულიყო ამ საოცრად უმართებულო აზრამდე, თითქოს «გრიგალის» პერიოდში გამქრალიყოს ყველა მარქსისტული პრინციპი და იდეა? ამ გარემოების განხილვა მეტად საინტერესოა: ასეთი განხილვა კიდევ და კიდევ ააშკარავებს ჩვენს წინაშე ფილისტერობის ჭეშმარიტ ბუნებას პოლიტიკაში.

რაში მდგომარეობდა «რევოლუციური გრიგალის» პერიოდის მთავარი განსხვავება ახლანდელი, «კადეტური» პერიოდისაგან პოლიტიკური მუშაობის სხვადასხვაგვარ ხერხთა თვალსაზრისით? ხალხის ისტორიული შემოქმედების სხვადასხვა მეთოდის თვალსაზრისით? უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად იმაში, რომ «გრიგალის» პერიოდში იყენებდნენ ამ შემოქმედების ზოგიერთ განსაკუთრებულ მეთოდს, რომლებიც პოლიტიკური ცხოვრების სხვა პერიოდებისათვის უცხოა. აი ყველაზე არსებითი ამ მეთოდთაგან: 1) ხ ა ლ ხ ი ს მ ი ე რ «ხ ე ლ შ ი ჩ ა გ დ ე ბ ა» პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა — მისი განხორციელება ყოველგვარ უფლებათა და კანონთა გარეშე და სრულიად შეუზღუდავად (კრებების თავისუფლება თუნდაც უნივერსიტეტებში, ბეჭდვითი სიტყვის, კავშირების, ყრილობების და სხვათა თავისუფლება); 2) შ ე ქ მ ნ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ახალი ორგანოებისა, — მუშათა, ჯარისკაცთა, რკინიგზელთა, გლეხთა დეპუტატების საბჭოები, სოფლისა და ქალაქის ახალი ხელისუფლება და სხვ. და ა. შ.. ამ ორგანოებს ჰქმნიდნენ მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ფენები, ისინი იქმნებოდნენ ყოველგვარი კანონებისა და ნორმების გარეშე სავსებით რევოლუციური გზით, როგორც ხალხის თვითმყოფი შემოქმედების ნაყოფი, როგორც ხალხის თვითმოქმედების გამოხატულება, იმ ხალხისა,

რომელიც ძველი პოლიციური ხუნდებისაგან განთავისუფლდა ან თავისუფლდებოდა. ბოლოს, ესენი იყვნენ სწორედ ძალაუფლების ორგანოები, მიუხედავად იმისა, რომ შემადგენლობისა და მოქმედების მხრივ ჩანასახოვანნი, სტიქიურნი, ჩამოუყალიბებელნი და ბუნდოვანნი იყვნენ. ისინი მოქმედებდნენ როგორც ხელისუფლება, როდესაც იკავებდნენ, მაგალითად, სტამბებს (პეტერბურგი), აპატიმრებდნენ პოლიციის მოხელეებს, რომელნიც ხელს უშლიდნენ რევოლუციურ ხალხს მის უფლებათა განხორციელებაში (ამის მაგალითები იყო პეტერბურგშიც, სადაც ახალი ხელისუფლების სათანადო ორგანო ყველაზე სუსტი იყო, ხოლო ძველი ხელისუფლება — ყველაზე ძლიერი). ისინი მოქმედებდნენ როგორც ხელისუფლება, როდესაც მთელ ხალხს მიმართავდნენ მოწოდებით: ნუ მისცემთ ფულს ძველ მთავრობასაო. ისინი ართმევდნენ ფულს ძველ მთავრობას (რკინიგზელთა საგაფიცვო კომიტეტები სამხრეთში) და ახალი, სახალხო, მთავრობის საჭიროებებს ახმარებდნენ მას, — დიახ, ისინი უსათუოდ, ახალი, სახალხო, ან, თუ გნებავთ, რევოლუციური მთავრობის ჩანასახებს წარმოადგენდნენ. თავისი სოციალურ-პოლიტიკური ხასიათით ეს იყო ხალხის რევოლუციური ელემენტების დიქტატურის ჩანასახი, — თქვენ გიკვირთ, ბ-ნო ბლანკო და ბ-ნო კიზევეტერო? თქვენ აქ ვერ ხედავთ «გაძლიერებულ დაცვას», რაც ბურჟუასათვის დიქტატურას ეუდრის? ჩვენ უკვე მოგახსენეთ, რომ თქვენ არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ მეცნიერულ ცნებაზე: დიქტატურაზე. ჩვენ ახლავე აგიხსნით მას, მაგრამ ჯერ აღვნიშნავთ «რევოლუციური გრიგალის» ეპოქის მოქმედების მესამე «მეთოდს»: ხალხის მიერ ძალადობის გამოყენებას იმათ მიმართ, ვინც ხალხის მოძალადენი არიან.

ჩვენს მიერ აღწერილი ძალაუფლების ორგანოები, ჩანასახში, დიქტატურა იყო, რადგან ეს ხელისუფლება არ სცნობდა არავითარ სხვა ხელისუფლებას და არავითარ კანონს,

არავითარ ნორმას, ვისგანაც უნდა ყოფილიყო იგი მომდინარე. განუსაზღვრელი, კანონგარეშე, ძალაზე დამყარებული, ამ სიტყვის უაღრესად პირდაპირი მნიშვნელობით, ხელისუფლება, — აი ეს არის სწორედ დიქტატურა. მაგრამ ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა და ცდილობდა დაყრდნობოდა ეს ახალი ხელისუფლება, იყო არა ერთი მუჭა სამხედრო პირთა მიერ ხელში ჩაგდებული ხიშტის ძალა, არა «უბნის» პოლიციის ძალა, არა ფულის ძალა, არა რაიმე წინანდელი, ჩამოყალიბებული დაწესებულებების ძალა. სრულიადაც არა. ახალი ძალაუფლების ახალ ორგანოებს არც იარაღი ჰქონდათ, არც ფული, არც ძველი დაწესებულებანი. მათს ძალას — შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ბ-ნო ბლანკო და ბ-ნო კიზევეტერო? — საერთო არა ჰქონდა რა ძალის ძველ იარაღებთან, საერთო არა ჰქონდა რა «გაძლიერებულ დაცვასთან», თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხალხის გაძლიერებულ დაცვას ძველი ხელისუფლების პოლიციურ და სხვა ორგანოთა ჩაგვრისაგან.

მაშ რას ეყრდნობოდა ეს ძალა? იგი ეყრდნობოდა ხალხის მასას. აი ამ ახალი ძალაუფლების ძირითადი განსხვავება ძველი ძალაუფლების ყველა წინანდელი ორგანოსაგან. წინანდელი ორგანოები იყვნენ ძალაუფლების ორგანოები უმცირესობის ბატონობისა ხალხზე, მუშათა და გლეხთა მასაზე. ახალი ორგანოები იყვნენ ძალაუფლების ორგანოები ხალხის, მუშებისა და გლეხების ბატონობისა უმცირესობაზე, ერთ მუჭა პოლიციელ მოძალადეებზე, ერთ მუჭა პრივილეგიურ თავადაზნაურებსა და მოხელეებზე. ასეთია განსხვავება ხალხის მიმართ დიქტატურასა და რევოლუციური ხალხის დიქტატურას შორის, კარგად დაიხსომეთ ეს, ბ-ნო ბლანკო და ბ-ნო კიზევეტერო! ძველ ხელისუფლებას, როგორც უმცირესობის დიქტატურას, არსებობა შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ პოლიციური ხრიკების მეოხებით, მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებაში მონაწილეობისაგან, ხელისუფლებისადმი მეთვალყურეობისაგან ხალხის მასის ჩამოშორების, ჩამოცილების მეოხებით. ძველი ხელისუფლება სისტე-

მატურად არ ენდობოდა მასას, მას სინათლისა ეშინოდა, ტყუილით გაჰქონდა თავი. ახალ ხელისუფლებას, როგორც უდიდესი უმრავლესობის დიქტატურას, შეეძლო არსებობა და კიდეც არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი მასის ნდობის მეოხებით, მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ უაღრესად თავისუფლად, უაღრესად ფართოდ და უაღრესად ძლიერად იზიდავდა მთელ მასას ხელისუფლებაში მონაწილეობისაკენ. არაფერი დაფარული, არაფერი საიდუმლო, არავითარი რეგლამენტები, არავითარი ფორმალობანი. შენ მუშა კაცი ხარ? გინდა იბრძოლო, რათა რუსეთი ერთი მუჭა პოლიციელ მოძალადეთაგან იხსნა? შენ ჩვენი ამხანაგი ხარ. აირჩიე შენი დეპუტატი. ახლავე, დაუყოვნებლივ, აირჩიე როგორც გეხერხებოდეს, — ჩვენ სიამოვნებით და სიხარულით მივიღებთ მას ჩვენი მუშათა დეპუტატების საბჭოს, გლეხთა კომიტეტის, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და სხვათა სრულუფლებიან წევრად. ეს არის ყველასათვის აშკარა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს მასის თვალწინ აკეთებს, მასისათვის ხელმისაწვდომია, უშუალოდ მასიდან არის გამოსული, ხალხის მასისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალო ორგანოა. — ასეთი იყო ახალი ხელისუფლება, ანუ, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მისი ჩანასახი, რადგან ძველი ხელისუფლების გამარჯვებამ ძალიან ადრე გათელა ნორჩი მცენარის ყლორტები.

შეიძლება თქვენ, ბ-ნო ბლანკო ან ბ-ნო კიზეველტერო, გვითხრათ: რა საჭიროა აქ «დიქტატურა», რა საჭიროა «ძალადობა»? განა უზარმაზარ მასას ერთი მუჭა ადამიანთა წინააღმდეგ ძალადობა სჭირდება, განა ათეულ და ასეულ მილიონებს შეუძლიათ ათასის, ათი ათასის დიქტატორები იყვნენო?

ამგვარ კითხვას ჩვეულებრივ ისეთი ადამიანები იძლევიან, რომელნიც პირველად ხედავენ ტერმინ დიქტატურის გამოყენებას მათთვის ახალი მნიშვნელობით. ადამიანები შეეჩვევნენ მხოლოდ პოლიციური ხელისუფლებისა და მხოლოდ პოლიციური დიქტატურის დანახვას. მათ უცნაურად ეჩვენე-

ბათ, რომ შესაძლებელია ხელისუფლება სრულიად უპოლიციოდ, რომ შესაძლებელია არა პოლიციური დიქტატურა. თქვენ ამბობთ, მილიონებს ათასების წინააღმდეგ ძალადობა არ სჭირდებათო? ცდებით, და ცდებით იმიტომ, რომ მოვლენას განიხილავთ არა მის განვითარებაში. თქვენ გავიწყდებათ, რომ ახალი ხელისუფლება ციდან კი არ ვარდება, არამედ იზრდება და ჩნდება ძველის გვერდით, ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ, მასთან ბრძოლაში. თუ არა ძალადობა მოძალადეთა მიმართ, რომელთაც ხელთ უპყრიათ ძალაუფლების იარაღები და ორგანოები, ხალხის ხსნა მოძალადეთაგან შეუძლებელია.

აი, ბ-ნო ბლანკო და ბ-ნო კიზევეტერო, სულ უბრალო მაგალითი, რათა თქვენ შესძლოთ კადეტთა გონებისათვის ამ მიუწვდომელი, კადეტთა აზროვნებისათვის «თავბრუდამხვევი» სიბრძნის შეთვისება. წარმოიდგინეთ, რომ ავრამოვი ასახიჩრებს და აწამებს სპირიდონოვას. ვთქვათ, სპირიდონოვას მხარეზეა ათეული და ასეული უიარაღო ადამიანი, ავრამოვის მხარეზე კი — ერთი მუჭა კაზაკები. რას იზამდა ხალხი, სპირიდონოვას წამება ოთხ კედელს შუა რომ არ მომხდარიყო? იგი ძალადობას იხმარდა ავრამოვისა და მისი ამალის მიმართ. იგი, შესაძლებელია, გასწირავდა რამდენიმე მებრძოლს, რომელთაც ავრამოვი მოჰკლავდა, მაგრამ მაინც ძალით იარაღს აპყრიდა ავრამოვსა და კაზაკებს, მასთან, ძალიან შესაძლებელია, რომ იქვე დახოცავდა მათგან რამდენიმე, უკაცრავად პასუხია, ადამიანს, ხოლო დანარჩენებს ჩააგდებდა რომელსამე საპყრობილეში, რათა ხელი შეეშალა მათთვის კვლავ საზიზღრობა ჩაედინათ და რათა ისინი სახალხო სასამართლოსათვის გადაეცა.

აი ხომ ხედავთ, ბ-ნო ბლანკო და ბ-ნო კიზევეტერო: როდესაც ავრამოვი და მისი კაზაკები სპირიდონოვას აწამებენ, ეს არის სამხედრო-პოლიციური დიქტატურა ხალხზე. როდესაც რევოლუციური (მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლის უნარისა და არა მხოლოდ შეგონების, დარიგების, სინანულის,

დაგმობის, წუწუნისა და ბუზღუნის უნარის მქონე, არა ფილისტერულად შეზღუდული, არამედ რევოლუციური) ხალხი ძალადობას მიმართავს ავრამოვისა და ავრამოვების წინააღმდეგ, ეს არის რევოლუციური ხალხის დიქტატურა. ეს არის დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა, რადგან ეს არის ხალხის ძალაუფლება ავრამოვებზე, ძალაუფლება, რომელიც არავითარი კანონებით არ არის შეზღუდული (ფილისტერი, შეიძლება, იმის წინააღმდეგიც ყოფილიყო, რომ ავრამოვს ძალით გამოვტაცოთ ხელიდან სპირიდონოვა: ეს ხომ «უკანონობაა»? გვაქვს განა ისეთი «კანონი», რომ ავრამოვი მოვკლათ? განა ფილისტერობის ზოგიერთმა იდეოლოგმა არ შექმნა ბოროტებისათვის ძალადობით წინააღმდეგობის გაუწევლობის თეორია*?). დიქტატურის მეცნიერული ცნება სხვას არას ნიშნავს, თუ არა უშუალოდ ძალადობაზე დაყრდნობილ ხელისუფლებას, რომელიც არაფრით არ არის შებოჭილი, არავითარი კანონებით, აბსოლუტურად არავითარი წესებით არ არის შეზღუდული. ცნება «დიქტატურა» მ ხ ო ლ ო დ ა მ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს, ს ხ ვ ა ს ა რ ა ფ ე რ ს, — კარგად დაიხსომეთ ეს, ბატონო კადეტებო. გარდა ამისა, ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში ჩვენ ვხედავთ სწორედ ხ ა ლ ხ ი ს დიქტატურას, რადგან ხალხი, მოსახლეობის მასა, ჩამოუყალიბებელი, «შემთხვევით» შეკრებილი ამა თუ იმ ადგილას, თვითონ უშუალოდ გამოდის ასპარეზზე, თვითონ ასამართლებს და სჯის, იყენებს ძალაუფლებას, ჰქმნის ახალ რევოლუციურ სამართალს. ბოლოს, ეს არის სწორედ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ხალხის დიქტატურა. რატომ მარტო რევოლუციურისა და არა მთელი ხალხისა? იმიტომ, რომ მთელ ხალხში, რომელიც მუდმივ და უსასტიკესად იტანჯება ავრამოვების საგმირო საქმეებით, ურევია ფიზიკუ-

* ბ-ნო ბერდიაევო! «პოლიარნაია ზვეზდას» ან «სვობოდა ი კულტურის» ბატონო რედაქტორებო! აი კიდევ ერთი თემა ხანგრძლივი გოდებისათვის,... ე. ი. გრძელი სტატიებისათვის რევოლუციონერთა «ხულიგნობის» წინააღმდეგ. ტოლსტოის ფილისტერს უწოდებენო! — კელ ორრერ, როგორც ამბობდა ერთი ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანი.

რად დაბეჩავებული, დაშინებული ადამიანები, ადამიანები ზნეობრივად დაბეჩავებულნი, მაგალითად, ბოროტებისათვის ძალადობით წინააღმდეგობის გაუწევლობის თეორიით, ანდა პირდაპირ დაბეჩავებულნი არა თეორიით, არამედ ცრურწმენით, ჩვეულებით, რუთინით, გულგრილი ადამიანები, როგორც იტყვიან — ობივატელები, ფილისტერები, რომელთაც უფრო ეხერხებათ გაცხარებული ბრძოლისაგან განდგომა, გვერდის ავლა ანდა მიმალვაც კი (ამ ჩხუბში უცბად მეც არ მომხვდეს). აი ამიტომაც დიქტატურას ახორციელებს არა მთელი ხალხი, არამედ მხოლოდ რევოლუციური ხალხი, რომელსაც სრულიადაც არ ეშინია მთელი ხალხისა, მთელ ხალხს განუმარტავს თავისი მოქმედების მიზეზებს და მის ყოველგვარ წვრილმანს, სიამოვნებით იზიდავს მ თ ე ლ ხალხს არათუ სახელმწიფოს «მართვა-გამგეობაში», არამედ ხელისუფლებაში მონაწილეობისათვისაც, თვით სახელმწიფოს მოწყობაში მონაწილეობისთვისაც.

ამრიგად, ჩვენს მიერ მოყვანილი უბრალო მაგალითი შეიცავს ყ ვ ე ლ ა ე ლ ე მ ე ნ ტ ს მეცნიერული ცნებისას: «რევოლუციური ხალხის დიქტატურა», აგრეთვე ცნებისას: «სამხედრო პოლიციური დიქტატურა». ამ უბრალო მაგალითიდან, რომელიც სწავლულ კადეტ პროფესორისთვისაც კი გასაგებია, შეგვიძლია საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო რთულ მოვლენებზე გადავიდეთ.

რევოლუცია, ამ სიტყვის ვიწრო, უშუალო მნიშვნელობით, ხალხის ცხოვრების სწორედ ისეთი პერიოდია, როდესაც ავრამოვების საგმირო საქმეთა გამო საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი გაბოროტება გადმოხეთქს ხოლმე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ და არა სიტყვიერად, ხ ა ლ ხ ი ს მ ი ლ ი ო ნ ი ა ნ ი მ ა ს ე ბ ი ს ღა არა ცალკეულ პირთა მოქმედებით. ხალხი იღვიძებს და მხედრდება ავრამოვებისაგან თავის განსათავისუფლებლად. ხალხი რუსეთის ცხოვრების უამრავ სპირიდონოვებს ავრამოვებისაგან ათავისუფლებს, ძალადობას მიმართავს ავრამოვებისადმი, იმორჩილებს ავრამოვებს. ეს, ეს

ოქმა უნდა, ისე მარტივად და ისე «უცბად» როდი ხდება, როგორც ბ-ნ პროფესორ კიზევეტერისათვის ჩვენს მიერ გამარტივებულ მაგალითში,— ავრამოვებთან ხალხის ეს ბრძოლა, ბრძოლა ამ სიტყვის ვიწრო, უშუალო მნიშვნელობით, ხალხის კისრიდან ავრამოვების ეს ჩამოგდება «რევოლუციური გრიგალის» თვეობითა და წლობით ჭიანურდება. ხალხის მიერ თავისი კისრიდან ავრამოვების ეს ჩამოგდება არის სწორედ რეალური შინაარსი იმისა, რასაც რუსეთის დიდი რევოლუცია ეწოდება. ეს ჩამოგდება, თუ მას ისტორიული შემოქმედების მეთოდების მხრივ განვიხილავთ, ხდება იმ ფორმებში, რომლებიც ეს-არის ახლა ავწერეთ, როდესაც რევოლუციურ გრიგალზე ვლაპარაკობდით, სახელდობრ: ხალხის მიერ პოლიტიკური თავისუფლების ხელში ჩაგდება, ესე იგი ისეთი თავისუფლებისა, რომლის განხორციელებასაც ავრამოვები აბრკოლებდნენ; — ხალხის მიერ ახალი, რევოლუციური, ძალაუფლების შექმნა, ძალაუფლებისა ავრამოვების მიმართ, ძალაუფლებისა ძველი პოლიციური ყაიდის მოძალადეების მიმართ; — ხალხის მიერ ავრამოვების მიმართ ძალადობის ხმარება ამ ცოფიანი ძაღლების, ყველა ავრამოვის, დურნოვოს, დუბასოვის, მინისა და მათ მსგავსთა თავიდან მოშორებისა, განიარაღებისა და გაუვნებლობის მიზნით.

კარგია თუ არა, რომ ხალხი ბრძოლის ისეთ უკანონო, მოუწესრიგებელ, გეგმაშეუწონელ და არასისტემატურ ხერხებს ხმარობს, როგორიც არის თავისუფლების ხელში ჩაგდება, ახალი რევოლუციური ხელისუფლების შექმნა, რომელსაც ფორმალურად არავინ არ ცნობს, კარგია თუ არა, რომ ხალხი ძალადობას ხმარობს ხალხის მჩაგვრელთა მიმართ? დიახ, ეს ძალიან კარგია. ეს არის თავისუფლებისათვის სახალხო ბრძოლის უმაღლესი გამოხატულება. ეს არის ის დიადი დრო, როდესაც რუსეთის საუკეთესო ადამიანთა ოცნებანი თავისუფლებაზე ს ა ქ მ ე დ იქცევა, საქმედ თვით ხალხის მასებისა და არა ერთეული გმირებისა. ეს ისევე კარგია, როგორც კარგია ხალხის მიერ ავრამოვისაგან სპირიდონოვას

განთავისუფლება (ჩვენს მაგალითში). ავრამოვის ძალით განიარაღება და გაუვნებლობა.

მაგრამ სწორედ ახლა გადავდივართ კადეტების იდუმალი აზრებისა და შიშის ცენტრალურ პუნქტზე. კადეტი ფილისტერობის იდეოლოგი სწორედ იმიტომ არის, რომ მას პოლიტიკაზე, მთელი ხალხის განთავისუფლებაზე, რევოლუციაზე გადააქვს იმ «ფილისტერის» თვალსაზრისი, რომელიც ავრამოვის მიერ სპირიდონოვას წამების ჩვენს მაგალითში ხალხს შეაკავებდა, ურჩევდა: კანონს ნუ დაარღვევთ, ნუ იჩქარით მსხვერპლის ხსნას ჯალათის ხელიდან, რომელიც კანონიერი ხელისუფლების სახელით მოქმედებსო. რა თქმა უნდა, ჩვენს მაგალითში ასეთი ფილისტერი პირდაპირ ზნეობრივად მახინჯი ვინმე იქნებოდა, ხოლო მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ ფილისტერის ზნეობრივი სიმახინჯე არის, ვიმეორებთ, სრულიადაც არა პირადი, არამედ სოციალური თვისება, რაც, შეიძლება, შეპირობებული იყოს თავში ჩაჭედილი სამართლის ბურჟუაზიულ-ფილისტერული მეცნიერების ცრურწმენით.

რატომ ფიქრობს ბ-ნი ბლანკი, თითქოს ის აზრი, რომ «გრიგალის» პერიოდში სავსებით მივიწყებული იყო ყველა მარქსისტული პრინციპი, დამტკიცებასაც არ მოითხოვს? იმიტომ, რომ იგი ამახინჯებს, ბრენტანიზმად აქცევს მარქსიზმს, არა მარქსისტული ჰგონია ისეთი «პრინციპები», როგორიცაა თავისუფლების ხელში ჩაგდება, რევოლუციური ხელისუფლების შექმნა, ხალხის მიერ ძალადობის გამოყენება. ასეთი შეხედულება გამოსჭვივის ბ-ნ ბლანკის მთელ სტატიაში, და არა მარტო ბლანკისა, არამედ ყველა კადეტისა, კადეტების სიყვარულის გამო პლეხანოვის დღევანდელი მაქებარი ლიბერალური და რადიკალური ბანაკის ყველა მწერლის სტატიებში თვით «ბეზზაგლავიაელ»[67] ბერნშტეინელთა, ბატონ პროკოპოვიჩის, კუსკოვასა და **tutti quanti** * ჩათვლით.

---

* — მათ მსგავსნი. 6 — —

განვიხილოთ, როგორ წარმოიშვა ეს შეხედულება და რატომ უნდა წარმოშობილიყო იგი.

იგი უშუალოდ წარმოიშვა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის ბერნშტეინული ან, უფრო ფართოდ რომ ვთქვათ, ოპორტუნისტული გაგებიდან. ამ გაგების ის შეცდომები, რაც უკვე სისტემატურად და მთელი ხაზით ამხილეს დასავლეთში «ორთოდოქსებმა», ახლა «ჩუმჩუმად», სხვა საკაზმავით და სხვა საბაბით რუსეთში გადმოაქვთ. ბერნშტეინელები სცნობდნენ და სცნობენ მარქსიზმს მისი უშუალო-რევოლუციური მხარის გ ა მ ო კ ლ ე ბ ი თ.. საპარლამენტო ბრძოლა მათ მიაჩნიათ არა ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად, რაც განსაკუთრებით განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდებშია გამოსადეგი, არამედ ბრძოლის მთავარ და თითქმის ერთადერთ ფორმად, რომელიც ზედმეტად ხდის «ძალადობას», «ხელში ჩაგდებას», «დიქტატურას». მარქსიზმის სწორედ ეს უხამსი ფილისტერული დამახინჯება გადმოაქვთ ახლა რუსეთში ბატონ ბლანკებსა და პლეხანოვის სხვა ლიბერალურ მაქებართ. ისინი ისე შეუთვისდნენ ამ დამახინჯებას, რომ საჭიროდაც არ მიაჩნიათ დაამტკიცონ რევოლუციური გრიგალის პერიოდში მარქსისტული პრინციპებისა და იდეების დავიწყება.

რატომ უნდა წარმოშობილიყო ასეთი შეხედულება? იმიტომ, რომ იგი დიდად შეეფერება წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივ მდგომარეობასა და ინტერესებს. «გაწმენდილი» ბურჟუაზიული საზოგადოების იდეოლოგი სცნობს სოციალ-დემოკრატიის ბრძოლის ყ ვ ე ლ ა მეთოდს, გ ა რ დ ა ს წ ო რ ე დ ი ს ე თ ი მ ე თ ო დ ე ბ ი ს ა, რ ო მ ე ლ თ ა ც რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ერ ი ხ ა ლ ხ ი «გ რ ი გ ა ლ ი ს» ე პ ო ქ ე ბ შ ი ი ყ ე ნ ებ ს და რომელთაც იწონებს და მათს გამოყენებაში ეხმარება რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვს, რომ პროლეტარიატმა მონაწილეობა მიიღოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მხოლოდ ისეთი მონაწილეობა, რომელიც პროლეტარიატისა და გლეხობის მეთაურობად არ გადაიქცეოდა, მხოლოდ ისეთი მონა-

წილეობა, რომელიც სავსებით როდი მოსპობდა ძალაუფლების ძველ, თვითმპყრობელურ-ბატონყმურ და პოლიციურ ორგანოებს. ბურჟუაზიას სურს ამ ორგანოთა შენარჩუნება, მხოლოდ ისე კი, რომ ისინი თავის უშუალო კონტროლს დაუმორჩილოს, — მას ეს ორგანოები ესაჭიროება პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელსაც ამ ორგანოების სრული მოსპობა მეტად გაუადვილებდა პროლეტარულ ბრძოლას. აი ამიტომაც ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ინტერესები მოითხოვს მონარქიასაც და ზედა პალატასაც, მოითხოვს რევოლუციური ხალხის დიქტატურის დაუშვებლობას. თვითმპყრობელობას ებრძოლე, მაგრამ ძალაუფლების ძველ ორგანოებს ხელს ნუ ახლებ, ისინი მე მჭირდებაო, — ეუბნება ბურჟუაზია პროლეტარიატს. იბრძოლე «პარლამენტურად», ე. ი. იმ ფარგლებში, რომლებსაც მე დაგიდგენ მონარქიასთან შეთანხმებით; იბრძოლე ორგანიზაციების შემწეობით, — მხოლოდ არა ისეთი ორგანიზაციებისა, როგორიცაა საყოველთაო საგაფიცვო კომიტეტები, მუშათა, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები და სხვ., არამედ ისეთების შემწეობით, რომელთაც სცნობს და ზღუდავს, კაპიტალის მიმართ უვნებელჰყოფს ჩემს მიერ მონარქიასთან შეთანხმებით გამოცემული კანონიო.

აქედან ცხადია, რატომ ლაპარაკობს ბურჟუაზია «გრიგალის» პერიოდზე აბუჩად აგდებით, ზიზღით, ბოროტებითა და სიძულვილით *, — ხოლო დუბასოვის მფარველობის ქვეშ მყოფი კონსტიტუციონალიზმის პერიოდზე — აღტაცებით,

* შეადარე, მაგალითად, «რუსსკიე ვედომოსტის» (№ 1, 1906 წ.) აზრი გლეხთა კავშირის მოქმედების შესახებ, — ეს დუბასოვის წინაშე დაბეზღება რევოლუციური დემოკრატიისა მისი პუგაჩოვისებური მისწრაფებების, მიწების დატაცების დადასტურების, ახალი ხელისუფლების შექმნისა და სხვათა გამო. «ბეზზაგლავიაელმა» (№ 10) მემარცხენე კადეტებმაც კი შეარცხვინეს «რუსსკიე ვედომოსტი» და მისი აზრის გამო სამართლიანად შეადარეს იგი «მოსკოვსკიე ვედომოსტის». სამწუხაროდ, მემარცხენე კადეტები «რუსსკიე ვედომოსტის» ისე არცხვენენ, თითქოს თავს იმართლებდნენ. «ბეზ ზაგლავია» იცავს გლეხთა კავშირს, ხოლო კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას კი ბრალს არა სდებს. არ ვიცი, რით ავხსნა «რუსსკიე ვედომოს-

ალფრთოვანებით, უსაზღვრო ფილისტერული სიყვარულით... რეაქციისადმი. ეს სულ იგივე მუდმივი და უცვლელი თვისებაა კადეტებისა: ხალხზე დაყრდნობის მისწრაფება და მისი რევოლუციური თვითმოქმედების შიში.

გასაგებია აგრეთვე, ბურჟუაზიას ასე საშინლად რად ეშინია გრიგალის განმეორებისა, რად უგულებელყოფს და ჩქმალავს იგი ახალი რევოლუციური კრიზისის ელემენტებს, რად უჭერს მხარს და ავრცელებს ხალხში კონსტიტუციურ ილუზიებს.

ახლა ჩვენ უკვე სავსებით განვმარტეთ, ბ-ნი ბლანკი და მისი მსგავსნი რატომ აცხადებენ, თითქოს «გრიგალის» პერიოდში ყველა მარქსისტული პრინციპი და იდეა მივიწყებული ყოფილიყოს. ბ-ნი ბლანკი, ისევე როგორც ყველა ფილისტერი, სცნობს მარქსიზმს მისი რევოლუციური მხარის გ ა მ ო კ ლ ე ბ ი თ, სცნობს ბრძოლის სოციალ-დემოკრატიულ ხერხებს თვით რევოლუციური და უშუალო-რევოლუციური ხერხების გ ა მ ო კ ლ ე ბ ი თ.

ბ-ნ ბლანკის დამოკიდებულება «გრიგალის» პერიოდისადმი უაღრესად დამახასიათებელია, როგორც ილუსტრაცია პროლეტარულ მოძრაობათა ბურჟუაზიული გაუგებლობისა, ბურჟუაზიული შიშისა მწვავე და გადამწყვეტი ბრძოლის წინაშე, ბურჟუაზიული სიძულვილისა სოციალურ-ისტორიული საკითხების გადაჭრის მძაფრი, ძველ დაწესებულებათა დამამსხვრეველი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით რევოლუციური საშუალების ყოველგვარი გამოვლინებისადმი. ბატონმა ბლანკმა თავისი თავი გამოამჟღავნა, ერთბაშად გამოამჟღავნა მთელი თავისი ბურჟუაზიული შეზღუდულობა. მას გაუგონია და წაუკითხავს, რომ სოციალ-დემოკრატები გრიგალის პერიოდში «შეცდომებს» სჩადიოდნენ, — ის აჩქარდა დაესკვნა და განეცხადებინა რიხით, უაპელაციოდ, დაუსაბუთებლად,

---

ტისთან» პოლემიკის ეს არცთუ სავსებით რიგიანი ხერხი — «იუდეველთა შიშით», თუ იმით, რომ ამ ორგანოში ბ-ნი ბლანკი თანამშრომლობს. მემარცხენე კადეტები მაინც კადეტები არიან.

რომ მარქსიზმის ყველა «პრინციპი» (რომელთა შესახებ მას წარმოდგენაც კი არა აქვს!) დავიწყებული იყოო. ამ «შეცდომების» გამო ჩვენ ვიტყვით: მუშათა მოძრაობის განვითარებაში, სოციალ-დემოკრატიის განვითარებაში ყოფილა განა ისეთი პერიოდი, ესა თუ ის შეცდომები რომ არ ჩაედინათ? ადგილი რომ არ ჰქონებოდეს ამა თუ იმ გადახრას მარჯვნივ ან მარცხნივ? განა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ბრძოლის საპარლამენტო პერიოდის ისტორია — იმ პერიოდისა, რომელიც ყველა შეზღუდულ ბურჟუას მთელს ქვეყნიერებაზე გადაულახავ საზღვრად მიაჩნია! — ასეთი შეცდომებით არ არის აღსავსე? ბატონი ბლანკი სოციალიზმის საკითხებში მთლად უვიცი რომ არ იყოს, იგი ადვილად გაიხსენებდა მიულბერგერსაც, დიურინგსაც, **Dampfersubvention**-ის * [48] საკითხსაც, «ახალგაზრდებსაც» [49], ბერნშტეინიადასაც და მრავალ, მრავალ სხვა რასმე. მაგრამ ბატონ ბლანკს სოციალ-დემოკრატიის განვითარების ნამდვილი მსვლელობის შესწავლა კი არ აინტერესებს, მას სჭირდება მხოლოდ ბრძოლის პროლეტარული გაქანების დამცირება, რათა თავისი კადეტური პარტიის ბურჟუაზიული უბადრუკობა აღამაღლოს.

ნამდვილად კი, თუ ჩვენ საქმეს შევხედავთ ჩვეულებრივი, «ნორმალური» გზიდან სოციალ-დემოკრატიის გადახვევის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ ამ მხრივაც «რევოლუციური გრიგალის» პერიოდი გვიჩვენებს წინანდელთან შედარებით სოციალ-დემოკრატიის უ ფ რ ო მ ე ტ და არა ნაკლებ შემჭიდროებასა და იდეურ მთლიანობას. «გრიგალის» ეპოქის ტაქტიკამ კი არ დააშორა, არამედ داااخლოვა სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთა. წინანდელ უთანხმოებათა ნაცვლად მივიღეთ შეხედულებათა ერთიანობა შეიარაღებული აჯანყების საკითხში. ორივე ფრაქციის სოციალ-დემოკრატები მუშაობდნენ მუშათა დეპუტატების საბჭოებში, ჩანასახოვანი რევოლუციური ხელისუფლების ამ თავისებურ ორგანოებში, ამ საბჭოებში

* [illegible]

იზიდავდნენ ჯარისკაცებს, გლეხებს, წვრილბურჟუაზიულ რევოლუციურ პარტიებთან ერთად სცემდნენ რევოლუციურ მანიფესტებს. რევოლუციამდელი ეპოქის ძველი დავა შესცვალა სოლიდარობამ პრაქტიკულ საკითხებში. რევოლუციური ტალღის აღმავლობამ დაჩრდილა უთანხმოებანი, აიძულა ეღიარებინათ საბრძოლო ტაქტიკა, მოხსნა სათათბიროს საკითხი, დღის წესრიგში დააყენა აჯანყების საკითხი, უშუალო უახლოესი მუშაობის ნიადაგზე ერთმანეთს დაუახლოვა სოციალ-დემოკრატია და რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატია. «სევერნი გოლოსში» [70] მენშევიკები ბოლშევიკებთან ერთად გაფიცვისა და აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ, მოუწოდებდნენ მუშებს არ შეეწყვიტათ ბრძოლა, ვიდრე ძალაუფლება მათ ხელში არ იქნებოდა. თვით რევოლუციური ვითარება გვიკარნახებდა პრაქტიკულ ლოზუნგებს. დავა ეხებოდა მოვლენათა შეფასების მხოლოდ წვრილმანებს: «ნაჩალო», მაგალითად, მუშათა დეპუტატების საბჭოებს რევოლუციურ თვითმმართველობათა ორგანოებად თვლიდა, ხოლო «ნოვაია ჟიზნი» — რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახოვან ორგანოებად, რომლებიც აერთებდნენ პროლეტარიატს და რევოლუციურ დემოკრატიას.

«ნაჩალო» პროლეტარიატის დიქტატურისაკენ იხრებოდა. «ნოვაია ჟიზნი» პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის თვალსაზრისზე იდგა. მაგრამ განა ასეთ და მსგავს უთანხმოებებს სოციალ-დემოკრატიის შიგნით არ გვიჩვენებს ყოველი პერიოდი ევროპის ყოველი სოციალისტური პარტიის განვითარებისა?

არა, ბატონ ბლანკის მიერ საქმის გაყალბება, გუშინდელი დღის ისტორიის აღმაშფოთებელი დამახინჯება იმით და მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ჩვენს წინაშეა თვითკმაყოფილი ბურჟუაზიული უხამსობის ნიმუში, რომელსაც რევოლუციური გრიგალის პერიოდები სიგიჟედ ეჩვენება («ყველა პრინციპი მივიწყებულია», «თვით აზრი და უბრალო გონებაც თითქმის ჰქრება»), ხოლო რევოლუციის ჩახშობისა და ფილისტე-

რული «პროგრესის» (დუბასოვი რომ იცავს) პერიოდები — გონივრული, შეგნებული და გეგმაშეწონილი მოქმედების ეპოქად. ორი პერიოდის («გრიგალის» პერიოდისა და კადეტური პერიოდის) ეს შედარებითი შეფასება წითელ ზოლად არის გავლებული ბატონ ბლანკის მთელ სტატიაში. როდესაც კაცობრიობის ისტორია ლოკომოტივის სისწრაფით მიჰქრის წინ — ეს «გრიგალია», «ნიაღვარია», ყველა «პრინციპისა და იდეის» «გაქრობაა». როდესაც ისტორია საძნე ურმის სისწრაფით მიიწევს — ეს თვით გონიერება და თვით გეგმაზომიერებაა. როდესაც ხალხის მასები თვითონ, მთელი თავისი ბუნებრივი პრიმიტიულობით, უბრალო, მოუქნელი გამბედაობით იწყებენ ისტორიის შექმნას, იწყებენ «პრინციპებისა და თეორიების» პირდაპირ და დაუყოვნებლივ განხორციელებას, — მაშინ ბურჟუა შიშსა გრძნობს და ყვირის, «გონება უკანა რიგში დგებაო» (პირიქით ხომ არ არის, ფილისტერობის გმირნო? ისტორიაში სწორედ ასეთ მომენტებში ხომ არ მჟღავნდება მასების გონება, და არა ცალკეულ პიროვნებათა გონება, სწორედ მაშინ ხომ არ ხდება მასობრივი გონება ცხოველმყოფელ, ქმედით და არა კაბინეტურ ძალად?). როდესაც მასების უშუალო მოძრაობა დახვრეტით, ეგზეკუციებით, გამათრახებით, უმუშევრობითა და შიმშილობით არის ჩახშობილი, როდესაც ხვრელებიდან ძვრებიან დუბასოვის კმაყოფაზე მყოფი პროფესორული მეცნიერების ბაღლინჯოები და იწყებენ საქმეთა გადაწყვეტას ხალხის მ ა გ ი ვ რ ა დ, მ ა ს ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ, ჰყიდიან და ღალატობენ მათს ინტერესებს ერთი მუჭა პრივილეგიურთა სასარგებლოდ, — მაშინ ფილისტერობის რაინდებს ჰგონიათ, რომ დამშვიდებული და წყნარი პროგრესის ეპოქა დადგა, «დადგა აზრისა და გონების ჯერიო». ბურჟუა ყოველთვის და ყველგან თავისი თავის ერთგულია: «პოლიარულ ზვეზდას» აიღებთ თუ «ნაშა ჟიზნს», სტრუვეს წაიკითხავთ თუ ბლანკს, ყველგან ერთი და იგივეა, ყველგან შეხვდებით რევოლუციური და რეფორმისტული პერიოდების ამ შეზღუდულ, პროფესორულ-პედანტურ, მოხე-

ლურ-უსიცოცხლო შეფასებას. პირველი პერიოდები პერიოდებია სიგიჟისა, **tolle Jahre**, აზრისა და გონების გაქრობა. მეორე პერიოდები «შეგნებული, სისტემატური» მოქმედების პერიოდებია.

ჩემს სიტყვებს სხვანაირად ნურავინ გაიგებს. ნუ იტყვით, რომ მე ვლაპარაკობ ბატონ ბლანკების მიერ ამა თუ იმ პერიოდებისათვის უპირატესობის მინიჭებაზე. საქმე სრულიადაც უპირატესობის მინიჭებაში არ არის, — ჩვენს მიერ უპირატესობის სუბიექტურად მინიჭებაზე როდია დამოკიდებული ისტორიული პერიოდების ცვალებადობა. საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ პერიოდის თ ვ ი ს ე ბ ა თ ა ა ნ ა ლ ი ზ ი ს დ რ ო ს (სრულიად დამოუკიდებლად ჩვენს მიერ უპირატესობის მინიჭებისა თუ ჩვენი სიმპათიებისა) ბატონი ბლანკები უსინდისოდ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ე ნ ს ი მ ა რ თ ლ ე ს. საქმე ისაა, რომ სწორედ რევოლუციური პერიოდები განირჩევიან ისტორიული შემოქმედების მეტი სიფართოვით, მეტი მრავალფეროვნებით, მეტი შეგნებით, მეტი გეგმაზომიერებით, მეტი სისტემატურობით, მეტი გაბედულებითა და სიმკვეთრით ფილისტერული, კადეტური, რეფორმისტული პროგრესის პერიოდებთან შედარებით. ბატონი ბლანკები კი საქმეს უკუღმა გვიხატავენ! ისინი უბადრუკობას ისტორიულ-შემოქმედებითს მრავალფეროვნებად ასაღებენ. დაჩაგრული თუ დაბეჩავებული მასების უმოქმედებას ისინი თვლიან მოხელეთა, ბურჟუების მოქმედებაში «სისტემატურობის» გამარჯვებად. ისინი აზრისა და გონების გაქრობაზე გაჰყვირიან, როდესაც კანცელარიების ვიგინდარა მოხელეებისა და ლიბერალური **penny-a-liner**'ების მიერ (მჯღაბნელები, სტრიქონობით აღებული ფულით რომ ცხოვრობენ) კანონპროექტების შეკოწიწების მაგივრად დგება იმ «მდაბიო ხალხის» უშუალო პოლიტიკური მოქმედების პერიოდი, რომელიც უბოდიშოდ პირდაპირ, დაუყოვნებლივ ამსხვრევს ხალხის ჩაგვრის ორგანოებს, იპყრობს ძალაუფლებას, იღებს იმას, რაც ხალხის ყოველგვარ მძარცველთა კუთვნილებად მიაჩნდათ, ერთი სიტყვით, როდესაც სწორედ რომ იღვიძებს მილიონობით ჩაგრულ-

ადამიანთა აზრი და გონება, იღვიძებს არა მარტო წიგნების საკითხავად, არამედ საქმისათვის, ცოცხალი, ადამიანური საქმისათვის, ისტორიული შემოქმედებისათვის.

ერთი შეხედეთ, როგორ მედიდურად მსჯელობს ეს კადეტთა რაინდი: «გრიგალმა იტრიალა და იმავე ადგილას დაცხრა». დიახ, თუ კიდევ ცოცხალნი არიან ლიბერალური ფილისტერები, თუ ისინი არ გადაუსანსლავთ დუბასოვებს, ეს სწორედ ამ გრიგალის წყალობით. იმავე «ადგილასაო» — ამბობთ თქვენ? განა რუსეთი 1906 წლის გაზაფხულს იმავე ადგილას არის, სადაც 1905 წლის სექტემბერში იყო?

დიახ, მთელი «კადეტური» პერიოდის განმავლობაში დუბასოვები და დურნოვოები უკან ეწევიან და კვლავაც უკან დასწევენ რუსეთს «შეგნებულად, გეგმაზომიერად და სისტემატურად», რათა იგი 1905 წლის სექტემბერს დაუბრუნონ, მაგრამ მათ ძალა აღარ ჰყოფნით, იმიტომ რომ გრიგალის დროს მთელი რუსეთი ლოკომოტივის სისწრაფით გააქროლა წინ პროლეტარმა, რკინიგზელმა, გლეხმა, მეამბოხე ჯარისკაცმა.

ეს უგუნური გრიგალი მართლა რომ დამცხრალიყო, მაშინ კადეტური სათათბირო იმისთვისღა იქნებოდა განკუთვნილი, რომ პირისაბანთა მოკალვის საკითხები განეხილა.

მაგრამ ბატონი ბლანკი ვერც კი მიმხვდარა, რომ საკითხი— დაცხრა თუ არა გრიგალი, დამოუკიდებელი და წმინდა მეცნიერული საკითხია, რაზედაც პასუხის გაცემა წინასწარ წყვეტს ტაქტიკის მთელ რიგ საკითხებს და რაზედაც პასუხის გაუცემლად, პირიქით, შეუძლებელია რაოდენადმე აზრიანად გაეერკვეთ თანამედროვე ტაქტიკის საკითხებში. ბატონი ბლანკი ძონაცემთა და მოსაზრებათა ამა თუ იმ განხილვის საფუძველზე კი არ მისულა იმ დასკვნამდე, რომ ახლა არ არსებობს პირობები გრიგალისებური მოძრაობისათვისო (ასეთ დასკვნას, იგი რომ დასაბუთებული იყოს, ტაქტიკის განსაზღვრის დროს მართლაც ძირითადი მნიშვნელობა ექნებოდა, რადგან, ვიმეო-

რებთ, მიუტევებელია ამ განსაზღვრის დაყრდნობა ამა თუ იმ გზისათვის უბრალო «უპირატესობის მინიჭებაზე»), — არა, იგი პირდაპირ და უბრალოდ გამოთქვამს თავის ღრმა (და დიდად ბეც) რწმენას, რომ სხვანაირად შეუძლებელიცაა. ნამდვილად რომ ითქვას, ბატონი ბლანკი «გრიგალს» სავსებით ისევე უყურებს, როგორც უყურებენ ბატონი ვიტეები, დურნოვოები, ბიულოვები და სხვა მოხელე-გერმანელები, რომელთაც უკვე დიდი ხანია 1848 წელი «გიჟ წელიწადად» გამოაცხადეს. გრიგალის დაცხრომის შესახებ ნათქვამი სიტყვებით ბატონი ბლანკი მეცნიერულ რწმენას კი არ გამოთქვამს, არამედ ფილისტერულ ჭკუამოკლეობას, რომლისთვისაც ყოველგვარი გრიგალი და საერთოდ გრიგალი «აზრისა და გონების გაჭრობას» ნიშნავს.

«სოციალ-დემოკრატია თავის გამოსავალ წერტილს დაუბრუნდაო» — გვარწმუნებს ბატონი ბლანკი. მენშევიკების ახალი ტაქტიკა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას იმ გზით წარმართავს, რომლითაც მთელი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია მიიმართებაო.

როგორც ხედავთ: პარლამენტურ გზას ბატონი ბლანკი რატომღაც «გამოსავალ წერტილად» აცხადებს (თუმცა რუსეთისთვის იგი სოციალ-დემოკრატიის გამოსავალი წერტილი ვერ იქნებოდა). ბატონ ბლანკს პარლამენტური გზა მიაჩნია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის, ასე ვთქვათ, ნორმალურ მთავარ და თვით ამომწურავ, ერთადერთ, განსაკუთრებულ გზად. ბატონი ბლანკი ვერც კი მიმხვდარა, რომ ამ მხრივ იგი სავსებით იმეორებს სოციალ-დემოკრატიზმის იმ ბურჟუაზიულ დამახინჯებას, გერმანულ ლიბერალურ პრესაში რომ სჭარბობს და ერთ დროს ბერნშტეინიადამ რომ გადმოიღო. ლიბერალურ ბურჟუას ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი ერთადერთი ხერხი ჰგონია. მუშათა მოძრაობისა და კლასობრივი ბრძოლის ბრენტანოსებური გაგება აქ სავსებით თავს იჩენს. ბატონი ბლანკი ვერც კი მიმხვდარა, რომ ევროპის სოციალ-დემოკრატია პარლამენტურ გზას მხოლოდ მაშინ დაადგა და შეეძლო

დასდგომოდა, როდესაც ობიექტურმა პირობებმა ისტორიის დღის წესრიგიდან მოხსნა ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის საკითხი, მხოლოდ მაშინ, როდესაც პარლამენტური წყობილება ბურჟუაზიის ბატონობის მართლაც მთავარ ფორმად და სოციალური ბრძოლის მთავარ ასპარეზად იქცა. იგი არც კი ჩაფიქრებია იმას, არის თუ არა რუსეთში პარლამენტი და პარლამენტური წყობილება, და უკვე უაპელაციოდ სწყვეტს: სოციალ-დემოკრატია თავის გამოსავალ წერტილს დაუბრუნდაო. ბურჟუაზიულ გონებას მხოლოდ და მხოლოდ დაუმთავრებელი დემოკრატიული რევოლუციები წარმოუდგენია (რადგან ბურჟუაზიულ ინტერესებს საფუძვლად რევოლუციის ბოლომდე მიუყვანლობა უდევს). ბურჟუაზიული გონება გაურბის ბრძოლის ყოველგვარ არაპარლამენტურ ხერხებს, მასების ყოველგვარ აშკარა გამოსვლებს, ყოველგვარ რევოლუციას ამ სიტყვის უშუალო მნიშვნელობით. ბურჟუა ინსტინქტურად ჩქარობს ყოველგვარი ყალბი პარლამენტარიზმი ნამდვილ პარლამენტარიზმად გამოაცხადოს, აღიაროს და მიიღოს, რათა ბოლო მოუღოს «თავბრუდამხვევ გრიგალს» (რომელიც საშიშია არა მარტო მრავალი ჭკუათხელი ბურჟუის თავისათვის, არამედ მათი ჯიბისთვისაც). ამიტომ არის, რომ მეცნიერული და მართლაც მნიშვნელოვანი საკითხი, შეიძლება თუ არა რუსეთში ბრძოლის პარლამენტური საშუალება მივიჩნიოთ არსებითი მნიშვნელობის მქონედ, ხოლო «გრიგალისებური» მოძრაობა გამოფიტულად, — ბატონ კადეტებს ეს საკითხი არც კი შეუძლიათ გაიგონ. და მატერიალური, კლასობრივი სარჩული ამ გაუგებლობისა სავსებით ცხადია: დაე მხარი დაუჭირონ კადეტურ სათათბიროს მშვიდობიანი გაფიცვით ან სხვაგვარი გამოსვლით, ოღონდ სერიოზულ, გადამწყვეტ, გამანადგურებელ ბრძოლაზე, თვითმპყრობელობისა და მონარქიის წინააღმდეგ აჯანყებაზე ნუ იფიქრებენო.

«ახლა კვლავ აზრისა და გონების ჯერი დადგაო», აღტაცებით ამბობს ბატონი ბლანკი დუბასოვის გამარჯვებათა პერიოდზე. იცით რა, ბატონო ბლანკო? რუსეთში არ ყოფილა ეპო-

ქა, რომელზედაც იმდენად შეიძლებოდეს თქმა: «აზრისა და გონების ჯერი დადგაო», როგორც ალექსანდრე III-ის ეპოქა იყო! მერწმუნეთ, რომ ასეა. სწორედ ამ ეპოქაში რუსეთის ძველმა ნაროდნიკობამ თავი დაანება მომავლისაკენ მარტოოდენ ოცნებით ცქერას და მოგვცა რუსეთის ეკონომიური სინამდვილის გამოკვლევანი, რომელთაც რუსეთის საზოგადოებრივი აზრი გაამდიდრეს. სწორედ ამ ეპოქაში მუშაობდა ყველაზე ინტენსიურად რუსეთის რევოლუციური აზრი, შეჰქმნა რა სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის საფუძვლები. [დიახ, ჩვენ, რევოლუციონერები, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ რეაქციული პერიოდების რევოლუციური როლი უარვყოთ. ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოებრივი მოძრაობის ფორმა იცვლება, რომ ხალხის მასების უშუალო პოლიტიკური შემოქმედების პერიოდებს ისტორიაში ცვლის პერიოდები, როდესაც გარეგანი სიმშვიდე სუფევს, როდესაც სდუმან ან სძინავთ (როგორც ჩანს, სძინავთ) კატორღული მუშაობით და გაჭირვებით დაბეჩავებულ და დაჩაგრულ მასებს, როდესაც განსაკუთრებით სწრაფად რევოლუციურდება წარმოების საშუალებანი, როდესაც ადამიანის გონების მოწინავე წარმომადგენელთა აზროვნება აჯამებს წარსულს, აგებს ახალ სისტემებსა და გამოკვლევის ახალ მეთოდებს. აი, ევროპაშიც ხომ 1848 წლის რევოლუციის ჩახშობის შემდეგი პერიოდი განირჩეოდა გაუგონარი ეკონომიური პროგრესითა და აზრის მუშაობით, რომელმაც შექმნა თუნდაც მარქსის «კაპიტალი». ერთი სიტყვით, «აზრისა და გონების ჯერი» კაცობრიობის ისტორიულ პერიოდებში ზოგჯერ დგება სწორედ ისევე, როგორც პოლიტიკური მოღვაწის საპყრობილეში ჯდომა ხელს უწყობს მის მეცნიერულ მუშაობასა და მეცადინეობას.

მაგრამ ჩვენებური ბურჟუაზიული ფილისტერის უბედურებაც სწორედ ის არის, რომ მას ვერ შეუგნია თავისი შენიშვნის ეს, ასე ვთქვათ, საპყრობილური თუ დუბასოვური ხასიათი. იგი ვერ ამჩნევს ძირითად საკითხს: რუსეთის რევოლუცია ჩახშობილია თუ იგი ახალი აღმავლობისაკენ მიდის? საზოგა-

დოებრივი მოძრაობის რევოლუციური ფორმა შეიცვალა თუ არა დუბასოვობასთან შეგუებულ ფორმად? ამოიწურა თუ არა ძალები «გრიგალისათვის»? ბურჟუაზიული გონება ამ საკითხებს არ აყენებს, იმიტომ რომ მისთვის რევოლუცია საერთოდ უგუნური გრიგალია, ხოლო რეფორმა — აზრისა და გონების ჯერი.

მოისმინეთ მისი უაღრესად ჭკუის სასწავლი მსჯელობა ორგანიზაციის შესახებ. აზრისა და გონების «პირველი საქმე», გვაუწყებს იგი, «უნდა იყოს წინასწარი ზომების მიღება იმის გამეორების წინააღმდეგ, რაც მოხდა რუსეთის რევოლუციის პირველ პერიოდში, მის **Sturm- und Drang-Zeit**-ში, ე. ი. რევოლუციურ ნიაღვართა და გრიგალთა გამანადგურებელი მოქმედების წინააღმდეგ. ერთადერთი ნამდვილი საამისო საშუალება შეიძლება იყოს მხოლოდ ორგანიზაციის გაფართოება და განმტკიცება».

თქვენ ხედავთ: კადეტს საქმე ისე წარმოუდგენია, რომ გრიგალის პერიოდი ანგრევდა ორგანიზაციებს და ორგანიზებულობას (იხილე «ნოვოე ვრემია», ბოდიში, «პოლიარნაია ზვეზდა» სტრუვეს სტატიებით წინააღმდეგ ანარქიისა, სტიქიისა, უხელისუფლებობისა რევოლუციაში და სხვ. და სხვ.), ხოლო დუბასოვის მფარველობის ქვეშ მყოფი აზრისა და გონების პერიოდი ორგანიზაციების შექმნის პერიოდია. რევოლუცია სიავეა, იგი ანგრევს, იგი გრიგალია, თავბრუდამხვევი ქარბუქია. რეაქცია სიკეთეა, იგი ჰქმნის, იგი ზურგის ქარია და შეგნებული, გეგმაზომიერი, სისტემატური მოქმედების ხანაა.

და კადეტების პარტიის ფილოსოფოსი კვლავ ცილსა სწამებს რევოლუციას და ამყღავნებს მთელ თავის სიყვარულს მოძრაობის ბურჟუაზიულ-შეზღუდული ფორმებისა და პიროებებისადმი. გრიგალი ორგანიზაციებს ანგრევდა! რა აღმაშფოთებელი სიცრუეა! დამისახელეთ რუსეთის თუ მსოფლიო ისტორიის ისეთი პერიოდი, მონახეთ ისეთი ექვსი თვე თუ ექვსი წელი, როცა ხალხის მასების თავისუფალი თვითწარმოშობილი ორგანიზაციებისათვის იმდენი რამ გაკეთებულიყოს,

რამდენიც რუსეთის რევოლუციური გრიგალის ექვს კვირაში, როდესაც რევოლუციის ცილისმწამებელთა თქმით, მივიწყებულ იქნა ყველა პრინციპი და იდეა, როდესაც გაჰქრა გონება და აზრი. რა იყო სრულიად რუსეთის საყოველთაო გაფიცვა? თქვენის აზრით, ეს არ არის ორგანიზაცია? იგი პოლიციის წიგნებში არ არის აღრიცხული, იგი არ არის მუდმივი ორგანიზაცია, თქვენ არ გსურთ იგი ანგარიშში ჩააგდოთ. აიღეთ პოლიტიკური ორგანიზაციები. მოგეხსენებათ თუ არა თქვენ, რომ მუშა ხალხი, უბრალო მასა, არასოდეს ასეთი ხალისით არ შედიოდა პოლიტიკურ ორგანიზაციებში, არასოდეს ასე გიგანტურად არ გაუზრდია მას პოლიტიკური კავშირების შემადგენლობა, არ შეუქმნია მუშათა დეპუტატების საბჭოების მსგავსი თვითმყოფი ნახევრადპოლიტიკური ორგანიზაციები? მაგრამ თქვენ გეშინიათ პროლეტარიატის პოლიტიკური ორგანიზაციებისა. თქვენ, როგორც ჭეშმარიტ ბრენტანისტს, ბურჟუაზიისათვის უფრო უშიშარ საქმედ (და ამიტომ უფრო საიმედო, უფრო სერიოზულ საქმედ) გეჩვენებათ პროფესიული ორგანიზაციები. ავიღოთ პროფესიული ორგანიზაციები და ჩვენ დავინახავთ, — წინააღმდეგ ყოველგვარი ფილისტერული ჭორებისა, თითქოს რევოლუციურ მომენტში მათ უგულებელყოფენ, — რომ რუსეთში არასოდეს არ შექმნილა იმდენი უთვალავი მუშათა პროფესიული ორგანიზაციები, როგორც ამ დღეებში. სოციალისტური, და სწორედ სოციალისტური, გაზეთების, როგორც «ნოვაია ჟიზნის», ისე «ნაჩალოს» ფურცლები სავსე იყო ცნობებით ახალ-ახალი პროფესიული ორგანიზაციების შესახებ. პროლეტარიატის ისეთი ჩამორჩენილი ფენებიც კი, რომელთა დაძვრა «გეგმაზომიერი და სისტემატური» ფილისტერული პროგრესის პერიოდის ათწელიწადშიც ძნელად მოსახერხებელია, როგორც შინამოსამსახურენი არიან, შეკავშირებისადმი უდიდეს მიდრეკილებას და უნარს იჩენდნენ. აიღეთ გლეხთა კავშირი. ახლა ძალიან ადვილად შეხვდებით კადეტს, რომელიც მედიდური ათვალწუნებით ლაპარაკობს ამ კავშირზე: მერე რა, ეს ხომ

ნახევრადფიქტიური ორგანიზაციაა! ახლა მისი ნიშანკვალიც კი არ დარჩენილა! დიახ, ბატონებო, ერთი მანახვა, ბევრი გადარჩებოდა განა თქვენი კადეტური ორგანიზაციებიდან, მათ რომ დამსჯელი ექსპედიციების, სოფლის უამრავი ლუჟენოვსკების, რიმანების, ფილონოვების, ავრამოვებისა და ჟდანოვების წინააღმდეგ ბრძოლა გადახდომოდათ. გლეხთა კავშირი რევოლუციური გრიგალის პერიოდში ზღაპრული სისწრაფით იზრდებოდა. ეს იყო ნამდვილად ხალხური, მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც, რა თქმა უნდა, იზიარებდა გლეხთა მთელ რიგ ცრურწმენებს, გლეხის წვრილბურჟუაზიული ილუზიების ადვილად ამყოლი იყო (როგორც ამ ილუზიების ამყოლი არიან ჩვენებური სოციალისტ-რევოლუციონერებიც), მაგრამ მასების უსათუოდ «ნიადაგიანი», რეალური ორგანიზაცია, თავისი საფუძველით უეჭველად რევოლუციური, ბრძოლის ნამდვილი რევოლუციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე ორგანიზაცია, რომელიც გლეხობის პოლიტიკური შემოქმედების გაქანებას კი არ ჰკვეცავდა, არამედ აფართოებდა, ასპარეზზე გამოჰყავდა თვით გლეხები მათი სიძულვილით მოხელეებისა და მემამულეებისადმი, და არა ნახევრადინტელიგენტები, რომელნიც ასე ხშირად იჩენენ რევოლუციური გლეხობისა და ლიბერალური მემამულეების მორიგების ყოველგვარ პროექტთა შეთხზვის მიდრეკილებას. არა, გლეხთა კავშირის ჩვეულებრივი ათვალწუნება ყველაზე მეტად ამჟღავნებს კადეტის ფილისტერულ-ბურჟუაზიულ შეზღუდულობას, კადეტისა, რომელსაც არა სწამს ხალხის რევოლუციური თვითმოქმედება და ეშინია ასეთი თვითმოქმედებისა. თავისუფლების დღეებში გლეხთა კავშირი ერთ-ერთი უაღრესად მძლავრი რეალობა იყო, და შეიძლება დარწმუნებით წინასწარმეტყველება, რომ თუ ლუჟენოვსკებმა და რიმანებმა კიდევ ათი ათასობით არ ამოხოცეს მოწინავე გლეხი ახალგაზრდობა, თუ კვლავ ოდნავ მაინც დაჰბერა თავისუფალმა სიომ, ეს კავშირი გაიზრდება არა დღეობით, არამედ საათობით, იგი ისეთი ორგანიზაცია

გახდება, რომელთანაც შედარებით კადეტების ახლანდელი კომიტეტები პაწაწა ბეწვად მოგვეჩვენება*.

ვაჯამებთ: ხალხის, განსაკუთრებით პროლეტარიატის, შემდეგ კი გლეხობის ორგანიზატორული შემოქმედება რევოლუციური გრიგალის პერიოდებში თავს იჩენს მილიონჯერ უფრო მძლავრად, უხვად, ნაყოფიერად, ვიდრე ეგრეთწოდებული წყნარი (ურმული) ისტორიული პროგრესის პერიოდებში. ბატონ ბლანკების საწინააღმდეგო აზრი ისტორიის ბურჟუაზიულ-მოხელური დამახინჯებაა. კეთილ ბურჟუას და პატიოსან მოხელეს «ნამდვილ» ორგანიზაციებად მხოლოდ ისეთი ორგანიზაციები ეჩვენებათ, რომელნიც კარგად არიან აღრიცხულნი პოლიციის წიგნებში და ზედმიწევნით შეფარდებულნი ყოველგვარი «დროებითი წესებისადმი». დროებითი წესების გარეშე მას ვერ წარმოუდგენია გეგმაზომიერება და სისტემატურობა. ამიტომ ნურავის მოატყუებს კადეტის მაღალფარდოვანი ფრაზების ჰეშმარიტი მნიშვნელობა, როდესაც იგი

* რა თქმა უნდა, გლეხთა კავშირიც, როგორც არა კლასობრივი ორგანიზაცია, შეიცავს დაშლის ელემენტებს. რაც უფრო ახლოა გლეხთა აჯანყების გამარჯვება და რაც უფრო სრული იქნება ეს გამარჯვება, მით უფრო ახლო იქნება ამ კავშირის დაშლაც. მაგრამ გლეხთა აჯანყების გამარჯვებამდე და ასეთი გამარჯვებისათვის გლეხთა კავშირი მძლავრი და ცხოველმყოფელი ორგანიზაციაა. მისი როლი ამოიწურება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სრული გამარჯვებით, პროლეტარულ ორგანიზაციათა როლი კი სოციალიზმისათვის ბრძოლაში სწორედ მაშინ იქნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით ცხოველმყოფელი: ხოლო კადეტთა ორგანიზაციების როლი ის არის, რომ შეაფერხონ ბურჟუაზიული რევოლუციის სრული გამარჯვება, რომ მკაფიოდ ჩანდნენ ამ რევოლუციის მოსამზადებელ პერიოდებში, დაცემულობის, შეფერხების, ღუბასოვის ბატონობის პერიოდებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: გლეხობა გაიმარჯვებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში და ამით საბოლოოდ ამოსწურავს თავის რევოლუციურობას, როგორც გლეხობა. პროლეტარიატი გაიმარჯვებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში და მხოლოდ მაშინ გაშლის ნამდვილად თავის ჰეშმარიტ, სოციალისტურ რევოლუციურობას. ხოლო კადეტური წერილი ბურჟუაზია ისევე ამოსწურავს თავის ოპოზიციურობას, როგორც ხვალვე ამოსწურავს თავის თავს კონსტიტუციური ილუზიები.

ლაპარაკობს ლეგალობისადმი რომანტიკული ზიზღისა და ეკონომიკისადმი არისტოკრატული ქედმაღლობის შესახებ. ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა მხოლოდ ერთია: ბურჟუაზიულ-ოპორტუნისტული შიში ხალხის რევოლუციური თვითმოქმედების წინაშე.

ბოლოს, განვიხილოთ ბ-ნ ბლანკის კადეტური «თეორიის» უკანასკნელი პუნქტი: მუშური და ბურჟუაზიული დემოკრატიის ურთიერთობა. ბატონ ბლანკის მსჯელობა ამ თემაზე სოციალ-დემოკრატიის უდიდესი ყურადღების ღირსია, რადგან ეს იმის ნიმუშია, თუ როგორ ამახინჯებენ მარქსს მარქსისავე დამოწმებით. სწორედ ისევე, როგორც ბრენტანოები, ზომბარტები, ბერნშტეინები და კომპ. მარქსიზმს ბრენტანიზმით სცვლიდნენ და თან მარქსის ტერმინოლოგიას ხმარობდნენ, მარქსის ცალკეულ აზრებს იმოწმებდნენ, მარქსიზმს ბაძავდნენ, — სწორედ ასევე ჩვენებური კადეტებიც მუშური და ბურჟუაზიული დემოკრატიის ურთიერთობის საკითხში მარქსის გაყალბების «ფაქიზ მუშაობას» ეწევიან.

მუშური და ბურჟუაზიული დემოკრატიის მოქმედებათა კოორდინაციის გარეშე ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუციის წარმატება შეუძლებელია. წმინდა ჭეშმარიტებაა. უცილობელი ჭეშმარიტებაა. თქვენ, ბატონო ბლანკებო, იზგოევებო და კომპ., გგონიათ, რომ რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატები ამას ივიწყებდნენ მეტადრე «გრიგალის» დღეებში? თქვენ ცდებით ანდა შეგნებულად სცვლით რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დემოკრატიის ცნებას ბურჟუაზიული დემოკრატიის ცნებით საერთოდ, — მათ შორის მონარქისტულ-ლიბერალური, — მათ შორის ოპორტუნისტული, უმთავრესად კი თვით მონარქისტულ-ლიბერალური დემოკრატიის ცნებით. აიღეთ «ნოვაია ჟიზნ» და თქვენ დაინახავთ, რომ მუშური დემოკრატიისა და რევოლუციურ-ბურჟუაზიული დემოკრატიის ერთად მოქმედების, საბრძოლო შეთანხმების შესახებ იქ თ ი თ ქ მ ი ს ყ ო ვ ე ლ ნ ო მ ე რ შ ი ა ლაპარაკი. გლეხთა კავშირისა და გლეხთა მოძრაობის მნიშვნელობაზე

იქ მეტად ძლიერი გამოთქმებით არის ლაპარაკი. წინააღმდეგ კადეტების ზღაპრებისა მარქსისტების შეუწყნარებლობის და ვიწრო დოქტრინიორობის შესახებ, იქ სავსებით სცნობენ უპარტიო კავშირებისა და ორგანიზაციების მნიშვნელობას*, მაგრამ სწორედ უპარტიო-რევოლუციური ორგანიზაციებისას. აი რაშია საკითხის დედააზრი, რომელსაც ოსტატურად ჩქმალავენ ჩვენი ბრენტანისტები პოლიტიკაში: საზელდობრ ბურჟუაზიული დემოკრატიის რომელ ელემენტებს შეუძლიათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე ამიყვანა, როდესაც ეს რევოლუცია, ასე ვთქვათ, შუაგზაზე იმყოფება. იმ ელემენტებს, მონარქისტულ-ლიბერალურ პროგრამას რომ იზიარებენ, მთლად კონსტიტუციურ ილუზიებში რომ ეფლობიან და რევოლუციურ პერიოდებს, ისტორიული შემოქმედების რევოლუციურ ხერხებს თავისი ფილისტერული აღშფოთების, გმობისა და სინანულის ღორბლს რომ ანთხევენ, თუ იმ ელემენტებს, გლეხთა აჯანყების სრული გამარჯვების (მემამულეებთან გლეხთა მორიგების მაგივრად), დემოკრატიის სრული გამარჯვების (დემოკრატიული ქვედა პალატის ზედა პალატასთან და მონარქიასთან მორიგების მაგივრად) პროგრამას რომ იზიარებენ? გიფიქრიათ კი ოდესმე ამ საკითხზე, ბატონო ბლანკებო და იზგოევებო? ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ შემთანხმებლებთან «ერთად უნდა დავკრათ» ამჟამად, თუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციონერებთან ერთად?

არ გაგიგიათ, მარქსის სიტყვების მოყვანისა და დამახინჯების პატივცემულნო მოყვარულნო, რა შეუბრალებლად ამათრახებდა მარქსი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ შემთანხმებლებს გერმანიაში 1848 წელს?[71] ხოლო ეს შემთანხმებლები ხომ უბადრუკ სახელმწიფო სათათბიროში კი არა, ეროვნულ კრებაში ისხდნენ, — ისინი ჩვენს კადეტებზე ბევრად უფრო «მედგარი» (სიტყვით) დემოკრატები იყვნენ.

---

* იხ. ჩემი სტატია «ნოვაია ჟიზნში»: «სოციალისტური პარტია და უპარტიო რევოლუციურობა». (ეს ტომი, გვ. 72 — 82. რ ე დ.)

და იგივე მარქსი და ენგელსი თხუთმეტიოდე წლის შემდეგ, პრუსიის «კონსტიტუციური კონფლიქტის» ეპოქაში, მუშათა პარტიას ურჩევდნენ — მხარი დაეჭირა ბურჟუაზიული დემოკრატ-პროგრესისტებისათვის, რომელნიც ოდნავადაც არ ყოფილან ფრანკფურტელ დემოკრატებზე უკეთესნი[72]. თქვენის აზრით, ეს არის მარქსისა და ენგელსის წინააღმდეგურობა და არათანამიმდევრობა? თქვენის აზრით, ეს იმის დამამტკიცებელია, რომ «რევოლუციური გრიგალის» დროს მათაც თითქმის დაჰკარგეს «აზრი და გონება»? (ასეთი აზრისაა ბერნშტეინელთა და კადეტთა უმრავლესობა). ნამდვილად კი აქ არავითარი წინააღმდეგურობა არ არის: რევოლუციური ბრძოლის პერიოდში მარქსი ყველაზე მძლავრად კონსტიტუციურ ილუზიებსა და კონსტიტუციურ შემთანხმებლებს ამათრახებდა. როდესაც რევოლუციური «გრიგალის» მთელი ძალები ამოიწურა, როდესაც უკვე აღარ შეიძლებოდა რაიმე ეჭვის შეტანა იმაში, რომ გერმანელმა კადეტებმა რევოლუციას საბოლოოდ უღალატეს, როდესაც აჯანყებები უეჭველად და გადაჭრით ჩახშობილ იქნა და ეკონომიური აყვავება მათ განმეორებას უიმედო საქმედ ხდიდა, — მაშინ და მ ხ ო ლ ო დ მ ა შ ი ნ (მარქსსა და ენგელსს არ ახასიათებდათ სულმოკლეობა და აჯანყების რწმენის დაკარგვა პირველი დამარცხებისთანავე!), მხოლოდ მაშინ აღიარეს მათ ბრძოლის მთავარ ფორმად პარლამენტური ფორმა. პარლამენტში, რაკი იქ მოხვდით, არათუ შეიძლება, არამედ სავალდებულოც არის, განსაზღვრულ პირობებში, მხარი დაუჭიროთ გადამრბენ იზგოევს შიპოვის წინააღმდეგ, შიპოვს — დურნოვოს წინააღმდეგ. ნამდვილი პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ა რ ი ზ მ ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლაში ხანდახან კადეტ «შემთანხმებლებზე» საშიში არაფერია.

თუ თქვენ მარქსის დამოწმება გსურთ, ბატონებო, სცადეთ დაამტკიცოთ, რომ ჩვენი სათათბირო არის უკვე ბურჟუაზიის ბატონობის ორგანო თავისუფალ რუსეთში და არა თვითმპყრობელობის ლეღვის ფოთოლი. თქვენ იტყვით, ეს უკანასკნელი სათათბირო შესაძლოა თანდათან გადაიზარდოს პირველი

შინაარსის სათათბიროდ მთელ რიგ პატარა ცვლილებათა მეოხებით და რომ კადეტური არჩევნები არის სწორედ ასეთი, არათუ მცირედი, არამედ დიდი «გადაზრდაო».

კეთილი. მაგრამ ამით თქვენ საკითხს კი არ სწყვეტთ, არამედ მხოლოდ უკან აყენებთ. ხოლო აი ამჟამად, ახლანდელი სათათბირო უკვე იმდენად გასცილდა თავის ფარგლებს, რომ შეიძლება ძალაუფლების ორგანო იყოს? ვინც თქვენთაგან ასე ფიქრობს და ცდილობს ხალხსაც ასე აფიქრებინოს, ის თქვენს შორის პირდაპირ მეტად მავნე კონსტიტუციურ ილუზიებს ავრცელებს, ის თქვენს შორის პირდაპირ კონტრრევოლუციონერია. ხოლო ის, ვინც შესაძლებლად თვლის, რომ «დურნოვო რჩება, რათა სათათბირო გარეკოს» *, ანდა ვისაც ესმის, რომ თუ «პარლამენტს» გარეშე, რევოლუციური შეტევა არ მოხდება, უამისოდ უზრუნველყოფილი არაფერი არ იქნებაო **, ის თვითონ ამჟღავნებს თავისი პოზიციის მერყეობას. ამის აღიარებით ისინი ცხადჰყოფენ, რომ კადეტების პოლიტიკა — ეს არის წ უ თ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ა და არა რევოლუციის მ ტ კ ი ც ე და ძირითადი ინტერესების სერიოზული დაცვის პოლიტიკა. ეს აღიარება ცხადყოფს, რომ ახლა, როცა ა ხ ა ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი კ რ ი ზ ი ს ი მწიფდება და როცა ის იფეთქებს, კადეტებს ჩამოშორდება მთელი მასა რევოლუციური ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ელემენტებისა, რომელთაც ბატონ დურნოვოების მიერ სათათბიროს აბუჩად აგდება ბარიკადებისაკენ წაუბიძგებს. მაშასადამე, მთელი განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თქვენ გსურთ ეს აუცილებელი ახალი ბრძოლა შ ე ზ ღ უ დ ო თ, შებორკოთ, შ ე მ ო ფ ა რ გ ლ ო თ კადეტური სათათბიროსათვის მხარის დაჭერის ამოცანით, ჩვენ კი გვინდა მთელი ჩვენი ფიქრები, მთელი ძალღონე, მთელი ჩვენი საagიტაციო, საპროპაგანდო და ორგანიზაციული მუშაობა იქით მივმართოთ, რომ ამ ბრძოლის გაქანება კადეტური პროგრამების

---

* «რუს» და «მოლვა».

** პ. მილიუკოვი. «კონფლიქტის ელემენტები», «რეჩ» № 30 (24 მარტი) — შემთანხმებლის ფრიად საინტერესო «credo» («მრწამსი». რ ე დ).

ფარგლებს გადავაცილოთ, იგი თვითმპყრობელობის სრულ დამხობამდე, გლეხთა აჯანყების სრულ გამარჯვებამდე, რევოლუციური გზით სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევამდე გავაფართოოთ.

თქვენ გგონიათ, რომ ჩვენში, რუსეთში, არავითარი რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატია არ არსებობს, რომ კადეტები რუსეთში ბურჟუაზიული დემოკრატიის ერთადერთი ან, ყოველ შემთხვევაში, მთავარი ძალაა. მაგრამ თქვენ ეს მხოლოდ იმიტომ გგონიათ, რომ ბეცები ხართ, რომ თქვენ პოლიტიკურ მოვლენათა ზერელე დაკვირვებას სჯერდებით, რომ თქვენ ვერ ხედავთ და არ გესმით «კონსტიტუციის დედაარსი». თქვენ, დღევანდელი დღის პოლიტიკოსები, უაღრესად ტიპიური ოპორტუნისტები ხართ, რადგან დემოკრატიის წუთიერ ინტერესებს იქით მის უფრო ღრმა და ძირითად ინტერესებს ვერ ამჩნევთ, წუთიერი ამოცანების გამო გავიწყდებათ ხვალინდელი, და უფრო სერიოზული ამოცანები, აბრას იქით შინაარსს ვერ ხედავთ. რუსეთში რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატია არის, იგი არ შეიძლება არ იყოს, ვიდრე არსებობს რევოლუციური გლეხობა, მილიარდი ძაფებით დაკავშირებული ქალაქელ ღარიბებთანაც. ეს დემოკრატია განაბულია მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ რიმანებისა და ლუჟენოვსკების მუშაობის წყალობით. და ხვალინდელი დღე აუცილებლად გამოამჟღავნებს კადეტების ილუზიებს. ან რეპრესიების რეჟიმი ძველებურად დარჩება, რიმანები და ლუჟენოვსკები «საქმეს გააკეთებენ», კადეტური სათათბირო ილაყბებს, — მაშინ ამ სათათბიროს უბადრუკობა და მასში გაბატონებული პარტიის უბადრუკობაც ერთბაშად ცხადი გახდება მოსახლეობის უდიდესი მასებისათვის. დაიწყება მწვავე აფეთქება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ, რა თქმა უნდა, არა კადეტები, როგორც პარტია, არამედ მოსახლეობის სწორედ ისეთი ელემენტები, რევოლუციურ დემოკრატიას რომ შეადგენენ. ანდა რეპრესიების რეჟიმი შესუსტდება, მთავრობა ზოგიერთ რასმე დასთმობს, კადეტური სათათბირო, რასაკვირველია, ცას დაეწევა პირველ დათმობისთანავე და დათანხმდება არათუ შიპოვს,

არამედ შეიძლება უფრო უარესსაც. კადეტების კონტრრევოლუციური ბუნება (რამაც განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი «გრიგალის» დღეებში და მუდამ თავს იჩენს მათს ლიტერატურაში) სავსებით გამომჟღავნდება. მაგრამ თავისუფალი სიოს პ ი რ ვ ე ლ ი ვ ე ქროლვა, რეპრესიების პირველივე შესუსტება კვლავ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ გამოიწვევს ასობით და ათასობით ორგანიზაციის, კავშირის, ჯგუფის, წრის, რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათის წამოწყების გამოცოცხლებას. ხოლო ეს მოვლენა ასევე აუცილებლად კვლავ «გრიგალს», ოქტომბერ-დეკემბრის ბრძოლის განმეორებას გამოიწვევს, ოღონდ განუზომლად უფრო ფართო მასშტაბით. კადეტები, ახლა რომ მკაფიოდ მოჩანან, მაშინ კვლავ გაჰქრებიან. რატომ? იმიტომ რომ მატლები გვამებს ესევიან და არა ცოცხალ ადამიანებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კადეტებს შეუძლიათ, როგორც დურნოვო იტყოდა, ხალხს «სახალხო თავისუფლების» «მადა გაუხსნან» საბოლოოდ, მაგრამ მათ არავითარ შემთხვევაში, სრულებით, არ შეუძლიათ გასწიონ ნამდვილი ბრძოლა ნამდვილი სახალხო თავისუფლებისათვის, უბრჭყალებოდ, თვითმპყრობელობასთან თავისუფლების შეუთანხმებლად. ამ ბრძოლის წარმოება აუცილებლად კიდევ მოგვიხდება, ოღონდ მას გასწევენ სხვა პარტიები, სხვა სოციალური ელემენტები და არა კადეტები. აქედან ცხადია, რომ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას სრულიადაც არა შურს კადეტების წარმატებანი და განაგრძობს მთელი ყურადღების მიპყრობას ამ მომავალ ნამდვილ და არა ბუტაფორულ ბრძოლაზე.

ბატონ ბლანკს მოჰყავს მარქსის სიტყვები ბურჟუაზიული დემოკრატიის დიდ მნიშვნელობაზე. მარქსის ნამდვილი აზრის გამოსახატავად საჭიროა დავუმატოთ: და დ ი დ ა დ გ ა მ ც ე მ ლ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. მარქსს ათასჯერ უთქვამს ეს სხვადასხვა ნაწარმოების სხვადასხვა ადგილას. ამხ. პლეხანოვს, რომელიც ახლანდელ პოლიტიკაში ბრენტანიზმისაკენ იხრება, მარქსის ეს მითითებანი დავიწყებია. ამხ. პლეხანოვი ვერც კი მიმხვდარა, თუ რ ა ს შეიძლება ღალატობდეს ლიბერალური

დემოკრატია. პასუხი მეტად მარტივია, ამხანაგო პლეხანოვო: «სახალხო თავისუფლების» პარტია ღალატობდა და უღალატებს სახალხო თავისუფლებას.

ბატონი ბლანკი ჭკუას გვასწავლის, არ უნდა ვუბიძგებდეთ ბურჟუაზიულ დემოკრატიას «რეაქციისაკენ, კონტრრევოლუციისაკენო». ვეკითხებით ამ ბრძენ კადეტს: გნებავთ განიხილოთ იდეათა, თეორიათა, პროგრამათა, ტაქტიკურ ხაზთა სამყარო? თუ მატერიალური კლასობრივი ინტერესების სამყარო? განვიხილოთ ერთიც და მეორეც. ვინ და როდის წაუბიძგა კონტრრევოლუციისაკენ თქვენს მეგობარს, ბ-ნ სტრუვეს? ბატონი სტრუვე კონტრრევოლუციონერი იყო 1894 წელს, როდესაც ბრენტანოსებურ შენიშვნებს უკეთებდა მარქსიზმს თავის «კრიტიკულ შენიშვნებში». და, მიუხედავად ზოგიერთი ჩვენგანის ცდისა ბრენტანიზმისაგან მარქსიზმისაკენ «წაგვეგიბიძგებინა» მისთვის, ბატონი სტრუვე საბოლოოდ გადაბარგდა ბრენტანიზმისაკენ. დ ა კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი კილოც ა რ ა ს ო დ ე ს აღარ გამქრალა «ოსვობოჟდენიეს», ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი «ოსვობოჟდენიეს» ფურცლებიდან. რა არის ეს, შემთხვევითი ამბავი? განა შემთხვევითია ის, რომ სწორედ «გრიგალის» ეპოქამ, ხალხის რევოლუციური თვითმოქმედების ეპოქამ აიძულა ბატონი სტრუვე შეექმნა რეაქციული ბუზღუნის სანიმუშო ორგანო: «პოლიარნაია ზვეზდა»?

ვინ ეზიდება საერთოდ სასაქონლო მეურნეობის დროს წვრილ მწარმოებელს რეაქციისა და კონტრრევოლუციისაკენ? მისი მდგომარეობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის კაპიტალისტურ საზოგადოებაში. წვრილი ბურჟუა აუცილებლად და გარდუვალად, ყველა ქვეყანაში და ყოველგვარი პოლიტიკური კომბინაციების დროს, რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის მერყეობს. მას სურს გაითავისუფლოს თავი კაპიტალის ჩაგვრისაგან და განამტკიცოს თავისი, როგორც წვრილი მესაკუთრის, მდგომარეობა. არსებითად ასეთი ამოცანა გადაუჭრელია, და თვით თანამედროვე საზოგადოების წყობის დედაარსის გამო წვრილი ბურჟუას მერყეობა გარდუ-

ვალი და აუცილებელია. ამიტომ მხოლოდ წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ წარმოსადგენია მუშების რევოლუციური თვითმოქმედების ან მემამულეთა მიწათმფლობელობის წინააღმდეგ აჯანყებული გლეხების რევოლუციური თვითმოქმედების ისეთი გამოვლინებანი, რომელნიც ბურჟუაზიული დემოკრატიის განსაზღვრულ ნაწილს რეაქციისაკენ არ უბიძგებდნენ. მხოლოდ ფილისტერობის რაინდებს თუ დასწყდებათ გული ამის გამო.

ნუთუ ბატონი ბლანკები და იზგოევები (ანდა ამხანაგი პლეხანოვი) ფიქრობენ, მაგალითად, რომ შესაძლებელია გლეხთა აჯანყების სრული გამარჯვება, «მიწის» სრული «ჩამორთმევა» მემამულეთაგან (პლეხანოვის ლოზუნგი) უსასყიდლოდ, ისე, რომ ამან კადეტური «ბურჟუაზიული დემოკრატიის» სამ მეხუთედს კონტრრევოლუციისაკენ არ წაუბიძგოს? როგორ ფიქრობთ, ამხანაგო პლეხანოვო, ხომ არ უნდა გავმართოთ ამის გამო ვაჭრობა კადეტებთან «გონივრულ» საგლეხო პროგრამაზე? თქვენ რაღას ფიქრობთ, ბატონო ბლანკებო და იზგოევებო?

ახლა ჩვენი კადეტის პოლიტიკურ მსჯელობათა ფინალი ვნახოთ: თუ ბურჟუაზიული დემოკრატია ამჟამად შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგია, შეიარაღებულ აჯანყებაზე ლაპარაკი შეუძლებელია და არც უნდა იყოს ლაპარაკი.

ამ სიტყვებში გამოხატულია კადეტური პოლიტიკის მთელი არსი და მთელი აზრი: დავუმორჩილოთ პროლეტარიატი კადეტებს, ავიყვანოთ იგი ბუქსირზე მისი პოლიტიკური ქცევისა და მისი პოლიტიკური ბრძოლის ძირითად საკითხში. ამაზე თვალი არ უნდა დავხუჭოთ. ბატონი ბლანკი საკმაოდ მოხერხებულად გვიხვევს თვალს: იგი ლაპარაკობს არა კადეტებზე, არამედ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე საერთოდ. იგი ლაპარაკობს «დღევანდელ მომენტზე» და არა აჯანყებაზე საერთოდ. მაგრამ მხოლოდ ბავშვი თუ მოტყუვდება იმაში, რომ ეს სწორედ

თვალის ახვევაა და რომ ბლანკის დასკვნის ჭეშმარიტი აზრი სწორედ ისაა, რაც ჩვენ აღვნიშნეთ: მთელი რიგი მაგალითებით ჩვენ უკვე ცხადვყავით, რომ ბატონი ბლანკი (როგორც ყველა კადეტი) სისტემატურად უგულებელჰყოფს კადეტურზე უფრო მემარცხენე ბურჟუაზიულ დემოკრატიას, რომ იგი კონსტიტუციური ილუზიების დამცველის პოზიციის შესაბამისად კადეტებსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას აიგივებს, რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას უგულებელჰყოფს. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ცხადვყოთ, რომ კადეტები საერთოდ შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგნი არიან და არა მხოლოდ «მომენტის» უხეიროდ შერჩევისა (ერთსაც და მეორესაც ძალიან ხშირად ერთმანეთში ურევენ, და კადეტებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია ამის არევა, აჯანყების უარყოფის დაფარვა აჯანყების მომენტზე მსჯელობით). ამის ცხადყოფა მეტისმეტად იოლია: საკმარისია დავიმოწმოთ ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი «ოსვობოჟდენიე», სადაც ბატონი სტრუვე 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, 9 იანვრის შემდეგ და 9 ოქტომბრამდე, ილაშქრებდა შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ და ამტკიცებდა — ამის ქადაგება «ს ი გ ი ჟ ე და დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ა ო». მოვლენებმა საკმაოდ გაამტყუნა ეს კონტრრევოლუციონერი. მოვლენებმა ცხადჰყო, რომ მხოლოდ მარქსისტების მიერ გათვალისწინებულმა და მათ მიერ ლოზუნგის სახით წამოყენებულმა ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო გ ა ფ ი ც ვ ი ს შ ე ხ ა მ ე ბ ა მ შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ს თ ა ნ მოუპოვა რუსეთს თავისუფლების აღიარება და კონსტიტუციონალიზმის ჩანასახები. მხოლოდ სრულიად განმარტოებული სოციალ-დემოკრატები (მსგავსად პლეხანოვისა), რომელთაც რუსეთში მომხრენი არ ჰყოლიათ, სულმოკლედ ლაპარაკობენ დეკემბრის აჯანყებაზე: «ხელი არ უნდა მოგეკიდათ ი ა რ ა ღ ი ს თ ვ ი ს ა ო». პირიქით, ს.-დ. უდიდესი უმრავლესობა ეთანხმება იმას, რომ აჯანყება აუცილებელი იყო თავისუფლებათა წართმევის წინააღმდეგ, რომ მან მთელი მოძრაობა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა და ჯართან ბრძოლის შესაძლებლობა დაგვიმტკიცა. ეს უკანასკნელი გარემოება აღი-

არა ისეთმა მიუდგომელმა, თავდაჭერილმა და ფრთხილმა მოწმემ, როგორიცაა კაუტსკი.

აბა ახლა შეხედეთ, რას მოასწავებს ბატონ ბლანკების მორალი: პროლეტარიატმა აჯანყებაზე არ უნდა იფიქროს, თუ კადეტური პარტია (რომელიც რევოლუციური არასოდეს არ ყოფილა) აჯანყებას არ თანაუგრძნობსო (თუმცა იგი ამჟამადაც და ყ ო ვ ე ლ სხვა მომენტშიც აჯანყების წინააღმდეგია). არა, ბატონო ბლანკო! პროლეტარიატი აუცილებლად ანგარიშს გაუწევს ბურჟუაზიულ დემოკრატიას საერთოდ აჯანყების საკითხშიც და განსაკუთრებით კი აჯანყების მომენტის შერჩევის საკითხშიც, — მაგრამ მხოლოდ სწორედ რომ ა რ ა კადეტურ, ა რ ა მ ე დ რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას; — არა ლიბერალურ-მონარქისტულ, არამედ რევოლუციურ-რესპუბლიკურ მიმდინარეობებსა და პარტიებს; — არა იმ მოლაყბეებს, სათამაშო პარლამენტს რომ სჯერდებიან, არამედ გლეხთა მასას (ესეც ბურჟუაზიული დემოკრატიაა), რომელიც სხვაგვარად განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას აჯანყებისადმი, ვიდრე კადეტები.

«კადეტები აჯანყების წინააღმდეგი არიან». ისინი ხომ არასოდეს არ ყოფილან და არც არასოდეს შეიძლება იყვნენ მისი მომხრენი. მათ ეშინიათ აჯანყებისა. მათ გულუბრყვილოდ ჰგონიათ, რომ მათ სურვილზეა — ყველაზე მწვავე და უშუალო ბრძოლისაგან განზე გამდგარი შუალედი ელემენტების სურვილზეა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი აჯანყების საკითხის გადაწყვეტა. რა შეცდომაა! თვითმპყრობელობა სამოქალაქო ომისათვის ემზადება და განსაკუთრებით სისტემატურად ამზადებს მას სწორედ ამჟამად. სათათბიროსთან დაკავშირებით მწიფდება ახალი, ბევრად უფრო ფართო და ღრმა, პოლიტიკური კრიზისი. გლეხთა მასასაც და პროლეტარიატსაც თავის წიაღში კიდევ შენარჩუნებული ჰყავთ უამრავი მებრძოლი ელემენტი, რომელნიც გადაჭრით მოითხოვენ სახალხო თავისუფლებას და არა მორიგებას, რაც ხალხის თავისუფლებას ჰკვე-

ცავს. ასეთ პირობებში განა ამა თუ იმ პარტიის ნებაზეა დამოკიდებული — იქნება თუ არ იქნება აჯანყება?

როგორც დასავლეთ-ევროპელი ფილისტერი სოციალისტური რევოლუციის წინადღით ოცნებობს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩლუნგებაზე, მოუწოდებს უკანასკნელს — პირველის წარმომადგენლებს ნუ წაუბიძგებთ რეაქციისაკენაო, მხარს უჭერს სოციალურ მშვიდობას და ღრმა ზნეობრივი აღშფოთების გრძნობით უკუაგდებს კატასტროფის არამეცნიერულ, ვიწრო, შეთქმულებითს, ანარქისტულ და სხვ. იდეას, — სწორედ ასევე ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შუაგზაზე რუსი ფილისტერი ოცნებობს თვითმპყრობელობასა და სახალხო თავისუფლებას შორის წინააღმდეგობის მიჩლუნგებაზე, მოუწოდებს რევოლუციონერებს, ე. ი. სახალხო თავისუფლების ყველა მტკიცე და თანამიმდევარ მომხრეს, რეაქციისაკენ ნუ წაუბიძგებთ ლიბერალურ ბურჟუაზიასო, მხარს უჭერს კონსტიტუციურ გზას და ჭეშმარიტი, ფილოსოფიურ იდეალიზმით გამაგრებული აღშფოთების გრძნობით უკუაგდებს აჯანყების არამეცნიერულ, ვიწრო, შეთქმულებითს, ანარქისტულ და სხვ. იდეას. დასავლეთ-ევროპელ ფილისტერს შეგნებული მუშა ეუბნება: კატასტროფა შუალედ ელემენტებზე კი არ იქნება დამოკიდებული, არამედ უკიდურესობათა გამწვავებაზე. რუს ფილისტერს (ხოლო კადეტი იდეალური ფილისტერია პოლიტიკაში) შეგნებული მუშა ეუბნება: აჯანყება დამოკიდებულია არა ლიბერალების ნებაზე, არამედ თვითმპყრობელობის მოქმედებაზე და რევოლუციური გლეხობისა და პროლეტარიატის შეგნებისა და აღშფოთების ზრდაზე. დასავლეთ-ევროპელი ფილისტერები პროლეტარიატს ეუბნებიან: ხელს ნუ ჰკრავ წვრილ გლეხს და საერთოდ განათლებულ, სოციალ-ლიბერალურ, რეფორმატორულ წვრილ ბურჟუაზიას, თავს ნუ გაიმარტოვებ, შენი იზოლირება მხოლოდ რეაქციას სურსო. პროლეტარი უპასუხებს: პროლეტარიატთან ბურჟუაზიის შემთანხმებლებისაგან მე თავი უნდა

გავიმარტოვო მთელი მშრომელი კაცობრიობის გულისთვის, რადგან ეს შემთანხმებლები მირჩევენ განვიარაღდე, რადგან ისინი უაღრესად მავნე, დაუყოვნებლივსა და პრაქტიკულად მავნე გავლენას ახდენენ ჩაგრული კლასის შეგნებაზე შეთანხმების, მიჩლუნგების და სხვათა ქადაგებით. მაგრამ ჩემს თავს როდი გავიმარტოვებ იმ წვრილ ბურჟუათა უზარმაზარი მასისაგან, მშრომელი მასისაგან, რომელსაც შეუძლია პროლეტარიატის თვალსაზრისზე დადგეს, შეთანხმებაზე არ იოცნებოს, კაპიტალისტურ საზოგადოებაში წვრილი მეურნეობის განმტკიცების სურვილს არ აჰყვეს, უარი არა თქვას თვით კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

სხვა გარემოებაში, სხვა ისტორიულ პერიოდში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და არა სოციალისტური რევოლუციის წინახანს (და არათუ წინახანს, არამედ შუაგზაზე), ანალოგიური რამ ხდება რუსეთშიც. ფილისტერი ეუბნება პროლეტარს: რეაქციას შენი იზოლირება სურს, შენ კი რეაქციის იზოლირება უნდა მოახდინო, მაშ ნულარა ჰკრავ ხელს კადეტს, განათლებულ, პოლიტიკურად ლიბერალს, რეფორმების მოსურნე კადეტსო. პროლეტარი უპასუხებს: ხალხის წარმომადგენლობასთან თვითმპყრობელობის შემთანხმებლებისაგან თავი უნდა გავიმარტოვო ნამდვილი თავისუფლებისათვის ნამდვილი ბრძოლის გულისთვის, რადგან ეს შემთანხმებლები გვირჩევენ განვიარაღდეთ, ისინი «პოლიტიკური მშვიდობიანობისა» და კონსტიტუციური ილუზიების ქადაგებით ხალხის მოქალაქობრივ შეგნებას აბნელებენ. მაგრამ ეს შემთანხმებლები, ყველა ეს კადეტი სრულიადაც არ არის ხალხი, სრულიადაც არ არის მასა, სრულიადაც არ არის ძალა, როგორც ეჩვენებათ წუთიერი განწყობილებისა და წუთიერი შიაბეკდილების მორჩილ ადამიანებს, ღღეს პროლეტარიატის იზოლირების საშიშროებაზე რომ გაჰყვირიან. ნამდვილი მასა რევოლუციური გლეხობა, ქალაქის მოსახლეობის ნამდვილი ღარიბები არიან. და ამ მასისაგან მე როდი ვიმარტოვებ თავს, მე მას კონსტიტუციური ილუზიებისაგან განთავისუფლები-

საკენ მოვუწოდებ, მოვუწოდებ ნამდვილი ბრძოლისაკენ, მოვუწოდებ აჯანყებისაკენ. ამ მასის (და არა კადეტ შემთანხმებლების) განწყობილებასა და შეგნების განვითარების ზრდას მე უაღრესად სერიოზულ ანგარიშს გავუწევ აჯანყების მომენტის განსაზღვრის დროს, მაგრამ წუთიერი წარმატების, კადეტური პარლამენტარიზმის (ან, მგონი, უფრო სწორი იქნება ითქვას, დუბასოვური პარლამენტარიზმის) ზიზილ-პიპილებიანი ბრწყინვალების გულისათვის მე ერთი წუთითაც არ დავივიწყებ თვითმპყრობელობასთან რევოლუციურ ბრძოლას, რომელიც მეტად სწრაფად მწიფდება და ალბათ ახლო მომავალშია მოსალოდნელი.

იყო დრო, და მას აქეთ დიდი ხანი არ არის გასული, — ევროპაში სოციალ-ლიბერალი, წვრილი ბურჟუა-შემთანხმებელი მკაფიოდ მოჩანდა, ხმაურობდა, თავს ახვევდა პროლეტარიატს თავის კავშირებსა და შეთანხმებებს. სოციალ-დემოკრატიული პარტიების ინტელიგენტური ფრთა ანკესს წამოეგო, წუთიერმა პოლიტიკამ აცთუნა, უბადაღებული ბერნშტეინიადა შეჰქმნა და სხვა. გავიდა ორი წელი, «სოციალური მშვიდობის» ბურუსი საბოლოოდ გაიფანტა, და სავსებით ნათელი გახდა სოციალ-დემოკრატიის პროლეტარულ თვალსაზრისზე თანამიმდევრად მდგომი რევოლუციური ფრთის პოზიციის სისწორე.

ჩვენში, რუსეთში, ახლა ყველას თავბრუს ახვევს კადეტების გამარჯვებანი და მომავალი კადეტური სათათბირო. არსებობს საშიშროება, რომ ჩვენი პარტიის ინტელიგენტური ფრთა აჰყვება ამ ბჭყვრიალებას, აჰყვება საარჩევნო ბლოკს კადეტებთან, მათთვის მხარის დაჭერის იდეას, კადეტებისადმი «ტაქტიანი მოპყრობის» პოლიტიკას, არ მოისურვებს ნათლად და გარკვევით განსაზღვროს პროლეტარული თვალსაზრისით ამ პარტიის წვრილბურჟუაზიული კლასობრივი ბუნება, მისი კონსტიტუციური ილუზიების მავნებლობა, მისი «შეთანხმების» ტაქტიკის საჭირბოროტო საშიშროება. გაივლის — წლებიც კი არა, არამედ შესაძლოა თვეები, და ბურუსი გაიფან-

ტება, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებს სინამდვილე დაადასტურებს, კადეტური გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლები აღარ იქნება აჭრელებული პროლეტარიატის შეურაცხმყოფელი ქებათა-ქებით ზოგიერთი სოციალ-დემოკრატის მიმართ, რაც მაჩვენებელია ერთგვარი სენისა სოციალ-დემოკრატიის შიგნით.

VI

დასკვნა

ბატონ ბლანკის, კადეტური პოლიტიკის ამ უაღრესად ტიპიური გამომხატველის შეხედულებებზე რომ ვლაპარაკობდით, ჩვენ თითქმის სრულიად არ შევხებივართ ამხანაგ მენშევიკების შეხედულებებს. მაგრამ დასკვნები მათი პოზიციის შესახებ ნათქვამიდან თავისთავად გამომდინარეობს. კადეტები რომ ასე გულმოდგინედ აქებენ მათ, ეს უკვე გვანიშნებს მენშევიკების ზოგიერთ შეცდომას. კადეტური პრესა — ამჟამად რუსეთის მთელი პოლიტიკური პრესის თითქმის ცხრა მეათედს შეადგენს, და თუ მთელი ეს ბურჟუაზიული პრესა სისტემატურად და გამუდმებით აქებს დღეს პლეხანოვს, ხვალ პოტრესოვს («ნაშა ჟიზნ»), ზეგ ყველა მენშევიკის რეზოლუციას, — ეს უკვე უეჭველი, თუმცა, რასაკვირველია, არაპირდაპირი ნიშანია იმისა, რომ ამხანაგი მენშევიკები ერთგვარ შეცდომას სჩადიან ან აპირებენ ჩადენას. შეუძლებელია, რომ მთელი ბურჟუაზიული პრესის საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად დაშორდეს ბურჟუაზიის კლასობრივ ინსტინქტს, ბურჟუაზიისა, რომელიც ძალიან მგრძნობიარეა იმისადმი, თუ საით-კენ ჰქრის ქარი.

მაგრამ, ვიმეორებთ, ეს მხოლოდ არაპირდაპირი ნიშანია. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს იმ შეცდომების პირდაპირი ფორმულირებაც, რომელნიც მენშევიკური რეზოლუციების პროექტებშია დასახული. აქ უადგილოა ამ რეზოლუციების დაწვრილებით განხილვა, — შეგვიძლია მხოლოდ მოკლედ

აღვნიშნოთ უმთავრესი რამ «კადეტების გამარჯვებათა და მუშათა პარტიის ამოცანათა» საკითხთან დაკავშირებით.

მენშევიკების შეცდომა ის არის, რომ ისინი სრულიადაც არ აყალიბებენ, ისინი, როგორც ჩანს, სავსებითაც კი ივიწყებენ შეგნებული სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის ისეთ არსებითს პოლიტიკურ ამოცანას ამჟამად, როგორიცაა კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლა. ისეთ დროს, როგორსაც ამჟამად რუსეთი განიცდის, ამ ამოცანის უგულებელყოფა არ შეუძლია სოციალისტურ პროლეტარიატს, რომელიც სასტიკად იცავს კლასობრივ თვალსაზრისს, განუხრელად იყენებს თანამედროვეობის შეფასებისათვის ისტორიის მატერიალისტურ გაგებას, მტრულად ეკიდება ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ სოფიზმებსა და ტყუილებს. თუ მან ეს ამოცანა უგულებელჰყო, იგი აღარ იქნება მთელი სახალხო თავისუფლებისათვის მოწინავე მებრძოლი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ შეზღუდულობაზე მაღლა მდგომი მებრძოლი. თუ მან ეს ამოცანა უგულებელჰყო, იგი უილაჯოდ კუდში მოექცევა იმ მოვლენებს, რომლებიც სწორედ ახლა ამ კონსტიტუციურ ილუზიებს პროლეტარიატის ბურჟუაზიული გარყვნის ისეთსავე იარაღად ხდიან, როგორც ამას წინათ ევროპაში «სოციალური მშვიდობის» თეორია სოციალიზმისაგან მუშების ბურჟუაზიული ჩამოშორების მთავარი იარაღი იყო.

კონსტიტუციური ილუზიები, ეს რუსეთის რევოლუციის მთელი პერიოდია, რომელიც ბუნებრივად მოჰყვა პ ი რ ვ ე ლ ი შეიარაღებული აჯანყების ჩახშობას (პირველს მეორეც მოჰყვება) და კადეტების საარჩევნო გამარჯვებას. კონსტიტუციური ილუზიები პოლიტიკურ-ოპორტუნისტული და ბურჟუაზიული შხამია, რომელსაც ახლა კადეტური პრესის მილიონობით ეგზემპლარი ხალხის ტვინში აწვეთებს, სარგებლობს რა სოციალისტური გაზეთების იძულებითი დუმილით. აი წინ გვიდევს გაზეთი «ტოვარიშჩი», ორგანო «ხალხში» და სპეციალურად მუშათა კლასში მიმავალი კადეტებისა. პირველ ნომერში ქებათა-ქებას ასხამენ კადეტებს: «თავის პროგრამაში იგი (კ.-დ. პარტია) გვპირდება (...ჰმ! ჰმ! გვპირ-დე-ბა!)...

გლეხთა (კაუფმანისებურად?) და მუშათა (ჰო, რა თქმა უნდა!) ინტერესების დაცვას და განურჩევლად ყველა რუსი მოქალაქის პოლიტიკური უფლებების დაცვას. თუ იგი სახელმწიფო სათათბიროში ხმების უმეტესობას მიიღებს, ახლანდელი მთავრობა, რომელმაც ამდენი უბედურება მიაყენა ხალხს, უნდა გადადგეს, და სახელმწიფოს მართვა-გამგეობას სათავეში ჩაუდგებიან ახალი ადამიანები (მურავიოვები ვიტეს მაგივრად?), რომელნიც ხ ა ლ ხ ი ს ხ მ ა ს ყ უ რ ს დ ა უ გ დ ე ბ ე ნ». დიახ, დიახ... ხალხის ხმას ყურს დაუგდებენ!.. ლამაზად წერენ კადეტები!

დარწმუნებული ვართ, არ მოიძებნება არც ერთი ისეთი სოციალისტი, რომ აღშფოთებული არ იყოს ამ თავხედური ბურჟუაზიული სიცრუით, და სავსებით და უეჭველად არ სცნობდეს უაღრესად ენერგიული ბრძოლის აუცილებლობას მუშათა კლასის ამ ბურჟუაზიული გარყვნის წინააღმდეგ, — მით უფრო საშიში გარყვნისა, რომ კადეტებს ხელთ აქვთ უამრავი გაზეთები, ჩვენ კი, მიუხედავად დაუსრულებელი ცდებისა შეგვექმნა უაღრესად ზომიერი, უაღრესად თავდაჭერილი და უაღრესად მოკრძალებული სოციალისტური გაზეთი, არც ერთი არა გვაქვს.

შემდეგ. არ შეიძლება არ დავთანხმდეთ, რომ ამ ბურჟუაზიულ სიცრუეს, ხალხის რევოლუციური შეგნების ამ დაბნელებას მთელი ლაშქრობის ხასიათი აქვს და სრულიადაც არა შემთხვევითი გამოსვლებისა. კიდევ მეტი. კადეტური სათათბირო (თუ სათათბირო კადეტური იქნება) არის, ასე ვთქვათ, კონსტიტუციური ილუზიების ცოცხალი განსახიერება, მათი კერა, პოლიტიკური ცხოვრების ყველა იმ მხარის ფოკუსი, რომელნიც ყველაზე მეტად გვეცემა თვალში (და რომელნიც წვრილი ბურჟუას ზერელე, იდეალისტურ შეხედულებას თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების დედაარსად ანდა თუნდაც მთავარ მოვლენად ეჩვენება). ჩვენს წინაშეა არა მარტო სისტემატური ლაშქრობა მთელი ბურჟუაზიული პრესისა, ყველა ბურჟუაზიული იდეოლოგისა, რომლებიც პროლეტარიატის ბუქსირზე აყვანას ლამობენ, — ჩვენს წინაშეა სრულიად

რუსეთის საწარმომადგენლო დაწესებულება, რომელიც შემოსილია პირველი, უკაცრავად პასუხია, «პარლამენტის» მთელი შარავანდედით და რომელმაც უნდა განამტკიცოს მუშათა კლასის ეს გადაქცევა კადეტების პარტიის დანამატად. გაიხსენეთ ზემომოყვანილი აზრი «სფეროებისა»: კარგი იქნებოდა, თუ სათათბიროში კადეტები სათათბიროსადმი საზოგადოების ნდობას გამოიწვევდნენ და მთელ საზოგადოებრივ იმედებს სათათბიროსაკენ მიმართავდნენო. სათათბირო რევოლუციის დამაამებელი სალბუნი უნდა იყოსო, — ამაში, არსებითად, ჩვენი კადეტები ეთანხმებიან დურნოვოებსა და დუბასოვებს. ეს ფაქტია. «პოლიარნაია ზვეზდამ» განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ცხადჰყო ეს. უმჯობესია გეგმაზომიერი და სისტემატური რეფორმები, ვიდრე რევოლუციური გრიგალი, რომელშიც აზრი და გონება ჰქრებაო, — ამბობენ ბლანკები. უმჯობესია სათათბიროში კადეტებთან ვაჭრობა, ვიდრე მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ არასაიმედო ჯარით ბრძოლაო, — ამბობენ დურნოვოები და დუბასოვები. **Les beaux esprits se rencontrent**. ამქარს ამქარი იცნობსო.

ჩვენზე ყველანი იმას ამბობენ, თითქოს ლიბერალებს ცილს ვწამებდით. ჩვენ ცილისმწამებლებს გვიწოდებდნენ, როდესაც ჯერ კიდევ «ზარიასა» და ძველ «ისკრაში» «ოსვობოჟდენიეს» პირველ ნომრებს «ბრძოლით» შევხვდით[78]. ცილისწამება აღმოჩნდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის მარქსისტული ანალიზი, რაც სავსებით დაადასტურა სინამდვილემ. ამიტომ ჩვენ არ გაგვიკვირდება და არც დავნაღვლიანდებით, «სახალხო თავისუფლების» პარტიის მიმართ რომ ცილისწამება დაგვაბრალონ.

ყოველი პოლიტიკური ეპოქა სოციალ-დემოკრატიის წინაშე, როგორც ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასის წარმომადგენლის წინაშე, აყენებს განსაკუთრებულ სპეციფიკურ ამოცანას, რომელიც დღის წესრიგში დგება და რომელსაც ყოველთვის ჩრდილავენ, ასე თუ ისე უკანა რიგში აყენებენ ბურჟუაზიული დემოკრატიის ოპორტუნისტული

ფენები. ამჟამად მომენტის ასეთი სპეციფიკური პოლიტიკური ამოცანა, რომლის შესრულება შეუძლია მხოლოდ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას და ვალდებულიცაა შეასრულოს იგი, თუ კი არა სურს უღალატოს პროლეტარიატის მკვიდრ, ძირითად, არსებით ინტერესებს, — ასეთი ამოცანა არის ბრძოლა კონსტიტუციურ ილუზიებთან. წვრილბურჟუაზიული ოპორტუნისტები ყოველთვის წუთიერებას, უკანასკნელი ახალი ამბის ბჟყვრიალებას, წუთიერ «პროგრესს» სჯერდებიან, — ჩვენ კი უფრო შორს და უფრო ღრმად უნდა ვიყურებოდეთ, ამ პროგრესში მყისვე და დაუყოვნებლივ უნდა ვააშკარავებდეთ მის იმ მხარეებს, რომლებიც რ ე გ რ ე ს ი ს საფუძველი და საწინდარია, რომლებიც გამოხატავენ მიღწეულის ცალმხრიობას, სივიწროვეს, უმყარობას და იწვევენ ს ხ ვ ა ფ ო რ მ ე ბ ი თ, ს ხ ვ ა პ ი რ ო ბ ე ბ შ ი შ ე მ დ გ ო მ ი ბ რ ძ ო ლ ი ს აუცილებლობას.

რაც უფრო გადამწყვეტია კადეტებისა და საერთოდ ოპოზიციის გამარჯვება არჩევნებში, რაც უფრო მოსალოდნელი და ახლოა კადეტური სათათბირო, — მით უფრო საშიში ხდება კონსტიტუციური ილუზიები, მით უფრო მწვავედ იგრძნობა წინააღმდეგურობა, ერთი მხრით, წინანდებურად მთელი ძალაუფლების პატრონის—თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკის სრულ შენარჩუნებასა და თვით გაძლიერებას, მეორე მხრით, «სახალხო» წარმომადგენლობას შორის. ეს წინააღმდეგურობა უდიდესი სისწრაფით ჰქმნის ახალ რევოლუციურ კრიზისს, განუზომლად უფრო ფართოსა და ღრმას, უფრო შეგნებულსა და მწვავეს, ვიდრე ყველა წინანდელი კრიზისი იყო. ჰეშმარიტად, 1906 წელს ჩვენ რევოლუციის რ ე პ რ ო დ უ ქ ც ი ა ს განვიცდით, როგორც მოხდენილად თქვა რომელიღაც სოციალ-დემოკრატმა. 1905 წლის ისტორია თითქოს მეორდება, დაწყებული კვლავ თავიდან, სრულუფლებიანი თვითმპყრობელობით, განგრძობილი საზოგადოებრივი მღელვარებით და გაუგონარი ძალის ოპოზიციური მოძრაობით, რომელიც მთელს ქვეყანას ედება, და გათავებული... ვინ იცის

რით?... შეიძლება, მეფესთან გაგზავნილი ლიბერალთა ზაფხულის (1905 წლის) დეპუტაციის «რეპროდუქციით» კადეტური სათათბიროს ადრესისა თუ რეზოლუციის სახით, — შეიძლება, 1905 წლის შემოდგომის აღმავლობის «რეპროდუქციით». სასაცილო იქნებოდა რევოლუციის მომავალ ნაბიჯთა ზუსტი ფორმებისა და თარიღების წინასწარ განჭვრეტის ცდა. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მხედველობაში ვიქონიოთ მოძრაობის შეუდარებლად უფრო მეტი გაქანება, მთელი ხალხის უფრო მეტი პოლიტიკური გამოცდილება. მნიშვნელობა აქვს იმის დაუვიწყებლობას, რომ დგება სწორედ რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ ი და არა პარლამენტური კრიზისი. «პარლამენტური» ბრძოლა სათათბიროში მცირე ეტაპია; ეს მართლაც რკინიგზის პატარა სადგურია: «კადეტური პლატფორმა» კონსტიტუციიდან რევოლუციისაკენ მიმავალ გზაზე. ახლანდელი სოციალ-პოლიტიკური მომენტის ძირითად თავისებურებათა გამო სათათბიროში ბრძოლას ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ხალხის თავისუფლების ბედი გადაწყვიტოს, იგი არ შეიძლება ბრძოლის მ თ ა ვ ა რ ი ფორმა იყოს, რადგან ამ «პარლამენტს» აშკარად არ სცნობს ო რ ი ვ ე მეომარი მხარე, არც დურნოვოები, დუბასოვები და კომპ., არც პროლეტარიატი და გლეხობა.

და ამიტომ სოციალ-დემოკრატიამ, მიმდინარე ისტორიული მომენტის ყოველგვარი კონკრეტული თავისებურების გათვალისწინებით, გადაჭრით უნდა აღიაროს და მუშათა და შეგნებულ გლეხთა გონებაში სისტემატურად ჩანერგოს ის, რომ თანამედროვე რუსეთში საზოგადოებრივი მოძრაობის მთავარ ფორმად კვლავინდებურად რჩება უშუალო-რევოლუციური მოძრაობა ხალხის ფართო მასებისა, რომლებიც ამსხვრევენ ძველ კანონებს, სპობენ ხალხის ჩაგვრის ორგანოებს, იპყრობენ პოლიტიკურ ძალაუფლებას, ჰქმნიან ახალ სამართალს. დუბასოვებისა და დურნოვოების მიერ მოწვეული და ამ პატივცემულ ვაჟბატონთა მფარველობის ქვეშ მყოფი სათათბირო უდიდეს როლს შეასრულებს მოძრაობაში, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესცვლის მის

მთავარ ფორმას. საწინააღმდეგო აზრი, რომელსაც ახლა უკვე კადეტები აყენებენ და ავრცელებენ, არის ხალხის მოტყუება, წვრილბურჟუაზიული ფილისტერული უტოპია.

ხოლო ამასთან დაკავშირებულია ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის მიერ მისთვის მხარის დაჭერის საკითხი. ამ სფეროშიც მენშევიკების რეზოლუციები ნაწილობრივ არასაკმარისია, ნაწილობრივ შემცდარი. კადეტები წელებზე ფეხს იდგამენ და ცდილობენ გააიგივეონ თავიანთი პარტია ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან საერთოდ, ცდილობენ თავიანთი პარტია ბურჟუაზიული დემოკრატიის უმთავრეს წარმომადგენლად დაგვისახონ. ეს უდიდესი სიცრუეა: და სოციალ-დემოკრატების მხრივ «ბურჟუაზიული დემოკრატიის» ცნების განსაზღვრის ყოველგვარი ბუნდოვანება ამ სიცრუეს უწყობს ხელს. ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის მხარის დაჭერის კონკრეტული პოლიტიკური ამოცანა ჩვენ ვალდებული ვართ გადავწყვიტოთ ბურჟუაზიული დემოკრატიის შიგნით არსებულ კონკრეტულ მიმართულებათა, მიმდინარეობათა, პარტიათა სავსებით გარკვეულად გათვალისწინების საფუძველზე. და ამ მხრივ მომენტის ძირითადი ამოცანა სწორედ ის არის, რომ გამოვყოთ რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატია, ესე იგი ისეთი, რომელსაც, თუნდაც იგი პოლიტიკურად სავსებით შეგნებული არც იყოს, მთელი რიგი ცრურწმენანი და სხვ. ჰქონდეს, უნარი შესწევდეს შეუპოვარი და გადამწყვეტი ბრძოლისა ბატონყმური რუსეთის ყველა ნაშთის წინააღმდეგ,— გამოვყოთ ასეთი ბურჟუაზიული დემოკრატია ლიბერალურ-მონარქისტული, ოპორტუნისტული ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან, რომელიც მზადაა ყოველგვარი მორიგებისათვის რეაქციასთან და ყოველ კრიზისულ მომენტში თავის კონტრრევოლუციურ მისწრაფებებს აყენებს. რუსეთში რომ რევოლუციური დემოკრატიის უაღრესად ფართო ფენები არსებობს, ეს ეჭვს გარეშეა: მისი შეუკავშირებლობა, მისი უპარტიობა, ახლანდელი რეპრესიებით მისი დაჩაგრულობა მხოლოდ სრულიად უყურადღებო და ჩაუ-

ფიქრებელ ადამიანებს თუ შეიყვანს შეცდომაში. დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის მიზნით ახლა ამ და მხოლოდ ამ დემოკრატიასთან «ერთად უნდა დავკრათ და ცალ-ცალკე ვიაროთ» და სრულიად შეუბრალებლად ვამხილოთ ამჟამად «გაბატონებული» კადეტური პარტიის არასაიმედოობა.

სოციალისტური პროლეტარიატის პარტიამ, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანას, უნდა შესძლოს და მუდამ ამხილოს არათუ ყოველგვარი კონსტიტუციური ილუზიები, მთელი ბურჟუაზიული დემოკრატიიდან გამოჰყოს არათუ ბრძოლისუნარიანი ელემენტები, არამედ აგრეთვე ზუსტად და პირდაპირ განსაზღვროს, ნათლად წამოაყენოს მასის წინაშე რევოლუციის ამ გადამწყვეტი გამარჯვების პირობები, დაანახვოს მასას და მთელ თავის პროპაგანდასა და აგიტაციაში ნათელჰყოს, თუ სახელდობრ რაში უნდა მდგომარეობდეს რევოლუციის ეს გადამწყვეტი გამარჯვება. თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ (ხოლო ეს არ გააკეთეს თავის რეზოლუციებში ამხანაგმა მენშევიკებმა), ჩვენი სიტყვები «რევოლუციის ბოლომდე მიყვანის» შესახებ ცარიელ და ლიტონ სიტყვებად დარჩება.

ბატონი ბლანკი თავის სტატიაში ახსენებს 1848 — 1849 წლების საფრანგეთის «სოციალ-დემოკრატიას». უპატივცემულესი კადეტი ვერ მიმხვდარა, რომ კარიკატურას წერს თავის თავზე. ახლა ხომ სწორედ კადეტები იმეორებენ იმ ფრანგი «სოციალ-დემოკრატების» შეცდომებს, რომელნიც არსებითად სრულიადაც არ ყოფილან სოციალ-დემოკრატები, ე. ი. მარქსისტები. ისინი წარმოადგენდნენ არა მუშათა კლასობრივ პარტიას, არამედ ნამდვილ წვრილბურჟუაზიულ პარტიას; ისინი სულ ერთიანად გამსჭვალულნი იყვნენ კონსტიტუციური ილუზიებით და ბრძოლის «პარლამენტურ» საშუალებათა რწმენით ყოველგვარ, თვით რევოლუციურ პირობებშიც კი. სწორედ ამიტომ იყო, რომ მათ, მიუხედავად მთელი რიგი თავბრუდამხვევი, წმინდა «კადეტური» საპარლამენტო წარმატე-

ბებისა, განიცადეს ის სამარცხვინო ფიასკო, რასაც ასე დასცინოდა მარქსი [74].

ჩვენს პარტიასაც, იგი რომ წინდაუხედავად აჰყოლოდა კადეტებთან ყოველგვარ საარჩევნო ბლოკებს, შეთანხმებებს, მორიგებებს, — მას რომ ჩრდილში დაეტოვებინა კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლის ამოცანა, — მას რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან დაახლოების ძებნის დროს ამ უკანასკნელთან გაეიგივეებინა მისი ოპორტუნისტული ფრთა, ე. ი. კადეტები, — მას რომ დაევიწყნა, რომ აუცილებელია სერიოზული მზადება ბრძოლის პარლამენტგარეშე საშუალებებისათვის ისეთ ეპოქაში, როგორსაც ჩვენ განვიცდით, — ჩვენს პარტიასაც გაუჩნდებოდა სერიოზული საფრთხე 1848 — 1849 წლების საფრანგეთის წვრილბურჟუაზიული კვაზი-სოციალ-დემოკრატიის სავალალო ბედის განმეორებისა.

ჩვენ საფუძველი არა გვაქვს კადეტების წარმატებანი შეგვშურდეს. ხალხში წვრილბურჟუაზიული ილუზიები და სათათბიროსადმი რწმენა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია. ეს ილუზიები და რწმენა უნდა აღმოვფხვრათ. რაც უფრო სრული იქნება კადეტების ზეიმი სათათბიროში, მით უფრო მალე გაქრება ეს ილუზიები და ეს რწმენა. მივესალმებით რუსეთის დიდი რევოლუციის ჟირონდისტების წარმატებებს! მათს შემდეგ აღსდგება ხალხის უფრო ფართო მასა, წინ წამოიწევიან უფრო ენერგიული და რევოლუციური ფენები, — ისინი პროლეტარიატის ირგვლივ შემჭიდროვდებიან, — ისინი სრულ გამარჯვებამდე მიიყვანენ ჩვენს დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას, — ისინი დასაწყისს მისცემენ სოციალისტური გადატრიალების ეპოქას დასავლეთში.

1906 წ. 28 მარტი.

რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობა [75]

1906 წ. 10 (23) აპრილი — 25 აპრილი (8 მაისი)

დაიბეჭდა 1907 წ. წიგნში: «რსდმპ 1906 წ. სტოკჰოლმში შემდგარი გამაერთიანებელი ყრილობის ოქმები», მოსკოვი

იბეჭდება «ოქმების» ტექსტის მიხედვით

1

საბოლოო სიტყვა აგრარულ საკითხზე[76]

მე ორ ძირითად თეზისს ვაყენებ: 1) გლეხები მუნიციპალიზაციას არასოდეს არ მოისურვებენ; 2) მუნიციპალიზაცია მავნებელია, თუ არ იქნება დემოკრატიული რესპუბლიკა, ხალხის სავსებით უზრუნველყოფილი თვითმპყრობელობა, მოხელეთა არჩევნები. ამ თეზისების განვითარებისას ჯერ შევჩერდები ნაციონალიზაციის წინააღმდეგ წამოყენებულ უფრო სერიოზულ მოსაზრებებზე. უეჭველია, ასეთი, ყველაზე სერიოზული საწინააღმდეგო მოსაზრება, ამხ. პლეხანოვის მიერ წამოყენებული მოსაზრებაა. ამხ. პლეხანოვი სიტყვა-სიტყვით ამბობდა, მე ჩავიწერე მისი სიტყვები: «ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავუჭერთ მხარს ნაციონალიზაციასაო». ეს შეცდომაა. მე ვამტკიცებ, რომ, თუ ჩვენში ნამდვილად განხორციელდება გლეხთა რევოლუცია და თუ პოლიტიკურ გადატრიალებას, რომელიც მას თან სდევს, ნამდვილი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება მოჰყვება, მაშინ ამხ. პლეხანოვი შესაძლებლად მიიჩნევს ნაციონალიზაციას დაუჭიროს მხარი, და მომავალი გადატრიალების დროს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა მართლაც რომ განხორციელდეს, მაშინ მოძრაობის მთელი ვითარება, არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო ვითარებაც ნაციონალიზაციისაკენ წაგვიბიძგებდა. ხოლო თუ ეს პირობა არ განხორციელდება, მუნიციპალიზაცია მაშინაც ფიქცია იქნება; მაშინ იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ როგორც გამოყიდვის ახალი სახე. ამხ. ჯონი[77] ხმარობს ტერმინს გასხვისებას და არა კონფისკაციას, და, როგორც მისი სიტყვიდან ჩანდა, ეს ტერმინი მას შემთხვევით რო-

დი აურჩევია; ეს ტერმინი კი პირდაპირ კადეტურია, იგი რაც გნებავთ იმას გულისხმობს, და მას სავსებით ეგუება კადეტების მიერ გათვალისწინებული გამოყიდვა. გავყვეთ ქვევით. სად არის იმის გარანტია, რომ რესტავრაცია არ მოხდებაო, გვეკითხებოდა ამხ. პლეხანოვი. არა მგონია ამ საკითხის დაყენებას მჭიდრო და განუყრელი კავშირი ჰქონდეს იმ პროგრამასთან, რომელსაც ჩვენ ახლა განვიხილავთ, მაგრამ რაკი ეს საკითხი დასმულია, მას სავსებით გარკვეული და ნათელი პასუხი უნდა გავცეთ. თუ ვილაპარაკებთ რესტავრაციის აცილების ნამდვილ, სავსებით სარწმუნო ეკონომიურ გარანტიაზე, ე. ი. ისეთ გარანტიაზე, რაც შეჰქმნიდა ეკონომიურ პირობებს, რომლებიც შეუძლებელს გახდიან რესტავრაციას, მაშინ უნდა ვთქვათ: რესტავრაციის აცილების ერთადერთი გარანტია არის სოციალისტური გადატრიალება დასავლეთში; არავითარი სხვა გარანტია, ამ სიტყვის ნამდვილი და სრული მნიშვნელობით, არ შეიძლება იყოს. უამპირობოდ, საკითხის ყოველგვარი სხვანაირი გადაწყვეტის დროს (მუნიციპალიზაცია, დაყოფა და სხვ.) რესტავრაცია არათუ შესაძლებელი, არამედ პირდაპირ გარდუვალიცაა. ამ დებულებას მე შემდეგნაირად ჩამოვაყალიბებდი: რუსეთის რევოლუციას შეუძლია თავისი საკუთარი ძალებით გაიმარჯვოს, მაგრამ მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია თავის მონაპოვართა თავისი საკუთარი ხელით შენარჩუნება და განმტკიცება. იგი ამას ვერ მიაღწევს, თუ დასავლეთში სოციალისტური გადატრიალება არ მოხდება; უამპირობოდ რესტავრაცია აუცილებელია მუნიციპალიზაციის დროსაც, ნაციონალიზაციის დროსაც და დაყოფის დროსაც, რადგან წვრილი მეპატრონე, მფლობელობისა და საკუთრების ყველა და ყოველგვარი ფორმის დროს, რესტავრაციის დასაყრდენი იქნება. დემოკრატიული რევოლუციის სრული გამარჯვების შემდეგ წვრილი მეპატრონე უეჭველად შემობრუნდება პროლეტარიატის წინააღმდეგ და შემობრუნდება მით უფრო მალე, რაც უფრო მალე იქნებიან ჩამოგდებულნი პროლეტარიატისა და წვრილი მეპატრონის ყველა საერთო მტრები, რო-

გორიც არიან: კაპიტალისტები, მემამულეები, ფინანსური ბურჟუაზია და ა. შ.. ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას, გარდა დასავლეთის სოციალისტური პროლეტარიატისა, სხვა არავითარი რეზერვი არ მოეპოვება, და ამ მხრივ მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ, რომ კლასიკური ბურჟუაზიული რევოლუცია ევროპაში, სახელდობრ XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდი რევოლუცია, მოხდა სრულიადაც არა იმგვარ საერთაშორისო ვითარებაში, როგორშიც რუსეთის რევოლუცია ხდება. XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთი ფეოდალური და ნახევრადფეოდალური სახელმწიფოებით იყო გარშემორტყმული. XX საუკუნის რუსეთი, რომელიც ბურჟუაზიულ რევოლუციას ახდენს, გარშემორტყმულია ისეთი ქვეყნებით, სადაც სოციალისტური პროლეტარიატი თავით ფეხებამდე შეიარაღებული დგას ბურჟუაზიასთან უკანასკნელი შეტაკების წინ. თუ ისეთმა შედარებით უმნიშვნელო მოვლენებმა, როგორიცაა რუსეთში მეფის მიერ 17 ოქტომბერს თავისუფლების დაპირება, უკვე დიდი ბიძგი მისცა პროლეტარიატის მოძრაობას დასავლეთ ევროპაში; თუ ავსტრიის მუშებისათვის საკმარისი იყო პეტერბურგიდან მიეღოთ დეპეშა ყბადაღებული კონსტიტუციური მანიფესტის შესახებ, რომ ისინი მყისვე ქუჩაში გამოსულიყვნენ, რომ ამას მთელი რიგი დემონსტრაციები და სამხედრო შეტაკებები გამოეწვია ავსტრიის უდიდეს სამრეწველო ქალაქებში, — მაშინ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორ მოიქცევა საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი, რუსეთიდან თავისუფლების დაპირების ამბავი კი არა, მისი ნამდვილად განხორციელებისა და რევოლუციური გლეხობის სრული გამარჯვების ცნობები რომ მოუვიდეს. ხოლო თუ რესტავრაციის აცილების გარანტიის საკითხს სხვა ნიადაგზე დავაყენებთ, ე. ი. თუ რესტავრაციის აცილების შედარებითსა და პირობითს გარანტიაზე ვილაპარაკებთ, მაშინ შემდეგი უნდა ითქვას: რესტავრაციის აცილების პირობითი და შედარებითი გარანტია მხოლოდ ის არის, რომ რევოლუცია რაც შეიძლება უფრო გადაჭრით განხორციელდეს, რომ იგი ჩაატაროს

უშუალოდ რევოლუციურმა კლასმა ისე, რომ მასში რაც შეიძლება ნაკლები მონაწილეობა მიიღონ შუამავლებმა, შემთანხმებლებმა და ყოველგვარმა შემარიგებლებმა, რომ ეს რევოლუცია მართლაც ბოლომდე იქნას მიყვანილი, და ჩემი პროექტიც რესტავრაციის საწინააღმდეგო გარანტიათა მაქსიმუმს იძლევა.

ჩემს პროექტში, როგორც გლეხთა რევოლუციური მოძრაობის უშუალო ბერკეტი, როგორც მისი ყველაზე მეტად სასურველი ფორმა, წამოყენებულია გლეხთა კომიტეტები. უბრალო ენით რომ ვთქვათ, გლეხთა კომიტეტები ნიშნავს მოწოდებას იმისაკენ, რომ თვითონ გლეხები დაუყოვნებლივ და უშუალოდ უაღრესად გადაჭრით გაუსწორდნენ მოხელეებსა და მემამულეებს. გლეხთა კომიტეტები — ეს ნიშნავს მოწოდებას, რომ ბატონყმობის ნაშთებითა და პოლიციური წესებით დაჩაგრული ხალხი ამ ნაშთებს, როგორც მარქსი ამბობდა, «პლებეურად» გაუსწორდეს [78]. ამ წანამძღვარმა ბოლომდე მიყვანილი რევოლუციისამ, რომელიც ახორციელებს ხალხის მიერ მოხელეთა არჩევას, ამხ. პლეხანოვს მოაგონა მისთვის, ისევე როგორც, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენთაგანისათვის, ესოდენ არასასიამოვნო ანარქიზმი, მაგრამ მეტისმეტად უცნაურია, რომ ხალხის მიერ მოხელეთა არჩევას შეუძლია ანარქიზმი მოგვაგონოს; მეტისმეტად უცნაურია, რომ ისეთ მომენტში, როგორიცაა ახლანდელი მომენტი, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევის საკითხს შეუძლია ან შეეძლო რომელიმე სოციალ-დემოკრატის ღიმილის გამოწვევა, გარდა ბერნშტეინისა. ჩვენ სწორედ ახლა განვიცდით ისეთ დროს, როდესაც ეს ლოზუნგი — ხალხის მიერ მოხელეთა არჩევა — უაღრესად უშუალო, უდიდეს პრაქტიკულ მნიშვნელობას იღებს. მთელი ჩვენი მოღვაწეობა, პროპაგანდა და აგიტაცია გლეხთა მასებში უმთავრესად სწორედ ამ ლოზუნგის პროპაგანდასა, გავრცელებასა და განმარტებაში უნდა მდგომარეობდეს. გლეხთა რევოლუციას ჰქადაგებდე, რაოდენადმე მაინც სერიოზული მნიშვნელობით აგრარულ რევოლუციაზე ლაპა-

რაკობდე და იმავე დროს არაფერს ამბობდე ნამდვილი დემოკრატიზმის აუცილებლობაზე, ე. ი., სხვათა შორის, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევის აუცილებლობაზეც, — ეს აშკარა წინააღმდეგობაა. ამის გამო ანარქიზმის საყვედური მე მხოლოდ გერმანელ ბერნშტეინელებს მაგონებს, რომელთაც ამას წინათ, კაუტსკისთან პოლემიკის დროს, მას ანარქიზმი უსაყვედურეს.

ჩვენ პირდაპირ და გარკვეულად უნდა ვუთხრათ გლეხს: თუ შენ გინდა აგრარული რევოლუცია ბოლომდე მიიყვანო, მაშინ ბოლომდე უნდა მიიყვანო პოლიტიკური რევოლუციაც; პოლიტიკური რევოლუციის ბოლომდე მიუყვანლად აგრარული რევოლუცია სრულიად არ მოხდება, ანდა იგი რაოდენადმე მაინც მტკიცე არ იქნება. თუ არ მოხდება სრული დემოკრატიული გადატრიალება, თუ ხალხის მიერ მოხელეთა არჩევა არ დაწესდება, ჩვენში ან აგრარული ამბოხებანი გვექნება, ანდა კადეტური აგრარული რეფორმები. ჩვენში არ იქნება ის, რაც დაიმსახურებდა პლეხანოვის მიერ ნახმარ დიდ სიტყვას: გლეხთა რევოლუცია. გავყვეთ ქვევით. მუნიციპალიზაცია ფართო ასპარეზს უთმობს კლასობრივ ბრძოლასაო, — ამბობდა პლეხანოვი; მე შევეცადე ეს მისი მტკიცება მომეყვანა რამდენადაც შესაძლებელია სიტყვა-სიტყვით. და გადაჭრით უნდა განვაცხადო, რომ ეს მტკიცება სრულებით ა რ ა რ ი ს ს წ ო რ ი. იგი სწორი არ არის არც პოლიტიკური, არც ეკონომიური აზრით. სხვა თანაბარ პირობებში მუნიციპალიტეტი და მუნიციპალური მიწათმფლობელობა უსათუოდ კლასობრივი ბრძოლის უფრო ვიწრო ასპარეზია, ვიდრე მთელი ნაცია, ვიდრე მიწის ნაციონალიზაცია. დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მიწის ნაციონალიზაცია უეჭველად ჰქმნის უაღრესად ფართო ასპარეზს კლასობრივი ბრძოლისათვის — უაღრესად ფართოს, რანაირიც კი შესაძლებელი და რანაირიც კი წარმოსადგენია საერთოდ კაპიტალიზმის არსებობის დროს. ნაციონალიზაცია ნიშნავს აბსოლუტური რენტის მოსპობას, პურის ფასის დაკლებას, კონკურენციის მაქსი-

მალური თავისუფლებისა და მიწათმოქმედებაში კაპიტალის შეკრის თავისუფლების უზრუნველყოფას. მუნიციპალიზაცია, პირიქით, ავიწროებს საერთონაციონალურ კლასობრივ ბრძოლას, იგი მიწათმოქმედებაში ყველა წარმოებითს ურთიერთობას არ სწმენდს აბსოლუტური რენტისაგან და ჩვენს ზოგად მოთხოვნებს კერძო მოთხოვნებად ახურდავებს; ყოველ შემთხვევაში მუნიციპალიზაცია ჩქმალავს კლასობრივ ბრძოლას. ამ თვალსაზრისით პლეხანოვის მიერ წამოყენებული საკითხი მხოლოდ ერთი აზრით შეიძლება გადაიჭრას. ამ თვალსაზრისით მუნიციპალიზაცია უსათუოდ კრიტიკას ვერ უძლებს. მუნიციპალიზაცია კლასობრივი ბრძოლის შეზღუდვა და მიჩქმალვაა.

პლეხანოვის შემდეგი საწინააღმდეგო მოსაზრება ეხება ძალაუფლების დაპყრობის საკითხს. პლეხანოვმა აგრარული პროგრამის ჩემს პროექტში დაინახა ძალაუფლების დაპყრობა, და უნდა მოგახსენოთ, რომ რევოლუციური გლეხობის მიერ ძალაუფლების დაპყრობის იდეა აგრარული პროგრამის ჩემს პროექტში მართლაც არის, მაგრამ ამ იდეის დაყვანა ძალაუფლების დაპყრობის ნაროდოვოლცურ იდეამდე უდიდესი შეცდომაა. 70-იან და 80-იან წლებში, როდესაც ნაროდოვოლცები ძალაუფლების დაპყრობის იდეას ჰქადაგებდნენ, ისინი ინტელიგენტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ, საქმით კი ასე თუ ისე ფართო, ნამდვილად მასობრივი რევოლუციური მოძრაობა არ ყოფილა. ძალაუფლების დაპყრობა ერთი მუჭა ინტელიგენტების სურვილი ან ფრაზა იყო და არა უკვე განვითარების გზაზე მდგომი მასობრივი მოძრაობის აუცილებელი შემდგომი ნაბიჯი. ახლა, 1905 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მუშათა კლასის, ნახევრადპროლეტარული ელემენტებისა და გლეხობის ფართო მასებმა მსოფლიოს უჩვენეს უკვე დიდი ხნის უნახავი ფორმები რევოლუციური მოძრაობისა, — ახლა, მას შემდეგ, რაც რევოლუციური ხალხის ბრძოლამ ძალაუფლებისათვის იფეთქა მოსკოვშიც, სამხრეთშიც, ბალტიისპირა მხარეშიც, —

ახლა რევოლუციური ხალხის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის აზრის ნაროდოვოლცობამდე დაყვანა ნიშნავს მთელი 25 წლით დაგვიანებას, ნიშნავს რუსეთის ისტორიიდან მთელი უზარმაზარი პერიოდის ამოშლას. პლეხანოვი ამბობდა: აგრარული რევოლუციისა არ უნდა გვეშინოდესო. სწორედ რევოლუციური გლეხობის მიერ ძალაუფლების დაპყრობის ეს შიში არის შიში აგრარული რევოლუციისა. აგრარული რევოლუცია ცარიელი ფრაზაა, თუ მისი გამარჯვება რევოლუციური ხალხის მიერ ძალაუფლების დაპყრობას არ გულისხმობს. ამ უკანასკნელი პირობის გარეშე ეს იქნება არა აგრარული რევოლუცია, არამედ გლეხთა ამბოხება, ანდა კადეტური აგრარული რეფორმები. ამ მუხლის განხილვა რომ დავამთავრო, გაგახსენებთ მხოლოდ, რომ მეუმცირესე ამხანაგთა რეზოლუციაშიც კი, რომელიც «პარტიინიე იზვესტიას» მეორე ნომერში დაიბეჭდა, ნათქვამია, რომ ამჟამად ჩვენს წინაშე უკვე დგება მთავრობის ხელიდან ძალაუფლების გამოგლეჯის ამოცანა.

გამოთქმა: «ხალხური შემოქმედება», რომელიც, მგონი, ჩვენს რეზოლუციებში არ არის, მაგრამ რომელიც, თუ ამხ. პლეხანოვის მეხსიერებას დავუჯერებთ, მე მიხმარია ჩემს სიტყვაში, მას ძველ ნაცნობ ნაროდოვოლცებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს აგონებს. ამხ. პლეხანოვის ეს მოგონება მე ისევ და ისევ 25 წლით დაგვიანებად მეჩვენება. გაიხსენეთ, რა მოხდა რუსეთში 1905 წლის უკანასკნელ მეოთხედში: გაფიცვები, მუშათა დეპუტატების საბჭოები, აჯანყებანი, გლეხთა კომიტეტები, რკინიგზელთა კომიტეტები და სხვა, — ყოველივე ეს სწორედ იმას მოწმობს, რომ სახალხო მოძრაობა აჯანყების ფორმას ღებულობს, ყოველივე ეს გვიჩვენებს რევოლუციური ძალაუფლების ორგანოების უეჭველ ჩანასახებს, და ჩემს სიტყვებსაც ხალხური შემოქმედების შესახებ სრულიად გარკვეული და კონკრეტული შინაარსი ჰქონდა; ისინი რუსეთის რევოლუციის სწორედ ამ ისტორიულ ღღეებს ეხებოდნენ, ისინი ახასიათებდნენ სწორედ ამ ხერხს

ბრძოლისას არა მარტო ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ ბრძოლისას რევოლუციური ხელისუფლების შემწეობით, ხერხს, რომელიც პირველად იხმარეს რუსეთის მუშათა და გლეხთა ფართო მასებმა ოქტომბრისა და დეკემბრის სახელოვან დღეებში. თუ ჩვენი რევოლუცია დასამარებულია, მაშინ გლეხთა და მუშათა რევოლუციური ხელისუფლების ეს ჩანასახი ფორმებიც დასამარებულია; ხოლო თუ გლეხთა რევოლუციის შესახებ თქვენი სიტყვები ფრაზა არ არის, თუ ჩვენში მართლაც მოხდება აგრარული რევოლუცია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მაშინ უსათუოდ ვიხილავთ ოქტომბრისა და დეკემბრის ამბების ბევრად უფრო ფართო მასშტაბით განმეორებას. არა ინტელიგენტების, არა შეთქმულთა ჯგუფის, არამედ მუშათა და გლეხთა რევოლუციური ხელისუფლება უკვე არსებობდა რუსეთში, უკვე განხორციელდა საქმით ჩვენი რევოლუციის მსვლელობაში. იგი გასრესილი იქნა რეაქციის გამარჯვების მეოხებით, მაგრამ თუ ჩვენ ნამდვილი საფუძველი გვაქვს დარწმუნებული ვიყოთ რევოლუციის აღმავლობაში, ასევე აუცილებლად უნდა მოველოდეთ რევოლუციური ხელისუფლების ახალი, კიდევ უფრო გაბედული, გლეხობასთან და პროლეტარიატთან კიდევ უფრო დაკავშირებული ორგანოების აღმავლობას, განვითარებასა და წარმატებას. მაშასადამე, პლეხანოვი «ნაროდოვოლცობის» გაცვეთილი და სასაცილო საფრთხობელას შემწეობით მხოლოდ გაექცა მოძრაობის ოქტომბერ-დეკემბრის ფორმების ანალიზს.

დასასრულ, განვიხილოთ კიდევ ჩემი პროგრამის მოქნილობისა და სრული საფუძვლიანობის საკითხიც. მე ვფიქრობ, ამ მხრივაც ჩემი აგრარული პროგრამა ყველაზე დამაკმაყოფილებელია ყველა დანარჩენ პროგრამასთან შედარებით. როგორ მოვიქცეთ, რევოლუციის საქმე თუ ცუდად წავა? როგორ მოვიქცეთ, თუ ჩემს პროექტში ნახმარი ყველა «თუ»-ს განუხორციელებლად შეუძლებელი გახდება ჩვენი დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანაზე ლაპარაკი? მაშინ, უსათუოდ, გლეხთა მეურნეობისა და გლეხთა მიწათსარგებლობის

იმ პირობების ანგარიშის გაწევა მოგვიხდება, რომლებიც უკვე ახლა არსებობს. ამ მხრივ დავიმოწმებ ისეთ, უდიდესი მნიშვნელობის, მოვლენას, როგორიცაა იჯარა. მართლაც, თუ იმას ვიტყვით, რომ რევოლუციის საქმე შეიძლება ცუდად წავიდეს, რომ იგი შესაძლებელია ბოლომდე ვერც კი მივიდეს, ამ შემთხვევაში, უეჭველია, ანგარიში უნდა გავუწიოთ ასეთი მოვლენის არსებობას და გარდუვალობას, და ჩემს პროგრამაში ასეთი ცუდი შემთხვევისათვის, ყველა ვითომ უტოპიური «თუ»-ს არარსებობის შემთხვევისათვის, პარტიის ამოცანები უფრო სრულად, ზუსტად და ბევრად უფრო ნათლად არის გათვალისწინებული, ვიდრე ამხ. მასლოვის პროექტში. ამგვარად, ჩემი პროგრამა პრაქტიკულ ლოზუნგებს იძლევა გლეხური მეურნეობისა და გლეხური მიწათსარგებლობის ახლანდელ პირობებშიც და კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების საუკეთესო პერსპექტივების შემთხვევაშიც. ამხ. ჯონი ცდილობდა ეოხუნჯა, რომ ჩემს პროგრამაში ძალიან ბევრი პროგრამაა, რომ მე მაქვს კონფისკაციაც, იჯარაც, რომელნიც ერთიმეორეს გამორიცხავენ; აქ ოხუნჯობა არ გამოვიდა, იმიტომ რომ მემამულეთა მიწების კონფისკაცია არ გამორიცხავს იჯარას, რომელიც გლეხთა მიწებზეც არსებობს. მაშასადამე, ამხ. პლეხანოვი განსაკუთრებით არ იყო მართალი, როდესაც ჩემს წინააღმდეგ თავის განსაკუთრებით ეფექტურ საბუთს აყენებდა. პროგრამის დაწერა ძნელი საქმე არ არის ისეთი შემთხვევისათვის, თუ ყველაფერი საუკეთესოდ წავალ. ასეთს პროგრამას ყველა დაწერს; აი შენ დაწერე პროგრამა ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც სწორედ საუკეთესო პირობები არ იქნებაო. ამ საბუთის საპასუხოდ მე ვამტკიცებ, რომ, სწორედ ჩვენი რევოლუციის შესაძლებელი ყველაზე უარესი მსვლელობის თუ შედეგის შემთხვევაში, ჩემი პროგრამა, სადაც ლაპარაკია მემამულეთა მიწების კონფისკაციაზე და გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა იჯარის საკითხი, განსაკუთრებით ფხიზელი და განსაკუთრებით საფუძვლიანია, ხოლო რაც შეეხება ამხ. ჯონს, მისი პროექტი, რომე-

ლიც არას ამბობს ამ უცუდეს პირობებზე, ე. ი. ნამდვილად გატარებული პოლიტიკური დემოკრატიზმის არარსებობის პირობებზე, გვაძლევს მხოლოდ მუნიციპალიზაციას, მაშინ როდესაც მუნიციპალიზაცია, თუ მოხელეებს ხალხი არ ირჩევს, თუ მუდმივი არმია არ მოისპო და სხვ., ისეთსავე, და კიდევ უფრო მეტ, საშიშროებას წარმოადგენს, როგორსაც ნაციონალიზაცია. აი რატომ არის, რომ მე დაჟინებით მოვითხოვ იმ «თუ»-ების წამოყენებას, რომელთაც ასე უმართებულოდ ჰგმობდა პლეხანოვი.

ამრიგად, გლეხები მუნიციპალიზაციას არ დასთანხმდებიან. ამხ. ქართველოვი[79] ამბობდა, კავკასიაში გლეხები სავსებით ეთანხმებიან სოციალისტ-რევოლუციონერებს, მაგრამ ამასთანავე გვეკითხებიან: მიწის დაყოფისა თუ სოციალიზაციის დროს მიღებული მიწების გაყიდვის უფლება გვექნება თუ არაო. სწორია, ამხ. ქართველოვ! თქვენი დაკვირვება სავსებით შეეფერება გლეხთა ინტერესებს საერთოდ და გლეხთა მიერ თავიანთი ინტერესების გაგებას, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ გლეხები ყოველგვარ აგრარულ რეფორმას განიხილავენ იმ თვალსაზრისით, ექნებათ თუ არა მათ დამატებით მიღებული მიწების გაყიდვის უფლება, სწორედ ამიტომ გლეხები უეჭველად წინააღმდეგნი იქნებიან მუნიციპალიზაციისა, წინააღმდეგნი იქნებიან ერობიზაციისა. გლეხებს დღემდეც ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისაგან ერობა და ერობის უფროსი და მათ ამის ბევრად უფრო მეტი საფუძველი აქვთ, ვიდრე ამას ფიქრობენ სამართლის ქედმაღალი კადეტი პროფესორები, რომლებიც გლეხების უვიცობას დასცინიან. ამიტომ, ვიდრე მუნიციპალიზაციაზე ლაპარაკს დავიწყებდეთ, საჭიროა, უსათუოდ საჭიროა, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევაზე ვილაპარაკოთ. ახლა კი, ვიდრე ეს დემოკრატიული მოთხოვნა არ განხორციელებულა, მართებულია ვილაპარაკოთ მხოლოდ კონფისკაციაზე საზოგადოდ, ანდა დაყოფაზე. აი ამიტომ, ყრილობისათვის ძირითადი საკითხის გასამარტივებლად, მე შემდეგნაირად ვიქცევი: ვინაიდან ამხ. ბორისოვის[80] პროგრამას ჩემს

პროგრამასთან მთელი რიგი საერთო მხარეები აქვს და აგებულია სწორედ დაყოფაზე და არა ნაციონალიზაციაზე, მე ვხსნი ჩემს პროგრამას და ყრილობას ვანდობ გადაწყვიტოს საკითხი: დაყოფა თუ მუნიციპალიზაცია. თუ თქვენ უარჰყოფთ დაყოფას, — ან შეიძლება უფრო სწორი იყოს ვთქვათ, «როდესაც» თქვენ უარჰყოფთ დაყოფას, — მაშინ მე, რა თქმა უნდა, მომიხდება ჩემი პროექტის საბოლოოდ მოხსნა, როგორც უიმედოსი, ხოლო თუ თქვენ მიიღებთ დაყოფას, მაშინ ჩემს პროგრამას შემოვიტან მთლიანად, როგორც ამხ. ბორისოვის პროექტის შესწორებას. მოგაგონებთ კიდევ პასუხად იმ საყვედურისა, თითქოს მე გლეხებს თავს ვახვევდე ნაციონალიზაციას, რომ ჩემს პროგრამაში არის «ვ ა რ ი ა ნ ტ ი ა», სადაც სპეციალურად არის ლაპარაკი იმაზე, რომ უკუგდებულ უნდა იქნას ყოველგვარი აზრი გლეხებისათვის მათი ნების წინააღმდეგ რისამე თავზე მოხვევის შესახებ. მაშასადამე, პირველი კენჭისყრის დროს ჩემი პროექტის შეცვლა ბორისოვის პროექტით საქმის დედაარსს სრულიად ვერ შესცვლის და მხოლოდ გაგვიადვილებს და გაგვიმარტივებს ყრილობის ნამდვილი ნების გარკვევას. ჩემი აზრით, მუნიციპალიზაცია შემცდარი და მავნებელია, ხოლო დაყოფა შემცდარია, მაგრამ უვნებელი.

მოკლედ შევეხები ამ განსხვავებას: «დაყოფის მომხრენი» სწორად განმარტავენ ფაქტებს, მაგრამ მათ არ ახსოვთ მარქსის სიტყვები ძველ მატერიალიზმზე: «მატერიალისტები განმარტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე მარტო ის კი არაა, რომ განმარტო იგი, არამედ ისიც, რომ შესცვალო სამყარო»[61]. გლეხი ამბობს: «მიწა ღვთისაა, მიწა სახალხოა, მიწა არავისიაო». «დაყოფის მომხრენი» გაგვიმარტავენ, იგი ამას შეუგნებლად ამბობს, იგი ერთს ლაპარაკობს და მეორეს ფიქრობსო. გლეხთა ნამდვილი მისწრაფებანი, ამბობენ ისინი, სავსებით და მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გლეხებს მიწა მიემატოს, წვრილი მეურნეობა გადიდდეს და სხვა არაფერიო. ყოველივე ეს სავსებით მართალია. მაგრამ ჩვენი

უთანხმოება «დაყოფის მომხრეებთან» აქაც არა თავდება, არამედ მხოლოდ იწყება. გლეხთა სწორედ ეს სიტყვები, მიუხედავად მთელი მათი ეკონომიური უმწეობისა ანუ უშინაარსობისა, უნდა გამოვიყენოთ როგორც ხელჩასაჭიდი საგანი პროპაგანდისათვის. შენ ამბობ, მიწას ყველა უნდა სარგებლობდესო? გინდა მიწა მისცე ხალხს? კეთილი, მაგრამ რას ნიშნავს ხალხისათვის მიწის მიცემა? ვინ განაგებს ხალხის კუთვნილებას და ხალხის ქონებას? მოხელეები, ტრეპოვები. გინდა თუ არა მიწა ტრეპოვსა და მოხელეებს გადასცე? არა. ყოველი გლეხი იტყვის, არ მინდა მათ გადავცე მიწაო. გინდა თუ არა გადასცე მიწა პეტრუნკევიჩებსა და როდიჩევებს, რომელნიც, შესაძლებელია, მუნიციპალურ თვითმმართველობაში მოხვდნენ? არა. გლეხი, უთუოდ, არ მოინდომებს ამ ვაჟბატონებისათვის მიწის გადაცემას. მაშასადამე, — განვუმარტავთ ჩვენ გლეხებს, — მიწა რომ გადაეცეს მთელ ხალხს გლეხთა სასარგებლოდ, აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს უკლებლივ ყველა მოხელის არჩევა ხალხის მიერ. მაშასადამე, ჩემ მიერ წამოყენებული პროექტი ნაციონალიზაციისა, რომლის პიროობაც არის სრული დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩვენს პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს მოქმედების ნამდვილად სწორ ხაზს აძლევს, ცხადად და თვალსაჩინოდ უჩვენებს მათ, რომ გლეხთა მიწის მოთხოვნების განხილვა უნდა წარმოადგენდეს ნიადაგს პოლიტიკური და, კერძოდ, სწორედ რესპუბლიკური პროპაგანდისათვის. მაგალითად, გლეხმა მიშინმა, რომელიც სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს სტავროპოლელმა გლეხებმა, ჩამოიტანა ამრჩეველთა განაწესი, რომელიც მთლიანად დაიბეჭდა «რუსსკოე გოსუდარსტვოში»[82]. ამ განაწესში მოთხოვნილია საერობო მოხელეთა გაუქმებაც, ელევატორების მოწყობაც და მთელი მიწების ხაზინისათვის გადაცემაც. ასეთი გადაცემის მოთხოვნა უსათუოდ რეაქციული ცრურწმენაა, რადგან დღევანდელი რუსეთისა და ხვალინდელი კონსტიტუციური რუსეთის ხაზინა არის პოლიციური, სამხედრო დესპოტიზმის ხაზინა, მაგრამ ეს მოთხოვნა ჩვენ უბრა-

ლოდ კი არ უნდა უკუვაგდოთ, როგორც მავნე- ცრურწმენა, არამედ ხელი უნდა «ჩავჭიდოთ» მას, რათა მიშინსა და მის მსგავსთ განვუმარტოთ, თუ როგორია არსებითად საქმის ვითარება. ჩვენ მიშინსა და მის მსგავსთ უნდა ვუთხრათ, რომ ხაზინისათვის მიწის გადაცემის მოთხოვნა, გლეხებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანსა და სასარგებლო იდეას გამოხატავს, თუმცა მეტად ცუდად. ხაზინისათვის მიწის გადაცემა შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს გლეხებისათვის და ძალიან სასარგებლოც იქნება მათთვის მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო სავსებით დემოკრატიულ რესპუბლიკად გადაიქცევა, როდესაც სავსებით გატარდება მოხელეთა არჩევნების პრინციპი, მოისპობა მუდმივი არმია და სხვა. აი ყველა ამ მიზეზის გამო მე ვფიქრობ, რომ, თუ თქვენ ნაციონალიზაციას უარჰყოფთ, ამით ჩვენი პრაქტიკოსების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების ისეთსავე შეცდომებს გამოიწვევთ, როგორიც ჩამონაჭრების ჩვენი 1903 წლის შემცდარი პროგრამით გამოვიწვიეთ. როგორც მაშინ ჩვენს ჩამონაჭრებს უფრო ვიწროდ განმარტავდნენ, ვიდრე ამ მუხლის ავტორებს ესმოდათ, ისე ახლაც ნაციონალიზაციის უარყოფა და ამ მოთხოვნის შეცვლა დაყოფით, სრულიად აბნეულ მუნიციპალიზაციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აუცილებლად გამოიწვევს ჩვენი პრაქტიკოსების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების მთელ რიგ ისეთ შეცდომებს, რომ ჩვენ მიერ მიღებული «დაყოფის» თუ მუნიციპალიზაციის პროგრამა ძალიან მალე გაგვიხდება მოსანანიებელი.

დავამთავრებ კვლავ ორი ჩემი ძირითადი თეზისის განმეორებით: ჯერ ერთი, მუნიციპალიზაციას გლეხები არასოდეს არ მოისურვებენ; მეორე, მუნიციპალიზაცია დემოკრატიული რესპუბლიკის, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევის გარეშე — მავნებელია.

2

საბოლოო სიტყვა თანამედროვე მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების საკითხზე

შევეცდები აღვნიშნო ყველაზე არსებითი. ამხ. პტიცინმა[89] მომაგონა ანდაზა: ნადირი სწორედ კარგ მონადირეს ეტანებაო. იგი გვეკითხებოდა: სად ხედავენ ბოლშევიკები, რომ ამჟამად ბრძოლის მთავარი ფორმა არის კანონების მსხვრევა და სხვ.? ამხ. პტიცინ, მოიხსენით თქვენი კადეტური სათვალე. თქვენ გგონიათ, რომ ბრძოლის მთავარი ფორმა — პარლამენტარიზმია. შეხედეთ: უმუშევართა მოძრაობა, მოძრაობა ჯარში, გლეხთა მოძრაობა. მოძრაობის მთავარი ფორმა სათათბირო როდია, მას მხოლოდ არაპირდაპირი როლის შესრულება შეუძლია. ამხ. პლეხანოვმა თქვა, ჰეგელი კუბოში ორჯერ გადაბრუნდებოდა, რომ გაეგონა, თუ როგორ ვიმოწმებდი მას. მაგრამ ამხ. პლეხანოვმა ამხ. პტიცინზე ადრე ილაპარაკა და მისი სიტყვები ამ უკანასკნელის წინააღმდეგაა მიმართული. ამხ. პტიცინი ქედს იხრის წუთიერების წინაშე, იგი მხოლოდ ზედაპირზე ამოტივტივებულ მოვლენებს ამჩნევს და ვერ ხედავს იმას, რაც სიღრმეში ხდება. იგი არ სწავლობს მოვლენებს მათს განვითარებაში. ამხ. პტიცინის აზრით, თავსა და კუდზე, პროლეტარიატის მოწინავე თუ კუდში მოჩანჩალე როლზე ლაპარაკი,— ფრაზეოლოგიაა. მენშევიკების ძირითადი შეცდომა აქ განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ ბურჟუაზია კონტრრევოლუციურია, რომ იგი შეგ-

ნებულად მიისწრაფის მორიგებისაკენ. ისინი იაკობინელებს იმოწმებენ და აღნიშნავენ, იაკობინელები გულუბრყვილო მონარქისტები იყვნენ და რესპუბლიკელები გახდნენო. მაგრამ კადეტები გულუბრყვილო კი არა, შეგნებული მონარქისტები არიან. სწორედ ამას ივიწყებენ მენშევიკები.

მრისხანე ამხ. ლეონოვი[84] ამბობდა: შეხედეთ, «ბოლშევიკები» რევოლუციურ ხალხზე ლაპარაკობენო. მაგრამ ამასვე ამბობენ «მენშევიკებიც» თავიანთ რეზოლუციაში. ამხ. ლეონოვი იმოწმებდა მარქსს, რომელიც წიგნში «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში» ამბობს, რესპუბლიკა ბურჟუაზიის ბატონობის უმაღლესი პოლიტიკური ფორმაა. ამხ. ლეონოვს მართებდა შემდგომი ადგილიც მოეყვანა. მაშინ იგი დაინახავდა, რომ რესპუბლიკა ბურჟუაზიას დროებითმა სიტუაციამ მოახვია თავს და რომ ბურჟუაზია, რომელიც ორ ფრაქციად— ლეგიტიმისტებად და ორლეანისტებად — გაიყო, მხოლოდ თავისი ნების წინააღმდეგ ითმენდა რესპუბლიკას[85].

დანი ამბობდა: «ბოლშევიკები» უგულებელჰყოფენ პოლიტიკური ორგანიზაციის მნიშვნელობასაო. ეს მართალი არ არის. მაგრამ ტრუიზმი იქნებოდა საზოგადოდ ორგანიზაციის მნიშვნელობაზე რომ გველაპარაკნა. ლაპარაკია იმაზე, თუ სახელდობრ პოლიტიკური ორგანიზაციის რომელი ფორმებია ამჟამად აუცილებელი. საჭიროა აღინიშნოს, რა ნიადაგზე ვაშენებთ პოლიტიკურ ორგანიზაციას. «მენშევიკები» რევოლუციის აღმავლობის წანამძღვარებიდან გამოდიან და იმავე დროს მოქმედების ისეთ საშუალებებს გვირჩევენ, რომელნიც რევოლუციის აღმავლობას კი არა, დაქვეითებას შეეფერებიან. ამით ისინი ხელს უწყობენ კადეტებს, რომელნიც ყოველნაირად სახელს უტეხენ ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდს. «მენშევიკები» აფეთქებაზე ლაპარაკობენ. ჩაურთეთ ეს სიტყვა რეზოლუციაში. მაშინ მოძრაობის თანამედროვე ფორმა — სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები და სხვ. — მოძრაობის მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალ ფორმად წარმოგვიდგება.

ამხ. დანი ამბობდა: «უმცირესობის» ლოზუნგები დადასტურებულიაო და რევოლუციურ თვითმმართველობებს, მუშათა დეპუტატების საბჭოებს იმოწმებდა. მაგრამ აიღეთ პლეხანოვის «დნევნიკის» მეხუთე ნომერი. იგი იქ ლაპარაკობს, რომ რევოლუციური თვითმმართველობა «თავგზის ამბნევიაო». მაგრამ როდის და ვის უბნევდა თავგზას ეს ლოზუნგი? ჩვენ ეს ლოზუნგი არასოდეს არ უარგვიყვია. მაგრამ იგი საკმარისად არ მიგვაჩნდა. ეს ლოზუნგი ნახევრადია, ეს არ არის ძლევამოსილი რევოლუციის ლოზუნგი. მუშათა დეპუტატების საბჭოების დამოწმება სწორი არ არის. მათზე ჩვენ ჯერ არ გვილაპარაკნია.

პლეხანოვის შეცდომა ისაა, რომ იგი სრულიად არ უკეთებს ანალიზს მოძრაობის იმ ფორმებს, რომელთაც ოქტომბერში ჰქონდათ ადგილი. მან თქვა: მუშათა დეპუტატების საბჭოები სასურველი და აუცილებელიაო. მაგრამ იგი არ გაისარჯა ანალიზი გაეკეთებინა, თუ რას წარმოადგენს მუშათა დეპუტატების საბჭოები. რა არის ეს? — რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოები თუ ხელისუფლების ჩანასახი ორგანოები? მე ვამტკიცებ, და ამ თეზისის უარყოფა შეუძლებელია, რომ ეს არის ბრძოლა რევოლუციური ხელისუფლების მეშვეობით. ეს, და მხოლოდ ეს, არის ოქტომბერ-დეკემბრის ბრძოლის დამახასიათებელი განსხვავება ახლანდელისაგან; და ბრძოლის ამა თუ იმ ფორმის თავს მოხვევა ჩვენ არ შეგვიძლია.

პლეხანოვი ამბობდა: ბერნშტეინს აქებდნენ თეორიისათვის, იმისათვის, რომ მან უარი თქვა თეორიულ მარქსიზმზე, მე კი — ტაქტიკისათვისო. ახლა სხვაგვარი სიტუაციაა, — ამბობდა ამხ. პლეხანოვი. ამაზე მას ამხ. ვარშავსკიმ სამართლიანად უპასუხა, ბერნშტეინს ტაქტიკისათვის აქებდნენო; წინააღმდეგობათა მიჩლუნგებისადმი მისწრაფებისათვის, როგორც ამას კადეტები სჩადიან. ბერნშტეინი სოციალურ წინააღმდეგობებს აჩლუნგებდა სოციალისტური რევოლუციის წინახანს. პლეხანოვი პოლიტიკურ წინააღმდეგობებს აჩლუნ-

გებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გაჩაღების დროს. ამის გულისთვის აქებენ კადეტები პლეხანოვსა და მენშევიკებს.

ამხ. პლეხანოვი ამბობდა: ჩვენ ძალაუფლების დაპყრობას არ უარვყოფთ, მაგრამ ისეთი დაპყრობის მომხრე ვართ, როგორც კონვენტის ეპოქაში იყო და არა ძალაუფლების შეთქმულებით დაპყრობისაო. მერე და, ჩაწერეთ ეს, ამხანაგო «მენშევიკებო», თქვენს რეზოლუციაში. უარჰყავით ლენინიზმი, დაჰგმეთ შეთქმული სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვანი და სხვანი, მე ეს ოდნავადაც არ მაშინებს, მაგრამ ჩაწერეთ მუხლი კონვენტის ტიპის მსგავსად ძალაუფლების დაპყრობის შესახებ, და ჩვენც ორივე ხელს მოვაწერთ ამ რეზოლუციას. მხოლოდ გახსოვდეთ, ამხ. პლეხანოვო, როგორც კი თქვენ ამას ჩაწერთ, მერწმუნეთ, კადეტები თავს გაანებებენ თქვენს ქებას.

3

გამაერთიანებელ ყრილობაზე წარდგენილი პროექტი რეზოლუციისა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ [86]

ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ 11 დეკემბრის საარჩევნო კანონმა და არჩევნების ფაქტიურმა პირობებმა პროლეტარიატსა და სოციალ-დემოკრატიას შესაძლებლობა მოუსპეს მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში, წამოეყენებინათ და დამოუკიდებლად გაეყვანათ ნამდვილად პარტიული კანდიდატები;

2) რომ ამის გამო არჩევნებში მუშათა მონაწილეობის რეალური მნიშვნელობა აუცილებლად უნდა გამოხატულიყო და ფაქტიურად კიდეც გამოიხატა, როგორც გამოცდილებამ დაგვანახა, პროლეტარიატის მტკიცე კლასობრივი პოზიციის დაჩრდილვაში კადეტებთან ან სხვა ბურჟუაზიულ ჯგუფებთან შეთანხმებათა გამო;

3) რომ მხოლოდ სრულმა და თანამიმდევარმა ბოიკოტმა მისცა სოციალ-დემოკრატიას შესაძლებლობა მხარი დაეჭირა დამფუძნებელი კრების რევოლუციური გზით მოწვევის ლოზუნგისათვის, მთელი პასუხისმგებლობა სახელმწიფო სათათბიროს გამო დაეკისრებინა კადეტების პარტიისათვის და გაეფრთხილებინა პროლეტარიატი და გლეხური ანუ რევოლუციური დემოკრატია არ აჰყოლოდნენ კონსტიტუციურ ილუზიებს;

4) რომ სახელმწიფო სათათბიროს უკვე ახლავე გამოსახული კადეტური (მეტწილად) შემადგენლობით არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია შეასრულოს ნამდვილი სახალხო წარ-

მომადგენლობის როლი და ის მხოლოდ არაპირდაპირ სამსახურს გაუწევს ახალი, კიდევ უფრო ფართო და ღრმა რევოლუციური კრიზისის განვითარებას, —

აღვიარებთ და წინადადებას ვაძლევთ ყრილობას აღიაროს:

1) რომ პარტიული ორგანიზაციები სწორედ მოიქცნენ, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს და მის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს;

2) რომ ს.-დ. საპარლამენტო ფრაქციის შექმნის ცდა, — თანამედროვე პოლიტიკურ პირობებში და იმ დროს, როცა სათათბიროში ნამდვილი პარტიული და პარტიის წარმომადგენლობის უნარის მქონე სოციალ-დემოკრატები არ მოიპოვებიან, — სერიოზული წარმატების იმედს არ იძლევა და უფრო მეტად იმას გვიქადის, რომ სახელს გაუტეხს რსდმ პარტიას და მას დააკისრებს პასუხისმგებლობას პარლამენტარიების იმ განსაკუთრებით მავნე ტიპისათვის, რომელიც კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის რაღაც საშუალო რამ იქნება;

3) რომ ყოველივე ზემოთქმულის გამო ჯერ კიდევ არ არის პირობები ჩვენი პარტიის საპარლამენტო გზაზე დადგომისათვის;

4) რომ სოციალ-დემოკრატიამ უნდა გამოიყენოს სახელმწიფო სათათბირო და მისი შეტაკებანი მთავრობასთან ანდა კონფლიქტები მის შიგნით, ებრძოლოს მის რეაქციულ ელემენტებს, ულმობლად გამოამჟღავნოს კადეტების არათანამიმდევრობა და მერყეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გლეხთა რევოლუციური დემოკრატიის ელემენტებს, გააერთიანოს ისინი, დაუპირისპიროს ისინი კადეტებს, მხარი დაუჭიროს მათს ისეთს გამოსვლებს, რომლებიც შეეფერებიან პროლეტარიატის ინტერესებს, ემზადოს იმისათვის, რომ მოუწოდოს პროლეტარიატს თვითმპყრობელობაზე გადამწყვეტი შეტევისაკენ ისეთ მომენტში, როდესაც, შესაძლოა, სათათბიროს კრიზისთან დაკავშირებით, უფრო მეტად გამწვავდეს საერთო რევოლუციური კრიზისი;

5) მთავრობის მიერ სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნისა და მისი ახალი შემადგენლობით მოწვევის შესაძლებლობის გამო, ყრილობა ადგენს, რომ ახალი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში შეუწყნარებელია რაიმე ბლოკი და შეთანხმება კადეტების პარტიასთან და მათ მსგავს არარევოლუციურ ელემენტებთან; ხოლო ახალ საარჩევნო კამპანიაში ჩვენი პარტიის მონაწილეობის შესაძლებლობის საკითხს გადაწყვეტს რუსეთის სოციალ-დემოკრატია მომენტის კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

«ვოლნა» № 12,
1906 წ. 9 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას»
ტექსტის მიხედვით

4

თანამოხსენება სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხზე

ამხანაგებო! მე არ წაგიკითხავთ ბოლშევიკების რეზოლუციას, რადგან ეს რეზოლუცია, ალბათ, ყველა თქვენგანისათვის ცნობილია. (მაგრამ ყრილობის წევრთა მოთხოვნის გამო ორატორი ერთხელ კიდევ კითხულობს ბოლშევიკების რეზოლუციის ტექსტს). ამ რეზოლუციის შედარება მენშევიკების რეზოლუციასთან გვიჩვენებს მენშევიკების რეზოლუციის განსხვავების შემდეგ ოთხ ძირითად მუხლს ანუ ოთხ ძირითად ნაკლს.

1) მენშევიკების რეზოლუციაში არ არის არჩევნების შეფასება, მხედველობაში არ არის მიღებული ამ მხრივ ჩვენი პოლიტიკური გამოცდილების ობიექტური შედეგები.

2) ამ რეზოლუციაში ყველგან გამოსჭვივის არაფრთხილი, რბილად რომ ვთქვათ, ანუ ოპტიმისტური დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროსადმი.

3) რეზოლუციაში არ მოიპოვება ბურჟუაზიული დემოკრატიის შიგნით არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა ან პარტიათა ნათლად დაყოფა მათდამი ჩვენი ტაქტიკის თვალსაზრისით.

4) თქვენი რეზოლუცია ადგენს საპარლამენტო ფრაქციის შექმნას ისეთ მომენტში და ისეთ პირობებში, როდესაც პრო-

ლეტარული პარტიისათვის ამგვარი ღონისძიების სარგებლობის დამტკიცება შეუძლებელია.

ასეთია ნამდვილი უთანხმოებანი ჩვენს შორის, თუ უთანხმოებებს სერიოზულად განვიხილავთ და სიტყვებსა თუ წვრილმანებს არ გამოვეკიდებით.

მაშ განვიხილოთ ეს ოთხი მუხლი.

არჩევნების გამოცდილების გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ კი გვსურს ჩვენი დასკვნები დავამყაროთ არა ზოგად ფრაზებზე საერთოდ პარლამენტარიზმისა და სხვათა შესახებ, არამედ პოლიტიკურ ძალთა ნამდვილ თანაფარდობაზე. მართლაც, ჩვენ ხომ ვაყენებდით და ვაყენებთ სავსებით გარკვეულ დებულებას, რომ არჩევნებში მონაწილეობა რეალურად კადეტებისათვის მხარის დაჭერას ნიშნავს, რომ მონაწილეობა შეუძლებელია, თუ კადეტებთან ბლოკი არ შეიკრა. არსებითად იხილავთ თუ არა თქვენ ამ მოსაზრებას? არკვევთ თუ არა თქვენ სინამდვილეს ამ საკითხზე არსებულ ფაქტიურ მონაცემთა თვალსაზრისით? სრულიადაც არა. აქსელროდმა სრულიად გვერდი აუარა საკითხთა პირველ ნახევარს, ხოლო მეორე ნახევრის შესახებ ორი საწინააღმდეგო მოსაზრება მოიყვანა. პირველად მან კადეტებთან ბლოკი საერთოდ უაღრესად აგდებული სიტყვებით მოიხსენია. მერე კი თქვა, არაფერი მექნება საწინააღმდეგო არც ასეთი ბლოკებისა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ძველებური და წვრილმანი ფარული «ჩურჩულისა» და მალულ შეთანხმებათა სახით, არამედ ისეთი აშკარა და პირდაპირი ნაბიჯების სახით, რომელთაც მთელი პროლეტარიატი ხედავსო. აქსელროდის ეს უკანასკნელი «დებულება» საუცხოო ნიმუშია «კადეტური» ოცნებისა, ნამდვილი «უმწიკვლო სურვილებისა», რომელთაც კონსტიტუციური ილუზიები წარმოშობენ. ჩვენ ნამდვილად კონსტიტუცია არა გვაქვს, არა გვაქვს ნიადაგი ჩვენი აშკარა გამოსვლებისათვის, სამაგიეროდ გვაქვს დუბასოვის «კონსტიტუციონალიზმი». აქსელროდის ოცნება ცარიელ ოცნებად დარჩება, ხოლო კადეტები ჩუმ თუ ხელმოწერილ, ფორმალურ

თუ არაფორმალურ შეთანხმებათაგან რეალურ სარგებლობას მიიღებენ.

და როდესაც ლაპარაკობენ არჩევნებისაგან ჩვენს «თვით ჩამოშორებაზე», ყოველთვის ავიწყდებათ, რომ სწორედ პოლიტიკურმა პირობებმა და არა ჩვენმა ნებამ ჩამოაშორა სინამდვილეში ჩვენი პარტია, ჩამოაშორა გაზეთებს, კრებებს, პარტიის გამოჩენილ წევრთა კანდიდატებად წამოყენებას. ხოლო ყველა ამ პირობის გარეშე პარლამენტარიზმი ბევრად უფრო მეტად ცარიელი და უბადრუკი თამაშობაა, ვიდრე პროლეტარიატის აღზრდის საშუალება: გულუბრყვილობაა პარლამენტარიზმს იღებდე «წმინდა სახით», «იდეაში» და არა მის რეალურ ვითარებაში.

როდესაც არჩევნებზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ ავიწყდებათ, რომ დუბასოვის კონსტიტუციონალიზმის ნიადაგზე ფაქტიურად ორი მძლავრი «პარტია» იბრძოდა: კადეტები და შავრაზმელები. კადეტები მართალი იყვნენ, როდესაც ამომრჩევლებს ეუბნებოდნენ, ხმების ყოველგვარ დაქსაქსვას, «მესამე» კანდიდატთა ყოველგვარ წამოყენებას შეუძლია მხოლოდ შავრაზმელთა გამარჯვება გამოიწვიოსო. აიღეთ მოსკოვის მსგავსი მაგალითები: ვთქვათ, გუჩკოვი 900 ხმას, ხოლო კადეტი 1.300 ხმას ღებულობს. საკმარისი იყო სოციალ-დემოკრატებს 401 ხმა შეეგროვებინათ, და შავრაზმელი გაიმარჯვებდა. მაშასადამე, არჩევნებში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის კადეტური გაგება სინამდვილეს შეეფერებოდა (კადეტებმა მოსკოვის მუშებს სახელმწიფო სათათბიროში ერთი ადგილი დაუთმეს არჩევნებში მუშების მონაწილეობის გამო), ხოლო თქვენი, მენშევიკური, გაგება სინამდვილეს არ შეეფერება, ცარიელი და ფუჭი ოცნებაა. ან ხელი არ უნდა მოჰკიდო პარლამენტარიზმს და თავი დაანებო მასზე ზოგადი სიტყვების ლაპარაკს, ანდა სერიოზულად უნდა მოჰკიდო ხელი. თორემ სრულიად უვარგისი პოზიცია გამოდის.

მეორე მუხლი. აქსელროდმა თავის სიტყვაში კიდევ უფრო მეტად გამოაჩინა რეზოლუციის ჩემ მიერ აღნიშნული

ნაკლოვანებანი. რეზოლუციაში ლაპარაკია სათათბიროს გადაქცევაზე რევოლუციის იარაღად. სათათბიროს თქვენ უყურებთ მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის მხრივ ჩვენზე ზედმოქმედების, მთავრობის მხრივ რევოლუციის წინააღმდეგ მიმართული ჩაგვრის თვალსაზრისით. ჩვენ სახელმწიფო სათათბიროს ვუყურებთ, როგორც განსაზღვრული კლასის წარმომადგენლობას, როგორც გარკვეული პარტიული შემადგენლობის დაწესებულებას. თქვენი მსჯელობა სრულიად არ არის სწორი, სრული, მარქსისტულად არ არის აგებული. თქვენ არ ითვალისწინებთ სათათბიროს შინაგან წყობას კადეტების პარტიის კლასობრივი შემადგენლობის მიხედვით. თქვენ ამბობთ მთავრობა ახრჩობს რევოლუციასო, მაგრამ გავიწყდებათ დასძინოთ, რომ კადეტებმაც უკვე სავსებით და მთლად გამოააშკარავეს რევოლუციის ჩაქრობის მისწრაფება. კადეტურმა სათათბირომ არ შეიძლება კადეტების პარტიის თვისებები არ გამოიჩინოს. ფრანკფურტის პარლამენტის მაგალითს როდესაც ამ საწარმომადგენლო დაწესებულებამ რევოლუციურ ეპოქაში ნათლად გამოააშკარავა რევოლუციის ჩაქრობის მისწრაფება (ფრანკფურტელ მოლაყბეთა წვრილბურჟუაზიული შეზღუდულობისა და სილაჩრის გამო), ამ მაგალითს თქვენ სავსებით უშვებთ მხედველობიდან.

სოციალ-დემოკრატიულ რეზოლუციაში უკვე სავსებით უადგილოა «მეფის მიერ აღიარებული და კანონით დამტკიცებული ხელისუფლების» დამოწმება. სათათბირო სინამდვილეში ხელისუფლება როდია. კანონის დამოწმება კი არ ადასტურებს, არამედ ასუსტებს მთელ თქვენს არგუმენტაციას და მთელ თქვენს სააგიტაციო ლოზუნგებს, რომლებიც ამ რეზოლუციიდან გამომდინარეობენ. «კანონს» და «მეფის ნებას» ყველაზე მეტი ხალისით დაიმოწმებს ვიტე, როდესაც ხელს შეუშლის სათათბიროს სულ მცირეოდენ ცდას — გასცილდეს სასაცილოდ შეკვეცილი თავისი კომპეტენციის ფარგლებს. სოციალ-დემოკრატები კი არა, «რუსსკოე გოსუდარსტვო»

ღებულობს სარგებლობას ისეთი საბუთებიდან, როგორიცაა მეფისა და კანონის დამოწმება.

გადავდივარ მესამე მუხლზე. კადეტების მკაფიო დახასიათების უქონლობა, მთელი მათი ტაქტიკის მხილებაზე ხელის აღება, კადეტების გამოუყოფლობა გლეხური და რევოლუციური დემოკრატიისაგან, — რეზოლუციის ძირითადი შეცდომაა, რომელიც ყველა წინანდელ შეცდომასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ნამდვილად კი სწორედ კადეტები არიან მდგომარეობის ბატონ-პატრონნი ახლანდელ სათათბიროში. და ამ კადეტებმა უკვე არაერთხელ გამოამჟღავნეს თავისი ღალატი «სახალხო თავისუფლებისადმი». როდესაც გულკეთილმა ყბედმა ვოდოვოზოვმა კადეტებზე მარცხნივ დგომა მოინდომა და არჩევნების შემდეგ კადეტებს მოაგონა მათი დაპირებანი დამფუძნებელი კრებისა და სხვათა შესახებ, «რეჩმა» «დიდმპყრობელური» ტონი აიღო და უხეშად, ქუჩური უხეშობით უპასუხა ვოდოვოზოვს, არამკითხეთა რჩევა არ მესაჭიროებაო.

ასევე შემცდარია თქვენი რეზოლუცია რევოლუციის დასუსტებისადმი მისწრაფების საკითხში. როგორც უკვე მოგახსენეთ, ასეთი მისწრაფება აქვს არა მარტო მთავრობას, არამედ იმ წვრილ ბურჟუა-შემთანხმებლებსაც, რომლებიც ახლა ყველაზე ძლიერ ხმაურობენ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე.

თქვენი რეზოლუცია ამბობს, სათათბირო ცდილობს ხალხს დაეყრდნოსო. ეს მხოლოდ სანახევროდ არის მართალი და ამიტომ მართალი არ არის. რა არის სახელმწიფო სათათბირო? შეგვფერის თუ არა ჩვენ ამ დაწესებულების ზოგად დამოწმებას დავჯერდეთ იმ კლასებისა და პარტიების ანალიზის ნაცვლად, რომლებიც მის ნამდვილ შინაარსსა და მნიშვნელობას განსაზღვრავენ? რომელი სათათბირო მიისწრაფის ხალხს დაეყრდნოს? არა ოქტიაბრისტული, რადგან ოქტიაბრისტებისათვის სრულიად უცხოა ასეთი მისწრაფება. არც გლეხური სათათბირო, რადგან გლეხი-დეპუტატები უკვე ხალხის განუ-

ყოფელი ნაწილი არიან, და მათ არ სჭირდებათ «მიისწრაფოდ-ნენ ხალხს დაეყრდნონ». ხალხზე დაყრდნობის მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა დამახასიათებელია სწორედ კ ა დ ე ტ უ რ ი სათათბიროსთვის. მაგრამ კადეტებისათვის ასევე დამახასიათებელია ხალხზე დაყრდნობის მისწრაფებაც და ხალხის რევოლუციური თვით-მოქმედების შ ი შ ი ც. თქვენი რეზოლუცია, როცა ის საქმის ერთ მხარეზე მიუთითებს და მეორეზე სრულიად სდუმს, არათუ უმართებულო, არამედ პირდაპირ მავნე წარმოდგენებს ავრ-ცელებს. დუმილი ამ მეორე მხარეზე — რომელიც ხაზგასმუ-ლია ჩვენს რეზოლუციაში სხვა პარტიებისადმი დამოკიდებუ-ლების შესახებ — სიყალბეა, ასეთი დუმილის ობიექტურ მნიშვნელობას თუ ავიღებთ.

არა, ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ ჩვენი ტაქტიკა ყოველად შეუწყნარებელია განისაზღვრებოდეს კადეტებზე დუმილით, მათ მკაცრ კრიტიკაზე ხელისაღებით. ჩვენ მხო-ლოდ გლეხური და რევოლუციური დემოკრატიის დახმარება შეგვიძლია ვეძიოთ და უნდა ვეძიებდეთ კიდევაც და სულაც არა იმათი დახმარება, ვინც თანამედროვე მომენტის პოლიტი-კურ წინააღმდეგობებს აჩლუნგებს.

დასასრულ, განვიხილოთ საპარლამენტო ფრაქციის შექმ-ნის წინადადება. სოციალ-დემოკრატიამ ახალი იარაღი, «პარ-ლამენტარიზმი», განსაკუთრებული სიფრთხილით რომ უნდა გამოიყენოს, ამის უარყოფას მენშევიკებიც კი ვერ ბედავენ. ისინი სავსებით მზად არიან ეს «პრინციპულად» აღიარონ. მაგრამ საქმე ახლა პრინციპული აღიარება სრულიადაც არ არის, საქმე კონკრეტულ პირობათა სწორად გათვალისწინებაა. სიფრთხილის «პრინციპული» აღიარება არაფრადა ღირს, თუ რეალური პირობები ამ აღიარებას გულუბრყვილო და ფუჭ ოცნებად აქცევს. კარგად ლაპარაკობენ, მაგალითად, კავკასიე-ლები დამოუკიდებელ არჩევნებზე, წმინდა პარტიულ კანდი-დატებზე, მათ მიერ კადეტებთან ბლოკის უარყოფაზე. მაგრამ რა ფასი აქვს ამ კარგ სიტყვებს, როცა ამავე დროს ერთი კავ-კასიელი ამხანაგი ჩემთან ლაპარაკში მეუბნება, რომ თბილის-

ში, მენშევიკური კავკასიის ამ ცენტრში, ალბათ, მემარცხენე კადეტი არღუთინსკი გავა და, ალბათ, არცთუ ს.-დ. დაუხმარებლადაო? რა ფასი აქვს ჩვენს სურვილებს მასების წინაშე ფართო და აშკარა განცხადებათა შესახებ, თუ ჩვენ უთვალავი კადეტური გაზეთების წინაალმდეგ გვექნება, როგორც ახლა, ცენტრალური კომიტეტის «პარტიინიე იზვესტია»?

ისიც დაიხსომეთ, რომ ყველაზე ოპტიმისტ სოციალ-დემოკრატებს თავიანთი კანდიდატების გაყვანის იმედი აქვთ მხოლოდ გლეხთა კურიების საშუალებით. მაშასადამე, «პარლამენტარიზმის დაწყება» მუშათა პარტიის პრაქტიკაში მათ სურთ სწორედ არა მუშათა, არამედ წვრილბურჟუაზიული, ნახევრადესერული კურიებიდან. განსაჯეთ, მთელი ამ სიტუაციიდან რომელს უფრო მეტი შანსი აქვს წარმოიშვას — სოციალ-დემოკრატიულ თუ არა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პოლიტიკას?

5

სიტყვა შეიარაღებული აჯანყების საკითხზე

ამას წინათ ერთმა ამხანაგმა მითხრა, თქვენ ყრილობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ სააგიტაციო მასალას აგროვებთო. მე მაშინვე ვუპასუხე ამაზე, რომ სახელობითი კენჭისყრაზე ამის თქმა უცნაურზე უცნაურია-მეთქი. ვინც ყრილობის გადაწყვეტილებების უკმაყოფილოა, ყოველთვის გასწვავს აგიტაციას მათ წინააღმდეგ[87]. ამხ. ვორობიოვმა[88] თქვა, თქვენთან, «ბოლშევიკებთან», «მენშევიკებს» ერთ პარტიაში მუშაობა არ შეუძლიათო. მოხარული ვარ, რომ ამ თემაზე პირველად სწორედ ამხ. ვორობიოვმა ჩამოაგდო ლაპარაკი. მისი სიტყვები რომ «სააგიტაციო მასალად» გამოდგება, მე ეჭვი არ მეპარება. მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო დიდმნიშვნელოვანია სააგიტაციო მასალა პრინციპულ საკითხებზე. და ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენდით ახლანდელი ყრილობის საწინააღმდეგოდ იმაზე უკეთეს სააგიტაციო მასალას, ვიდრე თქვენი რეზოლუციაა შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ[89].

პლეხანოვი ლაპარაკობდა ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გულდამშვიდებით განხილვის აუცილებლობაზე. ეს მართალზე-მართალია. მაგრამ გულდამშვიდებით განხილვა, რა თქმა უნდა, ის კი არ არის, რომ ყრილობამდე და ყრილობაზე დებატები არ იყოს, არამედ ის, რომ განსახილველი რეზოლუციები მართლაც გულდამშვიდებული, საქმიანი შინაარსისა იყოს. და სწორედ ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ორივე რეზოლუციის შედარება. «მენშევიკების» რეზოლუციაში ჩვენ არ მოგვწონს არა პოლემიკა, — პლეხანოვმა სრულიად უმართებულოდ გაიგო ამხ. ვინტერის[90] სიტყვები ამის

შესახებ, — ჩვენ არ მოგვწონს არა პოლემიკა, არამედ წვრილმანი, დაკნინებული პოლემიკა, რომლითაც გამსჭვალულია «მენშევიკების» რეზოლუცია. აიღეთ საკითხი, თუ როგორ შეფასებას აძლევდა წარსულის გამოცდილებას, როგორ აკრიტიკებდა პროლეტარიატის მოძრაობას პროლეტარიატის მოძრაობის შეგნებული გამომხატველი — სოციალ-დემოკრატია. აქ კრიტიკა და «პოლემიკა» სავალდებულოა, მაგრამ მხოლოდ აშკარა, პირდაპირი, ცხადი და ნათელი კრიტიკა და არა შარი, არა ქირდვა, არა ინტელიგენტური კბენა. და აი, ჩვენი რეზოლუცია, მეცნიერულად აჯამებს რა უკანასკნელი წლის შედეგებს, პირდაპირ აკრიტიკებს: მშვიდობიანი გაფიცვა «ძალთა გამფლანგველი» აღმოჩნდა, იგი წარსულს ბარდება. ბრძოლის მთავარ ფორმად ხდება აჯანყება, გაფიცვა კი — დამხმარე ფორმად. აიღეთ «მენშევიკების» რეზოლუცია. გულდამშვიდებული განხილვის, გამოცდილების გათვალისწინების მაგივრად, გაფიცვისა და აჯანყების თანაფარდობის შესწავლის მაგივრად, თქვენ ხედავთ ფარულ, წვრილმან ფარულ განდგომას დეკემბრის აჯანყებისაგან. მთელი თქვენი რეზოლუცია მთლად გამსჭვალულია პლეხანოვის შეხედულებით: «ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისთვისაო» (თუმცა რუსეთის «მენშევიკების» უმრავლესობა არ ეთანხმებოდა პლეხანოვს). ამხ. ჩერევანინმა თავისი სიტყვით შესანიშნავად გასცა თავისი თავი, როდესაც «მენშევიკების» რეზოლუციის დასაცავად იძულებული იყო დეკემბრის აჯანყება დაესახა «სასოწარკვეთილების» უიმედო გამოხატულებად, ისეთ აჯანყებად, რომელმაც, თითქოს, შეიარაღებული ბრძოლის ვერავითარი შესაძლებლობა ვერ დაამტკიცა.

როგორც მოგეხსენებათ, კაუტსკიმ სხვა აზრი გამოთქვა. მან აღიარა, რომ რუსეთის დეკემბრის აჯანყება გვაიძულებს «გადავსინჯოთ» ენგელსის შეხედულება საბარიკადო ბრძოლის შეუძლებლობაზე, რომ დეკემბრის აჯანყება ახალი ტაქტიკის დასაწყისიაო. თავისთავად ცხადია, რომ კ. კაუტსკის შეხედულება შეიძლება შემცდარი იყოს, რომ შეიძლება «მენშევი-

კები» უფრო მართალნი იყვნენ. მაგრამ, თუ ჩვენ ვაფასებთ «გულდამშვიდებულ» განხილვას, სერიოზულ და არა წვრილმან კრიტიკას, ვალდებული ვართ რეზოლუციაში პირდაპირ და აშკარად გამოვხატოთ ჩვენი შეხედულება: «ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისათვის», მაგრამ შეუწყნარებელია რეზოლუციაში ამ აზრის გამოთქმა ფარულად, მისი პირდაპირი ფორმულირების გარეშე. დეკემბრის აჯანყების აი ეს წვრილმანი, ფარული დეზავუირება, რაც წარსული გამოცდილების ოდნავი კრიტიკითაც კი არ არის დასაბუთებული, თქვენი რეზოლუციის სწორედ ძირითადი და უდიდესი ნაკლია. სწორედ ეს მისი ნაკლი იძლევა უდიდეს საგიტაციო მასალას ისეთი რეზოლუციის წინააღმდეგ, რომელიც არსებითად ამბ. აკიმოვის შეხედულებისაკენ იხრება, ოღონდ მის მწვავე მხარეებს ჰფარავს [91].

თქვენი რეზოლუციის პირველ მუხლსაც იგივე ნაკლი აქვს. ეს მუხლი ფ რ ა ზ ი თ იწყება, რადგან «უგუნური ჯიუტობა» ყველა რეაქციული მთავრობის თვისებაა, მაგრამ მარტოოდენ აქედან ჯერ კიდევ სულაც არ გამომდინარეობს აჯანყების აუცილებლობა და გარდუვალობა [92]. «ძალაუფლების გამოგლეჯა» იგივეა, რაც «ძალაუფლების დაპყრობა», და სასაცილოა, რომ მეორე ტერმინის წინააღმდეგ მოდავეებმა პირველი მიიღეს. ამით მათ ცხადჰყვეს ნაროდოვოლცობისა და სხვ. წინააღმდეგ თავიანთი დეკლამაციის უშინაარსობა. პლეხანოვის წინადადება: «ძალაუფლების გამოგლეჯის» მაგივრად ვთქვათ «გამოვგლიჯოთ ჩვენი უფლებებიო» — განსაკუთრებით უხეიროა, რადგან უკვე წმინდა კადეტურ ფორმულირებას იძლევა. უმთავრესი კი, ვიმეორებ, ის არის, რომ «ძალაუფლების გამოგლეჯისა» და შეიარაღებული აჯანყების საკითხს თქვენი რეზოლუცია უდგება არა წარსულის გამოცდილების, არა მოძრაობის ზრდის ფაქტიური მონაცემების შესწავლისა და გათვალისწინების საფუძველზე, არამედ იმ ზოგადი ფრაზების საფუძველზე, რომლებიც არაფრით არ არის დამტკიცებული და რომელთა დამტკიცება არც შეიძლება.

6

პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ მურატოვის (მოროზოვის) შესწორების დასაცავად გამოსვლა [83]

ამხ. მურატოვმა საბოლოო სიტყვა მე დამითმო. სრულიად არ არის მართალი, თითქოს ამხ. მურატოვი ღია კარს ამტვრევდეს. პირიქით, იგი სწორედ ამ კარს აღებს. ამხ. მურატოვის შესწორება საკითხს პირდაპირ აყენებს. ყრილობამ აღიარა სხვა ტაქტიკა, ვიდრე ის, რომელსაც მუშები ბევრ ადგილას ადგენენ; როდესაც სათათბიროში პარტიულ ფრაქციას ჰქმნი, მწვავე კონფლიქტები რომ არ წარმოიშვას, საჭიროა შეეკითხო მუშებს, სურთ თუ არა მათ სათათბიროში წარმომადგენლად ჰყავდეთ ის, ვის არჩევაშიც მათ მონაწილეობა არ მიუღიათ.

7

განსაკუთრებული აზრი რსდმპ საპარლამენტო ფრაქციის შემადგენლობის საკითხზე

I

რადგან სტოდოლინის[94] შესწორების უარყოფა მიმაჩნია განდგომად პარლამენტარიზმის პრინციპებისაგანაც კი, ვაცხადებ, რომ ამ საკითხზე განსაკუთრებული აზრი შემომაქვს.

II

უკვე წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ამასთანავე ვადგენ ჩემს განსაკუთრებულ აზრს სტოდოლინის შესწორების საკითხზე.

ამხ. სტოდოლინი თავის შესწორებაში წინადადებას იძლეოდა რსდმ პარტიის ოფიციალურ საპარლამენტო ჯგუფში მონაწილეობის ნება მიგვეცა პარტიის მხოლოდ და მხოლოდ იმ წევრებისათვის, რომელნიც არა მარტო მუშაობენ საზოგადოდ ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში, არა მარტო ემორჩილებიან საერთოდ პარტიას მთლიანად და განსაკუთრებით თავიანთ პარტიულ ორგანიზაციებს, არამედ, გარდა ამისა, ამ უკანასკნელთა მიერ (ე. ი. სათანადო პარტიული ორგანიზაციების მიერ) კანდიდატებად არიან წამოყენებულნი.

მაშასადამე, ამხ. სტოდოლინს ის სურდა, რომ ჩვენი პირველი სოციალ-დემოკრატიული ნაბიჯები პარლამენტარიზმის

გზაზე მხოლოდ და მხოლოდ სათანადო ორგანიზაციების პირდაპირი დავალებითა და მათი სახელით გადადგმულიყო. საკმარისი არაა ის, რომ საპარლამენტო ჯგუფის წევრები ერთ-ერთი პარტიული ორგანიზაციის წევრები იყვნენ. რუსეთის პირობებში ეს ჯერ კიდევ არ გამორიცხავს უაღრესად არასასურველ შემთხვევათა შესაძლებლობას, რადგან თავის წევრებისადმი აშკარა და ყველასათვის დასანახი კონტროლის განხორციელება ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტარიზმის გზაზე ჩვენი პირველი ნაბიჯების გადადგმისას დაცულ იქნას ყოველგვარი სიფრთხილე, გამომუშავებული ევროპის სოციალისტური პარტიების გამოცდილებით. დასავლეთ ევროპის პარტიები, განსაკუთრებით კი მათი მემარცხენე ფრაქციები, იმასაც კი მოითხოვენ დაჟინებით, რომ პარლამენტის კანდიდატებს აყენებდნენ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები პარტიის ც. კ.-თან შეთანხმებით. ევროპის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას უაღრესად სერიოზული საფუძველი აქვს პარლამენტარიების მიმართ ასეთი ს ა მ მ ა გ ი კონტროლი მოითხოვოს: ჯერ ერთი, საერთო პარტიული კონტროლი პარტიის ყველა წევრის მიმართ; მეორე, განსაკუთრებული კონტროლი იმ ადგილობრივი ორგანიზაციებისა, რომელთაც თავიანთი სახელით უნდა წამოაყენონ პარლამენტის კანდიდატები; მესამე, სპეციალური კონტროლი მთელი პარტიის ც. კ.-ისა, რომელიც ადგილობრივ გავლენათა და ადგილობრივ თავისებურებათა მაღლა დგას და უნდა ზრუნავდეს პარლამენტის მხოლოდ ისეთი კანდიდატების წამოყენებაზე, რომელნიც აკმაყოფილებენ საერთოპარტიულ და საერთოპოლიტიკურ მოთხოვნებს.

უარჰყო რა ამხ. სტოდოლინის შესწორება, უარჰყო რა მოთხოვნა, რომ საპარლამენტო ფრაქციაში შესვლა შეეძლოთ მხოლოდ მათ, ვისაც პარტიული ორგანიზაციები პირდაპირ აყენებდნენ პარლამენტის კანდიდატებად, უარჰყო რა ეს მოთხოვნა, ყრილობამ საპარლამენტო ტაქტიკაში გაცილებით ნაკლები სიფრთხილე გამოიჩინა, ვიდრე დასავლეთ ევროპის რე-

ვოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა. მაგრამ არა მგონია შეიძლებოდეს ეჭვის შეტანა იმაში, რომ ჩვენ ახლა, რუსეთში სოციალ-დემოკრატიის აშკარად გამოსვლის განსაკუთრებით მძიმე პირობების გამო, უსათუოდ გვესაჭიროება ბევრად უფრო მეტი სიფრთხილე, ვიდრე დასავლეთ ევროპის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გამოცდილებით არის შემუშავებული.

რეზოლუცია ყრილობის წინაშე სამანდატო კომისიის ანგარიშგების შესახებ

ყრილობა ავალებს სამანდატო კომისიას აწარმოოს ანგარიშები, საიდანაც უნდა ჩანდეს, რა მოტივებით ხელმძღვანელობდა ორგანიზაცია ყრილობის დელეგატების არჩევისას და რა კრიტერიუმი იყო გამოყენებული პარტიის წევრობის განსაზღვრის დროს.

9

განცხადება ყრილობის მიერ ოქმების დამტკიცების საჭიროების შესახებ

საჭიროა ყრილობა ამტკიცებდეს ყველა ოქმს. ამიტომ ოფიციალური ოქმები იქნება ის ოქმები, რომლებსაც მდივნები ადგენენ. სტენოგრაფები მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს ჩაწერენ.

10

წერილობითი განცხადება ყრილობის მე-17 სხდომაზე

მე არ მითქვამს, თბილისელებს გადაწყვეტილი აქვთ არ-ლუთინსკის გაყვანა-მეთქი. მე ვთქვი, შესაძლებლად მიაჩნიათ არლუთინსკის გამარჯვება, მასთან, არცთუ სოციალ-დემოკ-რატების დაუხმარებლად-მეთქი.

წერილობითი განცხადება ყრილობის 21-ელ სხდომაზე

ვაცხადებთ, რომ «ყრილობის დადგენილებათა ავტორიტეტულობის საწინააღმდეგო სააგიტაციო მასალა» უწოდო სახელობითს ხმისმიცემას მნიშვნელოვან საკითხებზე, — ეს ნიშნავს ვერ გაიგო ყრილობის როლი, ანდა ვიწრო ფრაქციულობა გამოიჩინო.

12
წერილობითი განცხადებანი ყრილობის 26-ე სხდომაზე

I

არ არის სწორი, თითქოს მე «მხარი დავუჭირე» ამხ. ვოროობიოვს, რომელმაც თქვა, ბოლშევიკებს და მენშევიკებს ვრთ პარტიაში ერთად მუშაობა არ შეუძლიათო. მე სულაც არ «დამიჭერია მხარი» ასეთი მტკიცებისათვის და სრულიადაც არ ვიზიარებ ამგვარ შეხედულებას. აზრი ჩემი სიტყვებისა: «მოხარული ვარ, რომ ამხ. ვოროობიოვმა პირველმა თქვა ეს», — მხოლოდ და მხოლოდ ირონიული იყო, რადგან გამარჯვებულებმა, რომელთაც უმრავლესობა ჰყავთ ყრილობაზე, მხოლოდ თავიანთი სისუსტე გამოამჟღავნეს, როდესაც პირველად დაიწყეს ლაპარაკი გათიშვაზე.

II

შემომაქვს შემდეგი შენიშვნა ბუნდთან გაერთიანების წესდებისათვის:

ყრილობა ც. კ.-ს აყალებს ხსენებული წესდება ცხოვრებაში გაატაროს დაუყოვნებლივ, როგორც კი მას ბუნდი დაამტკიცებს.

პარტიისადმი მიმართვა გამაერთიანებელი ყრილობის დელეგატებისა, რომლებიც «ბოლშევიკთა» ყოფილ ფრაქციას ეკუთვნოდნენ [95]

ამხანაგებო!

რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა შესდგა. გათიშვა აღარ არის. ორგანიზაციულად სავსებით შეერთდნენ არა მარტო «ბოლშევიკების» და «მენშევიკების» წინანდელი ფრაქციები, არამედ მიღწეულია აგრეთვე რსდმ პარტიის გაერთიანება პოლონეთის სოციალ-დემოკრატიასთან [96], ხელმოწერილია გაერთიანება ლატვიის სოციალ-დემოკრატიასთან [97] და უკვე გადაწყვეტილია გაერთიანება ებრაელთა სოციალ-დემოკრატიასთან, ე. ი. «ბუნდთან» [98]. ამ ფაქტების პოლიტიკური მნიშვნელობა ძალიან დიდი იქნებოდა ყოველგვარ პირობებში, იგი ჭეშმარიტად უზარმაზარი ხდება იმ ისტორიული მომენტის გამო, რომელსაც ჩვენ განვიცდით.

რუსეთის დიდი რევოლუციის მთელი ბედი, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში გადაწყდება. პროლეტარიატი, რომელსაც თან მიჰყავს ქალაქისა და სოფლის ღარიბთა ფართო მასები, წინ მიუძღვის რევოლუციას მისი პირველი მომენტიდან დღემდე. სახალხო ბრძოლის მომავალი მრისხანე, გადამწყვეტი ამბების გამო, ყველაზე მნიშვნელოვანია მთელი რუსეთის, ყველა მისი ეროვნების შეგნებული პროლეტარიატის პრაქტიკული ერთიანობის მიღწევა. ისეთ რევოლუციურ ეპოქაში, როგორსაც ჩვენ განვიცდით, პარტიის ყოველგვარ თეორიულ

შეცდომებს და ტაქტიკურ გადახვევებს ყველაზე ულმობლად აკრიტიკებს თვით ცხოვრება, რომელიც უნახავი სისწრაფით ათვითცნობიერებს და წვრთნის მუშათა კლასს. ასეთ დროს ყოველი სოციალ-დემოკრატის მოვალეობაა მიისწრაფოდეს, რომ იდეური ბრძოლა პარტიის შიგნით თეორიისა და ტაქტიკის საკითხებში რაც შეიძლება უფრო აშკარად, ფართოდ და თავისუფლად წარმოებდეს, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა არღვევდეს და არ აძნელებდეს სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლების ერთიანობას.

რუსეთის დიდი რევოლუცია შებრუნების წინაშე დგას. ბურჟუაზიული რუსეთის ყველა კლასის ბრძოლამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქაღალდის კონსტიტუციამდე მიგვიყვანა. ბურჟუაზიის ნაწილი ამით სავსებით დაკმაყოფილდა და რევოლუციას ზურგი შეაქცია. მეორე ნაწილი, რომელსაც სურს წინ წავიდეს, თავს იტყუებს იმედებით ბრძოლის «კონსტიტუციური» გზის შესახებ და მზად არის კადეტების მერყევი და პირმოთნე ბურჟუაზიული პარტიის საარჩევნო გამარჯვებაში სახალხო თავისუფლების სერიოზული გამარჯვება დაინახოს.

გლეხობის ფართო მასა, რომელიც თავგამოდებით იბრძვის ძველი, ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ, მოხელეთა ყოვლისშემძლეობისა და მემამულეთა კაბალის წინააღმდეგ, რევოლუციის მხარეზე რჩება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის სავსებით შეგნებული. ნაკლებად შეგნებულია ქალაქთა წვრილი ბურჟუაზიის რევოლუციურ-დემოკრატიული ნაწილიც. მხოლოდ პროლეტარიატი, რომელიც გმირულად იბრძოდა თავისუფლებისათვის ოქტომბერში, და მის დასაცავად იარაღს ხელი მოჰკიდა დეკემბერში, მხოლოდ პროლეტარიატი არის წინანდებურად ბოლომდე რევოლუციური კლასი, რომელიც ახალ ძალებს იკრებს და შეგნებულად ემზადება ამჟამად ახალი, კიდევ უფრო დიდი ბრძოლისათვის.

მეფის მთავრობა ცინიკური გულახდილობით თამაშობს კონსტიტუციობანას. იგი ინარჩუნებს თავის ძველ ძალაუფ-

ლებას, იგი განაგრძობს და აძლიერებს თავისუფლებისათვის მებრძოლთა დევნას, მას აშკარად სურს სათათბირო გადააქციოს ცარიელ სალაყბოდ — თვითმპყრობელობის შირმად, ხალხის მოტყუების იარაღად. წარმატებით დაგვირგვინდება თუ არა ეს ტაქტიკა — სულ უახლოეს მომავალში გადაწყდება, გადაწყდება იმ ახალი რევოლუციური აფეთქების შედეგად, რომელიც ახლა მწიფდება.

თუ მთელი რუსეთის პროლეტარიატი მჭიდროდ შეკავშირდება, თუ იგი შესძლებს თან გაიყოლოს ხალხის ყველა ნამდვილად რევოლუციური, ბრძოლისა და არა მორიგების უნარის მქონე ფენა, თუ იგი კარგად მოემზადება ბრძოლისათვის და სწორად შეარჩევს თავისუფლებისათვის საბოლოო ბრძოლის მომენტს, — მაშინ გამარჯვება მას დარჩება. მაშინ მეფე ვერ შესძლებს ასე აბუჩად აიგდოს კონსტიტუცია, მაშინ ბურჟუაზია ვერ მოახერხებს მორიგებას თვითმპყრობელობასთან, მაშინ რუსეთის რევოლუცია არ იქნება ისეთი დაუმთავრებელი და ნახევრადი, სამი მეოთხედით უნაყოფო მუშათა კლასისა და გლეხობისათვის, როგორც XIX საუკუნის რევოლუციები დასავლეთ ევროპაში. მაშინ ეს იქნება ნამდვილად დიდი რევოლუცია, — სახალხო აჯანყების სრული გამარჯვება გაათავისუფლებს ბურჟუაზიულ რუსეთს ყველა ძველი ხუნდებისაგან და, შესაძლოა, რომ დასაბამი მისცეს სოციალისტური რევოლუციების ეპოქას დასავლეთში.

მიისწრაფის რა სრული დემოკრატიული რევოლუციისაკენ, სოციალ-დემოკრატიამ მთელ თავის მუშაობაში ანგარიში უნდა გაუწიოს ახალი რევოლუციური აფეთქების გარდუვალობას. ჩვენ დაუნდობლად უნდა ვამხილოთ კონსტიტუციური ილუზიები, რასაც მხარს უჭერს მთავრობაც და ბურჟუაზიაც მისი ლიბერალური პარტიის — კადეტების სახით; ჩვენ უნდა მოვუწოდოთ რევოლუციურ გლეხობას შემჭიდროებისაკენ გლეხთა აჯანყების სრული გამარჯვების გულისათვის; ჩვენ უნდა განვუმარტოთ ფართო მასებს დეკემბრის პირველი აჯანყების უდიდესი მნიშვნელობა და აუცილებლობა ახალი აჯანყე-

ბისა, რომელსაც ერთადერთს შეეძლება ნამდვილად წაართვას ძალაუფლება მეფის თვითმპყრობელობას და ნამდვილად გადასცეს იგი ხალხს. ასეთი უნდა იყოს ჩვენი ტაქტიკის ძირითადი ამოცანები ახლანდელ ისტორიულ მომენტში.

ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა მივჩქმალოთ ის ფაქტი, რომ, ჩვენი ღრმა რწმენით, პარტიის გამაერთიანებელმა ყრილობამ სავსებით სწორად ვერ გაიგო ეს ამოცანები. ყრილობის სამ უმნიშვნელოვანეს რეზოლუციაში გარკვევით მჟღავნდება შემცდარი შეხედულებანი «მენშევიკების» წინანდელი ფრაქციისა, რომელიც რიცხობრივად სჭარბობდა ყრილობაზე.

აგრარულ პროგრამაში ყრილობამ პრინციპულად მიიღო «მუნიციპალიზაცია». მუნიციპალიზაცია ნიშნავს გლეხთა საკუთრებას სანადელო მიწებზე და ერობებისათვის გადაცემული მემამულეთა მიწების იჯარით აღებას გლეხების მიერ. არსებითად ეს არის რაღაც საშუალო ნამდვილ აგრარულ რევოლუციასა და კადეტურ აგრარულ რეფორმას შორის. გლეხები ასეთ გეგმას არ მიიღებენ. ისინი მოითხოვენ ან მიწის პირდაპირ დაყოფას, ანდა მთელი მიწის ხალხის საკუთრებად გადაცემას. მუნიციპალიზაცია შეიძლებოდა სერიოზული დემოკრატიული რეფორმა ყოფილიყო მხოლოდ სრული დემოკრატიული გადატრიალების შემთხვევაში, რესპუბლიკური წყობილების დროს, როდესაც მოხელეებს ხალხი ირჩევს. ჩვენც წინადადება მივეცით ყრილობას, ყოველ შემთხვევაში, მუნიციპალიზაცია ამ პირობებთან დაეკავშირებინა, — მაგრამ ყრილობამ ჩვენი წინადადება უარჰყო. ხოლო ამ პირობების გარეშე მუნიციპალიზაცია, როგორც ლიბერალურ-მოხელეური რეფორმა, გლეხებს სრულიადაც იმას არ მისცემს, რაც მათ სჭირდებათ, და ამავე დროს ახალ ძალას, ახალ გავლენას შემატებს ერობებში გაბატონებულ ბურჟუაზიულ ანტიპროლეტარულ ელემენტებს, რადგან ფაქტიურად მათ დააკისრებს მიწების ფონდის განაწილებას. ეს საკითხი ჩვენ უნდა განვუმარტოთ მუშებისა და გლეხების ფართო მასებს.

თავის რეზოლუციაში სახელმწიფო სათათბიროს შესახებ ყრილობამ სასურველად სცნო ამ სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის საპარლამენტო ფრაქციის შექმნა. ყრილობამ არ მოისურვა ანგარიში გაეწია იმ ფაქტისათვის, რომ რუსეთის შეგნებული მუშების $^{9}/_{10}$-მა, მათ შორის ყველა პოლონელმა, ლატვიელმა, ებრაელმა სოციალ-დემოკრატმა პროლეტარმა ბოიკოტი გამოუცხადა ამ სათათბიროს. ყრილობამ უარჰყო წინადადება, რომ არჩევნებში მონაწილეობის პირობა ყოფილიყო მასებში ნამდვილად ფართო აგიტაციის შესაძლებლობა. მან უარჰყო წინადადება, რომ სოციალ-დემოკრატიის საპარლამენტო ფრაქციის წევრებად ყოფილიყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც მუშათა ორგანიზაციებმა წამოაყენეს სახელმწიფო სათათბიროს კანდიდატებად. ამრიგად, ყრილობა დაადგა პარლამენტარიზმის გზას ისე, რომ პარტია იმ გარანტიებითაც კი არ დაუცავს, რომელნიც ამ მხრივ ევროპის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გამოცდილებამ გამოიმუშავა.

როგორც სოციალ-დემოკრატებმა, ჩვენ, რა თქმა უნდა, აღვიარეთ პრინციპული აუცილებლობა გამოვიყენოთ პარლამენტარიზმი როგორც პროლეტარული ბრძოლის იარაღი; მაგრამ მთელი კითხვა იმაშია, დასაშვებია თუ არა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა არსებულ პირობებში და ისეთ «პარლამენტში», როგორიც ჩვენი სათათბიროა? დასაშვებია თუ არა საპარლამენტო ფრაქციის დაარსება სოციალ-დემოკრატი პარლამენტარიების, მუშათა ორგანიზაციების მიერ არჩეული პარლამენტარიების გარეშე? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა.

ყრილობამ უარჰყო წინადადება, პარტიის ერთ-ერთ ამოცანად დაგვესახა ბრძოლა კონსტიტუციობანას თამაშთან, ბრძოლა კონსტიტუციურ ილუზიებთან. ყრილობას არ გამოუთქვამს აზრი სათათბიროში გაბატონებული «კადეტური» პარტიის ორჭოფ ბუნებაზე, პარტიისა, რომელშიც ასე ძლიერია თვითმპყრობელობასთან მორიგების, რევოლუციის დაჩლუნგებისა და შეწყვეტის მისწრაფებანი. ყრილობა მეტისმეტად აჰყვა ხალხის თავისუფლებასთან თვითმპყრობელობის

ბურჟუაზიულ შემთანხმებელთა პარტიის წუთიერი და ბჭყვრიალა წარმატების შთაბეჭდილებას.

რეზოლუციებში შეიარაღებული აჯანყების შესახებ ყრილობამ აგრეთვე არ მოგვცა ის, რაც აუცილებელი იყო: პროლეტარიატის შეცდომების პირდაპირი კრიტიკა, 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბრის გამოცდილების ნათელი შეფასება, — თუნდაც ცდა გაფიცვისა და აჯანყების თანაფარდობის შესწავლისა; ყოველივე ამის ნაცვლად რეზოლუციებში სჭარბობს რაღაც გაუბედავი თავდაძვრენა შეიარაღებული აჯანყებისაგან. ყრილობას აშკარად და ნათლად არ უთქვამს მუშათა კლასისათვის, დეკემბრის აჯანყება შეცდომა იყოო; მაგრამ ამავე დროს ფარული ფორმით ყრილობამ დაჰგმო დეკემბრის აჯანყება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გზით შეიძლება პროლეტარიატის რევოლუციური შეგნება უფრო დავაბნელოთ, ვიდრე გამოვაფხიზლოთ.

ჩვენ ვალდებული ვართ იდეურად ვიბრძოლოთ და ვიბრძოლებთ კიდეც ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, რომლებსაც ჩვენ შემცდარად ვთვლით. მაგრამ ამასთან მთელი პარტიის წინაშე ვაცხადებთ, რომ ყოველგვარი გათიშვის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ ვემხრობით ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი დამორჩილებას. ჩვენ უარვყოფთ ცენტრალური კომიტეტის ბოიკოტს, ვაფასებთ ერთად მუშაობას და ამიტომ დავთანხმდით ჩვენი თანამოაზრეების შესვლაზე ცენტრალურ კომიტეტში, თუმცა ისინი იქ უმნიშვნელო უმცირესობაში იქნებიან. ჩვენი ღრმა რწმენით, მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ერთიანი უნდა იყვნენ, მაგრამ ამ ერთიან ორგანიზაციებში ფართოდ უნდა წარმოებდეს პარტიული საკითხების თავისუფალი განხილვა, პარტიული ცხოვრების მოვლენათა თავისუფალი ამხანაგური კრიტიკა და შეფასება.

ორგანიზაციულ საკითხში ჩვენ ვერ შევთანხმდით მხოლოდ ცენტრალური ორგანოს რედაქციის უფლებათა შესახებ. ჩვენ ვიცავდით ც. კ.-ის უფლებას — დანიშნოს და შესცვალოს ცენტრალური ორგანოს რედაქცია[22]. ჩვენ ყველანი შევთანხმ-

დით დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე, ყოველგვარი უმცირესობისა და ყოველგვარი ლოიალური ოპოზიციის უფლებათა უზრუნველყოფაზე, ყოველი პარტიული ორგანიზაციის ავტონომიაზე, პარტიის ყველა თანამდებობის პირის არჩევის, ანგარიშგებისა და შეცვლის წესის აღიარებაზე. ორგანიზაციის ამ პრინციპების ნამდვილად დაცვაში, მათს გულწრფელ და თანამიმდევრობით განხორციელებაში ჩვენ ვხედავთ გათიშვათა აცილების გარანტიას, იმის გარანტიას, რომ იდეური ბრძოლა პარტიაში შეიძლება შეუთავსდეს და სავსებით უნდა შეუთავსდეს კიდეც მტკიცე ორგანიზაციულ ერთიანობას, და საერთოდ ყრილობის გადაწყვეტილებას ყველა დაემორჩილოს.

ასეთი დამორჩილებისა და ასეთი იდეური ბრძოლისაკენ მოვუწოდებთ ყველა ჩვენს თანამოაზრეს: ყრილობის გადაწყვეტილებათა ყურადღებით შეფასებისაკენ მოვუხმობთ პარტიის ყველა წევრს. რევოლუცია გვასწავლის, — და ჩვენც გვწამს, რომ მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის ბრძოლის პრაქტიკული ერთიანობა ჩვენს პარტიას დაიცავს საბედისწერო შეცდომებისაგან მომავალი პოლიტიკური კრიზისის გამწვავების დროს. საბრძოლო მომენტში თვით მოვლენები უკარნახებს მუშათა მასებს სწორ ტაქტიკას. მთელი ძალღონე მოვახმაროთ იმას, რომ ამ ტაქტიკის ჩვენმა შეფასებამ ხელი შეუწყოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანების განხორციელებას, რომ მუშათა პარტიამ არ გადაუხვიოს მტკიცე პროლეტარულ გზას მოჩვენებითი წარმატებისადმი მიდრეკილების გავლენით, რომ სოციალისტურმა პროლეტარიატმა ბოლომდე მიიყვანოს თავისი დიდი როლი თავისუფლებისათვის მოწინავე მებრძოლისა!

დაწერილია 1906 წ. 25 — 26 აპრილს (8 — 9 მაისს)

დაიბეჭდა ცალკე ფურცლად

იბეჭდება ფურცლის ტექსტის მიხედვით

მოხსენება
რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ

(წერილი პეტერბურგის მუშებს) [100]

დაწერილია 1906 წ. მაისში.

დაიბეჭდა 1906 წ. იესისში
ცალკე ბროშურად, გამომც.
«ვპერიოდი», ჟოსკოვი

იბეჭდება ბროშურის
ტექსტის მიხედვით

Н. ЛЕНИНЪ.

ДОКЛАДЪ

ОБЪ ОБЪЕДИНИТЕЛЬНОМЪ СЪѢЗДѢ РОССІЙСКОЙ СОЦІАЛЪ-ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РАБОЧЕЙ ПАРТІИ

(Письмо къ петербургскимъ рабочимъ).

Цѣна 25 коп.

МОСКВА.
1906.

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა
«ახსნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის
ვაბაერთიანებელი ყრილობის შესახებ». — 1906 წ.
დაბეჭდილია

ამხანაგებო! თქვენ მე რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის დელეგატად ამირჩიეთ. რადგან ამჟამად საშუალება არა მაქვს პირადად ჩამოვიდე პეტერბურგს, თავს ნებას მივცემ წერილობითი მოხსენება წარმოგიდგინოთ ყრილობის შესახებ და გზადაგზა ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვა ყრილობის გამო.

ვიდრე საქმეზე გადავიდოდე, ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა უნდა გავაკეთო. ყოვლად შეუძლებელია ყოველივე იმის ზუსტად დახსომება, რაც მოხდა ყრილობაზე, რომელიც 120 თუ მეტი კაცისაგან შესდგებოდა და რომელსაც დაახლოებით 30 სხდომა ჰქონდა. რადგან როგორც ერთ-ერთი თავმჯდომარე მუშაობას ვეწეოდი ყრილობის ბიუროში და, გარდა ამისა, ზოგიერთ კომისიაში ვმონაწილეობდი, ყრილობის დროს არ შემეძლო ჩაწერა მეწარმოებინა. უჩანაწერებოდ მთლიანად საკუთარ მეხსიერებაზე დაყრდნობა შეუძლებელია. მთელი რიგი ცალკეული ეპიზოდები და ცალკეული სიტყვები ყრილობაზე მე სრულიად არ მომისმენია, რადგან სხდომის დარბაზში არ ვიყავი კომისიაში მუშაობისა ან შემთხვევითი და პირადი მიზეზების გამო. წინანდელი ყრილობების (II და III) გამოცდილებამ, სადაც დელეგატთა რიცხვი ნაკლები იყო, დამანახვა, რომ დაძაბული ყურადღების დროსაც კი ყოვლად შეუძლებელია მეხსიერებით აღადგინო ყრილობის ზუსტი სურათი. როცა II და III ყრილობის ოქმები გამოდიოდა, მე ამ ოქმებს ისე ვკითხულობდი, როგორც ახალ წიგნებს, თუმცა თვითონ ვიღებდი მონაწილეობას ყრილობაში; ეს წიგნები, მართლაც, მრავალ ახალ რასმე მაწვდიდნენ და მაიძულებდნენ გამესწორებინა ყრილობიდან მი-

ღებული მთელი რიგი არაზუსტი ან არასრული პირადი შთაბეჭდილებანი. ამიტომ ძალიან გთხოვთ მხედველობაში იქონიოთ, რომ ეს წერილი მხოლოდ შავად მონასახია მოხსენებისა, რომელსაც, ყოველ შემთხვევაში, ყრილობის ოქმების მიხედვით შესწორება სჭირდება.

I

ყრილობის შემადგენლობა

დავიწყებ ყრილობის საერთო შემადგენლობით. როგორც მოგეხსენებათ, პარტიის ყოველ 300 წევრზე ირჩევდნენ ერთ დელეგატს გადამწყვეტი ხმით. ასეთი დელეგატი სულ იყო დაახლოებით 110 — ყრილობის დასაწყისში, მგონი, ცოტათი ნაკლები (ჯერ ყველა არ ჩამოსულიყო); ყრილობის ბოლოს კი თითქმის 113-მდე. სათათბირო ხმით იყვნენ ცენტრალური ორგანოს 5 რედაქტორი (3 «უმცირესობისაგან» და 2 «უმრავლესობისაგან», ვინაიდან მე თქვენგან მანდატი მივიღე გადამწყვეტი ხმით) და, თუ არ ვცდები, ხუთი წევრი გაერთიანებული ც. კ-ისა. გარდა ამისა სათათბირო ხმით იყვნენ ორგანიზაციების ისეთი დელეგატები, რომელთაც გადამწყვეტი ხმა არ მიეცათ, და ზოგიერთნი საგანგებოდ მიწვეულნი ყრილობაზე («აგრარული კომისიის» ორი წევრი, შემდეგ პლეხანოვი და აქსელროდი, მერე ამხ. აკიმოვი და ზოგიერთი სხვ.). სათათბირო ხმით იყვნენ აგრეთვე იმ დიდი ორგანიზაციების ზოგიერთი დელეგატი, რომელთაც 900-ზე მეტი მუშა ჰყავდათ (პიტერიდან, მოსკოვიდან, სამხრეთის საოლქო ორგანიზაციიდან და სხვ.). ბოლოს, სათათბირო ხმით იყვნენ ნაციონალურ ს.-დ. პარტიათა წარმომადგენლები: სამი — პოლონეთის სოციალ-დემოკრატიისაგან, სამ-სამი — ლატვიისა და ებრაელთა სოციალ-დემოკრატიისაგან (ბუნდი), ერთი — უკრაინის ს.-დ. მუშათა პარტიისაგან (თურმე, ეს სახელწოდება მიუღია თავის უკანასკნელ კონფერენციაზე უკრაინის რევოლუციურ პარტიას [40]). სულ 30 კაცი, თუ ცოტათი მეტი, სათათბირო ხმით. მაშასადამე, სულ იყო არა 120, არამედ 140-ზე მეტი კაცი.

თავისი «მიმართულებით» ტაქტიკური პლატფორმის მხრივ ანდა, თუ გნებავთ, თავისი ფრაქციული პოზიციის მხრივ გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატები დაახლოებით ასე ნაწილდებოდნენ: 62 მენშევიკი და 46 ბოლშევიკი. ყოველ შემთხვევაში, ყრილობის მრავალრიცხოვან «ფრაქციულ» კენჭისყრათაგან ეს ციფრები ყველაზე მეტად დამახსოვდა. დელეგატთა ნაწილი, რა თქმა უნდა, გამოურკვეველი მიმართულებისა იყო, ანდა მერყეობდა ზოგიერთ საკითხში, — საპარლამენტო ენით რომ ვთქვათ, ეგრეთწოდებული «ცენტრი» ანუ «ჭაობი». ყრილობაზე ეს «ცენტრი» განსაკუთრებით სუსტი იყო, თუმცა ზოგიერთი ამხანაგთაგანი, რომელთაც მე, კენჭისყრათა მიხედვით, მენშევიკებს ვაკუთვნებდი, პრეტენზიას აცხადებდნენ «შემარიგებლების» ანუ «ცენტრის» სახელწოდებაზე. ყრილობის ცოტად თუ ბევრად სერიოზულ კენჭისყრათაგან მე მახსოვს მხოლოდ ერთი (კენჭისყრა პარტიასთან ბუნდის შეერთების საკითხის გამო), როდესაც ამ «მენშევიკ-შემარიგებლებმა» მართლაც არა ფრაქციულად მისცეს ხმა. ამ კენჭისყრაზე, როდესაც სავსებით ფრაქციული მენშევიკები დამარცხდნენ, რამდენადაც მახსოვს, 59 ხმის უმეტესობით, დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ.

ამრიგად, 62 და 46. ყრილობა მენშევიკური იყო. მენშევიკებს მტკიცე და უზრუნველყოფილი უმრავლესობა ჰყავდათ, რაც მათ საშუალებას აძლევდა წინასწარ მოლაპარაკებულიყვნენ და ამნაირად წინასწარვე გადაეწყვიტათ ყრილობის დადგენილებანი. განსაზღვრული კომპაქტური უმრავლესობის არსებობის დროს ეს კერძო შეთანხმებანი ფრაქციულ კრებებზე, არსებითად, სავსებით ბუნებრივია, და, როდესაც ზოგიერთი დელეგატი, განსაკუთრებით ეგრეთწოდებული ცენტრიდან, ამას უჩიოდა, დელეგატებთან საუბარში მე ამას ვუწოდებდი «ცენტრის ჩიეილს თავის საკუთარ სისუსტეზე». შეეცადნენ ფრაქციული კრებების საკითხი დაესვათ ყრილობაზე, მაგრამ იგი მოხსნილ იქნა, რადგან ფაქტიურად აღმოჩნდა, რომ ფრაქციები სულ ერთია შემჭიდროებული იყვნენ, შესაძლებელი გახდა ფრაქციულ კრებებზე გარეშეთა

დაშვებაც, ამ კრებების «ღია» კრებებად გადაქცევა. ყრილობის დასასრულს, მაგალითად, ც. კ.-ის შემადგენლობის საკითხი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არსებითად გადაწყდა არა ყრილობაზე არჩევით, არამედ ფრაქციათა უბრალო «შეთანხმებით». არ დავიწყებ ამ მოვლენის შეფასებას. ჩემი აზრით, მის გამო სინანული უსარგებლოა, რადგან იგი სავსებით აუცილებელი იყო, ვიდრე ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ძველი ფრაქციული დაყოფანი.

ფრაქციათა შიგნით შინაური სხვადასხვაობის შესახებ მოგახსენებთ, რომ ასეთი რამ თვალსაჩინოდ გამომჟღავნდა მხოლოდ აგრარულ საკითხში (მენშევიკების ნაწილი მუნიციპალიზაციის წინააღმდეგი იყო, ბოლშევიკები კი იყოფოდნენ «როკოვისტებად», დაყოფის მომხრეებად და კონფისკაციისა და ნაციონალიზაციის მომხრეებად, თუ რესპუბლიკა იქნებაო) და ბუნდთან შეერთების საკითხში. შემდეგ, თვალში გეცემოდათ ის გარემოება, რომ მენშევიკთა შორის სრულიად არ ყოფილა ის მიმართულება, რომელმაც მკაფიოდ იჩინა თავი «ნაჩალოში» და რომელსაც პარტიაში ჩვეულებისამებრ ამხ. ამხ. პარვუსისა და ტროცკის სახელებს უკავშირებდნენ. მართალია, ისიც შესაძლებელია, რომ მენშევიკთა შორის «პარვუსისტები» და «ტროცკისტები» იყვნენ, — მაგალითად, მარწმუნებდნენ, რომ მათი რიცხვი 8-მდე აღწევდა, — მაგრამ, დროებითი რევოლუციური მთავრობის საკითხის მოხსნის გამო, მათ ვერ შესძლეს თავის გამოჩენა. მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ რაკი მენშევიკებმა ყრილობაზე საერთოდ პირი იბრუნეს პლეხანოვისაკენ, რომლის «დნევნიკსაც» ისინი ყრილობამდე არ ეთანხმებოდნენ, «პარვუსისტებმაც» ერთგვარი ნაბიჯი გადადგეს მარჯვნივ. მე მხოლოდ ერთი ეპიზოდი მაგონდება, როდესაც, შესაძლებელია, მენშევიკებს შორის «პარვუსისტებმა» ყველა მენშევიკი აიძულეს ცოტათი შებრუნებულიყვნენ. ეს იყო სახელდობრ ინციდენტი შეიარაღებული აჯანყების საკითხის გამო. პლეხანოვმა, კომისიის მეთაურმა, ძველი მენშევიკური რეზოლუცია შესცვალა და «ძალაუფლების გამოგლეჯის» ნაცვლად (რეზოლუციის ამ

ადგილას ლაპარაკი იყო მოძრაობის ამოცანებზე) დაწერა: «ძალით გამოვგლიჯოთ უფლებები» (თუ «უფლებები მოვიპოვოთ» — ზუსტად აღარ მახსოვს). ამ შესწორების ოპორტუნიზმი იმდენად აშკარა იყო, რომ ყრილობაზე მეტად მხურვალე პროტესტები გაისმოდა. ჩვენ გაორკეცებული ძალით დავესხით თავს შესწორებას. მენშევიკთა რიგები შედრკა. ზუსტად არ ვიცი, იყო თუ არა ფრაქციული კრებები, და რა მოხდა ამ კრებებზე; არ ვიცი, მართალია თუ არა ის ცნობა, რომელიც მე გადმომცეს: ათმა მენშევიკმა, რომელნიც «პარვუსიზმისაკენ» იხრებოდნენ, განაცხადეს, გადაჭრით წინააღმდეგი ვართ შესწორებისაო. ფაქტი ისაა, რომ ყრილობაზე კამათის შემდეგ პლეხანოვმა თვითონვე მოხსნა შესწორება და საკითხი კენჭისყრამდე არ მიუყვანია, მოხსნა იმ (შეიძლება, დიპლომატიურად ოსტატური, მაგრამ ღიმილის გამომწვევი) საბაბით, რომ «სტილისტიკის» გულისათვის არ ღირს ამდენი დავაო.

დასასრულ, ყრილობის შემადგენლობის საკითხი რომ მოვათავო, შევეხები კიდევ სამანდატო კომისიას (ყრილობის შემადგენლობის შემმოწმებელ კომისიას). სამანდატო კომისია ორი იყო, რადგან პირველი, ყრილობის მიერ არჩეული, მთლიანად გადადგა[102]. ეს ფაქტი არაჩვეულებრივი, წინანდელ ყრილობებზე გაუგონარი რამ არის. იგი ყოველ შემთხვევაში მოწმობს, რომ ყრილობის შემადგენლობის შემმოწმებელ მუშაობაში რაღაც დიდად არანორმალური ამბავი მოხდა. მახსოვს, პირველი კომისიის თავმჯდომარედ შემარიგებელი იყო, რომელიც თავდაპირველად ნდობას იწვევდა ჩვენი ფრაქციის მხრივაც. თუ მან ერთ მთელად ვერ შეაკავშირა თავისი კომისია, თუ მას მთელ პირველ კომისიასთან ერთად გადადგომა მოუხდა, მაშასადამე, შემარიგებელმა ვერ შესძლო შერიგება. სამანდატო კომისიის მოხსენებათა გამო ყრილობაზე გაჩაღებული ბრძოლის დეტალები ყველაზე მეტად გამომეპარა მხედველობიდან. ბრძოლა ხშირად ძალიან ცხარე იყო, ბოლშევიკების მანდატებს აუქმებდნენ, ვნებათა ღელვა ძლიერდებოდა; პირველი კომისიის გადადგომის დროს საქმე

ვნებათა აფეთქებამდე მივიდა, — მაგრამ მე სწორედ ამ დროს არ ვყოფილვარ სხდომის დარბაზში. დამახსოვდა კიდევ ერთი, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი ფაქტი, დაკავშირებული ყრილობის შემადგენლობის გარკვევასთან. ეს იყო თბილისელი მუშების (რიცხვით, მგონი, 200-მდე) პროტესტი თბილისის დელეგაციის უფლებამოსილების წინააღმდეგ, დელეგაციისა, რომელიც თითქმის მთლად მენშევიკური იყო და რიცხობრივადაც დიდად გამოირჩეოდა. — მგონი, 11 კაცამდე აღწევდა. ეს პროტესტი წაკითხულ იქნა ყრილობაზე და, მაშასადამე, ოქმებშიც უნდა იყოს [108].

სამანდატო კომისიათა ნამუშევარიც შეტანილი უნდა იყოს ოქმებში, თუ კი ამ კომისიებმა რაოდენადმე მაინც ყურადღებით შეასრულეს თავისი სამუშაო და შეადგინეს ნამდვილი ანგარიში უფლებამოსილებათა შემოწმებისა და ყრილობის დელეგატთა ყველა არჩევნების შესახებ. გაკეთდება თუ არა ეს, გამოქვეყნდება თუ არა ანგარიში ოქმებში, არ ვიცი. თუ არა, მაშინ ეჭვს გარეშე იქნება, რომ კომისიები თავის ამოცანას სათანადო ყურადღებითა და გულმოდგინებით ვერ მოპყრობიან. თუ გამოქვეყნდება,—შეიძლება ზემო ნათქვამში ბევრი რამის შესწორება მომიხდეს, რადგან ასეთ არა პრინციპულ, არამედ წმინდა კონკრეტულ და საქმიან საკითხში განსაკუთრებით ადვილია შეცდე ზოგად შთაბეჭდილებათა შედგენის დროს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოკუმენტების ყურადღებით შესწავლა.

სხვათა შორის, ყველა ფორმალური საკითხი რომ ამოვწურო და რაც შეიძლება მალე გადავიდე უფრო საინტერესო პრინციპულ საკითხებზე, ვიტყვი ოქმებზედაც. ვშიშობ, რომ ამ მხრივაც ჩვენი ყრილობა როგორც მეორე, ისე მესამე ყრილობაზე უარესი გამოდგება. ორივე ამ ყრილობაზე ოქმები მთლიანად დაამტკიცა ყრილობამ. გამაერთიანებელ ყრილობაზე პირველად იჩინა თავი მდივნების მხრივ თავიანთი მოვალეობის ისეთმა შეუსრულებლობამ, ყრილობის დამთავრების ისეთმა აჩქარებამ (მიუხედავად იმისა, რომ ყრილობის დღის წესრიგიდან მოხსნილ იქნა მთელი რიგი დიდად

მნიშვნელოვანი საკითხები), რომ ყრილობაზე ყველა ოქმი არ ყოფილა დამტკიცებული. საოქმო კომისია (2 მენშევიკი და 2 ბოლშევიკი) ამ ყრილობიდან გამოდის გაუგონრად ფართო და ბუნდოვანი უფლებებით: დაამტკიცოს დაუმთავრებელი ოქმები. უთანხმოებათა შემთხვევაში მან უნდა მიმართოს ყრილობის იმ დელეგატებს, რომლებიც პიტერში იმყოფებიან. ყოველივე ეს მეტად სამწუხაროა. ვშიშობ, რომ ჩვენ ვერ მივიღებთ ისეთ კარგ ოქმებს, როგორიც იყო II და III ყრილობების ოქმები. მართალია, ორი სტენოგრაფისტი გვყავდა და ზოგიერთი სიტყვა თითქმის მთლიანად იქნება გადმოცემული და არა კონსპექტების სახით, როგორც წინათ, — მაგრამ ყრილობაზე გამართული კამათის სრული სტენოგრამის შესახებ ლაპარაკიც კი შეუძლებელია, რადგან ასეთი სამუშაო აბსოლუტურად აღემატებოდა ორი სტენოგრაფისტის ძალღონეს, როგორც მათ არაერთხელ განუცხადეს კიდეც ეს ყრილობას. მე, როგორც თავმჯდომარე, განსაკუთრებით მოვითხოვდი, რომ მდივნებს რადაც უნდა დასჯდომოდათ, თუნდაც ძალიან მოკლე, მაგრამ კარგი კონსპექტები მოეცათ: დაე, ცალკეული სიტყვების სტენოგრამა ოქმების მდიდრული დამატება იყოს, მაგრამ საჭიროა გვქონდეს საფუძველი, რომ არა ცალკეული სიტყვები, არამედ გამოუკლებლივ მთელი კამათი გვქონდეს თუნდაც კონსპექტების სახით-მეთქი [104].

II

ბიუროს არჩევა. ყრილობის დღის წესრიგი

ახლა გადავალ ყრილობის მუშაობის გადმოცემაზე სხდომათა მიხედვით. კენჭისყრა ბიუროს არჩევის შესახებ პირველი კენჭისყრა იყო, რომელიც, არსებითად, წინასწარ სწყვეტდა (რა რიგ უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოთ ეს საქმისაგან შორს მდგომ პირთ) ყრილობის ყველა უმნიშვნელოვანეს კენჭისყრას. დაახლოებით 60 (თითქმის 58, თუ მეხსიერება არ მღალატობს) ხმა მიიღეს პლეხანოვმა და დანმა და ხშირად მესამე კანდიდატის ადგილს ბარათებში ცარიელს სტოვებდნენ. 40-ზე მეტი

თუ დაახლოებით 40 ხმა მე მივიღე. შემდეგ «ცენტრმაც» იჩინა თავი: ათი თუ თხუთმეტიოდე ხმა მიუმატა ხან ერთს, ხან მეორე კანდიდატს. გავიდნენ: პლეხანოვი, მგონი, 69 (თუ 71?) ხმით, დანი — 67 და მე — 60 ხმით.

ყრილობის დღის წესრიგის საკითხზე კამათმა ორჯერ მიიღო საინტერესო ხასიათი და დიდი ნათელი მოჰფინა ყრილობის შემადგენლობასა და ხასიათს. ეს იყო, ჯერ ერთი, კამათი იმის შესახებ, პირველ ადგილას დაგვეყენებინა თუ არა ნაციონალურ ს.-დ. პარტიებთან შეერთების საკითხი. ნაციონალურ პარტიებს, რა თქმა უნდა, ეს სურდათ. ჩვენც ამის მომხრენი ვიყავით. მენშევიკებმა ეს ჩაშალეს შემდეგი მოტივით: დაე, ჯერ რსდმ პარტია თვითგამოირკვეს და სხვებს მერე შეუერთდეს, დაე ჯერ თვითონ «ჩვენ» გამოვარკვიოთ რ ა ნ ი ვართ «ჩ ვ ე ნ» და «მათ» მერე შევუერთდეთო. ამ (ფსიქოლოგიურად საეჭვებით გასაგებ და ფრაქციულ-მენშევიკური თვალსაზრისით მართებულ) საბუთზე ჩვენ ვუპასუხებდით: განა უცნაური არ არის ნაციონალურ პარტიებს უარი ვუთხრათ ჩვენთან ე რ თ ა დ თვითგამორკვევის უფლებაზე? თუ «ისინი» «ჩვენ» გვიერთდებიან, მაშინ «ჩვენ» ერთად, მათი ჩათვლით, გამოვარკვევთ და უნდა გამოვარკვიოთ, რ ა ნ ი ვართ «ჩვენ». ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის შესახებ გაერთიანებულმა ც. კ.-მა ჯერ კიდევ ყრილობამდე დასდო ხელშეკრულება სრული შეერთების შესახებ. მიუხედავად ამისა ამ საკითხის პირველ ადგილას დასმა ჩაშალეს. ამხანაგი ვარშავსკი, პოლონეთის დელეგაციის წევრი, ამის საწინააღმდეგოდ იმდენად გულახდილად ლაპარაკობდა, რომ, მიმართა რა მენშევიკებს, წამოიძახა კიდეც, რამაც ყრილობის საერთო ღიმილი გამოიწვია: თქვენ გინდათ ჯერ «შეჭამოთ» ბოლშევიკები ან «ყელი გამოიღადროთ» მათ, შემდეგ კი ჩვენ შემოგვიერთდეთო! ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო, და მე ძალიან ნაკლებად მჩვევია «საშინელ სიტყვებს», მაგალითად, სიტყვა «შეჭმას» გამოვუდგე, მაგრამ ამ ხუმრობამ რელიეფურად გამოხატა ორიგინალური პოლიტიკური სიტუაციის მეტად მოსწრებული შეფასება.

მეორე საინტერესო დავა იყო იმაზე, შეგვეტანა თუ არა ყრილობის დღის წესრიგში ჩვენი რევოლუციის თანამედროვე მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების საკითხი. ჩვენ, ბოლშევიკები, თანახმად «პარტიინიე იზვესტიას» მეორე ნომერში დაბეჭდილი ჩვენი განცხადებისა, რა თქმა უნდა, ამის მომხრენი ვიყავით *. პრინციპული თვალსაზრისით ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა იმაზე, რომ გვერდი აგვეხვია ძირითადი საკითხისათვის: რევოლუცია მართლა აღმავლობისაკენ მიდის თუ არა, და, მომენტის ობიექტური პირობების გამო, რევოლუციური მოძრაობის რომელი ფორმებია ამჟამად მთავარი, პროლეტარიატის რა ამოცანები გამომდინარეობს აქედან. მენშევიკები დავობდნენ საერთოდ ამ საკითხის ყრილობის დღის წესრიგში შეტანის წინააღმდეგ და ისეთ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, როგორიც ძნელად თუ ვისმე შეშურდება. მათი საბუთები, რომ ეს თეორიული საკითხია, რომ არ შეიძლება პარტიის შებოჭვა რეზოლუციებით ამგვარ საკითხებზე და ა. შ., პირდაპირ გასაოცარი იყო როგორც ხელოვნური და განგებ შეთხზული. ატყდა სიცილი, როდესაც, მგონი, თვით დანის სიტყვის პასუხად, რომელიც თავგამოდებით ილაშქრებდა დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის წინააღმდეგ, ერთ-ერთმა ორატორმა ამოიღო «პარტიინიე იზვესტიას» მე-2 ნომერი და მშვიდად წაიკითხა მენშევიკური ტაქტიკური პლატფორმის «საბედისწერო სიტყვები»: «ჩვენ» — სწორედ ჩვენ, მენშევიკები,— «ჩვენ აღვიარებთ და წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ს ვ ა ძ ლ ე ვ თ ყ რ ი ლ ო ბ ა ს ა ღ ი ა რ ო ს». ეს როგორ არის, ამხანაგებო? — ეკითხებოდა ორატორი. გუშინ «ჩვენ წინადადებას ვაძლევდით ყრილობას ეღიარებინა», ხოლო დღეს «წინადადებას ვაძლევთ ყრილობას» არ განიხილოს ეს საკითხი? საკითხი დასმული იყო ყრილობის დღის წესრიგში, მაგრამ მენშევიკებმა შემდეგში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მაინც თავისი გაიტანეს.

* იხ. ეს ტომი, გვ. 105. რ ე დ.

III

აგრარული საკითხი

აგრარული საკითხი ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, აგრარული პროგრამის საკითხი, ყრილობამ პირველ რიგში დააყენა. კამათი დიდი იყო. მრავალი უაღრესად საინტერესო პრინციპული საკითხი წამოიჭრა. მომხსენებელი ხუთი იყო: მე ვიცავდი აგრარული კომისიის პროექტს (დაბეჭდილია ბროშურაში: «მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა») და თავს ვესხმოდი მასლოვის მუნიციპალიზაციას. ამხ. ჯონი ამ უკანასკნელს იცავდა. მესამე მომხსენებელი, პლეხანოვი, მასლოვს იცავდა და ცდილობდა დაერწმუნებინა ყრილობა, ლენინის ნაციონალიზაცია — ესერობა და ნაროდოვოლცობა

რა შეადგენს «მუნიციპალიზაციის» დედაარსს? მემამულეთა მიწების (ან უფრო ზუსტად: მთელი მსხვილი კერძომფლობელობითი მიწების) გადაცემა ერობების ანდა საერთოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელში. გლეხთა სანადელო მიწები და წვრილ მესაკუთრეთა მიწები მათ საკუთრებად უნდა დარჩეს. მსხვილი მამულების «განსხვისება» ხდება და ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიულად მოწყობილი ორგანოების მფლობელობაში გადადის. ეს უბრალოდ ასე შეიძლება გამოითქვას: გლეხთა მიწები დაე გლეხთა საკუთრებად დარჩეს, ხოლო მემამულეთა მიწები გლეხებმა იჯარით აიღონ ერობებისაგან, ოღონდ დემოკრატიული ერობებისაგანაო.

როგორც პირველმა მომხსენებელმა, მე გადაჭრით გავილაშქრე ამ პროექტის წინააღმდეგ: იგი რევოლუციური არ არის. მას გლეხები არ დაეთანხმებიან. იგი მავნებელია, თუ კი არ არსებობს სავსებით თანამიმდევარი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილება, თუ კი არ არსებობს რესპუბლიკა, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევა, თუ მოსპობილი არ არის მუდმივი არმია და სხვ.. ასეთი იყო ჩემი სამი მთავარი საბუთი.

ეს პროექტი მე რევოლუციურად არ მიმაჩნია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მასში კონფისკაციის (განსხვისება გამოუყიდველად) მაგივრად ლაპარაკი იყო საერთოდ განსხვისებაზე; მეორე, და ეს მთავარია, იმიტომ, რომ ამ პროექტში არ არის აგრარული გადატრიალების რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ განხორციელებისადმი მოწოდება. ფრაზები დემოკრატიზმის შესახებ ჯერ კიდევ სრულიად არაფერს არ გვეუბნება ისეთ დროს, როდესაც თვითმპყრობელობისა და ხალხის პირმოთნე შემთანხმებლები, კადეტები, თავიანთ თავს დემოკრატებს უწოდებენ. აგრარული გადატრიალების ყოველგვარი საშუალება ლიბერალურ-მოხელურ რ ე ფ ო რ მ ა დ, კადეტურ რეფორმად გადაიქცევა და არა გლეხთა რევოლუციად, თუ ლოზუნგად არ წამოვაყენეთ თვით გლეხთა მიერ მიწების დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ ხელში ჩაგდება ახლავე ადგილობრივ, ე. ი.

სახელდობრ გლეხთა რევოლუციური კომიტეტების მიერ, ისე, რომ გლეხები თვითონვე გ ა ნ ა გ ე ბ დ ნ ე ნ ამ ხელში ჩაგდებულ * მიწებს სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. უამლოზუნგოდ ჩვენ გვექნება პროგრამა კადეტური ან ნახევრადკადეტური აგრარული რეფორმისა და არა გლეხთა რევოლუციისა.

შემდეგ. მუნიციპალიზაციას გლეხები არ დაეთანხმებიან. მუნიციპალიზაცია ნიშნავს: სანადელო მიწები მუქთად წაიღე, მემამულეთა მიწებისთვის კი იჯარა აძლიე ერობასაო. რევოლუციური გლეხები ამას არ დასთანხმდებიან. გლეხები იტყვიან: ან მთელი მიწები ერთმანეთს შორის გავიყოთ, ანდა მთელი მიწები მთელი ხალხის საკუთრებად ვაქციოთო. მუნიციპალიზაციის ლოზუნგი ვერასოდეს ვერ გახდება რევოლუციური გლეხობის ლოზუნგად. თუ რევოლუციამ გაიმარჯვა, — მაშინ იგი ვ ე რ ა ვ ი თ ა რ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ვერ შეჩერდება მუნიციპალიზაციაზე. თუ რევოლუციამ ვერ გაიმარჯვა, — მაშინ «მუნიციპალიზაციიდან» მხოლოდ 1861 წლის რეფორმის ტიპის მსგავსი გლეხთა ხელახალი მოტყუება გამოვა.

მესამე ჩემი ძირითადი საბუთი. მუნიციპალიზაცია მავნებელია, თუ მას შევაპირობებთ საერთოდ «დემოკრატიზმით» და არა სპეციალურად რესპუბლიკით და ხალხის მიერ მოხელეთა არჩევით. მუნიციპალიზაცია არის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის, თვითმმართველობის ორგანოებისათვის მიწების გადაცემა. თუ ცენტრალური ხელისუფლება ს ა ვ ს ე-

* ჩემს პროექტში ნათქვამია «კონფისკაციაქმნილ». ამხ. ბორისოვმა სწორად შენიშნა, ეს შემცდარი ფორმულირებაა. უნდა ითქვას: «ხელში ჩაგდებულ». კონფისკაცია არის ხელში ჩაგდების იურიდიული აღიარება, კანონით მისი დამტკიცება. ჩვენ უნდა წამოვაყენოთ კონფისკაციის ლოზუნგი. მის განსახორციელებლად ჩვენ უნდა მოვუწოდოთ გლეხებს ხ ე ლ შ ი ჩ ა გ დ ე ბ ი ს ა კ ე ნ. გლეხთა მიერ ეს ხელში ჩაგდება უნდა აღიაროს, დაკანონოს სრულიად სახალხო დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც, როგორც ხალხის თვითმპყრობელობის უმაღლესი ორგანო, ხელში ჩაგდებას კონფისკაციად გახდის იმ კანონის საფუძველზე, რასაც დამფუძნებელი კრება გამოსცემს.

ბ ი თ დემოკრატიული (რესპუბლიკა და სხვ.) არ იქნება, მაშინ ადგილობრივი ხელისუფლებანი შესძლებენ დარჩნენ «ავტონომიურნი» მხოლოდ წვრილმანებში, დამოუკიდებელნი მხოლოდ პირისაბანთა მოკალვის საკითხში, «დემოკრატიულნი» მხოლოდ იმდენად, რამდენადაც «დემოკრატიულნი» იყვნენ, ვთქვათ, ჩვენი ერობები ალექსანდრე III-ის დროს. ხოლო მნიშვნელოვან საკითხებში, განსაკუთრებით კი ისეთ ძირითად საკითხში, როგორიცაა მემამულეთა მიწათმფლობელობა, ადგილობრივ ხელისუფალთა დემოკრატიზმი არადემოკრატიული ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ,—სათამაშო საგანი იქნება. თუ არ არსებობს რესპუბლიკა და ხალხის მიერ მოხელეთა არჩევა, მუნიციპალიზაცია ნიშნავს: მემამულეთა მიწები გადაეცეს ადგილობრივ არჩეულ ხელისუფალთ, თუნდაც ცენტრალური ხელისუფლება კვლავ ტრეპოვსა და დუბასოვს ეკუთვნოდეს. ასეთი რეფორმა სათამაშო და მავნებელი სათამაშო იქნება, რადგან ტრეპოვები და დუბასოვები ადგილობრივ არჩეულ ხელისუფალთ დაუტოვებენ წყალსადენის, ტრამვაისა და სხვ. მოწყობის უფლებას, მაგრამ ვერასოდეს ვ ე რ შ ე ს ძ ლ ე ბ ე ნ დაუტოვონ მათ მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწები. ტრეპოვები და დუბასოვები ამ მიწებს მაშინ ერობათა «უწყებიდან» შინაგან საქმეთა სამინისტროს «უწყებაში» გ ა დ ა რ ი ც ხ ა ვ ე ნ, და გლეხები სამმაგად გაბრიყვებული დარჩებიან. უნდა მოვუწოდებდეთ ტრეპოვებისა და დუბასოვების დამხობისაკენ, ყველა მოხელის ხალხის მიერ არჩევისაკენ, და არა, ამის მაგივრად და მანამდე, რაღაც ლიბერალური ადგილობრივი რეფორმის სათამაშო მოდელებს ვხატავდეთ.

როგორიღა იყო პლეხანოვის საბუთები მუნიციპალიზაციის დასაცავად? თავის ორივე სიტყვაში იგი ყველაზე მეტად აყენებდა რ ე ს ტ ა ვ რ ა ც ი ი ს ა ც ი ლ ე ბ ი ს გ ა რ ა ნ ტ ი ი ს საკითხს. ეს ორიგინალური საბუთი შემდეგში მდგომარეობდა. მიწის ნაციონალიზაცია პეტრეს წინადროინდელი ეპოქის მოსკოვის რუსეთის ეკონომიური საფუძველი იყო. ახლანდელი

ჩვენი რევოლუცია, როგორც ყველა სხვა რევოლუცია, რესტავრაციის აცილების გარანტიას არ შეიცავს. ამიტომ რესტავრაციის (ე. ი. ძველი, რევოლუციამდელი წესწყობილების აღდგენის) თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებით სწორედ ნაციონალიზაციას უნდა ვერიდოთ.

პლეხანოვის ეს საბუთი მენშევიკებს მეტისმეტად დამაჯერებლად მოეჩვენათ და ისინი პლეხანოვს, განსაკუთრებით ნაციონალიზაციის მიმართ «მაგარი სიტყვებისათვის» (ესერობა და სხვ.), აღტაცებით ტაშს უკრავდნენ. ნამდვილად კი, თუ ოდნავ მაინც ჩავუფიქრდებით, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ეს საბუთი წმინდა წყლის სოფისტიკაა.

მართლაც, შეხედეთ ერთი ჯერ ამ «პეტრეს წინადროინდელი, მოსკოვის რუსეთის ნაციონალიზაციას». აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ პლეხანოვის ისტორიული შეხედულებანი მოსკოვის რუსეთზე ლიბერალურ-ნაროდნიკული შეხედულებების გადამლაშებაა. პეტრეს წინადროინდელ რუსეთში მიწის ნაციონალიზაციაზე სერიოზულად ლაპარაკი არც შეიძლება, — დავიმოწმოთ თუნდაც კლუჩევსკი, ეფიმენკო და სხვანი. მაგრამ თავი დავანებოთ ამ ისტორიულ კვლევა-ძიებას. ერთი წუთით დავუშვათ, რომ მოსკოვის, პეტრეს წინადროინდელ რუსეთში, XVII საუკუნეში, მართლაც არსებობდა მიწის ნაციონალიზაცია. რა გამომდინარეობს აქედან? პლეხანოვის ლოგიკით აქედან ის გამომდინარეობს, რომ ნაციონალიზაციის შემოღება მოსკოვის რუსეთის რესტავრაციის გაადვილებას ნიშნავს. მაგრამ ასეთი ლოგიკა სწორედ რომ სოფიზმია და არა ლოგიკა, ანდა სიტყვების თამაშია, მოკლებული მოვლენათა ეკონომიური საფუძვლის ან ცნებათა ეკონომიური შინაარსის ანალიზს. რამდენადაც მოსკოვის რუსეთში იყო (ან: თუ მოსკოვის რუსეთში იყო) მიწის ნაციონალიზაცია, იმდენად მის ეკონომიურ საფუძველს წარმოების აზიური წესი წარმოადგენდა. ნამდვილად კი რუსეთში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან განმტკიცდა, ხოლო XX საუკუნეში უკვე უეჭველად გაბატონდა წარმოების კაპიტალისტური

წ ე ს ი. რაღა რჩება პლეხანოვის საბუთისაგან? მან წარმოების აზიურ წესზე დამყარებული ნაციონალიზაცია და წარმოების კაპიტალისტურ წესზე დამყარებული ნაციონალიზაცია ერთმანეთში აურია. სიტყვების იგივეობის გამო მას გამოეპარა ეკონომიური, სახელდობრ საწარმოო, ურთიერთობის ძირითადი განსხვავება. ამყარებდა რა თავის არგუმენტაციას მოსკოვის რუსეთის რესტავრაციაზე (ე. ი. ვითომდა წარმოების აზიური წესების რესტავრაციაზე), იგი ნამდვილად ლაპარაკობდა პოლიტიკურ რესტავრაციაზე, მსგავსად ბურბონების რესტავრაციისა (რაზედაც იგი მიუთითებდა), ე. ი. მართვა-გამგეობის ანტირესპუბლიკური ფორმის რესტავრაციაზე წარმოების კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნიადაგზე.

მიუთითეს თუ არა ყრილობაზე პლეხანოვს, რომ იგი დაიბნა? მიუთითეს. ამხანაგმა, რომელსაც ყრილობაზე დემიანს [108] უწოდებდნენ, თავის სიტყვაში თქვა, პლეხანოვს სრულიად არა გამოუვიდა რა იმ «რესტავრაციიდან», რომლითაც მას ჩვენი შეშინება უნდოდაო. მისი არგუმენტაციის წანამძღვართაგან გამომდინარეობს მოსკოვის რუსეთის რესტავრაცია, ე. ი. წარმოების აზიური წესის რესტავრაცია, ე. ი. წმინდა წყლის უაზრობა კაპიტალიზმის ეპოქაში. მისი დასკვნებიდან და მაგალითებიდან კი გამომდინარეობს ნაპოლეონის მიერ იმპერიის რესტავრაცია ანდა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ბურბონების რესტავრაცია. მაგრამ ამგვარ რესტავრაციას საერთო არაფერი ჰქონდა წარმოების წინაკაპიტალისტურ წესებთან. ეს ერთი. მეორე, ა ს ე თ ი რესტავრაცია მოჰყვა სწორედ არა მიწის ნაციონალიზაციას, არამედ მემამულეთა მიწების გაყიდვას, ე. ი. არქიბურჟუაზიულ, წმინდა-ბურჟუაზიულ და წარმოების ბურჟუაზიული, ე. ი. კაპიტალისტური ურთიერთობის უეჭველად განმამტკიცებელ ღონისძიებას. მაშასადამე, ნაციონალიზაციის საკითხში ა რ ც ე რ თ ი რესტავრაცია, პლეხანოვის მიერ მიტმასნებული, აბსოლუტურად არ ეხება საქმეს, — არც წარმოების აზიური წე-

სის რესტავრაცია (მოსკოვის რუსეთის რესტავრაცია), არც XIX საუკუნის რესტავრაცია საფრანგეთში.

რა უპასუხა ამხ. პლეხანოვმა ამხ. დემიანს ამ სრულიად უცილობელ საბუთებზე? მან არაჩვეულებრივ მარჯვედ უპასუხა. ლენინი ესერია, — წამოიძახა მან, — ამხანაგი დემიანი კი რაღაც დემიანის შეჭამადით მიმასპინძლდებაო.

მენშევიკები სიხარულით ცას ეწიენ. პლეხანოვის ბრწყინვალე ხუმრობის გამო ისინი სიცილით იხოცებოდნენ. ტაშის გრიალი აზანზარებდა სხდომის დარბაზს. ის საკითხი, შესძლო თუ არა პლეხანოვმა თავი და ბოლო გაერთვა თავისი რესტავრაციისათვის, ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნა მენშევიკურ ყრილობაზე.

რასაკვირველია, მე სრულიადაც არ მიფიქრია იმის უარყოფა, რომ პლეხანოვის პასუხი მარგალიტი იყო არა მარტო ბრწყინვალე გონებამახვილობისა, არამედ, თუ გნებავთ, მარქსისტული ღრმა აზროვნებისაც კი. მაგრამ მე მაინც ჩემს თავს ნებას მივცემ ვიფიქრო, რომ ამხ. პლეხანოვი უმწეოდ გაეხლართა მოსკოვის რუსეთის რესტავრაციასა და საფრანგეთის XIX საუკუნის რესტავრაციას შორის. მე ნებას მივცემ ჩემს თავს ვიფიქრო, რომ «დემიანის შეჭამადი» «ისტორიული გამოთქმა» გახდება არა ამხ. დემიანის მიმართ (როგორც ფიქრობენ პლეხანოვის გონებამახვილობის ბრწყინვალეებით მოხიბლული მენშევიკები), არამედ ამხ. პლეხანოვის მიმართ. ყოველ შემთხვევაში, გამაერთიანებელ ყრილობაზე ზოგიერთი დელეგატი პლეხანოვის სიტყვების გამო ლაპარაკობდა როგორც «მოსკოვურად მომზადებულ ხარჩოზე» და «ძეხვის შესახებ შეთხზულ ხუმრობაზე», როდესაც ამხ. პლეხანოვი რუსეთის თანამედროვე რევოლუციაში ძალაუფლების დაპყრობის საკითხის გამო თავისიან მენშევიკებს ართობდა ანეგდოტით საფრანგეთის რომელიღაც პროვინციული ქალაქის კომუნარზე, რომელიც ძეხვს მიირთმევდა «ძალაუფლების დაპყრობის» უშედეგო ცდის შემდეგ.

ყრილობაზე, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, მე ვიყავი პირველი მომხსენებელი აგრარულ საკითხზე. საბოლოო სიტყვაც უკანასკნელს კი არ მომცეს, არამედ ასევე პირველს ყველა ხუთ მომხსენებელთაგან. ამიტომ მე ვილაპარაკე ამხ. დემიანის შ ე მ დ ე გ და ამხ. პლეხანოვის წ ი ნ. მაშასადამე, მე არ შემეძლო წინასწარ განმეჭვრიტა პლეხანოვის გენიალური თავდაცვა დემიანის საბუთების წინააღმდეგ. მე მხოლოდ მოკლედ გავიმეორე ეს საბუთები და სიმძიმის ცენტრი გადავიტანე არა იმის აღნიშვნაზე, რომ მსჯელობა რესტავრაციაზე, როგორც მუნიციპალიზაციის სასარგებლო არგუმენტზე, სრულიად უშინაარსო იყო, არამედ რესტავრაციის საკითხის არსებითად განხილვაზე. რესტავრაციის აცილების რანაირ გარანტიებზეა ლაპარაკი? — ვეკითხებოდი ამხ. პლეხანოვს. აბსოლუტურ გარანტიაზე იმ ეკონომიური საფუძვლის მოსპობის აზრით, რომელიც რესტავრაციას წარმოშობს? თუ შედარებითსა და დროებით გარანტიაზე, ე. ი. ისეთი პოლიტიკური პირობების შექმნაზე, რომელიც თვით რესტავრაციის შესაძლებლობას კი არა სპობს, არამედ მას მხოლოდ ნაკლებად მოსალოდნელად ხდის, მხოლოდ აძნელებს რესტავრაციას? თუ პირველზე, მე გიპასუხებთ: რუსეთში (რუსეთის ძლევამოსილი რევოლუციის შემდეგ) რესტავრაციის აცილების სრული გარანტია შეიძლება იყოს მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ სოციალისტური გადატრიალება დასავლეთში. სხვა გარანტია არ არის და არც შეიძლება იყოს. მაშასადამე, ამ მხრივ საკითხი იმაში მდგომარეობს, სახელდობრ როგორ და სახელდობრ რით შეუძლია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას რუსეთში გააადვილოს ან დააჩქაროს სოციალისტური რევოლუცია დასავლეთში. ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხია შესაძლებელი: თუ უბადრუკმა 17 ოქტომბერმა ევროპაში მუშათა მოძრაობის მძლავრი აღმავლობა გამოიწვია, მაშინ ბურჟუაზიული რევოლუციის ს რ უ ლ ი გამარჯვება რუსეთში თითქმის გარდუვალად (ან, ყოველ შემთხვევაში, ალბათ) გამოიწვევს მთელ რიგ ისეთ პოლიტიკურ ძვრებს ევროპაში,

რაც უძლიერესი ბიძგი იქნება სოციალისტური რევოლუციისაკენ.

ახლა ვნახოთ «მეორე», ე. ი. შედარებითი, გარანტია რესტავრაციისაგან. რა არის რესტავრაციის ეკონომიური საფუძველი წარმოების კაპიტალისტური წესის ბაზისზე, ე. ი. არა ჰუმორისტული «მოსკოვის რუსეთის რესტავრაციისა», არამედ XIX საუკუნის დამდეგის საფრანგეთის ტიპის რესტავრაციისა? — საქონლის წვრილი მწარმოებლის მდგომარეობა ყოველგვარ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. საქონლის წვრილი მწარმოებელი შრომასა და კაპიტალს შორის მერყეობს. მუშათა კლასთან ერთად იგი იბრძვის ბატონყმობისა და პოლიციური თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს იგი მიისწრაფის თავისი მესაკუთრული პოზიციის განმტკიცებისაკენ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და ამიტომ, თუ ა მ საზოგადოების განვითარების პირობები რაოდენადმე ხელსაყრელად ყალიბდება (მაგალითად, მრეწველობის აყვავება, შინაური ბაზრის გაფართოება აგრარული გადატრიალების გამო და სხვ.), საქონლის წვრილი მწარმოებელი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ შემოგრუნდება ხოლმე სოციალიზმისათვის მებრძოლი პროლეტარის წინააღმდეგ. მაშასადამე, ვამბობდი მე, კაპიტალისტურ საზოგადოებაში წვრილი სასაქონლო წარმოების, წვრილი გლეხური საკუთრების საფუძველზე რესტავრაცია რუსეთში არათუ შესაძლებელია, არამედ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ც ა ა, რადგან რუსეთი უპირატესად წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა-მეთქი. რესტავრაციის თვალსაზრისით, რუსეთის რევოლუციის მდგომარეობა, ვამბობდი მე შემდგომ, ასეთი დებულებით შეიძლება გამოიხატოს: რუსეთის რევოლუციას საკმაო საკუთარი ძალები მოეპოვება, რომ გაიმარჯოს. მაგრამ მას არ მოეპოვება საკმაო ძალები, გამარჯვების ნაყოფი რომ შეინარჩუნოს. მას შეუძლია გაიმარჯოს, რადგან პროლეტარიატს რევოლუციურ გლეხობასთან ერთად შეუძლია უძლეველი ძალა შეადგინოს. გამარჯვების შენარჩუნება მას არ შეუძლია, რადგან ჩვენს ქვეყანაში, სადაც უდიდესად ვითარდება წვრილი მეურნეობა, საქონლის

წვრილი მწარმოებელნი (მათ შორის გლეხებიც) აუცილებლად პროლეტარის წინააღმდეგ შემობრუნდებიან, როდესაც იგი თავისუფლებიდან სოციალიზმისაკენ გასწევს. გამარჯვება რომ შეინარჩუნოს, რესტავრაცია რომ არ დაუშვას, რუსეთის რევოლუციას სჭირდება არარუსული რეზერვი, სჭირდება გარედან დახმარება. არის თუ არა ქვეყნად ასეთი რეზერვი? არის: დასავლეთის სოციალისტური პროლეტარიატი.

ვინც რესტავრაციაზე ლაპარაკობს და ეს ავიწყდება, იგი რუსეთის რევოლუციაზე თავის შეხედულებათა უკიდურეს სივიწროვეს ამჟღავნებს. მას ავიწყდება, რომ XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში, გარშემორტყმული იყო ბევრად უფრო ჩამორჩენილი ნახევრად-ფეოდალური ქვეყნებით, რომლებიც რესტავრაციის რეზერვს წარმოადგენდნენ, ხოლო XX საუკუნის დამდეგის რუსეთი, თავისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში, გარშემორტყმულია ბევრად უფრო მოწინავე ქვეყნებით, სადაც არის ისეთი სოციალური ძალა, რომელსაც შეუძლია რევოლუციის რეზერვი გახდეს.

დასკვნა: წამოაყენა რა რესტავრაციის აცილების გარანტიის საკითხი, პლეხანოვი მთელ რიგ მეტად საინტერესო საკითხებს შეეხო, მაგრამ არსებითად სრულიად ვერაფერი განმარტა და მხოლოდ დაშორდა (მსმენელი მენშევიკებიც დააშორა) მუნიციპალიზაციის საკითხს. მართლაც, თუ კაპიტალისტური რესტავრაციის (ასე ვუწოდოთ მოკლედ რესტავრაციას წარმოების არა აზიური, არამედ კაპიტალისტური წესის საფუძველზე) დასაყრდენი არის საქონლის წვრილ მწარმოებელთა კლასი, როგორც კლასი, რაღა შუაშია აქ მუნიციპალიზაცია? მუნიციპალიზაცია მიწათმფლობელობის ერთ-ერთი სახეა, მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ კლასის ძირითადი და არსებითი ნიშნები მიწათმფლობელობის ფორმით არ იცვლება? წვრილი ბურჟუა გარდუვალად და აუცილებლად დასაყრდენია რესტავრაციისა პროლეტარის წინააღმდეგ ნაციონალი-

ზაციის დროსაც, მუნიციპალიზაციის დროსაც და მიწის დაყოფის დროსაც. თუ ამ მხრივ წარმოსადგენია მიწათმფლობელობის ფორმათა შორის მკვეთრი მიჯნის გავლება, ეს მხოლოდ დაყოფის სასარგებლოდ, როგორც მიწასთან წვრილი მეურნის უფრო მჭიდრო კავშირისა, — უფრო მჭიდრო და ამიტომ უფრო ძნელად გასაწყვეტი კავშირისა *. ხოლო მუნიციპალიზაციის დაცვა რესტავრაციის არგუმენტით პირდაპირ სასაცილოა.

ყრილობაზე კამათის მსვლელობაში ამხ. ჯონი და ამხ. პლეხანოვი, რომელთაც თავისი საბოლოო სიტყვა ჩემს შემდეგ წარმოთქვეს, ერთხელ კიდევ შეეცადნენ რესტავრაციის ამ უხეირო არგუმენტიდან შეუმჩნევლად გადამხტარიყვნენ მეორე არგუმენტზე, რომელიც ერთი შეხედვით მას ჰგავს, მაგრამ შინაარსით სრულიად განსხვავდება. მუნიციპალიზაციის დაცვა მათ დაიწყეს არა რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მონარქიის რესტავრაციის აცილების გარანტიის თვალსაზრისით, ესე იგი დაცვა დაიწყეს არა როგორც რესპუბლიკის უზრუნველყოფის ღონისძიებისა, არა როგორც მუდმივი დაწესებულებისა, არამედ როგორც ბაზისა მონარქიის საწინააღმდეგო და რესპუბლიკის სასარგებლო ბრძოლის პროცესში, ე. ი. როგორც ისეთი ღონისძიებისა, რომელიც აადვილებს შემდგომ მონაპოვართა მიღწევას, როგორც დროებითი და გარდამავალი დაწესებულებისა. ამასთან პლეხანოვი იქამდე მივიდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მსხვილ ორგანოებს, რომელნიც მიწის მუნიციპალიზაციას ახდენენ, უწოდა ადგილობრივი «რესპუბლიკები», რომელნიც სწორედ დასაყრდენი გახდებიან მონარქიასთან ომის დროსაო.

ამ არგუმენტის გამო უნდა შევნიშნოთ:

ჯერ ერთი, მასლოვის პირვანდელი პროგრამა და ყრილობაზე მიღებული ჯონ-პლეხანოვ-კოსტროვის [107] პროგრამა ერთი

* ჩვენ ვამბობთ «ეს მხოლოდ», რადგან ჯერ კიდევ ღიად რჩება საკითხი: ხომ არ არის წვრილი მეურნის სწორედ უმჭიდროესი კავშირი თავის «პარცელასთან» ბონაპარტიზმის საუკეთესო დასაყრდენი. აქ უადგილოა

სიტყვითაც არ აღნიშნავს იმას, რომ მუნიციპალიზაცია მიჩნეულია დროებით ღონისძიებად, გარდამავალ ღონისძიებად რევოლუციის მსვლელობაში, ე. ი. შემდგომისათვის ბრძოლის იარაღად. მაშასადამე, ასეთი განმარტება «თავისუფალი გამონაგონია», რომელსაც პროგრამის ტექსტი კი არ ადასტურებს, არამედ უარჰყოფს. მაგალითად, როდესაც ჩემს პროგრამაში ვაყენებ რევოლუციურ გლეხთა კომიტეტებს, როგორც რევოლუციის იარაღს, როგორც შემდგომისათვის ბრძოლის ბაზას, მე პირდაპირ ასეც ვამბობ თვით პროგრამაში: პარტია ურჩევს გლეხთა კომიტეტებს ხელში ჩაიგდონ მიწები და თავის განკარგულებაში იქონიონ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. მასლოვ-ჯონ-პლეხანოვ-კოსტროვის პროგრამაში ეს არათუ ნათქვამი არ არის *, არამედ, პირიქით, გადმოცემულია მიწათსარგებლობის უეჭველი მუდმივი მოწყობის გეგმა.

მეორე, მთავარი და ძირითადი მოსაზრება იმ არგუმენტის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, ისაა, რომ რესტავრაციისა თუ რეაქციის აცილების გარანტიის სახით პლეხანოვს თავისი პროგრამიდან რეაქციასთან მორიგება გამოუდის. მართლაცდა ერთი ჩაუფიქრდით: განა პროგრამებს

* სწორედ იმიტომ, რომ პლეხანოვის პროგრამაში ეს ნათქვამი არ არის, ყრილობაზე ჩვენ სრული უფლება გვქონდა მუნიციპალიზაციის ახალი განმარტება მენშევიკების «რევოლუციური თვითმმართველობისათვის» შეგვედარებინა. და სწორედ ივიეე პლეხანოვი იძულებული გახდა, ბოლშევიკების მიერ საკითხის დიდხანს განმარტების შემდეგ, ეღიარებინა, რომ «რევოლუციური თვითმმართველობის» ლოზუნგმა ვერავის ვერაფერი ვაურკვია და ბევრს თავვზა აუბნია (იხ. «დნევნიკ» № 5). ბოლშევიკები ჯერ კიდეე «ვპერიოდსა» და «პროლეტარიში» აშბობდნენ, რომ «რევოლუციური თვითმმართველობის» ლოზუნგი საკმარისი არ არის, სრული არ არის, რევოლუციის სრული გამარჯვების პირობებს არ გამოხატავს. ასეთი გამარჯვებისათვის საჭიროა არა რევოლუციური თვითმმართველობა, არამედ რევოლუციური ხელისუფლება, და არა მარტო ადგილობრივი რევოლუციური ხელისუფლებანი, არამედ ცენტრალური რევოლუციური ხელისუფლებაც. (იხ. ვ. ი. ლენინი. ოსზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 9, გვ. 212 — 222; 253 — 268; 438 — 460. რედ.

და განსაკუთრებით აგრარულ (საგლეხო) პროგრამას იმ ფართო მასებისთვის არა ვწერთ, რომელთა ხელმძღვანელობაც ჩვენ გვსურს? და მერე რა გამოდის? ცალკეული წევრები, თუნდაც პარტიის ბელადები, იტყვიან, რომ ერობები, რომლებმაც მიწის მუნიციპალიზაცია მოახდინეს, რესპუბლიკები იქნებიან ცენტრში არსებული მონარქიის წინააღმდეგო. ხოლო პროგრამაში აგრარულ გადატრიალებას პირდაპირ და ზუსტად უკავშირებენ ადგილობრივი მართვა-გამგეობის დემოკრატიზმს, მაგრამ ა რ ც ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ი თ არ უკავშირებენ ცენტრალური მართვა-გამგეობისა და სახელმწიფოს მოწყობის ს რ უ ლ დემოკრატიზმს! გეკითხებით: რით უნდა იხელმძღვანელოს ჩვენს ყოველდღიურ აგიტაციასა და პროპაგანდაში პარტიულ მუშაკთა მასამ: პლეხანოვის სიტყვებით ადგილობრივ «რესპუბლიკებზე», რომელნიც ცენტრალური მონარქიის წინააღმდეგ იბრძვიან, თუ თვით ჩვენი ახალი პარტიული პროგრამის ტექსტით, რომელშიც გლეხთათვის მიწის მოთხოვნა ზუსტად დაკავშირებულია მხოლოდ ადგილობრივი მართვა-გამგეობის დემოკრატიზმთან და სრულიადაც არ არის დაკავშირებული ცენტრალური ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მოწყობის დემოკრატიზმთან? პლეხანოვის სიტყვები, თავისთავად დაბნეული, აუცილებლად ისევე «თ ა ვ გ ზ ი ს ა მ ბ ნ ე ვ ი» ლოზუნგის როლს შეასრულებენ, როგორიც «ს ა ხ ე ლ გ ა ნ თ ქ მ უ ლ მ ა» (პლეხანოვის აზრით «სახელგანთქმულმა») «რევოლუციურმა თვითმმართველობამ» შეასრულა. ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ში ჩვენი პარტიული პროგრამა რ ე ა ქ ც ი ა ს თ ა ნ მ ო რ ი გ ე ბ ი ს პროგრამად რჩება. ეს სოციალ-დემოკრატიული კი არა, კადეტური პროგრამაა, თუ ავიღებთ მ ი ს რ ე ა ლ უ რ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ მნიშვნელობას თანამედროვე რუსეთის ვითარებაში და არა იმ მოტივებს, რომლებიც მოხსენიებულია ჩვენი ორატორების ცალკეულ სიტყვებში. მათი მოტივები საუკეთესოა, განზრახვები — უაღრესად სოციალ-დემოკრატიული, ხოლო პროგრამა სინამდვილეში გამოვიდა კადეტური, «მორიგების» სულით გაჟღენთილი და არა «გლეხთა რევოლუციის» სულით

გაჟღენთილი (პლეხანოვმა, სხვათა შორის, თქვა, წინათ ჩვენ გლეხთა რევოლუციის შიში გვქონდა, ახლა კი ეს შიში უნდა უკუვაგდოთო).

მე ზემოთ გავარჩიე «რესტავრაციის აცილების გარანტიის» საბუთის მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი მნიშვნელობა. ახლა მე მივადექი მის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ მნიშვნელობას დუბასოვის კონსტიტუციონალიზმისა და კადეტური სახელმწიფო სათათბიროს ეპოქაში. ამ საბუთის მეცნიერული მნიშვნელობა ნულს ან მინუს ერთს უდრის. პოლიტიკურად ეს არის კადეტების არსენალიდან აღებული იარაღი და კადეტების წისქვილზე წყლის მიშვება. მიმოიხედეთ გარშემო: პ ო ლ ი ტ ი კ ი ს რომელმა მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა მ გაიხადა თითქმის თავის მონოპოლიად რესტავრაციის საფრთხეზე მითითება? კადეტურმა მიმდინარეობამ. რაში მდგომარეობს ის პასუხი, რაც მილიონჯერ მიუციათ კადეტებს ჩვენი პარტიული ამხანაგებისათვის, რომელნიც აღნიშნავდნენ წინაალმდეგობას კადეტების «დემოკრატიზმსა» და მათ მონარქისტულ და სხვ. პროგრამას შორის? იმაში, რომ მონარქიისათვის ხელის ხლება — რესტავრაციის საფრთხის გამოწვევას ნიშნავსო. ხელს ნუ ახლებთ მონარქიას, — ათასნაირი ხმით უყვიროდნენ კადეტები სოციალ-დემოკრატებს, — ხელს ნუ ახლებთ მონარქიას, რადგან თქვენ არა გაქვთ გარანტია რესტავრაციის თავიდან აცილებისა. იმის მაგივრად, რომ რესტავრაციის საფრთხე, რეაქციის საფრთხე შევუქმნათ ჩვენს თავს, სჯობს რეაქციას მოვურიგდეთ, — ეს არის კადეტების პოლიტიკური სიბრძნის მთელი არსი, მთელი მათი პროგრამა, მთელი მათი ტაქტიკა, რომელიც აუცილებლად გამომდინარეობს წვრილი ბურჟუას კლასობრივი პოზიციიდან, ბოლომდე მიყვანილი დემოკრატიული რევოლუციის საშიშროებიდან ბურჟუაზიისათვის.

ნათქვამის დასამტკიცებლად ორი მაგალითით დავკმაყოფილდები. «ნაროდნაია სვობოდა», მილიუკოვისა და გესენის ორგანო, 1905 წლის დეკემბერში წერდა: მოსკოვმა დაამტკიცა შეიარაღებული აჯანყების შესაძლებლობა, მაგრამ აჯანყება

მაინც დამღუპველია და არა იმიტომ, რომ იგი უიმედო .იყოს, არამედ იმიტომ, რომ აჯანყების მონაპოვართ რეაქცია სულ ერთია აღგვისო (ციტირებულია ჩემს ბროშურაში: «სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატია» *). მეორე მაგალითი. ჯერ კიდევ «პროლეტარიში» 1905 წელს მომყავდა ამონაწერები ვინოგრადოვის იმ სტატიიდან, რომელიც «რუსსკიე ვედომოსტიში» დაიბეჭდა **. ვინოგრადოვი სურვილს გამოსთქვამდა, რომ რუსეთის რევოლუცია წარმართულიყო არა 1789 — 1793 წლების ტიპის მიხედვით, არამედ 1848 — 1849 წლების ტიპის მიხედვით, ე. ი. რომ ჩვენში ძ ლ ე ვ ა მ ო ს ი ლ ი აჯანყებანი არ ყოფილიყო, რომ ჩვენი რევოლუცია ბოლომდე არ მისულიყო, რომ იგი რაც შეიძლება ადრე ყოფილიყო შეკვეცილი ლიბერალური ბურჟუაზიის გამცემლობით, მონარქიასთან მისი შეთანხმებით. ვინოგრადოვი გვაშინებდა რესტავრაციით პრუსიელი ვახტიორის სახით და, რა თქმა უნდა, კრინტსაც არ სძრავდა «რევოლუციის» ისეთ «გარანტიაზე», როგორიცაა გერმანიის პროლეტარიატი.

რესტავრაციის აცილების გარანტიათა უქონლობის დამოწმება წმინდა კადეტური იდეაა, ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ა რ ა ღ ი ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ბურჟუაზიის ინტერესები აიძულებს მას იბრძოლოს იმის წინააღმდეგ, რომ პროლეტარიატმა რევოლუციურ გლეხობასთან ერთად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ბოლომდე მიიყვანოს. ამ ბრძოლაში ბურჟუაზიის ფილოსოფოსები და პოლიტიკოსები აუცილებლად ებღაუჭებიან ისტორიულ საბუთებს, წარსულის მაგალითებს. წარსულში ყოველთვის ისე ხდება, რომ მუშებს ატყუებდნენ, რომ რევოლუციის გამარჯვების შემდეგაც კი რესტავრაცია ხდებოდა ხოლმე, მაშასადამე, ჩვენშიც არ შეიძლება სხვანაირად მოხდეს, — ამბობს ბურჟუაზია, რომელიც ბუნებრივად მიისწრაფის, რომ შეასუსტოს რუსეთის პროლეტარიატის რწმენა საკუთარი ძა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 114. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 9, გვ. 289 — 296. რ ე დ.

ლებისა და ევროპის სოციალიზმის ძალებისადმი. პოლიტიკურ წინააღმდეგობათა და პოლიტიკური ბრძოლის გამწვავება რეაქციას იწვევს, — ასწავლის ბურჟუა მუშებს, — მაშასადამე, საჭიროა ამ წინააღმდეგობათა მიჩლუნგება: გამარჯვების შემდეგ რეაქციის რისკის გაწევას გვიჯობს გამარჯვებისათვის კი არ ვიბრძოლოთ, არამედ რეაქციას მოვურიგდეთო.

შემთხვევითი იყო თუ არა ის, რომ პლეხანოვმა ხელი ჩასჭიდა ბურჟუაზიის იდეურ იარაღს პროლეტარიატის წინააღმდეგ? არა, ეს აუცილებელი იყო მას შემდეგ, რაც პლეხანოვმა არასწორად შეაფასა დეკემბრის აჯანყება («ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისთვისაო») და თავის «დნევნიკში» დაიწყო მუშათა პარტიის მიერ კადეტებისათვის მხარის დაჭერის ქადაგება ისე, რომ საგნებს საკუთარ სახელს არ უწოდებდა. ყრილობაზე ამ საკითხს შეეხნენ დღის წესრიგის სხვა მუხლზე კამათის დროს, როდესაც დავა ატყდა იმაზე, თუ რისთვის აქებდა პლეხანოვს ბურჟუაზია. თავის ადგილას მე მოგითხრობთ ამ დავას, აქ კი შევნიშნავ, რომ ჩემ მიერ ზემოთ აღნიშნული საბუთები ყრილობაზე მე არ განვავითარე, არამედ მხოლოდ სრულიად ზოგადად მოვხაზე. ჩვენი «გარანტია რესტავრაციისაგან», — ვთქვი მე, — ეს არის რევოლუციის ბოლომდე მიყვანა და არა რეაქციასთან მორიგება. და მხოლოდ ამას ამბობს ჩემი აგრარული პროგრამაც, რომელიც სავსებით გლეხთა აჯანყებისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სრული დამთავრების პროგრამაა. მაგალითად, «გლეხთა რევოლუციური კომიტეტები» ერთადერთი გზაა, რომელსაც მხოლოდ შეუძლია დაადგეს გლეხთა აჯანყება (მასთან მე სრულიადაც არ ვუპირისპირებ გლეხთა კომიტეტებს რევოლუციურ ხელისუფლებას, როგორც მენშევიკები უპირისპირებდნენ რევოლუციურ ხელისუფლებას რევოლუციურ თვითმმართველობას, არამედ ეს კომიტეტები მიმაჩნია ასეთი ხელისუფლების ერთ-ერთ ორგანოდ, ერთ-ერთ ორგანოდ, რომელიც მოითხოვს შევსებას სხვა, ცენტრალური ორგანოების, დროებითი რევოლუციური მთავრობისა და სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მხრივ).

აგრარული საკითხის ბურჟუაზიულ-მოხელური გადაწყვეტა, მისი გადაწყვეტა პეტრუნკევიჩების, როდიჩევების, კაუფმანებისა და კუტლერების მიერ, გამორიცხულია აგრარული პროგრამის მ ხ ო ლ ო დ ასეთი ფორმულირების დროს.

პლეხანოვს არ შეეძლო არ შეემჩნია ჩემი პროგრამის ეს ძირითადი თვისება. მან ეს შეამჩნია და აღიარა ყრილობაზე. მაგრამ ეს თავისი აღიარება მან იმავე დემიანის შეჭამადისა თუ პლეხანოვის აბდაუბდის სახით გამოხატა (რას იზამთ, ასეთია მისი ბუნება). დიახ, დიახ, ლენინს პროგრამაში ძალაუფლების დაპყრობის იდეა აქვს. ლენინი ამას თვითონვე აღიარებს. მაგრამ სწორედ ეს არის ცუდი. ეს ნაროდოვოლცობაა. ლენინი ნაროდოვოლცობის რესტავრაციას ახდენს. იბრძოლეთ, ამხანაგებო, ნაროდოვოლცობის აღდგენის წინააღმდეგ. ლენინი რაღაც «ხალხურ შემოქმედებაზედაც» კი ლაპარაკობს. განა ეს ნაროდოვოლცობა არ არისო? და სხვ. და ა. შ.

ასეთი მსჯელობისათვის ჩვენ, ბოლშევიკებმა, მეც და ვოინოვმაც [108], გულითადი მადლობა გადავუხადეთ პლეხანოვს. ჩვენთვის ასეთი საბუთები მხოლოდ სასარგებლო და სასურველია. მართლაცდა, აბა ჩაუფიქრდით ამ მსჯელობას, ამხანაგებო: «რადგან ლენინს პროგრამაში ძალაუფლების დაპყრობის იდეა აქვს, ლენინი ნაროდოვოლეცია». რომელ პროგრამაზეა ლაპარაკი? აგრარულზე. ვის ჰგულისხმობს ეს პროგრამა ძალაუფლების დამპყრობად? რევოლუციურ გლეხობას. ურევს თუ არა ლენინი პროლეტარიატს ამ გლეხობაში? არათუ არ ურევს, არამედ ცალკე გამოჰყოფს მას თავისი პროგრამის იმ მესამე ნაწილში, რომელიც (მე-3 ნაწილი) მენშევიკურმა ყრილობამ მთლიანად გადაიწერა თავის ტაქტიკურ რეზოლუციაში!

კარგი რამაა, არა? პლეხანოვი თვითონვე ამბობდა: არ შეგვფერის ჩვენ, მარქსისტებს, გ ლ ე ხ თ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა გ ვ ე შ ი ნ ო დ ე ს ო. და იმავე დროს მას რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი გ ლ ე ხ ო ბ ი ს მ ი ე რ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს დ ა პ ყ რ ო ბ ა ნაროდოვოლცობად მოეჩვენა!! მაშ როგორღა შეიძლება გლეხთა ძლევამოსილი რევოლუცია, თუ რევოლუციურ-

მა გლეხობამ ძალაუფლება არ დაიპყრო?? პლეხანოვი ხომ პირდაპირ აბსურდამდე მივიდა. რაკი ერთხელვე დაღმართზე დაექანა, იგი შეუჩერებლივ ეშვება ქვევით. ჯერ იგი უარყოფდა თანამედროვე რევოლუციაში პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შესაძლებლობას. ახლა იგი უარჰყოფს თანამედროვე რევოლუციაში რევოლუციური გლეხობის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შესაძლებლობას. მაგრამ თუ ა რ ც პროლეტარიატს, ა რ ც რევოლუციურ გლეხობას არ შეუძლია ძალაუფლების დაპყრობა, მაშასადამე, ძალაუფლება მ ე ფ ე ს ა დ ა დ უ ბ ა ს ო ვ ს უ ნ დ ა შ ე რ ჩ ე ს. ან იქნებ კადეტებმა უნდა აიღონ ძალაუფლება? მაგრამ კადეტებს თვითონვე არ სურთ ძალაუფლების დაპყრობა და მონარქიას, მუდმივ არმიას, ზედა პალატასა და სხვა მშვენიერებათ ხელუხლებლად სტოვებენ.

განა მართალი არ ვიყავი, როდესაც ყრილობაზე განვაცხადე, რომ პლეხანოვის შ ი შ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს დ ა პ ყ რ ო ბ ი ს ა — ეს ა რ ი ს შ ი შ ი გ ლ ე ხ თ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა-მ ე თ ქ ი? განა მართალი არ იყო ვოინოვი, როცა ამბობდა: პლეხანოვი ახალგაზრდობაში ნაროდოვოლცებმა იმდენად შეაშინეს, რომ ისინი მას მაშინაც კი ელანდებიან, როდესაც იგი თვითონვე აღიარებს გლეხთა რევოლუციის აუცილებლობას და როდესაც გლეხური სოციალიზმის ილუზიები სოციალ-დემოკრატთა შორის არავის არა აქვსო? განა მართალი არ იყო ვოინოვი, როდესაც ყრილობაზე ოხუნჯობდა შეიარაღებული აჯანყების შესახებ მენშევიკური რეზოლუციის გამო (ამ რეზოლუციაში პირველი მუხლი იწყება «თვითმპყრობელური მთავრობისაგან ძალაუფლების გამოგლეჯის» ამოცანის აღიარებით), რომ «ძალაუფლების დაპყრობა» ნაროდოვოლცობაა, ხოლო «ძალაუფლების გამოგლეჯა» — ჭეშმარიტი და ღრმა-აზროვანი მარქსიზმიო? მართლაცდა, ხომ ისე გამოვიდა, რომ სოციალ-დემოკრატიაში ნაროდოვოლცობასთან ბრძოლის გულისთვის მენშევიკებმა ჩვენი პარტია დააჯილდოვეს... კ ა დ ე-

ტების მიერ «ძალაუფლების გამოგლეჯის» პროგრამით.

რა თქმა უნდა, მე ოდნავადაც ვერ გამაკვირვა ნაროდოვოლცობაზე გოდებამ. მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტები ყოველთვის (ჯერ კიდევ 1898 — 1900 წლებში) ებღაუჭებოდნენ ამ საფრთხობელას რევოლუციური სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. და ამხ. აკიმოვმა, რომელმაც ჩვენს გამაერთიანებელ ყრილობაზე აქსელროდისა და კადეტების სასარგებლოდ ბრწყინვალე დასაცავი სიტყვა წარმოსთქვა, სწორედ დროზე მოგვაგონა ეს გარემოება. მე იმედი მაქვს ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდე ლიტერატურაში.

ორიოდე სიტყვა «ხალხურ შემოქმედებაზე». რა აზრით ვლაპარაკობდი მის შესახებ ყრილობაზე? იმავე აზრით, რა აზრითაც ვლაპარაკობ მასზე ჩემს ბროშურაში: «კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები» (ეს ბროშურა ყრილობის დელეგატებს დაურიგდათ) *. 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერს მე ახლანდელ, კადეტურ პერიოდს ვუპირისპირებ და ვამბობ, რომ რევოლუციურ პერიოდში ხალხის (რევოლუციური გლეხები პლუს პროლეტარები) შემოქმედება უფრო მდიდარი და ნაყოფიერია, ვიდრე კადეტურ პერიოდში. პლეხანოვს ეს ნაროდოვოლცობად ეჩვენება. მე ეს მიმაჩნია, მეცნიერული თვალსაზრისით, 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდის შეფასების უმნიშვნელოვანესი საკითხისაგან თავის დაძვრენად (პლეხანოვს თავის «დნევნიკში» არც კი უფიქრია ამ ეპოქის მოძრაობის ფორმების ანალიზზე და მორალიზებას დასჯერდა!). პოლიტიკური მხრით, ეს მხოლოდ იმის ახალი საბუთია, თუ რამდენად ახლო დგას პლეხანოვი ტაქტიკაში ბ-ნ ბლანკთან და საერთოდ კადეტებთან.

აგრარულ საკითხზე ლაპარაკი რომ მოვათავო, შევეხები კიდევ უკანასკნელ სერიოზულ საბუთს. ლენინი მეოცნებეა,— ამბობდა პლეხანოვი, — იგი ოცნებობს ხალხის მიერ მოხელე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 284 — 321. რედ.

თა არჩევის შესახებ და სხვ. ასეთი კარგი დაბოლოებისათვის პროგრამის დაწერა ძნელი არ არის. არა, შენ აი თუ შეგიძლია ცუდი დაბოლოებისათვის დაწერე. ისე მოიქეცი, რომ შენი პროგრამა «სრულიად გამართული» იყოსო.

ამ საბუთში უსათუოდ არის მოსაზრება, რომელიც ყოველმა მარქსისტმა მტკიცედ უნდა მიიღოს მხედველობაში. მართლაც, უვარგისი იქნებოდა ისეთი პროგრამა, რომელიც მ ხ ო ლ ო დ საუკეთესო შედეგს გაუწევდა ანგარიშს. მაგრამ სწორედ ამ მხრივ, — ვუპასუხე პლეხანოვს ყრილობაზე, — ჩემი პროგრამა, ცხადია, მასლოვისაზე უფრო მაღლა დგას. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია იჯარის არსებობა გავიხსენოთ. რით განირჩევა მიწათმოქმედებაში წარმოების კაპიტალისტური (და ნახევრადკაპიტალისტური) წესი? ყველგან და ყოველ ადგილას — იჯარის განვითარებით. ეხება თუ არა ეს რუსეთს? ძალიან და ძალიან ეხება. და მართალი არ იყო ამხ. ჯონი, როდესაც მედავებოდა, თითქოს ჩემს პროგრამაში უაზრობა ყოფილიყოს: იჯარა რჩება მემამულეთა მიწების კონფისკაციის შემდეგო. ამ მუხლში ამხ. ჯონი სამმაგად არ არის მართალი: ჯერ ერთი, ჩემს პროგრამაში მ თ ე ლ ი პირველი ნაწილი ლაპარაკობს გლეხთა რევოლუციის პირველ ნაბიჯებზე (მიწების ხელში ჩაგდება სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მ ო წ ვ ე ვ ა მ დ ე); მაშასადამე, ჩემს პროგრამაში იჯარა კი «არ რჩება» კონფისკაციის «შემდეგ», არამედ აღებულია როგორც ფაქტი, რადგან იგი ფაქტია. მეორე, კონფისკაცია ნიშნავს მიწის საკუთრების სხვის ხელში გადასვლას, ხოლო საკუთრების სხვის ხელში გადასვლა თავისთავად სრულიადაც არ ეხება იჯარას; მესამე, იჯარა, როგორც ყველას მოეხსენება, არსებობს როგორც გლეხთა, ისე სანადელო მიწებზე.

აბა ერთი ჩაუკვირდით, რა გამოგვდის «სრული გამართულობის» მხრივ, არა მარტო საუკეთესო, არამედ უცუდესი პირობების მხედველობაში მიღების მხრივაც. მასლოვი დიდი ამბით მთლად შლის იჯარას. იგი პირდაპირ და ერთბაშად ისეთ გადატრიალებას ვარაუდობს, რომელიც იჯარას მოსპობ-

და. ეს ვარაუდი, როგორც უკვე ცხადვყავი, სრული სისულელეა «ცუდი სინამდვილისა» და მისთვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობის თვალსაზრისით. პირიქით, ჩემი პროგრამის მთელი პირველი ნაწილი მ თ ლ ი ა ნ ა დ აგებულია იმ «ცუდი სინამდვილის» ბაზისზე, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებენ რევოლუციური გლეხები. ამიტომ იჯარა ჩემს პროგრამაში აჩრდილთა სამეფოში კი არ ჰქრება (იჯარის მოსპობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, პლეხანოვის «საღი გონების» თვალსაზრისით, არის არანაკლები, თუ მეტი არა, «ფანტასტიკური» გარდაქმნა, ვიდრე მუდმივი არმიის მოსპობა და სხვ.). გამოდის, რომ «ც უ დ სინამდვილეს» მე მასლოვზე ბევრად უფრო სერიოზულად ვუწევ ანგარიშს, ხოლო კარგ სინამდვილეს გლეხებს ვუქადაგებ არა კადეტური მორიგების თვალსაზრისით (ადგილობრივი რესპუბლიკები ცენტრალური მონარქიის წინააღმდეგ), არამედ რევოლუციის სრული გამარჯვებისა და ნამდვილად დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვების თვალსაზრისით.

პოლიტიკური პროპაგანდის ამ ელემენტს სპეციალურად აგრარულ პროგრამაში მე განსაკუთრებით ხაზგასმით აღვნიშნავდი ყრილობაზე და, ალბათ, ლიტერატურაშიც კვლავ არაერთხელ მომიხდება ამ საკითხზე შეჩერება. ყრილობაზე ჩვენ, ბოლშევიკებს, გვიპასუხებდნენ: ჩვენ გვაქვს პოლიტიკური პროგრამა, რესპუბლიკაზე ლაპარაკის ადგილიც იქ არისო. ეს პასუხი საკითხის სრულ მოუფიქრებლობას მოწმობს. ჩვენ მართლაც გვაქვს ზოგადი პრინციპული პროგრამა (პარტიის პროგრამის პირველი ნაწილი) და სპეციალური პროგრამები: პოლიტიკური, მუშური და საგლეხო. პროგრამის მუშურ ნაწილში (8-საათიანი სამუშაო დღე და სხვ.) ა რ ა ვ ი ნ გეუბნებათ საგანგებოდ და სპეციალურად მოიხსენიოთ ამა თუ იმ გარდაქმნის პოლიტიკური პირობები. რატომ? იმიტომ, რომ 8-საათიანი სამუშაო დღე და სხვა ამგვარი რეფორმები ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ პოლიტიკურ პირობებში ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ წინსვლის იარაღი გახდება. ხოლო საგლეხო პროგრამაში საჭიროა თუ არა პოლიტიკური პირობების ს ა გ ა ნ გ ე ბ ო დ

და სპეციალურად მოხსენიება? საჭიროა, იმიტომ რომ მიწების საუკეთესო გადანაწილებაც კი ტრეპოვებისა და დუბასოვების ბატონობის დროს შეიძლება უკუსვლის იარაღი გახდეს. აიღეთ თუნდაც მასლოვის პროგრამა: მასში ლაპარაკია მიწების დემოკრატიული სახელმწიფოსათვის და ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული ორგანოებისათვის გადაცემაზე, ესე იგი მასში, მიუხედავად პარტიის პოლიტიკური პროგრამის არსებობისა, საგანგებოდ და სპეციალურად არის მოხსენიებული თანამედროვე აგრარულ გარდაქმნათა პოლიტიკური პირობები. მაშასადამე, იმის შესახებ, რომ აუცილებელია აგრარული მოთხოვნები განსაკუთრებულ პოლიტიკურ პირობებს დავუკავშიროთ, დავა არც კი შეიძლება. მთელი საკითხი ისაა, შესაწყნარებელია თუ არა როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ისე თანამიმდევარი პროლეტარული დემოკრატიზმის თვალსაზრისით, ძირითადი აგრარული გადატრიალება დავუკავშიროთ არა ხალხის მიერ მოხელეთა არჩევითობას, არა რესპუბლიკას, არამედ «დემოკრატიზმს» საზოგადოდ, ე. ი., მაშასადამე, კადეტურ დემოკრატიზმსაც, რომელიც ამჟამად, ჩვენი ნების დამოუკიდებლად, ცრუდემოკრატიზმის მთავარი და ყველაზე გავრცელებული, ყველაზე გავლენიანი სახეა პრესასა და «საზოგადოებაში». მე ვფიქრობ, ეს შეუწყნარებელია. მე წინასწარვმეტყველებ, რომ ჩვენი აგრარული პროგრამის შეცდომა ახლავე უნდა გამოასწოროს პრაქტიკამ და გამოასწორებს კიდეც, ე. ი. პოლიტიკური ვითარება ჩვენს პროპაგანდისტებს და აგიტატორებს აიძულებს კადეტებთან ბრძოლის დროს ხაზგასმით აღნიშნონ სწორედ არა კადეტური დემოკრატიზმი, არამედ ხალხის მიერ მოხელეთა არჩევითობა და რესპუბლიკა.

რაც შეეხება მიწის დაყოფის პროგრამას, მისადმი ჩემი დამოკიდებულება ყრილობაზე შემდეგი სიტყვებით გამოვხატე: მუნიციპალიზაცია შემცდარი და მავნებელია; დაყოფა, როგორც პროგრამა, შემცდარია, მაგრამ მავნებელი არაა. ამიტომ მე, რა თქმა უნდა, დაყოფას უფრო ვემხრობი და მზადა

ვარ ბორისოვს მივცე ხმა მასლოვის წინააღმდეგ. დაყოფა არ შეიძლება მავნებელი იყოს, რადგან მას გლეხები დასთანხმდებიან, ეს — ერთი; იგი წინასწარ პირობად არ მოითხოვს სახელმწიფოს თანამიმდევრად გარდაქმნას, ეს — მეორე. რატომ არის იგი შემცდარი? იმიტომ, რომ იგი ცალმხრივად განიხილავს გლეხთა მოძრაობას მხოლოდ წარსულისა და აწმყოს თვალსაზრისით და ყურადღებას არ აქცევს მომავლის თვალსაზრისს. «დაყოფის' მომხრეები» დავობენ ნაციონალიზაციის წინააღმდეგ და მეუბნებიან: გლეხს ის კი არ უნდა, რასაც ამბობს, როდესაც თქვენ ისმენთ მის ლაპარაკს ნაციონალიზაციის შესახებო. სიტყვას კი ნუ აქცევთ ყურადღებას, არამედ საქმის არსს. გლეხს უნდა კერძო საკუთრება, მიწის გაყიდვის უფლება, ხოლო სიტყვები: «მიწა ღვთისაა» და სხვ., — ეს მხოლოდ იდეოლოგიური სამოსელია მემამულისაგან მიწის ჩამორთმევის სურვილისაო.

«დაყოფის მომხრეებს» მე ვუპასუხებდი: ყოველივე ეს სწორია; მაგრამ ჩვენი თქვენთან უთანხმოება მხოლოდ იქ იწყება, სადაც თქვენ საკითხი უკვე ამოწურულად მიგაჩნიათ. თქვენ იმეორებთ შეცდომას ძველი მატერიალიზმისას, რომელზედაც მარქსმა თქვა: ძველი მატერიალისტები განმარტავდნენ სამყაროს, ჩვენ კი იგი უნდა გარდავქმნათო [109]. აი სწორედ ასევე დაყოფის მომხრეებსაც სწორად ესმით გლეხთა სიტყვები ნაციონალიზაციის შესახებ, სწორად განმარტავენ მათ, მაგრამ — საქმის მთელი არსიც სწორედ ესაა — უნარი არ შესწევთ ეს სწორი განმარტება ამ სამყაროს გარდაქმნის ბერკეტად, შემდგომი წინსვლის იარაღად აქციონ. ლაპარაკი იმაზე კი არ არის, რომ გლეხებს დაყოფის მაგივრად ნაციონალიზაცია მოვახვიოთ თავს (ჩემი პროგრამის ვარიანტი ამგვარ უგუნურ აზრებს ყოველგვარ ნიადაგს აცლის, თუ კი ასეთი აზრები ოუკვ ვისმე). ლაპარაკია იმაზე, რომ სოციალისტმა შეუბრალებლად უნდა ამჩიოლოს გლეხის წვრილბურჟუაზიული ლუზიები «ღვთის მიწის» შესახებ და უნდა შესძლოს გლეხისათვის წინსვლის გზის ჩვენება. ყრილობაზე მე პლეხანოვს

უკვე ვუთხარი და ათასჯერ გავიმეორებ: პრაქტიკოსები ახლანდელ პროგრამას ისევე გაავულგარებენ, როგორც ავულგარებდნენ ისინი ჩამონაჭრებს, — ისინი პატარა შეცდომას დიდად გადააქცევენ. გლეხთა მასას, რომელიც გაჰყვირის, მიწა არავისია, ღვთისაა, სახაზინოაო, ისინი დაუწყებენ დაყოფის უპირატესობის მტკიცებას; ამით ისინი სახელს გაუტეხენ და გააუხამსებენ მარქსიზმს. ამას არ უნდა ვეუბნებოდეთ გლეხებს. ჩვენ უნდა ვთქვათ: ამ სიტყვებში იმის შესახებ, რომ მიწა ღვთისაა, არავისია, სახაზინოაო — დიდი სიმართლეა, ოღონდ იგი კარგად უნდა გავარჩიოთ. თუ მიწა სახაზინოა, ხოლო ხაზინის ბატონ-პატრონი ტრეპოვია, — მაშასადამე, მიწაც ტრეპოვისა იქნება. გინდათ თუ არა ეს? გინდათ თუ არა, რომ მიწა როდიჩევებსა და პეტრუნკევიჩებს ჩაუვარდეს ხელში, თუ მათ, თანახმად მათი სურვილისა, შესძლეს ხელში ჩაგდება ძალაუფლებისა და, მაშასადამე, ხაზინისაც? და გლეხები, რასაკვირველია, გვიპასუხებენ: არა, არ გვინდა. არც ტრეპოვებს, არც როდიჩევებს არ დავანებებთ მემამულეთაგან ჩამორთმეულ მიწებსო. თუ ეს ასეა, მაშინ აუცილებელია ხალხის მიერ ყველა მოხელის არჩევა, მუდმივი არმიის მოსპობა, რესპუბლიკა, — მ ხ ო ლ ო დ მაშინ იქნება მიწის გადაცემა «ხაზინისათვის», მიწის გადაცემა «ხალხისათვის» არა მავნებელი, არამედ სასარგებლო ღონისძიება. და მკაცრი მეცნიერული თვალსაზრისითაც, საზოგადოდ კაპიტალიზმის განვითარების პირობების თვალსაზრისითაც, ჩვენ უცილობლად უნდა ვთქვათ, თუ არ გვინდა «კაპიტალის» III ტომს დავშორდეთ, რომ მიწის ნაციონალიზაცია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში შესაძლებელია, რომ იგი ხელს უწყობს ეკონომიურ განვითარებას, აადვილებს კონკურენციას და კაპიტალის მოზღვავებას მიწათმოქმედებაში, ამცირებს პურის ფასს და სხვ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში ა რ შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა, მაშასადამე, ახლანდელი გლეხთა რევოლუციის ეპოქაში საკმაოდ დიდად განვითარებული კაპიტალიზმის დროს ცარიელი და ზოგადი უარყოფით მოვეპყრათ ნაციონალიზაციას. ეს იქნებოდა ვიწრო, ცალმხრი-

ვი, უხეში, ბეცი შეხედულება. ჩვენ გლეხს მხოლოდ უნდა განვუმარტოთ ნაციონალიზაციის, როგორც სასარგებლო ღონისძიების, აუცილებელი პოლიტიკური წანამძღვარნი, ხოლო შემდეგ უნდა ვუჩვენოთ მისი ბურჟუაზიული ხასიათი (სწორედ ამას აკეთებს ჩემი პროგრამის მე-3 ნაწილი, რომელიც ახლა გამაერთიანებელი ყრილობის რეზოლუციაშია შეტანილი *).

ვამთავრებ რა ყრილობაზე აგრარული საკითხის გამო წარმოებული დავის ამბავს, აღვნიშნავ კიდევ, რა შესწორებანი შემოჰქონდათ მასლოვის პროგრამის პროექტისა. როდესაც კენჭი უყარეს საკითხს, თუ პროგრამის რომელი პროექტი მიეღოთ საფუძვლად, მასლოვის პროექტმა პირველად მიიღო სულ 52 ხმა, ე. ი. ნახევარზე ნაკლები. დაყოფამ მიიღო დაახლოებით 40 ხმა (მე «დაყოფის მომხრეებს» შევუერთდი, რათა არ დამექსაქსა ხმები მუნიციპალიზაციის წინააღმდეგ). მხოლოდ მეორედ კენჭისყრის დროს მასლოვის პროექტმა შეაგროვა 60-ზე ცოტა მეტი ხმა, როდესაც ყველა მერყეევმა ხმა მისცა მას, რათა პარტია აგრარულ საკითხში სულ უპროგრამოდ არ დარჩენილიყო.

შესწორებათაგან მენშევიკებმა ჩაშალეს ერთი, რომელიც შეეხებოდა ცნების — დემოკრატიული სახელმწიფოს უფრო ზუსტად განსაზღვრას. ჩვენ წინადადება შევიტანეთ გვეთქვა: «დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს ხალხის თვითმპყრობელობას». ეს შესწორება გამომდინარეობდა ზემოთ მოხაზული აზრიდან, რომ მუნიციპალიზაცია ცენტრალური სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სრული დემოკრატიზმის გარეშე პირდაპირ მავნებელია და შეიძლება კადეტურ აგრარულ რეფორმად გადაგვარდეს. შესწორებამ დიდი აურზაური გამოიწვია. იმ წუთში მე სწორედ სხდომის დარბაზში არ ვყოფილვარ. მახსოვს, როდესაც ვბრუნდებოდი და მეზობელი ოთახი გავიარე, გამაკვირვა არაჩვეულებრივმა ხმაურობამ «კულუარებში» და უამრავმა სახუმარო წამოძახილმა: «ამხანაგმა ჯონმა რესპუბ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 222 — 223. რედ.

ლიკა გამოაცხადა!». «მას რესტ ვრაციისაგან გარანტია არ აღმოაჩნდა». «ამხანაგმა პლეხანოვმა მონარქიის რესტავრაცია მოახდინა».

როგორც გადმომცეს, საქმე ასე ყოფილა. მენშევიკებმა, მენშევიკური ბუნებისათვის დამახასიათებელი ფხუკიანობის გამო, იწყინეს შესწორება, რადგან მასში დაინახეს ოპორტუნიზმის მხილების სურვილი: აი, დახეთ, მენშევიკები რესპუბლიკის წინააღმდეგნი არიანო. გაისმა აღშფოთებული სიტყვები და ყვირილი. ბოლშევიკებიც გაცხარდნენ, როგორც ეს ხდება ხოლმე. მოითხოვეს სახელობითი კენჭისყრა. მაშინ ვნებათა ღელვა საბოლოოდ გაღვივდა. ამხანაგი ჯონი შეშფოთდა, მას არ უნდოდა განხეთქილება ჩამოეგდო, თან, რასაკვირველია, სრულიად არაფერი ჰქონდა «რესპუბლიკის საწინააღმდეგო», ადგა და განაცხადა, ვხსნი ჩემს ფორმულირებას და შესწორებას ვუერთდებიო. ბოლშევიკები ტაშს უკრავენ «რესპუბლიკის გამოცხადებას». მაგრამ ამხანაგი პლეხანოვი თუ ვიღაც სხვა მენშევიკთაგანი საქმეში ერევა, დავობს, ხელახალ კენჭისყრას მოითხოვს, და «მონარქიაც აღდგენილ იქნა» — როგორც მიამბეს — სულ! რაღაც 38 ხმით 34 წინააღმდეგ (ეტყობა, ბევრნი სხდომის დარბაზში არ ყოფილან ანდა თავი შეუკავებიათ).

მიღებულ შესწორებათაგან უნდა აღინიშნოს სიტყვა «განსხვისების» შეცვლა სიტყვით «კონფისკაცია». შემდეგ «მუნიციპალისტებს» მაინც უნდა დაეთმოთ დაყოფის მომხრეებისათვის, და ამხანაგმა კოსტროვმა შეიტანა შესწორება, რომელიც პირობითად დასაშვებად სთვლიდა დაყოფასაც. მასლოვის პირვანდელი პროგრამის მაგივრად მივიღეთ, როგორც ყრილობაზე ოხუნჯობდნენ, «დასაჭურისებული» პროგრამა. არსებითად, მასში არეულია ნაციონალიზაციაც (განსაზღვრული მიწები ხალხის საერთო საკუთრებად გადადის), მუნიციპალიზაციაც (მიწების ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობის მსხვილი ორგანოების განკარგულებაში გადადის) და, ბოლოს, დაყოფაც. მასთან არც პროგრამასა და არც ტაქტიკურ რეზოლუციაში არ არის სრული სიზუსტით

განსაზღვრული, როდის უნდა დავუჭიროთ მხარი მუნიციპალიზაციას და როდის — დაყოფას. ბოლოს და ბოლოს მივიღეთ არათუ სრულიად გამართული, არამედ მთლად კოჭლი პროგრამა *.

IV

რევოლუციური მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შეფასება

სათაურში დასახელებული საკითხი ყრილობის მეორე საკითხად იყო დასმული. მომხსენებლად ვიყავით მარტინოვი და მე. ამხ. მარტინოვი თავის მოხსენებაში, კაცმა რომ თქვას, არ იცავდა რეზოლუციის მენშევიკურ პროექტს, რომელიც «პარტიინიე იზვესტიას» მეორე ნომერში დაიბეჭდა. მან ამჯობინა მოეცა თავის შეხედულებათა «ზოგადი ნარკვევი» და ზოგადი კრიტიკა იმისა, რასაც მენშევიკები ბოლშევიკურ შეხედულებებს უწოდებენ.

იგი ლაპარაკობდა სათათბიროზე, როგორც პოლიტიკურ ცენტრზე, ძალაუფლების დაპყრობის იდეის მავნებლობაზე, რევოლუციურ ეპოქაში კონსტიტუციური მშენებლობის დიდ მნიშვნელობაზე. იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა დეკემბრის აჯანყებას, მოგვიწოდებდა აშკარად გვეღიარებინა ჩვენი დამარცხება და ბრალს სდებდა ჩვენს რეზოლუციას გაფიცვისა და აჯანყების საკითხის «ტექნიკურად» დაყენების გამო. ის ამბობდა, «კადეტები, მიუხედავად თავიანთი ანტირევოლუციურობისა, რევოლუციის შემდგომი განვითარებისთვის ხარაჩოებს აშენებენო» (რატომ არ არის ეს ნათქვამი თქვენს რეზოლუციებში? ვეკითხებოდით ჩვენ); მან თქვა:

* მასლოვის «დასაჭურისებული» პროგრამის ყველაზე მკვეთრი კრიტიკა ყრილობაზე მოგვცა ერთმა ამხანაგმა-მენშევიკმა (სტრუმილინმა), ნაწილობრივი დაყოფის მომხრემ. მან წაიკითხა წერილობითი განცხადება, რომელშიც შესანიშნავად მოსწრებულად და დაუნდობლად აღნიშნავდა — შეიძლება, უფრო სწორიც იქნება ვთქვათ, ამათრახებდა — მიღებული პროგრამის შინაგან წინააღმდეგობას. სამწუხაროდ, მე არაფერი ჩამიწერია მისი წაკითხული სიტყვიდან.

«ჩვენ რევოლუციური აფეთქების წინახანს განვიცდითო» *. (რატომ არ არის ეს თქვენს რეზოლუციაში? კვლავ შევეკითხეთ ჩვენ). მან, სხვათა შორის, თქვა: «ობიექტურად კადეტები უფრო დიდ როლს შეასრულებენ, ვიდრე ესერები». ძალაუფლების დაპყრობის შედარება ტკაჩოვის იდეებთან, პირველ რიგში წამოყენება სათათბიროსი, როგორც «კონსტიტუციური მშენებლობის» დასაწყისისა, როგორც ქვაკუთხედისა «საწარმომადგენლო დაწესებულებათა» წყობაში, — ასეთი იყო ამხანაგ მარტინოვის მოხსენების ძირითადი აზრი. როგორც ყველა მენშევიკი, იგი პასიურად უგუებდა ჩვენს ტაქტიკას მოვლენათა მსვლელობის მცირეოდენ ხვეულს, უმორჩილებდა მას მომენტის ინტერესებს, წუთიერ საჭიროებებს (ანუ მოჩვენებითს საჭიროებებს) და უნებურად ამცირებდა პროლეტარიატის, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში მოწინავე მებრძოლის, მთავარსა და ძირითად ამოცანებს.

ჩემი მოხსენება ავაგე ყრილობაზე წარდგენილი ორივე რეზოლუციის ზუსტ შედარებაზე. ორივეში, ვამბობდი მე, აღიარებულია, რომ რევოლუცია ახალი აღმავლობისაკენ მიდის, რომ ჩვენი ამოცანაა — ვეცადოთ მისი ბოლომდე მიყვანა და, ბოლოს, რომ ამ ამოცანის შესრულება ძალუძს მხოლოდ პროლეტარიატს რევოლუციურ გლეხობასთან ერთად. თითქოს, ეს სამი დებულება უნდა განსაზღვრავდეს ტაქტიკური ხაზის სრულ ერთიანობას. მაგრამ ნახეთ, ამ ორი რეზოლუციიდან რომელი უფრო თანამიმდევრად ატარებს ამ ძირითად თვალსაზრისს? რომელი უფრო სწორად ასაბუთებს მას და უფრო მართებულად აღნიშნავს მისგან გამომდინარე დასკვნებს?

და მე ცხადვყოფდი, რომ მენშევიკური რეზოლუციის დასაბუთება არაფრად არ ვარგა, რომ იგი უბრალო ფრაზაა და არა დასაბუთება («ბრძოლამ მთავრობას სხვა არჩევანი

* ბრჭყალებში ის სიტყვები მომყავს, რომელნიც ჩემს შენიშვნებში აღმოჩნდა ჩაწერილი.

აღარ დაუტოვა». ეს ლიტონი ფრაზის ნიმუშია! სწორედ ეს უნდა დამტკიცოთ და ისიც არა ამ ფორმით. მენშევიკები კი ისეთი დებულებით იწყებენ, რომელიც დამტკიცებული არაა და არც შეიძლება დამტკიცდეს). მე ვამბობდი, ვინც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ აღიარებს რევოლუციის აღმავლობის აუცილებლობას, მან სათანადო დასკვნაც უნდა გააკეთოს მოძრაობის მ თ ა ვ ა რ ი ფორმის შესახებ-მეთქი. განა ამაში არ მდგომარეობს ძირითადი მეცნიერული და პოლიტიკური საკითხი, რომელიც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ და რომლისაგან მენშევიკები თავს იძვრენენ: როდესაც სათათბიროა, — სათათბიროს გავყვეთ, როდესაც გაფიცვები და აჯანყებაა, — გაფიცვებსა და აჯანყებას გავყვეთო, ხოლო მოძრაობის ამა თუ იმ ფორმის აუცილებლობის გათვალისწინება მათ არა სურთ ან არ შეუძლიათ. მათ ვერ გაუბედნიათ პროლეტარიატსა და მთელ ხალხს უთხრან, მოძრაობის რომელი ფორმაა მ თ ა ვ ა რ ი. ხოლო თუ ასეა, მაშინ სიტყვები რევოლუციის აღმავლობაზე და ბოლომდე მის მიყვანაზე (მენშევიკებმა მეტად უხეიროდ თქვეს: ლ ო გ ი კ უ რ ბოლომდე) — ცარიელი ფრაზაა. ეს სახელდობრ ნიშნავს: კი არ ავამაღლოთ პროლეტარიატი რევოლუციის მოწინავე ბელადის როლამდე, ბელადისა, რომელიც უფრო ღრმად და უფრო ფართოდ აფასებს მას, თავის ტაქტიკას დემოკრატიის ზოგადი და ძირითადი ინტერესებით განსაზღვრავს, არამედ ჩამოვაქვეითოთ პროლეტარიატი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პასიური მონაწილისა და უბრალო «შავი მუშის» როლამდე.

მენშევიკები, ვამბობდი მე, იღებენ მხოლოდ პირველ ნახევარს ჰეგელის ცნობილი დებულებიდან: «ყოველივე ნამდვილი გონივრულია, ყოველივე გონივრული ნამდვილია». სათათბირო სინამდვილეა. მაშასადამე, სათათბირო გონივრულია, ამბობენ ისინი და ამით კმაყოფილდებიან. სათათბიროს გარეთ ბრძოლა «გონივრულია», — ვუპასუხებთ ჩვენ. იგი ობიექტური აუცილებლობით გამომდინარეობს მთელი თანამედროვე მდგომარეობიდან. მაშასადამე, იგი «სინამდვილეა», თუმცა ამჟამად დათრგუნვილია. ჩვენ მონურად კი არ უნდ!

მივდევდეთ მომენტს; ეს ოპორტუნიზმი იქნება. ჩვენ მოვლენათა უფრო ღრმა მიზეზები და ჩვენი ტაქტიკის უფრო შორეული შედეგები უნდა გავითვალისწინოთ.

მენშევიკები თავიანთ რეზოლუციაში აღიარებენ, რომ რევოლუცია აღმავლობისაკენ მიდის, რომ პროლეტარიატმა გლეხობასთან ერთად იგი ბოლომდე უნდა მიიყვანოს. მაგრამ ვინც ამას სერიოზულად ფიქრობს, მას დასკვნების გამოტანაც უნდა შეეძლოს. თუ გლეხობასთან ერთად, — მაშასადამე, თქვენ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია (კადეტები და სხვ.) საიმედოდ არ მიგაჩნიათ. რატომ არ ამბობთ ამას, როგორც ეს ჩვენს რეზოლუციაშია ნათქვამი? რატომ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებთ კონსტიტუციურ ილუზიებთან, ე. ი. ძველი თვითმპყრობელური მთავრობის დაპირებებისა და კანონების რწმენასთან ბრძოლის აუცილებლობას? კადეტებს ამ ბრძოლის მივიწყება სჩვევიათ; კადეტები თვითონ ავრცელებენ კონსტიტუციურ ილუზიებს. მაგრამ სოციალ-დემოკრატი, რომელიც რევოლუციურ მომენტში კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლის ამოცანას ივიწყებს, პ ო ლ ი ტ ი კ ა შ ი კადეტს უთანაბრებს თავს. რა ფასი აქვს მთელ ამ ლაპარაკს «რევოლუციის აღმავლობის», «მისი ბოლომდე მიყვანის», «ახალი რევოლუციური აფეთქების» შესახებ, თუ სინამდვილეში სოციალ-დემოკრატი ხალხის წინაშე კონსტიტუციურ ილუზიებს არ ამხელს?

კონსტიტუციურ ილუზიათა საკითხი, ეს სწორედ ის საკითხია, რომლის მიხედვითაც ამჟამად ყველაზე ადვილად და ყველაზე უტყუარად შეიძლება ოპორტუნისტის გარჩევა რევოლუციის შემდგომი განვითარების მომხრისაგან. ოპორტუნისტი გაურბის ამ ილუზიების მხილებას. რევოლუციის მომხრე შეუბრალებლად ააშკარავებს ამ ილუზიების სიყალბეს. და აი, ს.-დ. მენშევიკები კრინტს არ სძრავენ ასეთ საკითხზე!

მენშევიკებს ვერ გაუბედნიათ აშკარად და პირდაპირ თქვან, რომ ბრძოლის ოქტომბერ-დეკემბრის ფორმები უვარგისი და არასასურველია და ისინი ამას ყველაზე უარესი,

ფარული, არაპირდაპირი, მიკიბ-მოკიბული ფორმით ამბობენ. ეს სრულიად არ ეკადრება სოციალ-დემოკრატს.

ასეთი იყო ჩემი მოხსენების ძირითადი დებულებანი.

ამ მოხსენებათა გამო გამართული კამათიდან საჭიროა შემდეგი დამახასიათებელი ინციდენტები აღინიშნოს. ამხანაგმა, რომელიც ყრილობაზე ბორის ნიკოლოზის-ძეს [110] უწოდებდა თავს, მაიძულა ჩემს საბოლოო სიტყვაში წამომეძახნა: კარგ მონადირეს ნადირიც ეტანება-მეთქი. იმაზე რელიეფურად მენშევიზმის მთელი «არსის» ერთად შეკრება, როგორც ეს მან შესძლო, ძნელი იყო. ეს «კურიოზია», ამბობდა იგი, რომ ბოლშევიკებს «მოძრაობის მ თ ა ვ ა რ ფ ო რ მ ა დ» მიაჩნიათ არა ლეგალური და არა კონსტიტუციური ფორმა, არამედ ხალხის ფართო მასების რევოლუციური მოძრაობა. ეს «სასაცილოა», რადგან ასეთი მოძრაობა ამჟამად არ არსებობს, ხოლო სათათბირო კი არსებობსო. «მეტაფიზიკა» და «ფრაზეოლოგიაა» სიტყვები პროლეტარიატის, როგორც «მეთაურის» ან «ბელადის» როლზე, «მაჩანჩალად» მისი გადაქცევის შესაძლებლობაზეო და სხვ.

მოიხსენით თქვენი კადეტური სათვალე! — ვუპასუხე ამ თანამიმდევარ მენშევიკს. — მაშინ თქვენ რუსეთში დაინახავთ გლეხთა მოძრაობასაც, ჯარის მღელვარებასაც და უმუშევართა მოძრაობასაც; თქვენ დაინახავთ ბრძოლის იმ ფორმებს, რომელნიც ამჟამად «მიმალულან» და რომელთა უარყოფას ზომიერი ბურჟუებიც კი ვერ ბედავენ. ისინი პირდაპირ ლაპარაკობენ, ბრძოლის ეს ფორმები მავნებელი ან საჭირო არ არისო. ს.-დ. მენშევიკები კი დ ა ს ც ი ნ ი ა ნ ამ ფორმებს. ასეთია განსხვავება ბურჟუაზიასა და ს.-დ. მენშევიკებს შორის. სწორედ ისე, როგორც ბერნშტეინს, გერმანელ მენშევიკს, მემარჯვენე ფრთის გერმანელ სოციალ-დემოკრატს დაემართა. ბურჟუაზია ბრძოლის რევოლუციურ ფორმებს XIX საუკუნის დამლევის გერმანიაში სთვლიდა და აცხადებდა პირდაპირ მავნებლად. ბერნშტეინი ამ ფორმებს დ ა ს ც ი ნ ო დ ა.

რაკი ყრილობაზე ბერნშტეინის საკითხს შეეხნენ, ამას ბუნებრივად მოჰყვა კითხვა: რისთვის აქებს ბურჟუაზია პლეხანოვს? ის ფაქტი, რომ რუსეთის ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთებისა და გამოცემების მთელი უზარმაზარი მასა და თვით ოქტიაბრისტული «სლოვოც» კი მეტად გულმოდგინედ აქებდა პლეხანოვს, — ეს ფაქტი არ შეიძლებოდა არ აღენიშნათ ყრილობაზე.

პლეხანოვმა გამოწვევა მიიღო. ბერნშტეინს ბურჟუაზია იმისთვის კი არ აქებდა, რისთვისაც მე მაქებსო, თქვა მან. ბერნშტეინს იმისთვის აქებდნენ, რომ ის ბურჟუაზიას უთმობდა ჩვენს თეორიულ იარაღს: მარქსიზმს. მე კი ტაქტიკისათვის მაქებენო. სიტუაცია სხვაგვარიაო.

პლეხანოვს ამაზე პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა და მე ვუპასუხეთ. ჩვენ ორივემ აღვნიშნეთ, პლეხანოვი მართალი არ არისო. ბერნშტეინს ბურჟუაზია მარტო თეორიისათვის როდი აქებდა, და, კაცმა რომ თქვას, სრულიადაც არა თეორიისათვის. ბურჟუაზიას ფეხებზე ჰკიდია ყოველგვარი თეორია. ბურჟუაზია მემარჯვენე ფრთის გერმანელ სოციალ-დემოკრატებს იმისთვის აქებდა, რომ ისინი სხვა ტაქტიკაზე მიუთითებდნენ. ტაქტიკისათვის აქებდნენ მათ. რეფორმისტების ტაქტიკისათვის რევოლუციური ტაქტიკისაგან განსხვავებით. მთავარ და თითქმის ერთადერთ ბრძოლად ლეგალური, პარლამენტური, რეფორმისტული ბრძოლის აღიარებისათვის. სოციალ-დემოკრატიის დემოკრატიულ-სოციალურ რეფორმათა პარტიად გადაქცევისადმი მისწრაფებისათვის. აი რისთვის აქებდნენ ბერნშტეინს. მას ბურჟუები აქებდნენ სოციალისტური რევოლუციის წინახანის ეპოქაში შრომასა და კაპიტალს შორის არსებულ წინააღმდეგობათა მიჩლუნგებისათვის. პლეხანოვს ბურჟუაზია აქებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში რევოლუციურ ხალხსა და თვითმპყრობელობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა მიჩლუნგებისათვის. პლეხანოვს აქებენ ბრძოლის მთავარ ფორმად «პარლამენტური» ბრძოლის აღიარებისათვის, ოქტომბერ-

დეკემბრის ბრძოლისა და განსაკუთრებით შეიარაღებული აჯანყების დაგმობისათვის. პლეხანოვს იმიტომ აქებენ, რომ თანამედროვე ტაქტიკის საკითხებში იგი ს.-დ. მემარჯვენე ფრთის ბელადი გახდა.

დამავიწყდა დამერთო, თუ როგორ ეჭირათ თავი მენშევიკებს კონსტიტუციური ილუზიების საკითხზე კამათის დროს. რაოდენადმე მტკიცე პოზიცია მათ არ დაუჭერიათ: ზოგი მათგანი ამბობდა, კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლა ს.-დ. მუდმივი ამოცანაა და სრულიადაც არა ახლანდელი მომენტის სპეციალური ამოცანაო. სხვები (პლეხანოვი) კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლას ანარქიზმად აცხადებდნენ. კონსტიტუციური ილუზიების საკითხში მენშევიკების ამ ორ უკიდურეს და მოპირდაპირე შეხედულებაში განსაკუთრებით რელიეფურად აშკარავდებოდა მათი პოზიციის სრული უილაჯობა. როდესაც კონსტიტუციური წყობილება განმტკიცებულია, როდესაც გარკვეული დროისათვის კლასთა ბრძოლისა და საერთოდ პოლიტიკური ბრძოლის მთავარ ფორმად კონსტიტუციური ბრძოლა გადაქცეულა, მაშინ კონსტიტუციური ილუზიების მხილება არ წარმოადგენს ს.-დ. სპეციალურ ამოცანას, მომენტის ამოცანას. რატომ? იმიტომ, რომ ასეთ მომენტებში საქმეები კონსტიტუციურ სახელმწიფოებში სწორედ ისე წყდება, როგორც პარლამენტებში. კონსტიტუციური ილუზიები — ეს არის კონსტიტუციისადმი ყალბი რწმენა. კონსტიტუციური ილუზიები პირველ რიგში მაშინ დგება, როდესაც გვეჩვენება, რომ კონსტიტუცია არსებობს, ნამდვილად კი იგი არ არის, — სხვანაირად რომ ვთქვათ: როდესაც სახელმწიფოში საქმეები წყდება არა ისე, როგორც პარლამენტებში. როდესაც ნამდვილი პოლიტიკური ცხოვრება შორდება მის ანარეკლს პარლამენტურ ბრძოლაში, მაშინ და მხოლოდ მაშინ ხდება მოწინავე რევოლუციური კლასის, პროლეტარიატის მორიგ საქმედ კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლა. ლიბერალური ბურჟუები, რომელთაც ეშინიათ პარლამენტგარეშე ბრძოლისა, კონსტიტუციურ ილუზიებს ავრცელებენ მაშინაც კი, როდე-

საც პარლამენტები უძლურნი არიან. ანარქისტები სრულიად, ყველა და ყოველგვარ გარემოებაში უარყოფენ პარლამენტებში მონაწილეობას. სოციალ-დემოკრატები საპარლამენტო ბრძოლის გამოყენების, მასში მონაწილეობის მომხრენი არიან, მაგრამ ისინი შეუბრალებლად ამხელენ «პარლამენტურ კრეტინიზმს», ე. ი. იმის რწმენას, თითქოს პარლამენტური ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი ანდა ყოველგვარ პირობებში მთავარი ფორმა იყოს.

დაშორებულია თუ არა რუსეთში პოლიტიკური სინამდვილე სათათბიროს გადაწყვეტილებებსა და სიტყვებს? წყდება თუ არა საქმეები ჩვენს სახელმწიფოში ისე, როგორც სათათბიროში წყდება? გამოხატავენ თუ არა «სათათბიროს» პარტიები რაოდენადმე სწორად რეალურ პოლიტიკურ ძალებს რევოლუციის ახლანდელ მომენტში? საკმარისია ეს საკითხები დაისვას, რომ გავიგოთ კონსტიტუციური ილუზიების საკითხში მენშევიკების უმწეო დაბნეულობა.

ეს დაბნეულობა ყრილობაზე განსაკუთრებით რელიეფურად იმით გამოიხატა, რომ მენშევიკებმა, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენდნენ, კენჭიც კი არ უყარეს თავის რეზოლუციას მიმდინარე მომენტის შეფასების შესახებ. მათ მოხსნეს თავიანთი რეზოლუცია! ბოლშევიკებმა ყრილობაზე ბევრი იცინეს ამის გამო. გამარჯვებულნი ხსნიან თავიანთ ძლევამოსილ რეზოლუციასაო, — ასე ლაპარაკობდნენ მენშევიკების ამ არაჩვეულებრივ და გაუგონარ საქციელზე ყრილობათა ისტორიაში. მოითხოვეს და კიდეც მიაღწიეს სახელობითს კენჭისყრას ამ საკითხზე, თუმცა მენშევიკები ძალიან კურიოზულად კი ბრაზობდნენ ამის გამო და წერილობითი განცხადებები შეჰქონდათ ბიუროში, — «ლენინი ყრილობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ სააგიტაციო მასალას აგროვებსო». თითქოს მასალის შეგროვების ეს უფლება ყოველგვარი ოპოზიციის უფლებას და მოვალეობას არ შეადგენდეს! და თითქოს ჩვენს გამარჯვებულთ თავიანთი გაბრაზებით ხაზი არ გაესვათ იმ გაუგონრად უხერხული

მდგომარეობისათვის, რომელშიც ისინი ჩავარდნენ თავიანთ საკუთარ რეზოლუციაზე უარის თქმის გამო! დამარცხებულნი დაჟინებით მოითხოვენ, რომ გამარჯვებულებმა თავიანთი ძლევამოსილი რეზოლუცია მიიღონ. ამაზე უფრო გარკვეულად გამოხატულ მორალურ გამარჯვებას ვერც კი ვისურვებდით.

რა თქმა უნდა, მენშევიკები ამბობდნენ, რომ მათ არა სურთ თავს მოგვახვიონ ის, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით, არ სურთ ძალადობა და სხვა. გასაგებია, რომ ამგვარ ბოდიშებს ღიმილით და სახელობითი კენჭისყრის განმეორებითი მოთხოვნით ხვდებოდნენ. იმ საკითხებში, რომლებშიც მათ სჯეროდათ თავიანთი სიმართლე, მენშევიკებს ხომ არ ეშინოდათ «თავს მოეხვიათ» ჩვენთვის თავიანთი აზრი, არ ეშინოდათ «ძალადობისა» (ან რა საჭირო იყო ეს საშინელი სიტყვა?) და ა. შ. რეზოლუცია მომენტის შეფასების შესახებ პარტიას არავითარი მოქმედებისაკენ არ მოუწოდებდა. მაგრამ უმისოდ პარტიას არ შეეძლო გ ა ე გ ო ყრილობის მთელი ტაქტიკის პრინციპული საფუძვლები და მ ო ტ ი ვ ე ბ ი.

ამ მხრივ რეზოლუციის მოხსნა პრაქტიკული ოპორტუნიზმის უმაღლესი გამოხატულება იყო. ჩვენი საქმეა სათათბიროში ვიყოთ, როდესაც სათათბირო არსებობს; ხოლო არავითარი ზოგადი მსჯელობა, არავითარი ზოგადი შეფასება, არავითარი მოფიქრებული ტაქტიკა ჩვენ არ გვესაჭიროებაო. აი რა უთხრეს მენშევიკებმა პროლეტარიატს' რეზოლუციის მოხსნით.

უეჭველია, მენშევიკები დარწმუნდნენ თავიანთი რეზოლუციის უვარგისობასა და მცდარობაში. ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ ადამიანებმა, რომლებიც დარწმუნებული არიან თავიანთ შეხედულებათა სიმართლეში, უარი თქვან ამ შეხედულებათა პირდაპირ და გარკვევით გამოხატვაზე. მაგრამ თავიდათავიც სწორედ ისაა, რომ მენშევიკებმა თავიანთ რეზოლუციაში ვერავითარი შესწორების შეტანაც კი ვერ შესძლეს. მაშასადამე, მათ არ შეეძლოთ ერთმანეთს შორის შეთანხმებულიყვნენ მომენტის შეფასებისა და საერთოდ

პროლეტარიატის კლასობრივ ამოცანათა შეფასების ვერც ერთ არსებითს საკითხში. მათ შეთანხმება შეეძლოთ მხოლოდ უარყოფით გადაწყვეტილებაზე: საკუთარ მოეხსნათ რეზოლუცია. მენშევიკები ბუნდოვნად გრძნობდნენ, რომ თავიანთი საკუთარი პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი რეზოლუციის მიღებით ისინი ძირს გამოუთხრიდნენ თავიანთ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ რეზოლუციებს. მაგრამ საქმეს ვერ უშველეს. მენშევიკებისა და ბოლშევიკების რეზოლუციები მომენტის შეფასების შესახებ შეუძლია და უნდა განიხილოს და ერთმანეთს შეადაროს კიდეც მ თ ე ლ მ ა პარტიამ, ყ ვ ე ლ ა პარტიულმა ორგანიზაციამ. საკითხი ღიად დატოვეს. მისი გადაწყვეტა კი საჭიროა. და ორივე აღნიშნული რეზოლუციის შედარება პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილებასთან, თუნდაც კადეტური სათათბიროს გაკვეთილებთან, მშვენივრად ადასტურებს რუსეთის რევოლუციის მომენტსა და პროლეტარიატის კლასობრივ ამოცანებზე ბოლშევიკურ შეხედულებათა სისწორეს.

V

დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროსადმი

მომხსენებლად სახელმწიფო სათათბიროს საკითხზე იმ ფრაქციისაგან, რომელიც სჭარბობდა ყრილობაზე, ამხ. აქსელროდი იყო. გრძელ სიტყვაში მანაც მოგვცა არა ორივე რეზოლუციის (კომისიამ ორი რეზოლუცია წარმოადგინა, რადგან ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის შეთანხმება ვერ მოხდა) შედარებითი შეფასება, სათანადო საკითხზე უმცირესობის ყველა შეხედულების არა ზუსტი დალაგება, არამედ პარლამენტარიზმის მნიშვნელობის «ზოგადი ნარკვევი». მომხსენებელმა ფართო მასშტაბი აიღო, დიდ ისტორიულ თემას მოეკიდა და — და გვიხატავდა იმის სურათს, თუ რა არის პარლამენტარიზმი, როგორია მისი მნიშვნელობა, რა როლს თამაშობს იგი პროლეტარიატის ორგანიზაციის განვითარებაში, აგიტაციის საქმეში, მისი შეგნების გათვით-

ცნობიერებაში და სხვა. მომხსენებელი განუწყვეტლივ «ანარქისტულ-შეთქმულებითს» შეხედულებებისაკენ იქნევდა თავს და სავსებით აბსტრაქციათა სფეროში, ზოგად აზრთა და ისეთ მშვენიერ ისტორიულ მოსაზრებათა ზეციურ სამყაროში ნავარდობდა, რომლებიც გამოსადეგია ყველა დროისათვის, ყველა ერისათვის, საერთოდ ყველა ისტორიული მომენტისათვის, — ოღონდ თავისი აბსტრაქტულობის გამო უვარგისია ჩვენს წინაშე დასახული კონკრეტული საკითხის კონკრეტულ თავისებურებათა გასათვალისწინებლად. მე დამახსოვდა აქსელროდის მიერ საკითხის ამ არაჩვეულებრივ აბსტრაქტული და უშინაარსო ზოგადი დაყენების შემდეგი განსაკუთრებით რელიეფური გამოხატულება. თავის სიტყვაში იგი ორჯერ (მე ეს აღვნიშნე) შეეხო კადეტებთან სოციალ-დემოკრატების მორიგებათა თუ შეთანხმებათა საკითხს. ერთხელ ამ საკითხს იგი გაკვრით შეეხო, მედიდურად და ორიოდე სიტყვით გაილაშქრა ყოველგვარი შეთანხმების წინააღმდეგ. მეორედ ამ საკითხზე იგი უფრო დაწვრილებით შეჩერდა და თქვა: საზოგადოდ რომ ითქვას, შეთანხმებანიც დასაშვებიაო. ოღონდ აუცილებელია ეს შეთანხმებანი რაღაც კომიტეტების ჩურჩულში კი არ მდგომარეობდეს, არამედ აშკარა, მთელ მუშათა მასისათვის დასანახ და ნათელ შეთანხმებაში, რომელიც დიდ პოლიტიკურ ნაბიჯს ან საქმეს უნდა წარმოადგენდესო. იგი აამაღლებდა პროლეტარიატს მისი პოლიტიკური ძალის მნიშვნელობის მხრივ, უფრო ნათლად და ცხადად დაანახვებდა მას ამა თუ იმ კლასის პოლიტიკურ მექანიზმს და სხვადასხვანაირ მდგომარეობას, სხვადასხვანაირ ინტერესებს. იგი პროლეტარიატს ჩააბამდა განსაზღვრულ პოლიტიკურ ურთიერთობაში, ასწავლიდა მტრების გამოცნობასაო და სხვა, და ასე შემდეგ. სწორედ ამგვარ მსჯელობათაგან შესდგებოდა ამხ. აქსელროდის უშველებელი «მოხსენება»,— მათი მოყოლა შეუძლებელია, შეიძლება მხოლოდ მათი დასურათება ამა თუ იმ ცალკეული მაგალითით.

ჩემს საპასუხო მოხსენებაში უწინარეს ყოვლისა განვაცხადე, რომ აქსელროდმა დაგვიხატა მეტად ლამაზი, თუ გნე-

ბავთ, წარმტაცი სურათი. იგი მას სიყვარულითა და ხელოვნებით ხატავდა, ფერადოვან სალებავებს ხმარობდა, ფაქიზ ნაკვთებს ავლებდა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ეს სურათი ნატურიდან როდია გადაღებული. რაღა გვეთქმის, სურათი კარგია, მაგრამ მისი სიუჟეტი ფანტასტიკურია. საუცხოო ეტიუდია საერთოდ პარლამენტარიზმის მნიშვნელობის თემაზე, მშვენიერი პოპულარული ლექციაა საწარმომადგენლო დაწესებულებათა როლის შესახებ. სამწუხაროა მხოლოდ, რომ რუსეთის ახლანდელი, უკაცრავად პასუხია, «პარლამენტის» კონკრეტულ ისტორიულ პირობებზე არაფერია ნათქვამი და ამ მხრივ სრულიად არაფერია განმარტებული. აქსელროდმა თავისი თავი თვითონვე მშვენივრად გასცა, ვამბობდი მე, როდესაც კადეტებთან შეთანხმებაზე მსჯელობდა. მან აღიარა, რომ ამგვარ შეთანხმებათა მნიშვნელობა, რაც ნამდვილი პარლამენტარიზმის დროს ზოგჯერ აუცილებელია, დამოკიდებულია აშკარა გამოსვლაზე მასის წინაშე, ძველებური «ჩურჩულის» განდევნისა და მის მაგივრად მასებში აგიტაციის, მასების დამოუკიდებლობის, მასების წინაშე გამოსვლის მოწყობის შესაძლებლობაზე.

თქმა არ უნდა, საუცხოო რამ არის. მერე და, შესაძლებელია თუ არა ყოველივე ეს რუსეთის «პარლამენტური» წყობილების დროს? ანდა, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ჩვენი რეალური (და არა სურათიდან გადმოღებული) სინამდვილის ობიექტური პირობების გამო განა ამგვარი ფორმით წარმოებს რუსეთში ნამდვილად მასობრივი გამოსვლები? განა, ამხანაგო აქსელროდ, საქმე ისე არ ეწყობოდა ხოლმე, რომ მასების წინაშე თქვენთვის სასურველი გამოსვლები სოციალ-დემოკრატებისა არალეგალური ფურცლებით გამოიხატებოდა, ხოლო კადეტებს გაზეთები მილიონობით ეგზემპლარებად მოეპოვებოდათ? პარლამენტარიზმის მშვენიერებათა (რასაც არავინ არ უარჰყოფს) სრულიად ამაო გადმოცემის მაგივრად განა არ აჯობებდა დაგესურათებინათ, თუ როგორაა რეალურ სინამდვილეში ს.-დ. გაზეთების, კრებების, კლუბების, კავშირების საქმე? მართლაცდა თქვენ, ევროპელს, ხომ არ დაგიწ-

ყებთ მტკიცებას, რომ თქვენი ზოგადი მსჯელობა პარლამენ-ტიზმზე უთუოდ გულისხმობს გაზეთებსაც, კრებებსაც, კლუ-ბებსაც და კავშირებსაც, რომ ყოველივე ეს პარლამენ-ტური სისტემის ნაწილია?

რატომ დასჯერდა აქსელროდი თავის მოხსენებაში ზოგად მსჯელობასა და აბსტრაქტულ დებულებებს? იმიტომ, რომ მას უნდოდა ჩრდილში დაეტოვებინა რუსეთის 1906 წლის თებერვალ-აპრილის პერიოდის კონკრეტული პოლიტიკური სინამდვილე. ეს სინამდვილე გვიჩვენებს მეტად მწვავე წინააღმდეგურობას თვითმპყრობელობასა და ჩაგ-რულ, მაგრამ აღშფოთებულ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის. მსმენელები რომ მოეხიბლა საერთოდ პარლამენტარიზმის სურათით, საჭირო იყო ამ წინააღმდეგო-ბათა ნაკლებად მწვავედ წარმოდგენა, მათი მიჩლუნგება, კადეტებთან იდეალური, აშკარა შეთანხმების «იდეალური» გეგმის დახატვა, ხოლო, რაც მთავარია, საჭირო იყო ამ მწვავე წინააღმდეგობათა აბსტრაგირება, მათი მივიწყება, მათთვის დუმილით გვერდის ავლა.

რათა რეალური უთანხმოებანი გამეთვალისწინებინა და ცის სივრცეში არ მენავარდნა, ჩემს მოხსენებაში ორივე რეზოლუციას ერთმანეთს ვადარებდი და დაწვრილებითს ანალიზს ვუკეთებდი მათ. ამასთან სათათბიროს შესახებ მენ-შევიკებისა და ბოლშევიკების რეზოლუციებს შორის ოთხი ძირითადი განსხვავება აღმოჩნდა.

ჯერ ერთი, მენშევიკები არჩევნების არავითარ შეფასე-ბას არ იძლევიან. ყრილობის დროს არჩევნები რუსეთის $^{9}/_{10}$ -ში უკვე დამთავრებული იყო. ამ არჩევნებმა, უსათუოდ, მოგვცა უდიდესი პოლიტიკური მასალა, რომელიც იძლეოდა სინამდვილის სურათს და არა ჩვენი ფანტაზიის სურათს. ამ მასალას ჩვენ პირდაპირ და ზუსტად ვითვალისწინებდით, როდესაც ვამბობდით: იგი ამტკიცებს, რომ რუსეთის უამ-რავ ადგილას არჩევნებში მონაწილეობა კადეტებისთვის მხარის დაჭერას უდრიდა, რომ ეს არ იყო ნამდვილად სო-ციალ-დემოკრატიული პოლიტიკა. მენშევიკებს კრინტიც

არ დაუძრავთ ამაზე. მათ ეშინიათ საკითხის ამ კონკრეტულ ნიადაგზე დაყენებისა. მათ ეშინიათ სინამდვილეს პირდაპირ შეხედონ და გააკეთონ სავალდებულო დასკვნები ამ მდგომარეობიდან კადეტებსა და შავრაზმელთა შორის. რეალური არჩევნების, საერთოდ და მთლიანად მათი შედეგების შეფასებას ისინი არ იძლევიან, რადგან ასეთი შეფასება მათს საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

მეორე, მენშევიკები მთელ თავიანთ რეზოლუციაში სათათბიროს იღებენ ან იხილავენ მხოლოდ როგორც იურიდიულ დაწესებულებას და არა როგორც ბურჟუაზიის განსაზღვრული ელემენტების ნების (თუ უნებისყოფობის) გამომხატველ ორგანოს, არა როგორც ისეთ ორგანოს, რომელიც განსაზღვრულ ბურჟუაზიულ პარტიათა ინტერესებს ემსახურება. მენშევიკები თავიანთ რეზოლუციაში ლაპარაკობენ საერთოდ სათათბიროზე, სათათბიროზე, როგორც «ინსტიტუტზე», სათათბიროზე, როგორც «წმინდა» სახალხო წარმომადგენლობაზე. მსჯელობის ასეთი ხერხი არის არა მარქსისტული, არამედ წმინდა კადეტური, არა მატერიალისტური, არამედ იდეალისტური, ამ სიტყვის უცუდესი მნიშვნელობით, არა პროლეტარულ-კლასობრივი, არამედ ფილისტერულ-ბუნდოვანი.

აიღეთ, თუნდაც, მენშევიკური რეზოლუციის შემდეგი, მეტად დამახასიათებელი გამოთქმა, ვამბობდი მე ყრილობაზე: ...«4) რომ ეს კონფლიქტები (რეაქციასთან), აიძულებს რა სახ. სათათბიროს ფართო მასებში ეძებოს დასაყრდენი»... (მე ციტატები მომყავს მენშევიკების მიერ ყრილობაზე შემოტანილი პროექტიდან). სწორია თუ არა, რომ სათათბიროს შეუძლია და დაიწყებს დასაყრდენის ძებნას ფართო მასებში? რომელი სათათბირო? ოქტიაბრისტების სათათბირო? ალბათ, არა. გლეხთა და მუშათა დეპუტატების სათათბირო? მას არც სჭირდება დასაყრდენის ძებნა, რადგან მას დასაყრდენი აქვს, ჰქონდა და ექნება კიდევაც. კადეტების სათათბირო? დიახ, მის მიმართ და მხოლოდ მის მიმართ ეს სწორია. კადე-

ტურ სათათბიროს მართლაც მართებს დასაყრდენის ძებნა ფართო მასებში. მაგრამ როგორც კი მენშევიკების აბსტრაქტულ, იდეალისტურ და ზოგად ფორმულირებას კონკრეტულ-კლასობრივ შინაარსს მიუყენებთ, მყისვე შეამჩნევთ მათი ფორმულირების უსრულობასა და, მაშასადამე, უმართებულობასაც. კადეტები ხალხზე დაყრდნობისაკენ მიისწრაფიან. ეს მართალია. ამას სიტყვასიტყვით ამბობს მათზე ჩვენი (ბოლშევიკური) რეზოლუცია ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ. მაგრამ ჩვენი რეზოლუცია დასძენს: კადეტები ქანაობენ ხალხზე დაყრდნობის მისწრაფებასა და მისი რევოლუციური დამოუკიდებლობის შიშს შორის. ვერც ერთი სოციალისტი ვერ გაბედავს ხაზგასმული სიტყვების სიმართლე უარჰყოს. მაშ მენშევიკებმა რეზოლუციაში სათათბიროს შესახებ, როცა უკვე გამორკვეული იყო, რომ სათათბირო კადეტურია, რატომ თქვეს სიმართლე მხოლოდ სანახევროდ? რატომ აღნიშნეს მათ კადეტების მხოლოდ ნათელი მხარე და გაჩუმდნენ მედალის მეორე მხარის შესახებ?

ჩვენი სათათბირო სახალხო წარმომადგენლობის «წმინდა იდეის» განსახიერება როდია. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ბურჟუაზიულ უხამსებს კადეტ პროფესორთაგან. ჩვენი სათათბირო ისაა, რადაც მას აქცევენ მასში მყოფ განსაზღვრულ კლასთა და განსაზღვრულ პარტიათა წარმომადგენელნი. ჩვენი სათათბირო კადეტური სათათბიროა. თუ ჩვენ მასზე ვიტყვით, იგი ხალხზე დაყრდნობისაკენ მიისწრაფისო და არ დავსძენთ, რომ მას ეშინია ხალხის რევოლუციური თვითმოქმედებისა, ჩვენ აშკარა ტყუილს ვიტყვით, ჩვენ შეცდომაში შევიყვანთ პროლეტარიატსა და მთელ ხალხს, ჩვენ გამოვიჩენთ წუთიერი სულისკვეთებისადმი მეტად მიუტევებელ ამყოლობას, თავისუფლებასა და მონარქიას შორის მოქანავე პარტიის გამარჯვებით გატაცებას და ამ პარტიის ნამდვილი არსის შეფასების უნარის უქონლობას. კადეტები, რა თქმა უნდა, შეგაქებენ ასეთი დუმილისთვის, — მაგრამ შეგაქებენ თუ არა შეგნებული მუშები?

კიდევ მაგალითი. «მეფის მთავრობა ცდილობს შეასუსტოს რევოლუციური აღმავლობაო», — წერენ მენშევიკები თავიანთ რეზოლუციაში. ეს სწორია. მაგრამ განა მარტო მეფის მთავრობა ცდილობს ამას? განა კადეტებმა უკვე ათასჯერ არ დაამტკიცეს, რომ ისინიც ცდილობენ რ ო გ ო რ ც ხალხზე დაყრდნობას, ი ს ე მისი რევოლუციური აღმავლობის შესუსტებას? განა ეკადრებათ სოციალ-დემოკრატებს კადეტების შელამაზება?

და მე ასეთ დასკვნას ვაკეთებდი. ჩვენი რეზოლუცია ამბობს, რომ სათათბირო ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ხელს შეუწყობს რევოლუციის განვითარებას, მ ხ ო ლ ო დ ასეთი ფორმულირებაა სწორი, რადგან კადეტები რევოლუციასა და რეაქციას შუა ქანაობენ. ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს შ ე ს ა ხ ებ ჩვენი რეზოლუცია პირდაპირ და ნათლად ამბობს, რომ აუცილებელია კადეტების ქანაობის მხილება. რეზოლუციაში სათათბიროს შესახებ ამაზე არაფრის თქმა ნიშნავს «წმინდა სახალხო წარმომადგენლობის» ბურჟუაზიულ იდეალიზაციაში გადავარდნას.

და ნამდვილმა გამოცდილებამ უკვე დაიწყო მენშევიკების ილუზიების გაბათილება. «ნევსკაია გაზეტაში»[111] თქვენ უკვე შეხვდებით მითითებებს (სამწუხაროდ, არა სისტემატური ხასიათისას) იმაზე, რომ სათათბიროში კადეტები არარევოლუციურად იქცეოდნენ, იმაზე, რომ პროლეტარიატი არ დაუშვებს «ბატონ მილიუკოვების გარიგებებს ძველ რეჟიმთან». როდესაც ამას ლაპარაკობენ, მენშევიკები სავსებით ადასტურებენ, რომ ყრილობაზე მათი რეზოლუციის ჩემი კრიტიკა სიმართლე იყო. როდესაც ამას ლაპარაკობენ, ისინი მიჰყვებიან რევოლუციური აღმავლობის ტალღას, აღმავლობისა, რომელმაც, მიუხედავად მისი შედარებითი სისუსტისა, უკვე დაიწყო კადეტების ნამდვილი ბუნების გამომჟღავნება, უკვე დაიწყო საკითხის ბოლშევიკური დაყენების სისწორის გამოაშკარავება.

მესამე, ვამბობდი მე, მენშევიკების რეზოლუცია არ იძლევა ბურჟუაზიული დემოკრატიის ნათლად დაყოფას პროლეტარიატის ტაქტიკის თვალსაზრისით. პროლეტარიატმა

რაოდენადმე უნდა იაროს ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ერთად, ანდა «ცალკე იაროს, ერთად დაარტყას». ბურჟუაზიული დემოკრატიის სახელდობრ რომელ ნაწილთან «ერთად» უნდა «დაარტყას» პროლეტარიატმა ამჟამად, სათათბიროს ეპოქაში? თქვენ ხომ თვითონ, ამხანაგო მენშევიკებო, გესმით, რომ სათათბირო ამ საკითხს აყენებს დღის წესრიგში, მაგრამ თქვენ მას თავს არიდებთ. ჩვენ კი პირდაპირ და ნათლად ვამბობდით: გლეხურ ანუ რევოლუციურ დემოკრატიასთან ერთად, რომელთან შეთანხმებით მოვახდენთ კადეტების მერყეობისა და არათანამიმდევრობის ნეიტრალიზაციას.

მენშევიკები (განსაკუთრებით პლეხანოვი, რომელიც, ვიმეორებ, ყრილობაზე მენშევიკების ნამდვილი იდეური ბელადი იყო) ცდილობდნენ ამ კრიტიკის პასუხად თავისი პოზიცია «გაელრმავებინათ». დიახ, თქვენ გსურთ კადეტების მხილება, — გაიძახოდნენ ისინი. — ჩვენ კი ყველა ბურჟუაზიულ პარტიას ვამხელთ; იხილე ჩვენი რეზოლუციის ბოლო: «გამოვააშკარაოთ მასის წინაშე ყველა ბურჟუაზიული პარტიის არათანამიმდევრობაო» და სხვ. და პლეხანოვი სიამაყით დასძენდა: ეს მხოლოდ ბურჟუაზიული რადიკალები უტევენ მარტოოდენ კადეტებს, ჩვენ კი, სოციალისტები, ყველა ბურჟუაზიულ პარტიას ვამხელთო.

საკითხის ამ მოჩვენებითს «გაღრმავებაში» ჩამარხულ სოფიზმს ისე ხშირად მიმართავდნენ ყრილობაზე, და ახლაც მიმართავენ, რომ ღირს ამაზე რამდენიმე სიტყვის თქმა.

რაზეა ლაპარაკი ხსენებულ რეზოლუციაში? ყველა ბურჟუაზიული პარტიის სოციალისტურ მხილებაზე თუ იმის გარკვევაზე, ბურჟუაზიული დემოკრატიის რომელ ფენას შეუძლია ახლა პროლეტარიატს დაეხმაროს ბურჟუაზიული რევოლუციის კიდევ უფრო წინ წაყვანაში?

ცხადია, არა პირველზე, არამედ მეორეზე.

ხოლო თუ ეს ცხადია, რაღა საჭიროა მეორის პირველით შეცვლა? ბოლშევიკური რეზოლუცია ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ნათლად ლაპარა-

კობს ყოველგვარი ბურჟუაზიული დემოკრატიის, მათ შორის როგორც რევოლუციური, ისე გლეხური დემოკრატიის, სოციალისტურ მხილებაზე, მაგრამ პროლეტარიატის თანამედროვე ტაქტიკის საკითხში ლაპარაკია არა სოციალისტურ კრიტიკაზე, არამედ ურთიერთ პოლიტიკურ დახმარებაზე.

რაც უფრო წინ მიდის ბურჟუაზიული რევოლუცია, მით უფრო მარცხნივ ეძებს პროლეტარიატი თავის მოკავშირეებს ბურჟუაზიულ დემოკრატიაში, მით უფრო ღრმად ეშვება იგი მისი ზედაფენებიდან ქვედაფენებისაკენ. იყო დრო, როდესაც დახმარების გაწევა შეეძლოთ თავადაზნაურობის წინამძღოლებს და ბ-ნ სტრუვეს, რომელიც (1901 წ.) აყენებდა შიპოვის ლოზუნგს: «უფლებები და ძალაუფლებიანი ერობაო»[112]. რევოლუცია დიდად წინ წავიდა. ბურჟუაზიული დემოკრატიის ზედაფენებმა იწყეს რევოლუციისაგან ჩამოშორება. ქვედაფენებმა იწყეს გამოღვიძება. პროლეტარიატმა იწყო მოკავშირეების ძებნა (ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რევოლუციისათვის) ბურჟუაზიული დემოკრატიის ქვედაფენებში. და ახლა ამ მხრივ პროლეტარიატის ტაქტიკის ერთადერთი სწორი განსაზღვრა იქნება: გლეხობასთან (ესეც ხომ ბურჟუაზიული დემოკრატიაა, ნუ გავიწყდებათ ეს, ამხანაგო მენშევიკებო!) და რევოლუციურ დემოკრატიასთან ერთად, კადეტების მეროყეობის გაქარწყლებით.

და ერთხელ კიდევ. რომელი ხაზი დაადასტურა კადეტური სათათბიროს პირველმა ნაბიჯებმა? ჩვენს დავას უკვე ცხოვრებამ გაუსწრო. ცხოვრებამ «ნევსკაია გაზეტაც» კი აიძულა გამოეყო გლეხთა («შრომის») ჯგუფი, მისთვის კადეტების წინაშე უპირატესობა მიეცა, მას დაახლოებოდა და კადეტები ემხილებინა. ცხოვრებამ ასწავლა ჩვენი ლოზუნგი: ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებამდე პროლეტარიატის მოკავშირეა გლეხური და რევოლუციური დემოკრატია.

მეოთხე, მე გავაკრიტიკე მენშევიკური რეზოლუციის უკანასკნელი მუხლი, რომელიც სათათბიროს ს.-დ. საპარლამენტო ფრაქციას შეეხებოდა. მე აღვნიშნე, რომ შეგნებული პროლეტარიატის მსელ მასას არჩევნებში მონაწილეობა არ

მიუღია-მეთქი. მიზანშეწონილია თუ არა ასეთ პირობებში, რომ ამ მუშათა მასას პარტიის ოფიციალური წარმომადგენლები თავს მოვახვიოთ? შეუძლია თუ არა პარტიას პასუხისმგებლობა იკისროს კანდიდატების ნამდვილი პარტიული არჩევისათვის? განა განსაზღვრულ საფრთხეს და არანორმალურ მდგომარეობას არ შეჰქმნის ის გარემოება, რომ სათათბიროს პირველ ს.-დ. კანდიდატებს მოელიან გ ლ ე ხ თ ა და ქალაქის წვრილბურჟუაზიული კურიებიდან? სათათბიროს პირველი კანდიდატები ს.-დ. მუშათა პარტიისაგან მუშათა ორგანიზაციების მიერ აურჩევლად და მათი კონტროლის გარეშე... შესწორება ამხ. ნაზარისა[113], რომელიც მოითხოვდა, რომ სათათბიროს ს.-დ. კანდიდატები წ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა ნ ადგილობრივი მუშათა ორგანიზაციების მიერ, მენშევიკებმა უარჰყვეს. ჩვენ სახელობითი კენჭისყრა მოვითხოვეთ **და ოქმში განსაკუთრებული აზრი შევიტანეთ** *.

ჩვენ ხმა მივეცით კავკასიელთა შესწორებას (არჩევნებში მონაწილეობა მივიღოთ იქ, სადაც ჯერ არჩევნები არ მომხდარა, მაგრამ სხვა პარტიებთან ბლოკში ნუ შევალთ), რადგან სხვა პარტიებთან ბლოკის, შეთანხმების აკრძალვას პარტიისათვის უეჭველად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

აღვნიშნავ კიდევ, რომ ყრილობამ უარჰყო შესწორება ამხ. ერმანსკისა (მენშევიკი, რომელიც შემარიგებლად სთვლიდა თავს), რომელსაც უნდოდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა დაშვებული ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, **როდესაც** შესაძლებელია მასებში აგიტაცია და მათი ფართო ორგანიზაცია.

ნაციონალურ ს.-დ. პარტიათა წარმომადგენლები, პოლონელები, ბუნდელები და, რამდენადაც მახსოვს, აგრეთვე ლატვიელებიც, ამ საკითხზე სიტყვას იღებდნენ და გადაჭრით უჭერდნენ მხარს ბოიკოტს, ხაზგასმით აღნიშნავდნენ ადგილობრივ და კონკრეტულ პირობებს, პროტესტს აცხადებდნენ ამგვარი საკითხის აბსტრაქტულ მოსაზრებათა საფუძველზე გადაწყვეტის წინააღმდეგ.

* იხ. ეს ტომი, გვ. 364 — 366. რ ე დ.

საპარლამენტო ს.-დ. ფრაქციის საკითხზე ყრილობამ მიიღო აგრეთვე ც. კ.-ის ინსტრუქცია. ეს ინსტრუქცია, რომელიც, სამწუხაროდ, შეტანილი არ არის ც. კ.-ის მიერ გამოცემულ ყრილობის დადგენილებებში, ავალებს ც. კ.-ს აცნობოს ყ ვ ე ლ ა პარტიულ ორგანიზაციას: 1) სახელდობრ ვინ, 2) სახელდობრ როდის და 3) სახელდობრ რა პირობით დანიშნა მან პარტიის წარმომადგენლად საპარლამენტო ფრაქციაში, შემდეგ პერიოდულად მიაწოდოს ანგარიში პარტიის ამ წარმომადგენელთა მოღვაწეობის შესახებ[114]. ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციებს, რომელთა წევრები სათათბიროში ს.-დ. დეპუტატებად არიან, ეს რეზოლუცია ავალებს კონტროლი გაუწიონ თავიანთ «რწმუნებულებს» სათათბიროში. ფრჩხილებში შევნიშნავ, რომ ამ მნიშვნელოვანმა რეზოლუციამ, რომელიც ცხადჰყოფს, რომ სოციალ-დემოკრატები პარლამენტარიზმს ბურჟუაზიული პოლიტიკანებივით არ უყურებენ, ერთსულოვანი აღშფოთება ან დაცინვა გამოიწვია «დუმაშიც», ბ. სტრუვეს გაზეთში, და «ნოვოე ვრემიაშიც».

დასასრულ, ვამთავრებ რა სახ. სათათბიროს საკითხზე გამართული კამათის ამბავს, აღვნიშნავ კიდევ ორ ეპიზოდს. პირველი — ამხანაგ აკიმოვის გამოსვლა, რომელიც ყრილობაზე სათათბირო ხმით იყო მოწვეული. იმ ამხანაგების საყურადღებოდ, რომელნიც ჩვენი პარტიის ისტორიას არ იცნობენ, ვიტყვი, რომ ამხ. აკიმოვი 90-იანი წლების დამლევიდან ყველაზე თანამიმდევარი ანუ ერთ-ერთი უაღრესად თანამიმდევარი ოპორტუნისტია პარტიაში. ახალი «ისკრაც» კი იძულებული იყო ეს ეღიარებინა. 1899 და შემდგომ წლებში აკიმოვი «ეკონომისტი» იყო და ახლაც მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე. ბ-ნ სტრუვეს არა ერთხელ შეუქია იგი «ოსვობოჟდენიეში» მისი «რეალიზმისა» და მისი მარქსიზმის მეცნიერულობისათვის. «ბეზ ზაგლავიას» ბერნშტეინელებისაგან (ბ-ნი პროკოპოვიჩი და სხვ.) ამხ. აკიმოვი არსებითად არც კი განსხვავდება. ცხადია, ასეთი ამხანაგის ყოფნა ყრილობაზე ს.-დ. მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის ბრძოლის დროს არ შეიძლებოდა საგულისხმო არ ყოფილიყო.

ამხ. აკიმოვმა პირველმა ილაპარაკა მომხსენებელთა შემდეგ სახ. სათათბიროს საკითხზე. მან განაცხადა, ბევრ რამეში არ ვეთანხმები მენშევიკებს, მაგრამ ამხ. აქსელროდს კი სავსებით ვეთანხმებიო. არათუ მომხრე ვარ სათათბიროში მონაწილეობისა, არამედ კადეტებისთვის მხარის დაჭერასაც კი ვემხრობიო. ამხ. აკიმოვი ერთადერთი თანამიმდევარი მენშევიკი იყო იმ მხრივ, რომ აშკარად გამოესარჩლა კადეტებს (და არა ფარულად მსგავსად იმისა, რომ კადეტები ესერებზე უფრო მნიშვნელოვანნი არიანო). მან აშკარად გაილაშქრა კადეტების იმ შეფასების წინააღმდეგ, რომელიც მოცემული მაქვს ბროშურაში: «კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები». მისი სიტყვით, კადეტები «მართლაც სახალხო თავისუფლების პარტიაა, ოღონდ უფრო ზომიერი». კადეტები — «ობოლი დემოკრატები» არიანო, თქვა ჩვენმა ობოლმა სოციალ-დემოკრატმა. «მენშევიკები ხელოვნურად უნდა უქმნიდნენ დაბრკოლებებს იმას, რომ კადეტების ხელისშემწყობნი არ გახდნენო».

როგორც მკითხველი ხედავს, ამხ. აკიმოვის სიტყვამ ერთხელ კიდევ მეტად ნათლად ცხადჰყო, რომელი მხარისაკენ მიექანებიან ჩვენი ამხანაგი მენშევიკები.

ეს გარემოება მეორე ეპიზოდმა სხვა მხრივ ცხადჰყო. საქმე ასე იყო. სახ. სათათბიროს შესახებ კომისიის მიერ მიღებული მენშევიკური რეზოლუციის პირვანდელ პროექტში მე-5 მუხლი (არმიაზე) ასეთ ფრაზას შეიცავდა:.... «პირველად ხედავს რა რუსეთის ნიადაგზე ახალ, თ ვ ი თ მ ე ფ ი ს მ ი ე რ ს ა მ ო ქ მ ე დ ო დ მ ო წ ო დ ე ბ უ ლ, კ ა ნ ო ნ ი თ ა ღ ი ა რ ე ბ უ ლ, ხელისუფლებას, ერის წიაღიდან გამოსულს» და სხვ. როდესაც მე გავაკრიტიკე მენშევიკების რეზოლუცია სახ. სათათბიროსადმი მისი, რბილად რომ ვთქვათ, არაფრთხილი და ოპტიმისტური დამოკიდებულების გამო, სხვათა შორის, ხაზგასმულ სიტყვებსაც ვაკრიტიკებდი და ხუმრობით ვთქვი: საჭირო ხომ არ არის დავურთოთ: «და ღვთისაგან მოვლენილ» (ხელისუფლებას?). ამხ. პლეხანოვმა, კომისიის წევრმა, საშინლად იწყინა ეს ჩემი ხუმრობა. — როგორ! გაიძახოდა იგი

თავის სიტყვაში. — განა მე უნდა ვისმენდე ჩემზე ასეთი «ეჭვის მიტანას ოპორტუნიზმში» (სიტყვასიტყვით მისი გამოთქმაა, ჩემ მიერ ჩაწერილი). მე თვითონ სამხედრო პირი გახლავართ და ვიცი, როგორ უყურებენ სამხედრო პირნი ხელისუფლებას, რა მნიშვნელობა აქვს მათს თვალში მეფის მიერ ხელისუფლების აღიარებასო და სხვა, და სხვა. ამხ. პლეხანოვის წყენამ მისივე სუსტი მხარე ამხილა და კიდევ უფრო ნათლად ცხადჰყო, რომ მან «გადაამლაშა». ჩემს საბოლოო სიტყვაში მე ვუპასუხე, რომ საქმე «ეჭვის მიტანა» არაა და სასაცილოა ასეთი უმწეო სიტყვების ლაპარაკი–მეთქი. პლეხანოვს მეფისადმი რწმენას არავინ აბრალებს. მაგრამ რეზოლუცია პლეხანოვისთვის კი არა, ხალხისთვის იწერება. ხოლო ხალხში ისეთი ორჭოფი საბუთების გადასროლა, რომელნიც მხოლოდ ბატონ ვიტესა და კომპ. შეეფერება, საკადრისი არ არის. ეს საბუთები ჩვენსავე წინააღმდეგ შემობრუნდება, რადგან თუ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სახ. სათათბირო «ხელისუფლებაა» (?? მარტოოდენ ეს სიტყვა ცხადჰყოფს ჩვენი მენშევიკების გადაჭარბებულ ოპტიმიზმს), და თანაც მეფის მიერ სამოქმედოდ მოწოდებული ხელისუფლება, აქედან ისეთ დასკვნას გააკეთებენ, რომ ეს არის კანონიერი ხელისუფლება და მან კანონიერადვე უნდა იმოქმედოს, დაუჯეროს იმას, ვინც მას «სამოქმედოდ მოუწოდა».

მენშევიკებმა თვითონვე დაინახეს, რომ პლეხანოვმა გადაამლაშა. ხაზგასმული სიტყვები, მათი წრიდანვე შემოტანილი წინადადებით, რეზოლუციიდან ამოშლილ იქნა.

VI

შეიარაღებული აჯანყება

ორმა მთავარმა საკითხმა, აგრარულმა და სახელმწიფო სათათბიროს საკითხმა, მომენტის შეფასების შესახებ კამათთან ერთად, ყრილობის მთავარი ყურადღება მიიქცია. აღარ მახსოვს, რამდენი დღე მოვანდომეთ ამ საკითხებს, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მრავალ დამსწრეს უკვე დაღლილობა

ემჩნეოდა, — ხოლო გარდა დაღლილობისა, შეიძლება ითქვას. მისწრაფებაც ზოგიერთი საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნისა. მიღებულ იქნა წინადადება დაჩქარებულიყო ყრილობის მუშაობა; მომხსენებლებს შეიარაღებული აჯანყების საკითხზე დრო 15 წუთამდე შეუმცირეს (მომხსენებლებს წინა ს კითხებზე არაერთხელ გაუგრძელეს დრო დაწესებული ნახევარი საათის შემდეგ). ეს იყო საკითხების შეკუმშვის დასაწყისი.

ამხ. ჩერევანინი, მომხსენებელი შეიარაღებული აჯანყების საკითხზე «უმცირესობისაგან», რომელიც სჭარბობდა ყრილობაზე, როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც არაერთხელ უწინასწარმეტყველებიათ ბოლშევიკებს, «პლეხანოვისკენ დაექანა», ე. ი. არსებითად «დნევნიკის» თვალსაზრისზე დადგა, რომელსაც ბევრი მენშევიკი ყრილობამდე არ ეთანხმებოდა. ჩემს შენიშვნებში ჩაწერილი მქონდა მისი ისეთი ფრაზები, როგორიცაა: «დეკემბრის აჯანყება მხოლოდ სასოწარკვეთილების პროდუქტი იყო», ან: «დეკემბრის აჯანყების დამარცხება უზრუნველყოფილი იყო უკვე პირველ დღეებში». პლეხანოვის აზრი: «ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისთვისაო» წითელ ზოლად იყო გატარებული მის სიტყვაში, რომელიც, როგორც ეს მიღებულია, შემკობილი იყო გამოსვლებით «შეთქმულთა» და «ტექნიკის გაზვიადების» წინააღმდეგ.

ჩვენი მომხსენებელი, ამხ. ვინტერი, თავის მოკლე სიტყვაში ამაოდ ცდილობდა აეძულებინა ყრილობა, რომ მას ორივე რეზოლუციის ზუსტი ტექსტი შეეფასებინა. ერთხელ მას მოხსენების განგრძობაზე უარისთქმაც კი მოუხდა. ეს იყო მისი სიტყვის შუაში, როდესაც მან წაიკითხა მენშევიკური რეზოლუციის პირველი მუხლი: «ბრძოლა აყენებს თვითმპყრობელური მთავრობის ხელიდან ძალაუფლების გამოგლეჯის უშუალო ამოცანას». თურმე, ჩვენს მომხსენებელს, შეიარაღებული აჯანყების შესახებ რეზოლუციის შემმუშავებელი კომისიის წევრს, არ ს ცო დ ნ ო დ ა, რომ ამ კომისიამ უკანასკნელ წუთს ყრილობას რეზოლუციის ჰექტოგრაფირე-

ბული პროექტი წარუდგინა ა ხ ა ლ ი რედაქციით, სახელდობრ: კომისიის მენშევიკური ნაწილი პლეხანოვის მეთაურობით წინადადებას იძლეოდა «ძალაუფლების გამოგლეჯის» მაგივრად ნათქვამი ყოფილიყო: «ძ ა ლ ი თ გ ა მ ო ვ გ ლ ი ჯ ო თ უ ფ ლ ე ბ ე ბ ი».

ყრილობაზე შესატანი რეზოლუციის ტექსტის ეს შეცვლა მომხსენებლის, კომისიის წევრის, დაუკითხავად იმდენად უხეშად არღვევდა ყრილობის მუშაობის ყოველგვარ ჩვეულებასა და წესებს, რომ ჩვენმა აღშფოთებულმა მომხსენებელმა უარი თქვა მოხსენების განგრძობაზე. მხოლოდ მენშევიკების ხანგრძლივ «განმარტებათა» შემდეგ იგი დათანხმდა რამდენიმე დასკვნითი სიტყვა ეთქვა.

ცვლილება მართლაც გასაოცარი იყო. რეზოლუციაში აჯანყების შესახებ ლაპარაკია არა ძალაუფლებისათვის ბრძოლაზე, არამედ უფლებათათვის ბრძოლაზე! ჩაუფიქრდით ერთი, რა წარმოუდგენელ არევ-დარევას შეიტანდა ეს ოპორტუნისტული ფორმულირება მასების შეგნებაში და რა უაზრო აშკარა შეუსაბამობა იქნებოდა საშუალების სიდიადესა (აჯანყება) და მიზნის სიმცირეს შორის (გამოვგლიჯოთ უფლებები, ე. ი. გამოვგლიჯოთ უფლებები ძველ ხელისუფლებას, მივაღწიოთ დათმობას ძველი ხელისუფლების მხრით და არა მის დამხობას).

თავისთავად ცხადია, ბოლშევიკები უაღრესად ენერგიულად დაესხნენ თავს ამ შესწორებას. მენშევიკების რიგები შედრკნენ. ჩანს, ისინი დარწმუნდნენ, რომ პლეხანოვმა კვლავ გადაამლაშა და მათ პრაქტიკულად ცუდ საქმეს დამართებდა აჯანყების ამოცანის ასეთი ზომიერი და აკურატული შეფასება. პლეხანოვი აიძულეს უკან დაეხია. მან თავისი შესწორება უკან წაიღო და თქვა, დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ ამ განსხვავებას, რაც, სწორედ რომ ვთქვათ, მხოლოდ «სტილისტური» ხასიათისაა. რა თქმა უნდა, ეს აბის მოშაქრვა იყო. ყველას ესმოდა, რომ საქმე სტილისტიკა სრულიადაც არ გახლდათ.

პლეხანოვის შესწორებამ მკაფიოდ გამოააშკარავა მენშევიკების ძირითადი ტენდენცია აჯანყების საკითხში: გამოეგონებინათ აჯანყებისაგან თავდასაძვრენი მიზეზები, უარი ეთქვათ დეკემბრის აჯანყებაზე, რჩევა მიეცათ არ გაემეორებინათ აჯანყება, არარაობამდე დაეყვანათ მისი ამოცანები, ანდა ისე განემარტათ ეს ამოცანები, რომ მათს შესასრულებლად აჯანყებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი ყოფილიყო. მაგრამ პირდაპირ და გადაჭრით, აშკარად და ნათლად ამის თქმა მენშევიკებმა ვერ გაბედეს. მათი მდგომარეობა უაღრესად ყალბი იყო: უნდა ელაპარაკნათ ფარული ფორმით და სანახევროდ გადაკვრით ის, რაც მათ სანუკვარ აზრს შეადგენდა. პროლეტარიატის წარმომადგენლებს შეუძლიათ და კიდევაც მართებთ მისი შეცდომების აშკარად გაკრიტიკება, მაგრამ ამის ჩადენა ფარული, ორაზროვანი და ბუნდოვანი ფორმით სოციალ-დემოკრატიას სრულიად არ ეკადრება. და მენშევიკების რეზოლუციამაც უნებურად გამოხატა ეს ორაზროვანი პოზიცია: თავდაძვრენა აჯანყებისაგან და მასთან ერთად მისი ვითომდა «სახალხოდ» აღიარება.

ტექნიკასა და შეთქმულებაზე ლაპარაკი მეტად აშკარა ოვალის ახვევა, აჯანყების პ ო ლ ი ტ ი კ უ რ შეფასებაში უთანხმოებათა მეტად უხეში მიჩქმალვა იყო. ამ შეფასებისათვის რომ თავი აერიდებინათ, პირდაპირ რომ არ ეთქვათ, იყო თუ არა დეკემბრის აჯანყება წინგადადგმული ნაბიჯი და მოძრაობის უმაღლეს საფეხურზე აყვანა, ამისათვის საჭირო იყო სიტყვის ბანზე აგდება, პოლიტიკიდან ტექნიკაზე, 1905 წლის დეკემბრის კონკრეტული შეფასებიდან შეთქმულების შესახებ ზოგად ფრაზებზე გადასვლა. და რანაირ ლაქად დარჩება სოციალ-დემოკრატიას ეს სიტყვები შეთქმულებაზე ისეთი ს ა ხ ა ლ ხ ო მოძრაობის გამო, როგორიცაა დეკემბრის ბრძოლა მოსკოვში!

თქვენ გსურთ პოლემიკა გააჩაღოთ, ვეუბნებოდით ამხანაგ მენშევიკებს, თქვენ გსურთ «უჩხვლიტოთ» ბოლშევიკებს, თქვენი რეზოლუცია აჯანყების შესახებ აღსავსეა სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ გამოსვლებით. იკამათეთ, რამდე-

ნიც გენებოთ. ეს თქვენი უფლება და თქვენი მოვალეობაა. მაგრამ ნუ დაახურდავებთ ისტორიულ დღეთა შეფასების დიდ საკითხს წვრილ და წვრილმან პოლემიკად. ნუ დაამცირებთ პარტიას იმით, რომ მას მუშათა, გლეხთა, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის დეკემბრის ბრძოლის საკითხზე არაფრის თქმა არ შეუძლია, გარდა სხვა ფრაქციის ჩხვლეტისა. ცოტა ამაღლდით, დაწერეთ, თუ გნებავთ, საგანგებო პოლემიკური რეზოლუცია ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ მიეცით პროლეტარიატს და მთელ ხალხს პირდაპირი და ნათელი, არა ორჭოფი, პასუხი აჯანყების საკითხზე.

თქვენ ტექნიკის გაზვიადებასა და შეთქმულებაზე გაჰყვირით. მაგრამ შეხედეთ რეზოლუციების ორივე პროექტს. სწორედ ჩვენს რეზოლუციაში დაინახავთ არა ტექნიკურ, არამედ ისტორიულ და პოლიტიკურ მასალას. ჩვენს პროექტში თქვენ დაინახავთ მოტივაციას, აღებულს სწორედ არა ცარიელ და ისეთ ზოგად მოსაზრებათაგან («ბრძოლის ამოცანაა ძალაუფლების გამოგლეჯა»), რომელთა დამტკიცება შეუძლებელია, არამედ მოძრაობის ისტორიიდან, 1905 წლის უკანასკნელი მეოთხედის პოლიტიკური გამოცდილებიდან. თქვენს სატკივარს სხვას ახვევთ თავს, იმიტომ რომ სწორედ თქვენი რეზოლუცია წარმოუდგენლად ღარიბია ისტორიულ-პოლიტიკური მასალით. იგი აჯანყებაზე ლაპარაკობს და კრინტსაც არა ძრავს გაფიცვის დამოკიდებულებაზე აჯანყებისადმი, კრინტსაც არა ძრავს იმაზე, თუ ოქტომბრის შემდეგდროინდელმა ბრძოლამ როგორ გამოიწვია აჯანყების აუცილებლობა და გარდუვალობა, არც ერთი პირდაპირი და ნათელი სიტყვა არაა თქმული დეკემბრის ამბებზე. სწორედ ჩვენს რეზოლუციაში აჯანყება გამოდის არა როგორც შეთქმულთა მოწოდება, არა როგორც ტექნიკის საკითხი, არამედ როგორც პოლიტიკური შედეგი სავსებით კონკრეტული ისტორიული სინამდვილისა, რომელიც შეჰქმნა ოქტომბრის გაფიცვამ, თავისუფლებათა დაპირებამ, მათი წართმევის ცდამ და მათი დაცვისათვის ბრძოლამ.

ფრაზები ტექნიკასა და შეთქმულებაზე — ეს მხოლოდ დაფარვაა აჯანყების საკითხში თქვენი უ კ ა ნ დ ა ხ ე ვ ი ს ა.

ყრილობაზე მენშევიკების რეზოლუციას აჯანყების საკითხზე სწორედ ასეც უწოდებდნენ: «რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ». და არა მგონია ამ მტკიცების სისწორის წინააღმდეგ დავა გაბედოს იმან, ვინც რაოდენადმე ყურადღებით წ ა ი კ ი თ ხ ა ვ ს ყ რ ი ლ ობ ა ზ ე წ ა რ დ გ ე ნ ი ლ ი ო რ ი ვ ე რეზოლუციის ტექსტს *.

ჩვენმა საბუთებმა მხოლოდ ნაწილობრივ მოახდინეს გავლენა მენშევიკებზე. ვინც მათი რეზოლუციის პ რ ო ე ქ ტ ს საბოლოოდ მიღებულ მათს რეზოლუციას შეადარებს, დაინახავს, რომ მთელი რიგი მართლაც წვრილმანი გამოსვლები და შეხედულებები მათ ამოაგდეს. მაგრამ საერთო სული, რა თქმა უნდა, დარჩა. ეს ისტორიული ფაქტია, რომ მენშევიკურმა ყრილობამ რუსეთის პირველი შეიარაღებული აჯანყების შემდეგ დაბნეულობა გამოიჩინა, პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, ვერ გაბედა პირდაპირ ეთქვა პროლეტარიატისთვის: შეცდომა იყო თუ წინგადადგმული ნაბიჯი ეს აჯანყება, აუცილებელია თუ არა მეორე აჯანყება და როგორ უკავშირდება იგი ისტორიულად პირველს.

მენშევიკებს სურდათ დღის წესრიგიდან მოეხსნათ აჯანყების საკითხი, მათ ეს მიდრეკილება ჰქონდათ, მაგრამ ვერ ბედავდნენ ამის გამხელას. ამ ორჭოფობამ ის გამოიწვია, **რომ საკითხი** არსებითად ღიად დარჩა. დეკემბრის აჯანყების შეფასება ჯ ე რ კ ი დ ე ვ უნდა გამოიმუშაოს პ ა რ ტ ი ა მ, და ამ საკითხს ყველა ორგანიზაციამ მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

---

* რათა მკითხველს გავუადვილოთ შეგნებული და კრიტიკული მიდგომა ყრილობაზე ამტყდარი დავისადმი, დამატებაში ვათავსებ უმრავლესობისა და უმცირესობის რეზოლუციების პირვანდელი პროექტების ტექსტებს და ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციების ტექსტებს. მხოლოდ ამ ტექსტების გულდასმით შესწავლა და შედარება მოგვცემს შესაძლებლობას დამოუკიდებლად გავერკვეთ ს.-დ. ტაქტიკის საკითხებში.

ღიად დარჩა აგრეთვე აჯანყების პრაქტიკული საკითხიც. ყრილობის სახელით აღიარებულია, რომ მოძრაობის უშუალო (ეს დაიხსომეთ!) ამოცანაა — «ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს გ ა მ ო გ ლ ე ჯ ა». ეს ფორმულირება ხომ, თუ გნებავთ, ულტრა-ბოლშევიკურია, ხომ სწორედ იგი აქცევს საქმეს ფრაზად, რასაც ჩვენ გვაბრალებდნენ. მაგრამ რაკი ეს ყრილობამ თქვა, ჩვენ ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ა მ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ-ზ ე კრიტიკის ქარცეცხლში უნდა გავატაროთ პარტიის ის ადგილობრივი და ცენტრალური დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელნიც ამ უ შ უ ა ლ ო ამოცანას დაივიწყებენ. განსაზღვრულ პოლიტიკურ მომენტებში, ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა წამოვაყენოთ პ ი რ ვ ე ლ რ ი გ შ ი ე ს უ შ უ ა ლ ო ამოცანა. ამის ხელის შეშლის უფლება არავის არა აქვს, ეს სავსებით და მთლიანად ყრილობის დირექტივების ფარგლებში იქნება, რაკი ჩვენ უკვე ამოვაგდეთ სიტყვები «გამოვგლიჯოთ უფლებები» და ვაიძულეთ ეღიარებინათ «ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს გ ა მ ო გ ლ ე ჯ ი ს უ შ უ ა ლ ო ა მ ო ც ა ნ ა».

პარტიულ ორგანიზაციებს ვურჩევთ არ დაივიწყონ ეს, განსაკუთრებით ისეთ მომენტებში, როდესაც ჩვენს ყბადაღებულ სათათბიროს თვითმპყრობელური მთავრობა სილას სილაზე აწნავს.

შეიარაღებული აჯანყების შესახებ დებატების დროს ამხ. ვოინოვმა მეტად მოსწრებულად შენიშნა, თუ რა მუხრუჭში მოექცნენ მენშევიკები. იმის თქმა, რომ «უფლებები გამოვგლიჯოთ», — უაღრესად ოპორტუნისტული ფორმულირებაა. იმის თქმა, რომ «ძალაუფლება გამოვგლიჯოთ», — იმას ნიშნავს, რომ ხელიდან გავაგდოთ ყოველგვარი იარაღი ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამიერიდან ჩვენ ვიცით, — ოხუნჯობდა ვოინოვი, — რა არის ორთოდოქსული მარქსიზმი და რა არის შეთქმულთა ერესი. «ძალაუფლების გამოგლეჯა» — ორთოდოქსულია, «ძალაუფლების დაპყრობა» — შეთქმულებაა...

იმავე ორატორმა ამის გამო დაგვისურათა მენშევიკის ზოგადი ტიპი. მენშევიკები — იმპრესიონისტები, განწყობი-

ლების ადამიანები, წუთიერების ადამიანები არიანო, თქვა მან. აგორდა ტალღა, მოდის 1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერი — და აი, «ნაჩალომ» აიწყვიტა, იგი უფრო ბოლშევიკურადაც კი გამოდის, ვიდრე ბოლშევიკები. დემოკრატიული დიქტატურიდან იგი უკვე სოციალისტური დიქტატურისაკენ მიექანება. უკუიქცა ზვირთი, შენელდა განწყობილება, ამოტივტივდნენ კადეტები, — მენშევიკები იჩქარიან შენელებულ განწყობილებას შეეგუონ, კუნტრუშით მისდევენ კადეტებს, მედიდურად უარყოფენ ბრძოლის ოქტომბერ-დეკემბრის ფორმებს.

ზემოთქმულის მეტად საინტერესო დადასტურება ყრილობაზე იყო მენშევიკ ლარინის წერილობითი განცხადება. იგი მან ბიუროს წარუდგინა და, მაშასადამე, სრულად უნდა იყოს ოქმებში. ლარინი იქ ამბობდა, რომ მენშევიკები ცდებოდნენ ოქტომბერ-დეკემბერში, როდესაც ბოლშევიკურად იქცეოდნენო. ამ «საგულისხმო აღსარების» წინააღმდეგ სიტყვიერი, კერძო ხასიათის პროტესტები ყრილობაზე მე გავიგონე ცალკეული მენშევიკების მხრივ, მაგრამ ეს პროტესტები გამოხატული იყო თუ არა სიტყვებსა ან განცხადებებში, — დანამდვილებით ვერ ვიტყვი.

საგულისხმო იყო აგრეთვე პლეხანოვის გამოსვლა. იგი (თუ არ ვცდები) ძალაუფლების დაპყრობაზე ლაპარაკობდა. ამასთან მას მეტისმეტად ორიგინალურად წამოსცდა. — წინააღმდეგი ვარ ძალაუფლების შეთქმულების გზით დაპყრობისაო, — გაიძახოდა იგი, — მაგრამ მე სავსებით ვემხრობი ძალაუფლების ისეთ დაპყრობას, როგორიც იყო, მაგალითად, კონვენტი საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროსო.

აქ პლეხანოვი სიტყვაში დავიჭირეთ. — ჩინებულია, ამხ. პლეხანოვო, — ვუპასუხე მე. — ჩაწერეთ რეზოლუციაში ის, რაც თქვენ თქვით! მკაცრად დაჰგმეთ შეთქმულება, — ჩვენ, ბოლშევიკები, მაინც მთლად და ერთხმად მივცემთ ხმას ისეთ რეზოლუციას, რომელიც აღიარებს და პროლეტარიატს ურჩევს ძალაუფლების დაპყრობას კონვენტის ტიპის მიხედვით. დაჰგმეთ შეთქმულება, მაგრამ აღიარეთ რეზოლუციაში კონ-

ვენტის მსგავსი დიქტატურა, და ჩვენც სავსებით და უსათუოდ დაგეთანხმებით. მეტიც. სიტყვას გაძლევთ, რომ იმ მომენტიდან, როგორც კი ხელს მოაწერთ ასეთ რეზოლუციას, თ ქ ვ ე ნ ს ქ ე ბ ა ს კ ა დ ე ტ ე ბ ი თ ა ვ ს დ ა ა ნ ე ბ ე ბ ე ნ!

ამხ. ვოინოვმაც აღნიშნა ის აშკარა წინააღმდეგობა, რომელშიც ამხ. პლეხანოვი ჩავარდა, როდესაც კონვენტი უნებურად «წამოსცდა». კონვენტი სწორედ ქვედა ფენების, ე. ი. ქალაქისა და სოფლის ღარიბთა ყველაზე ქვედა ფენების დიქტატურა იყო. ბურჟუაზიულ რევოლუციაში იგი სწორედ ისეთი სრულუფლებიანი დაწესებულება იყო, რომელშიც სავსებით და განუყოფლად ბატონობდა არა მსხვილი ან საშუალო ბურჟუაზია, არამედ უბრალო ხალხი, ღარიბობა, ე. ი. სწორედ ისინი, ვისაც ჩვენ «პროლეტარიატსა და გლეხობას» ვუწოდებთ. კონვენტს აღიარებდე და ძალაუფლების დაპყრობის წინააღმდეგ ილაშქრებდე — ეს სიტყვების თამაშს ნიშნავს. კონვენტს აღიარებდე და «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის» წინააღმდეგ ილაშქრებდე — ეს საკუთარი თავის გამათრახებას ნიშნავს. ხოლო ბოლშევიკები მუდამ და ყოველთვის ლაპარაკობდნენ ძალაუფლების დაპყრობაზე სწორედ ხალხის მასის, სწორედ პროლეტარიატისა და გლეხობის მიერ და სრულიადაც არა ამა თუ იმ «შეგნებული უმცირესობის» მიერ. ფრაზები შეთქმულებასა და ბლანკიზმზე — უბრალო უვნებელი დეკლამაციაა, რომელიც გაცამტვერდა როგორც კი კონვენტი ახსენეს.

VII

ყრილობის დასასრული

შეიარაღებული აჯანყების საკითხი უკანასკნელი საკითხი იყო, რომელიც ყრილობამ ასე თუ ისე გულმოდგინედ და პრინციპულად განიხილა. დანარჩენი საკითხები უკვე მთლად შეკვეცეს ან უკამათოდ გადაწყვიტეს.

რეზოლუცია პარტიზანული საბრძოლო გამოსვლების შესახებ გავიდა, როგორც დამატება რეზოლუციისა შეიარაღებული აჯანყების შესახებ. მე ამ დროს სხდომის დარბაზში არ ვყოფილვარ და არც ამხანაგებისაგან გამიგონია, რომ ამ საკითხზე რაიმე ცოტად თუ ბევრად საინტერესო დებატები ყოფილიყოს. და ეს საკითხი, რა თქმა უნდა, პრინციპული არც არის.

რეზოლუციები პროფესიული კავშირების გამო და გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ ერთხმად იქნა მიღებული. რეზოლუციების მომამზადებელ კომისიებში ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა ამ საკითხებში შეთანხმებას მიაღწიეს. რეზოლუციაში გლეხთა მოძრაობის შესახებ აღვნიშნავ კადეტების პარტიის სავსებით სწორ შეფასებას და აჯანყების აღიარებას თავისუფლების მოპოვების «ერთადერთ საშუალებად». ორივე ეს დებულება ხშირად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ჩვენი ყოველდღიური სააგიტაციო მუშაობის დროს.

ნაციონალურ ს.-დ. პარტიებთან გაერთიანების საკითხს ცოტა უფრო მეტი დრო მოუნდა. პოლონელებთან შეერთება ერთხმად გავიდა. ლატვიელებთან შეერთებასაც, როგორც მახსოვს, ყოველ შემთხვევაში, დიდი კამათი არ გამოუწვევია. ბუნდთან შეერთების საკითხმა დიდი ბრძოლა გამოიწვია. შეერთება გავიდა, როგორც მახსოვს, 54 ხმით თუ დაახლოებით ამდენით. მის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ ხმა მისცეს ბოლშევიკებმა (თითქმის ყველამ), ცენტრმა და ყველაზე ნაკლებ ფრაქციულად განწყობილმა მენშევიკებმა. გავატარეთ რსდმ პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელი კომიტეტების ერთიანობა და ყრილობის დელეგატების არჩევა საერთო საფუძველზე. მივიღეთ რეზოლუცია, რომელიც აღიარებს ორგანიზაციის ცენტრალისტური პრინციპებისათვის ბრძოლის აუცილებლობას (ჩვენ წარვადგინეთ რედაქციულად სხვანაირი, მაგრამ აზრით იმგვარივე რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული ჩვენს მიერ ბუნდისადმი დათმობის პრაქტიკული მნიშვნელობა და აღიარებული იყო პროლეტარიატის ძალის უფრო მჭიდრო და უფრო

ახალი შეკავშირებისათვის განუხრელი ბრძოლის აუცილებლობა).

ზოგიერთი მენშევიკი ბუნდთან გაერთიანების გამო ძლიერ ცხარობდა და მეორე ყრილობის პრინციპების გადახვევას გვაბრალებდა. ამ ბრალდებათა საუკეთესო პასუხს წარმოადგენს «პარტიინიე იზვესტიას» მეორე ნომრიდან ამოღებული ცნობა. ბოლშევიკებმა იქ, ყ რ ი ლ ო ბ ა მ დ ე დ ი ხ ნ ი თ ა დ რ ე, დაბეჭდეს რეზოლუციის პროექტი, რომელიც მთელ რიგ შ ე მ დ გ ო მ დათმობებზე მიდიოდა ყ ვ ე ლ ა ნაციონალური ს.-დ. პარტიის მიმართ, თვით «პროპორციულ წარმომადგენლობამდე პარტიის ადგილობრივ, საოლქო და ცენტრალურ დაწესებულებებში» *. მენშევიკებმა «პარტიინიე იზვესტიას» იმავე მეორე ნომერში ჩვენს რეზოლუციებზე თავიანთი კონტრრეზოლუციებით გვიპასუხეს, მასთან კ რ ი ნ ტ ი ც ა რ დ ა უ ძ რ ა ვ თ, რომ ბუნდისა და სხვა ნაციონალური ს.-დ. პარტიების მიმართ შემდგომ დათმობათა ჩვენს გეგმას არ ეთანხმებიან.

ჩემი აზრით, ეს ფაქტი საუკეთესო პასუხია იმ სადავო საკითხზე, ბოლშევიკებმა მისცეს ხმა ბუნდის სასარგებლოდ ფრაქციული მოსაზრებით, თუ მენშევიკებმა ფრაქციული მოსაზრებით მისცეს ხმა ბუნდის წინააღმდეგ.

პარტიის წესდება ძალიან სწრაფად მიიღეს. მე შევდიოდი წესდების პროექტის შემმუშავებელ კომისიაში. მენშევიკებს სურდათ ⅔-მდე აეყვანათ პარტიის წევრთა ის რიცხვი, რომელიც აუცილებელია სასწრაფო ყრილობის მოსაწვევად. მე მაშინ ჩემს კოლეგა-ბოლშევიკებთან ერთად კატეგორიულად განვაცხადე, რომ სულ მცირედი ცდა ოპოზიციის ავტონომიის და უფლებების იმ მინიმუმის შემცირებისა, რომელიც აღიარა წესდებაში ფრაქციულმა III ყრილობამ, აუცილებელი გათიშვის მომასწავებელი იქნება-მეთქი. საქმე თქვენზეა დამოკიდებული, ამხანაგო მენშევიკებო: თუ გნებავთ ლოიალობის დაცვა, უმცირესობის ყველა უფლების, ოპოზიციის ყველა უფლების

* იხ. ეს ტომი, გვ. 178 — 180. რ ე დ.

დაცვა*, — მაშინ გემორჩილებით, შემოგვყავს ჩვენი თანამოაზრეები ცენტრალურ კომიტეტში და ვგმობთ გათიშვას. თუ არ გნებავთ, — მაშინ გათიშვა აუცილებელია.

მენშევიკები დათანხმდნენ ⅔ შეემცირებინათ ½-მდე. წესდება ერთხმად გავიდა: 1-ლი პარაგრაფიც და დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპიც. უთანხმოება მხოლოდ ორმა მუხლმა გამოიწვია.

ჯერ ერთი, ჩვენ წინადადება შევიტანეთ 1-ლი პარაგრაფისთვის დაერთოთ შენიშვნა იმ მხრივ, რომ პარტიის წევრებს, რომელნიც საცხოვრებელ ადგილს იცვლიან, უფლება აქვთ პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებში შევიდნენ.

ამ შენიშვნას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ შეუძლებელი გაეხადა წვრილმანი შფოთი და კინკლაობა, ორგანიზაციიდან სხვაგვარად მოაზროვნეთა გაგდება, მენშევიკების მხრივ ბოლშევიკების დაშვებაზე უარისთქმა და პირიქით. პარტია იზრდება. იგი ფართოვდება. ბოლო უნდა მოვუღოთ ადგილებისათვის ბრძოლას. პარტიის ყველა დაწესებულება არჩევითია. პარტიის დაბალ ორგანიზაციებში შესვლა კი სავსებით თავისუფალი უნდა იყოს პარტიის ყველა წევრისათვის. მხოლოდ მაშინ ველარ შებღალავს იდეურ ბრძოლას ორგანიზაციული კინკლაობა.

მიუხედავად ჩვენი დაჟინებისა, მენშევიკებმა უარყვეს ეს შენიშვნა. მაგრამ თავიანთ ლოიალურ განზრახვათა დასამტკიცებლად დათანხმდნენ მიეღოთ რეზოლუცია: «ყრილობა ამ შენიშვნას მხოლოდ იმიტომ უარყოფს, რომ ზედმეტად და თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ გ ა ს ა გ ე ბ ა დ თვლის მას» (ციტატი ზეპირად მომყავს, რადგან ჩემს შენიშვნებში ამ რეზოლუ-

* მოგაგონებთ, რომ ჩემს ბროშურაში: «სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატია» (დანის სტატიასთან ერთად) მე ყრილობამდე აღვნიშნავდი, რომ აუცილებელია იმ მიმდინარეობას, რომელიც უმცირესობაში დარჩა, უზრუნველყოფილი ჰქონდეს ყ რ ი ლ ო ბ ი ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ა თ ა კ რ ი ტ ი კ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ებ ა და ა ხ ა ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ი ს მ ო წ ვ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს ა გ ი ტ ა ც ი ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ებ ა (გვ. 8). (იხ. ეს ტომი, გვ. 116 — 117). რ ე დ.

ციის ტექსტი არ აღმოჩნდა). ყოველგვარი შესაძლებელი დავისა და ორგანიზაციული უთანხმოების დროს მეტად მნიშვნელოვანია მხედველობაში ვიქონიოთ ეს რეზოლუცია.

უთანხმოებათა მეორე მუხლი ეხებოდა ც. კ.-ისა და ცენტრალური ორგანოს ურთიერთობას. მენშევიკებმა გაატარეს ცენტრალური ორგანოს არჩევა ყრილობაზე და ცენტრალური ორგანოს შესვლა ც. კ.-ის შემადგენლობაში პოლიტიკის საკითხების გარჩევისას (ბუნდოვანი მუხლია, რომელიც, ალბათ, გაუგებრობას გამოიწვევს). ბოლშევიკები იმოწმებდნენ რუსეთისა და გერმანიის * პარტიებში ლიტერატურულ შეჯახებათა სავალალო გამოცდილებას და მხარს უჭერდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციის დანიშვნას ცენტრალური კომიტეტის მიერ და უკანასკნელისთვის რედაქციის შეცვლის უფლების მინიჭებას. მენშევიკების გადაწყვეტილება, ჩემი აზრით, უეჭველად ცხადჰყოფს, რომ ჩვენი პარტიის მემარჯვენე ფრთაში არანორმალობაა, ერთი მხრივ, ლიტერატორთა და, მეორე მხრივ, პრაქტიკულ-პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ურთიერთობაში.

როგორც კურიოზი, უნდა აღინიშნოს კიდევ, რომ მენშევიკებმა ყრილობაზე დაადასტურეს ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის რეზოლუცია ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ [115]. ჩვენი ს.-დ. ყრილობების ისტორიაში ეს დადგენილება შევა სწორედ როგორც კურიოზი. მართლაცდა, განა ყ ვ ე ლ ა ქვეყნის ს.-დ. პარტიებისთვის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესთა ყ ვ ე ლ ა დადგენილება სავალდებულო არ არის? რაღა აზრი აქვს ერთ-ერთი ასეთი დადგენილების გამოყოფასა და დადასტურებას? სად და როდის ნახულა, რომ ნაციონალურ ს.-დ. პარტიებს, იმის მაგივრად, რომ გადაწყვიტონ თ ა ვ ი ს ი ქვეყნის ამა თუ იმ ბურჟუაზიული პარტიისადმი დამოკიდებულების საკითხი, დაემოწმებინოთ ყველა ქვეყნისათვის საერთო

* ამასწინანდელი «ისტორია», «Vorwärts»-ის («წინ». რ ე დ.) ექვსი რედაქტორისა, რომელთაც სკანდალი ასტეხეს იმის გამო, რომ გერმანიის ს.-დ. პარტიის ცენტრალურმა გამგეობამ ისინი გადააყენა.

დამოკიდებულება ყველა ბურჟუაზიული პარტიისადმი საერთოდ? ყრილობამდე ბოლშევიკებმაც და მენშევიკებმაც მოამზადეს პროექტები რეზოლუციებისა რ უ ს ე თ ი ს ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ქრისტეს შობიდან წელსა 1 9 0 6-ს ა. თუ ყრილობას დრო აღარ ჰქონდა ამ საკითხის გასარჩევად, იგი უნდა გადაედოთ. ხოლო ასეთი «საშუალო» გზის არჩევა: რუსეთის პარტიების საკითხი არ იქნას განხილული, ხოლო საერთო საკითხის საერთაშორისო გადაწყვეტილება დადასტურდეს, — ეს მხოლოდ მთელი ქვეყნის წინაშე საკუთარი დაბნეულობის გამომჟღავნებას ნიშნავდა. არ ვიცით ჩვენი ჭკუით როგორი გადაწყვეტილება მივიღოთ რუსეთის პარტიების შესახებ, მოდით, საერთაშორისო გადაწყვეტილება მაინც გავიმეოროთ! ეს იყო საკითხის ღიად დატოვების ყველაზე უხეირო ფორმა, რასაც მხოლოდ დაცინვა შეუძლია გამოიწვიოს.

საკითხი კი მეტად მნიშვნელოვანია. უმრავლესობისა და უმცირესობის სათანადო რეზოლუციების პროექტებს მკითხველი დამატებაში იპოვის. ვისაც ეს საკითხი აინტერესებს (ხოლო რომელ პრაქტიკოსს, აგიტატორს ან პროპაგანდისტს შეიძლება არ აინტერესებდეს ეს საკითხი?), ვურჩევთ დრო და დრო შეადარონ ეს პროექტები «რევოლუციის გაკვეთილებს», ე. ი. პარტიათა ცხოვრების იმ პოლიტიკურ ფაქტებს, რომელთაც ასე უხვად იძლევა ახლა რუსეთის ცხოვრება. ვინც ამგვარ შედარებას მოინდომებს, იგი დაინახავს, რომ რევოლუცია სულ უფრო და უფრო ადასტურებს ბურჟუაზიული დემოკრატიის ორი უმთავრესი მიმდინარეობის ჩვენს შეფასებას — ლიბერალურ-მონარქისტულისა (უმთავრესად კადეტების) და რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის შეფასებას.

ხოლო მენშევიკურ რეზოლუციას აშკარად ეტყობა სწორედ იმ უმწეობისა და დაბნეულობის ნიშნები, რამაც ყრილობაზე კურიოზული შედეგი მოგვცა: დადასტურდეს საერთაშორისო გადაწყვეტილება. მენშევიკური რეზოლუცია მხოლოდ ზოგადი ფრაზებისაგან შესდგება, იქ არაა რუსეთის პოლიტი-

კური სინამდვილის კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის (ანდა გადაწყვეტის დასახვის) ცდა. ყველა პარტია უნდა გავაკრიტიკოთ, ამბობს ეს დაბნეული რეზოლუცია, უნდა ვამხილოთ ისინი, უნდა აღვიაროთ, რომ სავსებით თანამიმდევარი დემოკრატიული პარტიები არ არსებობსო. ხოლო ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ო გ ო რ უნდა «გავაკრიტიკოთ და ვამხილოთ» რუსეთის ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ბურჟუაზიული პარტიები, ანდა ამ პარტიათა სხვადასხვა ტიპები, — რეზოლუციამ ეს არ იცის. იგი ამბობს, უნდა «გავაკრიტიკოთო», მაგრამ მას ა რ ე მ ა რ ჯ ვ ე ბ ა გაკრიტიკება, რადგან ბურჟუაზიულ პარტიათა მარქსისტული კრიტიკა სხვადასხვა ბურჟუაზიულ პარტიათა ამა თუ იმ კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი საფუძვლის სწორედ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ანალიზში მდგომარეობს. რეზოლუცია უმწეოდ ამბობს: არ არსებობს სავსებით თანამიმდევარი დემოკრატიული პარტიებიო, — და ვერ მოუხერხებია განსაზღვროს რ უ ს ე თ ი ს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიათა თანამიმდევრობის ის გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ნ ი, რამაც უკვე თავი იჩინა და თავს იჩენს ჩვენი რევოლუციის მსვლელობაში. მენშევიკური რეზოლუციის ცარიელი ფრაზების, ზოგადი ადგილების გამო გაჰქრა ჩვენებური ბურჟუაზიული პარტიების სამი ძირითადი ტიპის საზღვარიც კი: ოქტიაბრისტების ტიპისა, კადეტების ტიპისა, რევოლუციური დემოკრატების ტიპისა. და ეს მემარჯვენე ფრთის ჩვენი სოციალ-დემოკრატები, ბურჟუაზიული რუსეთის სხვადასხვა პარტიების კლასობრივ საფუძველთა და ტენდენციათა გათვალისწინებაში სასაცილოდ უმწეონი, ბრალად სდებენ მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს «ჭეშმარიტ სოციალიზმს», ე. ი. ბურჟუაზიული დემოკრატიის ისტორიულ-კონკრეტული როლის უგულებელყოფას! ერთხელ კიდევ: აი ჭეშმარიტად ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო.

მე რაოდენადმე ავცდი ჩემი თხრობის საგანს. მაგრამ უკვე ჩემი ბროშურის დასაწყისში აღვნიშნე, რომ განზრახული მაქვს მოხსენებას ყრილობის შესახებ დავურთო ზოგიერთი აზრი ყრილობის გამო-მეთქი. და ვფიქრობ, პარტიის წევრებმა რომ

შეგნებულად შეაფასონ ყრილობა, საჭიროა ჩაუფიქრდნენ არა მარტო იმას, რაც ყრილობამ გააკეთა, არამედ იმასაც, რაც ყრილობას არ გაუკეთებია, თუმცა უნდა გაეკეთებინა. ხოლო რუსეთის სხვადასხვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიების მარქსისტული ანალიზის აუცილებლობას დღითიდღე უფრო და უფრო ნათლად გრძნობს ყოველი მოაზროვნე სოციალ-დემოკრატი.

ყრილობაზე არჩევნები რამდენიმე წუთში მოხდა. არსებითად ყველაფერი უკვე საერთო სხდომების დაწყებამდე იყო მოგვარებული. მენშევიკებმა ცენტრალური ორგანოს ხუთეული სულ მთლად მენშევიკებისაგან შეადგინეს; ჩვენ დავთანხმდით სამი კაცი შეგვეყვანა ც. კ.-ში, სადაც შვიდი მენშევიკია. როგორი იქნება მათი მდგომარეობა, როგორც ერთგვარი კონტროლიორებისა და ოპოზიციის უფლებათა დამცველებისა, ამას მომავალი დაგვანახვებს.

VIII

ყრილობის შედეგები

როდესაც ზოგადად თვალს ვავლებთ ყრილობის მუშაობას და ჩვენი პარტიის მდგომარეობას, რომელიც ყრილობის მუშაობის შედეგად შეიქმნა, შემდეგ მთავარ დასკვნებამდე მივდივართ.

ყრილობის დიდი პრაქტიკული საქმეა დასახული შეერთება (ნაწილობრივ უკვე განხორციელებული) ნაციონალურ ს.-დ. პარტიებთან. ეს შეერთება ამაგრებს რუსეთის სდმ პარტიას. იგი დაგვეხმარება წრეობანას უკანასკნელი ნაშთების აღმოფხვრაში. იგი ახალ ნაკადს შეიტანს პარტიის მუშაობაში. იგი უდიდესად გააძლიერებს რუსეთის ყველა ხალხის პროლეტარიატის ძალას.

დიდი პრაქტიკული საქმეა უმცირესობისა და უმრავლესობის ფრაქციების შეერთება. გათიშვა აღარ არსებობს. სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატი და მისი პარტია ერ-

თიანი უნდა იყოს. ორგანიზაციული უთანხმოებანი თითქმის მთლად აღმოფხვრილია. რჩება დიდმნიშვნელოვანი, სერიოზული და უაღრესად პასუხსაგები ამოცანა: პარტიის ორგანიზაციაში ნამდვილად განვახორციელოთ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები, — შეუპოვარი მუშაობით მივაღწიოთ იმას, რომ პარტიის ძირითად ორგანიზაციულ უჯრედად საქმით და არა სიტყვიერად გახდნენ ქვემდგომი ორგანიზაციები, რომ ყველა ზემდგომი დაწესებულება ნამდვილად არჩევითი, ანგარიშვალდებული და ცვლადი იყოს. შეუპოვარი მუშაობით უნდა ჩამოვაყალიბოთ ისეთი ორგანიზაცია, რომ იგი შეიცავდეს ყველა შეგნებულ სოციალ-დემოკრატ მუშას და ცხოვრობდეს დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებით. ყოველგვარი პარტიული ორგანიზაციის ავტონომია, რომელიც აქამდე უფრო ქაღალდზეა აღიარებული, უნდა ხორციელდებოდეს და განხორციელდეს კიდეც. ადგილებისათვის ბრძოლა, სხვა «ფრაქციის» შიში უნდა მოვსპოთ და მოვსპობთ კიდეც. დაე ნამდვილად გვქონდეს პარტიის ერთიანი ორგანიზაციები სოციალ-დემოკრატიული აზრის სხვადასხვა მიმდინარეობათა წმინდა იდეური ბრძოლით მათ შიგნით. ამის მიღწევა ჯერ კიდევ ადვილი როდია, ამას ერთბაშად ვერ მივაღწევთ. მაგრამ გზა დასახულია, პრინციპები გამოცხადებულია, და ჩვენც უნდა ვეცადოთ ეს ორგანიზაციული იდეალი სრულად და თანამიმდევრად განვახორციელოთ.

ყრილობის დიდ იდეურ საქმედ მიგვაჩნია სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის უფრო ნათლად და გარკვეულად გამიჯვნა. ერთიცა და მეორე ფრთაც ევროპის ყველა ს.-დ. პარტიაში არსებობს, — ისინი უკვე დიდი ხანია ჩვენშიც ისახებოდნენ. მათი უფრო მკაფიოდ გამიჯვნა, უფრო ნათლად გარკვევა იმისა, თუ რის გამო წარმოებს დავა, აუცილებელია პარტიის ჯანსაღი განვითარების გულისთვის, პროლეტარიატის პოლიტიკური აღზრდის გულისთვის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სწორი გზიდან ყოველგვარი გადაჭარბებული გადახვევის აღმოფხვრის გულისთვის.

გამაერთიანებელმა ყრილობამ უამრავი საქმიანი, დოკუმენტური მასალა მოგვცა იმის გამოსარკვევად — ზუსტად და უდავოდ გამოსარკვევად, თუ რაში ვეთანხმებით ერთმანეთს და რაში არ ვეთანხმებით, სახელდობრ რამდენად არ ვეთანხმებით. საჭიროა შ ე ვ ი ს წ ა ვ ლ ო თ ეს დოკუმენტური მასალა, საჭიროა ვიცოდეთ ფ ა ქ ტ ე ბ ი, რომელნიც ზუსტად ცხადყოფენ უთანხმოებათა შინაარსსა და ოდენობას, უნდა გადავეჩვიოთ ძველ წრეობანურ ჩვეულებებს, — ყვირილს, საშინელი სიტყვების, მრისხანე ბრალდებების წამოსროლას იმის შაგივრად, რომ საქმიანად განვიხილოთ ესა და ეს, ამა და ამ საკითხის გამო გამოაშკარავებული უთანხმოებანი. და ჩვენც აუცილებლად მიგვაჩნია ამ ბროშურის დამატებად მოვიყვანოთ რაც შეიძლება უფრო სრული დ ო კ უ მ ე ნ ტ უ რ ი მასალა, რომელიც გამაერთიანებელ ყრილობას ეხება, რათა პარტიის წევრებს შეეძლოთ მართლაც დამოუკიდებლად შ ე ი ს წ ა ვ ლ ო ნ უთანხმოებანი და ზეპირად არ იმეორონ გაგონილი შაბლონური სიტყვები. იგი, ეს დოკუმენტური მასალა, რა თქმა უნდა, მშრალია. ყველას როდი ეყოფა გულისყური და მოთმინება რეზოლუციების პროექტები იკითხოს,—მიღებულ რეზოლუციებს შეადაროს ისინი, ყოველი მუხლის სხვადასხვა ფორმულირების მნიშვნელობას, ყოველ ფრაზას ჩაუფიქრდეს. მაგრამ ამგვარი სერიოზული მუშაობის გაუწევლად ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი შეგნებული დამოკიდებულება შეუძლებელია.

და აი, როდესაც ვაჯამებ ყოველივე ზემოთქმულს ყრილობაზე გაჩაღებული დავის გამო, ვაჯამებ ყრილობის მიერ განუხილველ (თუ გადადებულ) რეზოლუციათა პროექტების სხვადასხვა ტენდენციებს, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ყრილობამ დიდი დახმარება გაუწია სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის უფრო მკაფიოდ გამიჯვნას.

ჩვენს მემარჯვენე ფრთას არა სწამს ახლანდელი, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სრული გამარჯვება რუსეთში, ეშინია ამ გამარჯვებისა, ხალხის წინაშე გადაჭრით

და გარკვევით არ აყენებს ამ გამარჯვების ლოზუნგს. იგი ყოველთვის გადადის იმ ძირიანფესვიანად შემცდარ და მარქსიზმის გამაუგვანებელ აზრზე, თითქოს ბურჟუაზიული რევოლუციის დამოუკიდებლად «გაკეთება» მხოლოდ ბურჟუაზიას შეუძლია, ანდა ბურჟუაზიულ რევოლუციას მარტო ბურჟუაზია უნდა გაუძღვესო. პროლეტარიატის, როგორც ბურჟუაზიული რევოლუციის სრული და გადამწყვეტი გამარჯვებისათვის მოწინავე მებრძოლის როლი ნათელი როდია ს.-დ. მემარჯვენე ფრთისათვის.

მაგალითად, ს.-დ. მემარჯვენე ფრთა აყენებს, — ყოველ შემთხვევაში ყრილობის ზოგიერთი ორატორის სიტყვებში, — გ ლ ე ხ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ლოზუნგს, მაგრამ ამ ლოზუნგს თანამიმდევრად არ ატარებს. იგი პროგრამაში არ აყალიბებს ნათელ რევოლუციურ გზას ხალხში პროპაგანდისა და აგიტაციისათვის (მ ი წ ე ბ ი ს ხ ე ლ შ ი ჩ ა გ დ ე ბ ა გლეხთა რევოლუციური კომიტეტების მიერ სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მ ო წ ვ ე ვ ა მ დ ე). მას ეშინია გლეხური რევოლუციის პროგრამაში შეიტანოს რევოლუციური გლეხობის მიერ ძალაუფლების დაპყრობის იდეა. მიუხედავად თავისი დაპირებისა, მას სწორედ «ლოგიკურ» დასკვნამდე არ მიჰყავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალება მიწათმოქმედებაში, რადგან კაპიტალიზმის დროს ასეთი «ლოგიკური» (დ ა ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი) დასკვნა არის მხოლოდ მიწის ნაციონალიზაცია, როგორც აბსოლუტური რენტის მოსპობა. იგი თხზავს რაღაც არაჩვეულებრივ ხელოვნურ საშუალო ხაზს, ადგილობრივ ოლქებად დახურდავებული მიწის ნაციონალიზაციით, დემოკრატიული ერობებით არადემოკრატიული ცენტრალური ხელისუფლების დროს. იგი აშინებს პროლეტარიატს რესტავრაციის აჩრდილით და იმას კი ვერ ამჩნევს, რომ იგი პროლეტარიატის საწინააღმდეგოდ ბურჟუაზიის პოლიტიკურ იარაღს ებღაუჭება, რომ იგი მონარქისტული ბურჟუაზიის წისქვილზე უშვებს წყალს.

და მთელ თავის ტაქტიკურ ხაზში ჩვენი მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატები გადაჭარბებით აფასებენ მერყევი, მოქანავე მონარქისტული ლიბერალური ბურჟუაზიის (კადეტების და სხვ.) მნიშვნელობასა და როლს და შესაფერისად ვერ აფასებენ რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის («გლეხთა კავშირი», «შრომის ჯგუფი» სათათბიროში, ესერები, მრავალი ნახევრადპოლიტიკური, ნახევრადპროფესიული ორგანიზაცია და სხვ.) მნიშვნელობას. კადეტების ეს გადაჭარბებულად შეფასება და რევოლუციური დემოკრატიული «ქვედა ფენების» შეუფასებლობა უმჭიდროესად არის დაკავშირებული ბურჟუაზიულ რევოლუციაზე ზემოხსენებულ უმართებულო შეხედულებასთან. ჩვენს მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატებს აბრმავებს კადეტების მოჩვენებითი წარმატება, მათი მყვირალა «პარლამენტური» გამარჯვებანი, მათი ეფექტიანი «კონსტიტუციური» გამოსვლები. წუთიერების პოლიტიკით მოხიბლულთ, მათ ავიწყდებათ დემოკრატიის უფრო ძირითადი და უფრო არსებითი ინტერესები, ავიწყდებათ ის ძალები, რომელნიც ნაკლებად «ხმაურობენ» ტრეპოვებისა და დუბასოვების მიერ ნებადართულ «კონსტიტუციონალიზმის» ზედაპირზე, მაგრამ უფრო ღრმა, თუმცა უფრო ნაკლებად დასანახ მუშაობას აწარმოებენ რევოლუციურ-დემოკრატიულ ქვედა ფენებში და ამზადებენ არცთუ სავსებით პარლამენტური ხასიათის კონფლიქტებს.

აქედან წარმოსდგება ჩვენი მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატების სკეპტიკური (რბილად რომ ვთქვათ) დამოკიდებულება აჯანყებისადმი, აქედან წარმოსდგება მისწრაფება გვერდი აუარონ ოქტომბრისა და დეკემბრის გამოცდილებას, მაშინ შემუშავებულ ბრძოლის ფორმებს. აქედან მომდინარეობს მათი გაუბედაობა და პასიურობა კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლაში, — იმ ბრძოლაში, რომელსაც პირველ რიგში აყენებს ყოველი ნამდვილად რევოლუციური მომენტი. აქედან წარმოსდგება სათათბიროს ბოიკოტის ისტორიული

როლის გაუგებლობა, მისწრაფება, რომ სიტყვის «ანარქიზმის» გესლიანი თქმით თავიდან აიშორონ განსაზღვრულ მომენტში * მოძრაობის კონკრეტულ პირობათა გათვალისწინება, აქედან წარმოსდგება უზომო სიჩქარე ცრუკონსტიტუციურ დაწესებულებაში შესვლისა, აქედან წარმოსდგება ამ დაწესებულების დადებითი როლის გადაჭარბებით შეფასება.

---

* ეს-ეს არის მივიღე კარლ კაუტსკის ახალი ბროშურა: «სახელმწიფო სათათბირო». ბოიკოტის საკითხის დაყენება მის მიერ და მენშევიკების მიერ ისე განირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. ჩვენი ვაი-სოციალ-დემოკრატები, მსგავსად ნეგორევისა «ნევსკაია გაზეტაში», პირდაპირ როშავენ ხოლმე: ბოიკოტი ანარქიზმიაო! კაუტსკი კი განიხილავს კონკრეტულ პირობებს და წერს: «ასეთ პირობებში გასაკვირველი არაფერია, რომ ჩვენი რუსი ამხანაგების უმრავლესობამ სათათბირო, რომელსაც ასეთი გზით იწვევენ, მიიჩნია მხოლოდ სახალხო წარმომადგენლობის ყოვლად აღმაშფოთებელ გაყალბებად, და გადაწყვიტა ბოიკოტი გამოუცხადოს მას»... «გასაკვირველი არაფერია, თუ ჩვენი რუსი ამხანაგების უმრავლესობამ, იმის მაგივრად, რომ საარჩევნო კამპანიაში ჩაბმულიყო, რათა შემდეგ სათათბიროში მოხვედრილიყო, უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია ებრძოლნა ამ სათათბიროს ჩასაფუშავად და დამფუძნებელი კრების მოსაწვევად».

ძალიან ვისურვებდით, რომ კაუტსკის მიერ მოცემული ამ ისტორიულ-კონკრეტული შეფასების პარალელურად რაც შეიძლება მალე გამოქვეყნებულიყო აქსელროდის ზოგადი ფრაზები პარლამენტარიზმის სარგებლობისა და ანარქიზმის მავნებლობის შესახებ!

სხვათა შორის. აი რას ამბობს კაუტსკი რევოლუციის გამარჯვების შესახებ თავის იმავე ბროშურაში: «გლეხები და პროლეტარიატი უფრო და უფრო ენერგიულად და მოურიდებლად წაუბიძგებენ სათათბიროს წევრებს მარცხნივ...» («კადეტების უსაბუთო მხილებაა», «ნევსკაია გაზეტას» ქედმაღლური გამოთქმით)... «სულ უფრო და უფრო მეტად შეასუსტებენ და მოადუნებენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, ვიდრე მათ სავსებით არ დაამარცხებენ». ამრიგად, გლეხები და პროლეტარიატი დაამარცხებენ «მათ», ე. ი. მთავრობასაც და ლიბერალურ ბურჟუაზიასაც. საბრალო კაუტსკი! მას როდი გაეგება, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია შეუძლია მოახდინოს მხოლოდ ბურჟუაზიას. იგი «ბლანკისტურ» ერესში ვარდება: პროლეტარიატისა და გლეხობის გამარჯვება («დიქტატურა»).

ჩვენი მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატების ამ ტენდენციების წინააღმდეგ უაღრესად გადამწყვეტი, აშკარა და დაუნდობელი იდეური ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყრილობის გადაწყვეტილებები უაღრესად ფართოდ იქნას განხილული, პარტიის ყოველ წევრს უნდა მოეთხოვოს სავსებით შეგნებულად და კრიტიკულად მიუდგეს ამ გადაწყვეტილებებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მუშათა ყველა ორგანიზაციამ საქმის სრული ცოდნით გამოსთქვას თავისი აზრი ამა თუ იმ გადაწყვეტილებათა მოწონებისა თუ დაწუნების მხრივ. ეს განხილვა უნდა ხდებოდეს პრესაში, კრებებზე, წრეებსა და ჯგუფებში, თუ ჩვენ მართლა სერიოზულად გადავწყვიტეთ ჩვენს პარტიაში დემოკრატიული ცენტრალიზმის **გატარება**, თუ ჩვენ გადავწყვიტეთ მუშათა მასები **ჩავაბათ პარტიული საკითხების შეგნებულად გადაწყვეტაში.**

მაგრამ ერთიან პარტიაში ამ იდეურმა ბრძოლამ არ უნდა გათიშოს ორგანიზაციები; არ უნდა დაარღვიოს პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობა. ჩვენი პარტიის პრაქტიკაში ეს პრინციპი ჯერ კიდევ ახალია და მისი მართებულად განხორციელებისათვის ცოტა მუშაობა როდი დაგვჭირდება.

განხილვის თავისუფლება, მოქმედების ერთიანობა, — აი რას უნდა მივაღწიოთ. და გამაერთიანებელი ყრილობის გადაწყვეტილებანიც ამ მხრივ საკმარისად ფართო გასაქანს **აძლევენ** ყველა სოციალ-დემოკრატს. «მუნიციპალიზაციის» მსგავს პრაქტიკულ მოქმედებასთან ჯერ არცთუ ძალიან ახლოსა ვართ, ხოლო იმაში, რომ საჭიროა მხარი დავუჭიროთ გლეხობის რევოლუციურ გამოსვლებს, გავაკრიტიკოთ წვრილბურჟუაზიული უტოპიები — ამაში ყველა სოციალ-დემოკრატი ერთმანეთს ეთანხმება. მაშასადამე, ჩვენ უნდა განვიხილოთ მუნიციპალიზაცია და დავგმოთ იგი ისე, რომ პროლეტარიატის მოქმედებათა ერთიანობის დარღვევის არ გვეშინოდეს.

სათათბიროს შესახებ საქმის ვითარება ცოტა სხვანაირია. **არჩევნების** დროს ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა მოქმედების სრუ-

ლი ერთიანობა. ყრილობამ გადაწყვიტა, — არჩევნებში მონაწილეობა მივიღოთ ყ ვ ე ლ ა მ, სადაც კი არჩევნები უნდა მოხდესო. არჩევნების დროს არავითარი კრიტიკა არჩევნებში მონაწილეობისა. პროლეტარიატის მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ერთიანი უნდა იყოს. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, როდესაც ეს ფრაქცია გვექნება, ჩვენ ყველანი და ყოველთვის ჩ ვ ე ნ ს პარტიულ ფრაქციად მივიჩნევთ.

მაგრამ მოქმედების ერთიანობის ფარგლებს გარეთ — უაღრესად ფართო და თავისუფალი განხილვა და დაგმობა იმ ნაბიჯებისა, გადაწყვეტილებებისა, ტენდენციებისა, რომელნიც ჩვენ მავნედ მიგვაჩნია. მხოლოდ ამგვარი განხილვით, რეზოლუციებით, პროტესტებით შეიძლება ჩვენი პარტიის ნამდვილი საზოგადოებრივი აზრის შემუშავება, მხოლოდ ამ პირობით იქნება იგი ნამდვილი პარტია, რომელსაც უნარი ექნება ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს გამოთქვას თავისი აზრი და გამონახოს სწორი გზები გამორკვეული ა ზ რ ი ს გადაქცევისათვის ახალი ყრილობის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ებ ა დ.

აიღეთ მესამე რეზოლუცია, — აჯანყების შესახებ, — რომელმაც უთანხმოება გამოიწვია. ბრძოლის მომენტში აქ მოქმედების ერთიანობა უეჭველად აუცილებელია. ამგვარი გაცხარებული ბრძოლის დროს ა რ ა ვ ი თ ა რ ი კრიტიკა არ არის დასაშვები პროლეტარიატის არმიის შიგნით, არმიისა, რომელიც მთელ თავის ძალღონეს იკრებს. სანამ ჯერ კიდევ არ არის მოწოდება მოქმედებისადმი, — საჭიროა რეზოლუციის, მისი მოტივებისა და მისი ცალკეული დებულებების უაღრესად ფართო და თავისუფალი განხილვა და შეფასება.

ამრიგად, ასპარეზი მეტად ფართოა. ყრილობის რეზოლუციები დიდ გასაქანს იძლევიან. ყოველგვარი გატაცება კვაზი-კონსტიტუციონალიზმით, — ყოველგვარი გაზვიადება ვისი მხრივაც არ უნდა იყოს სათათბიროს «დადებითი» როლისა, — ყოველგვარი მოწოდება სოციალ-დემოკრატიის უკიდურეს მემარჯვენეთა მხრივ ზომიერებისა და წესიერებისაკენ, — ყოველივე ამის წინააღმდეგ ჩვენ ხელთა გვაქვს უძლიერესი ია-

რალი. ეს იარაღია პირველი მუხლი ყრილობის რეზოლუციისა აჯანყების შესახებ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამაერთიანებელმა ყრილობამ მოძრაობის უშუალო ამოცანად აღიარა — თვითმპყრობელური მთავრობის ხელიდან ძალაუფლების გამოგლეჯა. ყველა ის, ვინც ამ უშუალო ამოცანას დაივიწყებს, ვინც მას უკანა რიგში დააყენებს, — ყრილობის ნებას დაარღვევს, და ამ დამრღვევთ ჩვენ უმკაცრესად შევებრძოლებით.

ვიმეორებ: გასაქანი დიდია. პარლამენტის ფრაქციით დაწყებული და ძალაუფლების ხელიდან გამოგლეჯის უშუალო ამოცანით გათავებული. ამ ფართო ფარგლებში იდეური ბრძოლა შეიძლება და უნდა წარმოებდეს გაუთიშავად, პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობის დაცვით.

სწორედ ამგვარი იდეური ბრძოლისაკენ მოვუხმობთ ჩვენ ყველა სოციალ-დემოკრატს, ვისაც არ სურს დაუშვას, რომ ჩვენი პარტია მეტისმეტად მარჯვნივ იხრებოდეს.

დანართი

მასალები რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის მუშაობის შეფასებისათვის

მკითხველნი რომ ყრილობის ოქმების გამოსვლამდე დოკუმენტების მიხედვით გაერკვნენ იმ საკითხებში, რომლებიც ყრილობის განხილვის საგანს შეადგენდნენ, ჩვენ აქ მოგვყავს პროექტები იმ რეზოლუციებისა, რომლებიც მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შეჰქონდათ ყრილობაზე, აგრეთვე ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციების ტექსტები. როგორც ბროშურის ტექსტში უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ამ მასალის შესწავლა მისცემს ყველას იმის საშუალებას, რომ ნათელი და ზუსტი წარმოდგენა იქონიოს ყრილობაზე წარმოებული იდეური ბრძოლის ნამდვილი მნიშვნელობის შესახებ. უმნიშვ-

ნელოვანესი რეზოლუციები იმ რეზოლუციებიდან, რომელ-ნიც ყრილობას არ განუხილავს და არც ყოფილა წარდგენილი ყრილობაზე, აქვე მოგვყავს «პარტიინიე იზვესტიას» მეორე ნომრიდან, რადგან ისინი ყრილობის ყველა წევრს მხედველობაში ჰქონდა დებატების დროს, ზოგჯერ იმოწმებდნენ მათ, და უთანხმოებათა სრული გარკვევა მათ გაუცნობლად შეუძლებელია.

ბრძოლა თავისუფლებისათვის და ბრძოლა ძალაუფლებისათვის

«ნოვოე ვრემია» გვამხელს. გაზეთი, მსახური მთავრობისა, რომელიც ფაქტიურად თვითმპყრობელური რჩება, ჩვენი გაზეთის წინააღმდეგ მთელი რიგი მრისხანე ბრალდებით გამოვიდა და კადეტებს აფრთხილებს — ბურჟუაზიისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა საფრთხეს წარმოადგენსო. მთავრობასთან ჩვეულებრივ დაბეზღებათა შორის «ნოვოე ვრემიას» მსჯელობაში არის ისეთი მუხლები, რომელთაც უაღრესად საჭირბოროტო და საერთოსახალხო ინტერესი აქვთ.

«როგორ არ რცხვენიათ კადეტებს, — ამბობს, «ნოვოე ვრემია», — რომ სოციალ-რევოლუციონერებს (ლაპარაკი იყო «ვოლნაზე») «პოლიტიკური თავისუფლებისათვის მოწინავე მებრძოლებად სახავენო»? ეს მართალი არ არის. თავისუფლებისათვის კი არ იბრძვიან ისინი, არამედ ძალაუფლებისათვის, და ძველი თვითმპყრობელობის მაგივრად თავის — პროლეტარიატის — თვითმპყრობელობას აყენებენ».

«ნოვოე ვრემია» გულმოდგინედ ემსახურება თვითმპყრობელურ მთავრობას. მსახური ცდილობს, ბატონის გულისთვის, რომ ბურჟუაზია სოციალისტური რევოლუციის აჩრდილით დააფრთხოს. ეს პირველი ამოცანაა. მეორე ამოცანაა — მიმდინარე რევოლუცია სოციალისტურ რევოლუციად წარმოგვიდგინოს, «ხალხის თვითმპყრობელობა» და «პროლეტარიატის თვითმპყრობელობა» ერთმანეთში არიოს.

ეს ოინები და სიყალბე თვითმპყრობელობის მსახურებისა, რომელნიც ცდილობენ ორივე ზემოხსენებული ამოცანა შეასრულონ, შემთხვევითი როდია. ყველგან და ყოველთვის ძველი, თვითმპყრობელური ხელისუფლების მსახურნი მიისწრაფოდნენ და მიისწრაფიან ამგვარი «სიყალბისაკენ», მიისწრაფიან არა მხოლოდ საგაზეთო სტატიებში, არამედ მთელ თავიანთ პოლიტიკაში.

ამიტომ «ნოვოე ვრემიას» ტყუილის გარჩევას მეტად სერიოზული მნიშვნელობა ეძლევა. შევჩერდეთ უწინარეს ყოვლისა ამ «საშინელ» აღმოჩენაზე: «ისინი თავისუფლებისათვის კი ა რ იბრძვიან, არამედ ძალაუფლებისთვისაო. ვნახოთ, რას ნიშნავს ეს. ხალხის თავისუფლება მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როდესაც ხალხი მართლაც სრულიად დაუბრკოლებლივ აწყობს კავშირებს, კრებებს, უძღვება გაზეთებს, თვითონვე სცემს კანონებს, თვითონვე ირჩევს და სცვლის სახელმწიფოს ყველა თანამდებობის პირს, რომელთაც ევალებათ კანონთა გატარება და მართვა-გამგეობა კანონთა საფუძველზე. მაშასადამე, ხალხის თავისუფლება მხოლოდ მაშინ არის სავსებით და ნამდვილად უზრუნველყოფილი, როდესაც მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში სავსებით და ნამდვილად ხალხს ეკუთვნის. ეს ცხადზე-უცხადესია, და მხოლოდ ხალხის შეგნებაში აბნეულობის შეტანის წინასწარ განზრახული სურვილით ხელმძღვანელობენ მთავრობის ისეთი მსახურნი, როგორიცაა «ნოვოე ვრემია». სწორედ ამ აშკარა ჭეშმარიტებას გვიჩვენებს მუშათა პარტიის პროგრამა. ხალხის თვითმპყრობელობა მოქცეულია ამ პროგრამის იმ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ მოთხოვნათა თავში, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია ბურჟუაზიული საზოგადოების ნიადაგზე, ე. ი. წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებისა და საბაზრო მეურნეობის შენარჩუნების დროს. ის, ვინც ხალხის თავხსუფლებისათვის იბრძვის და ამავე დროს არ იბრძვის ხალხის სრულუფლებიანობისათვის სახელმწიფოში, ის ან არათანამიმდევარია, ანდა გულწრფელი არ არის.

ასეთია ვითარება თავისუფლებისათვის ბრძოლისა და შალაუფლებისათვის ბრძოლის საქმისა, თუ მხოლოდ ჩვენი მსჯელობის ლოგიკაზე ვილაპარაკებთ. თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში საქმის ვითარება ყოველთვის ისეთია, რომ ხალხი, რომელიც თავისუფლებისათვის იღწვის, ღებულობს — თავისი ბრძოლის დასაწყისში — ძველი ხელისუფლების დაპირებას თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ. ხალხისაგან დამოუკიდებელი, ხალხზე გაბატონებული ძველი სახელმწიფო ხელისუფლება, რევოლუციის შიშის გავლენით, ჰპირდება ხალხს თავისუფლების უზრუნველყოფას. დაპირებანი შეუსრულებელი რჩება, მათი სულ მთლად შესრულება შეუძლებელიც არის, ვიდრე რჩება ხელისუფლება, რომლის შეცვლა ხალხს არ ეკითხება. ამიტომ ყველა რევოლუციის ისტორიაში დგებოდა ხოლმე, მათი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, ისეთი მომენტი, როდესაც ზემოხსენებული მსჯელობის ცხადი ლოგიკა, ცხოვრების გაკვეთილების ზეგავლენით, ხალხის ფართო მასების შეგნებაში იჭრებოდა.

ასეთი მომენტი დგება რუსეთშიც. 1905 წლის ოქტომბრის ბრძოლა, მისი ისტორიული მნიშვნელობის მიხედვით, იყო ბრძოლა იმისათვის, რომ ძველ ხელისუფლებას თავისუფლების უზრუნველყოფის დაპირება მოეცა. გარდა დაპირებებისა ხალხმა დღემდეც კი მეტს ვერაფერს მიაღწია. მაგრამ ამ მეტისათვის ბრძოლის მრავალ წარუმატებელ ცდას ამაოდ არ ჩაუვლია. ასეთი ცდები უფრო სერიოზული ბრძოლისათვის ამზადებდნენ ხალხს. წინააღმდეგობა თავისუფლების დაპირებასა და თავისუფლების უქონლობას შორის, «ყველაფრის გამგებელი» ძველი ხელისუფლების სრულუფლებიანობასა და სათათბიროში მხოლოდ მოლაყბე «ხალხის წარმომადგენელთა» უძალაუფლებობას შორის, ეს წინააღმდეგობა სწორედ ახლა, სწორედ სათათბიროს გამოცდილების ნიადაგზე, სულ უფრო და უფრო მძლავრად, უფრო ღრმად და უფრო მწვავედ იჭრება ხალხის მასებში. ბრძოლა ხალხის სრული ძალაუფლებისათვის ხალხის სრული თავისუფლების ნამდვი-

ლად უზრუნველყოფის მიზნით, ეს ბრძოლა გასაოცარი სისწრაფით ახლოვდება, ახლოვდება არა მარტო ჩვენი მსჯელობის სუბიექტური ლოგიკის გამო, არამედ პოლიტიკურ მოვლენათა ობიექტური ლოგიკის გამო. აი რატომ იყო, რომ სათათბიროს რამდენიმე დღის სხდომები საკმარისი გახდა, რათა ახალ სიოს დაებერა. სათათბირო მხილების მშვენიერი იარაღია და იგი განსაკუთრებით კარგად ამხელს მატყუარა აზრებს ა მ გ ვ ა რ ი სათათბიროს ძლიერების, დაპირებათა მნიშვნელობის, ბოძებულ კონსტიტუციათა ან ძველ ხელისუფლებასა და ახალ თავისუფლებას შორის დადებულ ხელშეკრულებათა სარგებლიანობის შესახებ. აი რატომ იჩენს თავს ასე სწრაფად ნიშნები ახალი და რეალური ნაბიჯისა, რომელსაც წინა სდგამს განმათავისუფლებელი მოძრაობა. არჩევნებში კადეტების გამარჯვებამ კინაღამ ყველას თავბრუ დაახვია. სათათბიროში კადეტების საქციელი უკვე სახელს უტეხს კადეტების შარავანდედს. ძველი ხელისუფლებისა და ახალი თავისუფლების შემთანხმებლები ხალხის თვალში ჰკარგავენ და აუცილებლად დაჰკარგავენ თავის ბრწყინვალებას იმის კვალობაზე, რაც უფრო ახლოვდება ბრძოლა ხალხის სრული ძალაუფლებისათვის ხალხის ნამდვილი თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

«ვოლნა» № 9, 1906 წ. 5 მაისი.
ხელმოწერა: ნ. ლ — ნ

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

ახალი აღმავლობა

სათათბიროს სხდომების დასაწყისი — შავრაზმულ დარბევათა დასაწყისია. «მშვიდობიანი პარლამენტური» გზის დასაწყისი, რაც აღტაცებას ჰგვრის და გულს უჩვილებს კადეტებსა და პოლიტიკის ყველა ფილისტერს, — სამოქალაქო ომის მეტად უხეშ, მეტად პირდაპირ და უშუალო გამოხატულებათა დასაწყისია. სახელმწიფო საკითხების «უფლებრივი» წესით გადაწყვეტის, საარჩევნო ბარათებისა და ხმების დათვლის საშუალებით გადაწყვეტის დასაწყისი, — დასაწყისია იმ უაღრესად პრიმიტიული ძალადობის გამოვლინებისა, რომელიც სახელმწიფო საკითხებს წყვეტს სხვაგვარად მოაზროვნეთა განადგურებით, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მოსპობით (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ცეცხლითა და მახვილით) *.

შემთხვევითი ხომ არ არის ეს დამთხვევა? რა თქმა უნდა, არა. და სკმარისიც არ იქნებოდა ისეთი ახსნა, რომ პოლიცია აწყობს დარბევებს პროვოკაციის მიზნით, სათათბიროს სახელის გასატეხად. რასაკვირველია, პოლიცია რომ პირდაპირ მონაწილეობას იღებს ამ საქმეში, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. რასაკვირველია, პოლიცია აწყობს, აქეზებს და პროვოკაციას ეწევა. ყოველივე ეს ასეა. იმ ომში, რომელსაც ბიუროკრატია აწარმოებს ჭეშმარიტად სამკვდრო-სასიცოცხლოდ, ამ ომში ბიუროკრატიის მსახურნი და მისი მომხრენი სრულიად არა-

* ვოლოგდის სახალხო სახლის დაწვა ბრბოს მიერ, რომელსაც პოლიცია აქეზებდა, სიმბირსკელი დემონსტრანტების ცემა-ტყეპა — ასეთია უკანასკნელი დღეების დარბევათა ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები.

ვითარ საშუალებას არ ერიდებიან. მაგრამ რატომ დასჭირდათ მათ სწორედ ახლა გამოეყენებინათ ფართო მასშტაბის ბრძოლის სწორედ ასეთი ხერხები? ღირს ამ საკითხს ჩავუფიქრდეთ, რათა რევოლუციური განვითარების მთელი პერიოდები არ დავსახოთ მებრძოლთა განსაკუთრებული ბოროტ ნების, განსაკუთრებული მძვინვარებისა და განსაკუთრებული გამხეცების შედეგად.

ჩვენ ახალი საზოგადოებრივი აღმავლობის დასაწყისს განვიცდით. უმუშევართა მოძრაობაც, პირველი მაისიც, მღელვარების გაძლიერებაც გლეხობაში, ჯარში, მიტინგებიც, პრესაც, კავშირებიც — ყოველივე ეს უაღრესად ნათლად მოწმობს ახალ აღმავლობას. ფართო სახალხო მოძრაობის აღმავლობამ, სულ რაღაც რამდენიმე დღეში, უკვე გაუსწრო იმ აღმავლობას, რომელიც არჩევნებში კადეტებისა და საერთოდ «მემარცხენეთა» გამარჯვებით გამოიხატა. კადეტები უკვე ჩამორჩნენ. კადეტური სათათბირო უკვე ხუნდება, ჭკნება ისე, რომ გაფურჩქვნაც კი ვერ მოასწრო. ჩვენი წვრილბურჟუაზიული ფშუტა მოღვაწეების ამ დაჭკნობის, კადეტების ამ დაბნეულობის მეტად დამახასიათებელი გამოხატულება იყო, სხვათა შორის, ბ-ნ დ. პროტოპოპოვის (კადეტი, სახ. სათათბიროს წევრი) სტატია გუშინდელ «დუმაში». ბ-ნი პროტოპოპოვი ჩივის და მოთქვამს: «ჩვენი ქვეყანა სახელმწიფო სათათბიროსაგან მთელი რიგი უაღრესად რთული საკითხების ძირფესვიანად და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას და, რაც მთავარია, მოსალოდნელი რეფორმების ასევე დაუყოვნებლივ პრაქტიკულ განხორციელებას მოელისო». მოწყალება მოიღეთ, თანამოქალაქენო, — იძახის კადეტი. — ჩვენ ხომ არც «ჯადოქრის კვერთხი» გვაქვს, არც «სრული ძალაუფლება» (კადეტს ავიწყდება დაუმატოს, რომ ხალხის სრული ძალაუფლება კადეტებს არც პროგრამაში, ე. ი. პოლიტიკურ იდეალში აქვთ). სახელმწიფო სათათბირო კონვენტი ხომ არ არის. და კადეტს წამოსცდება ხოლმე შეშინებული ფილისტერის უბადლო, თითქმის გულისამაჩუყებელი აღსარება: «მხოლოდ ამგვარი სათათბირო-

კონვენტი შესძლებდა ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნათა დაკმაყოფილებასაო». რაც მართალია, მართალია. «მნიშვნელოვანი ნაწილი», თვით გლეხთა და მუშათა მასაც კი, მოითხოვს კონვენტს, ხოლო ღებულობს... კადეტების სათათბიროს. საბრალო, საბრალო კადეტები! განა მათ შეეძლოთ ეფიქრნათ, რომ აღმავლობა ასე ჩქარა და ასე უიმედოდ გაუსწრებდა მათ?

და აი ეს დიდი აღმავლობა მატერიალური საფუძველია იმ მოვლენისა, რომ ბრძოლა არაჩვეულებრივ მწვავდება, რომ «მშვიდობიანი პარლამენტარიზმი» ჭკნება და უკანა რიგში დგება, რომ კონსტიტუციობანას თამაშს სცვლის სახელმწიფო საკითხების უშუალო გადაწყვეტა ძალით. ვიღებთ ოქტომბრის აღმავლობის განახლებას, ოღონდ ბევრად უფრო ფართო საფუძველზე, უფრო ფართო მოცულობით, როდესაც გლეხობისა და მუშათა კლასის მასების შეგნება უფრო მეტია, როდესაც მათ (განცდილი ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდის მეოხებით) შეუდარებლად უფრო მეტი პოლიტიკური გამოცდილება აქვთ. ოქტომბერში მებრძოლ მხარეთა ძალები გათანაბრდნენ. ძველ თვითმპყრობელობას უ კ ვ ე ა ღ ა რ ძალუძს ქვეყნის მართვა. ხალხს ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ ძალუძს მიაღწიოს სრულ ძალაუფლებას, რომელიც სრულ თავისუფლებას უზრუნველჰყოფს. 17 ოქტომბრის მანიფესტი ძალთა ამ გაწონასწორების იურიდიული გამოხატულება იყო. მაგრამ ძალთა ეს გაწონასწორება, რამაც ძველი ხელისუფლების დათმობა გამოიწვია და აიძულა იგი ქაღალდზე ეღიარებინა თავისუფლება, ბრძოლის მხოლოდ ხანმოკლე შეჩერებას ნიშნავდა და არა მის შეწყვეტას. ოქტომბერსა და ნოემბერში ჩვენს მთავრობაზე ამბობდნენ, რომ იგი «გაიფიცა», «ნაბული» გაუკეთა რევოლუციას, სავსებით მიყუჩდა და, შეურჩია რა მომენტი, გადაეშვა თავგანწირულ ბრძოლაში, რაც მისი გამარჯვებით დამთავრდაო. ყოველთვის გონებაშეზღუდული პოლიტიკური ფილისტერები, მათი დამახასიათებელი სილაჩრითა და დუნე, ფარისევლური «იდეალიზმით» გულისწყრომას

გამოთქვამდნენ, მოსთქვამდნენ, აღშფოთებული იყვნენ მთავრობის ამ «გაფიცვის», რევოლუციის მიმართ ამ ნაბულის «უზნეობის» გამო. აღშფოთება აქ ზედმეტია. «რაკი ომია, ომისებურად იყოს». ყოველ ომში მოწინააღმდეგენი, რომელთა ძალები წონასწორდებიან, რამოდენიმე ხანს ჩერდებიან, ძალღონეს იკრებენ, ისვენებენ, ინელებენ მიღებულ გამოცდილებას, ემზადებიან და — ახალ ბრძოლაში ებმებიან. ასე იქცეოდნენ კუროპატკინისა და ოიამას არმიები. ასე ყოფილა და ასე იქნება ყოველთვის ყოველ დიდ სამოქალაქო ომში. «რაკი ომია, ომისებურად იყოს».

მაგრამ სამოქალაქო ომი ჩვეულებრივი ომისაგან განირჩევა განუზომლად უფრო მეტი სირთულით, მებრძოლთა შემადგენლობის გაურკვევლობით და იმით, რომ მათი განსაზღვრა შეუძლებელია ერთი ბანაკიდან მეორეში გადასვლის გამო (ხან ოქტიაბრისტები გადავლენ მთავრობის მხარეზე, ხან ჯარის ნაწილი გადავა ხალხის მხარეზე), იმის გამო რომ, შეუძლებელია მიჯნის გავლება «კომბატანტთა» და «არა-კომბატანტთა» შორის, ე. ი. იმათ შორის, ვინც მეომართა რიგებში ირიცხება და არ ირიცხება. როდესაც მთავრობა «გაფიცულია», როდესაც პოლიცია «განაბულია»—ომი მაინც არ წყდება, სწორედ იმიტომ, რომ იგი სამოქალაქო ომია, რომ თვით მოსახლეობის შიგნით არიან ძველი ხელისუფლების დაინტერესებული დამცველები და თავისუფლების დამცველები. აი რატომ არის, რომ ახლანდელ აღმავლობასაც, რომელმაც ძალები გააწონასწორა, კვლავ რკინისებური აუცილებლობით მივყავართ, ერთი მხრივ, მთავრობის შესუსტებისაკენ, მისი «გაფიცვისაკენ», «რევოლუციის მიმართ ნაბულის» ერთგვარი განმეორებისაკენ, — ხოლო მეორე მხრივ, ბრძოლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის ფორმების განახლებისაკენ. ყველამ, ვისაც სურს შეგნებულად მოეპყრას დიად მოვლენებს, ჩვენს თვალწინ რომ იშლება, ვისაც სურს რევოლუციისაგან ისწავლოს, მან სრული ანგარიში უნდა გაუწიოს ბრძოლის ამ ფორმების აუ-

ცილებლობას, უნდა ჩაუფიქრდეს იმ ამოცანებს, რომლებსაც ბრძოლის ეს ფორმები გვაკისრებს.

საარჩევნო გამარჯვებით გაბრუებულმა კადეტებმა აუარებელი ქაღალდი მოანდომეს იმაზე წერას, რომ რუსეთი პარლამენტარიზმის გზას დაადგაო. ჩვენი პარტიის მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატებიც აჰყვნენ საერთო გატაცებას. პარტიის გამაერთიანებელ ყრილობაზე მათ, როგორც გამარჯვებულებმა, მიუხედავად მემარცხენე სოციალ-დემოკრატების პროტესტებისა, თვითონვე მოხსნეს რეზოლუცია რევოლუციის აღმავლობის, ახლანდელ მომენტში მოძრაობის მთავარი ფორმების, პროლეტარიატის ამოცანების შესახებ. ამ მხრივ ისინი დაემსგავსნენ ბ-ნ მილიუკოვს, რომელსაც კადეტების უკანასკნელ ყრილობაზე უნდოდა დაეყენებინა საკითხი: ხალხი სათათბიროზე უფრო რევოლუციური ხომ არ არის, რევოლუციური ბრძოლა, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, აუცილებელი ხომ არ არისო, მაგრამ შეშინდა და მყისვე მოხსნა ეს საკითხი. კადეტისათვის ბუნებრივი იყო ამგვარი საკითხისათვის თავის არიდება. სოციალ-დემოკრატებს კი ასეთი თავის არიდება არ შეფერით. და ცხოვრებაც უკვე შურს იძიებს ამის გამო. ცხოვრება უკვე სტიქიური ძალით აყენებს ბრძოლის ისეთ ფორმებს, რომელნიც სათათბიროს მეორე რიგში აყენებენ და ახალ ოქტომბერს, ახალ დეკემბერს გვიახლოებენ სრულიად დამოუკიდებლად იმისა, გვსურს თუ არა ჩვენ ეს.

მემარჯვენე ფრთის ერთი სოციალ-დემოკრატი ყრილობაზე სასაცილოდ იგდებდა მემარცხენე სოციალ-დემოკრატების რეზოლუციას, რომელიც აშკარად და პირდაპირ «მოძრაობის მთავარ ფორმად» აღიარებდა არა სათამაშო-კონსტიტუციურ, არამედ ოქტომბერ-დეკემბრის ფორმას, ე. ი. ფართო მასების გამოსვლას, რომელნიც უშუალოდ უკუაგდებენ ძველ კანონებსაც, ძალაუფლების ძველ ორგანოებსაც და ახალ, თვით ბრძოლაში შექმნილ ძალაუფლებას იყენებენ თავისუფლების მოპოვების იარაღად. ჩვენ ბრძოლის ამ ფორმებს ამჟამად ვერ ვხედავთო, გაიძახოდა მემარჯვენე სოციალ-დემოკრა-

ტების ორატორი. ეს სინამდვილე კი არა, ჩვენი მემარცხენეების, ამ ფანტაზიორების, ამ მეამბოხეების, ამ ანარქისტების მონაგონიაო. — მოიხსენით კადეტური სათვალე! — ვუპასუხეთ ჩვენ ყრილობაზე ამხანაგს, — და მაშინ მარტოოდენ იმას კი არ დაინახავთ, რაც ზედაპირზე ხდება. თქვენ დაინახავთ, რომ სწორედ სათათბიროს ბრძოლა არ არის მ თ ა ვ ა რ ი, მიხვდებით, რომ ობიექტური პირობები აუცილებელს ხდიან მოძრაობის ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს გ ა რ ე ფორმებს, სწორედ მათ ხდიან მთავარ, არსებით, ძირითად, გადამწყვეტ ფორმებად.

განვლო ორიოდე კვირამ ყრილობაზე გაჩაღებული ამ კამათის შემდეგ. და რევოლუცია უკვე აგლეჯს კადეტურ სათვალეს არა მარტო მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს, არამედ მოსახლეობის ფართო მასებსაც. სათათბირო უკვე ჭკნება, კონსტიტუციური ილუზიები უკვე იფუშება. ბრძოლის ოქტომბერ-დეკემბრის ფორმები, რომელთა დანახვა ჯერ კიდევ გუშინ არ უნდოდათ ბევ და წუთიერების ადვილად ამყოლ ადამიანებს, უკვე ახლოვდება. და სოციალ-დემოკრატია პროლეტარიატის წინაშე თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს, თუ ბრძოლის ამ ფორმების ზრდისა და განვითარების აუცილებლობას ვერ შეაფასებს, თუ მასების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით არ დააყენებს იმ ამოცანებს, რომელთაც ცხოვრება აყენებს და მალე დააყენებს მათს წინაშე. სოციალ-დემოკრატია ღირსი არ იქნება იმ კლასისა, რომლის წარმომადგენელიც იგი არის, თუ დაიწყებს ბრძოლის ამ ფორმების შესწავლისა და შეფასებისაგან თავდაძვრენას ქედმაღლური სიტყვებით მეამბოხეობისა და ნაროდოვოლცობის შესახებ, ასე ხშირად რომ მოისმის ჩვენი პარტიის მემარჯვენე ფრთიდან. სტიქიური ტალღა ზვირთდება, — საჭიროა დაუყოვნებლივ დავძაბოთ მთელი ძალღონე, რათა ამ აღმავლობაში იმაზე მეტი შეგნება, მეტი ორგანიზებულობა შევიტანოთ, ვიდრე ოქტომბერსა და დეკემბერში შევძელით.

ჩვენ არ უნდა ვაჩქარებდეთ მოვლენებს. აფეთქების დაჩქარება ახლა ჩვენს ინტერესს არ შეადგენს. ეს ყოველ ეჭვს გა-

რეშეა. ეს გაკვეთილი ჩვენ უნდა გამოვიტანოთ 1905 წლის დამლევის გამოცდილებიდან. მაგრამ ეს ამოცანის მხოლოდ პატარა ნაწილია, ეს წმინდა უარყოფითი განსაზღვრაა ჩვენი ტაქტიკისა. ვინც საქმის ამ მხარეს სჯერდება, ვინც ამ უარყოფით ამოცანას რაღაც დადებით რამედ სახავს, იგი შეუჩერებლივ ხალხის თავისუფლებისა და თვითმპყრობელობის ბურჟუაზიულ შემთანხმებელთა როლამდე ქვეითდება.

მუშათა კლასის პარტიის წინაშე უაღრესად სერიოზული, გადაუდებელი და ძირითადი ამოცანა დგება. მთელი ჩვენი ფიქრები, მთელი ჩვენი ძალღონე, მთელი ჩვენი საპროპაგანდო, სააგიტაციო, ორგანიზაციული და უშუალო პრაქტიკული მუშაობა იქით უნდა მივმართოთ, რომ პროლეტარიატი და გლეხობა უფრო მომზადებული აღმოჩნდნენ ახალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ჩვენს ნება-სურვილზე როდია დამოკიდებული ამ ბრძოლის ფორმების არჩევა, — რუსეთის რევოლუციის ისტორიული განვითარება რკინისებური აუცილებლობით განსაზღვრავს მათ. ჩვენ უკვე ვიცით, გამოცდილებით ვიცით, რას ნიშნავს მთავრობის «ნაბული», რას ნიშნავს მასების მზარდი მღელვარება იმ საერთო პოლიტიკურ კრიზისთან დაკავშირებით, რომელიც სწრაფად მწიფდება. ჩვენ ვიცით, რა თავბრუდამხვევი სისწრაფით გაიზარდა ოქტომბრის ბრძოლა და როგორი აუცილებლობით იქცა იგი დეკემბრის ბრძოლად. დაე ყველანი თავიანთ პოსტზე იყვნენ. ვერავინ იწინასწარმეტყველებს აფეთქების დაწყების მომენტს, არავინ იცის, რაგვარი წესითა და შეხამებით გაიშლება საბოლოოდ მოძრაობის დეკემბრისა და ოქტომბრის ფორმები. მაგრამ იგი უკვე ჩაღდება. მისი ორგანოები უკვე ჩნდებიან. თუ რით დაბოლოვდება დიდი რევოლუცია, ამის გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული, სავსებით თუ არა, მოწინავე კლასის შემჭიდროებასა, შეგნებასა, სიმტკიცესა და გაბედულებაზე.

«ვოლნა» № 10, 1906 წ. 6 მაისი.
ხელმოწერა: ნ. ლ — ნ

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

ყრილობის შედეგებისათვის

«არის ნიშნები, — წერს დღეს «რეჩი», — რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ოპოზიციის ბრწყინვალე წარმატებამ გამოაცოცხლა თითქოს დასამარებული ძველი ილუზიები და გვიქადის რევოლუციური მოძრაობის დაბრუნებას ბლანკიზმის იმ გზაზე, საიდანაც მის* გადმოყვანას ასე გულმოდგინედ ცდილობდა დეკემბრის «შეიარაღებული აჯანყების» წარუმატებლობის შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის კეთილგონიერი «უმცირესობა»».

საგულისხმო აღსარებაა, რომელსაც ღირს ჩაუფიქრდნენ რუსი მუშები. რატომ შეურაცხყოფს ბურჟუაზია ზოგიერთ სოციალ-დემოკრატს, როდესაც მათ მხარზე ხელს უსვამს, როგორც კეთილგონიერთ? იმიტომ, რომ ეს სოციალ-დემოკრატები გულმოდგინედ ცდილობდნენ მოძრაობის გადმოყვანას ბლანკიზმის გზიდანაო, «დეკემბრის» გზიდანაო. განა მართალია, რომ დეკემბრის ბრძოლა ბლანკიზმი იყო? არა, არ არის მართალი. ბლანკიზმი არის თეორია, რომელიც კლასობრივ ბრძოლას უარყოფს. ბლანკიზმი დაქირავებული მონობისაგან კაცობრიობის ხსნას მოელის არა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გზით, არამედ პატარა ინტელიგენტური უმცირესობის შეთქმულების გზით. იყო თუ არა ასეთი შეთქმულება ანდა მისი მსგავსი რამ დეკემბერში? არაფერი შეთქმულების მსგავსი არა ყოფილა რა. ეს იყო პროლეტარიატის უდიდესი მასების კლასობრივი მოძრაობა, პროლეტარიატისა, რომელმაც გამოიყენა ბრძოლის წმინდა პროლეტარული იარაღი, გაფიცვა, და შეიერთა რუსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე

უნახავი მასები: ნახევრადპროლეტარები (რკინიგზელები, ფოსტის მოსამსახურენი და სხვ.), გლეხები (სამხრეთი, კავკასია, ბალტიისპირა მხარე) და ქალაქთა (მოსკოვი) წვრილი ბურჟუები. «ბლანკიზმის» საფრთხობელის მეშვეობით ბურჟუაზიას სურს დაამციროს, ჩირქი მოსცხოს, ცილი დასწამოს ხალხის ბრძოლას ძალაუფლებისათვის. ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია, რომ პროლეტარებმა და გლეხებმა მარტო ძველი ხელისუფლების დათმობათა გულისთვის იბრძოლონ.

მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატები პოლემიკის დროს «ბლანკიზმს» მხოლოდ ლამაზი სიტყვისთვის ხმარობენ. ბურჟუაზია კი ამ სიტყვას პროლეტარიატის საწინააღმდეგო იარაღად აქცევს: «იყავით კეთილგონიერნი, მუშებო! იბრძოლეთ კადეტური სათათბიროს უფლებათა გაფართოებისათვის, ბურჟუაზიისათვის თქვენი ხელით ნარი ჰგლიჯეთ, მაგრამ არ გაბედოთ ფიქრი ისეთ სიგიჟეზე, ანარქიზმზე, ბლანკიზმზე, როგორიცაა ხალხის სრული ძალაუფლებისათვის ბრძოლა!»

მართალს ამბობენ თუ არა ლიბერალური ბურჟუები, თითქოს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები გულმოდგინედ ცდილობდნენ მოძრაობა ოქტომბრისა და დეკემბრის გზასა და ხერხებს აეცილებინათ? სამწუხაროდ, ეს მართალია. მემარჯვენე ფრთის ყველა სოციალ-დემოკრატს როდი ჰქონდა შეგნებული თავისი ტაქტიკის ასეთი მნიშვნელობა, მაგრამ მისი ნამდვილი მნიშვნელობა სწორედ ასეთი იყო. სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის დაჟინება არსებითად ნიშნავდა მხარის დაჭერას კადეტებისთვის, რომელნიც რევოლუციას ასამარებდნენ და რევოლუციურ ბრძოლას «ძველ ილუზიას» უწოდებდნენ. გამაერთიანებელი ყრილობის სამივე, პრინციპულად ფრიად მნიშვნელოვანი, რეზოლუცია, მიღებული სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთის მიერ, მიუხედავად მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა გააფთრებული ბრძოლისა, — აგრარული პროგრამა, რეზოლუცია სახელმწიფო სათათბიროს შესახებ და რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ — ატარებს აშკარა ნიშნებს «სოციალ-დემოკრატიის კეთილგონიერი ნაწი-

ლის» მისწრაფებისას — ააცილოს რევოლუციური მოძრაობა ოქტომბერ-დეკემბრის გზას. აიღეთ ყბადაღებული «მუნიციპალიზაცია». მართალია, ჩვენი ზეგავლენით, მუნიციპალიზაციის პირვანდელი პროექტი მასლოვისა უეჭველად მარცხნივაა წაწეული. «განსხვისების» მაგივრად ჩასმულია «კონფისკაცია», დაშვებულია მიწების დაყოფა, ჩამატებულია მხარის დაჭერა «გლეხობის რევოლუციური გამოსვლებისათვის თვით კონფისკაციამდე» და სხვ. მაგრამ მაინც დარჩა, თუმცა დასაჭურისებული, მუნიციპალიზაცია. მუნიციპალიზაცია არის მემამულეთა მიწების გადაცემა დემოკრატიული ერობებისათვის. რევოლუციური გლეხები ამას არ დაეთანხმებიან. ისინი სამართლიანად არ ენდობიან და არც მომავალში ენდობიან ერობებს, თუნდაც დემოკრატიულთ, ვიდრე ერთად თავსდებიან ეს ადგილობრივი დემოკრატიზმი და არადემოკრატიული ცენტრალური ხელისუფლება. ისინი სამართლიანად უარყოფენ მიწების გადაცემას ხელისუფლების როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ორგანოებისათვის, ვიდრე მთელი, უეჭველად მთელი, ხელისუფლება ხალხის მიერ არჩეული, ანგარიშვალდებული და ცვლადი არ იქნება. ეს პირობა კი, მიუხედავად მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ბრძოლისა, ყრილობამ უარყო. ნაცვლად ხალხისათვის მიწის გადაცემისა, როდესაც ყველა სახელმწიფო ხელისუფალთ იგი ირჩევს, ყრილობამ მიიღო მიწების გადაცემა ხელისუფლების ადგილობრივი არჩეული ორგანოებისათვის! მერე როგორი იყო ყრილობის მოტივები? თურმე ნუ იტყვით, პროგრამაში ძალაუფლების დაპყრობის იდეა საჭირო არ ყოფილა; საჭიროა რესტავრაციის თავიდან აცილების გარანტიებიო. მაგრამ რევოლუციური გლეხობის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შიში გლეხური რევოლუციის მიმართ წმინდა კადეტური შიშია.

ხოლო რესტავრაციის თავიდან აცილების გარანტია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: სოციალისტური გადატრიალება დასავლეთში. ამ პირობის გარდა ქვეყნად არაფერს არ შეუძლია გარანტია მოგვცეს არადემოკრატიული ცენტრალური ხელისუფლების

რესტავრაციისაგან, ვიდრე არსებობს კაპიტალიზმი და საქონლის წვრილი მწარმოებელი, ყოველთვის მოქანავე, ყოველთვის მერყევი. მაშასადამე, რესტავრაციის აცილების შედარებითს გარანტიებზე ფუჭ ოცნებათა მაგივრად ჩვენ უნდა გფიქრობდეთ ჩვენი რევოლუციის ბოლომდე მიყვანაზე. ყრილობაზე კი სოციალ-დემოკრატთა მემარჯვენე ფრთამ რესტავრაციის აცილების გარანტია იმაში ჰპოვა, რომ მიიღო პროგრამა, რომელიც რესტავრაციასთან მორიგებას ჰგავს: ჩვენ უზრუნველვყოფთ თავს არადემოკრატიული ცენტრალური ხელისუფლების რესტავრაციისაგან, თუ აგრარულ პროგრამაში არაფერს ვიტყვით ა მ ხელისუფლების სრული დემოკრატიზმის აუცილებლობაზეო...

აიღეთ რეზოლუცია სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. ყრილობამ იგი მაშინ მიიღო, როდესაც კადეტთა საარჩევნო გამარჯვებები უკვე ფაქტი იყო. და ყრილობა, მიუხედავად ჩვენი პროტესტებისა, ლაპარაკობს სახალხო წარმომადგენელთა სათათბიროზე საერთოდ და არა რეალურ კადეტურ სათათბიროზე. სოციალ-დემოკრატთა მემარჯვენე ფრთამ არ მოისურვა ა მ სათათბიროს ორპოფი ბუნების აღნიშვნა, — მან არ გააფრთხილა მუშები იმ კონტრრევოლუციური როლის შესახებ, რომლის შესრულებასაც ცდილობს კ ა დ ე ტ უ რ ი სათათბირო, — იგი არ დასთანხმდა პირდაპირ და გარკვევით ეთქვა: სოციალისტურმა მუშებმა გლეხურ და რევოლუციურ დემოკრატიასთან ერთად უნდა გაილაშქრონ კადეტების წინააღმდეგო. მან გამოთქვა სურვილი ჰყოლებოდა სოციალ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქცია და კარგად კი არ ჩაფიქრებია, გვაქვს თუ არა პარლამენტი, გვყავს თუ არა სოციალ-დემოკრატი პარლამენტარიები.

აიღეთ ზემოხსენებულ რეზოლუციათაგან მესამე რეზოლუცია. იგი იწყება ულტრა-რევოლუციური ფრაზით და მიუხედავად ამისა მთლად გაჟღენთილია ოქტომბერ-დეკემბრის ბრძოლის თუ უარყოფით არა, სკეპტიკური დამოკიდებულების სულით მაინც. მასში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმ ი ს ტ ო რ ი უ ლ ი გამოცდილების გათვალისწინებაზე, რუსე-

თის პროლეტარიატმა და რუსმა ხალხმა 1905 წლის დამლევს რომ შეიძინა. მასში არ არის იმის აღიარება, თუ ისტორიული აუცილებლობით როგორ წარმოიშვა წარსულში და კვლავ როგორ ჩნდება ახლა ბრძოლის საკუთარი გარკვეული ფორმები. ჩვენ მხოლოდ სულ მოკლედ და ზოგადად მოვხაზეთ რეზოლუციების ის ძირითადი ნაკლოვანებანი, რომელთა გამოც ყრილობაზე ბრძოლა წარმოებდა. ჩვენ კიდევ არაერთხელ დავუბრუნდებით აქ წამოყენებულ საკითხებს. პროლეტარიატის პარტიამ გულდასმით უნდა განიხილოს და გადასინჯოს ეს საკითხები, უნდა დაეყრდნოს იმ ახალ მონაცემებს, რომლებსაც გვაძლევენ კადეტური სათათბირო და ახალი აღმავლობის სწრაფად გაშლილი სურათი. პროლეტარიატის პარტიამ უნდა შეიმუშავოს თავის წარმომადგენელთა რეზოლუციებისადმი სასტიკი კრიტიკით მოპყრობის უნარი. შეხმატკბილებული გუნდი ბურჟუაზიული პრესისა, რომელიც აქებ-ადიდებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის კეთილგონიერ ჭკვიან ბიჭებს, ნათლად მიუთითებს პროლეტარიატს პარტიაში გარკვეული სენის არსებობაზე.

ჩვენ უნდა განვკურნოთ და განვკურნავთ კიდეც პარტიას ამ სენისაგან.

დაწერილია 1906 წ. 6 (19) მაისს.
დაიბეჭდა 1906 წ. 7 მაისს
გაზეთ «ვოლნაში», № 11.
ხელმოწერა: ნ. ლ — ნ

ბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

სათათბირო და ხალხი

ხალხისადმი სათათბიროს დამოკიდებულების საკითხი დღის წესრიგში დგას. მასზე ყველა მსჯელობს, და განსაკუთრებით გულმოდგინედ მსჯელობენ სათათბიროში გაბატონებული კადეტები. აი ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო აზრი მემარცხენე კადეტური «ნაშა ჟიზნისა», რომელიც ხშირად საუკეთესო კადეტთა თვალსაზრისს გამოხატავს.

«ბუნებრივად იბადება კითხვა, სად არის საზღვარი სათათბიროს ერთობისა ხალხთან? სად არის ის ზღვარი, რომლის იქით სათათბირო ან ხალხის ვნებათა ღელვის სათამაშოდ გადაიქცევა, ანდა, პირიქით, მოსწყდება მოსახლეობასა და პარტიებს? მოსახლეობის დამოკიდებულება სათათბიროსადმი საშიში მაშინ გახდება, თუ ეს დამოკიდებულება სტიქიური იქნება. მოხდება რაიმე დიდი ამბავი, — და სტიქიური უკმაყოფილების გამოხატვა მყისვე ზეგავლენას მოახდენს სათათბიროზე, რომელსაც გაუძნელდება ხალხის ნების გამომხატველი დამოუკიდებელი და ორგანიზებულად მოქმედი ორგანოს მდგომარეობის შენარჩუნება. ისტორიას, თუნდაც **იმავე საფრანგეთის** რევოლუციისას, არაერთხელ მოუცია მაგალითები, როდესაც ხალხის წარმომადგენლები ბრბოს სათამაშო საგანი გამხდარან. მაგრამ შეიძლება პირიქითაც მოხდეს — სრული გულგრილობა. შეგვიძლია თუ არა დარწმუნებით ვთქვათ, რომ სათათბიროს გარეკის შემთხვევაში მას ნამდვილად მხარს დაუჭერს ხალხი, განზე ხომ არ გაუდგებიან სკეპტიკური ღიმილით ისინიც კი, ვინც ახლავე სათათბიროსაგან განსაკუთრებით რადიკალურ გადაწყვეტილებებს მოითხოვს, ხომ არ იტყვიან ისინი: აი, ჩვენ ხომ წინასწარვმეტყველებდით, სათათბირო უძლურიაო. მაგრამ რას და როდის გააკეთებენ ისინი?»

და ავტორი მოუწოდებს ყოველგვარი კლუბებისა და კრებების მოსაწყობად ცოცხალი კავშირის დასამყარებლად სათათბიროსა და მოსახლეობას შორის. «სათათბიროს კეთილ-

მოსურნე კრიტიკა და მისთვის აქტიურად მხარის დაჭერა — აი ახლანდელი მომენტის კეთილშობილური ამოცანა».

რა რელიეფურად იხატება კეთილშობილურად მოაზროვნე კადეტის ამ კეთილმოსურნე სიტყვებში მისი პარტიისა და იმ სათათბიროს უძლურება, სადაც ეს პარტიაა გაბატონებული! კლუბები, კრებები, ხალხთან ცოცხალი კავშირი... რა საჭიროა ასეთი რიხით ლაპარაკი თავისთავად ცხად რამეებზე? ნუთუ საჭიროა მტკიცება, რომ კლუბები და კრებები სასარგებლოა? თავისუფალი სიოს უკვე პირველმა დაბერვამ იმ ალმავლობასთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ განვიცდით, გამოიწვია მიტინგები, კლუბების დაარსება, ბეჭდვითი სიტყვის განვითარება. ეს საქმე წინ წავა, ვიდრე გარეშე დაბრკოლებანი წერტილს არ დასვამენ. მაგრამ ყოველივე ეს ხომ, ასე ვთქვათ, მხოლოდ ტექნიკურ საკითხს ეხება: კლუბები, კრებები, გაზეთები, ბეჭდვითი სიტყვა, პეტიციები (განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატები) — ყოველივე ეს ეხმარება სათათბიროს ხალხის აზრის გაგებაში, ხალხს კი — სათათბიროს გაცნობაში. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ფრიად საჭიროა. ყოველივე ეს უსათუოდ რაზმავს და ათვითცნობიერებს ადამიანს. ყოველივე ეს «კავშირს» ჰქმნის, — მაგრამ აბა ერთი ჩაუფიქრდით, რომელ კავშირზეა აქ ლაპარაკი? წმინდა ტექნიკურ კავშირზე. სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა ორგანიზაციებმა გულდასმით უდა ადევნონ თვალყური კადეტურ სათათბიროს! ეს უდავოა. მაგრამ ცნობების საუკეთესოდ მიწოდებისა და საუკეთესო ორგანიზებულობის დროსაც კი მათი «კავშირი» არ იქნება ინტერესთა კავშირი, ამოცანათა თანადამთხვევა, პოლიტიკური მოქმედების იგივეობა. საქმის არსი კი სწორედ ამაშია. ჩვენს კეთილშობილ რადიკალს დაკავშირების ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა საკითხის გამო გამოეპარა შ ი ნ ა ა რ ს ი იმისა, რაც აკავშირებს, გამოეპარა კლასობრივი ინტერესების განსხვავება, პოლიტიკურ ამოცანათა სხვადასხვაობა.

რატომ გამოეპარა მას ეს? იმიტომ რომ მას, როგორც კადეტს, უნარი არ შესწევს შეამჩნიოს ან ეშინია აღიაროს, რომ კადეტური სათათბირო ხალხის ფართო მასის უ კ ა ნ დგას. სათათბირო სათავეში არ უდგას შეგნებული გლეხობის მასას მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, — სათათბირო ჩამორჩება გლეხობას, ჰ კ ვ ე ც ა ვ ს მისი ბრძოლის გაქანებას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად ჩამორჩება სათათბირო პროლეტარი ტს. კადეტური სათათბირო გლეხთა მასისა და მუშათა კლასის ბელადი კი არა, «კეთილშობილი» შუამავალია, რომელიც ოცნებობს კავშირზე მარჯვნივ და სიმპათიაზე მარცხნივ. კადეტური სათათბირო ისაა, რადაც გადააქციეს სათათბირო კადეტებმა. ხოლო «სახალხო თავისუფლების» პარტია ბურჟუაზიული პარტიაა, რომელიც მერყეობს დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასა და კონტრრევოლუციურ მსხვილ ბურჟუაზიას შორის, ხალხზე დაყრდნობის მისწრაფებასა და მისი რევოლუციური თვითმოქმედების შიშს შორის. რაც უფრო მწვავდება ბრძოლა ხალხსა და ძველ ხელისუფლებას შორის, მით უფრო აუტანელი ხდება შუამავლის მდგომარეობა, მით უფრო უძლურნი არიან ისინი, ვინც მერყეობს. აქედან წარმოსდგება ის ნაღვლიანი კილო, რომელიც ახასიათებს ზემოხსენებულ ციტატს და კადეტების ყველა სიტყვას. აქედან წარმოსდგება მათი მწარე ჩივილი საკუთარ უძლურებაზე. აქედან წარმოსდგება მათი მუდმივი ცდა — ხალხს გადააბრალონ თავიანთი უძლურება, გაუბედაობა და მერყეობა.

კარგად ჩაუფიქრდით, რა მნიშვნელობა აქვს «კეთილშობილი» ბურჟუაზიული რადიკალის ამ შიშს: ვაი თუ სათათბირო ხალხის ვნებათა ღელვის სათამაშოდ, ბრბოს სათამაშოდ გადაიქცესო! ეს საბრალო ადამიანები გრძნობენ, რომ მათ არ შეუძლიათ იყვნენ ხალხის ვნებათა ღელვის ორგანო, ხალხის ბელადი, — და აი თავიანთ უძლურებას, თავიანთ ჩამორჩენილობას ხალხს აბრალებენ, ზიზღით უწოდებენ მას ბრბოს და ქედმაღლურად უარს ამბობენ «სათამაშოს» როლზე. ამავე დროს კი მთელი ის თავისუფლება, რაც ჯერ კიდევ

დარჩენილა რუსეთში, მოპოვებულია მხოლოდ «ბრბოს» მიერ, მხოლოდ იმ ხალხის მიერ, რომელიც თავგანწირული გამოდიოდა ქუჩაში, უამრავ მსხვერპლს სწირავდა ბრძოლას და რომელმაც თავისი საქმით დაიცვა დიადი ლოზუნგი: სიკვდილი ან თავისუფლება. ხალხის ყველა ეს გამოსვლა ბრბოს გამოსვლა იყო. მთელი ახალი ერა რუსეთში მოპოვებულია და არსებობს მხოლოდ ხალხის ვნებათა ღელვის მეოხებით.

თქვენ კი, «ხალხის თავისუფლებაზე» ლაპარაკის პარტიას, გეშინიათ ხალხის ვნებათა ღელვისა, თქვენ გეშინიათ ბრბოსი. და კიდევ ჰბედავთ «ბრბოს» გულგრილობა დააბრალოთ! თქვენ, ბუნებით სკეპტიკოსები, სკეპტიკოსები მთელს თქვენს პროგრამაში, სკეპტიკოსები მთელ თქვენს ბუნდოვან ტაქტიკაში, ხალხის «სკეპტიციზმს» უწოდებთ იმას, რომ მას არა სწამს თქვენი ფრაზები! თქვენი პოლიტიკური ჰორიზონტი არ სცილდება საკითხის ფარგლებს: მხარს დაუჭერს თუ არა ხალხი სათათბიროს?

ჩვენ შევაბრუნებთ ამ საკითხს. მხარს უჭერენ თუ არა კადეტები ხალხს სათათბიროში? თუ ისინი ხალხს უკან მისჩანჩალებენ? მხარს დაუჭერენ თუ არა ხალხს ეს სკეპტიკოსები მაშინ, როდესაც იგი იმას «გააკეთებს», რასაც უ კ ვ ე ა კ ე თ ე ბ დ ა თავისუფლების გულისთვის? თუ ხელს შეუშლიან მას, შეანელებენ მის ენერგიას, დააბრალებენ მას ანარქიზმსა და ბლანკიზმს, სიგიჟის სტიქიურობას და სტიქიის სიგიჟეს?

მაგრამ გლეხთა მასა და მუშათა კლასი თავის საქმეს გააკეთებენ და ზიზღით უკუაგდებენ მოდუნებული ბურჟუაზიული ინტელიგენციის უბადრუკ შიშსა და ეჭვებს. ისინი სათათბიროს როდი დაუჭერენ მხარს, — ისინი მხარს დაუჭერენ იმ თავიანთ მოთხოვნებს, რომელნიც ასე არასრულად და არასაკმაოდ გამოხატა კადეტურმა სათათბირომ.

კადეტებს დედამიწის მალამოდ მოაქვთ თავი. ისინი მშვიდობიან პარლამენტარიზმზე ოცნებობენ. მათ ოცნება სინამდვილედ მიიჩნიეს. ისინი, თურმე ნუ იტყვით, იბრძვიან და მათ მხარი უნდა დავუჭიროთ. პირიქით ხომ არ არის, ბატო-

ნებო? განა თქვენ თვითონ მუდამ არ იხსენიებთ იმ სიტყვას, რომელიც ფიქრადაც კი არავის მოუვა ნამდვილი პარლამენტარიზმის ქვეყნებში, სიტყვას: «სათათბიროს გარეკენ»? ვინც მოინდომებს სერიოზულად ჩაუფიქრდეს ამ სიტყვის მნიშვნელობას, საქმის იმ ვითარებას, როცა ამ სიტყვის თქმა გვიხდება, იგი მიხვდება, რომ ჩვენ მოგველის ან ყალბი ფრაზებით შელამაზებული გაერანება ანდა მასის ახალი საქმე, ხალხის დიდ ვნებათა ღელვის ახალი საქმე.

კადეტებისაგან ამ საქმეში დახმარებას ჩვენ არ შეგვიძლია მოველოდეთ. იმედი ვიქონიოთ, რომ სათათბიროს უმცირესობა. «შრომის ჯგუფი» და «მუშათა ჯგუფი» ამ საკითხს კადეტურად არ დააყენებენ. დახმარების თხოვნით კი არ მიმართავენ ისინი ხალხს, ძალად კი არ გამოაცხადებენ თავიანთ თავს ჩვენს სათამაშო პარლამენტში, — მთელ თავიანთ ძალღონეს, მთელ თავიანთ მუშაობას ისინი იქით მიმართავენ, რომ რითიმე მაინც დაეხმარონ ამ მომავალ დიად საქმეს.

«ვოლნა» № 12, 1906 წ.
9 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

ჟურნალ-გაზეთებს შორის [116]

სტატიაში «ლიბერალური ქება» «ნევსკაია გაზეტას» მე-6 ნომერში ამხ. ლ. მ.-ს სურს დაამტკიცოს, რომ ბურჟუაზია მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს აქებს, როგორც ჭეშმარიტ სოციალ-დემოკრატებს, და მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს ლანძღავს, როგორც ანარქისტებს. ბურჟუაზიას განსაკუთრებით ეშინია ანარქიზმისა, როგორც ბრძოლის უხეში წესისა, ყუმბარებისაო და სხვ.

ასეთი შეხედულება ჭეშმარიტების ნამდვილი დაცინვაა.

ნუთუ ამხ. ლ. მ.-მა არ იცის, რომ გერმანიაში ბერნშტეინელებს, საფრანგეთში მილიერანისტებს ბურჟუაზია აქებდა სწორედ მათი ოპორტუნიზმისათვის, მათ მიერ მწვავე ბრძოლაში წინააღმდეგობათა მიჩლუნგებისათვის? ნუთუ ლ. მ. უკვე იმდენად «მოჭკვიანებულა», რომ მზადაა ბერნშტეინელები და მილიერანისტები ჭეშმარიტ სოციალ-დემოკრატებად მიიჩნიოს?

ანდა დაე ამხ. ლ. მ. ჩაუფიქრდეს თუნდაც რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის დამოკიდებულებას ნაროდოვოლცებისა და ესერების ტერორისადმი უკანასკნელ დრომდე და ბრძოლის დეკემბრის ფორმებისადმი ამჟამად. ლიბერალური ბურჟუაზია ესერებს ხომ სოციალ-დემოკრატებზე უფრო მეტად აქებდა, როდესაც ტერორი მიმართული იყო მისთვის საძულველი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. განა ასე არაა, ამხ. ლ. მ.? როგორ გგონიათ, ამხ. ლ. მ., შეაქებდა თუ არა ლიბერალური ბურჟუაზია მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს, მათ რომ თავიანთი ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი პოზიცია მიეტო-

ვებინათ და წმინდა პარლამენტარიზმის თვალსაზრისზე დამდგარიყვნენ? და როგორ მოიქცევით მაშინ, ამხ. ლ. მ., იტყვით თუ არა, რომ ლიბერალურ ბურჟუაზიას პირდაპირ არ ესმის, რომ სოციალ-დემოკრატების წმინდა პარლამენტარიზმი ა ხ ლ ა ნ დ ე ლ მ ო მ ე ნ ტ შ ი ბევრად უფრო მავნებელია მისთვის და ბევრად უფრო სასარგებლოა პროლეტარიატისათვის, ვიდრე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ახლანდელი პოზიცია?

«ვოლნა» № 12, 1906 წ.
9 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

ბოლშევიკების რეზოლუციისათვის სახელმწიფო სათათბიროს შესახებ [117]

ვბეჭდავთ რა რეზოლუციის ამ პროექტს, წინადადებას ვაძლევთ მიუდგომელ ადამიანებს გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ო ნ: იძლევა თუ არა ეს პროექტი რაიმე საბაბს ჩვენს ნებაზე ვატრიალოთ სიტყვები: «ანარქიზმი», «ბლანკიზმი» და სხვა. გარდა ამისა, რომელი რეზოლუცია გაამართლა ცხოვრებამ: ის, რომელიც ყრილობამ მიიღო, თუ ეს? განა ახლა ცხადი არ არის, რომ სათათბიროს გამოყენება შეიძლება მხოლოდ არაპირდაპირ? განა ახლა ცხადი არ არის, ამ ორი რეზოლუციიდან რომელი უფრო უშუალოდ შეეფერება ნამდვილ რევოლუციურ დემოკრატიას და უფრო მართებულად ითვალისწინებს «კადეტიზმს», როგორც გამოიხატა იგი სათათბიროში პრაქტიკულად?

«ვოლნა» № 12, 1906 წ.
9 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

მუშათა ჯგუფი სახელმწიფო სათათბიროში

სახელმწიფო სათათბიროში არის მუშათა ჯგუფი 15 კაცის შემადგენლობით. როგორ გავიდნენ სათათბიროში ეს დეპუტატები? მათი კანდიდატურები მუშათა ორგანიზაციებს არ წამოუყენებიათ, პარტიას არ აღუჭურვავს ისინი უფლებით მისი ინტერესები წარმოედგინა სათათბიროში. რსდმ პარტიის არც ერთ ადგილობრივ ორგანიზაციას არ გამოუტანია დადგენილება (თუმცა შეეძლო გამოეტანა) სახელმწიფო სათათბიროში თავისი წევრების გაყვანის შესახებ.

მუშათა დეპუტატები სათათბიროში არაპარტიული გზით გავიდნენ. თითქმის ყველანი, ან ყველანი, გავიდნენ კადეტებთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ჩუმ თუ აღიარებულ, შეთანხმებათა მეოხებით. სათათბიროში ბევრი ისე გავიდა, რომ ვერ გაარჩევ, კადეტებისა თუ სოციალ-დემოკრატების სახით აირჩიეს ისინი. ეს ფაქტია და უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტიც. ამის მიჩქმალვა, როგორც ახლა ამას მრავალი სოციალ-დემოკრატი სჩადის, მიუტევებელიც არის და უსარგებლოც. მიუტევებელია, რადგან ეს საერთოდ ამომრჩევლებთან და განსაკუთრებით მუშათა პარტიასთან კეკემალულობანას ნიშნავს. უსარგებლოა, რადგან ეს ფაქტი მოვლენათა მსვლელობაში აუცილებლად იჩენს თავს.

რსდმ პარტიის გამაერთიანებელმა ყრილობამ, როცა ს.-დ. საპარლამენტო ფრაქციის დაარსება სასურველად აღიარა, შეცდომა ჩაიდინა, რომ ეს ფაქტი არ გაითვალისწინა. მე-

მარცხენე სოციალ-დემოკრატების რეზოლუციიდან *, რომელიც გუშინ დავბეჭდეთ, ჩანს, რომ ყრილობას ამ ფაქტზე მიუთითეს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ, მემარცხენე ფრთის დაჟინებითი მოთხოვნით, ყრილობამ მიიღო მეტად მნიშვნელოვანი ინსტრუქცია პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ამ რეზოლუციის გამოუქვეყნებლობა დიდმნიშვნელოვანი ხარვეზია ც. კ.-ის იმ გამოცემაში, საიდანაც ჩვენ ყრილობის რეზოლუციები გადმოვბეჭდეთ. რეზოლუცია საპარლამენტო ფრაქციის შესახებ ც. კ.-ს ავალებს აცნობოს ყ ვ ე ლ ა პარტიულ ორგანიზაციას, თუ 1) სახელდობრ ვინ, 2) სახელდობრ როდის და 3) სახელდობრ რა პირობებით აღიარა ც. კ.-მა პარტიის წარმომადგენლად სახელმწიფო სათათბიროში. შემდეგ, რეზოლუცია ავალებს ც. კ.-ს პერიოდული ანგარიში წარუდგინოს პარტიას საპარლამენტო ფრაქციის მოქმედების შესახებ და, ბოლოს, იმ მუშათა ორგანიზაციებს, რომელთა წევრებადაც ითვლებიან სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატები, ევალებათ სპეციალური კონტროლი გაუწიონ ამ დეპუტატებს.

ამ მეტისმეტად მნიშვნელოვანი რეზოლუციის აღნიშვნის შემდეგ გადავიდეთ სათათბიროს მუშათა ჯგუფის საკითხის განხილვაზე. გავიდა თუ არა სათათბიროში, ამ ჯგუფის ბელადმა მიხაილიჩენკომ სოციალ-დემოკრატად გამოაცხადა თავი. მისი სახით მუშათა ჯგუფმა გამოხატა ცხადი მისწრაფება — გამოყოფოდა კადეტებს და ნამდვილ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფად გამხდარიყო.

ასეთი მისწრაფება სრული თანაგრძნობის ღირსია. ყრილობაზე ჩვენ ოფიციალური საპარლამენტო ფრაქციის დაარსების წინააღმდეგი ვიყავით. ჩვენი მოტივები ზუსტად და დაწვრილებით არის გადმოცემული გუშინ დაბეჭდილ ჩვენს რეზოლუციაში. მაგრამ თავისთავად ცხადია, ჩვენი უარყოფითი შეხედულება ოფიციალური საპარლამენტო ფრაქციის

* იხ. ეს ტომი, გვ. 350 — 352. რ ე დ.

დაარსების დროულობაზე სრულიადაც ხელს არ გვიშლის მხარი დავუჭიროთ მუშათა ყ ო ვ ე ლ ი წარმომადგენლის ყ ო ვ ე ლ მისწრაფებას — კადეტებისაგან სოციალ-დემოკრატებისაკენ გ ა ი წ ი ო ს.

მაგრამ მისწრაფებასა და შესრულებას შუა ჯერ კიდევ განსაზღვრული მანძილია. არ კმარა თავი სოციალ-დემოკრატად გამოაცხადო. საჭიროა ნამდვილ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პოლიტიკას აწარმოებდე. რა თქმა უნდა, ჩვენ სავსებით გვესმის გამოუცდელი პარლამენტარიების მდგომარეობის სიძნელე. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ რბილად უნდა მოვექცეთ იმათს შეცდომებს, ვინც იწყებს კადეტებისაგან სოციალ-დემოკრატებისაკენ გადმოსვლას. მაგრამ თუ მათ უწერიათ ამ გადმოსვლის ბოლომდე მიყვანა, ეს მხოლოდ ამ შეცდომათა აშკარა და პირდაპირი კრიტიკის გზით შეიძლება. ამ შეცდომების არაფრად ჩაგდება მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ისე მთელი პროლეტარიატის წინაშე.

სათათბიროს მუშათა ჯგუფის ერთი შეცდომა საჭიროა ახლა აღვნიშნოთ. სეფე-სიტყვის პასუხის კენჭისყრის რამდენიმე დღის შემდეგ, მუშათა ჯგუფის წევრებმა გაზეთებში განაცხადეს, «კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავი შევიკავეთ, მხოლოდ არ გვინდოდა ჩვენი უარი დემონსტრაციად გადაგვექცია, რათა გრაფ გეიდენის ჯგუფში არ გავთქვეფილიყავით» [118]. კადეტები რევოლუციასა და რეაქციას შორის ქანაობის პარტია არის. ამ პარტიის წინააღმდეგ ყოველთვის უნდა მართავდნენ და ყოველთვის გამართავენ კიდეც დემონსტრაციას გეიდენები მარჯვნივ, სოციალ-დემოკრატები — მარცხნივ. დემონსტრაციის მოწყობაზე უარის თქმა მუშათა ჯგუფის შეცდომა იყო. მას კადეტებისთვის ყურადღება არ უნდა მიექცია და პირდაპირ და ყველას გასაგონად ეთქვა მთელი ხალხისთვის: «თქვენ ყალბ კილოს იღებთ, ბატონო კადეტებო. თქვენს ადრესში მორიგების სული გამოსჭვივის. თავი დაანებეთ დიპლომატიას. თქვით ხმამაღლა, რომ გლეხები მთელ მიწას მოი-

თხოვენ, რომ გლეხებმა მთელი მიწა გამოუყიდველად უნდა მიიღონ. თქვით, რომ ხალხი სრულ თავისუფლებას მოითხოვს, რომ ხალხი ხელში აიღებს მთელ ძალაუფლებას, რათა ნამდვილად და არა მხოლოდ ქაღალდზე უზრუნველჰყოს თავისუფლება. ნუ გჯერათ დაწერილი «კონსტიტუციებისა», გწამდეთ მხოლოდ მებრძოლი ხალხის ძალა! ჩვენ ხმას ვაძლევთ თქვენი ადრესის წინააღმდეგ».

მუშათა ჯგუფს რომ ეს ეთქვა, იგი ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული მუშათა პოლიტიკის აქტს ჩაიდენდა. ამით იგი არათუ მუშათა ინტერესებს, არამედ თავისუფლებისათვის მებრძოლი მთელი რევოლუციური ხალხის ინტერესებსაც გამოხატავდა. და მაშინ იგი იტყოდა აუდენციაზე უარის თქმის გამო: «აი, ბატონო კადეტებო, თქვენ კარგი გაკვეთილი მი ღეთ. თქვენ საკადრისად დაისაჯეთ თქვენი ადრესის ყალბი კილოსათვის. თუ თქვენ კვლავ იმავე კილოს განაგრძობთ, — დადგება დღე, და ეს დღე არც ისე შორს არის, როცა ხალხი მოგიგონებთ «მოტყუებული შვილის გესლიანი დაცინვით გალაქლაქებული მამის მიმართ»»[119].

გავიმეოროთ ერთხელ კიდევ, რათა ჩვენი სიტყვები ბოროტად არავინ გადაასხვაფეროს: მუშათა ჯგუფის საქციელს ჩვენ იმისთვის კი არ ვაკრიტიკებთ, რომ ვუსაყვედუროთ მის წევრებს, არამედ იმისთვის, რომ დავეხმაროთ რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხობის პოლიტიკურ განვითარებას.

და ამ თვალსაზრისით ჩვენ უნდა აღვნიშნოთ «ნევსკაია გაზეტას» სერიოზული შეცდომა. «ჩვენ არ შეგვიძლია, — წერს იგი, — ადრესის ინციდენტი სათათბიროს მუშაობის შეწყვეტის საბაბად მივიჩნიოთ»... «ჩვენ ვერ ვხედავთ იმის საფუძველს, რომ საკითხი ახლავე პირდაპირ დავაყენოთო» (№ 6). ეს ყალბი კილოა. სოციალ-დემოკრატებს არ ეკადრებათ ისეთ ადამიანებად მოგვაჩვენონ თავი, რომელთაც შეუძლიათ სათაბიროსთვის პასუხი აგონ. სოციალ-დემოკრატები სათათბიროში უმრავლესობას რომ წარმოადგენდნენ, სათათბირო სათათბირო აღარ იქნებოდა, ანდა სოციალ-დემოკრატები სოციალ-დემოკრატები აღარ იქნებოდნენ. დაე კადეტებმა აგონ

საკსებით პასუხი სათათბიროსათვის. დაე ხალხმა მათს და არა ჩვენს ზურგზე ისწავლოს კონსტიტუციური ილუზიებისაგან განთავისუფლება.

თქვენ თვითონვე ამბობთ, ამხანაგებო: «პროლეტარიატი ნებას არ მისცემს ბატონ მილიუკოვებს ძველ რეჟიმს მოურიგდნენო». მშვენიერი სიტყვებია. მაგრამ რა შეადგენს კადეტურ მორიგებათა არსს? რა თქმა უნდა, არა პირადი გამცემლობა. ასეთი უხეში შეხედულება სრულიად ეუცხოება მარქსიზმს. მორიგების არსი ის და მხოლოდ ის არის, რომ კადეტები ფეხს არ იცვლიან და არც სურთ მოიცვალონ ძველი რეჟიმისთვის ძალაუფლების შენარჩუნების ნიადაგიდან, იმ ბრძანებათა ნიადაგიდან, რომლებიც ამ რეჟიმისგან მომდინარეობენ. კადეტები, რჩებიან რა კადეტებად, სავსებით მართალნი არიან, როცა ამბობენ: ამ ნიადაგიდან ფეხის მოცვლა ნიშნავს საკითხის პირდაპირ დაყენებას, ნიშნავს საბაბის მიცემას სათათბიროს მუშაობის შესაწყვეტადაო.

სოციალ-დემოკრატებს არ შეშვენით ისე იმსჯელონ, რომ ხალხს მათ მსჯელობაში კადეტების გამართლების დანახვა შეეძლოს. ჩვენ კი არ უნდა ვამართლებდეთ მათს თვალთმაქცსიტყვებს, თითქოს ყველაფერი სათათბიროს «ზრდილობიანობას» და ტრეპოვის «უზრდელობას» შეეხებოდეს (სტრუვე «დუმაში»). ჩვენ უნდა ვამხილოთ ეს თვალთმაქცობა და კადეტების მიერ მიღებული «პირველი გაკვეთილი» მთელი მათი პოზიციის, მთელი მათი ადრესის პირველშობილ სიყალბეს უნდა დავუკავშიროთ. სათათბიროს შიგნით არსებული ვითარების თვალსაზრისით კი არ უნდა ვაფასებდეთ ჩვენი ქვეყნის რევოლუციურ მდგომარეობას. პირიქით: ჩვენი ქვეყნის რევოლუციური მდგომარეობის თვალსაზრისით უნდა ვაფასებდეთ სათათბიროს შიგნით წამოჭრილ საკითხებსა და ინციდენტებს.

«ვოლნა» № 13, 1906 წ.
10 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

ორგანიზაციული საკითხისათვის [120]

ყრილობის იმ კომისიაში, რომელიც პარტიის წესდებას ამუშავებდა, ბოლშევიკებმა პირდაპირ განაცხადეს, ყოველგვარი ცდა შეზღუდონ ადგილობრივ ორგანიზაციათა ავტონომია და ოპოზიციის უფლებები მე-3 ფრაქციული ყრილობის ნორმებთან შედარებით — აუცილებელი გათიშვის მომასწავებელი იქნებაო. ამიტომ ბოლშევიკებმა დაჟინებით მოითხოვეს, მაგალითად, ის, რომ ახალი ყრილობის მოწვევის უფლება არ შეეზღუდათ და სხვა. ბოლშევიკებმა წინადადება შეიტანეს ჩაერთოთ წესდებაში წესი, რომ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის დროს პარტიის წევრებს უფლება აქვთ ადგილობრივ ორგანიზაციებში შევიდნენ. ყრილობამ უარყო ეს წესი, მაგრამ მიიღო რეზოლუცია, რომ მას უარყოფს მხოლოდ და მხოლოდ როგორც ზედმეტსა და თავისთავად გასაგებს.

მაშასადამე, მენშევიკები დაგვპირდნენ, რომ ლოიალურნი იქნებოდნენ და წვრილმან «კინწის კვრას» არ მიმართავდნენ. დაე პარტიამ ფხიზლად ადევნოს თვალყური ამ დაპირების შესრულებას, — პარტიის კონტროლი გათიშვის შესაძლებლობის თავიდან აცილების ერთადერთი საწინდარია.

«ვოლნა» № 13, 1906 წ.
10 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

სიტყვა სახალხო მიტინგზე გრ. პანინას სახლში 1906 წ. 9 (22) მაისს [121]

I. «ნევსკაია გაზეტას» მოკლე ანგარიში

ამხ. კარპოვი ფიქრობს, რომ სათათბიროს მართლაც არ გარეკენ, რადგან კადეტები საამისოდ ყველაფერს გააკეთებენ, რაც კი შესაძლებელიაო. ეს უკვე გამოჩნდა სათათბიროში მათი მოღვაწეობით. კადეტები ცდილობენ შეათავსონ ძველი ხელისუფლება და ხალხის თავისუფლებაო. შემდეგ ორატორი გადავიდა რსდმ პარტიის ტაქტიკაზე. ყრილობამ, მისი აზრით, რეზოლუცია სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ მიიღო «სრულიადაც არა სრულად, სრულიადაც არა სწორად. ჩვენ უნდა გავატაროთ ერთიანი რსდმ პარტიის გადაწყვეტილებანი, მაგრამ ჩვენ შევავსებთ მის გადაწყვეტილებებს ჩვენი მოქმედების დროს».

ორატორის აზრით, ბოიკოტი შეცდომა არ ყოფილა. პროლეტარიატმა თქვა, უნდა აღვგავო ეს სათათბიროო. ეს ვერ მოხერხდა, მერე რა? რა თქმა უნდა, ხალხი მხოლოდ სარგებლობას ნახავს სათათბიროდან. ბევრ სარგებლობას მოგვიტანენ თანამიმდევრობით მოქმედი გლეხთა და მუშათა დეპუტატები. მაგრამ სათათბიროზე ზეგავლენა ამაოა. როდესაც მთავრობა ხალხის წინააღმდეგია, უნდა გვახსოვდეს, რომ კონფლიქტის გადაწყვეტა მხოლოდ მებრძოლ მხარეებს შეუძლიათ.

გლეხებს ჩვენ ვეტყვით: ისწავლეთ, ამხანაგო გლეხებო, რათა იმ დროს, როდესაც მომენტი დადგება, თქვენც მზად იყოთ რევოლუციური მოძრაობის მხარის დასაჭერად.

«ნევსკაია გაზეტა» № 8, 1906 წ. 11 (24) მაისი

იბეჭდება «ნევსკაია გაზეტას» ტექსტის მიხედვით

II. გაზეთ «ვოლნას» მოკლე ანგარიში

მას, ისე როგორც მოქ. მიაკოტინს, უპასუხა ამხ. კარპოვმა. მოქ. მიაკოტინს მან განუმარტა, რომ გარიგება არის მოლაპარაკების საქმიანი დასკვნა, ხოლო მოლაპარაკება — გარიგების მომზადებაა, რომ ამიტომ, კადეტების პარტიის მიმართ, მოქ. მიაკოტინი სრულიადაც არ არის მართალი. ორატორმა სავსებით აღიარა გაერთიანებული ყრილობის გადაწყვეტილებათა სავალდებულო ხასიათი მთელი პარტიისათვის და აღნიშნა ზოგიერთი მისი გადაწყვეტილების მცდარობა; ეს მცდარობა გახდა სწორედ იმ ყალბი კილოს წყაროდ, რომელიც ამხ. ბარტენიევმა აიღო კადეტების პარტიის მიმართ. კადეტების პარტიის მხილება, ამბობდა ორატორი, უბრალო ლანძღვა კი არ არის, არამედ აუცილებელი, ყველაზე მიზანშეწონილი საშუალებაა იმისათვის, რომ ხალხის ფართო მასები ჩამოვაშოროთ ორჭოფ, მხდალ, ძველ ხელისუფლებასთან მორიგებას მოწადინებულ ლიბერალურ ბურჟუაზიას და წავუბიძგოთ რევოლუციურ-დემოკრატიული ბურჟუაზიისაკენ, რომელიც ძალაუფლების მოსაპოვებლად გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება. ისეთი პარტიისთვის სახელის გატეხა, როგორიცაა კადეტების პარტია, ნიშნავს მძლავრი ბიძგი მისცე ხალხის მასების პოლიტიკურ განვითარებას. რა თქმა უნდა, თვით კონფლიქტის შექმნის მომენტი დამოკიდებულია არა ჩვენს ნებაზე, არამედ მთავრობის მოქმედებაზე, ხალხის მასების პოლიტიკური გათვითცნობიერებისა და განწყობილების დონეზე. ჩვენი ამოცანაა მთელი ძალღონის გამოყენება იმისათვის, რომ ორგანიზებულმა პროლეტარიატმა ახალ აღმავლობაშიც და მომავალ გარდუვალ გადამწყვეტ ბრძოლაშიც ძლევამოსილი რევოლუციური არმიის ბელადის როლი შეასრულოს.

«ვოლნა» № 14, 1906 წ.
11 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

რეზოლუცია, მიღებული სახალხო მიტინგზე ბრ. პანინას სახლში 1906 წ. 9 (22) მაისს

კრება ყველა მოქალაქის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ თვითმპყრობელური მთავრობა, რომელიც დარბევას აწყობს და განუწყვეტლივ აძლიერებს პოლიციურ და სამხედრო თვითნებობას, აშკარად დასცინის სახალხო წარმომადგენლობას და ემზადება ძალადობით უპასუხოს თავისუფლების საყოველთაო მოთხოვნას, გლეხობის მიერ მიწის მოთხოვნას.

კრება აცხადებს, რომ «სახალხო თავისუფლების» პარტია (კ.-დ.) მხოლოდ გაუბედავად და არასრულად გამოხატავს ხალხის მოთხოვნებს, არ ასრულებს თავის დაპირებას საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის გამოცხადების შესახებ. ჩვენ ვაფრთხილებთ ხალხს ერიდოს ამ პარტიას, რომელიც ქანაობს ხალხის თავისუფლებასა და ხალხის მჩაგვრელ ძველ თვითმპყრობელურ ხელისუფლებას შორის.

კრება მოუწოდებს სახელმწიფო სათათბიროს გლეხთა («შრომის») და მუშათა ჯგუფს — გამოვიდნენ გაბედულად, კადეტებისაგან სრულიად დამოუკიდებლად, თვითეული თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნებით, და სრულად წამოაყენონ ხალხის მოთხოვნები.

კრება ყველას ყურადღებას, ვინც კი თავისუფლების საქმეს აფასებს, მიაქცევს იმას, რომ თვითმპყრობელური მთავრობის საქციელი და გლეხთა და საერთო სახალხო საჭიროებათა სრული დაუკმაყოფილებლობა გარდუვალად ხდის გადამ-

წყვეტ ბრძოლას სათათბიროს გარეთ, ბრძოლას ხალხის სრული ძალაუფლებისათვის, რასაც ერთადერთს შეუძლია თავისუფლებისა და ხალხის საჭიროებათა უზრუნველყოფა.

კრება გამოთქვამს რწმენას, რომ პროლეტარიატი კვლავინდებურად იდგება ხალხის ყველა რევოლუციური ელემენტის სათავეში.

«ვოლნა» № 14, 1906 წ.
11 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

გლეხთა ანუ «შრომის» ჯგუფი და რსდმპ

გუშინ ჩვენ განვიხილეთ სათათბიროს მუშათა ჯგუფისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება *. განვიხილოთ ახლა შრომის ჯგუფის საკითხი.

ამ სახელწოდებით ცნობილია სათათბიროს გლეხთა დეპუტატები, რიცხვით 130 — 140 კაცი, რომელთაც იწყეს კადეტებისაგან გამოყოფა და დამოუკიდებელ პარტიად დარაზმვა. ამ გამოყოფის დამთავრებას ჯერჯერობით ბევრი აკლია, მაგრამ იგი უკვე სავსებით გამოისახა. გორემიკინმა ეს მშვენივრად გამოხატა თავისი მოსწრებული სიტყვით: სათათბიროს წევრთა მესამედი (ე. ი. სწორედ შრომისა და მუშათა ჯგუფი, დაახლოებით ერთად ნაანგარიშევი) სახრჩობელისკენ მიილტვისო.

ამ მოსწრებულმა სიტყვამ ნათლად განსაზღვრა განსხვავება რევოლუციურ და არარევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას (კადეტებს) შორის. რა შეადგენს გლეხთა ჯგუფის რევოლუციურობას? არა იმდენად მისი პოლიტიკური მოთხოვნები, რომელნიც ჯერჯერობით სრულიადაც არ თქმულა ბოლომდე, რამდენადაც მისი მოთხოვნები მიწის შესახებ. გლეხები მოითხოვენ მიწას და მასთან მთელ მიწას. გლეხები მიწას მოითხოვენ ისეთი პირობით, რაც მართლაც გააუმჯობესებდა მათს მდგომარეობას, ე. ი. სრულიად გამოუყიდველად ანდა ფრიად მცირე გამოსასყიდით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: არსებითად გლეხები მოითხოვენ არა აგრარულ რეფორმას, არამედ აგრარულ რევოლუციას. ისინი მოითხოვენ

* იხ. ეს ტომი, გვ. 488 — 492. რ ე დ.

ისეთ გადატრიალებას, რომელიც სრულიადაც არ შეეხება ფულის ბატონობას, არ შეეხება ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძვლებს, მაგრამ გადაჭრით ძირს გამოუთხრის ძველი ბატონყმური წესწყობილების, მთელი ბატონყმური — როგორც მემამულური, ისე მოხელური — რუსეთის ეკონომიურ საფუძვლებს. აი ამიტომაც სოციალისტური პროლეტარიატი მთელი სულითა და გულით, მთელი ენერგიით დაეხმარება გლეხებს მათი მოთხოვნების მთელი სისრულით განხორციელებაში. თუ გლეხობამ საესებით არ გაიმარჯვა ყველა მჩაგვრელზე, რომლებიც მას მემკვიდრეობად დარჩა ძველი წესწყობილებისაგან, ისე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სრული გამარჯვება შეუძლებელია. ხოლო ასეთი გამარჯვება ესაჭიროება მთელ ხალხს, ესაჭიროება პროლეტარიატსაც სოციალიზმისათვის დიადი ბრძოლის ინტერესების სასარგებლოდ.

მაგრამ, მხარს უჭერს რა რევოლუციურ გლეხობას, პროლეტარიატმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს თავისი კლასობრივი დამოუკიდებლობა, თავისი განსაკუთრებული კლასობრივი ამოცანები. გლეხობის მოძრაობა — სხვა კლასის მოძრაობაა; ეს არის ბრძოლა არა პროლეტარული, არამედ წვრილ მეპატრონეთა ბრძოლა; ეს არის ბრძოლა არა კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ, არამედ მათი გაწმენდისათვის ბატონყმობის ყველა ნაშთისაგან. გლეხთა მასები გატაცებული არიან თავიანთი დიადი ბრძოლით: მათ აუცილებლად ჰგონიათ, რომ მთელი მიწის აღება აგრარული საკითხის გადაწყვეტას ნიშნავს. ისინი ოცნებობენ მიწის თანაბრად დაყოფაზე, ყველა მშრომელისათვის გადაცემაზე და აკრძალვებათ კაპიტალის ბატონობა, ფულის ძალა, სასაქონლო მეურნეობა, რომელიც უაღრესად «სამართლიანი» დაყოფის დროსაც კი აუცილებლად კვლავ უთანაბრობასა და ექსპლოატაციას შეჰქმნის. ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლით გატაცებულნი, ისინი ვერ ხედავენ შემდგომს, კიდევ უფრო დიადსა და ძნელ ბრძოლას მთელი კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგ სოცია-

ლიზმის სრული განხორციელებისათვის. მუშათა კლასი ყოველთვის აწარმოებს ამ ბრძოლას და საამისოდ ყოველთვის დაირაზმება დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად. და კაპიტალიზმის სასტიკი გაკვეთილები აუცილებლად და სულ უფრო და უფრო სწრაფად გაანათლებს წვრილ მეპატრონეებს, აიძულებს მათ სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა სისწორეში დარწმუნდნენ და პროლეტარულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მიემხრონ.

პროლეტარიატს ამჟამად ხშირად ესმის ხოლმე ბურჟუაზიისაგან: ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ერთად უნდა იაროთო. უამისოდ პროლეტარიატს არ ძალუძს რევოლუცია მოახდინოსო. ეს მართალია, მაგრამ საკითხი ის არის, რომელ დემოკრატიასთან ერთად შეუძლია და უნდა იაროს ა მ ჟ ა მ ა დ პროლეტარიატმა: კადეტურ თუ გლეხურ, რევოლუციურ დემოკრატიასთან? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: არა კადეტურ, არამედ რევოლუციურ დემოკრატიასთან, არა ლიბერალებთან, არამედ გლეხთა მასასთან ერთად.

ეს პასუხი უნდა გვახსოვდეს და მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ის გარემოება, რომ, რაც უფრო სწრაფად ვითარდებიან გლეხები, რაც უფრო აშკარად გამოდიან ისინი პოლიტიკაში, მით უფრო მეტად იჩენს თავს ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველა რევოლუციური ელემენტის ლტოლვა გლეხობისაკენ და ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, ქალაქის მდაბიო მოქალაქეებისკენაც. წვრილმანი განსხვავება უმნიშვნელო ხდება. პირველ რიგში დგება ძირითადი საკითხი: ბოლომდე მიდიან თუ არა რევოლუციურ გლეხობასთან ერთად ესა თუ ის პარტიები, ჯგუფები, ორგანიზაციები. სულ უფრო და უფრო ნათლად ისახება პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გაერთიანება ესერებისაც (სოციალისტ-რევოლუციონერებისა), ზოგიერთი დამოუკიდებელი სოციალისტისაც, ყველაზე მემარცხენე რადიკალებისაც და მთელ რიგ გლეხთა ორგანიზაციებისაც ერთ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა დ.

ამიტომ დიდი შეცდომა ჩაიდინეს მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატებმა ყრილობაზე, როდესაც გაჰყვიროდნენ (მარტინოვი და პლეხანოვი): «კადეტებს, როგორც პარტიას, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ესერებსაო». ესერები თავისთავად არაფერს წარმოადგენდნენ. მაგრამ ესერები, როგორც გლეხობის სტიქიურ მისწრაფებათა გამომხატველნი, — ნაწილი არიან სწორედ იმ ფართო, მძლავრი რევოლუციური დემოკრატიისა, ურომლისოდაც პროლეტარიატს ფიქრიც კი არ შეუძლია ჩვენი რევოლუციის სრულ გამარჯვებაზე. სათათბიროს გლეხთა ანუ «შრომის» ჯგუფის დაახლოება ესერებთან შემთხვევითი როდია. რასაკვირველია, გლეხთა ნაწილი შესძლებს სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის თანამიმდევარი თვალსაზრისის გაგებას, მაგრამ მათი მეორე ნაწილი, უსათუოდ, «გათანაბრებულ» მიწათსარგებლობას აგრარული საკითხის გადაწყვეტად მიიჩნევს.

შრომის ჯგუფი, ალბათ, დიდ როლს ითამაშებს სათათბიროშიც და — რაც უფრო დიდმნიშვნელოვანია — სათათბიროს გარეთაც. შეგნებული მუშები მთელი ძალღონით უნდა ცდილობდნენ გლეხთა შორის აგიტაციის გაძლიერებას, კადეტებისაგან შრომის ჯგუფის გამოყოფას, ამ ჯგუფის მიერ სრული და დამთავრებული პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენებას. დაე შრომის ჯგუფი უფრო მჭიდროდ და უფრო დამოუკიდებლად დაირაზმოს, დაე გააფართოოს სათათბიროს გარეთ თავისი კავშირი, დაე ახსოვდეს, რომ სათათბიროში როდი გადაწყდება მიწის დიდი საკითხი. ამ საკითხს გადაწყვეტს სახალხო ბრძოლა ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ და არა სათათბიროში ხმის მიცემა.

რევოლუციის წარმატებისათვის ამჟამად იმაზე მნიშვნელოვანი არა არის რა, როგორც რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის ეს დარაზმვა, განათლება, პოლიტიკური მომზადება. სოციალისტური პროლეტარიატი შეუბრალებლად ამხელს კადეტების მერყეობას და ყოველგვარად დაეხმარება ამ დიად საქმეს. ამასთან იგი არ ჩაიფლობა არავითარ წვრილბურ-

ჟუაზიულ ილუზიებში. იგი დარჩება სოციალიზმისათვის მტკიცე კლასობრივი და პროლეტარული ბრძოლის ნიადაგზე.

გაუმარჯოს გლეხთა სრულ გამარჯვებას ყველა მათ მჩაგვრელზე! — იტყვის პროლეტარიატი. ამ გამარჯვებაშია სოციალიზმისათვის ჩვენი პროლეტარული ბრძოლის წარმატებათა უტყუარი საწინდარი.

«ვოლნა» № 14, 1906 წ.
11 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

მიწის საკითხი სათათბიროში

კადეტების პირველი საქმე სათათბიროში სეფე-სიტყვის საპასუხო ადრესის შედგენა იყო. შეადგინეს გაუბედავი თხოვნა და არა მოთხოვნა. მეორე «საქმე» — ხმაამოუღებლივ გადავიდნენ მორიგ საქმეებზე, როდესაც მათს დეპუტაციას ადრესის მიღებაზე უარი უთხრეს. აქ ისინი კიდევ უფრო გაუბედავად მოიქცნენ. ახლა მესამე საქმეა განხილვა მიწის საკითხისა, რომელიც სათათბიროში მორიგ საკითხად არის დასმული.

ამ საკითხს ყველა მუშამ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ადევნოს თვალყური. მიწის საკითხი ყველაზე მეტად გლეხთა მასას აღელვებს. ხოლო გლეხები ახლა რევოლუციაში მუშების მთავარი და თითქმის ერთადერთი მოკავშირეები გახდნენ. და მიწის საკითხის მიხედვით გამოჩნდება განსაკუთრებული სიცხადით, კადეტების პარტია, რომელიც თავის თავს სახალხო თავისუფლების პარტიას უწოდებს, მართლა ერთგულად ემსახურება თუ არა სახალხო თავისუფლებას.

რა სურს ხალხს, ე. ი. უწინარეს ყოვლისა გლეხობას? გლეხობას მიწა სურს. ეს ყველამ იცის. გლეხები მოითხოვენ, რომ მთელი მიწა სახელმწიფოში გლეხებს ეკუთვნოდეს. გლეხებს სურთ კისრიდან გადაიგდონ მემამულეებისა და მოხელეების უღელი. მემამულეებისაგან მიწის ჩამორთმევა, რათა ისინი არ აიძულებდნენ გლეხს შრომამიგებას, ე. ი. არსებითად ძველებურად საბატონო ბეგარის მოხდას; — ძალაუფლების ჩამორთმევა მოხელეებისათვის, რათა მათ მდაბიო ხალხის ჩაგვრა აღარ შეეძლოთ, აი რა სურთ გლეხებს. და მუშები უნდა დაეხმარონ გლეხებს როგორც მიწისთვის ბრძოლაში, ისე მიწის საკითხის პირდაპირ, ნათლად და სავსებით გარკვეულად დაყენებაში.

მიწის საკითხის აბნევა და გაბუნდოვანება განსაკუთრებით ადვილია. ადვილია საქმის ისე წარმოდგენა, რომ გლეხებმა, რა თქმა უნდა, მიწა უნდა მიიღონ ნადელად, მაგრამ თვით ეს ნადელად დარიგება ისე უნდა მოეწყოს, რომ გლეხებს ყოველგვარი სარგებლობა მოესპოთ ამ დარიგებისაგან. თუ მიწას კვლავ მოხელეები დაარიგებენ, თუ ყოველგვარ «მომრიგებელ შუამავლებად» კვლავ ლიბერალური მემამულეები იქნებიან, თუ გამოსასყიდის «მცირე ოდენობას» ძველი თვითმპყრობელური ხელისუფლება განსაზღვრავს, მაშინ გლეხები სარგებლობის მიღების მაგივრად კვლავ მოტყუებული დარჩებიან; როგორც 1861 წელს, მივიღებთ ახალ მარყუჟს გლეხთა კისერზე. ამიტომ შეგნებულმა მუშებმა მეტისმეტად ენერგიულად უნდა განუმარტონ გლეხებს, რომ მიწის საკითხში ისინი განსაკუთრებით ფრთხილი და მიუნდობელი უნდა იყვნენ. მიწის გამოსასყიდის საკითხი და იმ ხელისუფლების საკითხი, რომელიც მიწის «დარიგებას» აწარმოებს, საქმის ახლანდელი ვითარების დროს უდიდეს მნიშვნელობას იღებს. გამოყიდვის საკითხის მიხედვით შეიძლება ერთბაშად და შეუცდომლად გამოვარკვიოთ, ვინ არის გლეხთა მომხრე და ვინ მემამულეებისა, აგრეთვე ისიც, ვინ ცდილობს ერთი მხარიდან მეორეზე გადარბენას. რუსმა გლეხმა იცის, — მერე როგორ იცის! — თუ რა ბედენაა ეს გამოყიდვა. ამ საკითხში გლეხთა ინტერესები და მემამულეთა ინტერესები მშვენივრად იმიჯნებიან. და ამიტომ სავსებით სწორად მოიქცა რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა, როცა აგრარული პროგრამის პირვანდელ პროექტში სიტყვა «განსხვისება» შესცვალა სიტყვით: «კონფისკაცია» (ე. ი. განსხვისება გამოუყიდველად).

იმ ხელისუფლების საკითხშიც, რომელიც მიწების დარიგებას აწარმოებს, გლეხთა და მოხელეთა ინტერესები ისევე მკვეთრად შორდება ერთმანეთს, როგორც გამოყიდვის საკითხში გლეხთა და მემამულეთა ინტერესები. ამიტომ სოციალისტი მუშები განსაკუთრებული შეუპოვრობით უნდა განუმარტავდნენ გლეხებს იმის მნიშვნელობას, რომ ძველმა ხელის-

უფლებამ არ მოჰკიდოს ხელი მიწის საკითხს. დაე იცოდნენ გლეხებმა, რომ მიწის არავითარ რეფორმას არ შეუძლია სარგებლობის მოტანა, თუ საქმე ძველი ხელისუფლების ხელში იქნება. ამ საკითხშიც, საბედნიეროდ, რსდმ პარტიის გამაერთიანებელ ყრილობაზე საქმის არსებითს მხარეში მიღწეულია ერთსულოვნება, რადგან ყრილობის რეზოლუციამ უეჭველად სცნო გლეხობის რევოლუციური გამოსვლებისთვის მხარის დაჭერა. მართალია, ჩვენი აზრით, ყრილობამ შეცდომა ჩაიდინა, როდესაც პირდაპირ არ აღნიშნა, რომ სახელდობრ მიწის რეფორმა შეიძლება დაევალოს მხოლოდ ს ა ვ ს ე ბ ი თ დემოკრატიულ სახელმწიფო ხელისუფლებას, მხოლოდ ისეთ თანამდებობის პირთ, რომელნიც არიან ხალხის მიერ არჩეულნი, მის წინაშე ანგარიშვალდებულნი და რომელთა შეცვლასაც იგი ახდენს. მაგრამ ჩვენ განზრახვა გვაქვს ამაზე უფრო დაწვრილებით სხვა დროს ვილაპარაკოთ.

სათათბიროში ორი ძირითადი აგრარული პროგრამა იქნება წამოყენებული. სათათბიროში გაბატონებულ კადეტებს სურთ, რომ მემამულეებიც მაძღარნი იყვნენ და გლეხებიც უვნებელნი. ისინი თანახმანი არიან მემამულეთა მიწების მეტი ნაწილის იძულებითი განსხვისებისა, მაგრამ, ჯერ ერთი, გამოყიდვას ვარაუდობენ, ხოლო, მეორე, მხარს უჭერენ მიწის რეფორმის გატარების საშუალებებისა და გზების საკითხის ლიბერალურ-მოხელურ და არა რევოლუციურ-გლეხურ გადაწყვეტას. კადეტები თავიანთ აგრარულ პროგრამაში, როგორც ყოველთვის, გველხოკერასავით იკლაკნებიან მემამულეთა და გლეხთა შორის, ძველ ხელისუფლებასა და სახალხო თავისუფლებას შორის.

შრომის ანუ გლეხთა ჯგუფს ჯერ სავსებით გარკვეულად არ ჩამოუყალიბებია თავისი აგრარული პროგრამა. მთელი მიწა მშრომელ ხალხს უნდა ეკუთვნოდესო, — გამოყიდვის საკითხს და აგრეთვე ძველი ხელისუფლების საკითხს ჯერჯერობით დუმილით გვერდს უვლის. ამ პროგრამაზე, როდესაც იგი გამოირკვევა, ჩვენ კიდევ არაერთხელ გვექნება ლაპარაკი.

მოხელეთა მთავრობას, რასაკვირველია, არაფრის გაგონებაც კი არა სურს თუნდაც კადეტური აგრარული რეფორმის შესახებ. მოხელეთა მთავრობა, რომლის სათავეში დგანან უმდიდრესი მემამულე-მოხელენი, ხშირად ათიათასობით დესეტინა მიწას რომ ფლობს თვითეული, «უფრო მაჰმადიანურ სარწმუნოებას მიიღებს» (როგორც ერთმა გონებამახვილმა მწერალმა თქვა), ვიდრე მემამულეთა მიწების იძულებით განსხვისებას დაუშვებდეს. მაშასადამე, აგრარული საკითხის «გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა» სათათბიროს მიერ იქნება არა ნამდვილი გადაწყვეტა, არამედ მოთხოვნების მხოლოდ გამოცხადება, მხოლოდ აღიარება. კადეტებს ხალხის წარმომადგენელთა ამაყ და გაბედულ, პატიოსან და აშკარა მოთხოვნათა მაგივრად კვლავ გაუბედავი თხოვნა გამოუვათ. ვუსურვოთ შრომის ჯგუფს ამჯერად მაინც კადეტებისაგან სრულიად დამოუკიდებლად და ცალკე გამოვიდეს.

ხოლო სოციალისტ მუშებს ამჟამად განსაკუთრებით დიდი ამოცანა ეკისრებათ. ყოველგვარი ზომებით და მთელი ძალღონით უნდა გავაფართოოთ ორგანიზაცია საერთოდ და გლეხობასთან კავშირი განსაკუთრებით. რაც შეიძლება ფართოდ, რაც შეიძლება ნათლად, დაწვრილებით და ვრცლად უნდა განვუმარტოთ გლეხებს მთელი მნიშვნელობა გამოყიდვის საკითხისა და იმ საკითხისა, შეიძლება თუ არა შევურიგდეთ მიწის რეფორმის ძველი ხელისუფლების ხელში დატოვებას. მთელი ძალღონე უნდა მოვიკრიბოთ, რათა სოციალისტური პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის კავშირი განმტკიცდეს და გაიზარდოს ახლანდელი პოლიტიკური კრიზისის მომავალი აუცილებელი დასასრულის დროისათვის. ეს კავშირი და მხოლოდ ესაა საწინდარი იმისა, რომ წარმატებით გადაწყდება გლეხებისათვის «მთელი მიწის», ხალხისათვის სრული თავისუფლებისა და სრული ძალაუფლების საკითხი.

«ვოლნა» № 15, 1906 წ.
12 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

რეზოლუცია და რევოლუცია

გუშინდელი «ნაშა ჟიზნის», დღევანდელი «რეჩის», «დუმის», «ნაშა ჟიზნის», «სტრანასი» და «სლოვოს» მოწინავე სტატიები — მთელი ბურჟუაზიული პრესა გამოუკლებლივ თავს ესხმის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიას. რა მოხდა? სად გაქრა «გამარჯვებულთა» — კადეტების — ეს სიამაყე, რამაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ საშუალება მისცა მათ ქედმაღლურად თავიდან მოეშორებინათ «ბოიკოტისტები»? წარვიდნენ კადეტთა ჰეგემონიის ნეტარი დღეები, როდესაც ეს ვაჟბატონები პროლეტარიატს ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივ სიბრძნეს ასწავლიდნენ, მის შეცდომებს თანაუგრძნობდნენ. რა მოხდა?

აღორძინება იწყო რევოლუციონიზმმა, — უპასუხებს ბ-ნი სტრუვე 11 მაისის «დუმის» მოწინავეში. იგი მართალია. სათათბიროს იმედები ყოველ საათობით ილევა. იმის წარმოდგენა, თუ როგორ ხდება სახალხო თავისუფლების მოპოვება, ნათელი ხდება იმის მიხედვით, თუ როგორ აშკარავდება იმ პარტიის ნამდვილი ფიზიონომია, რომელმაც, ენამრუშობს რა თავისუფლების სახელით, არჩევნების დროს შესძლო გაეთვალისწინებინა როგორც ხალხის რაოდენადმე დაღლა, ისე ვიტედურნოვის პოლიტიკა, რამაც არჩევნების ასპარეზი დაუხურა ხალხის ნამდვილი ინტერესების ნამდვილ წარმომადგენლებს. ბრძოლის ახალი ფორმების აუცილებლობას განსაკვიფრებლად ხაზს უსვამს აშკარად გამოჩენილი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მოქმედება. დიახ, არჩევნების დღეებში ბურჟუაზია ფიქრობდა, რევოლუცია დამთავრდა, დადგა ჩემი დრო

ჩემს სასარგებლოდ შემოვატრიალო მუშათა და გლეხთა ბრძოლის ნაყოფიო. მაგრამ იგი მოტყუვდა. დროებითი მიწყნარება მან მიიღო ძალთა საბოლოო ამოწურვად, რევოლუციის შეწყვეტად. ის-ის იყო მაგრად ჩაჯდა იგი სათათბიროს სავარძელში, ის-იყო შეუდგა სიამტკბილობით ლაპარაკს ძველ ხელისუფლებასთან ნებაყოფლობითს შეთანხმებაზე მუშებისა და გლეხების ხარჯზე. და უცბად, თურმე ნუ იტყვით, მუშები და გლეხები მზად ყოფილან ჩაერიონ ამ თამაშში და ჩაშალონ ეს გარიგება.

ბატონი კადეტები განსაკუთრებით აღაშფოთა პანინას სახლში გამართულმა სახალხო კრებამ. ამ კრებაზე წარმოთქმულმა სოციალ-დემოკრატების სიტყვებმა აამტუტა ეს დამპალი ჭაობი. რას ბრძანებთ, გაჰყვირიან ბატონი კადეტები, ჩვენი პარტიის გაკრიტიკებით თქვენ დახმარებას უწევთ მთავრობასაო. ეს ხომ ნაცნობი არგუმენტია. ყოველთვის, როდესაც სოციალ-დემოკრატები წინ წამოდგებიან ხოლმე, რათა პროლეტარიატს და მთელ ხალხს განუმარტონ მომხდარი ამბების ნამდვილი აზრი, რათა გაფანტონ ბურუსი, რომელშიც ახვევენ მუშებს ბურჟუაზიული პოლიტიკოსები, რათა გააფრთხილონ მუშები არ აჰყვნენ სახალხო თავისუფლების ბურჟუაზიულ გამყიდველებს, რათა უჩვენონ მუშებს მათი ნამდვილი ადგილი რევოლუციაში, — ბატონი ლიბერალები გაჰყვირიან, ამით რევოლუცია სუსტდებაო. ყოველთვის, როდესაც სოციალ-დემოკრატები აცხადებენ, მუშებს არ შეშვენით ბურჟუაზიული დროშების ქვეშ დგომაო, მათ საკუთარი დროშა, სოციალ-დემოკრატიის დროშა აქვთო, — ლიბერალები იწყებენ გოდებას, ამით სამსახურს უწევთ მთავრობასაო. ტყუილია. რევოლუციის ძალა პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების განვითარებაშია, გლეხობის პოლიტიკური შეგნების განვითარებაშია. როდესაც სოციალ-დემოკრატი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს კადეტების პოლიტიკას, იგი ამით ავითარებს ამ შეგნებას, აძლიერებს რევოლუციას. როდესაც კადეტი თავისი ქადაგებით აბრუებს ხალხს, იგი აბნელებს ამ შეგნებას, იგი აუძლურებს რევოლუ-

ციას. როცა კადეტებს ვეუბნებით: თქვენი არაფერი გვწამს, იმიტომ რომ თქვენ საკმაოდ სრულად და გადაჭრით არ აცხადებთ ხალხის მოთხოვნებს, იმიტომ რომ თქვენ ამჯობინებთ მთავრობასთან ვაჭრობას და არა მის წინააღმდეგ ბრძოლასაო, — ეს როდი ნიშნავს კადეტების გამო მთავრობის დავიწყებას.

ეს ნიშნავს უჩვენო ხალხს ნამდვილი ბრძოლისა და ნამდვილი გამარჯვების გზა. როდესაც პროლეტართა და გლეხთა მასებს ამ გზის ნათელი წარმოდგენა ექნებათ, — კადეტებს არავინ ეყოლებათ რომ ევაჭრონ, რადგან ძველი ხელისუფლება განწირული იქნება დასანგრევად.

თქვენ პროლეტარიატს აშკარა გამოსვლებისაკენ ერეკებითო, — გაიძახიან კადეტები. მოითმინეთ, ბატონებო! რა პირით უნდა ლაპარაკობდეთ თქვენ გამოსვლებზე, თქვენ, რომელთაც საკუთარი პოლიტიკური კარიერა მუშათა და გლეხთა სისხლით აიგეთ, რა პირით უნდა წარმოთქვამდეთ იუდისებურ სიტყვებს «ამაო მსხვერპლთა» შესახებ.

იმავე მიტინგზე წარმოთქმულ იქნა სრულიად სწორი და სოციალ-დემოკრატთა საერთო რწმენის სავსებით გამომხატველი სიტყვები — საჭირო არ არის პროლეტარიატის აჩქარებაო. «ვოლნაში» ყველას შეეძლო წაეკითხა — საჭირო არ არის ამბების დაჩქარებაო *. მაგრამ ერთია დაჩქარება და სხვაა ის პირობები, როცა დიდი დრამის შემდგომი აქტი უნდა დატრიალდეს. ჩვენ პროლეტარიატსა და გლეხობას მოვუწოდებთ — ვემზადოთ ამ მომენტისათვის, რომელიც დამოკიდებულია არა მარტო ჩვენზე, არამედ, სხვათა შორის, იმაზედაც, თუ რა ზომამდე უღალატებენ ბატონი კადეტები თავისუფლების საქმეს. ბრძოლის პირობების გამორკვევა, მის შესაძლებელ ფორმებზე მითითება, პროლეტარიატისთვის მომავალ ბრძოლაში მისი ადგილის მიჩენა, მისი ძალების ორგანიზაციისთვის, მისი შეგნების გამოფხიზლებისთვის მუშაობა — აი ჩვენი ამოცანა. ეს კი ახლანდელ მომენტში, სხვათა შორის, იმას ნიშნავს, რომ

* იხ. ეს ტომი, გვ. 473 — 474. რ ე დ.

დაუღალავად ვამხელდეთ კადეტებს, ვაფრთხილებდეთ არ აჰყვნენ კადეტების პარტიას. სწორედ ამას ვაკეთებთ ახლა და კვლავაც ამას გავაკეთებთ. ხოლო როდესაც კადეტები ამის გ მო ღელავენ და ცხარობენ—ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს საქმეს ცუდად როდი ვაკეთებთ. კადეტები კი ამის გამო წამოროშავენ ხოლმე უბადრუკ სიტყვებს რევოლუციის შესუსტების შესახებ — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი უკვე ნათლად გრძნობენ წინასწარვე, რომ ნამდვილი რევოლუცია, მუშათა და გლეხთა რევოლუცია, მზადაა წალეკოს კადეტური სათათბირო. კადეტებს ეშინიათ რევოლუციამ არ გადალახოს ბურჟუაზიის მიერ დასახული და მისთვის ხელსაყრელი საზღვარი. მუშათა კლასსა და გლეხობას უნდა ახსოვდეთ, რომ მათი ინტერესები ამ საზღვრებზე უფრო ფართოა, რომ მათი ამოცანაა რევოლუციის ბოლომდე მიყვანა.

სწორედ ამას ამბობდა სახალხო კრების რეზოლუციაც, რომელმაც კადეტი პროტოპოპოვი აიძულა ოხვრა აღმოხდომოდა უბნის ბოქაულებზე. უფრო ფრთხილად წერეთ, ბატონო კადეტებო.

«ვოლნა» № 16,
1906 წ. 13 მაისი.
ხელმოწერა: — Ъ

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას»
ტექსტის მიხედვით

არც მიწა, არც თავისუფლება

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სახელმწიფო სათათბიროს გააცნო «განცხადება» პასუხად სათათბიროს ადრესისა.

ამ განცხადებას ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ. განცხადებას მთავრობის პროგრამა უნდა მოეცა.

და მართლაც, მთავრობის მეტისმეტად ნათელი «პროგრამაა» მოცემული. მოგვყავს განცხადების ორი არსებითი მუხლი სრულად:

«რაც შეეხება გლეხთა მიწის საკითხის გადაწყვეტას სახელმწიფო სათათბიროს მიერ აღნიშნული გზით — საამისოდ საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო, საეკლესიო მიწების მოხმარებით და იმ კერძომფლობელური მიწების იძულებითი განსხვისებით, რომლებსაც ეკუთვნის მესაკუთრე გლეხთა მიწებიც, რაც მათ ნაყიდი აქვთ, მინისტრთა საბჭოს თავის ვალდებულებად მიაჩნია განაცხადოს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სათათბიროს მიერ ნაგულისხმევ საფუძვლებზე უცილობლად დაუშვებელია. სახელმწიფო ხელისუფლებას არ შეუძლია მიწის საკუთრების უფლება აღიაროს ერთი ნაწილისთვის და იმავე დროს ეს უფლება წაართვას სხვებს. სახელმწიფო ხელისუფლებას აგრეთვე არ შეუძლია უარყოს მიწის კერძო საკუთრების უფლება საერთოდ, თუ იმავე დროს არ უარყო ყველა სხვა ქონების კერძო საკუთრების უფლება. საკუთრების სიმტკიცისა და ხელუხლებლობის საწყისი წარმოადგენს, მთელ მსოფლიოში და სამოქალაქო ცხოვრების განვითარების ყველა საფეხურზე, ხალხის კეთილდღეობისა და საზოგადოებრივი განვითარების ქვაკუთხედს, სახელმწიფო არსებობის ძირითად ბურჯს, ურომლისოდაც თვით სახელმწიფოს არსებობაც წარმოუდგენელია. წავარაუდევ ღონისძიებას არც საქმის ვითარება იწვევს. ისეთ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს თავის განკარგულებაში აქვს უდიდესი საშუალებანი, რაც სრულიადაც არ არის ამოწურული, და საამისოდ ყველა კანონიერი საშუალების ფართოდ გამოყენებისას, მიწის საკითხი უცილობლად შეიძლება წარმატებით გადაწყდეს ჩვენი სახელმწიფოებრიო-

ბის საფუძვლების დაურღვევლად და ჩვენი სამშობლოს სასიცოცხლო ძალებისათვის ძირის გამოუთხრელად.

დანარჩენი საკანონმდებლო ხასიათის ვარაუდები, სახელმწიფო სათათბიროს ადრესში შეტანილი, ეხება სახალხო წარმომადგენლობის წინაშე სათათბიროს უმრავლესობის ნდობით აღჭურვილ მინისტრთა პასუხისმგებლობის დაწესებას, სახელმწიფო საბჭოს გაუქმებას და სახელმწიფო სათათბიროს საკანონმდებლო მუშაობის განსაკუთრებული კანონებით დაწესებული ფარგლების მოსპობას. მინისტრთა საბჭო უფლებამოსილად არ თვლის თავს შეჩერდეს ამ ვარაუდებზე; ისინი ეხებიან იმ ძირითადი სახელმწიფო კანონების ძირფესვიანად შეცვლას, რომლებიც ამავე კანონთა ძალით არ შეიძლება გადასინჯულ იქნას სახელმწიფო სათათბიროს თაოსნობით».

ამრიგად, მ ი წ ი ს შესახებ: «უცილობლად დაუშვებელია». თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს შესახებ, ესე იგი სახალხო წარმომადგენლობის ნამდვილ უფლებათა შესახებ: «არ შეიძლება გადასინჯულ იქნას სათათბიროს თაოსნობით».

მიწის შესახებ გლეხები ყველაფერს უნდა მოელოდნენ მემამულეების მარტოოდენ კეთილი ნებისაგან, მარტოოდენ მემამულეთა თანხმობისაგან. იძულებითი განსხვისება უცილობლად დაუშვებელია. გლეხთა ცხოვრების სულ მცირეოდენი სერიოზული გაუმჯობესებაც კი უცილობლად დაუშვებელია.

თავისუფლების შესახებ ხალხი ყველაფერს უნდა მოელოდეს მარტოოდენ თვით მოხელეთაგან. მათი თანხმობის გარეშე ხალხის წარმომადგენლებს არაფრის დადგენა არ შეუძლიათ გაჰბედონ. მინისტრთა საბჭო უფლებამოსილადაც კი არ თვლის თავს შეჩერდეს სათათბიროს მიერ გამოთქმულ სურვილებზე სახალხო წარმომადგენლობის უფლებათა გაფართოების შესახებ. ხალხის წარმომადგენლებს უფლებებზე ფიქრის გაბედვაც კი არ შეუძლიათ. მათი საქმეა თხოვნა. მოხელეთა საქმეა — ამ თხოვნათა განხილვა, აი ისე, როგორც სათათბიროს «თხოვნაა» განხილული ჩვენს მიერ მოყვანილ განცხადებაში.

არც მიწა, არც თავისუფლება.

არსებითად განცხადების შემდგომ განხილვაზე შეჩერება არ შეგვიძლია.

ვნახოთ, ისწავლიან თუ არა რამეს ამ განცხადებიდან სათათბიროს დეპუტატები. კადეტები, ალბათ, ვერაფერს ისწავლიან. შრომისა და მუშათა ჯგუფებმა უნდა გვიჩვენონ ახლა, შესძლეს თუ არა მათ კადეტებისაგან რაოდენადმე მაინც დამოუკიდებელი გამხდარიყვნენ, — გაიგეს თუ არა მათ თხოვნაზე ხელის აღების აუცილებლობა, — შესწევთ თუ არა მათ უნარი ხალხს გარკვეული და გასაგები ენით ელაპარაკონ.

«ვოლნა» № 17, 1906 წ.
14 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო გამარჯვება თბილისში

როგორც ტელეგრაფმა გვაუწყა, თბილისში სოციალ-დემოკრატებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს არჩევნებში. 81 ამრჩეველში 72 სოციალ-დემოკრატია და მხოლოდ 9 კადეტი. ქუთაისში არჩეულია 4 დეპუტატი, ყველა სოციალ-დემოკრატი [120]. თბილისიდან სათათბიროს კანდიდატად აყენებენ ნოე ჟორდანიას, უაღრესად გავლენიან ადგილობრივ სოციალ-დემოკრატს.

მივესალმებით ჩვენი კავკასიელი ამხანაგების წარმატებას. ჩვენი პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის გადაწყვეტილების შემდეგ არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო გახდა იმ პირობით, რომ მუშათა პარტიამ არ შეჰკრას ბლოკები, ე. ი. არავითარი შეთანხმებანი სხვა პარტიებთან [123]. თუ კავკასიელმა ამხანაგებმა სრულიად დამოუკიდებლად გაიყვანეს თავიანთი კანდიდატები, როგორც ეს შეიძლება ვიფიქროთ თბილისზე, მაშინ, მაშასადამე, მათ თავიდან აუცილებიათ არმავირელი ამხანაგების შეცდომები [124]. მაშინ ჩვენ გვაქვს ყრილობის დადგენილებათა სრული დაცვა, მაშინ სათათბიროში გავლენ სავსებით პარტიული სოციალ-დემოკრატები, გავლენ მკაცრი პარტიული გზით, მაშინ მალე ჩვენ მოვისმენთ ც. კ.-ის მიერ სათათბიროში ჩვენი პარტიის ოფიციალური წარმომადგენლების დანიშვნის ამბავს.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ჩვენ სათათბიროს ბოიკოტის მომხრენი ვიყავით. ყრილობაზე ჩვენ ხმა მივეცით ს.-დ.

საპარლამენტო ფრაქციის შექმნის წინააღმდეგ იმ მოსაზრებათა გამო, რომლებიც ზუსტად არიან გადმოცემული «ვოლნას» მე-12 ნომრის ფურცლებზე დაბეჭდილ რეზოლუციაში *. ეს იყო არა პრინციპული მოსაზრებანი, არამედ სიფრთხილისა და მომენტის პრაქტიკული პირობების მოსაზრებანი. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ახლა, თუ სათათბიროში ნამდვილად პარტიული გზით გავიდნენ ნამდვილად პარტიული სოციალ-დემოკრატები, ჩვენ ყველანი, როგორც ერთიანი პარტიის წევრები, ჩვენი ძალღონისდაგვარად დავეხმარებით მათ თავიანთი ძნელი საქმის შესრულებაში.

მაინცდამაინც ნუ მოვტყუვდებით თბილისის გამარჯვების მნიშვნელობით. სოციალ-დემოკრატიის საპარლამენტო წარმატებანი სავსებით და უეჭველად გვახარებს და გაგვახარებს მხოლოდ ნამდვილად ჩამოყალიბებული და თუნდაც რაოდენადმე «სერიოზული» პარლამენტარიზმის პირობებში. რუსეთში იგი არ არის. რუსეთში მომენტის პირობები სოციალ-დემოკრატიას ისეთ დიდ ამოცანებს აკისრებს, რანაირიც დასავლეთ ევროპის არც ერთ ს.-დ. პარტიის წინაშე არა დგას. ჩვენ შეუდარებლად უფრო შორსა ვართ სოციალისტური გადატრიალებისაგან, ვიდრე დასავლეთელი ამხანაგები, მაგრამ ჩვენ ვდგავართ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გლეხური რევოლუციის წინაშე, რომელშიც პროლეტარიატი ბელადის როლს შეასრულებს. ახლანდელი მდგომარეობის ეს თავისებურებანი იწვევენ იმის აუცილებლობას, რომ პოლიტიკური კრიზისი, რომელიც სწრაფად მწიფდება, სათათბიროში არ გადაწყდება.

ისეთ დროს, რუსეთი რომ განიცდის, სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა არჩევნებში ჯერ კიდევ სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ საარჩევნო კამპანიის პროცესში მასა ნამდვილად მაგრდება. თავისუფალი გაზეთების უქონლად, სახალხო კრებების მოუწყობლად, ფართო აგიტაციის გაუჩაღებლად სოციალ-დემოკრატია არჩევა ხშირად ნიშნავს პროლეტარული

* იხ. ეს ტომი, გვ. 350 — 352. რ ე დ.

და სავსებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის დარაზმულობას კი არა, არამედ მოსახლეობის მხოლოდ სასტიკ პროტესტს. ასეთ პირობებში წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენები ხანდახან ხმას აძლევენ მთავრობის მოწინააღმდეგე ყოველ კანდიდატს. მთელ რუსეთში ბოიკოტის მთელი ტაქტიკის შეფასებაზე მსჯელობა მხოლოდ თბილისის არჩევნების მიხედვით მეტისმეტად ნაჩქარევი და მოუფიქრებელი იქნებოდა.

ჯერ კიდევ არავინ იცის, რა როლს ითამაშებს საერთოდ და მთლიანად, საბოლოო ანგარიშით, კადეტური სათათბირო. კადეტები რომ სათათბიროს ბატონ-პატრონნი არიან — ეს ფაქტია. ხოლო კადეტები რომ სათათბიროში ისე იქცევიან, როგორც ცუდი დემოკრატები, სახალხო თავისუფლების გაუბედავი და არათანამიმდევარი, მერყევი და მოქანავე მომხრეები, ამას ყველა სოციალ-დემოკრატი ეთანხმება. სათათბიროს დაუფლებული კადეტები ახლა უფრო ძლიერ ავრცელებენ ხალხში, ვიდრე ოდესმე, კონსტიტუციურ ილუზიებს და ამით მუშებისა და გლეხების პოლიტიკურ შეგნებას აბნელებენ.

დავუცადოთ გამოცდილების მითითებას და მაშინ ვიმსჯელოთ, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი კადეტების ამ რეაქციულ მისწრაფებათა წინააღმდეგ გალაშქრება სათათბიროს შიგნითაც. ვუსურვოთ ჩვენს კავკასიელ ამხანაგებს, სათათბიროს წევრებს, ამ ახალი ტრიბუნიდან პირველად ალაპარაკდნენ სრული ხმით და ოდნავადაც არ შეკვეცონ მწარე სიმართლე, დაუნდობლად ამხილონ სიტყვებისა, დაპირებებისა და ქაღალდების რწმენა, შეავსონ ხარვეზი ჩვენი ბეჭდვითი სიტყვისა, რომელსაც თავისუფალი სიტყვისთვის წინანდებურად ფრთას აკვეცენ და სდევნიან, მოუწოდონ პროლეტარიატს და რევოლუციურ გლეხობას საკითხების სრულიად ნათლად და მკაფიოდ დასაყენებლად, თავისუფლებისთვის გაჩაღებული მომავალი საბოლოო დავის სათათბიროს გარეთ გადასაწყვეტად.

«ვოლნა» № 17, 1906 წ.
14 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

მთავრობა, სათათბირო და ხალხი

სათათბიროს უთანხმოება აქვს მთავრობასთან. მან უნდობლობა გამოუცხადა სამინისტროს და მისი გადადგომა მოითხოვა. სამინისტრომ ყურიც არ ათხოვა სათათბიროს განცხადებას და უფრო აშკარად დაუწყო დაცინვა სათათბიროს, რომელსაც წინადადება მისცა ხელი მოეკიდა ქალაქ იურიევის კანცელარიის დარაჯთა სამრეცხაოს საკითხისათვის.

რაში მდგომარეობს სათათბიროსი და მთავრობის ამ უთანხმოების, ამ შეჯახების დედაარსი? გლეხთა ფართო მასა, ობივატელები საერთოდ, ბოლოს, მთელი რიგი ბურჟუაზიული პოლიტიკოსები (კადეტები) ფიქრობენ ანდა ცდილობენ თავიანთი თავი და სხვებიც დაარწმუნონ, შეჯახება იმან გამოიწვია, რომ მთავრობას არ ესმის თავისი ამოცანები და თავისი მდგომარეობაო. გაუგებლობა გამოირკვევა, ხალხი შეეჩვევა ახალ გარემოებას, ე. ი. კონსტიტუციურ წესწყობილებას, იმას, რომ სახელმწიფო საკითხები წყდებოდეს არა ძველი ხელისუფლების ბრძანებით, არამედ მოქალაქეთა ხმის მიცემით, — და მაშინ ყველაფერი კალაპოტში ჩადგებაო. ამ შეხედულების თანახმად, ჩვენს წინაშეა «კონსტიტუციური კონფლიქტი», ე. ი. კონსტიტუციური სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულების შეჯახება, სახელმწიფოსი, რომელიც ძველ ხელისუფლებასთან ერთად ხალხის წარმომადგენელთა ხელისუფლებასაც ნამდვილად აღიარებს. შეჩვევას სიყვარული მოჰყვებაო, — ასე ფიქ-

რობს ობივატელი და ასე მსჯელობს ბურჟუაზიული პოლიტიკოსი. ობივატელი ასე ფიქრობს თავისი გულუბრყვილობისა და პოლიტიკური გამოუცდელობის გამო. ბურჟუაზიული პოლიტიკოსი ასე იმიტომ ფიქრობს, რომ ასეთი ფიქრები მისი კლასის ინტერესებს შეესაბამება.

მაგალითად, გაზეთი «რეჩი» კადეტების მთავარი ორგანო, ამბობს: «ჩვენი მინისტრები კონსტიტუციონალიზმის თეორიასა და პრაქტიკაში კიდევ უფრო ნაკლებად არიან გამოცდილნი, ვიდრე ჩვენი დეპუტატების უმეტესობაო». საქმე, თურმე, ისა ყოფილა, რომ მინისტრები გამოუცდელნი არიან, მათ სახელმწიფოსმცოდნეობა პროფესორ კოვალევსკისთან და პროფესორ მილიუკოვთან არ უსწავლიათ. ამაშია მთელი არსი. რა ვუყოთ, თუ წიგნებით არ უსწავლიათ, სათათბიროში წარმოთქმული სიტყვებით ისწავლიან. შეჩვევას სიყვარული მოჰყვებაო. და კადეტების «რეჩი» გერმანიის ბურჟუაზიას იმოწმებს. ამ ბურჟუაზიასაც — ვთქვათ რბილად — უთანხმოება ჰქონდა მთავრობასთან 1848 წელს. იგიც ცდილობდა თუ უნდოდა სრული ძალაუფლება და სრული თავისუფლება მოეპოვებინა ხალხისთვის. გერმანიის მთავრობის მიერ სახალხო ბრძოლის ჩახშობის შემდეგ, ბურჟუაზიას ნება მისცეს თავისი წარმომადგენლები ჰყოლოდა პარლამენტში. წარმომადგენლები ლაპარაკობდნენ, ძველი ხელისუფლება კი საქმეს აკეთებდა. წარმომადგენლები ლაპარაკობდნენ და მინისტრებს განუმარტავდნენ მათ «მიუხვედრელობას», «კონსტიტუციონალიზმს» ასწავლიდნენ მათ, ასწავლიდნენ თხუთმეტიოდე წლის განმავლობაში, 40-იან წლების დამლევიდან 60-იანი წლების დამდეგამდე. 60-იან წლებში ბისმარკი აშკარად წაეჩხუბა «სახალხო წარმომადგენლებს» ბურჟუაზიის წრიდან, მაგრამ ეს იყო ოჯახური ჩხუბის უკანასკნელი ნაპერწკალი. ბურჟუაზია გერმანიის არმიის გამარჯვებამ გაიტაცა და სავსებით დაკმაყოფილდა საყოველთაო საარჩევნო უფლებით, ისე რომ თავადაზნაურულ-მოხელეურ მთავრობას ძალაუფლება სრულიად შენარჩუნებოდა.

აი «სახალხო» წარმომადგენლებთან ბისმარკის უკანასკნელი სერიოზული ჩხუბის სწორედ ეს მაგალითი მოსწონს განსაკუთრებით კადეტების «რეჩს». გერმანიის ბურჟუაზიამ (რევოლუციის საბოლოოდ ჩახშობის თხუთმეტი წლის შემდეგ) დაუთმო ბისმარკს. ჩვენში კი რუსეთის ბურჟუაზია უცბად დაათმობინებს გორემიკინსაო. და კადეტებიც წინასწარ ზეიმობენ: ჩვენში გორემიკინს უფრო მეტის დათმობა მოუხდება, ვიდრე თავის დროს ბისმარკმა დასთმოო.

ჩვენ სიამოვნებით დავეთანხმებით იმ აზრს, რომ გორემიკინს ბევრი უკლია ბისმარკამდე. მაგრამ ვფიქრობთ, რომ მუშათა კლასისათვის ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაიგოს ბურჟუაზიასა და ყოველგვარ ბისმარკებს შორის გარიგებათა ნამდვილი არსი, ხოლო მომავალ დათმობათა ზომის საკითხი — მომავლის საქმეა. ბისმარკები ბურჟუაზიას მხოლოდ მაშინ ურიგდებოდნენ, როდესაც რევოლუცია საბოლოოდ ჩახშობილი იყო, როდესაც «სახალხო თავისუფლებას» ბურჟუაზია საბოლოოდ ატყუებდა, როდესაც ბურჟუაზია სიამტკბილობით ურიგდებოდა ძველ თავადაზნაურულ-მოხელურ ხელისუფლებას, რომელიც იცავდა მემამულეს გლეხის წინააღმდეგ, ხოლო ყველაზე მეტად კი — კაპიტალისტს მუშის წინააღმდეგ.

აი რა იყო ნამდვილი, უეჭველი საფუძველი ბისმარკის შერიგებისა გერმანელ კადეტებთან, ბოდიში, პრუსიელ პროგრესისტებთან. აი რა იყო სასიცოცხლო სარჩული იმ «კონსტიტუციონალიზმისა», რასაც რევოლუციის ჩახშობის შემდეგ 15 წლის განმავლობაში ასწავლიდნენ ბისმარკებს გერმანელი კოვალევსკები და მილიუკოვები. ჩვენმა პროფესორებმა, შეიძლება, ეს არც კი იციან: პროფესორები წიგნებს იცნობენ, ცხოვრებას კი არა, მაგრამ მუშებმა კი ეს უნდა იცოდნენ.

ჩვენში, რუსეთში, სერიოზული ბრძოლა წარმოებს ამჟამად სრულიადაც არა იმის გამო, თუ რა დათმობაზე შეეძლოთ მორიგება გორემიკინებს და ლიბერალურ ბურჟუაზიას. ბრძოლა წარმოებს ხალხის მასასა, რომელსაც არ შეუძლია

არსებობა ძველი წესწყობილების პირობებში, და ძველ ბატონყმურ-მოხელურ ხელისუფლებას შორის, რომელსაც არ შეუძლია არსებობა ნამდვილი კონსტიტუციური წესწყობილების პირობებში. ბრძოლა წარმოებს არა იმის გამო, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მართებულად კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები, არამედ იმის გამო, შესაძლებელია თუ არა საერთოდ კონსტიტუციონალიზმი.

ეს საპარლამენტო კონფლიქტი როდია, და თვით სათათბიროც ჯერ სრულიადაც არ არის პარლამენტი, არ არის ორგანო ბურჟუაზიული «წესწყობილებისა» დამკვიდრებული კონსტიტუციის პირობებში. იგი არის მხოლოდ მაჩვენებელი და ძალიან მკრთალი გამომხატველი სახალხო მოძრაობისა, რომელიც სათათბიროს გარეთ და მის დამოუკიდებლად იზრდება.

სათათბიროს შეტაკება მთავრობასთან მხოლოდ ა რ ა-პ ი რ დ ა პ ი რ მიგვითითებს იმაზე, რომ გლეხთა მასებისა და მუშათა კლასის ყველა ძირითადი და მომწიფებული მისწრაფება ეჯახება ძველი ხელისუფლების მთელ სისრულესა და მთელ ხელუხლებლობას. ამ მომწიფებულ მისწრაფებას ხშირად გამოხატავენ მოკლედ: მიწა და თავისუფლება. ეს მისწრაფება დაკმაყოფილებული არ არის. ამ მოთხოვნის ზურგს უკან მდგარი ძალები ჯერჯერობით სრულიადაც არ გაშლილან სავსებით. ამ ძალების სრული გამოვლინების პირობები მხოლოდ ახლა მწიფდება.

ხალხის ყურადღება ჩვენ ახლა უნდა მივაქციოთ არა კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილებს, რომლებსაც კოვალევსკები აძლევენ გორემიკინებს. ჩვენ ახლა ხშირად უნდა ვიხსენებდეთ არა ბისმარკების წვრილმან ჩხუბს ბურჟუაზიულ ზედაფენებთან. მუშათა კლასი და გლეხობა ნებას არ მისცემენ კადეტებს სათათბირო ამგვარი ჩხუბისა და ამგვარ შეთანხმებათა ორგანოდ გადააქციონ. უნდა ვამხილოთ კადეტების ყოველი ნაბიჯი, რომელიც გვაჩვენებს მათს ქანაობას ამ მიმართულებით. დაე სათათბიროს შრომისა და მუშათა

ჯგუფებმა იცოდნენ, რომ მხოლოდ კადეტებისაგან გამოყოფა, მხოლოდ კონსტიტუციონალიზმის სასკოლო გაკვეთილებზე მაღლა დადგომა, მხოლოდ ხალხის ყველა მოთხოვნის, ყველა მისი გასაჭირის სრული ხმით განცხადება, მხოლოდ მთელი მწარე სიმართლის თქმა შეაძლებინებს მათ ძალღონის დაგვარად სარგებლობა მოუტანონ ნამდვილი თავისუფლებისათვის ბრძოლას.

«ვოლნა» № 20, 1906 წ.
18 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

კადეტები სათათბიროს ხელს უშლიან, რომ ხალხს მიმართოს

ეს-ეს არის ცნობა მივიღეთ, რომ სათათბიროს დღევანდელ სხდომაზე შემდეგი ამბავი მოხდა. კამათი იყო სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტის საკითხზე. შრომის ჯგუფის წევრმა ალადინმა საკითხი უფრო გადაჭრით დააყენა, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. «ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ალმასრულებელ ხელისუფლებას», — ამბობდა იგი (ციტატი მოგვყავს «ბირჟევიე ვედომოსტის» საღამოს გამოშვების სასწრაფო დამატებიდან). «ჩვენ ვაპირებთ გული გავუწყალოთ მინისტრებს შეკითხვებით, მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ ისინი ამას ყურადღებას არ მიაქცევენ? არა, ჩვენ ორში ერთი გზა უნდა ავირჩიოთ: ან განვაგრძოთ შეკითხვიანობის თამაში, ანდა ხალხისაქმე საკუთარ ხელში ავიღოთ». ალადინმა წინადადება წამოაყენა, ნუ გადავდებთ საქმეს ერთი თვით, ნურც კომისიას გადავცემთ კანონპროექტს და საქმე დაუყოვნებლივ გადავწყვიტოთო. თავისი სიტყვა მან ასე დაამთავრა: «და ვაი ჩვენ, თუ ხალხს არ ვაცნობებთ მთელ სიმართლეს, თუ ნათლად არ ვეტყვით მას, რომ დამნაშავენი ისინი არიან, ვის ხელშიც არის ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები».

მღვდელმა პოიარკოვმაც ასეთივე აზრი გამოთქვა. «მთავრობა დასცინის სახელმწიფო სათათბიროსაო», — თქვა მან. «ჩვენ კი არ უნდა ვეხვეწებოდეთ, არამედ უნდა მოვითხოვდეთ: დღესვე ან ხვალვე გააუქმონ სიკვდილით დასჯა, ან არა და წინადადებას ვიძლევი დავიშალოთ და შინ დავბრუნდეთ, რადგან უპატიოსნობად მიმაჩნია სიკვდილით დასჯის გაუქმებამდე აქ მუშაობა და ფულის მიღებაო».

ამრიგად, შრომის ჯგუფიდან გაისმა წინადადება, რომლის აზრი ნათელია: მივმართოთ ხალხს, — მოვითხოვოთ და არ ვეხვეწოთ, — ანგარიშს ნუ გავუწევთ კანცელარიულ წესებს, — ნუ გავაჭიანურებთ საკითხებს და კომისიას ნუ გადავცემთ მათაო.

კადეტებმა ხელი შეუშალეს სათათბიროს ხალხისათვის მიემართნა. კადეტი ნაბოკოვი, რომელმაც პოიარკოვის შემდეგ ილაპარაკა, მოუწოდებდა «კანონიერ გზას ნუ ავცდებითო». იგი დაჟინებით მოითხოვდა კანონპროექტის კომისიაში გადაცემას.

სათათბიროს თავმჯდომარემ (კადეტმა დოლგორუკოვმა) კამათის დამთავრებისას განაცხადა: «ჩვენ გვაქვს ო თ ხ ი წინადადება: ორ მათგანს კ ე ნ ჭ ს ვ ე რ ვ უ ყ რ ი, რადგან ისინი ს ა პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ო პ რ ა ქ ტ ი კ ა ს ა რ შ ე ე ფ ე რ ე ბ ი ა ნ. ეს ორი წინადადებაა: მივმართოთ ხალხს და მივმართოთ მონარქს».

ორი დანარჩენი წინადადებიდან — 1) გადავცეთ კომისიას და 2) განვიხილოთ დაუყოვნებლივ — ე რ თ ხ მ ა დ გავიდა პირველი, რადგან მეორე მოიხსნა.

შრომის ჯგუფმა, ეტყობა, ერთხელ კიდევ დაუთმო კადეტების დაჟინებით მოთხოვნასა და მუქარას და ველარ შერჩა მის მიერ თითქოს დაკავებულ მტკიცე პოზიციას.

ხალხმა, რომელიც შეგნებულად უყურებს თავისუფლებისათვის ბრძოლას, პროტესტი უნდა განაცხადოს წინააღმდეგ კადეტების საქციელისა სათათბიროში და შრომის ჯგუფს მოუწოდოს ხალხისადმი მიმართვის გადაჭრით და მტკიცედ განცხადებისა და გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს ა კ ე ნ.

დაწერილია 1906 წ. 18 (31) მაისს.
დაიბეჭდა 1906 წ. 19 მაისს გაზეთ «ეოლნაში», № 21.
ხელმოწერა: ნ. ლ — ნ

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

შევაჭრებაც კი არა სურთ!

სტრუვეს საუკეთესო გრძნობები შელახულია. მთავრობა უფრო სულელი აღმოჩნდა, ვიდრე მას ეგონა, და მასთან საქმის დაჭერა პირდაპირ კომერციულად არახელსაყრელი გამოდვა. პოლიტიკა ბ-ნ სტრუვეს სულ უბრალოდ წარმოუდგენია: სათათბირო, ე. ი. კადეტური უმრავლესობა სათათბიროში, თავაზიანი და უაღრესად კულტურულ ვაჭართა სფეროებში მიღებული სიტყვებით შეეკითხება; მთავრობა ცოტას დაუთმობს, სათათბიროც თავის მხრივ დასთმობს, და ამრიგად რუსეთში სახალხო თავისუფლება გამეფდებაო. და მერე რას არ მიმართავდნენ ამისთვის ბატონი კადეტები! და უეცრად ასეთი გაუგებლობა მთავრობის მხრივ, ყოველგვარი სავაჭრო მიხვედრილობის ასეთი უქონლობა!

ბ-ნი სტრუვე აღშფოთებულია:

სათათბიროს მოთხოვნათა და ვარაუდთაგან მას (მთავრობას) შეეძლო როგორმე ზოგისთვის გვერდი აევლო და ზოგიც მიეღო და თავისად გაეხადა. პოლიტიკურ სფეროში მას შეეძლო რადიკალურ დათმობაზე წასულიყო და ცდილიყო რაიმე დაეთმო ეკონომიურ სფეროში. მას შეეძლო პირიქით მოქცეულიყო. მაგრამ ყველაფერი არსებითის უარყოფა ყველა ს ა დ ა ვ ო სფეროში, კერძომფლობელთა მიწების იძულებით განსხვისებაზე დამყარებული მიწის რეფორმის უარყოფით ხალხის გაჭირვების არაფრად ჩაგდება და ხალხის უფლებრივი შეგნების გაღიზიანება შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელთა სახელმწიფოებრივი შეგნება უაღრესად დაბალ დონეზე დგასო.

ამრიგად: სათათბიროს ადრესში მოხსენებული მისი მოთხოვნები ს ა დ ა ვ ო სფერო ყოფილა; ეს ყოფილა არა ის ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი რამ, რაც მოპოვებულ უნდა იქნას ყველა და ყოველგვარი საშუალებით და რაც შემდგომ დაუყოვნებლივ უნდა გაფართოვდეს, ეს მხოლოდ სავაჭრო ასპარეზი ყოფილა.

ამნისტია, საყოველთაო საარჩევნო უფლება, თავისუფლებანი და მიწის იძულებითი განსხვისება — ყოველივე ეს სადავო ყოფილა, ყოველივე ამაზე შეიძლება შევაჭრება და... დათმობაზე წასვლა, იმ პირობით, რომ მთავრობაც სანაცვლოდ რაიმეს გაიმეტებს.

ეს უნდა დავიხსომოთ. რისხვით ანთებულმა ბ-ნმა სტრუვემ წამოროშა კადეტების ის ტაქტიკა, რომელსაც ყოველთვის უჩვენებდნენ ხალხს სოციალ-დემოკრატები.

ხალხის მოთხოვნები იმ შეკვეცილი და კადეტურად დამახინჯებული სახითაც კი, როგორც ისინი ადრესშია შეტანილი, — ეს კადეტური პარტიისთვის არის არა აუცილებელი მინიმუმი, არამედ მხოლოდ უმაღლესი ფასი, რომლის დაკლება წინასწარვე იყო ნავარაუდევი. ბ-ნ სტრუვეს სავალალოდ, გარიგება არ შესდგა... ვინაიდან მთავრობას «სახელმწიფოებრივი გაგება» არ აღმოაჩნდა. ბ-ნ სტრუვეს დამოწმებით — ეს გაგება უაღრესად დაბალ დონეზე დგას. რატომ? — იმიტომ, რომ ბატონ ტრეპოვებს, გორემიკინებსა და სტიშინსკებს არა სურთ ევაჭრონ კადეტებს სახალხო უფლებათა შესახებ და პირდაპირ უარყოფენ ამ უფლებებს.

ხოლო «სახელმწიფოებრივი გაგების» მაღალი დონე — ცხადია — იმაში მდგომარეობს, რომ აშკარად ივაჭრო სახალხო თავისუფლებით.

მაშ დაიხსომეთ, მუშებო და გლეხებო! სათათბიროში გორემიკინის სიტყვის წარმოთქმის წინადღით ბატონ კადეტებს ეგონათ, «სახელმწიფოებრივი გაგება» იმაში მდგომარეობდა, რომ მორიგებოდნენ ტრეპოვს ადრესში გამოთქმულ სახალხო მოთხოვნათა შეკვეცის შესახებ.

ბატონ კადეტების სავალალოდ, მორიგება არაფრით არ ხერხდება. ერთი მხრივ, პროლეტარიატისა და გლეხობის რეალური ინტერესებისა, მეორე მხრივ, ძველი ხელისუფლების საარსებო ბრძოლაში გამოხატული რეალური ინტერესების შეჯახება ვერ მოთავსდება დიპლომატიურ გარიგებათა ფარგლებში. და ბ-ნ სტრუვეს ან ბ-ნ ტრეპოვის «სახელმწიფოებრივი გაგების» ამა თუ იმ «დონიდან» კი არ გამომდინარეობს ის გარემოება, რომ რუსეთის რევოლუციისთვის შეუძლებელია კადეტურ რელსებზე შედგომა. თვით შეჯახებულ ინტერესთა ხასიათი აყენებს რუსეთის რევოლუციას რევოლუციურ და კონტრრევოლუციურ ძალთა აშკარა ბრძოლის გზაზე.

სწორედ ამიტომ მოელით იმედის მუდმივი გაცრუება საბალხო თავისუფლების ბატონ მოვაჭრეებს, რევოლუციის დალალებსა და ომის დროის დიპლომატებს.

«ვოლნა» № 21,
1906 წ. 19 მაისი.

ბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

ხელმოწერა: — Ъ

სახელმწიფო სათათბიროს მუშათა დეპუტატების მოწოდების გამო [125]

მხურვალედ მივესალმებით მოწოდებას სათათბიროს დეპუტატების მუშათა ჯგუფისას, რომელიც ყველაზე ახლოს არის ჩვენთან თავისი რწმენით, — ეს არის დეპუტატების პირველი პირდაპირი მიმართვა არა მთავრობისადმი, არამედ ხალხისადმი. მუშათა დეპუტატების მაგალითისთვის, ჩვენი აზრით, უნდა მიებაძა სათათბიროს შრომის ანუ გლეხთა ჯგუფსაც.

ბევრი რამ სწორად არის ნათქვამი მუშათა დეპუტატების მიმართვაში, მაგრამ, ჩვენი აზრით, არის იქ ზოგიერთი ნაკლიც.

ამხანაგ მუშებს სურთ «მიისწრაფოდნენ იქით, რომ სათათბირომ მოამზადოს დამფუძნებელი კრების მოწვევა». საეჭვოა ამ მხრივ მათ იმედი იქონიონ მთელი სათათბიროსი, ან თუნდაც მისი უმრავლესობისა. სათათბიროში გაბატონებული ლიბერალები არა ერთხელ დაჰპირებიან ხალხს დამფუძნებელი კრების მოწვევას, — მაგრამ მათ ეს დაპირება არათუ არ შეუსრულებიათ, არამედ სათათბიროში ხმამაღლა და მტკიცედ არც კი წამოუყენებიათ ასეთი მოთხოვნა. ამ მხრივ მუშათა დეპუტატებს შეუძლიათ ასე თუ ისე მტკიცე იმედი იქონიონ მხოლოდ შრომის ჯგუფისა — გლეხთა წარმომადგენლებისა. ამიტომაც მუშათა კლასს არ შეუძლია ამოცანად დაისახოს მ თ ე ლ ი სათათბიროსთვის მხარის დაჭერა, — მეტისმეტად არასაიმედონი არიან რუსი ლიბერალები, — უმჯობესია მუშებმა თავიანთი ძალღონე მიმართონ იქით, რომ მხარი დაუჭირონ გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ს და აიძულონ ისინი სავსებით დამოუკი-

დებლად გამოვიდნენ, — და იმოქმედონ ისე, როგორც შეჰფერით რევოლუციური გლეხობის ნამდვილ წარმომადგენლებს.

პროლეტარიატმა დაამტკიცა თავისი ბრძოლისუნარიანობა. იგი ახლა ძალებს იკრებს, რომ დაიწყოს ახალი გადამწყვეტი ბრძოლა, მაგრამ ეს ბრძოლა დაიწყოს მხოლოდ გლეხებთან ერთად. ამიტომ მართალი არიან მუშათა დეპუტატები, როდესაც პროლეტარიატს მოუწოდებენ — არ აჰყვნენ არავის პროვოკაციას და ტყუილუბრალოდ არ გამოიწვიონ დაქსაქსული შეტაკებანი მტრებთან. მეტისმეტად ძვირფასია პროლეტარული სისხლი, რომ იგი ისე დავღვაროთ, თუ ეს აუცილებელი არ არის და უეჭველი გამარჯვების იმედი არ არსებობს.

მხოლოდ გლეხთა მასა, რომელსაც შეუგნია ახლანდელი სათათბიროს უძლურება და უკმარისობა, შეიძლება იყოს მუშების მტკიცე დასაყრდენი, უტყუარ გამარჯვებას რომ იძლევა. მუშათა კლასის საბრძოლველად დარაზმვის საქმისათვის მუშათა კრებების განჩინებანი და დადგენილებანი თუმცა ძალიან სასარგებლოა, მაგრამ მათში ვერ ვიპოვით ნამდვილ დასაყრდენს ისეთი მტრის წინააღმდეგ, რომელიც უკვე მოემზადა უაღრესად მხეცური ძალადობით უპასუხოს ხალხის მოთხოვნებს. პირიქით, მუშათა კლასი გლეხთა მასებსაც უნდა განუმარტავდეს, რომ ისინი ცდებიან, როდესაც თავისი გულუბრყვილობით იმედს ამყარებენ თხოვნაზე, განჩინებაზე, შუამდგომლობასა და საჩივარზე.

ამჟამად რუსეთში მთელი საქმე იქით როდი მიდის, რომ სიტყვებით და კენჭისყრით შეიძლებოდეს გადაწყვეტა დიდი დავისა ხალხის ბედის შესახებ — მ ი წ ი ს ა და თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს შესახებ.

«ვოლნა» № 21, 1906 წ.
19 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

მიწის საკითხი და თავისუფლებისათვის ბრძოლა

სათათბიროში არჩევენ მიწის საკითხს. თავს იჩენს ამ საკითხის ორი უმთავრესი გადაწყვეტილება: კადეტების გადაწყვეტილება და «შრომის ჯგუფელთა», ე. ი. გლეხთა დეპუტატების გადაწყვეტილება.

ამ გადაწყვეტილებათა შესახებ რსდმპ გამაერთიანებელმა ყრილობამ სრულიად მართებულად თქვა რეზოლუციაში გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ: «ბურჟუაზიული პარტიები ცდილობენ გლეხთა მოძრაობა გამოიყენონ და დაიმორჩილონ — ზოგნი (ს.-რ.) უტოპიური მეშჩანური სოციალიზმის მიზნით, ზოგნი (კ.-დ.) იმ მიზნით, რომ რაოდენადმე შეინარჩუნონ მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა, იმავე დროს, ნაწილობრივ დათმობებით დააკმაყოფილონ გლეხობის მესაკუთრული ინსტინქტები და ამით შეასუსტონ რევოლუციური მოძრაობა».

განვიხილოთ სოციალ-დემოკრატიული ყრილობის ამ რეზოლუციის მნიშვნელობა. კადეტები — ნახევრადმემამულური პარტიაა. მასში ბევრია ლიბერალი მემამულე. ეს პარტია ცდილობს მემამულეთა ინტერესები დაიცვას და მხოლოდ აუცილებელ დ ა თ მ ო ბ ა ზ ე მიდის გლეხების მიმართ. კადეტები ცდილობენ, რამდენადაც შესაძლებელია, დაიფარონ მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა და არ თანხმდებიან გლეხობის სასარგებლოდ მემამულეთა მთელი მიწების სრულ განსხვისებას. კადეტები იცავენ გლეხთა მიერ მიწის გამოყიდვას,

ე. ი. გლეხების მიერ მემამულეთა მიწების ყ ი დ ვ ა ს სახელმწიფოს მეშვეობით და ამით ცდილობენ გლეხობის ზედა ფენები «წესრიგის პარტიად» გადააქციონ. მართლაცდა, როგორც უნდა მოაწყოთ გამოყიდვა, რანაირი «სამართლიანი» ფასიც უნდა დააწესოთ, გამოყიდვას მაინც უფრო იოლად მოახერხებს შეძლებული გლეხობა და იგი მძიმე ტვირთად დააწვება ღარიბ გლეხობას. რანაირი წესებიც უნდა დაიწეროს ქაღალდზე სათემო გამოყიდვისა და სხვ. შესახებ, — სინამდვილეში მიწა აუცილებლად იმის ხელში დარჩება, ვინც მის გამოყიდვას შეძლებს. აი ამიტომაც მიწის გამოყიდვა იმას ნიშნავს, რომ ღარიბთა ხარჯზე მდიდარი გლეხები გააღონიერონ, გლეხობა გათიშონ და გლეხობის ამ გათიშვით შეასუსტონ მისი ბრძოლა სრული თავისუფლებისა და მთელი მიწისათვის. გამოყიდვა იმას ნიშნავს, რომ უფრო შეძლებული გლეხები თავისუფლების საქმიდან ძ ვ ე ლ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მხარეზე გ ა დ ა ი ბ ი რ ო ნ. მიწების გამოყიდვა — თავისუფლებისათვის ბრძოლისაგან გამოყიდვას ნიშნავს; გამოყიდვა — ეს არის ფულის საშუალებით თავისუფლებისათვის მებრძოლთა ნაწილის გადაბირება თავისუფლების მოწინააღმდეგეთა მხარეზე. შეძლებული გლეხი, რომელიც თავის მიწას გამოიყიდის, პატარა მემამულე გახდება, და მისი გადასვლაც ძველი, მემამულურ-მოხელური ხელისუფლების მხარეზე განსაკუთრებით იოლი და მტკიცე იქნება.

ამიტომ სავსებით სამართლიანია სოციალ-დემოკრატიული ყრილობის სიტყვები, კადეტური პარტია (ეს ნახევრადმემამულური პარტია) ისეთს ზომებს იცავს, რომლებიც რევოლუციურ მოძრაობას, ე. ი. თავისუფლებისათვის ბრძოლას ა ს უ ს ტ ე ბ ე ნ ო.

ახლა განვიხილოთ, როგორ წყვეტენ მიწის საკითხს «შრომის ჯგუფელები» ანუ გლეხთა დეპუტატები სათათბიროში. მათ ჯერ კიდევ სავსებით არ გამოურკვევიათ თავიანთი შეხედულებანი. ისინი შუაგზაზე დგანან: კადეტებსა და «სერებს» (სოციალისტ-ნაროდნიკების პარტია) შორის, მიწების ნაწილის გა-

მოყიდვასა (კ.-დ.) და მთელი მიწის კონფისკაციას შორის (ს.-რ.), მაგრამ ისინი სულ უფრო და უფრო მეტად შორდებიან კადეტებს და სულ უფრო და უფრო მეტად უახლოვდებიან «სერებს».

მართალს ამბობს თუ არა სოციალ-დემოკრატიული ყრილობა «სერების» შესახებ, რომ ეს არის ბურჟუაზიული პარტია, რომლის მიზნები უტოპიური მეშჩანური სოციალიზმის მიზნებიაო?

ავიღოთ მიწის რეფორმის სულ უკანასკნელი პროექტი, წარმოდგენილი «სერების» მიერ და გუშინ დაბეჭდილი მათს გაზეთში: «ნაროდნი ვესტნიკ» (№ 9) [128]. ეს არის კანონი მიწის ყოველგვარი კერძო საკუთრების მოსპობისა და «მიწის საყოველთაო გათანაბრებული სარგებლობის» შესახებ. რატომ უნდათ «სერებს» მიწის გათანაბრებული სარგებლობა შემოიღონ? იმიტომ, რომ მათ სურთ მოსპონ განსხვავება მდიდართა და ღარიბთა შორის. ეს სოციალისტური სურვილია. ყველა სოციალისტს სურს ეს. მაგრამ სოციალიზმი სხვადასხვანაირია, ქვეყნად ხუცური სოციალიზმიც კი არის, არის მეშჩანური სოციალიზმი, არის პროლეტარული სოციალიზმი.

მეშჩანური სოციალიზმი — ეს არის წვრილი მეპატრონის ოცნება იმაზე, რომ როგორმე მოსპოს განსხვავება მდიდართა და ღარიბთა შორის. მეშჩანური სოციალიზმი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ყველა ადამიანი გავხადოთ «გათანაბრებულ» წვრილ მეპატრონეებად, არც ღარიბებად და არც მდიდრებად. მეშჩანური სოციალიზმი წერს საყოველთაო გათანაბრებული მიწათსარგებლობის კანონთა პროექტებს. ნამდვილად კი შეუძლებელია სიღატაკისა და სიღარიბის მოსპობა ისე, როგორც ეს წვრილ მეპატრონეს სურს. შეუძლებელია მიწის გათანაბრებული ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა, ვიდრე ქვეყნად ფულის ძალაუფლება, კაპიტალის ძალაუფლება არსებობს. ვერავითარი კანონი ქვეყნად ვერ შესძლებს მოსპოს უთანასწორობა და ექსპლოატაცია, ვიდრე რჩება საბაზრო მეურნეობა, ვიდრე არსებობს ფულის ძალაუფლება და კაპიტალის ძალა. ყოველგვარ ექს-

პლოატაციას ბოლოს მოუღებს მხოლოდ მსხვილი საზოგადოებრივი, გეგმაშეწონილი მეურნეობის მოწყობა, როდესაც მთელი მიწის, ფაბრიკების, იარაღების საკუთრება მუშათა კლასს გადაეცემა. ამიტომ პროლეტარული სოციალიზმი (მარქსიზმი) ამხელს მეშჩანური სოციალიზმის ყოველგვარ უსაფუძვლო იმედებს, თითქოს კაპიტალიზმის დროს შესაძლებელი იყოს წვრილი მეურნეობის «გათანაბრება» ან თუნდაც საერთოდ წვრილი მეურნეობის შენარჩუნება.

შეგნებული პროლეტარიატი მთელი ძალღონით მხარს უჭერს გლეხთა ბრძოლას მთელი მიწისა და სრული თავისუფლებისათვის, მაგრამ იგი აფრთხილებს გლეხებს — ნუ დაეყრდნობიან ნურავითარ ცრუ იმედებს. პროლეტარიატის შემწეობით გლეხებს შეუძლიათ თავიდან მოიშორონ მემამულეთა მთელი ძალაუფლება, შეუძლიათ სავსებით ბოლო მოუღონ მემამულეთა მიწათმფლობელობასა და მემამულურ-მოხელურ სახელმწიფოს. გლეხებს ისიც კი შეუძლიათ, რომ მოსპონ მიწის კერძო საკუთრება საერთოდ. ყველა ამგვარი ზომა უდიდეს სარგებლობას მოუტანს გლეხობასაც, მუშათა კლასსაც და მთელ ხალხსაც. მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს გლეხთა ბრძოლისათვის უაღრესად ერთსულოვან მხარის დაჭერას. მაგრამ მემამულეთა და მოხელეთა ხელისუფლების სავსებით დამხობაც კი ოდნავადაც ვერ შეარყევს კაპიტალის ძალაუფლებას. და მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც არ იქნება მემამულეთა და მოხელეთა ხელისუფლება, გადაწყდება უკანასკნელი დიდი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ბრძოლა სოციალისტური წყობილებისათვის.

აი რატომ იბრძვიან გადაჭრით სოციალ-დემოკრატები კადეტების გამცემლური პროგრამის წინააღმდეგ და აფრთხილებენ გლეხებს ნუ ექნებათ «გათანაბრების» ცრუ იმედები. მიწისა და თავისუფლებისათვის ახლანდელ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად გლეხებმა კადეტებისაგან სრულიად დამოუკიდებლად უნდა იმოქმედონ. გლეხები არ უნდა გაიტაცოს მიწათმოწყობის ყოველგვარი პროექტების განხილვამ. ვიდრე

ძალაუფლება ძველი თვითმპყრობელური, მემამულურ-მოხელეური მთავრობის ხელში რჩება, ყველა ეს პროექტი «შრომითი ნორმების», «გათანაბრებისა» და სხვათა შესახებ — ცარიელი და უქმი ლათაიებია. მიწისათვის გლეხთა ბრძოლას მხოლოდ ასუსტებს პარაგრაფებისა და წესების ეს გროვა პროექტებში, რომლებსაც ძველი ხელისუფლება ან მთლად უკუაგდებს, ანდა გლეხის მოტყუების ახალ საშუალებად გადააქცევს. «მიწათმოწყობის პროექტები» გლეხებს კი არ უადვილებს იმის გაგებას, თუ როგორ მოიპოვონ მიწა, არამედ უფრო აძნელებს საქმის სწორად გაგებას. მოხელეური მთავრობის ძველი ხელისუფლების საკითხს ეს პროექტები წვრილმანი, უმნიშვნელო კანცელარიული ჩმახვით ავსებენ. ეს პროექტები გონებას ანაგვიანებენ კეთილ მთავრობაზე ოცნებით, მაშინ როდესაც ნამდვილად კვლავ რჩება ძველი ველური მთავრობა მთელი მისი უსაზღვრო ძალადობით. თავი დაანებეთ, ბატონებო, ქალალდის «მიწათმოწყობის პროექტებით» თამაშობას, — გლეხები ადვილად მოაგვარებენ მიწის საქმეს, როდესაც ძველი ხელისუფლების დაბრკოლება მოისპობა, — უმჯობესია მთელი ყურადღება მიაქციოთ გლეხთა ბრძოლას ყოველგვარი ასეთი დაბრკოლების სრულიად მოსასპობად.

დაწერილია 1906 წ.
19 მაისს (1 ივნისს).
დაიბეჭდა 1906 წ. 20 მაისს გაზეთ
«ვოლნაში», № 22

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

ბორემიკინელები, ოქტიაბრისტები და კადეტები

გუშინ ჩვენ აღვნიშნეთ კადეტების ახალი სამარცხვინო გამარჯვება შრომის ჯგუფელებზე სახელმწიფო სათათბიროში. კადეტებმა აიძულეს შრომის ჯგუფელები უკანვე წაეღოთ თავიანთი წინადადება ხალხისადმი მიმართვისა და სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტის განხილვის შესახებ იმ ფორმალობათა დაუცველად, რომელნიც სათათბიროს ბიუროკრატიის უბადრუკ და უმწეო დანამატად აქცევენ.

დღეს ნოვოვრემიაელი ბორემიკინელები [127] და სლოვოელი ოქტიაბრისტები სავსებით ადასტურებენ შრომის ჯგუფელებზე კადეტების გამარჯვების ამ შეფასებას. «შრომის ჯგუფმა — წერს «ნოვოე ვრემია» — წამოაყენა რაღაც... რაც სათათბიროს დანიშნულების მუხლს ეწინააღმდეგება. სახელდობრ, იგი მოითხოვდა სახელმწიფო სათათბირო გადასულიყო მსჯელობაზე თვით კანონპროექტის დედაარსის შესახებ და შემდეგ კი კენჭისყრაზე ერთი თვის ვადის დაუცველად, მაშასადამე, ისე, რომ იუსტიციის მინისტრს თავისი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა არ მიეცემოდა. იმ გულკეთილობის ოდნავ გამომჟღავნებას, რის მიდრეკილებაც ზოგჯერ აქვთ ხოლმე რუს ადამიანებს კანონიერების საზიანოდ, — უნდა გამოეწვია სათათბიროს მხრივ უეჭველად უკანონო მოქმედების ჩადენა, ყველა იმ შედეგით, რასაც «განცხადებითი წესის» მოლიპული და დაქანებული გზა ჰქმნის».

კადეტების ორატორებმა, განაგრძობს «ნოვოე ვრემია», «მხურვალედ გაილაშქრეს შრომის ჯგუფელების მიერ წამოყენებული უკანონო ზომის წინააღმდეგ» და «ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს». შრომის ჯგუფელების მიერ თავიანთი წინადადების უკან წაღების გამო «ნოვოე ვრემია» შენიშნავს: «ყველაფერი ყველას საკეთილდღეოდ და სამართლის უდიდესი გამარჯვებით დამთავრდა». გორემიკინელები რომ ზეიმობენ ამგვარი სამართლის გამარჯვების გამო, ეს ბუნებრივია, მათგან სხვა რამეს არც არავინ მოელის. კადეტებისაგან, სამწუხაროდ, ძალიან ბევრნი მოელიან. «ყოველი დეპუტატიო, — ამბობს დასასრულ «ნოვოე ვრემია», — რომელიც ბ-ნ ალადინის მაგალითს მიჰბაძავს, უეჭველად საყვედურს დაიმსახურებს მიუტევებელი ფუქსავატობისათვის».

ოქტიაბრისტულ «სლოვოში» ბ-ნი იპოლიტ გოფშტეტერი კადეტებს უსაყვედურებს და მამაშვილურად ტუქსავს: «ჰაერში ნამდვილი რევოლუციის სუნი ტრიალებს». კადეტებს იგი, რევოლუცია არა სურთ და ამიტომ კეთილგონიერნი უნდა იყვნენ. «ვიდრე არსებული კანონი შემდგომი, სავსებით კანონზომიერი, უფლებრივ-პოლიტიკური და სოციალური მონაპოვარის მიღწევის რაიმე შესაძლებლობას იძლევა, სახელმწიფო სათათბიროს შეგნებულ მოწინავე წევრთა წმინდა მოვალეობაა მედგარი ოპოზიციის გაწევა კანონის ნიადაგზე და არა კონფლიქტების დაყინებული გამოწვევა».

გორემიკინელებისა და ოქტიაბრისტების პოზიცია ცხადია. დროა უფრო ნათლად და ფხიზლად შევაფასოთ მათი მონათესავე პოზიცია კადეტებისა.

დაწერილია 1906 წ. 19 მაისს (1 ივნისს).
დაიბეჭდა 1906 წ. 20 მაისს გაზეთ «ვოლნაში», № 22.
ხელმოწერა: ნ. ლ — ნ

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

კრიტიკის თავისუფლება და მოქმედების ერთიანობა [128]

რედაქციაში მოიტანეს შემდეგი ფურცელი, ხელმოწერილი რსდმპ ც. კ.-ის მიერ:

«რადგან ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ აღძრა საკითხი პარტიულ ყრილობათა გადაწყვეტილებების კრიტიკის თავისუფლების ფარგლების შესახებ, ცენტრალური კომიტეტი, მხედველობაში იღებს რა, რომ რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები ყოველთვის მოითხოვდა რსდმპ ტაქტიკის რაც შეიძლება მეტ ერთიანობას და რომ ახლა ჩვენი პარტიის ცალკეული ნაწილების პოლიტიკურ მოქმედებათა ეს ერთიანობა უფრო მეტად აუცილებელია, ვიდრე ოდესმე, — ფიქრობს:

1) რომ პარტიულ პრესაში და პარტიულ კრებებზე ყველას უნდა მიეცეს თავისი პირადი აზრის გამოთქმისა და თავისი განსაკუთრებული შეხედულების დაცვის სრული თავისუფლება;

2) რომ ფართო პოლიტიკურ კრებებზე პარტიის წევრებმა არ უნდა გასწიონ ისეთი აგიტაცია, რომელიც ყრილობის დადგენილებებს ეწინააღმდეგება;

3) რომ პარტიის არც ერთი წევრი ასეთ კრებებზე არც ისეთი მოქმედებისაკენ უნდა მოუწოდებდეს, რომელიც ყრილობის გადაწყვეტილებებს ეწინააღმდეგება, არც ისეთ რეზოლუციებს უნდა აყენებდეს, რომლებიც ყრილობის გადაწყვეტილებებს არ ეთანხმებიან». (ხაზგასმა ყველგან ჩვენია.)

როდესაც ამ რეზოლუციას არსებითად ვიხილავთ, მასში მთელ რიგ უცნაურობას ვხედავთ. რეზოლუცია ამბობს, «პარტიულ კრებებზე» ყველას ეძლევა პირადი აზრის გამოთქმისა და კრიტიკის «სრული თავისუფლება» (§ 1), ხოლო «ფართო

კრებებზე» (§ 2) «პარტიის არც ერთი წევრი არ უნდა მოუწოდებდეს ისეთი მოქმედებისაკენ, რომელიც ყრილობის გადაწყვეტილებებს ეწინააღმდეგებაო». აბა ერთი ჩაუფიქრდით, რა გამოდის: პარტიულ კრებებზე პარტიის წევრებს უ ფ ლ ე ბ ა ა ქ ვ თ მოუწოდონ ისეთი მოქმედებისაკენ, რომელიც ყრილობის გადაწყვეტილებებს ეწინააღმდეგება, — ფართო კრებებზე კი მათ «პირადი აზრის გამოთქმის» სრულ თავისუფლებას ა რ «ანიჭებენ»!!

რეზოლუციის შემდგენლებს სრულიად უმართებულოდ გაუგიათ პარტიის შიგნით კ რ ი ტ ი კ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა და პარტიის მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს თანაფარდობა. კრიტიკა, პარტიული პროგრამის ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი ს ფარგლებში, სავსებით თავისუფალი უნდა იყოს (მოგაგონებთ, თუნდაც, პლეხანოვის სიტყვას ამის შესახებ რსდმპ მეორე ყრილობაზე) და არა მარტო პარტიულ, არამედ ფართო კრებებზედაც. ასეთი კრიტიკის ან ასეთი «აგიტაციის» აკრძალვა შეუძლებელია (რადგან შეუძლებელია კრიტიკის გამოყოფა აგიტაციისაგან). პარტიის პოლიტიკური მოქმედება ერთიანი უნდა იყოს. რაიმე «მოწოდება», რომელიც არღვევს გარკვეულ მოქმედებათა ერთიანობას, დაუშვებელია ფართო კრებებზედაც, პარტიულ კრებებზედაც და პარტიულ პრესაშიც.

ცხადია, ც. კ.-მა კრიტიკის თავისუფლება შემცდარად და ძალიან ვიწროდ განსაზღვრა, ხოლო მოქმედების ერთიანობა — შემცდარად და ძალიან ფართოდ.

ავიღოთ მაგალითი. ყრილობამ დაადგინა სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. არჩევნები სავსებით გარკვეული მოქმედებაა. არჩევნების დროს (მაგალითად, ახლა ბაქოში) აბსოლუტურად დაუშვებელია პარტიის წევრთა მხრივ ს ა დ მ ე რ ა ი მ ე მ ო წ ო დ ე ბ ა — ა რ ა ი რ ჩ ი ო თ ო. ამავე დროს დაუშვებელია აგრეთვე არჩევნების შესახებ დადგენილების «კრიტიკაც», იმიტომ რომ პრაქტიკაში იგი ძირს გამოუთხრიდა საარჩევნო აგიტაციის წარმატებას! პირიქით, არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილების კ რ ი-

ტ ი კ ა ი ს ე თ დროს, როდესაც არჩევნები ჯერ კიდევ დანიშნული არ არის, პარტიის წევრთა მხრივ ყ ვ ე ლ გ ა ნ დასაშვებია. რა თქმა უნდა, ამ პრინციპის გამოყენებაც პრაქტიკაში გამოიწვევს ზოგჯერ დავას და გაუგებრობას, მაგრამ მ ხ ო ლ ო დ ს ს წ ო რ ე დ ამ პრინციპის საფუძველზე შეიძლება ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი დავისა და ყოველგვარი გაუგებლობის პარტიის სასახელოდ გადაწყვეტა. ც. კ.-ის რეზოლუცია კი რაღაც შეუძლებელ მდგომარეობას ჰქმნის.

ც. კ.-ის რეზოლუცია არც არსებითად არის სწორი, და პ ა რ ტ ი ი ს წ ე ს დ ე ბ ა ს ა ც ეწინააღმდეგება. დემოკრატიული ცენტრალიზმისა და ადგილობრივ დაწესებულებათა ავტონომიის პრინციპი ნიშნავს სწორედ კ რ ი ტ ი კ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს, სრულსა და ყველგან დასაშვებს, რაკი ეს არ ირღვევს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ერთიანობას, — იგი ნიშნავს რ ა ი მ ე ისეთი კრიტიკის დაუშვებლობას, რომელიც ძირს უთხრის ან აძნელებს პარტიის მიერ გადაწყვეტილი მოქმედების ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს.

ჩვენ ც. კ.-ის დიდ შეცდომად მიგვაჩნია ამ მნიშვნელოვან საკითხზე რეზოლუციის გამოცემა ისე, რომ პარტიულ პრესასა და პარტიულ ორგანიზაციებს იგი წინასწარ სრულებით არ განუხილავთ; ასეთი განხილვა დახმარებას გაუწევდა მას თავიდან აეცილებინა ჩვენს მიერ აღნიშნული შეცდომები.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პარტიულ ორგანიზაციას განიხილონ ახლა ც. კ.-ის რეზოლუცია და გარკვევით გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება მისდამი.

«ვოლნა» № 22,
1906 წ. 20 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

ცუდი რჩევა

ამხანაგმა პლეხანოვმა «კურიერში» [129] წერილით მიმართა მუშებს. იგი მათ რჩევას აძლევს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ. ამხანაგი პლეხანოვი ასე მსჯელობს. მთავრობა ხელს არ უშლის სათათბიროს გატარებას კრიტიკის ქარცეცხლში. მთავრობა ამას იმიტომ სჩადის, რათა შეასუსტოს სათათბიროსთვის მხარის დაჭერა ხალხის მხრივ. მთავრობას სურს მუშები ბრძოლაში გამოიწვიოს, როდესაც მუშები ჯერ კიდევ მზად არ არიან. მუშებმა უნდა ჩაშალონ მთავრობის გეგმები. ისინი როდი უნდა შეშფოთდნენ იმით, რომ სათათბიროში ბურჟუაზიული პარტიებია გაბატონებული. სათათბიროში ჭარბად წარმოდგენილი ბურჟუაზია მოითხოვს თავისუფლებას ყველასთვის და მიწას გლეხობისთვის. ამიტომ სათათბიროს მთელმა ხალხმა მხარი უნდა დაუჭიროს.

ამ მსჯელობაში სიმართლე და შეცდომები ერთმანეთშია არეული. გულდამშვიდებით და დაწვრილებით განვიხილოთ ამხ. პლეხანოვის აზრები და რჩევა.

ამხ. პლეხანოვის პირველი აზრი. მთავრობა ხელს არ უშლის სათათბიროს გატარებას კრიტიკის ქარცეცხლში, რათა შეასუსტოს სათათბიროსათვის მხარის დაჭერა ხალხის მხრივაო.

მართალია თუ არა ეს? ვნახოთ, სად გაისმოდა უკანასკნელ დროს სათათბიროს ყველაზე მკაცრი კრიტიკა? ისეთი გაზეთების ფურცლებზე, როგორიცაა «ნევსკაია გაზეტა», «დელო ნაროდა» [130] «ვოლნა» და შემდეგ სახალხო კრებებზე. ლიბერალური ბურჟუაზია, კადეტები, რომელთაც უმრავლესობა ჰყავთ სათათბიროში, საშინლად გაბრაზებულნი იყვ-

ნენ ამ კრიტიკის გამო და განსაკუთრებით პეტერბურგის სახალხო კრებების წინააღმდეგ. კადეტები იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ უკვირდათ, რატომ არ აქცევენ უბნის ბოქაულები ყურადღებას სოციალისტების მიტინგებსაო.

როგორ მოიქცა მთავრობა? მან დახურა გაზეთები «დელო ნაროდა» და «ნევსკაია გაზეტა», «ვოლნას» წინააღმდეგ კი სამი საქმე აღძრა სასამართლოში. მან აკრძალა მიტინგები და გამოაცხადა — სასამართლოს წესით აღძრულია საქმე პანინას სახლში 9 მაისს გამართული მიტინგის გამოო.

აქედან ნათლად ვხედავთ, რომ ამხ. პლეხანოვი მ ა რ თ ა ლ ი ა რ ა რ ი ს. იგი უხეშ შეცდომას სჩადის.

განვიხილოთ ახლა ამხ. პლეხანოვის მეორე აზრი. მთავრობას სურს მუშები ბრძოლაში გამოიწვიოს, როდესაც მუშები ჯერ კიდევ მზად არ არიანო. უგუნურებაა გამოწვევას ავყვეთ, უგუნურებაა ახლავე იარაღისაკენ მოვუწოდოთო.

ეს სამართლიანი აზრია. მაგრამ ამხ. პლეხანოვი მას ისე არასრულად გადმოგვცემს, რომ უაღრესად მავნე გაუგებრობას იწვევს. სახელდობრ, მას ავიწყდება დაუმატოს, რომ, ჯერ ერთი, მთავრობის მთელი მოქმედება და მთელი მისი დამოკიდებულება სათათბიროსადმი აუცილებელს ხდის ახალ ბრძოლას სათათბიროს გარეთ. მეორე, იგი არ აღნიშნავს, რომ მუშები გლეხობასთან ერთად უნდა ჩაებან ამ ბრძოლაში, მიუხედავად მერყევი და მოღალატე ლიბერალური ბურჟუაზიის სურვილისა.

პლეხანოვი არასრულად გადმოგვცემს სამართლიან აზრს და არ ესმის, რომ იგი წყალს უშვებს იმ ლიბერალური ბურჟუაზიის წისქვილზე, რომელმაც სოციალისტური მიტინგების აკრძალვას მიაღწია. ბურჟუაზია ცდილობს საქმე ისე წარმოგვიდგინოს, თითქოს სოციალისტების ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი მითითება კადეტების უვარგისობაზე, სათათბიროს გარეთ ბრძოლაზე იყოს მუშების მავნე გამოწვევა ა ხ ლ ა ვ ე ბრძოლაში ჩასაბმელად. ბურჟუაზია შეგნებულად ამბობს ტყუილს სოციალისტებზე, ხოლო პლეხანოვი სცდება პოლიტიკური მდგომარეობის შეფასებაში და ხელს უწყობს ამ ტყუილს.

აიღეთ, მაგალითად, «ვოლნა», რომელსაც ყველაზე მეტად ლანძღავდა და აგინებდა ბურჟუაზია. მოუწოდებდა თუ არა «ვოლნა» ახლავე ბრძოლისაკენ? არა, არ მოუწოდებდა. ბურჟუაზია ცრუობდა «ვოლნას» წინააღმდეგ. «ვოლნა» ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ ამბობდა (№ 10): «ჩვენ არ უნდა ვაჩქარებდეთ (ე. ი. ხელოვნურად არ უნდა ვაჩქარებდეთ, ვაშურებდეთ, ძალით არ უნდა მივერეკებოდეთ) მოვლენებს. აფეთქების დაჩქარება ახლა ჩვენს ინტერესს არ შეადგენს. ეს ყოველ ეჭვს გარეშეა» *. მგონი, ცხადია? მაშ რატომ ცრუობდა და ცილს სწამებდა ბურჟუაზია სოციალისტებს? იმიტომ, რომ ისინი მართალს ლაპარაკობდნენ სათათბიროს გარეთ ბრძოლის აუცილებლობაზე და იმაზე, რომ ბრძოლას გაუძღვება პროლეტარიატი და გლეხობა მიუხედავად ლიბერალური ბურჟუაზიის გამცემლობისა.

აიღეთ პანინას სახლში მიღებული რეზოლუცია (ეს რეზოლუცია დაიბეჭდა «ვოლნას» მე-14 ნომერში და მთელ რიგ სხვა გაზეთებში **). მოუწოდებს თუ არა ეს რეზოლუცია ახლავე ბრძოლისაკენ? არა, არ მოუწოდებს. მაშ რატომ ჰყრიდა ცოფებს გაანჩხლებული ლიბერალური ბურჟუაზია და ყველა კადეტი ამ რეზოლუციის გამო? იმიტომ, რომ იგი მართალს ამბობს, როდესაც პირველ ყოვლისა ამხელს მთავრობას («სასაცილოდ იგდებს სახალხო წარმომადგენლობას», «ემზადება ძალადობით უპასუხოს»), შემდეგ ლიბერალებს («გაუბედავად და არასრულად გამოხატავენ ხალხის მოთხოვნებს», «ქანაობენ თავისუფლებასა და ძველ ხელისუფლებას შორის»); — იმიტომ, რომ ეს რეზოლუცია მოუწოდებს შრომის ჯგუფელებს, გლეხთა დეპუტატებს გამოვიდნენ გაბედულად, კადეტებისაგან სრულიად დამოუკიდებლად; — ბოლოს, იმიტომ, რომ რეზოლუცია აშკარად ლაპარაკობს სათათბიროს გარეთ გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობაზე.

* იხ. ეს ტომი, გვ. 473 — 474. რედ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 496 — 497. რედ.

ბურჟუაზია ამახინჯებდა ამ რეზოლუციის აზრს, რათა სოციალისტები ისეთ ადამიანებად დაესახა, რომელნიც უგუნურად მოუწოდებენ ახლავე ბრძოლისაკენ, და თ ვ ა ლ ი ა ე რ ი დ ე ბ ი ნ ა იმ ბრალდებათაგან, რომელთაც მართლაც აყენებენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ბურჟუაზია ასე იქცეოდა, რადგან სწორად ესმოდა თავისი ინტერესები. ამხ. პლეხანოვი სცდება, ბურჟუაზიას ბანს რომ აძლევს, რადგან იგი არასწორად აფასებს პროლეტარიატის ნამდვილ დამოკიდებულებას მთავრობისა და ბურჟუაზიისადმი.

აიღეთ ამხ. პლეხანოვის მესამე აზრი. «სათათბიროში ბურჟუაზია მოითხოვს თავისუფლებას ყველასათვის და მიწას გლეხობისათვის». მართალია თუ არა ეს? არა, ეს მხოლოდ ნახევარია სიმართლისა, ანდა შეიძლება მეოთხედიც. ბურჟუაზია ძველი ხელისუფლებისაგან კი არ მოითხოვს, არამედ სთხოვს მას. ბურჟუაზია კრძალავდა სათათბიროში «მოთხოვნებზე» ლაპარაკს. ბურჟუაზია (კადეტები) მოითხოვს ი ს ე თ «თავისუფლებას», მაგალითად, პრესისას, რომ შეიძლებოდეს გამასწორებელ სახლში ჩასმა და კატორღაში გაგზავნა სოციალისტების სიტყვებისთვის * [13]. ბურჟუაზია მოითხოვს გლეხებისათვის ა რ ა მიწას, არამედ მ ი წ ი ს ნ ა წ ი ლ ი ს მ ი ყ ი დ ვ ა ს გლეხებისათვის (რადგან გამოყიდვა ყიდვა-გაყიდვის ერთერთი სახეა). მართებულად იქცევა თუ არა ამხ. პლეხანოვი, როდესაც სდუმს ბურჟუაზიული პროექტების ამ უ ს რ უ ლ ო ბ ა ზ ე, ამ გ ა უ ბ ე დ ა ო ბ ა ზ ე, კადეტების ამ მერყეობაზე? არა, იგი სრულიად უმართებულოდ იქცევა. რა მნიშვნელობა აქვს ამხ. პლეხანოვის ამ შეცდომას? იგი ძალიან დიდ საფრთხეს უქადის პროლეტარიატს და თავისუფლებისათვის ბრძოლის წარმატებას. ყველა სოციალისტი თანახმაა, რომ ეს ბრძოლა სათათბიროს გარეთ გადაწყდება, და რომ იგი შეიძლება გაჩაღდეს, თვით ჩვენი სურვილის წინააღმდეგაც, არცთუ ძალიან შორეულ მომავალში. ამ

* იხ. «ვოლნა», № 22, სტატია: «ა ხ ა ლ ი ს ა ყ ა ტ ო რ ღ ო კ ა ნ ონ-პ რ ო ე ქ ტ ი».

ბრძოლაში პროლეტარიატს შეუძლია და უნდა იყოს კიდეც გლეხობასთან ერთად, არ უნდა დ ა ე ნ დ ო ს მერყევ, მოღალატე და აქეთ-იქით გადამრბენ ლიბერალურ ბურჟუაზიას. ბრძოლის დროს იმაზე საშიში არა არის რა, როგორც მერყევთადმი ნდობა. როდესაც ახალი ბრძოლისაკენ ახალი მობრუნების წინახანს ლიბერალური ბურჟუაზიის გაუბედაობასა, მერყეობასა და ღალატზე ვდუმვართ, მით პროლეტარიატსა და თავისუფლების საქმეს ზიანს ვაყენებთ.

ახლა ვნახოთ ამხ. პლეხანოვის უკანასკნელი აზრი ან რჩევა. «მთელმა ხალხმა ერთსულოვნად უნდა დაუჭიროს მხარი სათათბიროს». მუშები არ უნდა შეაშფოთოს იმან, რომ სათათბიროში ბურჟუაზიული პარტიები ბატონობენო.

მართალია, მუშები ამან არ უნდა «შეაშფოთოს». ეს არც იწვევს მათს შეშფოთებას. ისინი მზად არიან მხარი დაუჭირონ ბურჟუაზიას მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ საკითხი ისაა, რ ო მ ე ლ ბურჟუაზიას, რ ა ნ ა ი რ ა დ და რ ა ბრძოლაში უნდა დაუჭირონ მხარი. კადეტებს სჩვევიათ მიფუჩეჩება ამ საკითხებისა, რომლებიც მათს მერყეობას ამჟღავნებენ. სოციალ-დემოკრატ ამხ. პლეხანოვს არ შეშვენის ამ საკითხებზე დუმილი.

«სათათბიროსათვის» მხარის დაჭერა საერთოდ — ეს ნიშნავს მხარი დაუჭირო კ ა დ ე ტ უ რ სათათბიროს, რადგან მასში კადეტები ბატონობენ. მარქსისტი სათათბიროს ისე არ უნდა უყურებდეს, როგორც «სახალხო» წარმომადგენლობას' საერთოდ. იგი ვალდებულია გაარკვიოს, სახელდობრ რომელი კლასები ლაპარაკობენ ამ სათათბიროს სახელით.

შეიძლება თუ არა საერთოდ მხარი დავუჭიროთ კადეტურ სათათბიროს? არა, არ შეიძლება, რადგან პროლეტარიატმა სათათბიროს .ყოველი მერყევი და არამტკიცე ნაბიჯი უნდა აშხილოს და დაჭგმოს. «კურიერელი» ამხანაგები იმავე გვერდზე, სადაც ამხ. პლეხანოვის სტატიაა დაბეჭდილი, ამბობენ: «სათათბიროს შემარცხენე ნაწილი (ე. ი. შრომისა და მუშათა ჯგუფები) მორჩილად ითმენს ბატონთ მურომცევისა და დოლგორუკოვის» (სათათბიროს თავმჯდომარეები, ორივე კა-

დეტი) «დამამცირებელ და რ ე ა ქ ც ი უ ლ მეურვეობას». აი ეს მართალია. აი ეს სოციალისტის ნამდვილი სიტყვაა. შეუძლია თუ არა «ხალხს» ან პროლეტარიატს ერთსულოვნად დაუჭიროს მხარი იმ «სათათბიროს», რომელიც შრომის ჯგუფელების მიმართ ლიბერალების რ ე ა ქ ც ი უ ლ ი მეურვეობის იარაღს წარმოადგენს? არა, არ შეუძლია და არც დაუჭერს მხარს.

სათათბიროში ორი მთავარი ბურჟუაზიული პარტიაა: კადეტები და შრომის ჯგუფელები. პირველნი არიან შემთანხმებელი, მოღალატე ბურჟუაზია, რომელიც აშკარად ამზადებს მორიგებას თვითმპყრობელობასთან, აშკარად მოკლებულია გადამწყვეტი ბრძოლის უნარს. მეორენი არიან წვრილი, მშრომელი, უსაზომოდ დაჩაგრული ბურჟუაზია, რომელიც მიწის გათანაბრებულ დაყოფაზე ოცნებობს, რომელსაც უაღრესად გადამწყვეტი, თავდადებული ბრძოლის უნარი შესწევს და რომელსაც ამ ბრძოლისაკენ უბიძგებს მოვლენათა მთელი მსვლელობა, მთავრობის მთელი მოქმედება. რ ო მ ე ლ ბურჟუაზიას უნდა დაუჭიროს მხარი «ა ხ ლ ა ვ ე» პროლეტარიატმა? მ ე ო რ ე ს, თანაც «ხალხი» უნდა გააფრთხილოს, რომ პირველი საიმედო არ არის. პროლეტარიატმა მხარი უნდა დაუჭიროს და დაუჭერს კიდეც შრომის ჯგუფელებს კადეტების წინააღმდეგ, ამხილოს შრომის ჯგუფელების მიმართ კადეტების «რეაქციული მეურვეობა» და მოუწოდოს შრომის ჯგუფელებს კისრიდან გადაიგდონ ეს მეურვეობა.

ახლა უკანასკნელი საკითხი: როგორ და რა ბრძოლაში უნდა დაუჭიროს მხარი? სათათბიროს შიგნით ვისმესთვის მხარის დაჭერა — მისთვის ხმის მიცემას ნიშნავს. მუშათა ჯგუფმა, როგორც ვიცით, უარი თქვა ხმა მიეცა კადეტური (საერთოდ «სათათბიროს») პასუხისათვის ადრესზე. მუშათა დეპუტატებმა უარი თქვეს «სათათბიროსათვის» ე რ თ ს უ ლ ო ვ ნ ა დ მხარის დაჭერაზე. მერე რა, აქაც «შეცდომა» დაუშვეს მუშებმა? თუ ამხანაგი პლეხანოვი ასე ფიქრობს,

დაე ეს პირდაპირ თქვას, — ასეთი რამეები მიუკიბ-მოუკიბავად უნდა ითქვას.

სერიოზულად მხარის დაჭერა, ნამდვილად მხარის დაჭერა სათათბიროს გარეთ მოხდება. ეს დამოკიდებულია არა ჩვენზე, არამედ მოვლენათა მთელ მსვლელობაზე, თვით ახლანდელი ბრძოლის დედაარსზე, რადგან ეს არის არა სათათბიროს ბრძოლა სამინისტროს წინააღმდეგ, არამედ ხალხის ბრძოლა ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ. «სათათბიროსთვის» ასეთ «მხარის დაჭერას» უცნაური და უმართებულო იქნება მარტოოდენ «მხარის დაჭერა» ვუწოდოთ. ეს იქნება გადამწყვეტი ბრძოლა სათათბიროს გარეთ; პროლეტარიატმა იგი მხოლოდ გლეხობასთან ერთად უნდა დაიწყოს; პროლეტარიატი და გლეხობა გაიმარჯვებენ ამ ბრძოლაში მიუხედავად ლიბერალური, კადეტური «სათათბიროს» ბურჟუაზიის მთელი მერყეობისა, ქანაობისა, მოღალატეობისა და რეაქციასთან ლაქუცისა.

ახლა ჩვენ ვხედავთ, რა ცუდ რჩევას აძლევს ამხ. პლეხანოვი მუშათა კლასს. ჩვენმა, სოციალ-დემოკრატების გამაერთიანებელმა ყრილობამ ერთგვარი შეცდომა ჩაიდინა, როცა პარტია ოდნავ მარჯვნივ გადასწია და საკმარისად ვერ შეაფასა კადეტებისათვის მხარის დაჭერით გატაცების საფრთხე. ამხ. პლეხანოვი დიდ შეცდომას სჩადის, როცა უზომოდ შორს მიიწევს მარჯვნივ და პროლეტარიატს მოუწოდებს სავსებით, მთლად და ულაპარაკოდ დაუჭიროს მხარი კადეტებსა და კადეტურ სათათბიროს.

«ვოლნა» № 23,
1906 წ. 21 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

მითქმა-მოთქმა და ხმები სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შესახებ

გაზეთებში უკვე იყო აღნიშნული «პრავიტელსტვენი ვესტნიკის» მოკლე ცნობა იმის შესახებ, რომ განზრახულია სახელმწიფო სათათბიროს 15 ივნისს საზაფხულო არდადეგებზე დათხოვნაო! ახლა სააგენტოს დეპეშები უარყოფენ ამ ცნობას, მაგრამ უარყოფენ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს «რეჩი», ორჭოფად, ისე, რომ ვერავის ვერაფერში არწმუნებენ.

იმის შესაძლებლობა, რომ სათათბირო რამდენიმე კვირის შემდეგ «საზაფხულოდ» დაითხოვონ, კვლავ რჩება. ამიტომ დიდ ინტერესს წარმოადგენს «კურიერის» მიერ აღძრული საკითხი, დ ა ი შ ლ ე ბ ა თუ არა სათათბირო. «კურიერს» მოჰყავს ბ-ნ როდიჩევის მიერ სახელმწიფო სათათბიროში ნათქვამი სიტყვები: «ჩვენ არასოდეს არ დავიშლებით, ვიდრე არ შევასრულებთ იმას, რისთვისაც აქ გამოგვგზავნესო», და მეორე კადეტის, ბ-ნ გრედესკულის სიტყვები: «სათათბიროს ამ ბრძოლაში (მთავრობასთან) რჩება კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი — მისი საკანონმდებლო ძალაუფლება, და მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ამოსწურავს, სათათბიროს უფლება აქვს წავიდეს და ხალხს ამცნოს თავისი უძლურებაო».

«კურიერი» ი მ ე დ ო ვ ნ ე ბ ს, რომ ბ-ნი როდიჩევი «სერიოზულად» აძლევს წინადადებას სახელმწიფო სათათბიროს არ დაიშალოს, თუ მთავრობა მას დაითხოვს. ამიტომ «კურიერი» გადაჭრით მხარს უჭერს როდიჩევს გრედესკუ-

ლის წინააღმდეგ. «კურიერი» ამასთანავე სავსებით კანონიერი ზიზღით ლაპარაკობს პერსპექტივაზე: «ააცხოლოს კანონების გროვა» (ნაწილობრივ — პირდაპირ საკატორღო კანონებისა, დავუმატებთ ჩვენი მხრივ, ნაწილობრივ — მხდალი და გაუბედავისა) «მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი ხალხის წინაშე თავისი უძლურება დაადასტუროს და განზე გადგეს».

ჩვენ ძალიან გვახარებს «კურიერელი» ამხანაგების მიერ სათათბიროს სასაცილო და ბინძური როლის ეს აღიარება, თუ იგი მხოლოდ «ააცხოლავებს კანონების' გროვას», «თავის უძლურებას გამოაჩენს». ჩვენ ძალიან გვახარებს აგრეთვე ის, რომ «კურიერელ» ამხანაგებს შესაძლებლად მიაჩნიათ ილაპარაკონ სათათბიროზე, როგორც «ხალხის ძალების თავმოყრის ცენტრზე, ბირთვზე, რომლიხ ირგვლივაც ყალიბდება ამ ძალთა ორგანიზაცია და ერთიანდება მოძრაობა» მ ხ ო ლ ო დ სათათბიროს მხრივ დაშლაზე უ ა რ ი ს თ ქ მ ი ს პერსპექტივასთან დაკავშირებით. ჩვენ მზადა ვართ დავუშვათ, რომ სათათბიროს, რომელიც უ ა რ ს ა მ ბ ო ბ ს მხოლოდ კანონიერი ნიადაგით დაკმაყოფილდეს, შეუძლია მოძრაობას უფრო მეტი სამსახური გაუწიოს, ვიდრე ახლა უწევს. მაგრამ აქამდე ჩვენ ვხედავდით მხოლოდ კადეტური სათათბიროს' ბრძოლას შრომის ჯგუფელების გაუბედავ ცდებთან — დასდგომოდნენ ამ გზას. და ჩვენ არა გვაქვს «იმედი», რომ ბ-ნი როდიჩევი «სერიოზულად» ლაპარაკობდა. გარდა ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ, თუ ბატონ როდიჩევებს უნარი შესწევთ თუნდაც ოდესმე დაშორდნენ კანონიერ ნიადაგს და ისეთი ნაბიჯი გადადგან, როგორიც არის დაშლაზე უარისთქმა, ა ს ე თ ი მ ო მ ე ნ ტ ი ს ა რ ჩ ე ვ ა ნ ი მ თ ა ვ რ ო ბ ა ს რ ო დ ი უ ნ დ ა მ ი ე ნ დ ო ს. დაშლაზე უარისთქმა გადამწყვეტი შეტაკების ისეთი მომენტის არჩევაა, რომელიც მთავრობაზეა დამოკიდებული, რადგან მთავრობა გამოსცემს ბრძანებულებას სათათბიროს დათხოვნის შესახებ. ნამდვილად კი მათ, ვისაც სურს შეტაკებისთვის საუკეთესო მომენტის შერჩევა (ე. ი. შრომის ჯგუფელებმა, რადგან ჩვენ უფლება

არა გვაქვს კადეტების იმედი ვიქონიოთ), საქმე ისე უნდა წარმართონ, რომ ეს მომენტი თ ვ ი თ ო ნ მ ა თ ა ი რ-ჩ ი ო ნ, და არა ისე, რომ მისი არჩევანი მთავრობას მიანდონ. ხომ შესაძლებელია, რომ მთავრობამ ხელი არ შეუშალოს კადეტებს «კანონთა გროვის ახოხოლებაში», «კურიერის» მოხდენილი და გესლიანი თქმისა არ იყოს.

«ვოლნა» № 23,
1906 წ. 21 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით.

კაუტსკი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ [132]

გამოვიდა კ. კაუტსკის ახალი ბროშურა: «სახელმწიფო სათათბირო» (გამომცემლობა «ამირანი», სპბ. 1906 წ., ფ. 3 კ.). მეტისმეტად საინტერესოა აღვნიშნოთ ავტორის ზოგიერთი აზრი, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სადავო საკითხებს ეხება. უწინარეს ყოვლისა სათათბიროს ბოიკოტის შესახებ. მკითხველებს, რა თქმა უნდა, მოეხსენებათ, თუ რა იაფფასიანი ფანდით იშორებდნენ და იშორებენ თავიდან ამ საკითხს ჩვენი, მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატები. ისინი მარტივად მსჯელობენ. სპპარლამენტო ბრძოლაში მონაწილეობა სოციალ-დემოკრატიზმია, მონაწილეობის მიუღებლობა — ანარქიზმია. მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ბოიკოტი შეცდომა იყო, ხოლო ბოლშევიკები ანარქისტები არიანო. სწორედ ასე მსჯელობდა, მაგალითად, ვაი-სოციალ-დემოკრატი ამხ. ნეგორევი, ასევე მსჯელობს უამრავი მისი თანამოაზრეც.

კაუტსკი მარქსისტია. ა მ ი ტ ო მ ი ვი სხვანაირად მსჯელობს. მას აუცილებლად მიაჩნია რუსეთის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი პირობების განხილვა და არა ევროპელისათვის შაბლონური სიტყვების განმეორება.

«ასეთ პირობებში, — წერს კაუტსკი დუბასოვის წესების მოკლედ დასურათების შემდეგ, — ასეთ პირობებში ს ა კ ვ ი რ ე ვ ე ლ ი ა რ ა ფ ე რ ი ა, რომ ჩვენი რუსი ამხანაგების უმრავლესობამ ასეთი გზით მოწვეული სათათბირო მხოლოდ სახალხო წარმომადგენლობის უაღრესად აღმაშფოთებელ გაყალბებად

მიიჩნია და გადაწყვიტა ბოიკოტი გამოეცხადებინა მისთვის და საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა არ მიეღო».

კაუტსკი ვერაფერს საკვირველს ვერ ხედავს «ბლანკიზმისა» და «ანარქიზმის» ტაქტიკაში. რა სასარგებლო და ჭკუისსასწავლი იქნება ჩაუფიქრდნენ ამას ამხანაგი პლეხანოვი და ყველა მენშევიკი!

«საკვირველი არაფერია იმაში, — წერს შემდეგ კაუტსკი, — თუ ჩვენი რუსი ამხანაგების უმრავლესობამ, იმის მაგივრად, რომ საარჩევნო კამპანიაში ჩაბმულიყო, რათა შემდეგ სათათბიროში მოხვედრილიყო, უ ფ რ ო მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ა დ მ ი ი ჩ ნ ი ა ებრძოლნა ამ სათათბიროს ჩასაშლელად და დამფუძნებელი კრების მისაღწევად».

აქედან დასკვნა ცხადია. მარქსისტებმა კონკრეტული ისტორიული საკითხები უნდა გადაწყვიტონ მომენტის ყველა პოლიტიკური პირობის ყურადღებით გარჩევის საფუძველზე და არა ბლანკიზმ-ანარქიზმის დაპირისპირებისა და სხვათა შესახებ ცარიელი ფრაზების საფუძველზე.

მაშინ, როდესაც ჩვენში სოციალ-დემოკრატებს შორის მოდად შემოდის კადეტების კვალდაკვალ იმის განმეორება, რომ ბოიკოტი შეცდომა იყოო, კაუტსკი საკითხებს სავსებით მიუდგომლად არჩევს და აზრადაც არ მოსდის ასეთი დასკვნის მსგავსი რამ. იგი არ ჩქარობს მონურად ქედი მოიხაროს სათათბიროს მოწვევის ფაქტის წინაშე, თუმცა უკვე ისეთ დროს წერს, როდესაც «სათათბიროს ჩაშლის» ცდის წარუმატებლობა უკვე ფაქტი გახდა. მაგრამ კაუტსკი იმათგანი როდია, ვინც ყოველი წარუმატებლობის (თუნდაც, მაგ., დეკემბრის წარუმატებლობის) შემდეგ ჩქარობს მონანიებასა და «შეცდომის» აღიარებას. კაუტსკიმ იცის, რომ პროლეტარიატის ბრძოლის წარუმატებლობა ყოველთვის მის «შეცდომას» სულაც არ ნიშნავს.

კაუტსკის ბროშურის მეორე მნიშვნელოვანი ადგილი ეხება იმ საკითხს, თუ ვინ, ე. ი. საზოგადოების რომელი კლასები ან ჯგუფები, გაიმარჯვებს რუსეთის თანამედროვე რევოლუციაში. «გლეხები და პროლეტარიატი — წერს კაუტსკი —

სულ უფრო და უფრო ენერგიულად და უცერემონიოდ» (დაიხსომეთ ეს, «ნევსკაია გაზეტას» თანამშრომელო ამხანაგებო, კადეტების «სიბრძნეს» რომ იწონებდით!) «წაუბიძგებენ მარცხნივ სათათბიროს წევრებს, სულ უფრო და უფრო მეტად გაამაგრებენ მ ი ს მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ფ რ თ ა ს, სულ უფრო და უფრო მეტად შეასუსტებენ და მოადუნებენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, ვიდრე მ ა თ ს ა ვ ს ე ბ ი თ ა რ დ ა ა მ ა რ ც ხ ე ბ ე ნ» (გვ. 8).

ამრიგად, კაუტსკი მოელის, რომ რუსეთის თანამედროვე რევოლუციაში გ ლ ე ხ ე ბ ი და პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი გაიმარჯვებენ. იქნებ აგვიხსნან ამხანაგმა მენშევიკებმა, რა განსხვავებაა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურასა და მათ გამარჯვებას შორის? ხომ არ დააბრალებენ კაუტსკის ბლანკიზმს ან ნაროდოვოლცობას იმ იდეისათვის, რომ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ რევოლუციაში შეიძლება გ ა ი მ ა რ ჯ ვ ო ს არა ბურჟუაზიამ, არამედ გლეხობამ და პროლეტარიატმა?

ვინც მოინდომებს ამ საკითხზე დაფიქრებას, იგი მიუახლოვდება მენშევიკების ძირითადი შეცდომის გარკვევას, მენშევიკებისა, რომლებიც ყოველთვის იქით იხრებიან, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიის მეთაურობაზე და რომელთაც ამიტომ ყოველთვის ეშინიათ გლეხობისა და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის იდეისა (ხოლო რევოლუციაში გამარჯვება სწორედ ძალაუფლების დაპყრობაა).

კ. კაუტსკის მესამე მნიშვნელოვანი და საგულისხმო აზრი — ეს არის აზრი იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც სათათბიროს აქვს, როგორც ახალ ცენტრს, როგორც დიდ ნაბიჯს მოძრაობის ორგანიზაციის საქმეში. «რა მიმართულებითაც უნდა წავიდეს სათათბირო, — ამბობს კაუტსკი, — ის უშუალო და არაუშუალო, ნებსითი თუ უნებლიე ბიძგი, რომელსაც იგი ამიერიდან რევოლუციას აძლევს, ერთსა და იმავე დროს მოახდენს მოქმედებას მთელს რუსეთში და ყველ-

გან ერთსა და იმავე დროს საწინააღმდეგო მოქმედებას გამოიწვევს».

ეს სავსებით სამართლიანია. ვინც ახლა ბოლშევიკებს მიაწერს იმ აზრს, თითქოს ისინი სათათბიროს «გვერდის ავლას» ანდა მის გარეკასაც კი გვირჩევენ, თითქოს ისინი სათათბიროს უგულებელჰყოფენ, იგი ტყუის. ჯერ კიდევ გამაერთიანებელ ყრილობაზე ბოლშევიკებმა შეიტანეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო:

«სოციალ-დემოკრატიამ უ ნ დ ა გ ა მ ო ი ყ ე ნ ო ს სახელმწიფო სათათბირო და მისი შეტაკებანი მთავრობასთან ანდა კონფლიქტები მის შიგნით, ებრძოლოს მის რეაქციულ ელემენტებს, ულმობლად გამოამჟღავნოს კადეტების არათანამიმდევრობა და მერყეობა, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა მიაქციოს გლეხთა რევოლუციური დემოკრატიის ელემენტებს, გააერთიანოს ისინი, დაუპირისპიროს ისინი კადეტებს, მხარი დაუჭიროს მათს ისეთს გამოსვლებს, რომლებიც შეეფერებიან პროლეტარიატის ინტერესებს» *, და სხვ.

ვინც მოისურვებს იმსჯელოს ბოლშევიკებზე მათი რეზოლუციებისა და არა ნეგორევების ლათაიების მიხედვით, იგი დაინახავს, რომ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს საკითხში კაუტსკისა და ბოლშევიკებს შორის ა რ ა ვ ი თ ა რ ი უ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ა არ ა რ ს ე ბ ო ბ ს.

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული საპარლამენტო ფ რ ა ქ ც ი ი ს შ ე ს ა ხ ებ კაუტსკი ხსენებულ ბროშურაში სრულიად არაფერს ამბობს.

«ვესტნიკ ჟიზნი» № 6,
1906 წ. 23 მაისი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება
ჟურნალ «ვესტნიკ ჟიზნის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 351. რ ე დ.

კადეტები, შრომის ჯგუფელები და მუშათა პარტია

თუმცა ძალიან დამახინჯებულია ხალხის წარმომადგენლობა სახელმწიფო სათათბიროში საარჩევნო კანონისა და არჩევნების ვითარების მეოხებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისიც კი ცოტა მასალას არ იძლევა რუსეთის სხვადასხვა კლასის პოლიტიკის შესასწავლად. ისიც კი გვეხმარება ამ საკითხში შემცდარი ან ვიწრო შეხედულებანი გამოვასწოროთ.

სულ უფრო ცხადი ხდება სისწორე ბურჟუაზიულ პარტიათა იმ დაყოფისა სამ მთავარ ტიპად, რომელსაც ბოლშევიკები იცავდნენ გამაერთიანებელი ყრილობისათვის შემუშავებულ თავიანთი რეზოლუციის პროექტში *. ოქტიაბრისტები, კადეტები, რევოლუციური ანუ გლეხთა დემოკრატები — ასეთია ეს სამი მთავარი ტიპი. თავისთავად ცხადია, ყოველი ტიპის პარტიათა სრული და საბოლოო დარაზმულობის მოლოდინი არც უნდა გვქონდეს: მეტად მოკლე ხანია, რაც დაიწყო რუსი საზოგადოების სხვადასხვა კლასის აშკარა გამოსვლა რაოდენადმე თავისუფალ პოლიტიკურ ასპარეზზე.

ოქტიაბრისტები — ეს მემამულეებისა და მსხვილი კაპიტალისტების უკვე პირდაპირი კლასობრივი ორგანიზაციაა. ბურჟუაზიის ამ ნაწილის კონტრრევოლუციური (რევოლუციის საწინააღმდეგო) ხასიათი სავსებით ცხადია. იგი მთავ-

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 176 — 178. რ ე დ.

რობის მხარეზეა, თუმცა ჯერ კიდევ განაგრძობს მასთან დავას ხელისუფლების გაყოფის შესახებ. გეიდენები და კომპ. ხანდახან კადეტებსაც კი უერთდებიან ოპოზიციაში ძველი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ისეთი ადამიანებიც კი, რომელთაც მეტისმეტად ადვილად იტაცებს ყოველგვარი «ოპოზიცია», ამის გამო ოქტიაბრისტული პარტიის ნამდვილ დედაარსს არ ივიწყებენ.

კადეტები — მეორე ტიპის მთავარი პარტიაა. ეს პარტია ბურჟუაზიული საზოგადოების მარტოოდენ ერთ რომელიმე კლასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მთლად ბურჟუაზიულია. მისი იდეალია — ბატონყმობისაგან განწმენდილი, კეთილმოწყობილი ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელშიც პროლეტარიატისაგან დასაცავად უნდა არსებობდეს დაცვა... ზედა პალატის, მუდმივი არმიის, არაარჩეული მოხელეების, პრესის შესახებ საკატორღო კანონების და სხვ. სახით. კადეტები — ნახევრადმემამულური პარტიაა. იგი ოცნებობს რევოლუციისაგან თავის გამოყიდვას. მას ძველ ხელისუფლებასთან მორიგება სწყურია. მას ეშინია ხალხის რევოლუციური თვითმოქმედებისა. ამ პარტიის ქანაობა და მერყეობა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება იმისდა მიხედვით, რაც უფრო ავითარებს იგი აშკარა პოლიტიკურ მოქმედებას, განსაკუთრებით სახელმწიფო სათათბიროში. და ამიტომ ბეცი, წუთიერი წარმატებით დაბრმავებული ადამიანების ძახილი კადეტებისათვის მხარის დაჭერის შესახებ მუშათა კლასში ფართო გამოხმაურებას ვერასოდეს ვერ ჰპოვებს.

ბურჟუაზიულ პარტიათა მესამე ტიპია — შრომის ჯგუფელები, ე. ი. სახელმწიფო სათათბიროს გლეხთა დეპუტატები, რომელთაც ამ დღეებში თავიანთი პროგრამა გამოაქვეყნეს. რევოლუციური სოციალ-დემოკრატები რუსეთში ასეთი ტიპის პოლიტიკურ პარტიათა გაჩენას დიდი ხანია თვალყურს ადევნებდნენ. გლეხთა კავშირი ასეთი პარტიის ერთერთი უჯრედი იყო, ხელმოკლე ინტელიგენციის რადიკალური კავშირებიც რაოდენადმე მისკენვე იხრებოდნენ, სოციალისტ-

რევოლუციონერებიც ამავე მიმართულებით ვითარდებოდნენ, ველარ ეტეოდნენ რა ინტელიგენტური ჯგუფის ვიწრო გარსში. ამ მიმდინარეობის სახეთა და ელფერთა სხვადასხვაობა საკმაოდ ეფესაბამება რუსეთის «მშრომელი» წვრილი ბურჟუაზიის სახეთა სხვადასხვაობას და უდიდეს რაოდენობას. გლეხობა ამ მიმდინარეობის, ამ პარტიათა მთავარი დასაყრდენია. ობიექტური პირობები აიძულებს გლეხობას გადაჭრით იბრძოლოს მემამულეთა მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, მემამულეთა ხელისუფლებისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მთელი ძველი სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ საერთოდ. ეს ბურჟუაზიული დემოკრატია ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა რევოლუციური გახდეს, მაშინ როდესაც ლიბერალები, კადეტები და სხვანი წარმოადგენენ იმ ბურჟუაზიას, რომელიც თავისი არსებობის პირობების გამო ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა ძველ ხელისუფლებასთან მორიგება ეძიოს. შემდეგ, გასაგებია, რომ გლეხობა თავის მისწრაფებებს მოსავს უტოპიათა ფორმით, ე. ი. ისეთი განუხორციელებელი სურვილების ფორმით, როგორიცაა კაპიტალის ბატონობის შენარჩუნების დროს მიწათსარგებლობის გათანაბრება.

პროლეტარიატს აიძულებს უაღრესად დამოუკიდებელ კლასობრივ პარტიად ჩამოყალიბდეს იმის შეგნება, რომ მისი კლასობრივი ინტერესები განსხვავდება რევოლუციური დემოკრატიის ინტერესებისაგან. მაგრამ სოციალისტური პროლეტარიატი ფუჭ ოცნებათა მიმართ თავისი კრიტიკული დამოკიდებულების ამოცანის გამო არასოდეს არ დაივიწყებს თავის დადებით ამოცანას: მთელი ძალღონით მხარი დაუჭიროს რევოლუციურ დემოკრატიას ძველი ხელისუფლებისა და ძველი წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, გააფრთხილოს ხალხი ლიბერალური ბურჟუაზიის მერყეობის შესახებ და რევოლუციურ გლეხობასთან თავისი საბრძოლო შეთანხმებით შეამციროს ამ მერყეობის მავნებლობა.

ასეთი უნდა იყოს ახლანდელ მომენტში სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის მთელი ტაქტიკის, მთელი პოლი-

ტიკური მოქმედების ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი. გლეხობასთან ერთად რომ იმოქმედოს, იგი უნდა ცდილობდეს გაანათლოს, აამხედროს და ბრძოლაში ჩაბას გლეხობა, განუხრელად ამხილოს მისი რწმენა «შუამდგომლობისა», «განჩინებისა» და სახელმწიფო სათათბიროსადმი — შუამდგომლობის ამ სრულიად რუსეთის დაწესებულებისადმი. «შეაგნებინოს ფართო მასას სათათბიროს სრული გამოუსადეგრობა» (გამაერთიანებელი ყრილობის რეზოლუცია) — ასეთია პროლეტარიატის ამოცანა. და გლეხობასთან ერთად გამოსვლათა გულისთვის მან სასტიკად უნდა შეიკავოს თავი განცალკევებულ, უდროო აფეთქებათაგან. მაგრამ მომავალი გარდუვალი ბრძოლის წარმატების მიზნითვე აუცილებელია კადეტების მერყეობის ფრიად შეუბრალებელი მხილება, «სათათბიროს სრული გამოუსადეგრობის» საკითხის სრულიად ნათლად დაყენება, კადეტებსა და შრომის ჯგუფელთა შორის განსხვავების მიჩქმალვის ცდებთან უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა.

ა ი რ ა თვალსაზრისით უნდა შეაფასოს სოციალისტურმა პროლეტარიატმა კადეტებისა და შრომის ჯგუფელთა ურთიერთობა. აიღეთ მიწის რეფორმის საკითხი. კადეტებს სურთ გ ა მ ო ყ ი დ ვ ა. შრომის ჯგუფელებს კი სურთ მიწის მხოლოდ ს ა ზ ღ ა უ რ ი ს გაღება, — შეიძლება, პენსიის ანდა თავშესაფარში უფასო ადგილის სახით. «ვოლნამ» უკვე განმარტა, თუ რა დიდი განსხვავებაა გამოყიდვასა და თავშესაფარში მოთავსებას შორის. მუშათა პარტია მოითხოვს კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა ს, ე. ი. განსხვისებას გამოუყიდველად და უსაზღაუროდ, თუმცა ხელმოკლე მემამულეების თავშესაფარში მოთავსებაზე მუშათა პარტია, რა თქმა უნდა, უარს არ ამბობს. ცხადია, მუშათა პარტიამ შრომის ჯგუფელებს უნდა დაუჭიროს მხარი კადეტების წინააღმდეგ. რუსეთში მიწის გამოყიდვამ ერთხელ უკვე ითამაშა უაღრესად მავნე როლი — გააჩანაგა გლეხები, გაამდიდრა მემამულეები და გააძლიერა ძველი სახელმწიფო ხელისუფლება. რუსეთში ამჟამად გამოყიდვის მომხრენი მხოლოდ ისინი შეიძლება იყვნენ, ვინც სანახევროდ მთავრობის მომხრეა.

აიღეთ პოლიტიკური პროგრამა. კადეტებს სურთ ზედა პალატა და ხალხის არასრული ძალაუფლება. შრომის ჯგუფელები გადაჭრით ემხრობიან იმას, რომ საყოველთაო და სხვ. ხმისმიცემით არჩეული პარლამენტის ზემოთ არ უნდა იდგეს «არავითარი ზედნაშენი და დაბრკოლება სახელმწიფო საბჭოს, ბატონთა პალატის, მეორე პალატისა და სხვათა მსგავსი». შრომის ჯგუფი თითქმის სავსებით ღებულობს მუშათა პროგრამა-მინიმუმს 8-საათიანი სამუშაო დღით და სხვა. ცხადია, მუშათა პარტიამ აქაც შრომის ჯგუფელებს უნდა დაუჭიროს მხარი კადეტების წინააღმდეგ.

ავიღოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა ვუყოთ მიწას. კადეტებს სურთ მიწის ნაწილი გლეხებსა და მემამულეებს დაუტოვონ საკუთრებად, ნაწილი კი სახელმწიფოს გადასცენ. შრომის ჯგუფელებს სურთ მთელი მიწა, თუმცა არა ერთბაშად, სახელმწიფოს გადასცენ და თან გათანაბრებული მიწათსარგებლობა დააწესონ. ცხადია, შრომის ჯგუფი უ ფ რ ო შ ო რ ს მ ი დ ი ს მემამულეთა მიწათმფლობელობასა და საერთოდ მიწის კერძო საკუთრებასთან ბრძოლაში. მუშათა პარტიის უხეში შეცდომა იქნებოდა, ამ საკითხშიც კადეტების წინააღმდეგ შრომის ჯგუფელებს რომ არ დაუჭიროს მხარი. შეცდომები ერთისაც და მეორისაც სრულიად არ არის საიმისო საფუძველი, რომ მუშათა პარტიამ მხარი არ დაუჭიროს ნამდვილ რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას. კადეტებიც და შრომის ჯგუფელებიც ცდებიან, როდესაც შესაძლებლად მიაჩნიათ მიწების თუნდაც ნაწილის გადაცემა ისეთი სახელმწიფოს ხელში, რომელიც სრულიადაც არ არის სავსებით დემოკრატიული. სჯობს დაყოფა, ვიდრე ასეთი სახელმწიფოსათვის მიწის გადაცემა. მაგრამ ეს შეცდომა, სამწუხაროდ, რსდმპ ყრილობამაც ჩაიდინა, როდესაც დაუშვა მიწების ნაწილის გადაცემა «დემოკრატიული» სახელმწიფოს ხელში ამ დემოკრატიზმის დ ო ნ ი ს ა და სისრულის ზ უ ს ტ ა დ გამოურკვევლად. კადეტებისა და შრომის ჯგუფის პროგრამების შედარება განსაკუთრებით თვალსაჩინოს ხდის სოციალ-დემოკრატიული ყრილობის შეცდომას.

შემდეგ, შრომის ჯგუფელები იმაში ცდებიან, თითქოს შესაძლებელი იყოს მიწათსარგებლობის «გათანაბრება» სასაქონლო მეურნეობის შენარჩუნების დროს. ეს წვრილბურჟუაზიული უტოპია მუშათა პარტიამ გადაჭრით უნდა ამხილოს და უარყოს.

მაგრამ წვრილი მეპატრონის ფუჭ ოცნებობასთან ბრძოლის გამო უგუნურება იქნებოდა თანამედროვე რევოლუციაში ამ კლასის ნამდვილი რევოლუციური საქმის დავიწყება. მარქსისტი ასე ვერ მოიქცევა. აღნიშნულ შეცდომას სჩადის, მაგალითად, «კურიერი», როდესაც ამბობს (№ 5): «შრომის ჯგუფის კანონპროექტი თავის ძირითად ხაზებში სრულიადაც არაა დამაკმაყოფილებელი» (სწორია!) და «ღირსი არ არის მუშათა კლასის მხრივ მხარის დაჭერისა» (არ არის სწორი!).

მუშათა პარტიამ აქაც **შრომის** ჯგუფს **უნდა** დაუჭიროს **მხარი** კადეტების წინააღმდეგ და თან სრული დამოუკიდებლობაც შეინარჩუნოს. როდესაც ვამხელთ როგორც ერთის, ისე მეორის შეცდომებს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ შრომის ჯგუფელები კადეტებზე უფრო შორს მიდიან, რომ შრომის ჯგუფელების შეცდომები პრაქტიკულ მნიშვნელობას მიიღებენ რევოლუციის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე კადეტების შეცდომები. კადეტების სახით ხალხი სპობს თავის ილუზიებს სახალხო თავისუფლებისა და ძველი ხელისუფლების შეერთების შესაძლებლობის შესახებ. შრომის ჯგუფელების სახით ხალხი მოსპობს თავის ილუზიებს «გათანაბრებისა» და კაპიტალიზმის შეერთების შესაძლებლობის შესახებ. კადეტების სახით ხალხი სპობს თავის პირველ ბურჟუაზიულ ილუზიებს; შრომის ჯგუფელების სახით იგი მოსპობს თავის უკანასკნელ ბურჟუაზიულ ილუზიებს. კადეტების ილუზიები ხელს უშლის ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებას. შრომის ჯგუფელების შეცდომები ხელს შეუშლის სოციალიზმის დაუყოვნებლივ გამარჯვებას (ასეთ დაუყოვნებლივ გამარჯვებაზე მუშები არც კი ოცნებობენ ამაოდ). აქედან ცხადია უდიდესი განსხვა-

ვება კადეტებსა და შრომის ჯგუფელებს შორის, და მუშათა პარტიამ მტკიცედ უნდა გაითვალისწინოს ეს განსხვავება.

ჩვენ რომ ეს არ გვექნა, სოციალისტურ პროლეტარიატს რევოლუციის ავანგარდიდან, გლეხობის უფრო შეგნებული მრჩეველიდან ლიბერალური ბურჟუაზიის შეუგნებელ ხელშემწყობად გადავაქცევდით.

«ვოლნა» № 25,
1906 წ. 24 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» ტექსტის მიხედვით

როგორ მსჯელობს ამხ. პლეხანოვი სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკაზე?

«კურიერის» ორ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ამხ. პლეხანოვის პირველი წერილი «ტაქტიკასა და უტაქტობაზე». ლიბერალურ-ბურჟუაზიულმა პრესამ უკვე აღნიშნა სრულიად სამართლიანად, რომ ამხ. პლეხანოვი ბევრად უფრო მარჯვნივ იხრება, ვიდრე გაზეთი «კურიერი». მთელი ეს პრესა ქება-დიდებას ასხამს ამხ. პლეხანოვს და მას მთელ დანარჩენს სოციალ-დემოკრატიას უპირდაპირებს.

ჩავუკვირდეთ ამხ. პლეხანოვის ამ მსჯელობას უფრო გულდამშვიდებით.

ამხ. პლეხანოვი ეკამათება პოლტავის სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ «კოლოკოლს» [133]. მას იქიდან შემდეგი ციტატები მოჰყავს:

«მარტოოდენ სოციალ-დემოკრატიული პროგრამის მიღება — წერდა «კოლოკოლი» — ჯერ კიდევ არ ხდის არც ცალკეულ პიროვნებას სოციალ-დემოკრატად, არც თუგინდ მთელ ჯგუფს სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფად, ამისათვის საჭიროა სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის საფუძვლების მთლიანად მიღებაც.

სოციალ-დემოკრატიის განმასხვავებელი ნიშანი, რომლითაც იგი მთელი რიგი დანარჩენი პარტიებისაგან განირჩევა, მისი პროგრამის გარდა, არის მისი შეურიგებელი კლასობრივი პოზიცია ყველა დანარჩენი, ბურჟუაზიული პარტიის მიმართ».

ამხ. პლეხანოვი სასტიკად «უღერებს მუშტს» ამონაწერ ადგილებს. ჯერ ერთი, სიტყვა «პოზიციის» მაგივრად იგი მოითხოვს ჩაისვას სიტყვა: «ოპოზიცია». ჩვენ გვგონია, ეს

შესწორება სრულიადაც არ აუმჯობესებს, არამედ უფრო აუარესებს კიდეც ავტორის ნათქვამს. მეორე, ამხ. პლეხანოვი კორექტორის მუშაობას კისრულობს. ტექსტში არ არის დასმული სასვენი ნიშანი მძიმე სიტყვის «დანარჩენის» შემდეგ. უპრეტენზიო კორექტორები ასეთ შეცდომებს ჩვეულებრივ ჩუმად ასწორებენ. პრეტენზიანი კორექტორები ამის შესახებ თითქმის ნახევარ სვეტ ფელეტონს წერენ!

გადავიდეთ საქმეზე. რას უპასუხებს ამხ. პლეხანოვი არსებითად? იგი ამბობს: «ავტორს ყველა დანარჩენი * ბურჟუაზიული პარტია ერთ მთლიან რეაქციულ მასად წარმოუდგენიაო».

ეს მართალი არ არის. ციტირებულ სიტყვებში მსგავსი აზრის ნატამალიც კი არ არის. ხოლო ავტორის შემდგომ სიტყვებში, თვითონ პლეხანოვს რომ მოჰყავს, პირდაპირ განსხვავებულია ორგვარი სახის ბურჟუაზიული პარტიები: 1) «კადეტურ-ოპოზიციური» და 2) «მემარჯვენე». ამხ. პლეხანოვის ცდა — მიაწეროს ავტორს აზრი «ერთი მთლიანი რეაქციული მასის» შესახებ არათუ უსამართლოა, არამედ პირდაპირ არც ეკადრება სოციალისტს, რომელსაც სურს არსებითად იკამათოს.

«სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტია სხვადასხვა ფერად არის შეღებილიო», — ამბობს ამხ. პლეხანოვი. ჩვენ უკვე ცხადვყავით, რომ ეს სამართლიანი აზრი სრულიადაც არ არის უცხო «კოლოკოლში» მოთავსებული სტატიის ავტორისათვის, რომელიც განასხვავებს კადეტურ-ოპოზიციურ და მემარჯვენე «ფერს». მაშასადამე, მიუხედავად შარიანი, მაგრამ მოუხერხებელი კრიტიკოსის აზრისა, ავტორს არავითარი შეცდომა არ ჩაუდენია სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის «საფუძვლების» წინააღმდეგ. მაგრამ რევოლუციის დროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის გასარკვევად ბურჟუაზიული პარტიების ამ ორი «ფერის» განსხვავება

* ამხ. პლეხანოვიც ივიწყებს აქ მძიმის დასმას ან სიტყვის «დანარჩენის» გამოტოვებას, ე. ი. თვითონ იმეორებს იმ შეცდომას, რომლის გამოც იგი ამხანაგს მედიდურად ტუქსავდა!

ს ა კ მ ა რ ი ს ი რ ო დ ი ა. აქ ნამდვილი ხარვეზია «კოლოკოლის» აზრსა თუ თხრობაში, და ეს ხარვეზი ამხ. პლეხანოვს ვერ შეუმჩნევია. იგი არარსებულ ხარვეზებს თხზავდა და ნამდვილი ხარვეზი კი გამოეპარა.

თუ ამხ. პლეხანოვს სურდა ეკამათნა ბოლშევიკებთან * არსებითად და არა იმისათვის, რომ კადეტური გაზეთები გაერთო და გაეხარებინა, მას არ შეეძლო გაჩუმებულიყო იმაზე, რომ სწორედ ბოლშევიკები დიდი ხანია დაჟინებით მოითხოვენ — აუცილებელია განვასხვავოთ, ყოველ შემთხვევაში, ს ა მ ი მთავარი «ფ ე რ ი ს» ბურჟუაზიული პარტიები მაინცაო. სწორედ აქ მარხია ო რ ი ტ ა ქ ტ ი კ ი ს ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება, და ამაოა ამხ. პლეხანოვის იმედები მიჩქმალოს პოლიტიკურ ტაქტიკათა ეს განსხვავება «უტაქტობის» გამო ობივატელურ-მეშჩანურ ოხვრათა შემწეობით.

ამ ერთი წლის წინათ საზღვარგარეთ გამოვიდა ბოლშევიკური ბროშურა «ორი ტაქტიკა» **, რომელიც შემდეგ რუსეთშიც გამოიცა. მასში ამტკიცებდნენ, რომ მთელი მენშევიზმის ძირითადი შეცდომაა იმის გაუგებლობა, თუ სახელდობრ ბურჟუაზიის რომელ ელემენტებს შეუძლიათ, პროლეტარიატთან ერთად, ბოლომდე მიიყვანონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთშიო. მენშევიკები აქამდეც მუდამ იმას გაიძახიან, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია სწორედ «ბურჟუაზიამ» (საერთოდ ბურჟუაზიამ, «ფერთა» განურჩევლად!) უნდა მოახდინოს, პროლეტარიატი კი მას უნდა დაეხმაროსო. ამიტომ მენშევიკები (და მათ შორის პლეხანოვიც) ვერასოდეს ვერ ახერხებდნენ რაოდენადმე მაინც მარქსისტულად გაერკვიათ, რ ა იქნება კლასთა პოლიტიკური

* ჩვენ არ ვიცნობთ არც «კოლოკოლში» მოთავსებული სტატიის ავტორს, არც ამ სოციალ-დემოკრატიული გაზეთის რედაქციასა და მიმართულებას საერთოდ. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს პლეხანოვის «კრიტიკის» ზოგადი აზრი და არა სპეციალურად მისი პოლემიკა «კოლოკოლის» წინააღმდეგ.

** იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 9, გვ. 1 — 162. რ ე დ.

გადაჯგუფების თვალსაზრისით «თანამედროვე რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება», თუმცა გადამწყვეტ ბრძოლაზე, რეზოლუციებშიც კი, ისინი ლაპარაკს არ ერიდებოდნენ. ბოლშევიკების მტკიცება, რომ გადამწყვეტი გამარჯვება შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა, მათ არ მოსწონდათ, მაგრამ ვერც მისი უარყოფა, ვერც შესწორება ან გადასხვაფერება მათ ვერ შესძლეს.

ბოლშევიკები ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ, რომ სწორედ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში პროლეტარიატის მტკიცე და სერიოზული მოკავშირე (თვით ამ რევოლუციის გამარჯვებამდე) შეიძლება იყოს მხოლოდ გლეხობაო. გლეხობაც «ბურჟუაზიული დემოკრატიაა», მაგრამ სულ სხვა «ფერისა», ვიდრე კადეტები ან ოქტიაბრისტები. ამ ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა სურს მას, ისტორიამ რუსეთის «ძველი წესწყობილების» მიმართ ნამდვილად რევოლუციური მიზნები დაადგინა. ეს ბურჟუაზიული დემოკრატია იძულებულია იბრძოლოს მემამულეთა ხელისუფლებისა და მასთან დაკავშირებული ძველი სახელმწიფო ხელისუფლების თვითსაფუძველთა წინააღმდეგ. ამ ბურჟუაზიულ დემოკრატიას ობიექტური პირობები არ «აიძულებს» მთელი ძალღონით ისწრაფოდეს ძველი ხელისუფლების შენარჩუნებისაკენ, რევოლუციის დამთავრებისაკენ ძველ ხელისუფლებასთან მორიგების გზით. ამიტომ ეს ბურჟუაზიული დემოკრატია, მისი ტენდენციებით, — რომლებიც შეპირობებულია იმით, რაც მან ძალაუნებურად უნდა აკეთოს, — არის რევოლუციური დემოკრატია. და ბოლშევიკებიც სოციალისტური პროლეტარიატის ტაქტიკას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს ასე განსაზღვრავდნენ: პროლეტარიატი უნდა გაუძღვეს გლეხობას, ისე რომ მასში არ გაითქვიფოს, უნდა გაუძღვეს ძველი ხელისუფლებისა და ძველი წესწყობილების წინააღმდეგ, გააქარწყლოს მერყეობა და ქანაობა ლიბერალური ბურჟუაზიისა,

რომელიც სახალხო თავისუფლებასა და ძველ ხელისუფლებას შორის ყოყმანობს.

მენშევიკებმა ვერ გაიგეს სწორედ ეს საფუძვლები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის ტაქტიკისა ახლანდელ ეპოქაში. ეს საფუძვლები ვერც ამხ. პლეხანოვმა გაიგო. და სწორედ ჩვენი ტაქტიკის ამ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი საკითხის გვერდის ავლას, მიჩქმალვას და დაფარვას ცდილობს იგი თავისი მსჯელობით კალმისა და ბეჭდვითს შეცდომებზე, თავისი უხეიროდ შერჩეული ციტატებით და სხვ.

თვითონ განსაჯეთ. «კურიერის» მეხუთე ნომერში პლეხანოვი იქამდე მიდის, რომ ბოლშევიკებს მიაწერს აზრს: «პროლეტარიატს არ შეუძლია ბურჟუაზიის გვერდით იაროს... ეს ოპორტუნიზმიაო».

ჩვენ ჯერ ცოცხალი ვართ, ამხ. პლეხანოვო! ჩვენთვის ჰორის მოდება, როგორც მკვდრებისათვის, მხოლოდ თავის შერცხვენას ნიშნავს. ყველა, ვინც ოდნავ მაინც იცნობს «ვპერიოდს», «პროლეტარს», «ორ ტაქტიკას», «კადეტების გამარჯვებას» და ბოლშევიკების სხვა ბროშურებს, ერთბაშად დაინახავს, რომ პლეხანოვი ტყუის.

ბოლშევიკები უკვე წელიწადნახევარია იმეორებენ, მენშევიკების შეცდომა ისაა, რომ უნარი არ შესწევთ გამოჰყონ რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატია მთელი იმ ბურჟუაზიული დემოკრატიიდან, რომელიც სწორედ ახლა სწრაფად ჰკარგავს თავის რევოლუციურობასაო. ბოლშევიკები უკვე წელიწადნახევარია იმეორებენ, მენშევიკები ესერებთან «დაახლოების» სასაცილო შიშის გამო უზომოდ უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ი ა ნ კადეტებს, საკმარისად ვერ აფასებენ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ფ ე რ ი ს ბურჟუაზიულ დემოკრატიასაო. ბოლშევიკები იმეორებენ, მენშევიკების ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ივიწყებენ ძირითად ინტერესებს დემოკრატიისას და, მაშასადამე, ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ა ს ა ც, რადგან მისი რეალური წარმატებანი ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში შეუძლებელია დემოკრატიის წარმატებათა გარეშე, — ივიწყებენ ლიბერალიზმის დროებით

წარმატებათა გულისთვის, — რომ ისინი ბრმად ქედს იხრიან ერობის მოღვაწეთა თუ კადეტების მოჩვენებითი ტრიუმფის წინაშეო.

აი რაშია თქვენი ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი, ამხანაგო პლეხანოვო!

მარქსი გვასწავლიდა — გაიძახის პლეხანოვი — «ვიკითხოთ არა ის, თუ რ ა ს უ რ თ ბურჟუებს, არამედ ის, რაც ძ ა ლ ა უ ნ ე ბ უ რ ა დ უ ნ დ ა აკეთონ მათ».

სწორედ რომ ასეა, ამხანაგო პლეხანოვო. მარქსის სწორედ ამ სწავლებას ვიწყებთ თქვენ და მარქსს ისევე ამაოდ იმოწმებთ, როგორც ამაოდ იმოწმებდა მას მარქსიზმის ძირის გამომთხრელი ბერნშტეინი. თქვენ გავიწყდებათ, რომ კ ა დ ე ტ ე ბ ი «იძულებული» არიან ძველ ხელისუფლებას მ ო უ რ ი გ დ ნ ე ნ, ხოლო გ ლ ე ხ თ ა ა ნ უ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა «იძულებულია» გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართოს მას, — ანდა, ყოველ შემთხვევაში, — რომ კადეტებს მხოლოდ მორიგების უნარი შესწევთ, გლეხებს კი სერიოზული ბრძოლის უნარიცა აქვთ. ზ ო გ ა დ ი ფრაზებით იმის შესახებ, რაც ძალაუნებურად უნდა აკეთონ ბურჟუებმა ს ა ე რ თ ო დ, ამხ. პლეხანოვი ჩ ქ მ ა ლ ა ვ ს კონკრეტულ საკითხს იმის შესახებ, რაც ძალაუნებურად უნდა აკეთონ კადეტების ფ ე რ ი ს «ბურჟუებმა» და რევოლუციური დემოკრატიის ფ ე რ ი ს ბურჟუებმა.

ახლა თვითონვე განსაჯეთ, ვის არა აქვს ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ჩვენს დროში რ უ ს ე თ ი ს ბურჟუაზიის სხვადასხვა ფერის გარჩევის უნარი? ვინ უმასპინძლდება მუშებს სქოლასტიკით, პედანტობით და «ჭეშმარიტების მუმიით» იმის მაგივრად, რომ მიუთითოს სწორედ ახლანდელ მომენტში არსებით განსხვავებაზე ბურჟუაზიული დემოკრატიის შიგნით?

იმ მკითხველებმა, რომელთაც სერიოზულად აინტერესებთ ეს საკითხი, უნდა გადაწყვიტონ იგი არა შემთხვევითი შთაბეჭდილების საფუძველზე, არამედ სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურისა და ყრილობების გადაწყვეტილებათა სერიოზული შესწავლის გზით. აიღეთ ყრილობის რეზოლუ-

ცია სახელმწიფო სათათბიროს შესახებ და შეადარეთ იგი ბოლშევიკების რეზოლუციის პროექტს *. თქვენ დაინახავთ, რომ სწორედ ყრილობის რეზოლუციას (მენშევიკურს) ა რ ა ა ქ ვ ს უ ნ ა რ ი ნათელი ზღვარი გაავლოს გლეხურ და კადეტურ დემოკრატიას შორის. ბოლშევიკების რეზოლუცია, პირიქით, სწორედ ამ განსხვავებაზე მიუთითებს დაჟინებით. ყრილობის რეზოლუცია იმის რჩევას სჯერდება, რომ ვამხილოთ ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიული პარტიის არათანამიმდევრობაო, ჩვენი რეზოლუცია კი ლაპარაკობს კადეტების მერყეობასა და იმაზე, რომ აუცილებელია შევაკავშიროთ და დავუპირდაპიროთ მათ გლეხური დემოკრატიაო. ამ მხრივ ყრილობის რეზოლუცია არაფრად არ ვარგა, რადგან ყ ვ ე ლ ა ქვეყნის სოციალისტები ყ ო ვ ე ლ დროს ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიულ პარტიას უნდა ამხელდნენ; ვინც ამას სჯერდება, იგი მ ო წ ა ფ ე ს ა ვ ი თ ი მ ე ო რ ე ბ ს მარქსიზმის დაზეპირებულ სიტყვებს, მაგრამ უნარი კი არ შესწევს მათი შეთვისებისა და რუსეთისადმი მიყენებისა. სწორედ ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში იმის თქმა: «ამხილეთ ყველა ბურჟუაზიული პარტიაო», ეს არაფრის თქმას და თვით ტყუილის თქმასაც კი ნიშნავს, რადგან სერიოზული და საქმიანი მხილება შესაძლებელი ხდება მხოლოდ ი ს ტ ო რ ი უ ლ ასპარეზზე ა მ ა თ უ ი მ ბურჟუაზიული პარტიის გამოსვლის მიხედვით. პირიქით, ჩვენი რეზოლუცია სწორედ იმ «ფერებს» განასხვავებს, რომლებიც ა მ ჟ ა მ ა დ თამაშობენ პოლიტიკურ როლს. ამიტომ სახელმწიფო სათათბიროს პირველმავე ნაბიჯებმა ს წ ო რ ე დ ჩ ვ ე ნ ი რეზოლუცია დაადასტურა და ყველას თვალნათლივ დაანახა კადეტების მერყეობა და «შრომის ჯგუფელების» უფრო რევოლუციური დედაარსი.

მეორე მაგალითი. ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების საკითხი. როგორ წყვეტდნენ მას მენშევიკები ყრილობამდე? ზოგადი ფრაზებით: იხილე რეზოლუციის მათი პროექტი. ხოლო ბოლშევიკები? იმით, რომ განასხვავებდ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 350—352. რ ე დ.

ნენ ბურჟუაზიული ოპოზიციის ს ა მ სახეს: ოქტიაბრისტები, კადეტები და რევოლუციური დემოკრატები (იხ. ბოლშევიკური რეზოლუციის პროექტი) *. როგორ გადაწყვიტა ეს საკითხი ყრილობამ? მენშევიკებმა ვ ე რ გ ა ბ ე დ ე ს თავისი რეზოლუციის წამოყენება და ა მ ს ტ ე რ დ ა მ ი ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ა დ ა ა დ ა ს ტ უ რ ე ს! ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის რუს სოციალ-დემოკრატებს რუსეთის სხვადასხვა ფერის ბურჟუაზიის შესახებ სხვა ვერაფრის თქმა მოუხერხებიათ, გარდა იმისა, რომ იმეორებენ იმას, რასაც ყველა ქვეყნის ევროპელები ამბობენ ბურჟუაზიული რევოლუციის ასი წლის შემდეგ!!

ნუთუ ცხადი არ არის, რომ პატივცემული პლეხანოვი საკუთარ სატკივარს სხვას ახვევს თავს?

აიღეთ ამხ. პლეხანოვის მსჯელობა გერმანიის 40-იანი წლების «ჭეშმარიტ სოციალიზმზე». რა შეადგენს ამ «ჭეშმარიტი სოციალიზმის» დედაარსს? კლასობრივი ბრძოლისა და პოლიტიკური თავისუფლების მნიშვნელობის გაუგებლობა, ერთი მხრივ. შემდეგ, თანამედროვე პოლიტიკურ ბრძოლაში ბურჟუაზიის ამა თუ იმ ფენის მნიშვნელობის განსხვავების უუნარობა. განა სასაცილო არ არის, რომ ამხ. პლეხანოვი ცდილობს ჩ ვ ე ნ გვისაყვედუროს ეს, როდესაც სწორედ ის, სათავეში უდგას რა მენშევიკებს, ჩ ქ მ ა ლ ა ვ ს, ახლანდელი მომენტის პირობების მიხედვით, ძირითად განსხვავებას კადეტურ-ოპოზიციურ და რევოლუციურ-დემოკრატიულ ბურჟუაზიას შორის?

საერთოდ ეს საყვედური ბოლშევიკების მიმართ «ჭეშმარიტი სოციალისტებისადმი» სიახლოვის შესახებ ღირს იმად, რომ მას დასცინო. აბა ერთი ჩაუფიქრდით: ჩვენ ყველანი და ყოველთვის ერთხმად გვისაყვედურებდნენ მეტისმეტ პირდაპირობას, გაქვავებულობას და უდრეკობას. ამავე დროს კი ჩვენი ოპონენტები «ბლანკისტებსაც» გვიწოდებენ, «ანარქისტებსაც» და «ჭეშმარიტ სოციალისტებსაც». ბლანკისტები — შეთქმულები არიან (არასოდეს არ უჭერდნენ მხარს საყო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 176 — 178. რ ე დ.

ველთაო გაფიცვას), ისინი აზვიადებენ რევოლუციური ხელისუფლების მნიშვნელობას. ანარქისტები სავსებით უარყოფენ როგორც რევოლუციურ, ისე ყოველ'გვარ სხვა ხელისუფლებას და ბლანკიზმის მკაცრ ორგანიზაციას სრულ დეზორგანიზაციულ თავაშვებულობას უპირისპირებენ. «ჭეშმარიტი სოციალისტები» რაღაც მშვიდობის მქადაგებელთა მსგავსი იყვნენ, ნახევრად მეკულტუროსნები, არარევოლუციონერები, გაუგებარ მსჯელობათა და განყენებული ქადაგების გმირები. მენშევიკები უკეთესად ვერაფრით გაიმათრახებდნენ თავს, როგორც ბოლშევიკების წინააღმდეგ ამ ურთიერთგამომრიცხველ ბრალდებათა შეთხზვით. ამ ბრალდებებზე პასუხის გასაცემად ჩვენთვის საკმარისია მივუთითოთ მენშევიკების ამ დომხალზე.

პირიქით, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ, რომ მენშევიკები წარმოადგენენ სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთას, რომელიც იხრება ოპორტუნიზმისაკენ, ე. ი. პროლეტარიატის მტკიცე, არსებითი, ძირითადი ინტერესების დავიწყებისაკენ წუთიერი ინტერესების გულისთვის, წუთიერი სულისკვეთების, მდგომარეობისა და ურთიერთობისადმი «შეგუების» მოჩვენებითი შესაძლებლობის გულისთვის.

რას წარმოადგენს ამხ. პლეხანოვის მთელი ახლანდელი ტაქტიკა? მონურად ქედის მოხრას კადეტების წარმატების წინაშე, მათი ახლანდელი ქცევის უამრავი უარყოფითი მხარეების დავიწყებას, ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციურ ელემენტთან შ ე დ ა რ ე ბ ი თ კადეტების რეაქციულობის მიჩქმალვას, იმ მუშათა და გლეხთა შეგნების დაბნელებას, რომელთაც ჯერ კიდევ შეუძლიათ იწამონ «შუამდგომლობანი» და სათამაშო პარლამენტი.

კადეტები მთელი ძალღონით ცდილობენ თავი მოგვაჩვენონ ბურჟუაზიულ დემოკრატიად საერთოდ, დაფარონ თავიანთი უთანხმოება შრომის ჯგუფთან, მიჩქმალონ თავიანთი უთანხმოებანი გლეხურ დემოკრატიასთან, მიაღწიონ იმას, რომ მხარი დაუჭირონ ბურჟუაზიული დემოკრატიის სწორედ მემარჯვენე, არასაიმედო ფრთას. ამხ. პლეხანოვი, მიუხედა-

ვად იმისა, თუ რისი მიღწევა სურს მას, მხოლოდ ერთს აღწევს: იგი სინამდვილეში მხარს უჭერს კადეტების ამ რეაქციულ მისწრაფებას. სწორედ ამიტომ ასხამენ მას ხოტბას კადეტები.

ამხ. პლეხანოვი ამბობს: ჯერ კიდევ 1903 წ. (რსდმპ II ყრილობა) მე ვეკამათებოდი პარტიის მაშინდელ მემარჯვენე ფრთას (აკიმოვს, მარტინოვს და სხვ.) და ვიცავდი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ყოველგვარი ოპოზიციური მოძრაობისათვის მხარის დაჭერის აუცილებლობას. ასეთივე შეხედულებისა იყო მარქსი 1847 წელსაო. და პლეხანოვს სურს მკითხველები დაარწმუნოს, ბოლშევიკებმა ეს ჭეშმარიტება დაივიწყესო.

ამხ. პლეხანოვი ცდება. ოპოზიციისათვის მხარის დაჭერის ზოგად დებულებას არ უარყოფენ ისინი, ვინც ამ ოპოზიციური და რევოლუციური ბურჟუაზიის ამათუიმნაწილისათვის ამჟამად მხარის დაჭერის კონკრეტულ საკითხს წყვეტს. პლეხანოვის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი კონკრეტულ ისტორიულ საკითხს აბსტრაქტული მოსაზრებით ცვლის. ეს ერთი. მეორეც, ამხ. პლეხანოვის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მას რუსეთის ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე სრულიად არაისტორიული შეხედულება აქვს. პლეხანოვს ავიწყდება, თუ რარიგ იცვლება ამ ბურჟუაზიული დემოკრატიის სხვადასხვა ფენის მდგომარეობა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად წინ მიდის რევოლუცია. რაც უფრო მაღლა იწევს რევოლუცია, მით უფრო სწრაფად შორდებიან მას ბურჟუაზიის ყველაზე ნაკლებ რევოლუციური ფენები. ვისაც ეს არ ესმის, იგი ვერაფრის ახსნას ვერ შესძლებს ბურჟუაზიული რევოლუციის მსვლელობაში საერთოდ.

ორიოდე მაგალითი თქმულის განსამარტებლად.

მარქსი 1847 წელს მხარს უჭერდა გერმანიის ბურჟუაზიის მეტად გაუბედავ ოპოზიციას მთავრობის წინააღმდეგ [134]. 1848 წელს იგი შეუბრალებლად, გამძვინვარებით ჰგმობდა ლაფში სვრიდა ძალიან რადიკალურ გერმანელ კადეტებს, —

ჩვენს კადეტებზე ბევრად უფრო მემარცხენეებს, — რომელნიც «ორგანულ მუშაობას» ეწეოდნენ ფრანკფურტის პარლამენტში, მთელ ქვეყნიერებას არწმუნებდნენ, ამ ორგანულ მუშაობას ყველაზე დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა აქვსო, და ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ აუცილებელი იყო რეალური ძალაუფლებისათვის ბრძოლა [135]. უღალატა თუ არა მარქსმა თავის თავს? გადავიდა თუ არა იგი სხვა თვალსაზრისზე? გადავარდა თუ არა ბლანკიზმში (როგორც ფიქრობენ ბერნშტეინელები და გერმანელი ლიბერალი პროფესორები)? სრულიადაც არა. რ ე ვ ო ლ უ ც ი ა წ ი ნ წ ა ვ ი დ ა. მას ჩ ა მ ო რ ჩ ნ ე ნ არა მარტო 1847 წლის გერმანელი «შიპოველები», არამედ 1848 წლის გერმანელი «კადეტებიც». როგორც მოწინავე კლასის ინტერესთა ერთგული დარაჯი, მარქსი შეუბრალებლად ამათრახებდა ჩამორჩენისათვის და ამათრახებდა სწორედ იმათ, ვინც ამ ჩამორჩენილთაგან ყველაზე გავლენიანი იყო.

პლეხანოვი მარქსს იმოწმებს და მარქსს ამახინჯებს.

მეორე მაგალითი.

1903 წელს და მასზე ადრეც — 1901 — 1902 წლებში ძველი «ისკრა» მხარს უჭერდა «შიპოველებს», ე. ი. მაშინდელ გაუბედავ ლიბერალ ერობელებს, რომელნიც ბ-ნ სტრუვესთან ერთად აყენებდნენ ლოზუნგს: «უფლებები და ძალაუფლებიანი ერობა». რევოლუცია წინ მიდიოდა, — და სოციალ-დემოკრატებიც, ასე ვთქვათ, ბურჟუაზიის ოპოზიციური ზედა ფენებისაგან მისი რევოლუციური ქვედა ფენების მხარეზე გადადიოდნენ. შიპოველებს ისინი «სდევნიდნენ» კონსტიტუციის ბუნდოვანი მოთხოვნისათვის; — კონსტიტუციონალისტებს — საყოველთაო და სხვ. საარჩევნო უფლების უგულებელყოფისათვის; — იმათ, ვინც ამ უკანასკნელს აღიარებდა — რევოლუციის აუღიარებლობისათვის და ა. შ., მთელი დემოკრატიული მოძრაობის განვითარების, გაფართოებისა და გაღრმავების მიხედვით. უღალატეს თუ არა თავის თავს რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა, რაკი 1901 — 1902 წლების ეპოქაში ოპოზიციური «შიპოვე-

ლებისთვის» მხარის დაჭერისგან 1905 — 1906 წლებში რევოლუციური გლეხებისათვის მხარის დაჭერაზე გადავიდნენ? სრულიადაც არა. ისინი თავიანთი პრინციპების ერთგულნი დარჩნენ.

თავის თავს უღალატა ამხ. პლეხანოვმა, რომელსაც კადეტების წუთიერი გამარჯვების გამო ცხოვრების მიერ უკვე წამოყენებული უფრო მაღალი დემოკრატიული ამოცანები გამოეპარა.

გავყვეთ ქვევით. აი განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითი, თუ რა უაღრესად არაკრიტიკულად ეპყრობა პლეხანოვი კადეტურ სათათბიროს.

ამხ. პლეხანოვს «კოლოკოლიდან» შემდეგი ციტატი მოჰყავს:

«თუ ამ ზოგად დებულებებს საპარლამენტო მუშათა ჯგუფს მივუყენებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ჯგუფი რუსეთის პროლეტარიატის ყველაზე მებრძოლი და შეგნებული ნაწილის ნამდვილ მისწრაფებათა გამომხატველი მხოლოდ იმდენად იქნება, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმდენად უწოდებენ მას სოციალ-დემოკრატიულს, რამდენადაც იგი სათათბიროში თავისი მოქმედების დროს სოციალ-დემოკრატიის ძირითად ტაქტიკურ საწყისებს გაატარებს.

სათათბიროს საერთო კადეტურ-ოპოზიციურ ბაობში კი არ უნდა ჩაეფლო, კუდში კი არ უნდა მისჩანჩალებდე სათათბიროს კადეტურ უმრავლესობას, არამედ უნდა დაუპირისპირდე ამ უმრავლესობას, უნდა ამხილო მის მისწრაფებათა შეზღუდულობა, «მემარჯვენე» პარტიებთან და მთავრობასთან შეთანხმებისადმი მიდრეკილება — აი პროლეტარიატის წარმომადგენელთა ერთადერთი შესაფერისი და იმავე დროს ჭეშმარიტად სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკა, რომელსაც ჩვენ დაჟინებით უნდა ვურჩევდეთ მუშათა წარმომადგენლებს სახელმწიფო სათათბიროში. ყოველგვარი სხვა ტაქტიკა კი, აბნელებს რა კლასობრივ თვითშეგნებას პროლეტარიატისას, რომლის წარმომადგენლებადაც სათათბიროში თელიან თავიანთ თავს ამ ჯგუფის წევრები, გადააქცევს მათ ბურჟუაზიულ პარტიათა დამჭაშებად და იარაღად, რომელიც რუსეთის რევოლუციის საერთო მსვლელობაში მიმართული იქნება პროლეტარიატის დამოუკიდებელ ამოცანათა წინააღმდეგ».

პლეხანოვი ამის გამო ამბობს:

«ჩვენს პოლტაველ ამხანაგს რომ მოუხდეს თავისი ზოგადი დებულებების მიყენება» საფრანგეთის სოციალისტური პარტიისადმი, მას არ დას-

ჭირდებოდა რაოდენადმე მაინც სერიოზულ შესწორებათა შეტანა თავისი სტატიის ბოლო სტრიქონებში. მას შეეძლო დასჯერებოდა იმას, რომ სიტყვები: «კადეტები, კადეტური» შეეცვალა სიტყვებით: «რადიკალები, რადიკალური»; სიტყვა: «სათათბირო» — სიტყვით: «დეპუტატთა პალატა»; ბოლოს, სიტყვები: «რუსეთის რევოლუციის» — სიტყვებით: «საზოგადოებრივ-ისტორიული მოძრაობის». ეს საოცრად მოხერხებულია».

ვთხოვთ მკითხველს ერთხელ კიდევ გადაიკითხოს ციტატი «კოლოკოლიდან» და პლეხანოვის შენიშვნა. ეს შენიშვნა იშვიათი სიცხადით ააშკარავებს ჩვენს წინაშე ბერნშტეინისაკენ პლეხანოვის შებრუნების ერთ-ერთ წყაროს.

აბა ერთი ჩაუფიქრდით: «კოლოკოლს» შ ე ე ძ ლ ო დ ა ს ჯ ე რ ე ბ ო დ ა ი მ ა ს, რომ სტატიის ბოლო სტრიქონებში სიტყვა «კადეტები» შეეცვალა სიტყვით: «რადიკალები» და სიტყვა: «სათათბირო» სიტყვებით: «დეპუტატთა პალატა».

ამ მსჯელობით ამხ. პლეხანოვმა საბოლოოდ შეირცხვინა თავი. მან თვალნათლივ დაგვანახა, რარიგ უცხოა მისთვის ყოველგვარი გაგება იმისა, თუ რა არის კონსტიტუციური ილუზიები და, მაშასადამე, რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის თანამედროვე მომენტის ყოველგვარი გაგებაც.

რუს კადეტებსა და რუსეთის სათათბიროს შორის, ფრანგ რადიკალებსა და საფრანგეთის პალატას შორის, პირველთა და მეორეთა ურთიერთდამოკიდებულებას შორის ძ ი რ ი თ ა დ ი განსხვავებაა, რასაც პლეხანოვი მხედველობიდან უშვებს. პლეხანოვს «კოლოკოლის» სტატიაში გამოეპარა პ ა ტ ა რ ა სიტყვა — პატარა, მაგრამ უაღრესად დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი. ეს სიტყვაა: «მ თ ა ვ რ ო ბ ა ს თ ა ნ შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა».

დაფიქრდით, ამხ. პლეხანოვო: განა საფრანგეთში ლაპარაკი შეიძლება მთავრობასთან დეპუტატთა პალატის «შეთანხმებაზე»? არა, არ შეიძლება. რატომ? იმიტომ რომ იქ ყველაფერში, რაც ყველაზე არსებითია, მთავრობა პალატას ემორჩილება. პალატის უმრავლესობა თვითონ წარმოადგენს რეალურ მ თ ა ვ რ ო ბ ა ს, რაკი მინისტრებად მისთვის სა-

სურველ პირებს ნიშნავს. პალატაში უმრავლესობის მოპოვებით რადიკალები მთავრობად იქცევიან. დროის განსაზღვრული პერიოდისათვის საპარლამენტო დამოკიდებულება ცოტად თუ ბევრად შეეფერება როგორც ხალხის შიგნით არსებულ რეალურ ძალთა დამოკიდებულებას, ისე ხალხისადმი სახელმწიფო ხელისუფლების დამოკიდებულებას. დაწერილი კონსტიტუცია დროის განსაზღვრული პერიოდისათვის არსებითად არ განსხვავდება რეალური, ნამდვილი კონსტიტუციისაგან, ძალთა თანაფარდობისაგან.

რუსეთში შეიძლება და უნდა იყოს ლაპარაკი მთავრობასთან სათათბიროს უმრავლესობის შეთანხმებაზე. რატომ? იმიტომ რომ ჩვენში რეალური ძალაუფლება კანონითაც და საქმის ნამდვილი ვითარებითაც ეკუთვნის სრულიადაც არა სათათბიროს, არამედ ძველ თვითმპყრობელურ მთავრობას. სათათბირო, პალატისაგან განსხვავებით, არის არა სახელმწიფო ძალაუფლების ორგანო, არამედ ძველი ხელისუფლების წინაშე ხალხის ნაწილის შუამდგომლობათა, თხოვნათა, მოთხოვნათა განცხადების ორგანო. ამიტომ სათათბიროს უმრავლესობას შეუძლია მთავრობას «შეუთანხმდეს», — საფრანგეთისათვის კი ეს აბსურდია. საპარლამენტო დამოკიდებულება სრულიად არ შეეფერება არც ქვეყნის შიგნით არსებულ ძალთა რეალურ თანაფარდობას და არც ხალხისადმი სახელმწიფო ხელისუფლების დამოკიდებულებას.

საფრანგეთში ნამდვილი კლასობრივი ბრძოლა წარმოებს სწორედ იმ ძალთა შორის, რომლებიც პალატაში არიან წარმოდგენილი, და ამ ძალთა წარმომადგენლობაც კი განსაზღვრული დროისათვის ცოტად თუ ბევრად შეეფერება მათს შედარებითს «საბრძოლო მნიშვნელობას».

რუსეთში ნამდვილი ბრძოლა წარმოებს სრულიადაც არა იმ ძალთა შორის, რომლებიც სათათბიროში არიან წარმოდგენილნი, ხოლო ამ ძალთა წარმომადგენლობა სათათბიროში სწორედ ამჟამად განსაკუთრებით მკვეთრად და ძირფესვიანად განსხვავდება მათი შედარებითი «საბრძოლო

მნიშვნელობისაგან». რუსეთის რეალური მთავრობა თითქმის სრულიად არ არის წარმოდგენილი სათათბიროში, მას სხვა «დაწესებულებანი» აქვს, პროლეტარიატიც თითქმის არ არის წარმოდგენილი, გლეხობის წარმომადგენლობა არაპროპორციულად სუსტია.

საფრანგეთთან რუსეთის შედარების ცდა გვიჩვენებს, რომ ამხ. პლეხანოვი მთლად კონსტიტუციურ ილუზიებში ჩაფლულა. იგი სიტყვას (პარლამენტი, პალატა) დედაარსად იღებს, აბრას — შინაარსად. ამიტომ მას სავსებით ეპარება მხედველობიდან მომენტის ყველა უმნიშვნელოვანესი თავისებურება რუსეთში, როდესაც სათათბიროში ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილ «ხალხსა» და ძველ ხელისუფლებას შორის ბრძოლა მწიფდება, როდესაც ამ ბრძოლაში «შემთანხმებელთა», გადამრბენთა როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით ს ა შ ი შ ი ხ დ ე ბ ა.

როგორც ბერნშტეინი 1899 წელს უდიდეს ზიანს აყენებდა გერმანიის პროლეტარიატს, როდესაც წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტი «შემთანხმებელნი» (სოციალ-ლიბერალები, რომლებიც პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას არიგებდნენ) თვით რეალური ძალაუფლების მქონე ბურჟუაზიად მიაჩნდა მას, — ასევე პლეხანოვი 1906 წელს უდიდეს ზიანს აყენებს რუსეთის პროლეტარიატს, როდესაც ნახევრადრეაქციული ბურჟუაზიული «შემთანხმებელნი» (კადეტები, რომელნიც **სახალხო** თავისუფლებას ძველ ხელისუფლებასთან არიგებენ) მიაჩნია მას სახელმწიფოს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად, ძალაუფლებად, რომელსაც შეიძლება და ღირს კიდეც მხარი დავუჭიროთ.

ბერნშტეინი, როდესაც მოუწოდებდა «ტაქტიანად» მოექეცით სოციალ-ლიბერალებს, მხარი დაუჭირეთ მათ, რეაქციისაკენ ნუ წაუბიძგებთო, — მოუწოდებდა მხარი დაეჭირათ ფ ი ქ ც ი ი ს ა თ ვ ი ს. იგი სოციალური მშვიდობის ა ჩ რ დ ი ლ ი თ იყო გატაცებული და ძალაუფლებისათვის ბრძოლის ძირითად ამოცანებს ივიწყებდა.

პლეხანოვი, როდესაც მოგვიწოდებს «ტაქტიანად» მოვეპყრათ კადეტებს, მხარი დავუჭიროთ მათ, რეაქციისაკენ არ წავუბიძგოთ, — მოგვიწოდებს მხარი დავუჭიროთ ფ ი ქ ც ი ა ს. იგი პარლამენტარიზმის ა ჩ რ დ ი ლ ს გაუტაცნია (ბურჟუაზიული და არა სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში) დ ა ა ვ ი წ ყ დ ე ბ ა ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

ბერნშტეინსაც და პლეხანოვსაც სოციალ-ლიბერალური, კადეტური ბურჟუაზია ელოლიავება, ქებით ცამდე აჰყავს, რეკლამას უკეთებს, მათს ნაწერებს გადაბეჭდავს ხ ო ლ მ ე ი მ ს ა მ ს ა ხ უ რ ი ს ა თ ვ ი ს, რომელსაც ისინი უწევენ მას პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არ მოტყუვდეთ, მუშებო. სიტყვებს სოციალ-დემოკრატების «ტაქტიანობისა» და კადეტებისთვის «მხარის დაჭერის» შესახებ თ ა ვ ი ს ი მნიშვნელობა აქვს რეალურ პოლიტიკაში და მას პლეხანოვის კეთილი განზრახვები კი არ განსაზღვრავს, ა რ ა მ ე დ ძ ა ლ თ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ი თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა. პლეხანოვს შეუძლია იფიქროს თვითონ და სხვებსაც არწმუნებდეს, რომ მას აზრადაც არ ჰქონია შეესუსტებინა ან მიეჩლუნგებინა პოლიტიკური და სოციალური ანტაგონიზმი კლასთა შორის, ხალხსა და ძველ ხელისუფლებას შორის. მაგრამ პლეხანოვის სიტყვებს არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში მისდა უნებურად ს წ ო რ ე დ ა ს ე თ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ე ძ ლ ე ვ ა.

ბერნშტეინს სოციალური მშვიდობა არ სურდა (ყოველ შემთხვევაში გვარწმუნებდა, რომ არ სურდა), მაგრამ ბურჟუაზიამ სწორად გაიგო, რომ მისი სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა ასეთია. აბა, შეხედეთ ჩვენშიც, რუსეთშიც, კადეტების პრესას. იგი აქებს პლეხანოვს — და, არ უწევს რა მას ანგარიშს, მისი სიტყვებიდან ს ა კ უ თ ა რ ი დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი გამოჰყავს. გუშინ «დუმაში» (№ 22) ბ-ნი კოტლიარევსკი ამტკიცებდა, ყოველგვარი «კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბრძოლა და კლასობრივი სიძულვილი» ხელს უშლის ნაციონალური განთავისუფლების საქმესაო. იგი პირდაპირ უპირის-

პირებს ერთმანეთს «ვოლნას» ბრძოლას და გედისტების ბრძოლას ჟორესისტების წინააღმდეგ, ფერისას — ტურატის წინააღმდეგ, კაუტსკისას — ბერნშტეინის წინააღმდეგ; იგი შიშობს, «ვაი თუ კლასობრივი სიძულვილის ისეთმა ქადაგებამ, როგორიც ჩვენში, რუსეთში, გაისმის ამჟამად და ძირს უთხრის სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა სოლიდარობას, რაც ასე აუცილებელია გაერთიანებული პოლიტიკური მოქმედების გამო, სრულიად (უსმინეთ!) გამოაცალოს ნიადაგი ყოველგვარი მართებული სახალხო წარმომადგენლობის მოქმედებასაო». «განა ის (კლასობრივი სიძულვილი) ძირს არ უთხრის თვით კონსტიტუციონალიზმის სულს?»

დღეს «სვობოდა ი კულტურაში» (№ 7) ბ-ნი სტრუვე ჰგოდებს იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატები «თავისუფლებას კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი შ უ ღ ლ ი ს ფ უ რ ი ე ბ ი ს საჯიჯგნად ხდიანო», რომ ისინი «ცალმხრივად და ავადმყოფური სიშმაგით გატაცებული არიან კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ი დ ე ე ბ ი თ ო» (გვ. 458), რომ «პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ შ ვ ი დ ო ბ ა» (მოიგონეთ ევროპელ ბურჟუათა «სოციალური მშვიდობა»!) «ჩვენ სულ სხვა მოთხოვნებს გვიყენებსო» (გვერდი 514). ბურჟუაზიას მშვენივრად ესმის, რომ პლეხანოვის იდეები სწორედ ყალბ აზრს თესენ «პოლიტიკური მშვიდობის» შესახებ და სინამდვილეში ყოველგვარ კლასობრივ უთანხმოებას, ყოველგვარ კლასობრივ ბრძოლას აჩლუნგებენ. ამხანაგმა პლეხანოვმა ღრმად შესტოპა და თანამედროვე პოლიტიკის საკითხებში ბ-ნ სტრუვეს ტყვეობაში მოემწყვდა.

«მაგარი სიტყვები კრიტიკა როდია», — წერს ამხ. პლეხანოვი. — «კრიტიკა მართლაც ავითარებს შეგნებას, მაგარი სიტყვები კი, პირიქით, აბნელებს მას. ავიღოთ თუნდ მაგარი სიტყვა: ღალატი. ჩვენ ისე ხშირად გავყვირით ბურჟუაზიის მოღალატეობაზე, რომ როდესაც იგი მართლაც «გვიღალატებს», — ე. ი. ბიუროკრატიას შეურიგდება, — და როდესაც

ჩვენ ამის შესახებ მართლაც ყოველი სახლის ბანიდან უნდა ვიყვიროთ, ჩვენი ყვირილი უკვე ველარ მოახდენს სათანადო გავლენას, და იმ ბიჭის ისტორია დაგვემართება, რომელიც ჰყვიროდა «მგელი! მგელიო!», მგელი კი ჯერ არსად ჩანდა».

რა მშვენიერი ნიმუშია რუსული ბერნშტეინიადისა პლეხანოვის მსჯელობათა ეს პატარა ნაწყვეტი!

ჯერ-ერთი, შეხედეთ, რა ნათლად ჩანს, რომ ამხ. პლეხანოვს ფეხქვეშ ნიადაგი არა აქვს. 1905 წ. ნოემბერში «დნევნიკის» მესამე ნომერში იგი წერდა: «...ჩვენში ამ უკანასკნელ დროს ბევრს გაჰყვიროდნენ ბურჟუაზიის რ ა ღ ა ც (!) ღალატზე. მაგრამ სახელდობრ რისი ღალატი შეეძლო ბურჟუაზიას? ყოველ შემთხვევაში, არა რევოლუციისა, იმიტომ რომ იგი არასოდეს არ ემსახურებოდა რევოლუციურ იდეას».

ხედავთ: 1905 წლის ნოემბერში ამხ. პლეხანოვს საერთოდ არც კი ესმოდა, თუ რისი ღალატი შ ე ე ძ ლ ო ბურჟუაზიას. ახლა მან ეს გაიგო. იგი არამცთუ ფიქრობს, რომ ბურჟუაზიას შ ე უ ძ ლ ი ა რაღაცას უღალატოს, არამედ უკვე სჯერა, რომ იგი მ ა რ თ ლ ა ც ღ ა ლ ა ტ ს ჩ ა ი დ ე ნ ს. ნახევარი წლის განმავლობაში ამხ. პლეხანოვმა შეიცვალა პოზიცია: ჯერ ამბობდა, ბურჟუაზიამ საერთოდ აბა რას უნდა უღალატოსო. ახლა კი ამბობს, იგი მართლაც ღალატს ჩაიდენს, ე. ი. ბიუროკრატიას შეურიგდებაო.

ამხ. პლეხანოვის ეს პროგრესი ძალიან გაგვახარებდა, მისი შეხედულებანი სხვა მხრივ რომ ასევე მერყევი არ რჩებოდეს. ღალატი მაგარი სიტყვაო, ამბობს იგი. ეს ახალი შეხედულება როდია. ეს ყველა ლიბერალი ბურჟუის შეხედულებაა. კადეტური პრესის ათასობით სტატიებში რუსეთის საზოგადოებას უნერგავენ იმ აზრს, რომ ლაპარაკი ბურჟუაზიის «მოღალატეობაზე» «მძვინვარე» ბოლშევიკების მხოლოდ მაგარი სიტყვებიაო. ახლა ბურჟუაზიამ ამ საკითხში ახალი მოკავშირე ჰპოვა. ამხ. პლეხანოვიც იმ რწმენამდე მივიდა, რომ «ღალატი» «მაგარი სიტყვაა».

როგორც ოდესღაც ბერნშტეინის წინააღმდეგ გვიხდებოდა მარქსიზმის ანბანის განმეორება და გადაღეჭვა, ისე ახლა

გვჭირდება იგივე ვიმეოროთ პლეხანოვის წინააღმდეგაც. იგი დიდად ცდება. «ღალატი» «მაგარი სიტყვა» კი არა, მეცნიერული და პოლიტიკური თვალსაზრისით ერთადერთი სწორი გამოხატვაა ნამდვილი ფაქტებისა და ბურჟუაზიის ნამდვილი მისწრაფებისა. სიტყვა: «ღალატი» იმავე აზრს გამოხატავს, რასაც სიტყვა: «მორიგება». თვით პლეხანოვს არ შეუძლია არ აღიაროს ეს, რადგან იგი აიგივეებს ღალატსა და ბიუროკრატიასთან შერიგებას. და აი მოისმინეთ, რას ლაპარაკობდა «მძვინვარე» «ვოლნა» ამ ცნების: «მორიგების» შესახებ.

«რა შეადგენს კადეტურ მორიგებათა არსს? — ვკითხულობთ «ვოლნას» მეცამეტე ნომერში. — რა თქმა უნდა, ა რ ა პ ი რ ა დ ი გ ა მ ც ე მ ლ ო ბ ა. ა ს ე თ ი უ ხ ე შ ი შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა ს რ უ ლ ი ა დ ე უ ც ხ ო ე ბ ა მ ა რ ქ ს ი ზ მ ს. მორიგების არსი! ის და მხოლოდ ის არის, რომ კადეტები ფეხს არ იცვლიან და არც სურთ მოიცვალონ ძველი რეჟიმისათვის ძალაუფლების შენარჩუნების ნიადაგიდან, იმ ბრძანებათა ნიადაგიდან, რომლებიც ამ რეჟიმისგან მომდინარეობენ» *.

ამრიგად, ღალატისა თუ მორიგებათა არსი სრულიადაც არ არის პირადი გამცემლობა. ღალატის თუ მორიგებათა არსი მ ხ ო ლ ო დ ისაა, რომ «სახალხო» (იგულისხმე: ბურჟუაზიული) თავისუფლების პარტია მიისწრაფის ძალაუფლება ძველ თვითმპყრობელობას შეუნარჩუნოს, მიისწრაფის ძალაუფლება ძველ თვითმპყრობელობასა და ბურჟუაზიას შორის გ ა ა ნ ა წ ი ლ ო ს.

«სახალხო თავისუფლების» პარტია სახალხო თავისუფლებას სწორედ იმით ღალატობს, რომ ხალხის უფლებათა და ხალხის ძალაუფლების დიდ ნაწილს ძ ვ ე ლ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს წარმომადგენლებს უთმობს. ის გარემოება, რომ ამს. პლეხანოვს ამ უბრალო ჭეშმარიტების გაგება არა სურს, პირდაპირ საოცარია. იგი საქმეს ისე გვისახავს, რომ ბურჟუაზიას ჩვენში ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ უღალატნია, რომ იგი მხოლოდ მომავალში გვიღალატებს.

* იხ. ეს ტომი, გვ. 491 — 492. რ ე დ.

ეს ღალატისა და მორიგებათა თვით დედაარსის სრული გაუგებლობაა.

ბურჟუაზიას და კადეტებს უკვე ათასჯერ უღალატნიათ თავისუფლებისთვის და ბიუროკრატიას შერიგებიან. რას წარმოადგენს კადეტების პარტიის პროგრამა? არის თუ არა იგი ბურჟუაზიის განსაზღვრული პოლიტიკური ნაბიჯი? უსათუოდ. სწორედ ეს პროგრამაა ღალატის პროგრამა და მორიგებათა პროგრამა! და კადეტების ყოველი პოლიტიკური ნაბიჯი ამა თუ იმ მხრივ ატარებს, ახორციელებს სწორედ ამ პროგრამას. ტრუბეცკოის სიტყვა 1905 წლის ზაფხულზე, მიკიბ-მოკიბვა ოთხფორმულიანი საარჩევნო უფლების საკითხში, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების საკატორღო კანონპროექტი, — ყოველივე ეს ლიბერალური ბურჟუაზიის სწორედ ისეთი ნაბიჯებია, რომელნიც სწორედ მისი ღალატის პროგრამას ახორციელებენ.

ამხანაგ პლეხანოვს ისე გამოუდის, რომ თუ ბურჟუაზიამ კვლავ რაიმე განსაკუთრებული ნაბიჯი არ გადადგა, მაშინ მისი მხრივ არავითარი ღალატი არ იქნებაო. ეს მართალი არ არის. თუ ბურჟუაზიამ და სახელდობრ კადეტებმა განაგრძეს იმის კეთება, რასაც აქამდე აკეთებდნენ, მაშინ მთელი მათი მოქმედების ჯამი მოგვცემს სწორედ ღალატის მეტად სრულ სურათს. თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული ოპორტუნიზმის დედაარსს სწორედ ამის გაუგებლობა წარმოადგენს.

თუ განხორციელდა კადეტების მეშჩანური ოცნება, თუ სათათბიროსი და «საზოგადოებრივი აზრის» «მშვიდობიანი ზეგავლენა» აიძულებს მთავრობას მცირეოდენ დათმობაზე წავიდეს, თუ სახელმწიფო საბჭო ოდნავ გადადგამს ნაბიჯს — სახელმწიფო საბჭოს წევრის ბ-ნ ხომიაკოვის რეცეპტის თანახმად, იმ ხომიაკოვისა, რომლის გეგმები გუშინ კადეტურმა «დუმამ» გაგვაცნო, — თუ ძველი ხელისუფლება განაახლებს სამინისტროს და რამდენიმე ადგილს მემარჯვენე კადეტებს დაუთმობს და სხვ., ბოლოს და ბოლოს ჩვენ მივიღებთ სწორედ ბიუროკრატიასთან კადეტების «შერიგებას». პლეხა-

ნოვის მთელი შეცდომა ისაა, თითქოს «ღალატის» გზა არის ან იქნება ჩვენი ბურჟუაზიის «ახალი» გზა, ნამდვილად კი სწორედ მისი ძველი გზის განგრძობა იძლევა ღალატის მთელ «შემადგენლობას», იურიდიული ენით რომ ვთქვათ.

როდესაც ბურჟუაზია «მართლაც» გვიღალატებს, — ამბობს პლეხანოვი, — ჩვენს ყვირილს აღარ დაუჯერებენ, რადგან ყველა ძალიან მიეჩვევა სიტყვას: ღალატი.

რა უსაზღვრო პოლიტიკური გულუბრყვილობაა! სოციალ-დემოკრატიის მთელი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ გ ა ა შ უ ქ ო ს ის გზა, რომელიც ხალხის მ ა ს ა შ უ ნ დ ა განვლოს. ჩვენ მაღლა ვწევთ ჩვენს მარქსისტულ ლამპარს, — და ცალკეულ კლასთა ყოველი ნაბიჯის, ყოველი პოლიტიკური და ეკონომიური მოვლენის მიხედვით ცხადვყოფთ იმას, რომ ცხოვრება ჩვენს მოძღვრებას ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ს. რაც უფრო ვითარდება კაპიტალიზმი, რაც უფრო მწვავდება პოლიტიკური ბრძოლა, მით უფრო მეტი ნაწილი ხალხისა რწმუნდება ჩვენი სიტყვებით და იმით, რომ ამ სიტყვებს ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ს ცხოვრება (ან ისტორია). ვთქვათ, ამჟამად რუსეთში ასი ათასობით კაცი უკვე დარწმუნდა, რომ ჩვენ სწორად შევაფასეთ კადეტები. რევოლუციის სწრაფად განვითარების დროს ან მისი მკვეთრად შეტრიალების დროს თვითმპყრობელობასთან კადეტების რაიმე დიდი მორიგებისაკენ ჩვენი შეფასების სისწორეში მილიონები და ათეული მილიონებიც კი დარწმუნდებიან.

ამიტომ იმის თქმა, რომ მომავალში ჩვენს ყვირილს ღალატის შესახებ არ დაუჯერებენ, რადგან ჩვენ მას ამჟამად ძ ა ლ ი ა ნ ხ შ ი რ ა დ ვიმეორებთო, უდიდესი შეუსაბამობის თქმას ნიშნავს. ამხ. პლეხანოვი ამაოდ ცდილობს ამ შეუსაბამობის მიჩქმალვას იმის მსგავსი მსჯელობით, როგორითაც ჩვეულებრივ ხანგადასული ქალწულები, კლასის დამრიგებელი ქალები და სხვანი უმასპინძლდებიან ხოლმე გიმნაზიელ ქალებს. «კრიტიკა საფუძვლიანი უნდა იყოს», — დამრიგებელი ტონით გვასწავლის იგი.

ახალიც არის და ჭკვიანურიც. და თქვენი კრიტიკაც, ამხ. პლეხანოვო, საფუძვლიანი უნდა იყოს. თორემ აი ნახეთ: ჩვენი მხრივ კადეტების უსაფუძვლო კრიტიკის არც ერთი ფ ა ქ ტ ი უ რ ი და რაოდენადმე მაინც მნიშვნელოვანი მაგალითი ა რ მ ო გ ი ყ ვ ა ნ ი ა თ, მკითხველთა გონებაში კი თქვენი ზოგადი მსჯელობით მრავალი უ ს ა ფ უ ძ ვ ლ ო აზრი ჩანერგეთ! მარტო ის რადა ღირს, რომ «ღალატის» ცნება მაგარ სიტყვაზე დაიყვანეთ!

რადა ღირს ასეთი ფრაზა: «ჩვენს რიგებში ამ წინააღმდეგობის (ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესთა წინააღმდეგობის) შეგნებამ უკვე, შეიძლება ითქვას, ც რ უ რ წ მ ე ნ ი ს ი მ ტ კ ი ც ე მოიპოვა». ეს რომელ «ჩვენს რიგებში», ამხ. პლეხანოვო? ყენეველ რუს ობივატელთა რიგებში? საერთოდ ჩვენი პარტიის წევრთა რიგებში? მაგრამ იქნებ საჭირო იყოს ხალხის მასის ფართო რიგებიც გავიხსენოთ?

მართალი თქვა მუშამ «პრიზივში» [138], პლეხანოვი «შ ო რ ე თ ი დ ა ნ» სჯისო. პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების მასას ჯერ წარმოდგენაც კი არა აქვს არც ამ წინააღმდეგობაზე საერთოდ და არც კადეტების ბურჟუაზიულობაზე. ხოლო კადეტური პრესა სწორედ ახლა, ალბათ, ერთიათად აღემატება ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ პრესას. კადეტების მიერ ხალხის გარყვნა ძლიერდება როგორც კადეტური სათათბიროს, ისე ყოველგვარი ლიბერალური დაწესებულებების მეოხებით. საჭირო იყო სინამდვილის ალღოს სრულიად დაკარგვა, რომ წარმოგვედგინა, თითქოს წ ი ნ ვ უ ს წ რ ე ბ დ ე თ მოვლენათა მსვლელობას და მასის მოთხოვნებს, როდესაც კადეტების მერყეობასა და ღალატს ვამხელთ. პირიქით, ამ საქმეში ჩვენ მოვლენათა მსვლელობასაც და მასის მოთხოვნებსაც ჩ ა მ ო ვ რ ჩ ე ბ ი თ! გიჯობთ, ამხ. პლეხანოვო, კადეტების პოპულარული და «საფუძვლიანი» კრიტიკა დაწეროთ: ეს უფრო სასარგებლო იქნება.

გადავიდეთ ახლა პლეხანოვის დასკვნებზე სათათბიროს შესახებ.

«ჩვენმა მთავრობამ უკვე მრავალი მიუტევებელი შეცდომა ჩაიდინა», — წერს იგი. — «ამ შეცდომებმა იგი უფსკრულის პირას მიიყვანა, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ გადაუჩეხია იგი ამ უფსკრულში. ი გ ი უ ფ ს კ რ უ ლ შ ი მ ა შ ი ნ გ ა დ ა ვ ა რ დ ე ბ ა, რ ო დ ე ს ა ც ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს გ ა რ ე კ ე ნ... სათათბირო ყველაზე უფრო მძინარეებსაც კი აღვიძებს; იგი ყველაზე მეტად ჩამორჩენილებსაც კი წინ უბიძგებს; იგი ამსხვრევს მასაში უკანასკნელ პოლიტიკურ ილუზიებს, ისტორიის მიერ ნაანდერძევს... ყველაზე მეტი სააგიტაციო მნიშვნელობა სათათბიროს ორგანულ მუშაობას ექნება».

დაუკვირდით ამ მსჯელობას. მთავრობა დაემხობა, როდესაც სათათბიროს გარეკენო. ვთქვათ, რომ ასე იქნება. მაგრამ საიდან გამომდინარეობს, რომ სათათბიროს გარეკენ, თუ იგი ორგანულ მუშაობას დასჯერდება? რა არის ორგანული მუშაობა? სათათბიროს კანონიერი მუშაობა. სათათბიროს კანონპროექტები შეაქვს სახელმწიფო საბჭოში, შეკითხვებს აძლევს მინისტრებს. სახელმწიფო საბჭო და მინისტრები საქმეს აჭიანურებენ და, რამდენადაც ძალუძთ, აჩლუნგებენ ყველა წამოჭრილ კონფლიქტს. რუსეთის მთავრობის ორგანო «რუსსკოე გოსუდარსტვო» დიდი ხანია ამბობდა: დაე სათათბირო ოპოზიციური იყოს, ოღონდ რევოლუციური ნუ იქნებაო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ორგანული მუშაობა გასწიეთ, მაგრამ ნაბიჯიც არ გადადგათ მეტიო.

მაშ რატომღა უნდა გარეკონ სათათბირო ორგანული მუშაობისთვის?? და არც არასოდეს გარეკენ მას, თუ იგი რევოლუციურ, სრულიად არა-ორგანულ ნაბიჯს არ გადადგამს, ანდა თუ სათათბიროს გარეთ ისეთი მოძრაობა არ გაჩაღდება, რომლის დროს კადეტური სათათბიროც კი მთავრობისათვის დაბრკოლებად გადაიქცევა. ასეთი ვარაუდი ჩვენ ბევრად უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, ვიდრე დაუსაბუთებლად თქმა — «სათათბიროს გარეკენო».

მთავრობა დაემხობა არა მარტო იმ შემთხვევაში, თუ სათათბიროს გარეკენ. იგი სხვა შემთხვევაშიც დაემხობა, რად-

გან სათათბირო სრულიადაც არ არის მოძრაობის მ თ ა ვ ა-
რ ი ფაქტორი და მისი ყველაზე სწორი გამომხატველი. იგი
დაემხობა არა თავისთავად, არამედ მხოლოდ... ვიღაც მესა-
მის (არა მთავრობისა და არა სათათბიროს) აქტიური მოქმე-
დებით. განმარტება ამ მოქმედების აუცილებლობისა, — მისი
შესაძლებელი ფორმებისა, ხასიათისა და იმ მოღვაწეების
კლასობრივი შემადგენლობისა, რომელთაც უნარი შესწევთ
ეს «მოქმედება» მოახდინონ, — მისი წარმატების პირობე-
ბისა და სხვა და სხვა, — ყველაფერი ეს სოციალ-დემოკრა-
ტებმა უნდა გააკეთონ. და სწორედ კადეტები უაღრესად
დაუნდობლად იბრძვიან სოციალ-დემოკრატების ამ მუშაო-
ბის წინააღმდეგ. სწორედ კადეტების დისკრედიტაცია ამ
მუშაობის ერთ-ერთი პირობა და ამ მუშაობისადმი მასების
თანაგრძნობის მიზიდვის საწინდარია.

ვინც მთავრობის უფსკრულში «გადავარდნაზე» და ამა-
ვე დროს კადეტების წინააღმდეგ მიმართული კრიტიკისა და
ღალატის დაბრალების უდროობაზე ლაპარაკობს, მას თავისი
მსჯელობისათვის თავი ვერ გაურთმევია. «უფსკრულში» გა-
დავარდნა მხოლოდ ფიგურალური გამოთქმაა, — ეს რევო-
ლუციური ფ რ ა ზ ა ა, ვიტყოდი მე, პლეხანოვის მანერის
მიბაძვა რომ მინდოდეს. ვის ჩაუვარდება ხელში ძალაუფლე-
ბა? შეუძლიათ თუ არა მუშებსა და გლეხებს დაუშვან, რომ
იგი ხელში ჩაუვარდეს კადეტებს, რომელნიც მყისვე გაუნა-
წილებენ მას ძველ თვითმპყრობელობას? განა სწორედ ამ
თვალსაზრისით არ არის განსაკუთრებით აუცილებელი, რომ
გ ა ვ ა ფ რ თ ხ ი ლ ო თ ხალხი კადეტებისაგან?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია. ჩვენ ვფიქრობთ,
რომ მასებისათვის კადეტების გაცნობის ამ აუცილებელ
მუშაობას ხელს უშლის და ზიანს აყენებს ოპორტუნიზმი
პლეხანოვისა, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ იბრძვის
კადეტების პარტიის ნამდვილი დედაარსის მამხილებელი
ტაქტიკის წინააღმდეგ.

როდესაც პლეხანოვი ამბობს, სათათბიროს ორგანულ მუ-
შაობას უდიდესი სააგიტაციო მნიშვნელობა აქვსო, იგი საქმის

ვითარებაზე ფრიად ცალმხრივ შეხედულებას ამჟღავნებს. აქ პლეხანოვს, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ «ვოლნაში», თვით მენშევიკები უსწორებენ და საკუთარ სამართლიანად დასცინიან «სათათბიროს» პერსპექტივას «კანონების გროვის ახოხოლების შესახებ» *. რუსეთი აქამდე ისეთი ქვეყანა იყო, სადაც ყველაზე მეტი ქაღალდის პოლიციური კანონები არსებობდა. თუ სათათბირომ მთელი დრო «ორგანულ» მუშაობას მოანდომა, რუსეთი შეიძლება მალე ისეთ ქვეყნად გადაიქცეს, სადაც ყველაზე მეტი ქაღალდის რადიკალური კანონები იქნება. იმის ფიქრი, რომ ამ კანონების თუ კანონპროექტების სააგიტაციო მოქმედება პირდაპირ პროპოციულია მათი მოცულობისა და რაოდენობისა, უდიდესი პედანტობაა. ასე რომ იფიქრო, უნდა დაივიწყო მაგალითი ფრანკფურტის პარლამენტისა, რომელიც ფრიად საფუძვლიანად ეწეოდა თავის «ორგანულ მუშაობას» და ფიქრობდა, პლეხანოვისა არ იყოს, სწორედ ორგანულ მუშაობას აქვს ყველაზე მეტი სააგიტაციო მნიშვნელობაო. ასე რომ იფიქრო, არ უნდა ხედავდე იმას, რაც უკვე ხდება რუსეთში; არ უნდა ხედავდე სათათბიროში კადეტების მიერ წარმოთქმული უზომოდ წყალ-წყალა სიტყვებით ხალხის დაღლის ნიშნებს, არ უნდა ხედავდე, რა შთაბეჭდილებას ახდენენ კადეტების «საკატორღო» კანონპროექტები და მათი საცოდავი ლუღლუღი თავის გასამართლებლად ამ კანონპროექტების გამო, არ უნდა ხედავდე კადეტების ამ უზომოდ საზიზღარ, მეშჩანურ შიშს მოახლოებული ახალი ტალღის, აუცილებელი ახალი ბრძოლის წინაშე, იმის წინაშე, რასაც პლეხანოვმა «უფსკრულში გადავარდნა» უწოდა. კადეტების მხილება, ამხანაგო პლეხანოვო, სწორედ ეს არის ხალხის ფართო მასების შეგნების მომზადება ამ გადაგდებისათვის მასში აქტიური მონაწილეობისათვის, მის დროს «ქადისაგან» კადეტების ჩ ა მ ო ც ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, მისთვის გაბედულად და მედგრად მომზადებისათვის.

---

* იხ. ეს ტომი. გვ. 546 — 548. რ ე დ.

სათათბირო აღვიძებს, სათათბირო უკანასკნელ ილუზიებს ამხელსო, გვეუბნებიან. მართალია. მაგრამ «სათათბირო» ამას სჩადის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩ ვ ე ნ კ ა დ ე ტ უ რ ი სათათბიროს გაუბედაობასა და მერყეობას ვამხელთ, — მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩ ვ ე ნ განვმარტავთ სათათბიროსთან დაკავშირებულ ფაქტებს, რომლებიც ცხადყოფენ ილუზიების დამხობას. კადეტები ამას არ სჩადიან. კადეტები ეწინააღმდეგებიან ამას. კადეტები კონსტიტუციურ ილუზიებს ავრცელებენ. ზუბატოველობაც აღვიძებდა მუშებს, ისიც ამხელდა ილუზიებს, მაგრამ ამას ის მხოლოდ იმდენად ახდენდა, რამდენადაც ჩვენ ვებრძოდით ზუბატოველობის მიერ ხალხის გარყვნას. და დაე ნურავინ შეეცდება ამ საბუთის უარყოფას იმის განცხადებით, რომ სათათბირო ზუბატოველობა როდი არისო. შედარება გაიგივეება როდია. დაე სცადონ და მომინახონ კადეტური გაზეთი ან კადეტების დიდი პოლიტიკური გამოსვლა, რომლებშიც (გაზეთსა ან გამოსვლაში) ხალხის პოლიტიკური შეგნების გ ა რ ყ ვ ნ ი ს ელემენტები არ იყოს.

აი რა ავიწყდება ამხ. პლეხანოვს, როდესაც იგი მედიდურად და ამაყად ამბობს: «აი მთელი ფილოსოფიის აზრი: კარგია ყოველივე ის, რაც ხალხის პოლიტიკურ აღზრდას ხელს უწყობს, ცუდია ყოველივე ის, რაც მას ხელს უშლის». დანარჩენი — ცრურწმენა, სქოლასტიკა არისო.

დიახ, დიახ, სოციალ-დემოკრატების რომელიღაც ფრთა, მართლაც, უიმედო სქოლასტიკაში ვარდება. მაგრამ რომელი, მემარჯვენე თუ მემარცხენე? განა შეიძლება იმაზე უფრო პედანტური, უსიცოცხლო, ჭეშმარიტად სქოლასტიკური რამ წარმოვიდგინოთ, ვიდრე რევოლუციის ეპოქაში პროლეტარიატის ტაქტიკის ეს დაყვანა ხალხის პოლიტიკური აღზრდის ამოცანამდე? სადღაა მაშინ მიჯნა სოციალ-დემოკრატიულ კლასობრივ ბრძოლასა და ჩვეულებრივი ბურჟუაზიული მეკულტუროსნის ბრძოლას შორის? რევოლუცია გაჩაღებულია, გამოდიან სხვადასხვა კლასები, ისტორიულ სამუშაოს ხელს ჰკიდებენ მასები, ყალიბდება ბურჟუაზიულ პარტიათა

სხვადასხვა ელფერი, მწვავდება რთული პოლიტიკური კრიზისი, მოვლენებითა და გამოცდილებით არაჩვეულებრივ მდიდარი 1905 წლის მიერ მომზადებულ ნიადაგზე მუშავდება ბრძოლის ახალი საფეხური — და ყოველივე ამის დაყვანა ერთ რამემდე: ხალხის პოლიტიკურ აღზრდამდე! ჭეშმარიტად, კლასის დამრიგებელი ქალის გენიალური აღმოჩენაა. ჭეშმარიტად, კარგი «გასაღებია» პოლიტიკის ყველა კონკრეტული საკითხისათვის, და ამასთან ისეთი გასაღები, რომელსაც სულ მთლად მიიღებს, ორივე ხელით ჩაეჭიდება ყოველი კადეტი და თვით დემოკრატიულ რეფორმათა პარტიაც და თვით გეიდენიც კი. დიახ, დიახ, სწორედ ასეთი «ფართო» კრიტერიუმი გვესაჭიროება, სწორედ ის, რაც თავს უყრის და ათანხმებს კლასებს და არა სიძულვილსა და შუღლს სთესს. სწორედ ასეა! ვაშა, პლეხანოვ! — გაიძახიან ყველა ეს გულკეთილი ადამიანები: — ასეთი «გადაწყვეტა» ხომ აუცილებლად აბუნდოვანებს ან გვაშორებს საკითხს «სიგიჟის» იმ ახალი «ხანის» შესახებ, იმ ახალი «გრიგალის» შესახებ, რომელიც ასე აფრთხობს ბურჟუაზიულ გულს. არავითარი გრიგალი, — არავითარი კატასტროფები, — ამხანაგო პლეხანოვო, იყავით თანამიმდევარი, — არავითარი უფსკრულები. ხალხის პოლიტიკური აღზრდა — აი ჩვენი დროშა, აი მთელი ფილოსოფიის აზრი.

ამხანაგმა პლეხანოვმა ამით სულ მთლად და სავსებით მიამსგავსა თავი ფრანკფურტის პარლამენტის საშუალო გერმანელ კადეტს. ოჰ, რამდენ უბრალო სიტყვებს წარმოთქვამდნენ ეს მოლაყბეები ხალხის პოლიტიკურ შეგნებაზე! რამდენი დიდებული «ორგანული» კანონი შეიმუშავეს მათ ამ მიზნით! და რარიგ კეთილშობილურად აცხადებდნენ ისინი პროტესტს, როდესაც ისინი გარეკეს მ ა ს შ ე მ დ ე გ, რაც მათ ხალხს საბოლოოდ თავი მოაბეზრეს და ყოველგვარი რევოლუციური მნიშვნელობა დაჰკარგეს.

გვეუბნებიან: რუსეთის რევოლუცია უფრო ღრმაა, იგი აღმავლობისაკენ მიდის, მას ვერ შეაჩერებს კადეტური სათათბიროს, კადეტური ფრაზების, კადეტური გაუბედაობის,

კადეტური საკატორღო კანონპროექტების ჯებირიო. დიახ, სწორედ ასეა, ბატონებო: რუსეთის რევოლუცია უფრო ფართო, მძლავრი და ღრმაა. იგი აღმავლობისაკენ მიდის. იგი მიდის კადეტების თავზე გადავლებით. და ჩვენ, რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, სწორედ ამ უფრო ღრმა მოძრაობის გამომხატველნი ვართ, ჩვენ ვცდილობთ მუშებსა და გლეხებს განვუმარტოთ სწორედ ეს უმაღლესი ამოცანა, შეძლებისდაგვარად ვეხმარებით მათ სწორედ კადეტების ჯებირზე უფრო მაღლა ასვლაში.

«ვპერიოდ» № 1, 1906 წ.
26 მაისი.
ხელმოწერა: ნ. ლ.

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

რსდმპ პ. კ.-ის რეზოლუცია (II) სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ [137]

თვითმპყრობელური მთავრობა მეტისმეტად უხეშად დასცინის და აბუჩად იგდებს რუსეთის მოსახლეობის მიერ სახელმწიფო სათათბიროში წარგზავნილ წარმომადგენლებს. მთავრობა უარყოფს სათათბიროს ყველა იმ განცხადებას, რომლებიც რაოდენადმე გამოხატავენ ხალხის საჭიროებასა და მოთხოვნებს, და განუხრელად განაგრძობს მკვლელობისა და ძალადობის პოლიტიკას.

სათათბირო უძლურია. იგი უძლურია არა მარტო იმიტომ, რომ მის განკარგულებაში არ არის ხიშტები და ტყვიამფრქვევები, რომლებიც მთავრობას მოეპოვება, არამედ იმიტომაც, რომ საერთოდ სათათბირო არ არის რევოლუციური და გადამწყვეტი ბრძოლის უნარი არ შესწევს. სათათბიროს ლიბერალური პარტიები მხოლოდ ნაწილობრივ და გაუბედავად უჭერენ მხარს ხალხის მისწრაფებებს, ისინი უფრო მეტად მიმდინარე რევოლუციური ბრძოლის შენელებასა და შესუსტებაზე ზრუნავენ, ვიდრე ხალხის მტრების განადგურებაზე. მუშათა დეპუტატებს გარდა მხოლოდ შრომის ჯგუფი იჩენს ხალხის მოთხოვნების აშკარად და გაბედულად განცხადების მიდრეკილებას, მაგრამ დღემდე მასაც ამაში ხელს უშლის იმავე ლიბერალური პარტიების ზეგავლენა, მათ მიმართ დამოუკიდებლობის ნაკლებობა.

ჩვენ მოვუწოდებთ შრომის ჯგუფს უფრო გადამწყვეტი და თანამიმდევარი პოლიტიკისაკენ. ჩვენ წინადადებას ვაძ-

ლევთ მას მოსთხოვოს სათათბიროს პირდაპირი, აშკარა მიმართვა ხალხისადმი, ხოლო თუ სათათბიროს უმრავლესობა უარს იტყვის დამოუკიდებლად გამოსვლაზე, ასეთი მიმართვით შრომის ჯგუფმა ხალხს უნდა უთხრას ის, რაც არის: რომ სათათბირო უძლურია, რომ მისგან შეუძლებელია მოველოდეთ მიწასა და თავისუფლებას, რომ, ცხადია, ხალხი იძულებული იქნება თვითონვე მოიპოვოს ყოველივე ეს, რომ საქმე მიდის სათათბიროს გარეთ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

შრომის ჯგუფმა უნდა განაცხადოს, რომ ძველი ხელისუფლების დამხობა ძალუძს მხოლოდ მუშათა და გლეხთა ერთობლივ საბრძოლო მოქმედებას, რომ უნდა ვემზადოთ ამ მოქმედებისათვის, დავირაზმოთ საამისოდ, სანამ დადგებოდეს რევოლუციური გამოსვლის გადამწყვეტი მომენტი. ამ მომენტისათვის თავი უნდა მოვუყაროთ და გავუფრთხილდეთ ხალხის ძალებს, არ უნდა დავქსაქსოთ ისინი უნაყოფო წვრილმან ბრძოლაში, არ უნდა ავყვეთ მთავრობის პროვოკაციებს.

თუ შრომის ჯგუფი ყოველივე ამას შეასრულებს, იგი მოიხდის თავის მოვალეობას ხალხის წინაშე, და მხოლოდ მაშინ შეუძლია მას პროლეტარიატის რევოლუციურ ორგანიზაციასთან ერთად სათავეში ჩაუდგეს ხალხის დიად მოძრაობას, რომელიც დაამსხვრევს საზოგადოების განვითარების შემბოჭველ ძველ ხუნდებს.

დაიბეჭდა 1906 წ.
მაისში რსდმპ პ. კ.-ის
ცალკე ფურცლად

იბეჭდება ფურცლის ტექსტის
მიხედვით

სათათბიროს სამინისტროს ლოზუნგის შესახებ

ზემოთ დაბეჭდილი დოკუმენტები ააშკარავებენ პარტიის სანკტ-პეტერბურგის კომიტეტში გაჩაღებულ მეტისმეტად მნიშვნელოვან დავას. ეს დავა ორი მხრივაა მნიშვნელოვანი.

ჯერ ერთი, ფორმალურად სრულიად უდავოა, რომ პარტიის ყოველ ავტონომიურ ორგანიზაციას უფლება აქვს დამოუკიდებელი რეზოლუციის მიღებისა და არა მხოლოდ ც. კ.-ის რეზოლუციების ხელმოწერისა.

პ. კ.-ის რეზოლუცია გამაერთიანებელი ყრილობის არავითარ დადგენილებას რომ არ ეწინააღმდეგება, ეს ცხადია. სწორედ ადგილობრივი ორგანიზაციები ვალდებული არიან ყრილობის გადაწყვეტილებათა ფარგლებში დამოუკიდებლად შეიმუშაონ თავიანთი სახელმძღვანელო აზრი.

მეორე, არსებითად ც. კ.-ის რეზოლუცია აშკარად ვერ არის დამაკმაყოფილებელი და ეწინააღმდეგება ყრილობის გადაწყვეტილებას. ეს რეზოლუცია ერთი სიტყვითაც არ ააშკარავებს «სათათბიროს უვარგისობას», — არ აფასებს და არ ამწვავებს კონფლიქტებს მის შიგნით. ეს რეზოლუცია აყენებს ისეთ ლოზუნგს («ახლანდელი სამინისტროს შეცვლა სათათბიროს მიერ დანიშნული სამინისტროთი»), რომლის გამოყვანა ყრილობის რეზოლუციიდან ყოვლად შეუძლებელია. ასეთი ლოზუნგი ორაზროვანია, იგი აბნელებს პროლეტარიატის შეგნებას, რადგან კადეტები სათათბიროს

სამინისტროს მოთხოვნით ფარავენ თვითმპყრობელურ მთავრობასთან მორიგებისა და რევოლუციის შესუსტების, დამფუძნებელი კრების მოწვევის გაძნელების მისწრაფებას.

რეზოლუციის უფრო დაწვრილებით გარჩევას სხვა დროისთვის ვდებთ * და მოვუწოდებთ პარტიის ყველა წევრს მთელი გულისყურით მოეკიდონ რსდმპ ს.-პეტერბურგის კომიტეტში გაჩალებულ მეტისმეტად მნიშვნელოვან დავას.

«ვპერიოდ» № 2,
1906 წ. 27 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

* იხ. ეს ტომი, გვ. 610—616. რ ე დ.

თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ

პოლიტიკური მდგომარეობა ნათელი ხდება ისეთი სისწრაფით, რომ ჩვენს გულითად სიხარულს იწვევს. საამურია ისეთ დროს ცხოვრება, როცა პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის მასები ებმიან. თანამედროვე რუსეთის ყველა მთავარი საზოგადოებრივი ჯგუფი, ასე თუ ისე, უკვე აშკარა და მასობრივი პოლიტიკური მოქმედების გზას დაადგა. აშკარა გამოსვლის წყალობით ინტერესთა ძირითადი განსხვავებანი შეუბრალებლად აშკარავდება. პარტიები თავიანთი ნამდვილი სახით მოსჩანან. მოვლენები რკინისებური ძალით მიჯნავენ სხვადასხვა კლასის მომხრეებს, აიძულებენ გაერკვნენ, ვინ ვისთანაა, ვინ ვისი წინააღმდეგია.

სახელმწიფო სათათბიროში პოლიტიკური გამიჯვნის გამომწვევი კლასობრივ ინტერესთა ეს ძირითადი განსხვავებანი თავს იჩენენ ბევრად უფრო უფერულად და ყრუდ, ვიდრე ხალხის ცხოვრების ქვედა ფენებში. საამისოდ სათათბიროში არის კადეტთა განსაკუთრებული პარტია, რომელიც ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობს წაშალოს მკვეთრი მიჯნები, შეარბილოს მწვავე წინააღმდეგობანი, ჩაახშოს ბრძოლის ალი, ხან აქ, ხან იქ რომ ინთება. «ქვედა ფენებში» კი მღელვარება სულ უფრო და უფრო ძლიერდება. კვლავ ბობოქრობს მთელი თავისი მასობრივი ძალით პროლეტარი, გლეხი, ჯარისკაცი, რკინიგზელი მოსამსახურე. იზრდება საგაფიც-

ვო მოძრაობა, მუშავდება გაფიცვათა ახალი ფორმები («გაფიცვები ცვლათა მიხედვით» ერთი წარმოებისა მეორის მიყოლებით — ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ გაფიცვებს ცვლათა მიხედვით), მწვავდება გლეხთა უშუალო ბრძოლა მიწისათვის, ხშირდება ცნობები დაბეჩავებულ ჯარისკაცთა და მატროსთა გამოღვიძების შესახებ, წელში «იმართებიან» რკინიგზელები. რაღაც ახალი და ნორჩი მოძრაობს, ხმაურობს, ტრიალებს და ღელავს ყველგან. ნორჩი ყლორტები შეუკავებლად იკაფავენ გზას ნანგრევთა გროვიდან.

თუმცა კადეტები ცდილობენ მაგრად ჩაკეტონ თავრიდის სასახლის დარაბები, ცხოვრებას მაინც თავისი გააქვს, გრილი სიო იქაც იჭრება. მუშაობა კლასობრივი გამიჯვნისა და პოლიტიკური გარკვეულობის შეტანისათვის იქაც წარმოებს. კადეტები კიდევ ბატონობენ შრომის ჯგუფელებზე. ისინი დღესაც დღესასწაულობენ თავიანთ გუშინდელ გამარჯვებას, როცა მათ ჩაშალეს შრომის ჯგუფელების წინადადება სიკვდილით დასჯის კანონის დაუყოვნებლივ გატარების შესახებ, — როცა მათ შრომის ჯგუფელები აიძულეს უკან წაეღოთ წინადადება საადგილმამულო კომიტეტების, მიწის საკითხის გადასაწყვეტად ადგილობრივი თავისუფლად არჩეული კომიტეტების დაუყოვნებლივ დაარსების შესახებ.

მაგრამ უკვე თვით ის ფაქტი, რომ კადეტებს სულ უფრო და უფრო ხშირად უხდებათ ბრძოლა სათათბიროში ბატონობისათვის, ცხადჰყოფს რაღაც ღრმა განსხვავებას მათსა და შრომის ჯგუფელებს შორის. რაც უფრო ხშირი და მწვავეა ეს საბრძოლო შეჯახებები, ხალხის მასის წინაშე მით უფრო გარკვევით იჩენს თავს განსხვავება ლიბერალ მემამულესა, მეფაბრიკესა, ადვოკატსა, პროფესორსა — და გლეხს შორის. გლეხი მთელი სულითა და გულით ეძებს სახალხო თავისუფლებას, და სწორედ ამიტომაც ვერ შეეგუება გლეხი «სახალხო თავისუფლების» პარტიას. გლეხი დაძაბულად ეძებს მიწასა და თავისუფლებას, და მარტოოდენ ამ დაძაბვის გამო სულ მთლად ირღვევა «სახალხო თავისუფლების» ყბადაღებული პარტიის ყბადაღებული მოყვარეობა ხალხისა.

კადეტები ჯერ კიდევ ამარცხებენ შრომის ჯგუფელებს, მაგრამ მათი გამარჯვებანი ან პირდაპირ სკანდალებს უქმნიან მათს პარტიას, ან მთელ მათს «ბუნებას» ამჟღავნებენ პროლეტარიატისთვის მეტად სასიამოვნო გულახდილობით.

პირველი შემთხვევა დაქმართათ კადეტებს სწორედ საკატორღო კანონპროექტის საქმეში პრესის თავისუფლების შესახებ. ისინი თავს იმართლებენ, ცდილობენ თავი დაიძვრინონ. მაგრამ უმწეო თავდაძვრენა კიდევ უფრო მეტად აბნევს მათ. თუმცა აღიარეს «შეცდომა», თქვეს, «შავად ნაწერი» დაიბეჭდაო, მაგრამ შეცდომა აქამდე ვერ გაუსწორებიათ აშკარად, ვერ უჩვენებიათ გადათეთრებული დედანი.

მეორე შემთხვევაა — ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტები [138]. აშკარა პოლიტიკურმა ბრძოლამ მყისვე შეაკავშირა ყველა «მემარცხენენი», ე. ი. შრომის ჯგუფელები და ს.-დ. პროლეტარიატი, კადეტების წინააღმდეგ. მენშევიკები შეუთანხმდნენ ბოლშევიკებს კადეტების ჭეშმარიტი ზრახვების შეფასებაში: რევოლუციის ღალატი, რევოლუციის ჩაქრობა «ბიუროკრატიული» პროექტების საშუალებით, გ ლ ე ხ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მ ო ხ ე ლ ე ე ბ ი ს ა და ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი ს გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს საშუალებით. საკითხი ნათლად დაისვა: მოხელეები და ლიბერალური მემამულეები უნდა დაემორჩილონ ათეული მილიონობით გლეხებს, თუ ეს ათეული მილიონები უნდა დაემორჩილონ ერთ მუჭა მოხელეებსა და ლიბერალებს? მთელმა მუშათა კლასმა, პროლეტარიატის ყველა ს.-დ. წარმომადგენელმა, ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს გლეხებს მოხელეებისა და ლიბერალების წინააღმდეგ. კადეტებმა კი ჩინებულად შეირცხვინეს თავი. ჩვენ ვაიძულეთ ისინი საჯაროდ ეღიარებინათ, რომ მ ა თ ა რ ა ს უ რ თ ს რ უ ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ღ ა მ თ ე ლ ი მ ი წ ა მ ი ს ც ე ნ გ ლ ე ხ ე ბ ს, რომ გ ლ ე ხ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ს ი ნ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მ ი მ ა რ თ ა ვ ე ნ მ ო ხ ე ლ ე ე ბ ს. ადგილობრივ საადგილმამულო კომიტეტებში უსათუოდ გლეხები უნდა სჭარბობდნენო, ამბობენ ზოგიერთნი: გლეხები ათეუ-

ლი მილიონობით არიან, ხოლო მოხელეები და მემამულენი ასი ათასობითო. სხვები უპასუხებენ: მემამულეები და გლეხები თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი, მოხელეები კი მონაწილეობას მიიღებენ და «კონტროლს გაუწევენო».

ერთ მხარეზეა პროლეტარიატი და შეგნებული გლეხობა, მეორეზე — მოხელეები და კადეტები. ასეთია ის დაჯგუფება, რომელსაც ცხოვრება გვიკარნახებს ახლანდელ, დაუყოვნებლივ მოსალოდნელ ბრძოლაში.

დიდება თქვენდა, კადეტთა სახელმწიფო გვამნო! დიდება თქვენდა, გაზეთების «რეჩისა» და «დუმის» მწერლებო, — ჩინებულად გვეხმარებით ჩვენ, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს, ხალხისთვის შეულამაზებელი პოლიტიკური სინამდვილის განმარტებაში! გვეხმარებით თქვენი თეორიებითაც და თქვენი საქმეებითაც.

თეორიების მხრივ თქვენ უფრო და უფრო შორს უ ნ დ ა წახვიდეთ. თქვენ საუცხოოდ აყენებთ საკითხს დღეს: საქმე ეხება «შეხედულებათა პრინციპულ განსხვავებას» («რეჩ» № 84). «ერთი შეხედულების მიხედვით, სათათბირო მხოლოდ ერთ-ერთი «ეტაპია რევოლუციისა» *, მაშინ როდესაც მეორე შეხედულების მიხედვით სათათბირო რის გზა ფართო დემოკრატიულ საფუძველზე კონსტიტუციური წყობილების განმტკიცებისაკენ».

ჩინებულია, საუცხოოა, ბატონო «რეჩელო» მწერლებო! სწორედ ასეა: ჩვენს წინაშეა ო რ ი ძირითადი პრინციპული შეხედულება. ან სათათბირო — რევოლუციის ეტაპია. ან სათათბირო — პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის წინააღმდეგ მოხელისა და კადეტის შეთანხმების იარაღია. თქვენ უკმაყოფილო ხართ ასეთი გამოთქმისა? თქვენ პროტესტს აცხადებთ? რა ხუმარები ყოფილხართ! განა თქვენ სავსებით არ ამხილეთ საკუთარი თავი ადგილობრივ საადგილმამულო კომიტეტთა საკითხში? რომელი ბრიყვი ვერ მიხვდება ახლა, რომ «ფართო დემოკრატიულ საფუძვლებს»

* «იარაღია რევოლუციისა», ამბობს რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის რეზოლუცია.

უკან იმალება გლეხთა და ლიბერალთა შ ე ძ ლ ე ბ ი ს დ ა გ ვ ა რ ა დ თ ა ნ ა ბ ა რ ი წარმომადგენლობა ისეთ პირობებში, როდესაც ბატონი გორემიკინები და სხვა მოხელეები მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ე ნ დ ა მ ა თ კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა აქვთ?

და თუ ვინმე ყურად არ იღებს კადეტების ყველა ამ სიტყვას, განცხადებასა და თეორიას, ხვალ მას მათივე ს ა ქ მ ე ე ბ ი გაანათლებს. და ეს არც ისე შორსაა. ჩვენ «სახალხო თავისუფლების» პარტიის მიმართ ვიტყვით მხოლოდ: რასაც იქმოდე, ჰქმენ მალე!

ხოლო სახელდობრ თუ რას აკეთებს ეს პარტია, ჩამოთვლილია მუხლებად.

ჩვენი მთავრობის პოლიტიკაში მომხდარ შებრუნებას გულდასმით იხილავენ გაზეთები. საფრანგეთის ბანკირები ფულს არ იძლევიან, უარს ამბობენ მორიგ შესატანთა გადახდაზე. საფრანგეთის კაპიტალისტთა ყველაზე გავლენიანი გაზეთი, «Le Temps» *, დაჟინებით ურჩევს რუსეთის მთავრობას დაუთმოს კადეტებს. ვიტე და დურნოვო საზღვარგარეთ წავიდნენ იმ მიზნით, რომ დაეყოლიებინათ საფრანგეთის ბანკირები. არ ხერხდება. არ სჯერათ. ტრეპოვი გაფაციცებით იხილავს ახალი სამინისტროს შემადგენლობის საკითხს. პრემიერად აპირებენ კოკოვცოვს ან სხვა მოხელეს. მინისტრებად — მემარჯვენე კადეტებს.

შეიძლება, გვითხრან, ყოველივე ეს გაზეთების ჭორებიაო. შესაძლოა. მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ სიმართლის ნამცეცი აქაც იყოს. კვამლი უცეცხლოდ არ იქნება. გაზეთი «ნოვოე ვრემია» — დიდიხნის ცნობილი ფლუგერია. მისი უნარი ქარის მიმართულებით შებრუნებისა და უფროსთა წინაშე მლიქვნელობისა დამტკიცებულია ათეული წლების განმავლობაში. ეს გაზეთი სწორედ უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად იცვლის ფრონტს. ნაცვლად ლანძღვა-გინებისა კადეტების მიმართ ჩვენ ამ გაზეთში ვკითხულობთ უაღრესად

* — «დროება». რ ე დ.

მხურვალე მოწოდებებს, რათა მთავრობამ დაუთმოს კადეტებს და კადეტური სამინისტრო შეადგინოს. მაგრამ, იქნებ, კადეტები აღშფოთებული არიან «ნოვოე ვრემიას» სიცრუით? სრულიადაც არა. «რეჩს» უკვე ორჯერ (№ 82 და № 84) მოჰყავს ციტატი ამ საკითხზე «ნოვოე ვრემიადან» და ერთი სიტყვითაც პროტესტი არ განუცხადებია, მოჰყავს აშკარა თანაგრძნობით, მხოლოდ სინანულს გამოთქვამს — ხანდახან ძველი დროის გამოძახილი ისმის იმავე «ნოვოე ვრემიაშიო».

ამრიგად, შესაძლოა, კადეტური სამინისტრო მოგველოდეს კოკოვცოვის მსგავსი ვისიმე მეთაურობით. დღევანდელი საღამოს გაზეთები იმასაც კი იტყობინებიან, გორემიკინის სამინისტრო უკვე გუშინ გადადგაო. და ჩვენც ერთხელ კიდევ ვეტყვით «სახალხო თავისუფლების» პარტიას: რასაც იქმოდე, ჰქმენ მალე! თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობაში ისეთ სრულ და უსრულეს გარკვეულობას სხვა ვერაფერი შეიტანდა, როგორც უმაღლესი ხელისუფლების მიერ კადეტური სამინისტროს დანიშვნა. სწორედ მაშინ გაქრება კადეტებზე დამყარებული უკანასკნელი ბეცი იმედები, საბოლოოდ სწორედ მაშინ დაირაზმებიან ცოცხალი პოლიტიკური საქმის გარშემო ყველა «მემარცხენენი», სწორედ მაშინ გაქრება ყოველგვარი დავა სათათბიროსთვის და სათათბიროს სამინისტროსთვის მხარის დაჭერის შესახებ, სწორედ მაშინ გახდება ახალი «ეტაპის» რეალური ფაქტი და საფუძველი ის პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც ახლა დაისახა.

თუმცა, ეს «ეტაპი» კადეტური სამინისტროს დაუნიშნავადაც დადგება. ჩვენ «სავსებით მზადა ვართ», ბატონო კადეტებო!

დაწერილია 1906 წ.
27 მაისს (9 ივნისს).

დაიბეჭდა 1906 წ. 28 მაისს
გაზეთ «ეპერიოდში», № 3

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

პროლეტარიატის ტაქტიკა და მომენტის ამოცანები

სამი დღის წინათ ჩვენს მიერ გამოქვეყნებული ცნობა გორემიკინის სამინისტროს გადადგომის შესახებ ოფიციალურად უარყოფილია. მაგრამ იმ გაზეთებს, რომელთაც ერთგვარი შესაძლებლობა აქვთ ცოტა რამ გაიგონ «ახლო» წყაროებიდან, არა სჯერათ ეს უარყოფა. «ნოვოე ვრემიას» კამპანია კადეტური სამინისტროს სასარგებლოდ უფრო ფრთხილი გახდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. «ნოვოე ვრემიამ» გაამჟღავნა იაპონელი დიპლომატი, რომელიც ფიქრობს, «კადეტური პარტია სახელმწიფოებრივ ამოცანებს ისახავსო», — ეს გაზეთი იმასაც კი ირწმუნება, ბ-ნ როზანოვის პირით, რომ «კადეტები რევოლუციისთვისაც არ შეელევიან კულტურასაო», და რომ «ამჟამად ეს არის ყველაფერი, რაც კი შესაძლებელიაო». გაზეთი «რეჩი» თავის მხრივ ფიქრობს, რომ «გორემიკინის კაბინეტის გადადგომა შეიძლება გადაწყვეტილ საქმედ ჩაითვალოს და საკითხი იმაში მდგომარეობს, ვინ იქნება მისი მონაცვლეო». ერთი სიტყვით, კადეტური სამინისტროს საკითხი კვლავ დღის წესრიგში დგას.

კადეტები გრძნობენ ამას, — და შეიძლება არა მარტო ამას. ისინი «განაბული» არიან. ისინი ორივე ხელით ეჭიდებიან მარცხნიდან მხარის დაჭერის ყოველგვარ ნასახსაც კი, რაც მათ დახმარებას გაუწევდა მათი გეგმების განხორციელებაში. კადეტური პარტიის მთავარმა ორგანომ, «რეჩმა», თავისი უკანასკნელი მოწინავე სტატია ტყუილუბრალოდ კი არ მიუძღვნა კა-

დეტური სამინისტროსადმი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულების საკითხს. ჩვენ ქვემოთ მთლიანად ვბეჭდავთ ამ სტატიას, როგორც ჩვენი დროის უაღრესად საგულისხმო ნიშანს.

ამ მოწინავე სტატიის მთავარ აზრს ავტორები შემდეგი სიტყვებით გადმოსცემენ: შეიქმნას «საერთო ნიადაგი, რომელსაც განმათავისუფლებელი მოძრაობა დაემყარებოდა სრულიად ერთსულოვნად, ელ ფ ე რ თ ა გ ა ნ უ რ ჩ ე ვ ლ ა დ». მართლაც ასეთია მთელი კადეტური პოლიტიკის მთავარი მიზანი. ეგ კიდევ არაფერი. ასეთია საერთოდ რუსეთის რევოლუციაში მთელი ლიბერალურ-ბურჟუაზიული პოლიტიკის მთავარი მიზანი. განმათავისუფლებელ მოძრაობაში «სხვადასხვა ელფერის» თავიდან აცილება — ეს ნიშნავს თავიდან აიცილო ბურჟუაზიის, გლეხობისა და პროლეტარიატის დემოკრატიულ მოთხოვნათა განსხვავება. ეს ნიშნავს ლიბერალური ბურჟუაზიის «სრულიად ერთსულოვნად» აღიარებას მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის მისწრაფებათა გამომხატველად და გამტარებლად. ეს ნიშნავს პროლეტარიატის გადაქცევას ლიბერალური ბურჟუაზიის ბრმა იარაღად. ხოლო რადგან ყველას მოეხსენება, რომ ლიბერალური ბურჟუაზიის უმაღლეს პოლიტიკურ იდეალს — და მის უღრმეს კლასობრივ ინტერესს — შეადგენს ძველ ხელისუფლებასთან მორიგება, ჩვენ შეგვიძლია სხვაგვარადაც გამოვხატოთ ეს ჩვენი უკანასკნელი დებულება. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბურჟუაზიულ «რეჩს» უნდა პროლეტარიატი გახადოს ძველ ხელისუფლებასთან ლიბერალების მორიგების ბრმა ხელშემწყობად. ეს მორიგება კი, უმთავრესად, მიმართულია პროლეტარიატის წინააღმდეგ და შემდგომ, რა თქმა უნდა, რევოლუციური გლეხობის წინააღმდეგაც.

ასეთია კადეტური სამინისტროს ნამდვილი მნიშვნელობა. ამასწინანდელმა შეჯახებამ სახელმწიფო სათათბიროში ადგილობრივ საადგილმამულო კომიტეტთა საკითხის გამო უაღრესად დიდი ნათელი მოჰფინა კადეტურ პოლიტიკას. კომიტეტე-

ბი უნდა ყოფილიყვნენ ადგილობრივი ხელისუფლება, სამინისტრო უნდა გამხდარიყო ცენტრალური ხელისუფლება, მაგრამ კადეტური პოლიტიკის არსი ყოველთვის და ყველგან ერთი და იგივეა. კადეტები წინააღმდეგი არიან ადგილობრივ კომიტეტთა საყოველთაო არჩევნებისა, ისინი იცავენ «მემამულეთა და გლეხთა თანასწორუფლებიან წარმომადგენლობას ძველი ხელისუფლების კონტროლით». კადეტები ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი გ ა ხ დ ნ ე ნ, თავიანთი ნების წინააღმდეგ, ეღიარებინათ ეს, ვინაიდან ისინი დიდხანს ფ ა რ ა ვ დ ნ ე ნ ს ი მ ა რ თ ლ ე ს, ბურუსში ხვევდნენ საქმეს და ირწმუნებოდნენ, «ს ა ე რ თ ო დ» თავგამოდებით ვიცავთ როგორც ადგილობრივ საადგილმამულო კომიტეტებს, ისე საყოველთაო საარჩევნო უფლებასაო. სწორედ ასევე კადეტები წინააღმდეგი არიან დამფუძნებელი კრებისა, ისინი იცავენ უმაღლესი ხელისუფლების მიერ დანიშნულ კადეტურ სამინისტროს. ასეთი სამინისტრო, როგორც ცენტრალური ძალაუფლების ორგანო, სავსებით თანაგვარი იქნება ადგილობრივი კომიტეტებისა, რომლებიც შესდგება ყბადაღებული თანაბარი წარმომადგენლობისა და სხვათა საფუძველზე.

ცხადია, რა ტაქტიკას უნდა დაადგეს პროლეტარიატი კადეტების ამ პოლიტიკის გამო. პროლეტარიატმა დაუნდობლად უნდა ამხილოს ამ პოლიტიკის დედაარსი და არავითარი ორაზროვნება, მუშათა და გლეხთა პოლიტიკური შეგნების არავითარი დაბნელება არ უნდა დაუშვას. პროლეტარიატმა გულმოდგინედ უნდა გამოიყენოს «ძალაუფლების მქონეთა» და «ძალაუფლების გამზიარებელთა» პოლიტიკის ყოველგვარი მერყეობა თ ა ვ ი ს ი კლასობრივი ორგანიზაციის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის, თავისი კავშირურთიერთობის გამაგრებისათვის რევოლუციურ გლეხობასთან, როგორც ერთადერთ კლასთან, რომელსაც უნარი შესწევს განმათავისუფლებელი მოძრაობა წაიყვანოს კადეტურ «ჯებირს» ი ქ ი თ ა ც, ძველ ხელისუფლებასთან კადეტური მორიგების იქითაც.

მაგრამ მართებს თუ არა პროლეტარიატს მ ხ ა რ ი დ ა უ ჭ ი რ ო ს ლიბერალური ბურჟუაზიის მოთხოვნას, ე. ი. უმაღლესი ხელისუფლების მიერ კადეტური სამინისტროს შექმნას? ვალდებულია თუ არა პროლეტარიატი ეს ჩაიდინოს თავისუფლებისათვის ბრძოლისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის იმ შემსუბუქების მიზნით, რასაც კადეტური სამინისტრო მოუტანს მას?

არა, ასეთი ნაბიჯი უდიდესი შეცდომა და პროლეტარიატის ინტერესების ღ ა ლ ა ტ ი იქნებოდა. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ წუთიერი წარმატების გამოდევნებით გაგვეწირა პროლეტარიატის ძირითადი ინტერესები რევოლუციაში. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მოჩვენებას ავყოლოდით და პროლეტარიატისთვის გვერჩია «განიარაღებულიყო», როცა მისი ბრძოლის ნ ა მ დ ვ ი ლ ი შემსუბუქების ოდნავი რ ე ა ლ უ რ ი გარანტიაც კი არ არსებობს. ეს უცუდესი სახის ოპორტუნიზმი იქნებოდა.

უმაღლესი ხელისუფლების მიერ კადეტური სამინისტროს დანიშვნა ჯერ კიდევ სრულიადაც ვერ არყევს ძველი ხელისუფლების საფუძვლებს. ძალთა რეალური თანაფარდობა უსათუოდ სრულიადაც არ იცვლება ამ დროს ნამდვილად რევოლუციური კლასების სასარგებლოდ. ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის ბრძოლას ასეთი «რეფორმა» ოდნავადაც ვერ გვაშორებს თავიდან. რევოლუციის ისტორიაში ყოფილა მაგალითები, როცა ასეთი, ძველი ხელისუფლების მიერ დანიშნული, ლიბერალური სამინისტრო (მაგალითად, გერმანიაში 1848 წელს) მხოლოდ თვითმპყრობელობის შირმა იყო და ზოგიერთ ბიუროკრატიულ სამინისტროზე უკეთ ეხმარებოდა რევოლუციის ჩაქრობაში.

რუსეთის პროლეტარიატს საფუძველი არა აქვს ეშინოდეს კადეტური სამინისტროსი, რომელიც ყოველ შემთხვევაში დაეხმარება ხალხს კადეტების ნამდვილი ბუნების შეცნობაში, მაგრამ მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუჭიროს მხარი

ასეთ ზომას, რადგან ეს, არსებითად, უაღრესად ორაზროვანი, გამცემლური, მოღალატური ზომაა.

პროლეტარიატისთვის ხელსაყრელი იყო, რომ — რაკი არ მოხერხდა სათათბიროს აღგვა — კადეტებს უმრავლესობა ჰქონოდათ არჩევნებში. ამით კადეტები უფრო ჩქარა «ამოსწურავენ» თავიანთ თავს, ვიდრე უმცირესობაში რომ დარჩენილიყვნენ. მაგრამ პროლეტარიატმა უარი თქვა კადეტებისთვის ყოველგვარ მხარის დაჭერაზე არჩევნებში, და რსდმპ გამაერთიანებელმა ყრილობამაც დაადასტურა ეს გადაწყვეტილება სხვა პარტიებთან ბლოკის (შეთანხმების, კავშირის) აკრძალვით. კადეტური სამინისტრო პროლეტარიატისთვის ი მ მ ხ რ ი ვ არის ხელსაყრელი, რომ ასეთი კომბინაციის დროს კადეტები ყველაზე უფრო სწრაფად «ამოსწურავენ» თავიანთ თავს, «მოათავებენ საქმეს», უფრო სწრაფად «გამოიფიტებიან» და გამოააშკარავებენ თავიანთ თავს. მაგრამ პროლეტარიატი არასოდეს არ ჩაიდენს იმას, რომ მხარი დაუჭიროს ბურჟუაზიის მ ო რ ი გ ე ბ ა ს ტრეპოვთან სახალხო თავისუფლების გაყოფის შესახებ.

განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის ნამდვილ «მხარის დაჭერას», მის ნამდვილ განვითარებას იძლევა მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციების განვითარება და რევოლუციურ გლეხობასთან მისი კავშირურთიერთობის განმტკიცება. სინამდვილეში მხოლოდ ეს შეასუსტებს ძველ ხელისუფლებას და მოამზადებს მის დამხობას. ხოლო კადეტების მორიგება — ეს არის ორაზროვანი თამაში, რომლისთვის მხარის დაჭერა ფუჭია რევოლუციის მართლაც მტკიცე მონაპოვართა თვალსაზრისით და საზიანოცაა რევოლუციურ კლასთა შეგნების, დარაზმულობისა და ორგანიზებულობის განვითარების თვალსაზრისით.

«ვპერიოდ» № 4,
1906 წ. 30 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

გერმანიის სოციალ-დემოკრატია კადეტების შესახებ

მთელი რუსეთის ლიბერალურ-ბურჟუაზიული პრესა მთელი ძალღონით ცდილობს დაარწმუნოს მკითხველები, რომ რუს. ს.-დ. «ბოლშევიკებს» საერთო არაფერი აქვთ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიასთან. ესენი, თურმე ნუ იტყვით, ანარქისტები, მეამბოხეები, შეთქმულნი ყოფილან; მათ მართებთ გერმანელი სოციალ-დემოკრატებისაგან ისწავლონ; მთავარ გზად მათ უნდა აღიარონ «პარლამენტური» გზა, როგორც ეს გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა ჰქნესო. ასეთი და ამის მსგავსი სიტყვები მოისმის ათეული კადეტური გაზეთების ფურცლებიდან.

რუსი ხალხისთვის აშკარა პოლიტიკური ბრძოლა ჯერ კიდევ ახალი ამბავია. რუსმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ იცის, რომ ეს ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის უაღრესად ჩვეულებრივი ხერხია: მუდამ ამტკიცონ, რომ ამა და ამ ქვეყნის სოციალისტები არამზადები, მეამბოხეები და სხვ. არიან, ხოლო აი მეზობელი ქვეყნების სოციალისტები «კეთილგონიერი» ადამიანები არიანო. საფრანგეთის ბურჟუაზია ყორეს აგინებს და ბებელს აქებს. გერმანიის ბურჟუაზია ბებელს აგინებს და ყორეს აქებს. რუსეთის ბურჟუაზია რუს სოციალ-დემოკრატებს აგინებს და გერმანელ სოციალ-დემოკრატებს აქებს. ძველისძველი ხერხია!

აი ფაქტებიც. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ორგანოში «**Vorwärts**» («წინ») — ამ გაზეთს ძალიან იშვიათად ვღებულობთ, რუსეთის პოლიციური ცენზუ-

რის «მეცადინეობის» წყალობით — ამას წინათ მოთავსებული იყო ორი სტატია «სათათბირო და კადეტები». რედაქციამ ეს «რუსული წერილები» არამცთუ მოწონავე სტატიებად მოათავსა, არამედ შენიშვნაც კი დაურთო მათ: «რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში კადეტების მდგომარეობის სწორი დახასიათებააო».

მაშ ვნახოთ, კადეტების როგორ შეფასებას თვლის ს წ ო რ ა დ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო. ნუ დაგვემდურება მკითხველი გრძელი ამონაწერებისთვის: საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გადავაჩვიოთ რუსი ლიბერალური ჟურნალისტები იმის შეთხზვას, თითქოს უთანხმოება არსებობდეს რუსეთისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიას შორის.

«ამ ცოტა ხნის წინათ — ნათქვამია სტატიაში **«სათათბირო** და **კადეტები»** — კადეტებზე ჯერ კიდევ არაფერი ისმოდა. ისინი არ ჩანდნენ იქ, სადაც სისხლი იღვრებოდა და სროლის ხმა ქუხდა. ისინი არ ჩანდნენ იქ, სადაც სიცოცხლეს სწირავდნენ რევოლუციური ბრძოლის გმირობით გატაცებული ხალხის მასები, რომელთაც გადაეწყვიტათ სიკვდილი ან გამარჯვება პროლეტარული თავისუფლების დროშით. ეს რეალური პოლიტიკოსები მეტისმეტად სახელმწიფოებრივი ბრძენნი, მეტისმეტად შორსმჭვრეტელნი იყვნენ, რომ აჰყოლოდნენ მასობრივ მოძრაობას, რომელსაც წინ მიუძღოდნენ «განკიცხულნი» და მეოცნებენი, რევოლუციის «ფანატიკოსები». ისინი, ეს გულდამშვიდებულნი ბრძენნი, ფრაზის ეს გმირნი, მოჩვენებითი ცრულიბერალიზმის რაინდნი, წყნარად ისხდნენ შინ ღუმელთან. შიშით შეპყრობილნი ნაღვლიანად თავს იქნევდნენ, ვაი თუ რევოლუცია მეტად შორს წავიდეს, ვაი თუ მან შეარყიოს ბურჟუაზიული ცხოვრების, საკუთრების, პოლიტიკური კეთილსახიერების, წესრიგის ძველთა-ძველი წმინდათა-წმინდა საფუძვლებიო.

კადეტებმა «სამსახურისათვის მზადყოფნის» მხრივ უკვე დიდი ხანია თავიანთი სრული გაწვრთნილობა გამოააშკარავეს. უკვე ბულიგინის სათათბიროს დროს ოცნებობდნენ ისინი, რათა ხიდი გაედოთ მაშინ ჯერ კიდევ «უმწიკვლო» ვიტესგან ლიბერალიზმისაკენ, რომელიც აშკარად ეკეკლუცებოდა უცხოეთის ბირჟას. ბირჟა საერთოდ ჩვენი **«სახალხო** თავისუფლების» პარტიის სუსტი ადგილია. სულ რაღაც რამდენიმე დღის წინათ კადეტები აღშფოთებით იმართლებდნენ თავს ბრალდებისაგან, თითქოს ისი-

ნი «გამცემლურ» აგიტაციას ეწეოდნენ ახალი მილიარდიანი სესხის წინააღმდეგ. და მათი ასეთი საქციელი სავსებით გასაგებია. უაღრესად თავაშვებული პოლიციური თვითნებობის დროს ისინი ცდილობდნენ აეხსნათ ეს დემოკრატიის საქციელით. კამარილიის მიერ მოწყობილი ხანძრებისა და დარბევების დროს ისინი მთელი სულითა და გულით იცავდნენ ტახტსა და საკურთხეველს [130] ყველაფრის არადჩამგდებ, ყველაფრის უარმყოფელ, ყველაფრის დამანგრეველ სოციალისტთა შემოტევისაგან.

დადგა ცნობილი ბოიკოტის დრო, დაიწყო ოქტომბრის დიდი გაფიცვა, სახალხო აჯანყებათა, სამოქალაქო ომის, ზღვასა და ხმელეთზე სამხედრო ამბოხებათა სისხლისმღვრელი ხანა. კადეტები წალეკა ტალღის დიადმა განმწმენდმა აზვირთებამ.

მაშინ არაფერი ისმოდა კადეტებზე. ზომიერების რაინდები მიიმალნენ. უკეთეს შემთხვევაში ისინი ხმამაღლა პროტესტს აცხადებდნენ, ხმამაღლა სჩიოდნენ, მაგრამ რევოლუციური ქარიშხლის ჭექა-ქუხილში მათი ხმა არ ისმოდა.

რეაქციამ კადეტებს საუკეთესო საშსახური გაუწია. როდესაც საპყრობილეები კვლავ აივსო, როდესაც კვლავ გამოცოცხლდა გადასახლების ადგილები, სადაც რუსი მებრძოლნი იმარხებოდნენ, მაშინ კადეტების დრო დადგა. მათი მემარცხენე მოწინააღმდეგენი იძულებული იყვნენ ხმა გაეკმიდათ. კადეტებს ხელი მიუწვდათ გაზეთებამდე, კადეტებს შედარებით ნაკლებად შეეხო კონტრრევოლუციის მხრივ დევნა. დამსჯელი ექსპედიციები მათ წინააღმდეგ როდი იგზავნებოდნენ, მათ სახლებს როდი სწვავდნენ, მათ შვილებს როდი აუპატიურებდნენ კაზაკები, მათდამი როდი იყო მიმართული ბატონ ვიტე-დურნოვოს «დამამშვიდებელი» ზომები, მათ წინააღმდეგ როდი იყო მიმართული ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები, არტილერია და ქვეითი ჯარი, ფლოტი და კაზაკები. და კადეტებიც წინ წამოდგნენ. დაიწყო სიტყვიერი ბრძოლა. რევოლუცია პოლემიკამ შესცვალა, და ამ ასპარეზზე კადეტები უბადლო ოსტატნი და ვირტუოზები აღმოჩნდნენ. პირველ რიგში ისინი ეკვეთნენ რევოლუციას და რევოლუციონერებს, ლანძღავდნენ სოციალისტებს, ცილს სწამებდნენ მუშათა პარტიას. ისინი ეკამათებოდნენ მოწინააღმდეგეს, რომელსაც პირში ბურთი ჩასჩარეს. ისინი ბრალს სდებდნენ იმათ, ვისაც არ შეეძლო არც პასუხის გაცემა, არც თავის დაცვა. მაგრამ რუსული ლიბერალიზმი ამასაც არ დასჯერდა. ერთ-ერთი თავისი უაღრესად გამოჩენილი ბელადის პირით მან განაცხადა, რუსეთის მთელი გმირული განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩემი მოწყობილია, თვითმპყრობელობის დამხობა ჩემი დამსახურებაა. თავხედურად იყენებდნენ კადეტები პროლეტართა მიერ დაღვრილ სისხლს, ეხვეოდნენ ნაფლეთებად ქცეულ წითელ დროშაში, ლიბერალიზმს განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისჩამდგმელად, ტირანებისაგან სამ-

შობლოს მხსნელად აცხადებდნენ. და თუმცა საპყრობილეები კვლავ ავსებული რჩებოდა, სახრჩობელებს კვლავ აგებდნენ, მაგრამ კადეტები თავის ქებას განაგრძობდნენ და აცამტვერებდნენ მოუსვენარ, თავხედ, თავგამოდებულ რევოლუციონერებს».

შემდგომ ავტორი ასწერს ჩვენი სათათბიროს იურიდიულ მდგომარეობას, კანონს სახელმწიფო საბჭოს შესახებ, კადეტების როლს არჩევნებში.

«საყვარელ კადეტებს გულით უნდათ ევოლუცია ნაცვლად რევოლუციისა, უფლებრივი წესრიგი ნაცვლად რევოლუციური ანარქიისა და სამოქალაქო ომისა». მაგრამ არჩევნებში ხალხმა მათ რევოლუციური დავალებები მისცა, რაც კადეტებს სრულიადაც არ ესიამოვნებოდათ.

«როგორც ბუნებით დიპლომატები და პატიოსანი დალალები, ისინი ამედოვნებდნენ დაეცხროთ რევოლუცია, გამოეცოცხლებინათ ბირჟა, მოელბოთ თვითმპყრობელობა, შეერიგებინათ ყოველგვარი წინააღმდეგობა, აეცილებინათ ყოველგვარი შეჯახება. ისინი ქადაგებდნენ მშვიდობას, მაგრამ სინამდვილეს სხვა რაღაც მოჰქონდა. ამომრჩეველების წინაშე ისინი «კონსტიტუციურ დემოკრატებად» გამოდიოდნენ, მათ ირჩევდნენ როგორც ს ა ე რ თ ო დ ოპოზიციურ პარტიას, როგორც ერთადერთ ან მთავარ ოპოზიციურ პარტიას. ისინი კომპრომისისაკენ მიილტვოდნენ, მათ კი რევოლუციური დავალებანი მისცეს. ისინი ფრაზებს წარმოთქვამდნენ, მათ კი საბრძოლველად გზავნიდნენ, მათ ფიცს ადებინებდნენ, მათ შეპპირდნენ ყოველგვარ დახმარებას, თვით შეიარაღებულ ბრძოლასაც კი.

გამარჯვებით თავბრუდახვეულმა, საარჩევნო კამპანიის დროს რევოლუციური ფრაზით გატაცებულმა, რევოლუციურ ამომრჩეველთა წრეში მოხვედრილმა კადეტებმა უფრო შორს შესტოპეს, ვიდრე სურდათ. მათ ვერც კი შეამჩნიეს, რომ მათ ზურგს უკან გაჩნდა ახალი ძალა, რომელიც ბრძოლაში აბამდა მათ.

კადეტები მეტად დაგვიანებით მიხვდნენ, ვინ წარგზავნა ისინი პარლამენტში, ვინ მისცა მათ უფლებამოსილება ასეთი კატეგორიული იმპერატივით, ვინ მოახვია მათ თავს ის როლი, რომლისაც მათ ყველაზე მეტად ეშინოდათ, რომელზედაც ისინი მოელი ძალღონით უარს ამბობდნენ. ისინი წარგზავნა რუსეთის რევოლუციამ, რათა შემდგომი გზა გაესწორებინათ, ისინი წარგზავნა რუსმა ხალხმა, რომელმაც კადეტები გამოიყენა სანგრევ იარაღად, რათა მათ ხელახლა შეენგრიათ კედლები თვითმპყრობელობისა, რომლის მთავარი სიმაგრეები შემდგომ იქნება აღებული არა კადეტების დახმარებით, არამედ ხალხის ფართო მასების დახმარებით».

კადეტებს არ ესიამოვნათ სათათბიროში რევოლუციურ გლეხთა დეპუტატების დანახვა, რომელთაც შეეძლოთ მათი თამაშის ჩაშლა. ისინი «ერთსულოვან კადეტურ სათათბიროზე» ოცნებობდნენ. «მაშინ როგორმე შესაძლებელი იქნებოდა რევოლუციური ამოცანებისგან თავის დაღწევა, ყოველგვარი ნამდვილი მოქმედების ლამაზი სიტყვების ნიაღვარში ჩახრჩობა... შესაძლებელი იქნებოდა რეზოლუციებითა და პროექტებით დაკმაყოფილება, სულ დიდი-დიდი — კადეტური სამინისტროს მიღწევა, კონსტიტუციური მონარქიის განმტკიცება, წვრილმანი დათმობებით რევოლუციის მინელება, ყოველგვარი რეფორმების უსაზღვროდ გაჭიანურება და ბოლოს და ბოლოს მიღწევა მიზნისა: შემოღება ბურჟუაზიულ-ლიბერალური პარლამენტარიზმისა... დიახ, ყოველივე ეს შესაძლებელი იქნებოდა, სათათბიროში რომ გლეხები არ იყვნენ!» და სტატიის ავტორი ასწერს — ხანდახან პირდაპირ აღტაცებით — სათათბიროში გლეხთა დეპუტატების რევოლუციურობას. «რევოლუციამ თავისი მხრებით შეიყვანა სათათბიროში არა მარტო კადეტები, მან შეჰქმნა აგრეთვე «მთაც», «მთის პარტიაც», რომელიც კომპრომისებზე არ წავა. რევოლუცია სათათბიროშიც არის წარმოდგენილი».

«საბრალო კადეტები, საბრალო რუსი ჟირონდისტები! ისინი გრდემლსა და ურის შუა, მთავრობის ხიშტებსა და პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციას შუა მოექცნენ.

ტყუილუბრალოდ როდი დაიწყეს ახლა კადეტებმა თავიანთი წითელი სამოსელის ასე სამარცხვინოდ დამალვა. ტყუილუბრალოდ როდი უკუაგდებენ ისინი თავიანთ მყვირალა ლოზუნგებს. ტყუილუბრალოდ როდი ალაპარაკდნენ ისინი ახლა ძველი ხელისუფლების პრეროგატივებისადმი თავიანთ პატივისცემის ვრძნობებზე. მდგომარეობა სერიოზული ხდება. მთავრობა არ ხუმრობს, შიშველი ხელებით კი მისგან ვერაფერს მიიღებ. მაგრამ რევოლუციაც, რომელმაც კადეტები წარგზავნა სათათბიროში, რევოლუციაც არ ხუმრობს. ის არ აპატიებს კადეტებს მათს ღალატს. იგი არ დაინდობს ლაჩრებს, რომლებმაც რევოლუციური როლი იკისრეს და მამაცობა დაჰკარგეს.

ერთ მხარეზეა აბსოლუტიზმი, მეორეზე — რევოლუცია. როგორ მოიქცევიან კადეტები?»

ასე თავდება სტატია, რომელსაც თანხმობას უცხადებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანო. ხედავთ, რარიგ შეარცხვინეს «ბოლშევიკები» ამ «კეთილგონიერმა» გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა? როგორ მკვეთრად განირჩევა მათი და ჩვენი აზრი კადეტებზე? როგორ დაშორებულია ერთმანეთისაგან მათი და ჩვენი ლოზუნგები: პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუცია?

დაე მკითხველი იმასაც ჩაუფიქრდეს, დავშორდებოდით თუ არა ჩვენ ასეთ ადამიანებს კადეტური სამინისტროს შეფასებაში?

არა, აბსოლუტიზმის მიმართ, ლიბერალური ბურჟუების მიმართ საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ახლაც სოლიდარულია, ისე როგორც ყოველთვის!

«ვპერიოდ» № 5, 1906 წ.
31 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

ჟურნალ-გაზეთებს შორის

ბ-ნი პ. მილიუკოვი «რეჩის» 86-ე ნომერში აჯამებს «სათათბიროს პირველი თვის მუშაობას».

საერთოდ რომ ვთქვათო, წერს პატივცემული ავტორი,

«ყველაფერი, რაც ჩვენ აქ მოგვყავდა, როგორც სათათბიროს არსებობის მხოლოდ ერთი თვის მოღვაწეობის უდიდესი წარმატების დამამტკიცებელი საბუთი, — ყოველივე ეს უწონო სიდიდეა».

მაგრამ «სათათბიროს მუშაობის პირველი თვის» შედეგად მაინც გვაქვს საკმაოდ «წონიანი» შედეგებიც... ყოველ შემთხვევაში პერსპექტივის სახით.

«როდესაც «Temps» საზღვარგარეთ და «ნოვოე ვრემია» პეტერბურგში «კადეტურ» სამინისტროს მოითხოვენ — ყველას ესმის, რას ნიშნავს ეს».

რომ ეს «ყველას ესმის» — მგონი, ცოტა არ იყოს მეტისმეტად ძლიერ არის ნათქვამი, ბ-ნო მილიუკოვო. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მართლაც ბევრს, ძალიან ბევრს ესმის უკვე ახლაც, «რას ნიშნავს ეს». იძულებული ვართ ბატონ კადეტებს კვლავ და კვლავ ვთხოვოთ სულ ერთი და იგივე: რასაც იქმოდე, ჰქმენ მალე! მაშინ, ბ-ნო მილიუკოვო, მართლაც ყველა მალე გაიგებს, «რას ნიშნავს ეს».

«ვპერიოდ» № 5,
1906 წ. 31 მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

დაე მუშებმა გადაწყვიტონ

რუსეთისა და განსაკუთრებით პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის წინაშე უმნიშვნელოვანესი საკითხი დგას, როგორ ჩავატაროთ უახლოესი პოლიტიკური კამპანია სახელმწიფო სათათბიროს მიმართ. თავისთავად ცხადია, ერთიანი სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის უ ა ხ ლ ო ე ს ი კამპანიის ეს საკითხი ისმება მხოლოდ გამაერთიანებელი **ყრილობის** რეზოლუციის ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი.

პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულ პროლეტარიატს ურჩევენ კამპანიის ო რ გეგმას: ერთი მოცემულია ც. კ.-ის რეზოლუციაში, მეორე — პ. კ.-ის რეზოლუციაში. «ვპერიოდის» [4] მეორე ნომერში ჩვენ უკვე დავბეჭდეთ ორივე ეს რეზოლუცია * და ახლა ვფიქრობთ შევჩერდეთ მათი შინაარსის არსებითს განსხვავებაზე. ც. კ.-ის რეზოლუციის მთავარი მუხლი ამბობს: «ჩვენ მხარს დავუჭერთ სათათბიროს მიერ გადადგმულ ყველა იმ ნაბიჯს, რომელნიც მიმართული იქნება ახლანდელი სამინისტროს დამხობისა და სათათბიროს მიერ დანიშნული სამინისტროთი მისი შეცვლისაკენ, რადგან ასეთ შეცვლაში ვხედავთ დამფუძნებელი კრების მოწვევის ხელშემწყობ პირობას». პ. კ.-ის რეზოლუცია არაფერს ამბობს ასეთი მოთხოვნის მხარდაჭერაზე და მთავარი ყურადღება გადააქვს მთავრობის მხრივ დაცინვაზე, სათათბიროს უძლურებაზე, ხალხიადმი შრომის ჯგუფის მიმართვის აუცილებლობაზე, მუშათა და გლეხთა ახალი და ერთობლივი ბრძოლის გარდუვალობაზე.

ამრიგად, მთავარი სადავო მუხლია: მხარი დავუჭიროთ თუ არა სათათბიროს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია კადეტური სამინისტროს შექმნისაკენ. ც. კ.-ის რეზოლუცია ბუნდოვანად ლაპარაკობს «სათათბიროს მიერ დანიშნული სამინისტროს» შესახებ. მაგრამ ყველამ იცის და მთელი ლიბერალურ-ბურჟუაზიული პრესაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სინამდვილეში ლაპარაკია სწორედ უმაღლესი ხელისუფლების მიერ სათათბიროსათვის სასურველი სამინისტროს, ე. ი. კადეტური სამინისტროს დანიშვნაზე. მუშათა კლასის ფართო მასებსაც მხოლოდ ამ აზრით შეუძლიათ გაიგონ ც. კ.-ის რეზოლუცია.

შეუძლია თუ არა სოციალ-დემოკრატიულ პროლეტარიატს მხარი დაუჭიროს უმაღლესი ხელისუფლების მიერ კადეტური სამინისტროს დანიშვნის მოთხოვნას? არა, არ შეუძლია. კადეტური სამინისტრო შეიძლება იყოს მხოლოდ თვითმპყრობელობის მ ო რ ი გ ე ბ ა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან სოციალისტური მუშებისა და რევოლუციური გლეხობის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატები, რა თქმა უნდა, გაორკეცებული ძალით გამოიყენებენ იმ ახალ მდგომარეობას, რომელიც ასეთი მორიგებით შეიქმნებოდა; სოციალ-დემოკრატები გულდასმით აწონ-დაწონიან თავიანთ ტაქტიკას, თუ ეს მორიგება დროებით მაინც შეამსუბუქებს ბრძოლას თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის. ჩვენ შევეცდებით ეს მორიგებაც, რევოლუციის წინააღმდეგ მიმართული, რევოლუციის სასარგებლოდ წარვმართოთ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მ ხ ა რ ი დ ა ვ უ ჭ ი რ ო თ ხ ა ლ ხ ი ს ზ ურ გ ს უ კ ან ბ ურ ჟ უ ე ბ ი ს ა დ ა მ ო ხ ე ლ ე ე ბ ი ს მორიგებას. ხალხს ან პროლეტარიატს ასეთი მხარის დაჭერისაკენ რომ მოუწოდო, ეს ნიშნავს გარყვნა მისი შეგნება, ეს ნიშნავს დაუმალო მას სიმართლე ამ მორიგების დ ე დ ა ა რ ს ზ ე, მის ს ა შ ი შ რ ო ე ბ ა ზ ე, ბურჟუაზიისა და მოხელეების მისწრაფებაზე — გ ა ა ძ ნ ე ლ ო ნ ამით დამფუძნებელი კრების მოწვევა.

ჩვენ უნდა მოვუწოდოთ მუშებსა და გლეხებს არა მორიგებათა მხარის დასაჭერად, არამედ ბრძოლისაკენ. მხოლოდ სერიოზული მომზადება ბრძოლისათვის მ ა რ თ ლ ა ც შეასუსტებს თვითმპყრობელობას, მხოლოდ ბრძოლაა იმის საწინდარი, რომ როგორც თვითმპყრობელობის, ისე ბურჟუაზიის ყ ვ ე ლ ა და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ნაბიჯი მართლაც სარგებლობას მოუტანს რევოლუციას. ც. კ.-ის რეზოლუცია უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო ა. შეგნებულ სოციალ-დემოკრატ მუშებს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ მიიღონ ეს რეზოლუცია, რომელიც მათ ურჩიეს.

ახლა მეორე საკითხი. საკალდებულოა თუ არა მივიღოთ ეს რეზოლუცია დისციპლინის გულისთვის, ყრილობისადმი დამორჩილების გულისთვის? გადაათვალიერეთ გამაერთიანებელი ყრილობის რეზოლუცია სახელმწიფო სათათბიროს შესახებ და დაინახავთ, რომ იქიდან ვერ გამოიტანთ კადეტური სამინისტროს შედგენის მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის დასკვნას, მასში ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა ც არ არის ნათქვამი საერთოდ სათათბიროსათვის «მხარის დაჭერაზე». აი მ თ ლ ი ა ნ ა დ ყრილობის რეზოლუციის ის ნაწილი, რომელიც გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს დამოკიდებულებას თვით სათათბიროსადმი: «სოციალ-დემოკრატიამ: 1) გეგმაზომიერად უნდა გ ა მ ო ი ყ ე ნ ო ს ყველა კონფლიქტი, რომელიც ჩნდება როგორც მთავრობასა და სათათბიროს შორის, ისე თვით სათათბიროს შიგნით, რევოლუციური მოძრაობის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, და ამ მიზნით: ა) უნდა ეცადოს იმ ზომამდე გ ა ა ფ ა რ თ ო ო ს დ ა გ ა ა მ წ ვ ა ვ ო ს ე ს კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ე ბ ი, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გადაქცევა თანამედროვე პოლიტიკური წესწყობილების დ ა მ ხ ო ბ ი ს ა კ ე ნ მიმართულ ფ ა რ თ ო მ ა ს ო ბ რ ი ვ მ ო ძ რ ა ო ბ ა თ ა გ ა მ ო ს ა ვ ა ლ წ ე რ ტ ი ლ ა დ; ბ) უნდა ეცადოს თვითეულ ამა თუ იმ შემთხვევაში მოძრაობის პოლიტიკური ამოცანები დაუკავშიროს მუშათა და გლეხთა მასის სოციალ-ეკონომიურ მოთხოვნებს; გ) სახელმწიფო სათათბიროსათვის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ ო თ ხ ო ვ-

ნ ე ბ ი ს წაყენების სასარგებლოდ ხალხის მასებში ფართო აგიტაციით ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ა უ ნ დ ა მ ო ა ხ დ ი ნ ო ს სა-თ ა თ ბ ი რ ო ზ ე გ ა რ ე დ ა ნ მისი გ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ-რ ე ბ ი ს მიზნით. 2) ეს თავისი ჩ ა რ ე ვ ა იმგვარად უნდა წარმართოს, რომ ამ გამწვავებულმა შეჯახებებმა: ა) მასების წინაშე გამოააშკარავოს ყველა იმ ბურჟუაზიული პარტიის არათანამიმდევრობა, რომლებიც სათათბიროში იკისრებენ ხალხის ნების გამომხატველთა როლს, და ბ) ფართო მასა (პროლეტარიატისა, გლეხობისა და ქალაქის მეშჩანობისა) მიიყვანოს ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს, როგორც საწარმომადგენლო დაწესებულების, ს რ უ ლ ი უ ვ ა რ გ ი ს ო ბ ი ს ა და საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის აუცილებლობის შეგნებამდე» და სხვ.

ჩვენს მიერ ხაზგასმული ადგილებიდან ნათლად ჩანს, რომ ც. კ.-ის რეზოლუცია კადეტური სამინისტროს მოთხოვნისთვის მხარის დაჭერის შესახებ არათუ არ შეესაბამება ყრილობის რეზოლუციას, არამედ პირდაპირ ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა მას. კადეტური სამინისტრო ა რ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მოთხოვნაა. კონფლიქტებს სათათბიროსთან და სათათბიროს შიგნით იგი ა ს უ ს ტ ე ბ ს და ა ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ე ბ ს, სათათბიროს უვარგისობას ჩრდილავს და სხვ., და სხვ.. დავუმატებთ, რომ ყრილობის რეზოლუცია ე რ თ ხ ე ლ ა ც არ ლაპარაკობს სათათბიროსთვის «მხარის დაჭერაზე», არამედ მხოლოდ «ზეგავლენაზე», «გამოყენებაზე», «ჩარევაზე».

აქედან დასკვნა ცხადია. ც. კ.-ს უ ე ჭ ვ ე ლ ა დ ა რ ა ა ქ ვ ს უ ფ ლ ე ბ ა პარტიის ორგანიზაციებს მოსთხოვოს — მიიღონ მისი რეზოლუცია კადეტური სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის შესახებ. პარტიის ყველა წ ე ვ რ ი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა სავსებით დამოუკიდებლად და კრიტიკულად მიუდგნენ საკითხს და იმ რეზოლუციას მიემხრონ, რომელიც მათი აზრით უ ფ რ ო ს წ ო რ ა დ წ ყ ვ ე ტ ს ამოცანას გამაერთიანებელი ყრილობის დადგენილებათა ფარგლებში. პეტერბურგის სოციალ-დემოკრატმა მუშებმა

იციან, რომ ახლა პარტიის მთელი ორგანიზაცია შენ-
დება დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ა დ. ეს იმას ნიშნავს, რომ
პარტიის ყ ვ ე ლ ა წევრი ირჩევს თანამდებობის პირთ,
კომიტეტთა წევრებს და სხვ., რომ პარტიის ყ ვ ე ლ ა წევრი
განიხილავს და წ ყ ვ ე ტ ს პროლეტარიატის პოლიტიკური
კამპანიის საკითხებს, რომ პარტიის ყ ვ ე ლ ა წევრი გ ა ნ-
ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს პარტიული ორგანიზაციების ტაქტიკის გეზს.

დარწმუნებული ვართ, რომ პეტერბურგის სოციალ-დემოკ-
რატიული პროლეტარიატი სწორედ ასე მიუდგება სადავო სა-
კითხს, ყოველმხრივ, დაწვრილებით, საქმიანად განიხილავს მას
და გამოიტანს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას: მ ხ ა რ ი
დ ა უ ჭ ი რ ო ს კ ა დ ე ტ უ რ ი ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს მ ო თ-
ხ ო ვ ნ ა ს თ უ ა რ ა?

პეტერბურგის მუშები არავის არ მისცემენ ნებას რაიმე
სოფიზმებით, ე. ი. რაიმე აშკარად ყალბი მოსაზრებით ხელი
ააღებინონ მათ ამ თავიანთ უ ფ ლ ე ბ ა ზ ე, ამ თავიანთ სო-
ციალ-დემოკრატიულ და პარტიულ მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ზ ე.
ჩვენ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ ამ სოფიზმებს. ლ. მარტოვი
«კურიერში» (№ 13) ამბობს: დისციპლინის გულისთვის ნუ
ჩაშლით ც. კ.-ის პოლიტიკურ კამპანიასაო. ეს სოფიზმია. არა-
ვითარი დისციპლინა არ ავალდებულებს პარტიის წევრთ ბრმად
მოაწერონ ხელი ც. კ.-ის მიერ შედგენილ რეზოლუციების ყვე-
ლა პროექტს. არსად და არასოდეს არ ყოფილა ქვეყნად ისეთი
წესები, რომ პარტიულ ორგანიზაციებს უარი ეთქვათ საკუთა-
რი აზრის გამოთქმის უფლებაზე და ც. კ.-ის რეზოლუციათა
ხ ე ლ მ ო მ წ ე რ ლ ე ბ ა დ გადაქცეულიყვნენ. ლ. მარტოვი
ამბობს: მენშევიკები დაემორჩილნენ ბოიკოტის ამბავს, ახლა
თქვენც დაემორჩილეთო. ეს სოფიზმია. ყრილობის გადაწყვე-
ტილებებს ჩ ვ ე ნ ყ ვ ე ლ ა ნ ი დავემორჩილეთ. სათათბი-
როს არჩევნების წინააღმდეგ და საპარლამენტო სოციალ-დე-
მოკრატიული ფრაქციის დანიშვნის წინააღმდეგ ჩ ვ ე ნ თ ა-
გ ა ნ ა რ ა ვ ი ს არ მოუწოდებია ებრძოლნათ. ჩვენ დავემორ-
ჩილეთ, ყრილობის ნების თანახმად ჩვენ უარი ვთქვით ბოი-

კოტზე. მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს და ვალდებულიც ვართ ვიბრძოლოთ, ყ რ ი ლ ო ბ ი ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა თ ა ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი, კადეტური სამინისტროსთვის მხარის დაჭერის წინააღმდეგ; ეს მხარის დაჭერა ა რ ა ვ ი თ ა რ ყ რ ი ლ ო ბ ა ს ა რ დ ა უ დ გ ე ნ ი ა. ლ. მარტოვი საქმის არსს გვერდს უვლის მარტოოდენ საშინელი სიტყვებითა და ინსინუაციებით დეზორგანიზატორების შესახებ. მას კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, ეწინააღმდეგება თუ არა ც. კ.-ის რეზოლუცია ყრილობის გადაწყვეტილებას. მას კრინტიც არ დაუძრავს ო პ ო ზ ი ც ი ი ს უფლებაზე, ე. ი. ყ ო ვ ე ლ ი პარტიული ორგანიზაციის უფლებაზე, ყრილობის ნების ფარგლებში, სადავოდ გახადოს ც. კ.-ის ტაქტიკა და გამოასწოროს მისი გადახრები და შეცდომები. ამიტომ ჩვენ გულდამშვიდებით ვუპასუხებთ მარტოვს: დეზორგანიზაციას ეწევა ის, ვინც არღვევს პარტიული ორგანიზაციების კანონიერ უფლებებს.

ჩვენ გულდამშვიდებით მივუთითებთ იმაზე, რომ თვით მენშევიკებიც კი (იხ. ამხ. ვლასოვის [141] წერილი რედაქციის მიმართ ამავე ნომერში) არ ეთანხმებიან კადეტური სამინისტროსთვის მხარის დაჭერას. თვით ამხ. რიანშევიც კი «კურიერის» მეცამეტე ნომერში მოუწოდებს «მ უ შ ა თ ა დ ა შ რ ო მ ი ს ჯ გ უ ფ ე ბ ს» «მთელი ძალღონით იბრძოლონ» კრებების თავისუფლების შესახებ კადეტების კანონპროექტის წინააღმდეგ, ე. ი. აყენებს წ მ ი ნ დ ა ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ტაქტიკას, რომელიც გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ს იმავე კადეტების სამინისტროსთვის მხარის დაჭერას.

თუ კი ვიბორგის რაიონული კომიტეტი მოითხოვს საერთო-საქალაქო კონფერენციის მოწვევას და დელეგატთა არჩევას «ფრაქციების განურჩევლად, ე. ი. ს რ უ ლ ი ა დ უ დ ი ს კ უ ს ი ო დ» — იმის განუხილველად, რაზედაც დავა წარმოებს!! — პეტერბურგის სოციალ-დემოკრატი მუშები, რა თქმა უნდა, მხოლოდ გაიცინებენ ამგვარი გადაწყვეტილების გამო. შეგნებული მუშები გ ა ნ უ ხ ი ლ ვ ე ლ ა დ არასოდეს არ გადაწყვეტენ დიდმნიშვნელოვან საკითხს. საკითხის დ ა მ ო უ-

კ ი დ ე ბ ლ ა დ გადაჭრაზე მუშებს ხელს ვერ ააღებინებს ვერც უბადრუკი სიტყვები ამა თუ იმ «სიმკვახეზე» განხილვის დროს, ვერც ლ. მარტოვის ტირილი მისი საწყენი ამა თუ იმ მკვახე სიტყვის გამო, ვერც გათიშვის მუქარა იმავე ლ. მარტოვის ან სხვა ვისიმე მხრივ. გათიშვის მუქარა, გათიშვის პროვოკაცია — ულირსი ხერხია, რაც მხოლოდ ბურჟუაზიას ახარებს (იხ. «დუმა» № 29). მუშები ხ მ ი ს უ მ ე ტ ე ს ო ბ ი თ გადაწყვეტენ კადეტური სამინისტროსათვის მხარის დაჭერის საკითხს და მიაღწევენ იმას, რომ ვერავინ, თვით ც. კ.-მაც კი, ვ ე რ გ ა ბ ე დ ო ს მ ა თ ი სავსებით თავისუფალი, სავსებით დამოუკიდებელი, გამაერთიანებელი ყრილობის დადგენილებათა ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე სავსებით კანონზომიერი გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ი ს ჩ ა ფ უ შ ვ ა.

«ვპერიოდ», № 6,
1906 წ. 1 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

«ზევით კი არა, ქვევით უნდა ვიცქირებოდეთ»

ასე ლაპარაკობს დღეს მემარცხენე კადეტების გაზეთში, «ნაშა ჟიზნში», ბ-ნი ი. ჟილკინი. მწუხარებით აღნიშნავს იგი კადეტების სახეზე «თვითკმაყოფილების შუქს». ბ-ნ მილიუკოვის აღტაცებული განცხადება: «კადეტები ეცალკევებიან უკიდურეს მემარცხენეებსაო» მის პროტესტს იწვევს. იგი დასცინის «არაჩვეულებრივ პოლიტიკურ სიბრძნეს» კადეტებისას, რომლებიც აღიარებენ, მდგომარეობა «გამოუვალიაო» და იმავე დროს იკვეხნიან სახელმწიფო გემის გაბედულად წარმართვას ფარვატერით...

შევჩერდეთ ამ მსჯელობაზე, რომელიც დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის უაღრესად ძირითად საკითხს ეხება. ჩვენი თვალსაზრისითაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ ამ მდგომარეობის სწორად შეფასებას მოვლენათა მსვლელობა ამჟამად თ ა ვ ს ა ხ ვ ე ვ ს ისეთ ადამიანებსაც კი, რომელნიც სრულიადაც არ იზიარებენ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა შეხედულებებს და განსაკუთრებული გულმოდგინებით იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგ.

რუსი რეაქციონერების პარიზის კლუბიდან ხმები მოდის, «პეტერგოფში ყოველგვარი მერყეობა შეწყდა. გორემიკინმა მიიღო მოქმედების სრული თავისუფლებაო», ე. ი. სათათბიროსთან გასწორების თავისუფლება. და «ნაშა ჟიზნიც», რომლისთვისაც უცხოა ბოლშევიკების მისწრაფება — ყველაფრის მუქი ფერადებით დახატვა, ამბობს: «ჩვენ ყველა საფუძვე-

ლი გვაქვს სრული ნდობით მოვეპყრათ ამ ხმებს»... «ბრძოლა მწვავდება... — ამთავრებს ეს გაზეთი მოწინავეს. — ვინც მახვილს აღმართავს, მახვილითვე დაიღუპება». ხოლო ბ-ნი ი. ჟილკინი წერს: «განა ბევრია რუსეთში ისეთი ადამიანი, საპარლამენტო მუშაობის მშვიდობიანი ძლევამოსილი დამთავრება რომ სწამდეს? რომანტიკოსი, მეოცნებე, იდეალისტი უნდა იყო, რომ სულ მთლად მიეცე ამგვარ საამო ოცნებას». და, იქვე, ბ-ნი ვ. ხიჟნიაკოვი აცხადებს: «ჩვენ არ აგვცდება რევოლუციური ქარიშხალი, — ეს უნდა აღვიაროთ. სათათბირო უძლურია მოძრაობა მშვიდობიანი გზით წარმართოს, რადგან მას ძალაუფლება არა აქვს ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხოლო უამძალაუფლებოდ სხვა გზები, გარდა რევოლუციური გზებისა, არ არსებობს. და უკვე ახლაც ცხადად გრძნობ, როგორ თანდათან იზრდება უკმაყოფილების გრძნობა, როგორ სულ უფრო მეტად ჰქრება სათათბიროს ყოვლისშემძლეობის რწმენა და მასთან ერთად როგორ იზრდება სასოწარკვეთილება» (სათათბიროს რწმენის უქონლობა, როგორც ღვთის რწმენის უქონლობა, ჯერ კიდევ «სასოწარკვეთილება» როდია). «ატმოსფერო თანდათან ელექტრობით იმუხტება, ზოგჯერ შორეული ჭექა-ქუხილი მოისმის, და სტიქიის აფეთქებაც, შეიძლება, არც ისე შორს იყოს».

ასე ლაპარაკობენ ის ადამიანები, რომელთა მსჯელობა ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისადმი მათი წინასწარ შედგენილი უარყოფითი დამოკიდებულების გამო. მოვლენებმა ეს ადამიანები ა ი ძ უ ლ ე ს სწორედ ის დებულებები გაემეორებინათ, რომელთაც ჩვენ მუდამ დაჟინებით ვიცავდით და რომელთა გამოც ჩვენ მუდამ გვანადგურებდა, გვლანძღავდა, ჩირქს გვცხებდა ლიბერალური ბურჟუაზია, რომელმაც «ბოლშევიკების» შესახებ ჭორების, სიცრუისა და ცილისწამების მთელი გროვა შეჰქმნა.

«ზევით კი არა, ქვევით უნდა ვიცქირებოდეთ». ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური ისტორიული პირობების გამო რუსეთში განმათავისუფლებელი

მოძრაობის მ თ ა ვ ა რ ი ფორმა ამჟამად ა რ შეიძლება საპარლამენტო ბრძოლა გახდეს. ლაპარაკია არა მისი «უარყოფის» შესახებ, არა მის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ, — ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, — არამედ იმაზე, რომ მ თ ა ვ ა რ ი გადამწყვეტი ბრძოლა, მოვლენათა მთელი მსვლელობის ძალით, სხვა ასპარეზზე გვიახლოვდება. ლიბერალურ ბურჟუაზიას უამრავჯერ ცილი დაუწამებია ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, რომ ჩვენ «ფუქსავატურად ვუბიძგებთ უკიდურესი საშუალებებისაკენ» («რეჩი» № 88). შეხედეთ, ბატონებო, განა ჩვენ «წავუბიძგეთ» ჟილკინს, ხიჟნიაკოვს, «ნაშა ჟიზნის» მოწინავის დამწერს? განა ჩვენ «წავუბიძგეთ» კურსკელ და პოლტაველ ჯარისკაცებს, კიეველ, სარატოველ და სხვა გლეხებს?

ჩვენ «ბიძგს ვაძლევდით» და ვაღვიძებდით იმას, ვინც მუდამ «თვითკმაყოფილებით გაშუქებული» სახით დადიოდა. ჩვენ ვამბობდით, რომ განმათავისუფლებელი ბრძოლის ამა თუ იმ ფორმის არჩევანი ჩვენს ნებაზე როდია დამოკიდებული, რომ აუცილებელია ფხიზლად და შეუბრალებლად გავუსწოროთ თვალი სინამდვილეს, რომელიც ნიადაგს არ უტოვებს დღეს «ნაშა ჟიზნის» მიერაც კი დახშულად აღიარებულ «გზას». ჩვენ ვამბობდით, რომ სოციალისტებს არ შეუძლიათ და არც უნდა გასწირონ დემოკრატიისა და სოციალიზმის ძირითადი ინტერესები წუთიერ წარმატებათა გულისთვის, — ისინი ვალდებულნი არიან გამოამჟღავნონ მასის წინაშე მწარე სიმართლე კადეტების არასაიმედობის შესახებ, სათათბიროს უძლურების, რევოლუციურ ქარიშხალთა აუცილებლობის შესახებ. თუ საარჩევნო კრებებზე კადეტების ენაწყლიანობით გატაცებული მასა დღეს ვერ გაგვიგებს, თუ რუსეთის პირველი პარლამენტის პირველი დღეებით გატაცებული მასა ხვალ ვერ გაგვიგებს, — ზეგ იგი დარწმუნდება ჩვენს სიმართლეში. მოვლენები აიძულებენ მას რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ისეთ პარტიად მიიჩნიოს, რომელსაც ზიზილპიპილები არ ხიბლავს, რომელიც თავდაჭერილად და მტკიცედ მოგვიწოდებს სწორედ იქით «ვიცქიროთ», სადაც გარდუვალად ჩაღ-

დება ნამდვილი (და არა კადეტური) სახალხო თავისუფლების ბედის გადამწყვეტი ბრძოლა.

ჩვენი რევოლუცია სწორედ იმიტომ არის რუსეთის დიდი რევოლუცია, რომ მან ისტორიულ შემოქმედებაში მონაწილეობისათვის აღძრა ხალხის უზარმაზარი მასები. ამ მასებს შიგნით კლასობრივი წინააღმდეგობანი ჯერ კიდევ სრულიადაც არ განვითარებულან მთელი სიმკაცრით. პოლიტიკური პარტიები მხოლოდ ახლა ყალიბდებიან. ამიტომ ჩვენ არ ძალგვიძს არც მასების წარმართვა და არც ასე თუ ისე მნიშვნელოვნად მათი შეკავება. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია კლასთა ნამდვილი მდგომარეობა და ურთიერთდამოკიდებულება შევისწავლოთ და მათი ისტორიული მუშაობის ამა თუ იმ მიმართულების, მათი მოძრაობის ამა თუ იმ მთავარი ფორმის აუცილებლობა გავითვალისწინოთ. და ეს ჩვენი სოციალისტური ცოდნა უაღრესად ფართოდ უნდა გავავრცელოთ მასებში და არ უნდა შეგვაკრთოს იმან, რომ ჭეშმარიტება ხშირად ძალიან მწარეა, რომ იგი ერთბაშად არა ჩანს ხოლმე მოდაში შემოსული პოლიტიკური აბრეშისა თუ ეფექტიან პოლიტიკურ დაწესებულებათა ზიზილ-პიპილებს იქით, — არ უნდა გვაცთუნოს მშვენიერ ოცნებათა მომხიბვლელობამ. ჩვენს მოვალეობას მაშინ შევასრულებთ, თუ ყველაფერს გავაკეთებთ მასის ამგვარი განათლებისათვის და მის მოსამზადებლად მოძრაობის ისეთი ფორმებისათვის, რომლებიც ზერელე მეთვალყურისათვის შეუმჩნეველია, მაგრამ აუცილებლად გამომდინარეობს ქვეყნის მთელი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობიდან. ჩვენ ვერ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას, თუ მთელ ჩვენს ყურადღებას «ზევით» მივაპყრობთ და გამოგვეპარება ის, რაც ხდება, იზრდება, გვიახლოვდება და კარს გვადგება ქვევით.

დაწერილია 1906 წ. 1 (14) ივნისს.
დაიბეჭდა 1906 წ. 2 ივნისს
გაზეთ «ვპერიოდში», № 7

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის მიხედვით

რეაქცია ფეიერალებულ ბრძოლას იწყებს

სოციალ-დემოკრატიული პრესა უკვე დიდი ხანია აღნიშნავდა რუსეთის ყბადაღებული «კონსტიტუციონალიზმის» არასიმტკიცეს, უნიადაგობას. ვიდრე ძველი ხელისუფლება არსებობს და მას სახელმწიფო მართვა-გამგეობის მთელი უზარმაზარი მანქანა ხელთ უჭირავს, — მანამდე სერიოზულად ლაპარაკიც კი შეუძლებელია სახალხო წარმომადგენლობის მნიშვნელობაზე, მილიონობით ხალხის მომწიფებულ საჭიროებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე. დაიწყო სახელმწიფო სათათბიროს სხდომები, — განსაკუთრებით მძაფრი ნიღვარივით ჰქუხს ლიბერალურ-ბურჟუაზიული სიტყვები მშვიდობიანი კონსტიტუციური გზის შესახებ, — დაიწყო და თანდათან ძლიერდება მთავრობის აგენტების მიერ მოწყობილი ცემა-ტყეპა მშვიდობიანი დემონსტრანტებისა, ცეცხლის წაკიდება სახლებისათვის, სადაც სახალხო კრებები იმართებოდა და, ბოლოს, პირდაპირი დარბევებიც.

გლეხთა მოძრაობა კი იზრდება. მუშების გაფიცვები სულ უფრო და უფრო მწვავდება, ხშირდება და ფართოვდება. ყველაზე ჩამორჩენილი სამხედრო ნაწილები, ქვეითი ჯარი პროვინციაში, კაზაკობა, მღელვარებას იწყებენ.

რუსეთის ცხოვრებაში მეტისმეტად ბევრია ფიცხი მასალა. მეტისმეტად დიდია და მწვავე ისტორიაში გაუგონარი საუკუნოვანი ძალადობით, ტანჯვით, წამებით, ძარცვა-გლეჯითა და ექსპლოატაციით მომზადებული ბრძოლა. ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის ამ ბრძოლას ვერ ჩასტევთ ამა თუ იმ სამინისტროსათვის სათათბიროს ბრძოლის ჩარჩოებში. შეუძ-

ლებელია უაღრესად დაბეჩავებული და უმეცარი «ქვეშევრდომნი» შეაკავო, რომ მათ არ წამოაყენონ გაღვიძების გზაზე დამდგარი ადამიანისა და მოქალაქის პიროვნების მოთხოვნები. შეუძლებელია კანონიერებისადმი მოწოდებით შეაკავო ძველი ხელისუფლება, რომელიც ყოველთვის თვითონ თხზავდა კანონებს, რომელიც თავისი არსებობისათვის უკანასკნელი, უსაზიზღრესი, ველური და საშინელი საშუალებებით იბრძვის.

დარბევა ბელოსტოკში განსაკუთრებით თვალსაჩინო ფაქტია ხალხის წინააღმდეგ მთავრობის შეიარაღებული მოქმედების ამ დაწყებისა. ძველი, მაგრამ მარად ახალი ისტორიაა რუსეთული დარბევებისა — მ ა რ ა დ ახალი ხალხის გამარჯვებამდე, ძველი ხელისუფლების სავსებით აღგვამდე! აი რამდენიმე ამონაწერი ბელოსტოკელ მოქალაქეთა ამრჩევლის, ცირინის დეპეშიდან: «დაიწყო ებრაელთა წ ი ნ ა ს წ ა რ მ ო მ ზ ა დ ე ბ უ ლ ი დარბევა». «მიუხედავად ხმების გავრცელებისა, სამინისტროდან მთელი დღის განმავლობაში ა რ ა ვ ი თ ა რ ი გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა არ მ ო ს უ ლ ა». «დარბევის აგიტაციას გულმოდგინედ ეწეოდნენ უკვე ორი კვირაა; ქუჩებში, განსაკუთრებით საღამოობით, არიგებდნენ პროკლამაციებს, რომლებიც მოუწოდებდნენ არა მარტო ებრაელთა, არამედ ინტელიგენციის ამოხოცვისაკენაც, პ ო ლ ი ც ი ა ა მ ა ს ა ი ნ უ ნ შ ი ც არ ი გ დ ე ბ დ ა».

ძველი ნაცნობი სურათია! პოლიცია წინასწარ ამზადებს დარბევას. პოლიცია აქეზებს; მთავრობის სტამბებში იბეჭდება მოწოდებანი ებრაელთა ამოჟლეტის შესახებ. პოლიცია დარბევის დაწყებისას უმოქმედობას იჩენს. ჯარი ჩუმად შესცქერის შავრაზმელთა გმირობას. შემდეგ კი, — შემდეგ იგივე პოლიცია განაგრძობს დამრბევთა გასამართლებისა და გამოძიების კომედიას. ძველი ხელისუფლების მოხელეთა სასამართლო და გამოძიება მუდამ ერთი და იმავე შედეგით თავდება: საქმე ჭიანურდება, დამრბეველ დამწაშავეებს ვერ პოულობენ, ზოგჯერ თვით ნაცემ და დასახიჩრებულ ებრაელებსა და ინტელიგენტებს აძლევენ სამართალში; გადის თვეები, — ძველი,

მაგრამ მარად ახალი ისტორია ავიწყდებათ, სანამ შემდგომი დარბევა მოხდებოდეს. საზიზღარი წაქეზება, მოსყიდვა და დათრობა ჩვენი წყეული კაპიტალისტური «ცივილიზაციის» ნაძირალებისა, შეიარაღებულთა მიერ უიარაღოთა მხეცური ჟლეტა, კომედია გასამართლებისა და გამოძიებისა, რომელსაც თვით დამნაშავენი აწარმოებენ. და კიდევ მოიძებნებიან ადამიანები, რომელნიც რუსეთის ცხოვრების ამგვარ მოვლენებს ხედავენ და მაინც ფიქრობენ და ლაპარაკობენ, თითქოს ვიღაცის «ფუქსავატობა» მოუწოდებს ხალხს «უკიდურესი საშუალებებისაკენ»! არამცთუ ფუქსავატი, არამედ სულით წამხდარი, პოლიტიკურად გათახსირებული უნდა იყო, რომ ამგვარი რამეები ილაპარაკო ისეთი ამბების შემდეგ, როგორიცაა სახალხო სახლის დაწვა ვოლოგდაში (სახელმწიფო სათათბიროს სხდომათა დასაწყისი), ანდა ბელოსტოკის დარბევა (სათათბიროს სხდომათა ერთი თვის შემდეგ). მილიონობით მოწოდება იმის მეასედ გავლენასაც ვერ მოახდენს ხალხზე, როგორსაც ერთი ასეთი ამბავი. და მოწოდებათა «ფუქსავატობაზე» ლაპარაკი — ისეთივე საშინელი პედანტობაა, ისეთივე მოქალაქეობრივი გაშეშებაა, როგორც დაგმობა შურისძიების იმ გაშმაგებული ძახილისა, რომელიც ვოლოგდისა და ბელოსტოკის ბრძოლის ველიდან მოისმის.

სახელმწიფო სათათბირო ძალიან კარგად მოიქცა, როდესაც დაუყოვნებლივ განსახილველად დასვა შეკითხვა ბელოსტოკის დარბევის გამო და სახელმწიფო სათათბიროს წევრები გაგზავნა ბელოსტოკს საქმის ადგილობრივ გამოსაძიებლად. მაგრამ, როდესაც ამ შეკითხვას კითხულობთ, როდესაც ადარებთ მას სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების სიტყვებსა და დარბევათა საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, — უკმაყოფილების ღრმა გრძნობა, აღშფოთების გრძნობა გიპყრობთ შეკითხვის გაუბედავი ენის გამო.

თვითონ განსაჯეთ. შეკითხვის ავტორები მხოლოდ ამას ამბობენ: «მოსახლეობა Ш И Ш О Б Ы, ვაი თუ ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ბოროტმა აგიტაციამ სცადონ დაზ-

რალებულნი გამოიყვანონ დამნაშავეებად იმ უბედურებისა, რომელიც მათ თავს დაატყდათ»... «ამ მიმართულებით ცრუ ცნობები ვრცელდება». დიახ, დიახ, დაბეჩავებული და განაწამები ებრაელი მოსახლეობა შიშობს და ყოველგვარი საფუძველიცა აქვს შიშობდეს. ეს მართალია. მაგრამ ეს ხომ მ თ ე ლ ი ს ი მ ა რ თ ლ ე ა რ ა რ ი ს, ბატონო სათათბიროს წევრნო და შეკითხვის ავტორნო! თქვენ ხომ, ხალხის ჯერ კიდევ არა ნაცემო და არა განაწამებო დეპუტატებო, მშვენივრად იცით, რომ ეს მთელი სიმართლე არ არის. თქვენ იცით, რომ დაბეჩავებული მოსახლეობა ვ ე რ ბ ე დ ა ვ ს დარბევის ნ ა მ დ ვ ი ლ ი მომწყობნი დაასახელოს. თ ქ ვ ე ნ უ ნ დ ა დ ა ა ს ა ხ ე ლ ო თ ი ს ი ნ ი. ამისთვის ხართ თქვენ ხალხის დეპუტატები. ამისთვის სარგებლობთ თქვენ — რუსეთის კანონების მიხედვითაც კი — სიტყვის ს რ უ ლ ი თავისუფლებით საჯელმწიფო სათათბიროში. მაშ ნუღარ დგებით რეაქციასა და ხალხს შ ო რ ი ს ისეთ წუთებში, როდესაც შეიარაღებული რეაქცია უიარაღო ხალხს აბრჩობს, ჟლეტს და ასახიჩრებს. ა შ კ ა რ ა დ დ ა ს ა ვ ს ე ბ ი თ დადექით ხალხის მხარეზე. ნუ დასჯერდებით იმ ობივატელური შიშის გადმოცემას, რომ დარბევათა საზიზღარი მომწყობნი დამნაშავეებად დახოცილებს გამოიყვანენ. გ ა მ ო დ ი თ ა მ დ ა მ ნ ა შ ა ვ ე თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ა შ კ ა რ ა ბ რ ა ლ დ ე ბ ე ბ ი თ — ეს თქვენი პირდაპირი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ა ხალხის წინაშე. შეეკითხეთ მთავრობას არა იმაზე, მიღებულია თუ არა ზომები ებრაელთა დასაცავად და დარბევათა თავიდან ასაცილებლად, არამედ იმაზე, კიდევ დიდხანს დაფარავს თუ არა მთავრობა ნამდვილ დამნაშავეებს, რომელნიც მთავრობის შემადგენლობას ეკუთვნიან. შეეკითხეთ იმაზე, როგორ ჰგონია მთავრობას, ხალხი კიდევ დიდხანს ვერ მიხვდება, თუ ვინ არიან ეს ნამდვილი დამნაშავენი? ბრალი დასდეთ მთავრობას აშკარად და ყველას გასაგონად, მოუწოდეთ ხალხს მილიციისა და თავდაცვის მოსაწყობად, როგორც დარბევათაგან თავდაცვის ე რ თ ა დ ე რ თ ი საშუალებისაკენ.

ეს «საპარლამენტო ჩვეულებებს» არ შეეფერებაო, იტყვით თქვენ. და თქვენ არც კი გრცხვენიათ ახლაც კი ასეთი საბუთები წამოაყენოთ? ნუთუ არ გესმით, რომ ხალხი დაგგმობთ, თუ ასეთ წუთებშიც კი თავს არ ანებებთ პარლამენტობანას თამაშს, ვერ ბედავთ პირდაპირ, აშკარად, ხმამაღლა თქვათ ის, რაც თქვენ ნამდვილად იცით და რასაც ფიქრობთ?

ხოლო თქვენ რომ იცით სიმართლე დარბევათა შესახებ, ეს სათათბიროს დეპუტატების სიტყვებიდან ჩანს. კადეტი ნაბოკოვი ამბობს: «ჩვენ ვიცით, რომ მრავალ შემთხვევაში ადმინისტრაცია სრულიადაც ვერ ახერხებდა თავიდან მოეხსნა ის ეჭვი, რომ დარბევათა დაწყების ერთდროულობა შედეგია ან შავრაზმელთა ორგანიზაციებისა, რომელნიც ადგილობრივ ხელისუფალთა ნებართვით მოქმედებენ, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მათი სისტემატური უმოქმედებისა».

თუ თქვენ, ბატონო კადეტებო, ეს იცით, უნდა გეთქვათ ეს შეკითხვაში. სწორედ ასედაც უნდა დაწეროთ: ჩვენ ვიცით ესა და ეს და გეკითხებით ამასა და ამას. და თუ თქვენ «უკეთესი» შემთხვევები იცით, ხალხის დეპუტატებს არ ეკადრებათ დუმილი უარეს შემთხვევაზე: იმაზე, რომ პოლიციამ პიტერიდან მიიღო ბრძანება დარბევათა პირდაპირ მოწყობის შესახებ.

«ბელოსტოკი გამონაკლისი შემთხვევა როდია» — სამართლიანად განაცხადა ლევინმა. «ეს ერთ-ერთი შედეგია იმ სისტემისა, რომელსაც თქვენ გინდათ ებრძოლოთ». სწორია, მოქალაქე ლევინო! მაგრამ თუ ჩვენ გაზეთში შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ «სისტემაზე», თქვენ სათათბიროში უფრო პირდაპირ და მკაცრად უნდა ილაპარაკოთ.

«დარბევები, ეს მთელი სისტემაა. ოქტომბრის დღეებში... მთავრობამ... სხვა საშუალება ვერ გამონახა, განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ებრძოლნა... თქვენ იცით, თუ რით დამთავრდა ისტორიის ეს თავი. ახლა იგივე მეორდება... ეს სისტემა ვერაგულად მომზადებული და მოფიქრებულია

და ა მ დ ე ნ ა დ ვ ე ვ ე რ ა გ უ ლ ა დ სრულდება. მრავალ შემთხვევაში ჩვენ მშვენივრად ვიცით, ვინ ამზადებს ამ დარბევებს, მშვენივრად ვიცით, რომ პროკლამაციებს ჟ ა ნ დ ა რ მ თ ა ს ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ე ბ ი გ ზ ა ვ ნ ი ა ნ».

კიდევ გეტყვით: სწორია, მოქალაქე ლევინო! და შეკითხვაშიც უნდა დაგეწერათ: სამინისტროს ხომ არ ჰგონია, რომ სათათბირომ არ იცის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი ჟანდარმებისა და პოლიციის მიერ პროკლამაციების დაგზავნისა?

დეპუტატმა რიჟკოვმა პირდაპირ ს ი ც რ უ ე უწოდა დარბევათა ახსნას ტომობრივი მტრობით, — ბოროტი მონაჭორი უწოდა მათს ახსნას ხელისუფლების უძლურებით. დეპუტატმა რიჟკოვმა მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები პოლიციის, დამრბევებისა და კაზაკების «თანამშრომლობისა». «მე დიდ სამრეწველო რაიონში ვცხოვრობ — თქვა მან — და ვიცი, რომ დარბევამ, მაგალითად, ლუგანსკში უსაშინელესი მოცულობა მ ხ ო ლ ო დ ი მ ი ტ ო მ (კარგად დაუგდეთ ამას ყური, ბატონებო: მ ხ ო ლ ო დ იმიტომ) ვერ მიიღო, რომ უ ი ა რ ა ღ ო მ უ შ ე ბ ი შიშველი ხელებით ერეკებოდნენ დამრბევთ, თუმცა პოლიციის მხრივ დახვრეტის საფრთხე მოელოდათ».

«მთავრობას ბრალსა ვდებთ» — ასეთ სათაურს უკეთებს გაზეთი «რეჩი» სათათბიროს კამათის ამ განყოფილებას. კარგი სათაურია. მაგრამ ამ სათაურის ადგილი გაზეთში კი არა, სათათბიროს შეკითხვის ტექსტშია. ეს შეკითხვები ან ისე უნდა იწერებოდეს, რომ ისინი ხალხის წინაშე მგზნებარე ბრალდება იყოს მთავრობის მიმართ — ანდა მწარე შენიშვნებსა და დაცინვას იწვევდეს იმ აღმაშფოთებელი შეუსაბამობის გამო, რომელიც, ერთი მხრივ, ფაქტების საშინელებასა და, მეორე მხრივ, კანცელარიულ-თავშეკავებული შეკითხვების კანცელარიულ მიჩქმალვას შორის არსებობს. სათათბირო მხოლოდ მაშინ დაუკარგავს რეაქციონერებს მისი დაცინვის ხალისს, როდესაც იგი პირველ გზას დაადგება. თორემ რეაქციონერები პირდაპირ და აშკარად დაგვცინიან. წაიკითხეთ დღევანდელი «ნოვოე ვრემია». დამრბევთა ეს ლაქიები ხარხარებენ, მხიარუ-

ლობენ: «არ შეიძლება განსაკუთრებული სიამოვნებით (!!) არ აღვნიშნოთ ის სისწრაფე, რომლითაც სათათბირო შეეკითხა მინისტრს ებრაელთა დარბევაზე ბელოსტოკში». თქვენ ხედავთ: დამრბევნი განსაკუთრებულ სიამოვნებას გრძნობენ, — ლაქია სიმართლეს როშავს. რეაქცია კმაყოფილია ბელოსტოკის დარბევითაც და იმითაც, რომ ახლა შეიძლება სათათბიროს ლანძღვა როგორც «ებრაული» სათათბიროსი. რეაქცია დაგცინით: «თუ საჭიროა რუსეთის გუბერნიებში ვაპატიოთ გლეხებს საკუთრების დარბევა, როგორც დღეს სახელმწიფო სათათბიროში ლაპარაკობდნენ, სწორედ ასევე საჭიროა ვაპატიოთ ებრაელთა საკუთრების დარბევაც დასავლეთ მხარეში».

თქვენ ხედავთ, ბატონო სათათბიროელნო: რეაქციონერები თქვენზე უფრო პირდაპირნი არიან. რეაქციონერთა სიტყვები უფრო ძლიერია, ვიდრე თქვენი სიტყვები სათათბიროში. რეაქციონერებს არ ეშინიათ ომისა. რეაქციონერებს არ ეშინიათ, რომ სათათბირო დაუკავშირონ გლეხთა ბრძოლას თავისუფლებისათვის. მ ა შ ნ უ რ ც თ ქ ვ ე ნ შ ე გ ე შ ი ნ დ ე ბ ა თ, რ ო მ რ ე ა ქ ც ი უ ლ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა დ ა მ რ ბ ე ვ ე ლ თ დ ა უ კ ა ვ შ ი რ ო თ!

დაწერილია 1906 წ. 3 (16) ივნისს.
დაიბეჭდა 1906 წ. 4 ივნისს
გაზეთ «ვპერიოდში». № 9

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის მიხედვით

რეზოლუცია (III) რსდმ პარტიის პ. კ.-ისა სათათბიროს სამინისტროს საკითხზე [142]

იღებს რა მხედველობაში:

1) რომ ამჟამად სახელმწიფოს სათათბიროს უმრავლესობიდან პასუხისმგებელი სამინისტროს დანიშვნის მოთხოვნა უმართებულო და ორაზროვანი იქნებოდა, რადგან:

ა) ასეთი სამინისტროს დანიშვნა ვერ იქნებოდა ძალაუფლების ნამდვილი გადასვლა თვითმპყრობელობიდან სახალხო წარმომადგენლობის ხელში;

ბ) არსებითად ეს იქნებოდა ლიბერალური ბურჟუაზიის მორიგება თვითმპყრობელობასთან ხალხის ხარჯზე და მის ზურგს უკან;

გ) პროლეტარიატს არავითარი გარანტია არა აქვს იმისა, რომ ეს მორიგება რეალურ პოლიტიკურ ძალთა არსებული თანაფარდობის დროს სერიოზულად უზრუნველჰყოფს კლასობრივი ბრძოლის წარმოებას მის მხრივ (ყოველ შემთხვევაში არა ისე სერიოზულად, რაც გაამართლებდა იმ არსებითს ზიანს, რასაც პროლეტარული კლასობრივი შეგნების განვითარებას მიაყენებდა ბურჟუაზიული მორიგებისთვის აქტიური მხარის დაჭერა რევოლუციური აღმავლობის ეპოქაში).

2) სათათბიროს პასუხისმგებელი სამინისტროს დანიშვნის მოთხოვნა ზემოთქმულის გამო მხოლოდ სამსახურს გაუწევდა კონსტიტუციური ილუზიების განმტკიცებას და ხალხის რევოლუციური შეგნების გარყვნას, წარმოშობდა რა ხალხის ხელში ძალაუფლების მშვიდობიანად გადასვლის იმედებს და ბურუს-

ში გახვევდა თავისუფლებისათვის ბრძოლის ძირითად ამოცანებს; — იღებს რა ამას მხედველობაში, კრება ადგენს:

1) ამჟამად პროლეტარიატს არ შეუძლია მხარი დაუჭიროს სათათბიროს სამინისტროს დანიშვნის მოთხოვნას.

2) პროლეტარიატი მხარს უჭერს სათათბიროს რევოლუციური ელემენტების შემადგენლობიდან აღმასრულებელი კომიტეტის შექმნის იდეას იმ მიზნით, რომ ამ კომიტეტმა გააერთიანოს ხალხის ადგილობრივი თავისუფალი ორგანიზაციების მოქმედება.

«ვპერიოდ» № 10,
1906 წ. 6 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის»
ტექსტის მიხედვით

შენიშვნები

1 სტატია «ჩ ვ ე ნ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი დ ა მ უ შ ა თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო», რომელშიც პირველადაა შეფასებული საბჭოები, როგორც აჯანყების ორგანოები და ახალი რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახი, ლენინმა დაწერა 1905 წლის ნოემბრის დამდეგს სტოკჰოლმში, სადაც მან ერთხანს დაჰყო, როდესაც ემიგრაციიდან რუსეთში ბრუნდებოდა. სტატია განკუთვნილი იყო გაზეთ «ნოვაია ჟიზნისთვის», მაგრამ მასში არ დაბეჭდილა. სტატიის ხელნაწერი ნაპოვნია მხოლოდ 1940 წლის შემოდგომაზე. — 1.

2 «ნ ო ვ ა ი ა ჟ ი ზ ნ» — პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა ყოველდღიურად 1905 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) 3 (16) დეკემბრამდე პეტერბურგში. მას შემდეგ, რაც ლენინი ემიგრაციიდან პეტერბურგს ჩამოვიდა, ნოემბრის დამდეგს, გაზეთმა გამოსვლა იწყო მისი უშუალო ხელმძღვანელობით. ფაქტიურად «ნოვაია ჟიზნი» რსდმპ ცენტრალური ორგანო იყო. გაზეთის უახლოესი თანამშრომლები იყვნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი. «ნოვაია ჟიზნში» აქტიურ მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი, რომელიც გაზეთს აგრეთვე დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა. გაზეთის ტირაჟი 80 ათას ეგზემპლარამდე ადიოდა.

«ნოვაია ჟიზნი» მრავალ რეპრესიას განიცდიდა. გაზეთის 27 ნომრიდან 15 კონფისკებულ და მოსპობილ იქნა. 27-ე ნომრის გამოსვლის შემდეგ გაზეთი დახურა მთავრობამ. უკანასკნელი, 28-ე, ნომერი არალეგალურად გამოვიდა. — 8.

3 ლაპარაკია სრულიად რუსეთის 1905 წლის ოქტომბრის პოლიტიკურ გაფიცვაზე. — 9.

4 «კ ა ვ შ ი რ თ ა კ ა ვ შ ი რ ი» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის პოლიტიკური ორგანიზაცია; ჩამოყალიბდა 1905 წლის მაისში პროფესიული ნიშნის მიხედვით შექმნილი 14 კავშირის — ადვოკატთა, მწერალთა, ექიმთა, ინჟინერთა, მასწავლებელთა და სხვათა

კავშირების — წარმომადგენელთა პირველ ყრილობაზე. ყრილობამ წამოაყენა მოთხოვნა დამფუძნებელი კრების მოწვევისა საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე. 1905 წლის ივლისში კავშირი ემხრობოდა ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტს, მაგრამ მალე უარყო ეს პოზიცია და გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო სათათბიროს არჩევნებში. 1906 წლის დამლევს «კავშირთა კავშირი» დაიშალა. — 9.

5 სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი — რევოლუციურ-დემოკრატიული ორგანიზაცია, შეიქმნა 1905 წელს. კავშირის პირველ და მეორე ყრილობაზე, რომლებიც შესდგა მოსკოვში 1905 წლის აგვისტოსა და ნოემბერს, შემუშავებულ იქნა კავშირის პროგრამა და ტაქტიკა. გლეხთა კავშირი მოითხოვდა პოლიტიკურ თავისუფლებას და დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას; ემხრობოდა I სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ტაქტიკას. კავშირის აგრარული პროგრამა შეიცავდა მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას, გლეხებისათვის სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სახელმწიფო მიწების გადაცემას გამოუყიდველად. კავშირი თავის პოლიტიკაში ორჭოფობას და მერყეობას იჩენდა. კავშირი მოითხოვდა მიწის მემამულური საკუთრების ლიკვიდაციას, მაგრამ თანახმა იყო მემამულეებისთვის ნაწილობრივი საზღაურის მიცემისა. გლეხთა კავშირი თავისი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებიდანვე პოლიციის რეპრესიებს განიცდიდა. 1906 წლის დამლევს გლეხთა სრულიად რუსეთის კავშირი დაიშალა. — 14.

6 «პარტიის რეორგანიზაციის შესახებ» — ლენინის პირველი სტატია, დაბეჭდილი გაზეთში «ნოვაია ჟიზნ». დაწერილია ლენინის მიერ ემიგრაციიდან რუსეთს დაბრუნების შემდეგ. სტატია საფუძვლად დაედო 1905 წლის დეკემბერში ტამერფორსის კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციას «პარტიის რეორგანიზაცია». — 15.

7 «დამოუკიდებელნი» — ზუბატოველთა ტიპის ეგრეთწოდებული «დამოუკიდებელი სოციალური მუშათა პარტია»; დაარსდა პეტერბურგში 1905 წლის შემოდგომაზე მეფის მთავრობის დავალებით და საიდუმლო პოლიციის ხელშეწყობით; მიზნად ისახავდა მუშების ჩამოშორებას რევოლუციური ბრძოლისაგან; 1908 წლის დამდეგს შეწყვიტა არსებობა. — 15.

8 მიმართვა «ყველა პარტიული ორგანიზაციისა და ყველა მუშა სოციალ-დემოკრატისადმი» სათაურით «რსდმპ მე-4 ყრილობის მოწვევისათვის» დაიბეჭდა გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» მეცხრე ნომერში 1905 წლის 10 (23) ნოემბერს. — 16.

9 ლაპარაკია ახალ, ოპორტუნისტულ, «ისკრაზე». რსდმპ II ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა, პლეხანოვის დახმარებით, ხელში ჩაიგდეს «ისკრა». 1903 წლის ნოემბრიდან, დაწყებული 52-ე ნომრით, «ისკრა» მენშევიკური ორგანო გახდა. გამოდიოდა 1905 წლის ოქტომბრამდე. — 16.

10 ვ ა ნ დ ე ა — საფრანგეთის პროვინცია, სადაც XVIII საუკუნის დამლევს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში იფეთქა ჩამორჩენილი რეაქციული გლეხობის კონტრრევოლუციურმა აჯანყებამ რევოლუციური კონვენტის წინააღმდეგ. აჯანყება მიმდინარეობდა რელიგიური ლოზუნგებით და კონტრრევოლუციური სამღვდელოებისა და მემამულეების ხელმძღვანელობით. — 24.

11 ლენინის სტატია «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი დ ა გ ლ ე ხ ობ ა» რსდმპ სუმის ჯგუფმა გადაბეჭდა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის» დამატებად. სუმი. 1905. — 28.

12 მუშათა დეპუტატების საბჭოს «ი ზ ვ ე ს ტ ი ა» — პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს ოფიციალური ორგანო; გამოდიოდა 1905 წლის 17 (30) ოქტომბრიდან 14 (27) დეკემბრამდე; ბიულეტენის ხასიათისა იყო და ინფორმაციას იძლეოდა საბჭოს მუშაობის შესახებ. გაზეთს მუდმივი რედაქცია არ ჰყოლია, იბეჭდებოდა თვითნებურად სხვადასხვა ბურჟუაზიული გაზეთის სტამბებში. გამოვიდა 10 ნომერი. მე-11 ნომერი პოლიციის მიერ კონფისკებულ იქნა შეჭდვის დროს. — 34.

13 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» — არალეგალური ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი, რსდმპ ცენტრალური ორგანო, შექმნილი პარტიის III ყრილობის დადგენილებით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1905 წლის 27 აპრილის (10 მაისის) გადაწყვეტილებით ც. ო.-ს პასუხისმგებელ რედაქტორად დაინიშნა ვ. ი. ლენინი. «პროლეტარი» გამოდიოდა ჟენევაში 1905 წლის 14 (27) მაისიდან 12 (25) ნოემბრამდე; გამოვიდა 26 ნომერი. რედაქციის მუშაობაში მუდმივ მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი და მ. ს. ოლმინსკი. «პროლეტარიმ» განაგრძო ძველი, ლენინური «ისკრის» ხაზი და დაიცვა ბოლშევიკურ გაზეთ «ვპერიოდის» სრული თანამომდევნობა. ლენინმა ამ გაზეთში 50-ზე მეტი სტატია და შენიშვნა დაწერა. ლენინის სტატიებს გაზეთ «პროლეტარიდან» ბეჭდავდნენ ბოლშევიკური პრესის ადგილობრივ ორგანოებში, სცემდნენ ცალკე ფურცლებად. «პროლეტარს» განსაკუთრებით ახლო თანამშრომლობა ჰქონდა არალეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლას-

თან» — რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოსთან, რომელიც გამოდიოდა ი. ბ. სტალინის, ა. გ. წულუკიძისა და ს. გ. შაუმიანის ხელმძღვანელობით.

მალე ლენინის რუსეთს გამგზავრების შემდეგ, 1905 წლის ნოემბერში, გაზეთ «პროლეტარის» გამოცემა შეწყდა. უკანასკნელი ორი ნომერი (25-ე და 26-ე) გამოვიდა ვ. ვ. ვოროვსკის რედაქციით. — **35.**

14 დადგენილება ლოკაუტთან ბრძოლის ზომების შესახებ წამოაყენა ლენინმა პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს პლენუმზე 1905 წლის 13 (26) ნოემბერს და მეორე დღეს მიიღო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა. ამ დადგენილების მნიშვნელობის შესახებ იხ. ლენინის სტატია «ჩაშლილი პროვოკაცია» (იხ. ეს ტომი, გვ. 44 — 46). — **42.**

15 ერობათა და ქალაქთა მოღვაწეების ყრილობა შესდგა მოსკოვში 1905 წლის 6 — 13 (19 — 26) ნოემბერს. ყრილობამ გაილაშქრა დამფუძნებელი კრების მოწვევის წინააღმდეგ და იმედი გამოთქვა, რომ სახელმწიფო სათათბირო შეასრულებს გლეხთა მღელვარების ჩამქრობის როლს გლეხებისთვის ცოტაოდენი სანადელო მიწის მიცემითო. — **45.**

16 «რუს» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1903 წლის დეკემბრიდან 1908 წლის ივნისამდე ხანგამოშვებით და სხვადასხვა სახელწოდებით: «რუს», «მოლვა», «XX ვეკ». — **47.**

17 იგულისხმება მეფე ნიკოლოზ I მიერ ჯარების გაგზავნა უნგრეთის რევოლუციის ჩასახშობად 1849 წელს. — **47.**

18 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1939, გვ. 27 — 40. — **55.**

19 სტატია «მომაკვდავი თვითმპყრობელობა და ხალხის ძალაუფლების ახალი ორგანოები» ცალკე ფურცლად გამოსცა ქ. ნიკოლაევის გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კომიტეტმა 1905 წლის 14 (27) დეკემბერს, აგრეთვე გადაბეჭდილია გაზეთ «ზაბაიკალსკი რაბოჩის» — რსდმპ ჩიტის კომიტეტის ორგანოს — მეორე ნომერში 1905 წლის 18 (31) დეკემბერს. — **61.**

20 «სლოვო» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1904 — 1909 წლებში პეტერბურგში; იყო ერობის მემარჯვენე მოღვაწეთა ორგანო;

1905 წლის ნოემბრიდან 1906 წლის ივლისამდე წარმოადგენდა ოქტიაბრისტების პარტიის ორგანოს, ხოლო შემდგომ — «მშვიდობიან განმაახლებელთა» კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტიის ორგანოს, პარტიისა, რომელიც არსებითად არაფრით არ განსხვავდებოდა ოქტიაბრისტებისაგან. — 62.

21 «უფლებრივი წესრიგის პარტია» — მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის, მემამულეთა და ბიუროკრატიის უმაღლესი ფენების კონტრრევოლუციური პარტია; შეიქმნა 1905 წლის შემოდგომაზე. პარტია უყოყმანოდ გამოდიოდა მეფის რეჟიმის დამცველად; იგი მიესალმა I სათათბიროს გარეკვას, II სათათბიროს არჩევნების დროს ბლოკი ჰქონდა შავრაზმულ «ჭეშმარიტ-რუსთა კავშირთან». 1907 წელს პარტია დაიშალა. — 69.

22 კალენდები — თვის პირველი დღის სახელწოდება ძველ რომაელებში. ბერძნებს ასეთი სახელწოდება არ ჰქონიათ. ბერძნულ კალენდებამდე გადასდოო — არასოდეს არ განახორციელო, ჩაშალო საქმეო. — 77.

23 «ოსვობოჟდენიე» — ბურჟუაზიული ლიბერალების ორკვირეული ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა საზღვარგარეთ 1902 — 1905 წლებში პ. ბ. სტრუვეს რედაქციით; 1904 წლის იანვრიდან — ლიბერალურ-მონარქისტული «განთავისუფლების კავშირის» ორგანო. შემდეგში «ოსვობოჟდენიელები» გახდნენ კადეტების პარტიის ბირთვი. — 78.

24 «ნაშა ჟიზნ» — ყოველდღიური გაზეთი, ახლო იდგა კადეტების მემარცხენე ფრთასთან; გამოდიოდა ხანგამოშვებით 1904 წლის 6 (19) ნოემბრიდან 1906 წლის 11 (24) იელისამდე პეტერბურგში. — 79.

25 რადიკალ-დემოკრატები — წვრილბურჟუაზიული ორგანიზაცია, რომელიც არსებობდა 1905 წლის დამლევს — 1906 წლის დამდეგს; შუათანა პოზიცია ეჭირა კადეტებსა და მენშევიკებს შორის. რადიკალ-დემოკრატები აყენებდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნას, თუმცა კონსტიტუციურ მონარქიასაც ურიგდებოდნენ პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მინისტრთა კაბინეტის პირობით; აგრარულ საკითხში ემხრობოდნენ კერძომფლობელობითი მიწების ექსპროპრიაციას მინიმალური ანაზღაურებით. რადიკალ-დემოკრატების ორგანიზაცია მალე დაიშალა, მისი ყოფილი წევრები მიეკედლენ ნახევრადკადეტური პრესის ორგანოებს — «ბეზ ზაგლავიას» და «ტოვარიშჩს». — 79.

26 იხ. სტატია «ემიგრანტული ლიტერატურა». კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 228. — 87.

27 «უმრავლესობის» კონფერენცია ტამერფორსში (ფინეთი) შესდგა 1905 წლის 12 — 17 (25 — 30) დეკემბერს ნაცვლად ც. კ.-ის მიერ დასახული და გამოცხადებული მორიგი პარტიული ყრილობისა, რომელიც ვეღარ შესდგა დაწყებული რევოლუციური ამბების გამო (რკინიგზის გაფიცვა, მოსკოვის შეიარაღებული აჯანყება). ტამერფორსის კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს 26 ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. კონფერენციაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ლენინი და სტალინი. მანამდე მათ კავშირურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან წერილებით ან ამხანაგების მეშვეობით. კონფერენციის მუშაობა დაიწყო ანგარიშებით ადგილებიდან. ამხანაგი სტალინი გამოვიდა მოხსენებით ამიერკავკასიის ბოლშევიკების მუშაობის შესახებ. მიმდინარე მომენტსა და აგრარულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ლენინმა. კონფერენციამ მიიღო ლენინის მიერ წარდგენილი რეზოლუციები აგრარულ საკითხზე, პარტიის რეორგანიზაციის შესახებ, სურვილი გამოთქვა პარტიის ერთიანობის აღდგენისა და ბოლშევიკებისა და მენშევიკების პრაქტიკული ცენტრების და მათი ლიტერატურული ცენტრალური ორგანოების შეერთებისა თანასწორობის საფუძველზე და დაავალა გაერთიანებულ ც. კ.-ს მოეწვიან გამაერთიანებელი ყრილობა. კონფერენციამ განიხილა აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხი. I სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ტაქტიკის დასაცავად სიტყვით გამოვიდა ამხანაგი სტალინი. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია I სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის შესახებ, შემუშავებული კომისიის მიერ ლენინისა და სტალინის მონაწილეობით. რადგან მოსკოვში შეიარაღებული აჯანყება უკვე დაწყებული იყო, კონფერენციამ, ლენინის წინადადებით, სასწრაფოდ დაამთავრა მუშაობა და დელეგატები დაბრუნდნენ ადგილებზე, რათა პირადად მიეღოთ მონაწილეობა აჯანყებაში.

კონფერენციის რეზოლუციები ც. კ.-მა გამოსცა ცალკე ფურცლად და დაიბეჭდა გაზეთში «მოლოდაია როსსია» № 1, 1906 წლის 4 (17) იანვარს (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 57 — 59). — 90.

28 ლენინის სტატია «მუშათა პარტია და მისი ამოცანები თანამედროვე ვითარებაში» დაიბეჭდა 1906 წლის 4 (17) იანვარს ყოველკვირეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ გაზეთში — «მოლოდაია როსსია» — სოციალ-დე-

მოკრატ სტუდენტთა ლეგალურ ორგანოში. პოლიციის დეპარტამენტმა მაშინვე აღძრა საქმე სტატიის ავტორის — ვ. ი. ლენინის დაპატიმრების შესახებ. «მოლოდაია როსსია», რომლის პირველი და ერთადერთი ნომერი გამოვიდა პეტერბურგში ლენინის სტატიით, კონფისკებულ იქნა, მისი რედაქტორი დააპატიმრეს. — 96.

29 ლაპარაკია მოსკოვის 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაზე. — 97.

30 «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირველად ის იყო ზომიერ-ლიბერალური, ხოლო 1876 წლიდან რეაქციული თავადაზნაურობისა და მოხელურ-ბიუროკრატიული წრეების ორგანოდ გადაიქცა. გაზეთი ბრძოლას აწარმოებდა არა მარტო რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც. 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო. «ნოვოე ვრემიას» ლენინი სინდისგაყიდულ გაზეთთა ნომუშს უწოდებდა. — 98.

31 1 9 0 5 წ ლ ი ს 1 1 დ ე კ ე მ ბ რ ი ს კ ა ნ ო ნ ი — სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ახალი საარჩევნო კანონი. ბულიგინის ძველი, «მოთათბირე» სათათბიროსგან განსხვავებით (1905 წლის 6 აგვისტოს დებულება) კანონი ითვალისწინებდა «საკანონმდებლო» სათათბიროს შექმნას. ამ კანონის მიხედვით ამომრჩევლები დაყოფილი იყვნენ 4 კურიად: მიწათმფლობელთა (მემამულეები), საქალაქო (ბურჟუაზია), გლეხთა და მუშათა. მემამულის ერთი ხმა ეთანაბრებოდა ქალაქის ბურჟუაზიის 3 ხმას, გლეხთა 15 ხმას და მუშათა 45 ხმას. კანონი უზრუნველყოფდა ერთი მუჭა მემამულეებისა და კაპიტალისტების უდიდეს სიჭარბეს სათათბიროში. — 107.

32 იგულისხმება ეგრეთწოდებული «ფინანსური მანიფესტი», გამოქვეყნებული სოციალ-დემოკრატიულ და ლიბერალურ პრესაში 1905 წლის 2 (15) დეკემბერს პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის, სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის მთავარი კომიტეტის და სხვ. ორგანიზაციების ხელმოწერით. მანიფესტი აცხადებდა, აუცილებელია მეფის მთავრობას წაერთვას ფინანსური შემოსავალიო და მოუწოდებდა მოსახლეობას უარი ეთქვა გამოსაყიდი და ყველა სხვა სახაზინო გადასახდელის შეტანაზე, გამოეტანათ ანაბრები შემნახველ-გამსესხებელი სალაროებიდან და სახელმწიფო ბანკიდან.

«კავშირთა კავშირის» ბიურომ 1905 წლის 4 (17) დეკემბრის სხდომაზე გადაწყვიტა კავშირის მორიგ ყრილობაზე დაეყენებინა ამ

მანიფესტისადმი შეერთების საკითხი. მაგრამ 1906 წლის იანვარში შემდგარ «კავშირთა კავშირის» IV ყრილობას ეს საკითხი არ განუხილავს. — **112.**

33 სტატია «რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ტაქტიკა» დაიბეჭდა «პარტიინიე იზვესტიას» 1-ლ ნომერში.

«პარტიინიე იზვესტია» — გაზეთი, რსდმპ გაერთიანებული ც. კ.-ის ორგანო, შექმნილი ტამერფორსის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტისა და მენშევიკური საორგანიზაციო კომისიის შეერთების შემდეგ. გაზეთი არალეგალურად გამოდიოდა პეტერბურგში პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის წინახანებში. «პარტიინიე იზვესტიას» რედაქცია შექმნილ იქნა ბოლშევიკური («პროლეტარი») და მენშევიკური (ახალი «ისკრა») ორგანოების რედაქტორთა თანაბარი რიცხვისაგან. ბოლშევიკებისგან რედაქციაში შედიოდნენ ლენინი, ლუნაჩარსკი და სხვები. გამოვიდა გაზეთის 2 ნომერი: 1906 წლის თებერვალსა და მარტში. «პარტიინიე იზვესტიას» მე-2 ნომერში დაიბეჭდა ლენინის სტატია «რუსეთის რევოლუცია და პროლეტარიატის ამოცანები» «ბოლშევიკ»-ის ხელმოწერით. რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ, ბოლშევიკებისა და მენშევიკების მიერ თავიანთი ორგანოების გამოშვებასთან დაკავშირებით, «პარტიინიე იზვესტიას» გამოცემა შეწყდა. — **119.**

34 «დნევნიკ სოციალ-დემოკრატა» — არაპერიოდული ორგანო, რომელსაც სცემდა გ. ვ. პლეხანოვი; გამოდიოდა ჟენევაში დიდი ხანგამოშვებით 1905 წლის მარტიდან 1912 წლის აპრილამდე; გამოვიდა 16 ნომერი. «დნევნიკის» გამოცემა განახლდა 1916 წელს პეტროგრადში; გამოვიდა ერთი ნომერი. — **120.**

35 რსდმპ პეტერბურგის საერთო საქალაქო კონფერენცია მოიწვია პეტერბურგის კომიტეტმა 1906 წლის 11 (24) თებერვალს სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხის გადასაწყვეტად. კონფერენციას ხელმძღვანელობდა ლენინი. მას დაესწრო 65 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. კონფერენციის დელეგატთა არჩევნები ხდებოდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების ტაქტიკური პლატფორმების განხილვისა და კენჭისყრის შემდეგ იმ ანგარიშით, რომ პარტიის 30 ხმისმიმცემ წევრზე აერჩიათ 1 დელეგატი. არჩევნებში ბოლშევიკებმა მნიშვნელოვანი უმრავლესობა მიიღეს. მენშევიკებმა მოითხოვეს გაბათილებულად ეღიარებინათ რსდმპ

თითქმის მთლიანად ბოლშევიკური საოლქო ორგანიზაციის ხმები. კონფერენციამ დაამტკიცა საოლქო ორგანიზაციის წარმომადგენლობა. მან მოისმინა პეტერბურგის კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და მიიღო ლენინის რეზოლუცია, რომელიც კონფერენციის წარმომადგენლობას აღიარებდა კანონიერად, კონფერენციას სრულუფლებიანად და მის გადაწყვეტილებებს სავალდებულოდ. მოხსენება სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ გააკეთა ლენინმა (კონფერენციის ოქმებში ლენინის მოხსენება ჩაწერილი არ არის). მოხსენების დასასრულს ლენინმა გამოაქვეყნა თავისი რეზოლუცია აქტიური ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ. მენშევიკებმა თავისი რეზოლუცია წამოაყენეს. კონფერენციამ ხმების უმრავლესობით მხარი დაუჭირა სათათბიროს აქტიურ ბოიკოტს.

აქტიური ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ რეზოლუციის განსახილველად და საბოლოოდ დასამტკიცებლად 1906 წლის თებერვლის დამლევს — მარტის დამდეგს მოწვეულ იქნა პეტერბურგის ორგანიზაციის მეორე საერთო საქალაქო კონფერენცია. მას დაესწრო 62 დელეგატი. დისკუსიის შემდეგ, რომლის დროს რამდენჯერმე გამოვიდა ლენინი, კონფერენციამ საფუძვლად მიიღო ლენინის მიერ წამოყენებული რეზოლუცია. რეზოლუციის სარედაქციოდ არჩეულ იქნა კომისია, რომელშიც შევიდა ლენინი. მენშევიკებმა უარი განაცხადეს კომისიაში მონაწილეობაზე და დასტოვეს კონფერენცია. — **129.**

36 ა კ ი მ — მენშევიკი ლ. ი. გოლდმანი, კონფერენციის დელეგატი. — **129.**

37 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს სათათბიროსადმი მუშების ირონიული დამოკიდებულების შემდეგი ფაქტი: 1906 წლის თებერვალში პეტერბურგის მექანიკური ქარხნის მუშებმა გააკეთეს ფიტული წარწერით: «სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი» და ჩამოატარეს იგი ქარხანაში. — **134.**

38 «1 7 ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს კ ა ვ შ ი რ ი» ანუ «ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ ე ბ ი» — მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიისა და კაპიტალისტურად მოსაქმე დიდი მემამულეების კონტრრევოლუციური პარტია; შეიქმნა 1905 წლის ნოემბერში. სიტყვიერად ოქტიაბრისტები აღიარებდნენ 17 ოქტომბრის მანიფესტს, რომლითაც რევოლუციით დამფრთხალი მეფე ხალხს შეპპირდა «სამოქალაქო თავისუფლებებსა» და კონსტიტუციას, ნამდვილად კი უსიტყვოდ მხარს უჭერდნენ მეფის მთავრობის შინაურ და საგარეო პოლიტიკას. ოქტიაბრისტების ლიდერები იყვნენ მსხვილი მრეწველი ა. გუჩკოვი და უზარმაზარი მამულების მფლობელი მ. როძიანკო. — **134.**

39 რსდმპ პეტერბურგის (II) კონფერენციაზე მენშევიკების ლიდერმა დანმა პირველად განაცხადა აშკარად, დასაშვებია სათათბიროში მონაწილეობაო და დაიმოწმა პოზიცია პოლტავის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა, რომელმაც იგივე აზრი გამოთქვა. მანამდე მენშევიკები ოფიციალურად აყენებდნენ ბუნდოვან ლოზუნგს: რწმუნებულთა და ამრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობა მიეიღოთ, მაგრამ სათათბიროს დეპუტატს ნუ ავირჩევთო (იხ. რსდმპ გაერთიანებული ც. კ.-ის ფურცელი «პარტიისადმი», 1906 წლის იანვარი). — **135.**

40 1847 წლის შეერთებული ლანდტაგი — პრუსიის პროვინციის წოდებათა წარმომადგენლების საკანონმდებლო-სათათბირო კრება, მოწვეული ფრიდრიხ-ვილჰელმ IV მიერ 1847 წლის აპრილში. შეერთებული ლანდტაგის შეზღუდულმა უფლებებმა და მისმა წოდებრივმა ხასიათმა პრუსიის ბურჟუაზიის უკმაყოფილება გამოიწვია. მეფის მიერ 1847 წლის ივნისში შეერთებული ლანდტაგის დათხოვნამ ხელი შეუწყო რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას გერმანიაში. — **136.**

41 ფურცელი «ქალაქ პეტერბურგისა და მისი მიდამოების ყველა მუშისა და მუშა-ქალისადმი» დაწერილია ლენინის მიერ რსდმპ პეტერბურგის 1906 წლის 11 (24) თებერვლის საერთო საქალაქო კონფერენციის შემდეგ მის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. — **138.**

42 პროექტი რეზოლუციისა ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ ლენინმა შეიტანა პეტერბურგის კონფერენციის სხდომაზე 1906 წლის 11 (24) თებერვალს. პროექტის თავდაპირველი რედაქცია შენახული არ არის. იგი განიხილა პეტერბურგის მეორე კონფერენციამ 1906 წლის თებერვლის დამლევს — მარტის დამდეგს და რედაქცია გაუკეთა სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილმა კომისიამ ლენინის მონაწილეობით. — **143.**

43 1906 წლის 20 თებერვლის კანონმა და ორმა ბრძანებულებამ სენატისადმი სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს შესახებ არარად აქცია მეფის მთავრობის მიერ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტში მოცემული ყველა დაპირება. კანონმა სახელმწიფო საბჭო სათათბირო ორგანოდან საკანონმდებლო ორგანოდ აქცია. სახელმწიფო საბჭოს, რომლის შემადგენლობის ნახევარს ნიშნავდნენ, ხოლო ნახევარს თავადაზნაურთა, მსხვილ კაპიტალისტთა და სამღვდელოების შავრაზმული ფენებიდან ირჩევდნენ, კანონით სათათბიროს ყოველგვარი გადაწყვეტილების დამტკიცების ან უარყოფის უფლება მიენიჭა. — **144.**

44 «შიპოვის კონსტიტუციური» რეჟიმი — პოლიციური თვითმპყრობელობის რეჟიმი, ოდნავ შეზღუდული «მეფის მიერ ბოძებული» კონსტიტუციით. დ. ნ. შიპოვი — ზომიერი ლიბერალი, 90-იანი და 900-იანი წლების საერობო მოძრაობის ლიდერი. 1905 წელს — ოქტიაბრისტთა კონტრრევოლუციური პარტიის ერთ-ერთი ბელადი. შიპოვის პოლიციური პირობებისადმი შეგუებულ პოლიტიკურ პროგრამას ლენინი უწოდებდა «საერობო ზუბატოველობას». — **148.**

45 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 490, 491; 485 — 489. — **150.**

46 იხ. ფ. ენგელსი. ««კომუნისტთა კავშირის» ისტორიისათვის». კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 223. — **150.**

47 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «საერთაშორისო მიმოხილვები». მიმოხილვა III: მაისიდან ოქტომბრამდე. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 239. — **151.**

48 იხ., მაგალითად, კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში», 1940, გვ. 81 — 82; 99 — 100; კ. მარქსი. «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში», 1940, გვ. 18 — 21 (ენგელსის «შესავალი» ნაშრომისადმი). — **156.**

49 ლაპარაკია ფ. ენგელსის «შესავალზე» კ. მარქსის ნაშრომისადმი «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში». 1895 წელს გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა «შესავლის» გამოქვეყნებისას იგი დაამახინჯეს და შემდეგ განმარტეს როგორც შეიარაღებულ აჯანყებასა და საბარიკადო ბრძოლაზე უარისთქმა.

«შესავლის» სრული ტექსტი ენგელსის ხელნაწერის მიხედვით პირველად გამოქვეყნდა მხოლოდ სსრ კავშირში (იხ. კ. მარქსი. «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში», 1940, გვ. 5 — 26). — **156.**

50 ბრენტანიზმი — ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მოძრაობა, «რომელიც აღიარებს «კაპიტალიზმის სკოლას», მაგრამ უარყოფს რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის სკოლას» (ლენინი). ლ. ბრენტანო — გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ეგრეთწოდებული «სახელმწიფო სოციალიზმის» მომხრე, ამტკიცებდა სოციალური თანასწორობის განხორციელების შესაძლებლობას კაპიტალიზმის ფარგლებში რეფორმებისა და კაპიტალისტთა და მუშათა ინტერესების

შერიგების გზით. ბრენტანო და მისი მიმდევრები მარქსისტულ ფრაზეოლოგიას ეფარებოდნენ და ცდილობდნენ მუშათა მოძრაობა ბურუუაზიის ინტერესებისათვის დაემორჩილებინათ. — 159.

51 ბოლშევიკების ტაქტიკური პლატფორმა რსდმპ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობისათვის შედგენილ იქნა 1906 წლის თებერვლის მეორე ნახევარში. პლატფორმის ყველა რეზოლუცია, გარდა რეზოლუციისა «პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანები დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტში», დაწერილია ლენინის მიერ. პლატფორმის წინასწარი განხილვა მოხდა კუოკალაში (ფინეთი), სადაც ერთხანს ცხოვრობდა ლენინი, პარტიის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირებზე.

მარტის დამდეგს პლატფორმა განიხილეს მოსკოვში ლენინის მონაწილეობით მოსკოვის კომიტეტის წევრთა, აგიტატორებისა და პროპაგანდისტების ჯგუფის, ლიტერატურული ჯგუფის, ც. კ.-ის მოსკოვის ბიუროს, საოლქო კომიტეტის წევრთა და სხვა პარტიულ მუშაკთა კრებაზე; შემდეგ პეტერბურგში მარტის შუა რიცხვებში ლენინის თავმჯდომარეობით შემდგარ თათბირზე. 20 მარტს (2 აპრილს) ბოლშევიკების ტაქტიკური პლატფორმა გამოქვეყნდა «პარტიინიე იზვესტიას» №-2 ნომერში, აგრეთვე დაიბეჭდა ცალკე ფურცლებად რსდმპ გაერთიანებული ც. კ.-ისა და რსდმპ პეტერბურგის გაერთიანებული კომიტეტის გამოცემებით. — 168.

52 იგულისხმება რსდმპ გაერთიანებული ც. კ.-ის ფურცელი «პარტიისადმი», გამოშვებული 1906 წლის თებერვალს და მიძღვნილი IV (გამაერთიანებელი) ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისადმი. — 165.

53 აგრარულ საკითხზე წამოჭრილ უთანხმოებასთან დაკავშირებით, რამაც განსაკუთრებით მძაფრად იჩინა თავი რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის წინ, გაერთიანებულმა ც. კ.-მა შექმნა სპეციალური კომისია ლენინის მონაწილეობით, რომელსაც მიენდო ამ საკითხის დამუშავება ყრილობისათვის. კომისიამ სოციალ-დემოკრატიის შიგნით გამოსახული ყველა თვალსაზრისი აგრარულ საკითხში ჩამოაყალიბა პროექტების ოთხ ძირითად ტიპად და წარუდგინა ისინი ყრილობას. კომისიის უმრავლესობა ლენინის თვალსაზრისზე დადგა; ყრილობას წარედგინა ლენინის პროექტი როგორც რსდმპ გაერთიანებული ც. კ.-ის აგრარული კომისიის უმრავლესობის პროექტი. ლენინის პროექტი ტაქტიკურ პლატფორმასთან ერთად დამტკიცებულ იქნა

ბოლშევიკების ყრილობის წინა თათბირებზე 1906 წლის მარტში. — **166.**

54 ბროშურა «მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა» მიეძღვნა რსდმპ გაერთიანებული ც. კ.-ის აგრარული კომისიის უმრავლესობის სახელით IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე შეტანილი ბოლშევიკური პროექტის დასაბუთებას. ბროშურა შეიცავს იმ ძირითად აზრებს, რომელნიც შემდგომ ლენინმა განმარტა გამაერთიანებელ ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში აგრარულ საკითხზე. — **185.**

55 «სოციალ-დემოკრატი» — არაპერიოდული ლიტერატურულ-პოლიტიკური კრებული «შრომის განთავისუფლების» ჯგუფისა; გამოვიდა ერთი წიგნი 1888 წელს. — **190.**

56 «ბრძოლა» — საზღვარგარეთული ოპორტუნისტული ჯგუფი (1901 — 1903), რომელიც თავს აკუთვნებდა რსდმ პარტიას; დაიშალა რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებით (1903).

ლენინი გულისხმობს აგრარული პროგრამის პროექტს, რომელიც ჯგუფმა გამოსცა 1903 წელს. პროექტში წამოყენებული იყო მემამულეთა მიწების ექსპროპრიაციის მოთხოვნა. — **199.**

57 იქსი — მენშევიკ პ. პ. მასლოვის ფსევდონიმი. — **199.**

58 «პრავდა» — ხელოვნების, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველთვიური სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1904 — 1906 წლებში უმთავრესად მენშევიკების მონაწილეობით. — **195.**

59 კრებული «მიმდინარე მომენტი» გამოვიდა მოსკოვში 1906 წლის დამდეგს. იგი შეადგინეს რსდმპ მოსკოვის კომიტეტთან არსებული ლიტერატორ-ლექტორთა ჯგუფის ძალებმა და ძირითადად გამოხატავდა ბოლშევიკების თვალსაზრისს. გამოსვლის შემდეგ კრებული მალე კონფისკებულ იქნა. — **197.**

60 «მირ ბოჟი» — ყოველთვიური ლიტერატურული და მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალი ლიბერალური მიმართულებისა; გამოდიოდა პეტერბურგში 1892-დან 1906 წლამდე. რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ჟურნალში თანამშრომლობდნენ მენშევიკები. 1906 წლის ოქტომბრიდან ჟურნალმა მიიღო ახალი სახელწოდება — «სოვრემიონნი მირ». — **197.**

61 «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — გაზეთი; გამოსვლა იწყო 1756 წელს; XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოხატავდა მემამულეებისა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული მონარქისტული ფენების შეხედულებებს; 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი მთავარი ორგანო. რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში გაზეთს რედაქტორობდა შავრაზმული «რუსეთის მონარქისტული პარტიის» ორგანიზატორი ვ. გრინგმუტი; 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მალე დაიხურა. — 202.

62 ო თ ხ ფ ო რ მ უ ლ ი ა ნ ი ს ი ს ტ ე მ ა — შემოკლებული სახელწოდება დემოკრატიული საარჩევნო სისტემისა, რომელიც შეიცავს ოთხ მოთხოვნას: საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ საარჩევნო უფლებას. — 206.

63 იგულისხმება მეფის 8 (21) მარტის ბრძანებულება, გამოქვეყნებული 1906 წლის 11 (24) მარტს, I სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების პერიოდში. სათათბიროს არჩევნების ბოიკოტის წაქეზებისთვის კანონი ითვალისწინებდა პატიმრობას 4-დან 8 თვემდე. — 285.

64 «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური გაზეთი; 1863 წლიდან მოსკოვში სცემდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალური პროფესორები და ერობის მოღვაწეები; გამოხატავდა ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს; 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო; სხვა კონტრრევოლუციურ გაზეთებთან ერთად დაიხურა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

ცნობები ამრჩევლების შესახებ ლენინს აღებული აქვს «რუსსკიე ვედომოსტის» 76-ე ნომერში 1906 წლის 19 მარტს (1 აპრილს) მოთავსებული შენიშვნიდან — «არჩევნები». — 241.

65 «პ ო ლ ი ა რ ნ ა ი ა ზ ვ ე ზ დ ა» — ყოველკვირეული ჟურნალი, კადეტური პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 — 1906 წლებში პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. 1906 წლის აპრილ-მაისში «პოლიარნაია ზვეზდას» მაგივრად გამოდიოდა ჟურნალი «სვობოდა ი კულტურა». — 248.

66 იგულისხმება რეაქციონერი პუბლიცისტის მ. ნ. კატკოვის სტატია «იმ გარემოებათა გამომეღავნება, რომელნიც თან სდევდა 1 მარტის ამბავს», დაბეჭდილი «მოსკოვსკიე ვედომოსტის» 65-ე ნომერში 1881 წლის 6 (18) მარტს. — 265.

67 «ბ ე ზ ზ ა გ ლ ა ვ ი ა» — ყოველკვირეული ჟურნალი, რომელსაც სცემდა ნახევრადკადეტური ჯგუფი (ე. დ. კუსკოვა, ს. ნ. პროკოპოვიჩი, ვ. ი. ბოგუჩარსკი და სხვები) პეტერბურგში 1906 წელს. «ბეზზაგლავიელები» თავს აცხადებდნენ «კრიტიკული სოციალიზმის» — დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის რევიზიონისტული ფრთის (ბერნშტეინი და სხვები) მომხრეებად და პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ლენინი «ბეზზაგლავიელებს» «მომენშევიკო კადეტებს» ანუ «მოკადეტო მენშევიკებს» უწოდებდა. — 292.

68 1885 წლის მარტში, როცა გერმანიის რეიხსტაგში ირჩეოდა აღმოსავლეთ აზიაში, ავსტრალიასა და აფრიკაში რეგულარული სანაოსნო რეისების მოსაწყობად კერძო მეწარმეთათვის სახელმწიფო სუბსიდიების მიცემის საკითხი, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის უმრავლესობამ (მემარჯვენე ფრთამ, რომელიც ფაქტიურად ბისმარკის კოლონიურ პოლიტიკას უჭერდა მხარს) ხმა მისცა აღმოსავლეთ აზიისა და ავსტრალიის ხაზების გაყვანას; მან აღუთქვა სხვა ხაზების გაყვანის მხარის დაჭერაც, იმ პირობით, რომ ახალ გემებს გერმანიის გემსაშენებში ააგებდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, როცა რეიხსტაგმა ეს მოთხოვნა უარყო, მთელმა ფრაქციამ ხმა მისცა სანაოსნო სუბსიდიისთვის მხარის დაჭერის წინააღმდეგ საერთოდ. ფრაქციის უმრავლესობის საქციელმა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგობა გამოიწვია. ფ. ენგელსმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პარლამენტური ფრაქციის ოპორტუნისტული პოზიცია (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 471). — 296.

69 «ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი» გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში — წვრილბურჟუაზიული ჯგუფი; წარმოიშვა 1890 წელს. ჯგუფის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ სწავლადაუმთავრებელი სტუდენტები, ახალგაზრდა ლიტერატორები (აქედან წარმოსდგა ჯგუფის სახელწოდებაც). ჯგუფი გამოვიდა პლატფორმით, რომელიც უარყოფდა ს.-დ. ყოველგვარ მონაწილეობას პარლამენტში. ფ. ენგელსი «ახალგაზრდებს» უწოდებდა «რევოლუციური ფრაზის» გმირებს, რომელნიც ცდილობენ «კინკლაობითა და ინტრიგებით პარტიის დეზორგანიზაცია მოახდინონ». 1891 წლის ოქტომბერში, ერფურტის პარტიულ ყრილობაზე, «ახალგაზრდები» პარტიიდან გარიცხეს. — 296.

70 «ს ე ვ ე რ ნ ი გ ო ლ ო ს» — ყოველდღიური ლეგალური გაზეთი, რსდმპ გაერთიანებული ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლის 6 (19) დეკემბრიდან ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთია-

ნებული რედაქციით. მესამე ნომრიდან 1905 წლის 8 (21) დეკემბერს გაზეთი დახურეს. «სევერნი გოლოსის» გაგრძელება იყო გაზეთი «ნაშ გოლოს», რომელიც გამოვიდა ერთხელ 1905 წლის 18 (31) დეკემბერს. — **297.**

71 იხ. ფ. ენგელსის სტატია «მარქსი და «რეინის ახალი გაზეთი»». კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 1 — 11; იხ. აგრეთვე ამ ტომის გვ. 52 — 56 და 111 — 497. — **309.**

72 იხ. ფ. ენგელსის ნაშრომი «სამხედრო საკითხი პრუსიაში და გერმანიის მუშათა პარტია» და კ. მარქსის რეცენზია ამ ნაშრომზე. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIII, ნაწ. I, 1936, გვ. 33 — 84. — **310.**

73 კრიტიკა ბურჟუაზიული ლიბერალიზმისა, რომელიც შემდეგ პოლიტიკურად ჟურნალ «ოსვობოჟდენიეს» გარშემო ჩამოყალიბდა, ლენინმა მოგვცა სტატიაში «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», რომელიც დაიბეჭდა 1901 წელს «ზარიას» მე-2 — 3 ნომერში (თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 5, გვ. 25 — 89). «ოსვობოჟდენიეს» პირველი ნომრები ლენინმა გააკრიტიკა სტატიებში: «გაფიცვების ახალი კანონის პროექტი», «პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკანობა», «ბ-ნი სტრუვე, მხილებული თავისი თანამშრომლის მიერ», რომლებიც დაიბეჭდა «ისკრაში» (თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 264 — 275; 309 — 319; 434 — 443). — **324.**

74 იხ. კ. მარქსი. «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში», 1940, გვ. 27 — 130. — **329.**

75 რ ს დ მ პ მ ე ო თ ხ ე (გ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ე ლ ი) ყ რ ი ლ ო ბ ა შესდგა სტოკჰოლმში 1906 წლის 10 — 25 აპრილს (23 აპრილს — 8 მაისს).

ყრილობას დაესწრო გადამწყვეტი ხმით 112 დელეგატი, პარტიის 57 ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, და სათათბირო ხმით — 22 დელეგატი. გარდა ამისა, მონაწილეობას იღებდნენ ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები: სამ-სამი პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიისაგან, ბუნდისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისაგან, თითო უკრაინის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და ფინეთის მუშათა პარტიისაგან, ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელი. ბოლშევიკ-დელეგატებს შორის მონაწილეობას იღებდნენ: ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, მ. ი. კალინინი, კ. ე. ვოროშილოვი, ს. გ. შაუმიანი, მ. ვ. ფრუნზე, ფ. ა. არტემი (სერგეევი),

ვ. ვ. ვოროვსკი და სხვები. ყრილობის ძირითადი საკითხები იყო: აგრარული საკითხი, მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შეფასება, დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროსადმი, ორგანიზაციული საკითხები. ყველა საკითხზე გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. ლენინი გამოდიოდა მოხსენებებითა და სიტყვებით აგრარულ საკითხზე, მიმდინარე მომენტზე, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების მიმართ ტაქტიკის საკითხზე, შეიარაღებული აჯანყების შესახებ და სხვა საკითხებზე.

ყრილობაზე მენშევიკების სიჭარბემ, თუმცა უმნიშვნელომ, განსაზღვრა ყრილობის გადაწყვეტილებათა ხასიათი: მთელ რიგ საკითხებზე ყრილობამ გამოიტანა მენშევიკური რეზოლუციები (აგრარული პროგრამა, დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროსადმი და სხვ.). ყრილობამ მიიღო ლენინის ფორმულირება წესდების პირველი პარაგრაფისა პარტიის წევრობის შესახებ. ყრილობამ რსდმპ შემადგენლობაში მიიღო პოლონეთისა და ლიტვის ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და წინასწარ გადაწყვიტა რსდმ პარტიაში ბუნდის შესვლის საკითხი.

ყრილობაზე არჩეული ც. კ.-ის შემადგენლობაში შევიდნენ 3 ბოლშევიკი და 7 მენშევიკი, ცენტრალური ორგანოს რედაქციაში — მხოლოდ მენშევიკები.

ყრილობის მუშაობის ანალიზი მოცემულია ლენინის ბროშურაში «მოხსენება რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 379 — 463) და ი. ბ. სტალინის ბროშურაში «დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა», აგრეთვე «ავტორის წინასიტყვაობაში» თხზულებათა «პირველი ტომისათვის» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 1, 1947, გვ. 236 — 260; XV — XIX). — **881.**

76 ლენინის მოხსენება აგრარულ საკითხზე, გაკეთებული პარტიის IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე, ყრილობის ოქმებში არ შესულა და დღემდე მონახული არ არის. ყრილობის ოქმებში, რომლებსაც უმთავრესად მენშევიკები უკეთებდნენ რედაქციას, შენახული არ არის აგრეთვე ლენინის მოხსენების ჩანაწერები თანამედროვე მომენტის საკითხზე და მისი საბოლოო სიტყვა სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხზე. ლენინის სხვა სიტყვები ოქმებში გადმოცემულია არასრულად. — **883.**

77 ჯ ო ნ — მენშევიკი პ. პ. მასლოვი. — **888.**

78 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 54. — 336.

79 ქ ა რ თ ვ ე ლ ო ვ ი — კავკასიელი მენშევიკი ნ. გ. ჭიჭინაძე. — 342.

80 ბ ო რ ი ს ო ვ ი — ს. ა. სუვოროვი, რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე ბოლშევიკებს ემხრობოდა. — 342.

81 ლენინს მოჰყავს ციტატი კ. მარქსის თეზისებიდან ფეიერბახის შესახებ (იხ. ფ. ენგელსი. «ლუდვიგ ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული», 1939, გვ. 55). — 343.

82 «რ უ ს ს კ ო ე გ ო ს უ დ ა რ ს ტ ვ ო» — გაზეთი, მთავრობის ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 1 (14) თებერვლიდან 15 (28) მაისამდე. — 344.

83 პ ტ ი ც ი ნ ი — მენშევიკი ბ. ი. სოლოვეიჩიკი. — 346.

84 ლ ე ო ნ ო ვ ი — მენშევიკი ვ. ო. ლევიცკი (ცედერბაუმი). — 347.

85 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 68. — 347.

86 გამაერთიანებელი ყრილობისათვის ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა წარადგინეს თავიანთი პროექტები რეზოლუციებისა სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ. ყრილობაზე, რომელიც შესდგა უკვე რუსეთის ცენტრალურ რაიონებში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დამთავრების შემდეგ, ამ საკითხის განხილვის დროისათვის წამოყენებულ იქნა რეზოლუციების ახალი პროექტები. ლენინმა თავისი დაწერილი რეზოლუციის ახალი პროექტი წაიკითხა ყრილობის მე-17 სხდომაზე, სათათბიროს საკითხზე მისი თანამოხსენების დროს. პროექტი გამოქვეყნდა გამაერთიანებელი ყრილობის შემდეგ გაზეთ «ვოლნის», მე-12 ნომერში 1906 წლის 9 (22) მაისს, ლენინის ბოლოსიტყვაობით (იხ. ეს ტომი, გვ. 487. რ ე დ.).

«ვ ო ლ ნ ა» — ლეგალური ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 26 აპრილიდან (9 მაისიდან) 24 მაისამდე (6 ივნისამდე); გამოვიდა 25 ნომერი. დაწყებული მეცხრე ნომრიდან, 1906 წლის 5 (18) მაისიდან (IV ყრილობის მუშაობის დამთავრებისა და სტოკჰოლმიდან ლენინის დაბრუნების შემდეგ), გაზეთს ფაქტიურად რედაქტორობდა ლენინი. ლენინმა გაზეთში მოათავსა 20-ზე მეტი სტატია. რედაქციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვ. ვოროვსკი და მ. ს. ოლმინსკი. გაზეთს პოლიციის მხრივ მრავალი რეპრესია დაატყდა თავს. ნომრები: 10, 18, 19, 22, 23, 24 და 25 მოსპობილ

იქნა. გაზეთი დახურა მეფის მთავრობამ. «ვოლნასს» ნაცვლად გამოვიდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი «ვპერიოდი». — 350.

87 ლენინი გულისხმობს ყრილობის 21-ლ სხდომაზე მომხდარ ინციდენტს. როცა მენშევიკებმა უარყვეს ბოლშევიკების მიერ შემოტანილი შესწორება სახელმწიფო სათათბიროს შესახებ მენშევიკური რეზოლუციის უკანასკნელი აბზაცისადმი, 10 ბოლშევიკ-დელეგატმა, მათ შორის ლენინმა, მოითხოვა სახელობითი კენჭისყრა. ამასთან დაკავშირებით ხარკოვის ორგანიზაციის დელეგატმა, მენშევიკმა, ბრალი დასდო ბოლშევიკებს, ისინი «სააგიტაციო მასალას აგროვებენ ყრილობის დადგენილებათა აეტორიტეტულობის წინააღმდეგ, რითაც ყრილობის მუშაობას აფერხებენო». ამის პასუხად ბოლშევიკების სახელით გამოვიდა ლენინი განცხადებით და აღნიშნა, მენშევიკები ვიწრო ფრაქციულობას იჩენენო (იხ. ეს ტომი, გვ. 370). — 360.

88 ვ ო ო ო ბ ი ო ვ ი — კავკასიელი მენშევიკი ვ. ბ. ლომთათიძე. — 360.

89 ყრილობაზე ბოლშევიკებმა მენშევიკური რეზოლუცია «შეიარაღებული აჯანყების» საკითხზე დაახასიათეს როგორც «შეიარაღებული აჯანყების საწინააღმდეგო» რეზოლუცია. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს ამას «მოხსენებაში რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 444). — 360.

90 ვ ი ნ ტ ე რ ი — ლ. ბ. კრასინი. — 360.

91 ა კ ი მ ო ვ ი, ვ. პ. (მახნოვეცი) — უკიდურესი ოპორტუნისტი, ეკონომიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი, ემხრობოდა მენშევიკთა მემარჯვენე ფრთას; გამოვიდა ყრილობის 22-ე სხდომაზე საგანგებო მოხსენებით შეიარაღებული აჯანყების საკითხზე და აშკარად გაილაშქრა აჯანყების წინააღმდეგ. — 362.

92 მ ე ნ შ ე ვ ი კ უ რ ი რ ე ზ ო ლ უ ც ი ი ს პ რ ო ე ქ ტ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი მ უ ხ ლ ი შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ, პროექტისა, რომელიც ფიგურირობდა ყრილობაზე, ამბობდა: «ვიღებთ რა მხედველობაში: 1) რომ რუსეთის მთავრობის უგუნური ჯიუტობა აიძულებს ხალხს ხელიდან გამოგლიჯოს მას თავისი უფლებები...». ეს ფორმულირება ეკუთვნოდა პლეხანოვს. შეიარაღებული აჯანყების შესახებ რეზოლუციის მომამზადებელ კომისიაში პლეხანოვმა მოითხოვა ნაცვლად სიტყვებისა «ხელიდან გამოგლიჯოს სახელმწიფო ძალაუფლება», რაც თავდაპირველ პროექტში იყო, ჩაეწერათ: «ხელიდან გამოგლიჯოს მას თავისი უფლებები». რაკი წინააღმდეგობას წააწყდა,

პლეხანოვმა უარი თქვა თავის შესწორებაზე. მაგრამ სწორედ ყრილობის სხდომის წინ კომისიის მენშევიკურმა ნაწილმა ყრილობას რეზოლუციის პირველი მუხლი წარუდგინა პლეხანოვის ფორმულირებით. შესწორებამ მკაცრი პროტესტი გამოიწვია ლენინისა და ყრილობის ბოლშევიკური ნაწილის მხრივ. პლეხანოვი იძულებული გახდა მოეხსნა თავისი შესწორება. — 362.

93 მ ურ ა ტ ო ვ ი ს (მ. მოროზოვის, სამარყანდის ორგანიზაციის დელეგატის) შ ე ს წ ო რ ე ბ ა, წარდგენილი ყრილობის 21-ლ სხდომაზე, მოითხოვდა: რადგან პარტია არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდა, საპარლამენტო სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის შექმნის საკითხის «გადაწყვეტა შესაძლებლად იქნას ცნობილი მხოლოდ მას შემდეგ, როცა გამოირკვევა საათათბიროში არჩეულ სოციალ-დემოკრატთა შემადგენლობა და როცა მათ აღიარებს ყველა ის მუშათა ორგანიზაცია, რომელთა რაიონებშიც მოხდა არჩევნები» (იხ. «რსდმ პარტიის მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობა», 1934, გვ. 368 — 369). ყრილობის მენშევიკურმა უმრავლესობამ ეს შესწორება უარჰყო. — 363.

94 ს ტ ო დ ო ლ ი ნ ი — ბოლშევიკი ნ. ნ. ნაკორიაკოვი. — 364.

95 «მ ი მ ა რ თ ვ ა» დაწერილია ლენინის მიერ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის დახურვისთანავე. იგი განხილულ და მიღებულ იქნა ბოლშევიკ-დელეგატების თათბირზე, რომელიც შესდგა სტოკჰოლმის «სახალხო სახლში». «მიმართვას» ხელი მოაწერა 26 ბოლშევიკმა — ყრილობის მონაწილეებმა, უდიდესი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. — 372.

96 რსდმ პარტიასთან პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანების აუცილებლობას აღიარებდა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია (პ და ლსდ), ეს საკითხი არაერთხელ დაუყენებია მას რსდმპ ყრილობებზე. რსდმპ II ყრილობაზე (1903), რომლის წინაშე დადგა გაერთიანების საკითხი, პ და ლსდ რსდმ პარტიის შემადგენლობაში არ შევიდა ნაციონალურ საკითხში უთანხმოებათა გამო. 1906 წლის იანვარში პ და ლსდ მთავარმა გამგეობამ კვლავ გამართა მოლაპარაკება რსდმპ გაერთიანებულ ცენტრალურ კომიტეტთან გაერთიანების შესახებ. მოლაპარაკების შედეგად შემუშავებულ იქნა ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც პ და ლსდ წარმომადგენელი გამოცხადდა IV ყრილობაზე. ზოგიერთი შესწორების შეტანის შემდეგ პროექტი მიიღო რსდმპ გამაერთიანებელმა ყრილობამ. — 372.

97 საკითხი რსდმ პარტიასთან გაერთიანების შესახებ ლატვიის სდმ პარტიამ გადაწყვიტა თავის II ყრილობაზე 1905 წლის ივნისში. რსდმპ IV

(გამაერთიანებელი) ყრილობის წინ, 1906 წლის მარტში, შესდგა ეგრეთწოდებული «ლატვიის სდმ პარტიის გაზაფხულის კონფერენცია», რომელმაც მიიღო რეზოლუცია ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიად შეერთების შესახებ და აირჩია დელეგაცია გამაერთიანებელ ყრილობაზე გასაგზავნად. რსდმპ IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ლატვიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან გაერთიანების შესახებ. გაერთიანების პირობები 1906 წლის ზაფხულში დამტკიცა ლატვიის სოციალ-დემოკრატიის III ყრილობამ, რის შემდეგ იგი შევიდა რსდმ პარტიის შემადგენლობაში — 372.

98 რსდმ პარტიის II ყრილობაზე პარტიიდან გასვლის შემდეგ ბუნდმა კვლავ დააყენა გაერთიანების საკითხი. IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ წინასწარ გადაწყვიტა რსდმ პარტიაში ბუნდის შესვლის საკითხი. ყრილობამ მიიღო ბუნდთან გაერთიანების პროექტი, შემუშავებული სპეციალური კომისიის მიერ. 1906 წლის აგვისტოს დამლევს — სექტემბრის დამდეგს (ახალი სტილით) ბუნდის მორიგმა ყრილობამ დაამტკიცა ბუნდთან გაერთიანების პირობები, მიღებული რსდმ პარტიის IV ყრილობის მიერ, რის შემდეგ ბუნდი მეორედ შევიდა რსდმ პარტიაში. — 372.

99 ყრილობაზე პარტიის საორგანიზაციო წესდების მე-7 მუხლის განხილვის დროს უთანხმოება გამოიწვია ც. კ.-ისა და ც. ო.-ს ურთიერთობის საკითხმა. მენშევიკები დაჟინებით მოითხოვდნენ ც. ო.-ს რედაქტორები არჩეული ყოფილიყვნენ ყრილობაზე და მათ მისცემოდათ გადამწყვეტი ხმის უფლება ც. კ.-ში პოლიტიკური საკითხების განხილვისას. ბოლშევიკები მოითხოვდნენ ც. ო.-ს რედაქცია დანიშნული ყოფილიყო ცენტრალური კომიტეტის მიერ და ც. კ.-ს მინიჭებოდა რედაქციის შეცვლის უფლება. ყრილობის მენშევიკურმა უმრავლესობამ შესძლო თავისი წინადადების გაყვანა. 1907 წელს V (ლონდონის) ყრილობაზე წესდების გადასინჯვის დროს ეს მუხლი მიღებულ იქნა ბოლშევიკური ფორმულირებით (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 109). — 377.

100 ბროშურამ «მოხსენება რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ (წერილი პეტერბურგის მუშებისადმი)» განიცადა ცენზურისა და პოლიციის მხრივ დევნა. პეტერბურგის სტამბაში «დელო», სადაც ბროშურა იბეჭდებოდა, პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა; ბროშურა წაიღეს და მიიტანეს ბეჭდვით საქმეთა პეტერბურგის კომიტეტში. უკანასკნელმა წიგნი დააკავა. მაგრამ

მოხერხდა ბროშურის მოსკოვს გადაგზავნა, სადაც გაგრძელდა მისი გამოცემა.

«ვპერიოდის» გამომცემლობამ ბროშურა გამოუშვა დამატებით, რომელშიც შეიდა რეზოლუციების პროექტები, წარდგენილი ყრილობისთვის ბოლშევიკებისა და მენშევიკების მიერ, ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციები და სხვა მასალები. თხრობის მსვლელობაში ლენინი მუდამ იმოწმებს მათ. ამ დამატების მოკლე შესავალი იბეჭდება ბროშურის ბოლოს (იხ. ეს ტომი, გვ. 462 — 463). — 379.

101 «უ კ რ ა ი ნ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პ ა რ ტ ი ა» (ურპ) — წვრილბურჟუაზიული, ნაციონალისტური ორგანიზაცია; შეიქმნა 1900 წლის დამდეგს. 1905 წლის დეკემბერში ურ პარტიამ დაირქვა უკრაინის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და მიიღო გადაწყვეტილება რსდმ პარტიასთან გაერთიანების შესახებ იმ პირობით, თუ უსდმ პარტია აღიარებული იქნებოდა «უკრაინის პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად» რსდმ პარტიაში. რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ უარყო უსდმ პარტიის წარმომადგენლის წინადადება გაერთიანების პირობების დაუყოვნებლივ განხილვის შესახებ და ამ საკითხის გადაწყვეტა გადასცა რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. შეთანხმება გაერთიანების საკითხზე არ მომხდარა. შემდეგში უსდმ პარტია ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის ბანაკში აღმოჩნდა. — 384.

102 ს ა მ ა ნ დ ა ტ ო კ ო მ ი ს ი ა არჩეული იყო ყრილობის 1-ლ სხდომაზე 2 ბოლშევიკის, 2 მენშევიკისა და ერთი ეგრეთწოდებული «ნეიტრალური» პირის — შემარიგებლის (კომისიის თავმჯდომარე) შემადგენლობით. ყრილობამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მუშაობის რეგლამენტი და მიიღო ლენინის რეზოლუცია, რომელიც კომისიას ავალებდა წერილობითი ანგარიშები წარედგინა ყრილობისთვის. სამანდატო კომისიის მუშაობა და ყრილობის პლენუმებზე მისი მოხსენებების განხილვა მიმდინარეობდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების დაძაბული ბრძოლის ვითარებაში. ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა ყრილობის მე-6 სხდომაზე იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიამ წინადადება წამოაყენა გაეუქმებინათ ბოლშევიკის — ხარკოვის ორგანიზაციის დელეგატის არტამონოვის (ფ. ა. სერგეევი — არტემი) მანდატი. კომისიის ბოლშევიკურმა ნაწილმა განცხადება შეიტანა კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. ამის შემდეგ ყრილობამ ახალი სამანდატო კომისია აირჩია. — 387.

103 თ ბ ი ლ ი ს ე ლ ი მ უ შ ე ბ ი ს პ რ ო ტ ე ს ტ ი თ ბ ი ლ ი ს ი ს მ ე ნ შ ე ვ ი კ უ რ ი დ ე ლ ე გ ა ც ი ი ს უ ფ ლ ე ბ ა მ ო ს ი ლ ე ბ ა თ ა წ ი-

ნ ა ა ღ მ დ ე გ 200 კაცის ხელმოწერით წაკითხულ იქნა ყრილობის მე-20 სხდომაზე. მუშები იტყობინებოდნენ, რომ თბილისელი მენშევიკები პარტიის წევრთა სიის შედგენის დროს არ ხელმძღვანელობდნენ რსდმ პარტიის წესდების მოთხოვნებით და პარტიის წევრთა სიაში შემთხვევითი პირნი შეჰყავდათ. მენშევიკებმა თბილისში პარტიის 3 ათასზე მეტი წევრი «იანგარიშესო». თბილისელი მუშები, სოციალ-დემოკრატები, ამტკიცებდნენ, შეუძლებელია თბილისი 11 დელეგატით იყოს წარმოდგენილი ყრილობაზეო. — **388.**

104 რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის ოქმებს, რომელიც 1907 წელს გამოიცა, არსებითი ნაკლოვანებანი ჰქონდა: მასში არ ყოფილა შეტანილი ყრილობაზე გაკეთებულ მთელ რიგ მოხსენებათა და წარმოთქმულ სიტყვათა ჩანაწერები, კერძოდ ლენინის ზოგიერთი მოხსენებისა და სიტყვის ჩანაწერები. — **389.**

105 შ მ ი დ ტ ი — პ. პ. რუმიანცევი; რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე ბოლშევიკებს ემხრობოდა. — **392.**

106 დ ე მ ი ა ნ ი — ი. ა. ტეოდოროვიჩი. — **397.**

107 კ ო ს ტ რ ო ვ ი — კავკასიელი მენშევიკების ლიდერი ნ. ნ. ჟორდანია. — **402.**

108 ვ ო ი ნ ო ვ ი — ბოლშევიკი ა. ვ. ლუნაჩარსკი. — **408.**

109 ლენინს მოჰყავს ციტატი კ. მარქსის თეზისებიდან ფეიერბახის შესახებ (იხ. ფ. ენგელსი. «ლუდვიგ ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული», 1939, გვ. 55). — **414.**

110 ბ ო რ ი ს ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს-ძ ე — მენშევიკი ბ. ი. სოლოვეიჩიკი. — **422.**

111 «ნ ე ვ ს კ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — მენშევიკების ლეგალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის მაისში. — **433.**

112 კრიტიკა შიპოვის ლოზუნგისა «უფლებები და ძალაუფლებიანი ერობა», რომელსაც მხარი დაუჭირა სტრუვემ თავის წინასიტყვაობაში ფინანსთა მინისტრის ვიტეს ბარათის გამო «თვითმპყრობელობა და ერობა», ლენინმა მოგვცა სტატიაში «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები» (თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტ. 5, გვ. 25 — 89) — **435.**

113 ნ ა ზ ა რ ი — ბოლშევიკი ნ. ნ. ნაკორიაკოვი. — 486.

114 ც. კ.-ის ინსტრუქცია საპარლამენტო ჯგუფის შესახებ, მიღებული გამაერთიანებელი ყრილობის მიერ, იხ. წიგნში «რსდმპ მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობა», 1934, გვ. 554. — 487.

115 I I ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ა მ ს ტ ე რ დ ა მ ი ს კ ო ნ გ რ ე ს ი შესდგა 1904 წლის 14—20 აგვისტოს (ახალი სტილით). დამოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისადმი კონგრესმა გამოხატა რეზოლუციაში «სოციალისტური ტაქტიკის საერთაშორისო წესების» შესახებ. რეზოლუცია სოციალისტებს უკრძალავდა ბურჟუაზიულ მთავრობებში მონაწილეობას და უარყოფდა ბურჟუაზიულ პარტიებთან სოციალისტურ პარტიათა თანამშრომლობას. — 451.

116 1906 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთებში — «ვოლნა», «ვპერიოდ», «ეხო» — არსებობდა განყოფილება «ჟურნალ-გაზეთებს შორის». ლენინი უშუალო მონაწილეობას იღებდა განყოფილების — «ჟურნალ-გაზეთებს შორის» მუშაობაში; მას ეკუთვნის ამ განყოფილების მთელი რიგი სტატიები.

ამ შენიშვნაში ლენინი აკრიტიკებს ლ. მარტოვის სტატიას. — 485.

117 სტატია ლენინმა დაწერა როგორც ბოლოსიტყვაობა რეზოლუციისა «სახელმწიფო სათათბიროს შესახებ», რომელიც მან წარუდგინა რსდმ პარტიის გამაერთიანებელ ყრილობას (იხ. ეს ტომი, გვ. 350—352) და დაიბეჭდა «ვოლნას» მე-12 ნომერში, 1906 წლის 9 (22) მაისს. — 487.

118 გ რ ა ფ გ ე ი დ ე ნ ი ს ჯ გ უ ფ ი — ოქტიაბრისტების ფრაქციის «მემარცხენე» ფრთა I სახელმწიფო სათათბიროში; ამ ფრთას ემხრობოდა აგრეთვე ზოგიერთი მემარჯვენე კადეტი. როცა 1906 წლის 5 (18) მაისს იხილავდნენ სეფე-სიტყვაზე კადეტების მიერ შედგენილ სათათბიროს საპასუხო ადრესს, ჯგუფმა ხმა არ მისცა ადრესის საბოლოო ტექსტს, რადგან ამ აქტს მეტად რადიკალურად თვლიდა, და დასტოვა სხდომის დარბაზი. I სათათბიროს დათხოვნის შემდეგ ჯგუფი ჩამოყალიბდა ოქტიაბრისტებთან ახლო მდგომ «მშვიდობიანი განახლების პარტიად». გეიდენის და მისი ჯგუფის პოლიტიკური დახასიათება ლენინმა მოგვცა სტატიაში «გრაფ გეიდენის ხსოვნას» (თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტ. 13). — 490.

119 ბრჭყალებში მოყვანილი სიტყვები მ. ი. ლერმონტოვის ლექსის «ფიქრის» უკანასკნელი სტრიქონების გადასხვაფერებაა (იხ. მ. ი. ლერმონტოვი. თხზულებანი, მოსკოვი, 1934, გვ. 7). — 491.

120 შენიშვნა «ორგანიზაციული საკითხისათვის» ლენინმა დაწერა როგორც რედაქციის ბოლოსიტყვაობა იმავე სახელწოდების სტატიისათვის, რომელიც მიეძღვნა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში მენშევიკებისა და ბოლშევიკების ურთიერთობის საკითხს. — 498.

121 სახალხო მიტინგი მოაწყო სოციალურ-პოლიტიკურმა კლუბმა პეტერბურგში, გრაფ. პანინას სახლში, 1906 წლის 9 (22) მაისს სეფე-სიტყვაზე სათათბიროს საპასუხო ადრესთან დაკავშირებით. მიტინგს დაესწრო დაახლოებით 3 ათასი კაცი, მათგან ნახევარზე მეტი მუშები. ლენინი რუსეთში პირველად აშკარად გამოვიდა მასობრივ კრებაზე კარპოვის გვარით. ლენინის სიტყვა პასუხი იყო წინა ორატორებისა: «სახალხო სოციალისტის» მიაკოტინისა და მენშევიკ დანისა (ბარტენიევისა), რომლებიც ქადაგებდნენ ბლოკს კადეტებთან. კრების დასასრულს ლენინმა წარადგინა რეზოლუცია, რომელიც კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო. — 494.

122 დეპეშით მიღებული პირველი ცნობები კავკასიის არჩევნების შესახებ ზუსტი არ იყო. ქუთაისის გუბერნიიდან სათათბიროში გავიდა 3 (და არა 4, როგორც დეპეშით იტყობინებოდნენ) დეპუტატი, ყველა — მენშევიკი. — 514.

123 ლენინი გულისხმობს გამაერთიანებელი ყრილობის გადაწყვეტილებას: «ყველგან, სადაც ჯერ კიდევ ჩასატარებელია არჩევნები და სადაც რსდმ პარტიას შეუძლია თავისი კანდიდატების წამოყენება, სხვა პარტიებთან შეუთანხმებლად, იგი უნდა ეცადოს თავისი კანდიდატები გაიყვანოს სათათბიროში» («რსდმპ მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობა», 1934, გვ. 545). — 514.

124 ლაპარაკია რსდმ პარტიის არმავირის მენშევიკური კომიტეტის დეზორგანიზატორულ მოქმედებაზე, რომელმაც დაარღვია გამაერთიანებელი ყრილობის გადაწყვეტილებანი ბურჟუაზიულ პარტიებთან შეთანხმებათა აკრძალვის შესახებ. სათათბიროს არჩევნების დროს არმავირის კომიტეტი გამოვიდა მოწოდებით, რომელშიც წინადადებას იძლეოდა ხმა მიეცათ სოციალ-დემოკრატებისთვის და, უკიდურეს შემთხვევაში, იმ კანდიდატებისთვის, რომელნიც «კადეტებზე უფრო მემარჯვენე არ იქნებოდნენ». — 514.

125 სტატია ლენინმა დაწერა როგორც «რედაქციის» ბოლოსიტყვაობა სათათბიროს მუშათა დეპუტატების მოწოდების გამო «რუსეთის ყვე-

ლა მუშას». მოწოდება ლენინის ბოლოსიტყვაობასთან ერთად დაიბეჭდა «ვოლნას» 21-ლ ნომერში, 1906 წლის 19 მაისს (1 ივნისს). — **527.**

126 ლენინს მხედველობაში აქვს «ძირითადი საადგილმამულო კანონის პროექტი», დამუშავებული შრომის ჯგუფის დეპუტატთა კერძო თათბირის მიერ. 33 დეპუტატის (უმთავრესად შრომის ჯგუფელების) ხელმოწერით პროექტი 1906 წლის 6 (19) ივნისს განსახილველად წარედგინა სათათბიროს, მაგრამ 8 (21) ივნისს მან ეს პროექტი უარყო. «33-ის პროექტი» მოითხოვდა მიწის კერძო საკუთრების დაუყოვნებლივ და სავსებით გაუქმებას და წარმოადგენდა შრომის ჯგუფელების იმ აგრარული პროექტის დამატებას, რომელიც წარედგინა სათათბიროს 1906 წლის 23 მაისს (5 ივნისს) («104-ის პროექტი») და მოითხოვდა შრომითი ნორმის საფუძველზე დამყარებულ გათანაბრებული მიწათსარგებლობის შემოღებას. — **531.**

127 გ ო რ ე მ ი კ ი ნ ე ლ ე ბ ი — მეფის რუსეთის რეაქციულ-ბიუროკრატიული მთავრობის წრეების წარმომადგენლები მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის, ი. ლ. გორემიკინის მეთაურობით. ამ წრეების ორგანო იყო შავრაზმული გაზეთი «ნოვოე ვრემია». — **534.**

128 1906 წლის 11 (24) მაისს შესდგა რსდმპ ქალაქ პეტერბურგის მოსკოვის რაიონის 300 წევრის კრება, მიძღვნილი გამაერთიანებელი ყრილობის შედეგებისადმი. მოხსენებებით გამოვიდნენ ლენინი (მოხსენების ტექსტი შენახული არ არის) და მენშევიკი დანი. კრების დასასრულს ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის გაჩაღდა ბრძოლა საკითხზე: დასაშვებია თუ არა გამაერთიანებელი ყრილობის გადაწყვეტილებათა კრიტიკა პრესაში და საჯარო კრებებზეო? მენშევიკები ცდილობდნენ ყოველნაირად შეეზღუდათ იდეური ბრძოლა ყრილობის გადაწყვეტილებათა გარშემო და კრიტიკა დასაშვებად მიაჩნდათ მხოლოდ პარტიულ კრებებზე და რეზოლუციაც ამ ხასიათისა წამოაყენეს. ლენინმა შეიტანა რეზოლუციის შესწორება, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ყრილობის ყველა გადაწყვეტილება განხილულ უნდა იქნას არა მარტო პარტიულ კრებებზე, არამედ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებშიც და სახალხო კრებებზედაცაო. რეზოლუცია ლენინის შესწორებით მიღებულ იქნა ყველას მიერ 39 ხმის წინააღმდეგ («ვოლნა» № 15, 1906 წლის 12 მაისი). ლენინის შესწორების პასუხად ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლის უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ, მიიღო სწორედ ის რეზოლუცია, რომელსაც ლენინი აკრიტიკებს აღნიშნულ სტატიაში. — **536.**

129 «კ უ რ ი ე რ ი» — ყოველდღიური ლეგალური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის მაის-ივნისში. — **539.**

130 «დ ე ლ ო ნ ა რ ო დ ა» — ესერების პარტიის ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის მაისში. — **539.**

131 ლენინი გულისხმობს კადეტების «ბეჭდვითი სიტყვის კანონპროექტს», რომელიც გამოქვეყნდა კადეტების ცენტრალურ ორგანოში «რეჩ» 1906 წლის 17 — 18 (30 — 31) მაისს. მეფის ცენზურის წესების დარღვევისათვის კანონპროექტი ვარაუდობდა კატორღაში გადასახლებას 8 წლამდე. — **542.**

132 სტატია «კ ა უ ტ ს კ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს შ ე ს ა ხ ე ბ» დაიბეჭდა «ვესტნიკ ჟიზნის» მე-6 ნომერში.

«ვ ე ს ტ ნ ი კ ჟ ი ზ ნ ი» — ყოველკვირეული მეცნიერული, ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი, ლეგალური ბოლშევიკური ორგანო; გამოდიოდა არალეგალურად პეტერბურგში 1906 წლის 30 მარტიდან (12 აპრილიდან) 1907 წლის სექტემბრამდე; 1906 წლის 19 ნოემბრამდე (2 დეკემბრამდე) გამოვიდა 13 ნომერი. 1907 წლის იანვრიდან «ვესტნიკ ჟიზნი» გადაკეთდა ყოველთვიურ ჟურნალად; გამოვიდა 7 ნომერი. ჟურნალში მონაწილეობას იღებდნენ: ვ. ი. ლენინი, მ. ს. ოლმინსკი, ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, ა. მ. გორკი და სხვები. ჟურნალის მეთორმეტე ნომერში ლენინმა დაბეჭდა სტატია «რუსი რადიკალი წინდაუხედავია!». — **549.**

133 «კ ო ლ ო კ ო ლ ი» — ლეგალური ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი; გამოდიოდა პოლტავაში 1906 წლის 18 (31) იანვრიდან 8 (21) ივნისამდე. გაზეთში უმთავრესად თანამშრომლობდნენ მენშევიკები. — **560.**

134 იხ. კ. მარქსის სტატია ««რეინის მიმომხილველის» კომუნიზმი». კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 164 — 176. — **569.**

135 იხ. ფ. ენგელსის სტატია «მარქსი და «რეინის ახალი გაზეთი»». კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 1 — 11; იხ. აგრეთვე ამ ტომის გვ. 52 — 56 და 111 — 497. — **570.**

136 «პ რ ი ზ ი ვ» — პოპულარული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 15 (28) იანვრიდან 15 (28) ივნისამდე. მარტის დამლევიდან გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ ბოლშევიკები. — **581.**

137 «რსდმ პარტიის პ. კ.-ის რეზოლუცია (I I)» და მისი მიყოლებით «ვპერიოდის» რედაქციის ბოლოსიტყვაობად დაბეჭდილი, ლენინის დაწერილი სტატია «სათათბიროს სამინისტროს ლოზუნგის შესახებ» ასახავენ სახელმწიფო სათათბიროს საკითხზე ბოლშევიკებისა და მენშევიკების ბრძოლას, რომელმაც მიიღო კონფლიქტის ფორმა რსდმ პარტიის ც. კ.-სა და პეტერბურგის კომიტეტს შორის.

1906 წლის 13 (26) მაისს მთავრობამ უარყო კადეტური სათათბიროს მოთხოვნები, გადმოცემული მის ადრესში. ამის პასუხად სათათბირომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც «უნდობლობას» უცხადებდა სამინისტროს და მოითხოვდა მის შეცვლას. რსდმ პარტიის მენშევიკურმა ც. კ.-მა პარტიულ ორგანიზაციებს დაუგზავნა რეზოლუცია, რომელშიც წინადადებას იძლეოდა მხარი დაეჭირათ კადეტური სათათბიროს მოთხოვნისთვის სათათბიროს, ე. ი. კადეტური, სამინისტროს შექმნის შესახებ. ამ რეზოლუციის წინააღმდეგ გაილაშქრა პეტერბურგის კომიტეტმა, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა. 1906 წლის 23 — 24 მაისის (5 — 6 ივნისის) სხდომაზე პეტერბურგის კომიტეტმა უარყო ც. კ.-ის მენშევიკური რეზოლუცია და მიიღო ლენინის რეზოლუცია. პეტერბურგის კომიტეტის 9 წევრმა, მენშევიკებმა, მოითხოვეს შეეჩერებინათ ბოლშევიკური რეზოლუციის გატარება, სანამ ამ საკითხს გადაწყვეტდა ც. კ. ან რაიონთაშორისო საერთო საქალაქო კონფერენცია. პეტერბურგის კომიტეტმა მენშევიკების ეს მოთხოვნაც უარყო. იმავე დროს კომიტეტმა დაადგინა მოეწვია რაიონთაშორისო კონფერენცია; სხდომის ოქმები და დოკუმენტები ეცნობებინა რაიონებისთვის, ხოლო მიღებული რეზოლუცია ლენინისა და განცხადება პეტერბურგის კომიტეტის 9 წევრის, მენშევიკებისა გამოექვეყნებინა პრესაში როგორც სადისკუსიო მასალა მომავალი კონფერენციისათვის. — 588.

138 1906 წლის 24 მაისს (6 ივნისს) სახელმწიფო სათათბიროს მე-14 სხდომაზე «შრომის ჯგუფელებმა» 35 დეპუტატის ხელმოწერით წინადადება შეიტანეს ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების დაუყოვნებლივ მოწყობის შესახებ. კადეტებმა ეს წინადადება მკაცრად გააკრიტიკეს როგორც სათათბიროში, ისე პრესაში. — 594.

139 ლენინის მიერ ციტირებული «Thron und Altar»-ის («ტახტი და საკურთხეველი») გერმანული ტექსტის სიტყვები გაზეთ «ვპერიოდში» გამოტოვებული იყო საცენზურო მოსაზრებებით. — 605.

140 «ვპერიოდ» — ლეგალური ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 28 მაისიდან (8 ივნისიდან) ნაცვლად მთავრობის მიერ დახურული გაზეთისა «ვოლნა». გა-

ზეთში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა ლენინს. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მ. ს. ოლმინსკი, ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი. გაზეთი პოლიციის რეპრესიებს განიცდიდა. მე-17 ნომრიდან 1906 წლის 14 (27) ივნისს იგი დახურულ იქნა. «ვპერიოდის» ნაცვლად გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთი «ეხო».

«რსდმ პარტიის პ. კ.-ის (II) რეზოლუცია» დაიბეჭდა გაზეთ «ვპერიოდში» შემოკლებით. — **610.**

141 ვ ლ ა ს ო ვ ი — ა. ი. რიკოვი. — **615.**

142 ეს რეზოლუცია დაკავშირებულია რსდმ პარტიის ც. კ.-სა და პეტერბურგის კომიტეტს შორის სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხში წარმოშობილ კონფლიქტთან. რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის II რეზოლუციასთან ერთად (იხ. ეს ტომი, გვ. 588 — 589) იგი შეადგენდა ბოლშევიკების ტაქტიკურ პლატფორმას, რომლის საფუძველზე წარმოებდა დისკუსია და ხდებოდა არჩევნები პეტერბურგის ორგანიზაციის რაიონთაშორისო კონფერენციაზე (შესდგა 1906 წლის 11 — 12 (24 — 25) ივნისს ფინეთში, ტერიოკში, ლენინის ხელმძღვანელობით).

გაზეთ «ვპერიოდში» რეზოლუცია დაიბეჭდა შემდეგი სარედაქციო შენიშვნით: ««ვპერიოდის» რედაქცია სავსებით იზიარებს ამ რეზოლუციის ძირითად დებულებებს და ამხანაგებს ურჩევს წამოაყენონ ის მუშათა კრებებსა და მიტინგებზე». — **628.**

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

1905 წლის ნოემბერი — *1906* წლის ივნისი

1905

ოქტომბრის დამლევი — ნოემბრის დამდეგი.	ლენინი სტოკჰოლმში ელოდება საზღვარგარეთიდან რუსეთს დასაბრუნებლად საჭირო დოკუმენტების მიღებას.
ნოემბერი, 2 — 4 (15 — 17).	სტოკჰოლმში ლენინი წერს სტატიას «ჩვენი ამოცანები და მუშათა დეპუტატების საბჭო (წერილი რედაქციის მიმართ)».
ნოემბერი, 5 (18).	სტოკჰოლმიდან ლენინი ჩადის ჰელსინგფორსში.
ნოემბერი, 7 ან 8 (20 ან 21).	ლენინი ჩამოდის პეტერბურგში.
ნოემბერი, 8 ან 9 (21 ან 22).	ლენინი ხელმძღვანელობს გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» რედაქციის ბოლშევიკური ნაწილის სხდომას, რომელზედაც განსაზღვრავენ რედაქციის შემადგენლობას და იმუშავებენ გაზეთის უახლოეს პროგრამას.
ნოემბერი, 9 (22).	ლენინი მონაწილეობას იღებს ცენტრალური კომიტეტის სხდომაში, რომელზედაც ერთხმად იღებენ მიმართვას «ყველა პარტიული ორგანიზაციისა და ყველა მუშა სოციალ-დემოკრატისადმი» რსდმპ IV ყრილობის მოწვევის შესახებ.
ნოემბერი, 10 (23).	გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» მე-9 ნომერში გამოქვეყნდა დასაწყისი ლენინის სტატიისა «პარტიის რეორგანიზაციის შესახებ», პირველი სტატიისა, რომელიც მან დაწერა ემიგრაციიდან რუსეთს დაბრუნების შემდეგ.
ნოემბერი, 12 (25).	ლენინი გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» მე-11 ნომრის მოწინავე სტატიაში «პროლეტარიატი და გლეხობა» მიესალმება სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის ყრილობას.

ნოემბერი, 13 (26). ლენინის სტატია «პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა» გამოქვეყნდა გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» მე-12 ნომერში.

ლენინი პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე გამოდის მუშების მიერ რევოლუციური გზით რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღების პასუხად კაპიტალისტების მიერ გამოცხადებული ლოკაუტის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების საკითხზე. ლენინის მიერ წარდგენილი რეზოლუცია მიღებულ იქნა.

ნოემბერი, 15 (28). გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» მე-13 ნომერში ქვეყნდება ლენინის მოწინავე სტატია «ჩაშლილი პროვოკაცია». ამავე ნომერში იბეჭდება გაგრძელება სტატიისა «პარტიის რეორგანიზაციის შესახებ».

ლენინი წერს სტატიას «ჯარი და რევოლუცია». სტატია ქვეყნდება გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» მე-14 ნომერში, 16 (29) ნოემბერს.

ნოემბერი, 16 (29). თავისუფალ ეკონომიური საზოგადოების შენობაში პეტერბურგის პარტიულ მუშაკთა კრებაზე ლენინი გამოდის მოხსენებით თემაზე: «სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის აგრარული პროგრამის კრიტიკა».

გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» მე-14 ნომერში ქვეყნდება დასასრული ლენინის სტატიისა «პარტიის რეორგანიზაციის შესახებ».

ნოემბერი, 18 (დეკემბერი, 1). გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» მე-16 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «სასწორი ქანაობს» და «ისწავლეთ მტრებისგან».

ნოემბერი, 20 (დეკემბერი, 3). გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» მე-18 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «რევოლუციური კანცელარიულობა და რევოლუციური საქმე», მიძღვნილი დამფუძნებელი კრების საკითხისადმი.

ნოემბერი, 23 (დეკემბერი, 6). გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» მე-19 ნომერში მოწინავედ გამოქვეყნდა ლენინის სტატია «მომაკვდავი თვითმპყრობელობა და ხალხის ძალაუფლების ახალი ორგანოები».

ნოემბერი, 24 (დეკემბერი, 7). ლენინი წერს სტატიას «სოციალიზმი და ანარქიზმი». სტატია იბეჭდება გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» 21-ლ ნომერში 25 ნოემბერს (8 დეკემბერს).

ნოემბერი, 26 და დეკემბერი 2 (დეკემბერი, 9 და 15). გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» 22-ე და 27-ე ნომრებში ქვეყნდება ლენინის სტატია «სოციალისტური პარტია და უპარტიო რევოლუციურობა».

ნოემბერი, 27 (დეკემბერი, 10). ლენინი მონაწილეობას იღებს რსდმ პარტიის ც. კ.-ის სხდომაში, რომელზედაც არჩევენ შეიარაღებული აჯანყების მომზადების, გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» რედაქციის შემადგენლობის შეცვლისა და მოსკოვში ბოლშევიკური გაზეთის «ბორბას» გამოცემის საკითხებს.

ნოემბერი. ლენინი გამოდის რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე მუშათა დეპუტატების საბჭოებისადმი პარტიის დამოკიდებულების საკითხზე.

დეკემბერი, 3 (16). ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია ლეგალურად დაბინავდნენ პეტერბურგში გრეჩესკი პროსპექტზე, სახ. № 15/8. მაძებარი პოლიციის გაძლიერებული მეთვალყურეობა ლენინს აიძულებს რამდენიმე დღის შემდეგ გადავიდეს არალეგალურ მდგომარეობაზე.

გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» მე-28 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «სოციალიზმი და რელიგია».

ლენინი მონაწილეობას იღებს რსდმ პარტიის ც. კ.-ის, პარტიის პეტერბურგის კომიტეტისა და პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საერთო თათბირში, რომელიც სასწრაფოდ იქნა მოწვეული გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» დახურვის გამო. თათბირმა განიხილა აგრეთვე შეიარაღებული აჯანყების საკითხი.

დეკემბერი, 12—17 (25 — 30). ლენინი ხელმძღვანელობს ბოლშევიკების პირველ კონფერენციას ტამერფორსში (ფინეთი), გამოდის მოხსენებებით მიმდინარე მომენტსა და აგრარულ საკითხზე. კონფერენცია ღებულობს ლენინის მიერ წარდგენილ რეზოლუციებს აგრარულ საკითხზე და გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევაზე.

ამ კონფერენციაზე პირველად ხვდებიან ერთმანეთს ლენინი და სტალინი. ლენინი და სტალინი მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის შემმუშავებელ კომისიაში; აღნიშნულ რეზოლუციას ამტკიცებს კონფერენცია.

დეკემბერი, 22 (1906 წლის 4 იანვარი). ლენინი მონაწილეობას იღებს ც. კ.-ის წევრთა და ბოლშევიკების ტამერფორსის კონფერენციის დელეგატთა პეტერბურგის თათბირში; გამოდის მოხსენებით სახელმწიფო სათათბიროს მიმართ ბოლშევიკების ტაქტიკური პლატფორმის შესახებ.

1905 წლის დამლევი ან 1906 წლის დამდეგი. ლენინი წერს კონსპექტს სტატიისას რევოლუციის ეტაპების, მიმართულებისა და პერსპექტივების შესახებ.

1906

წლის დამდეგი, შუა მარტამდე. ლენინი მონაწილეობას იღებს აგრარული კომისიის მუშაობაში, რომელიც შექმნა რსდმ პარტიის გაერთიანებულმა ც. კ.-მა აგრარული პროგრამის მოსამზადებლად პარტიის IV ყრილობისათვის.

იანვარი, 4 (17). გაზეთ «მოლოდაია როსსიას» პირველ ნომერში ქვეყნდება ლენინის მოწინავე სტატია «მუშათა პარტია და მისი ამოცანები თანამედროვე ვითარებაში».

იანვარი. ლენინი წერს სტატიას პირველი სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ბოლშევიკური ტაქტიკის დასაცავად — «გამოვუცხადოთ თუ არა ბოიკოტი სახელმწიფო სათათბიროს? «უმრავლესობის» პლატფორმა». სტატია გამოდის იანვარში ცალკე ფურცლებად რსდმ პარტიის ც. კ.-ისა და გაერთიანებული ც. კ.-ის გამოცემით.

ლენინი წერს სტატიას «სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკა». სტატია იბეჭდება თებერვალს ბროშურაში «სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატია».

თებერვალი, 4 (17)-მდე. ლენინი გამოდის პეტერბურგის მოსკოვ-ზასტავის რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კრებაზე მოხსენებით «სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ».

თებერვალი, 7 (20). გაზეთ «პარტიინიე იზვესტიას» პირველ ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ტაქტიკა».

თებერვალი, 11 (24)-მდე. ლენინი გამოდის პეტერბურგის ბოლშევიკ პარტიულ მუშაკთა კრებაზე მოხსენებით სახელმწიფო სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ.

თებერვალი, 11 (24). ლენინი ხელმძღვანელობს პეტერბურგის საერთო საქალაქო კონფერენციის მუშაობას, გამოდის მოხსენებით სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ და შეაქვს თავისი დაწერილი პროექტი რეზოლუციისა სათათბიროს ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ. კონფერენცია ხმების უმრავლესობით მხარს უჭერს ბოიკოტს.

თებერვალი, 11 (24) შემდეგ. ლენინი წერს მიმართვას «პეტერბურგისა და მისი მიდამოების ყველა მუშისა და მუშა-ქალისადმი». მიმართვა იბეჭდება ფურცლად რსდმ პარტიის გაერთიანებული პ. კ.-ის გამოცემით.

თებერვალის დამლევი (მარტის დამდეგი). ლენინი ხელმძღვანელობს რსდმ პარტიის პეტერბურგის მეორე საერთო საქალაქო კონფერენციის მუშაობას, გამოდის დასაცავად თავისი რეზოლუციისა — «ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ». კონფერენცია იღებს ლენინის რეზოლუციას.

ლენინი კუოკალაში (ფინეთი) მუშაობს ბოლშევიკების ტაქტიკური პლატფორმის მომზადებაზე — რეზოლუციების პროექტებზე რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობისათვის.

მარტის პირველი ნახევარი. ლენინი ჩამოდის მოსკოვში რსდმ გამაერთიანებელი ყრილობის რეზოლუციების პროექტების განხილვის მოსაწყობად; მონაწილეობას იღებს მოსკოვის ბოლშევიკების ხელმძღვანელი ჯგუფის თათბირში.

ლენინი მონაწილეობას იღებს რსდმპ მოსკოვის ზამოსკვორეჩიეს რაიკომის სხდომაში, მუშათა დეპუტატების საბჭოებისადმი დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის განხილვის დროს კამათში გამოდის.

ლენინი ესწრება რსდმპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის სხდომას სათათბიროს საარჩევნო კამპანიაში მოსკოვის ორგანიზაციის მონაწილეობის საკითხის განხილვისას.

მაისი (დამლევი) მარტი. ლენინი ხელმძღვანელობს პეტერბურგის ბოლშევიკების ჯგუფის თათბირებს, მიძღვნილთ ტაქტიკური პლატფორმის განხილვისადმი.

მარტი, 20 (აპრილი, 2). გაზეთ «პარტიინიე იზვესტიას» მეორე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «რუსეთის რევოლუცია და პროლეტარიატის ამოცანები» (მოწინავე) და ლენინის მიერ შედგენილი «ტაქტიკური პლატფორმა რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობისათვის. რეზოლუციის პროექტი რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობისათვის».

მარტის მეორე ნახევარი. ლენინი წერს ბროშურას «მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა». ბროშურა გამოდის აპრილის დამდეგს პეტერბურგში.

მარტი, 24 — 28 (აპრილი, 6 — 10) ლენინი წერს ბროშურას «კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები». ბროშურა გამოდის აპრილში პეტერბურგს.

მარტი, 26 (აპრილი, 8) ლენინს ირჩევენ რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის დელეგატად პეტერბურგის ორგანიზაციისაგან.

მარტი. ლენინი წერს წინასიტყვაობას ბროშურის — «კ. კაუტსკი. აღარ არის სოციალ-დემოკრატია!» — რუსული გამოცემისათვის.

მარტის დამლევი (აპრილის დამდეგი). ლენინი პეტერბურგში ხელმძღვანელობს IV ყრილობის ბოლშევიკ-დელეგატთა ჯგუფის თათბირს.

აპრილი, 10 (23)-მდე. ლენინი ჩადის სტოკჰოლმში IV ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად; ბოლშევიკების კერძო თათბირზე იგი გამოდის ყრილობის ჩაშლის წინადადების წინააღმდეგ; ასეთი წინადადება შემოსული იყო იმასთან დაკავშირებით, რომ გამოირკვა მენშევიკების სიჭარბე ყრილობაზე.

აპრილი, 10—25 (აპრილი, 28 — რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობა სტოკჰოლმში. ლენინს ირჩევენ ყრილობის პრეზიდიუმ-

ბაიხი, ბ).	ში; იგი მონაწილეობას იღებს ყრილობის მუშაობაში; მონაწილეობს რსდმპ წესდების პროექტის შემმუშავებელ კომისიაში.
პირველი სხდომა.	ლენინს შეაქვს რეზოლუცია სამანდატო კომისიის რეგლამენტის განხილვის დროს. რეზოლუციას იღებს ყრილობა.
მესამე სხდომა	ლენინი თავმჯდომარეობს; აცხადებს ყრილობის დღის წესრიგს, გამოდის კამათში დღის წესრიგის საკითხზე. წინადადებას იძლევა შევსებულ იქნას იგი საკითხებით «თანამედროვე მომენტის შეფასების შესახებ» და რსდმპ ნაციონალური ორგანიზაციების შესახებ. ყრილობა იღებს ლენინის წინადადებას.
მეოთხე სხდომა.	ლენინი თავმჯდომარეობს; შეაქვს წინადადება — დაევალოს აგრარულ კომისიას მოამზადოს მოხსენებები და დაასახელოს მომხსენებლები.
მეხუთე სხდომა.	ლენინი გამოდის მოხსენებით აგრარულ საკითხზე.
მეშვიდე სხდომა.	ლენინი თავმჯდომარეობს; ირჩევენ კომისიაში სახელმწიფო სათათბიროს საკითხზე.
მერვე სხდომა.	ლენინი თავმჯდომარეობს აგრარულ საკითხზე კამათის განგრძობისას.
მეცხრე სხდომა.	ლენინი თავმჯდომარეობს; გამოდის საბოლოო სიტყვით აგრარულ საკითხზე.
მეათე სხდომა.	ლენინი თავმჯდომარეობს; შეაქვს წინადადება ყრილობის მიერ ყველა ოქმის დამტკიცების შესახებ.
მეთერთმეტე სხდომა.	ლენინი თავმჯდომარეობს; გამოდის აგრარულ საკითხზე ტაქტიკური რეზოლუციის კენჭისყრის გამო.
მეცამეტე სხდომა.	ლენინი გამოდის მოხსენებით «თანამედროვე მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ».
მეთხუთმეტე სხდომა.	ლენინი თავმჯდომარეობს; ლენინის მოხსენების მიხედვით მის მიერვე წამოყენებულ წინადადებათა დასაცავად გამოდის ი. ბ. სტალინი.

მეთექვსმეტე სხდომა. ლენინი გამოდის საბოლოო სიტყვით საკითხზე «თანამედროვე მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ».

მეჩვიდმეტე სხდომა ლენინს ირჩევენ «შეიარაღებული აჯანყებისადმი დამოკიდებულების შესახებ» რეზოლუციის მოსამზადებელ კომისიაში; გამოდის თანამოხსენებით სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხზე და აქვეყნებს რეზოლუციის პროექტს.

მეთვრამეტე სხდომა. ლენინი თავმჯდომარეობს; მომხრეა იმისა, რომ კამათში სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხზე სიტყვა მიეცეს ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

მეცხრამეტე სხდომა. ლენინმა წარმოთქვა საბოლოო სიტყვა სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხზე.

ოცდაპირველი სხდომა. ლენინი თავმჯდომარეობს; გამოდის და იცავს წინადადებას — სათათბიროში არჩეულ სოციალ-დემოკრატთა შემადგენლობის გამორკვევამდე გადაიდოს საპარლამენტო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოწყობის საკითხი.

ოცდამეორე სხდომა. ლენინი წარმოთქვამს სიტყვას შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

ოცდამეოთხე სხდომა. ლენინი თავმჯდომარეობს; ყრილობის სახელით მიესალმება რსდმ პარტიის შემადგენლობაში შესულ პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

ოცდამეექვსე სხდომა. ლენინი თავმჯდომარეობს; შეაქვს წერილობითი განცხადება (განსაკუთრებული აზრი) საპარლამენტო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საკითხზე და შეაქვს შენიშვნა ბუნდთან გაერთიანების წესდებაში.

ოცდამეშვიდე სხდომა. პარტიის წევრობის წესდების პირველ პარაგრაფს ყრილობა იღებს ლენინის ფორმულირებით.

აპრილი, 25—26 (მაისი, 8 — 9). ლენინი წერს «გამაერთიანებელი ყრილობის იმ დელეგატების მიმართვას პარტიისადმი, რომლებიც «ბოლშევიკთა» ყოფილ ფრაქციას ეკუთვნოდნენ». მიმართვას ხელს აწერენ 26 პარტიული ორგანიზაციის ბოლშევიკი-დელეგატები.

აპრილის დამლევი (მაისის დამდეგი). რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ ლენინი აბოში (ფინეთი) გავლით ბრუნდება პეტერბურგს.

მაისი, 5 (18). გაზეთ «ვოლნას» მე-19 ნომრის მოწინავედ ქვეყნდება ლენინის სტატია «ბრძოლა თავისუფლებისათვის და ბრძოლა ძალაუფლებისათვის».

მაისი, 6 (19). გაზეთ «ვოლნას» მე-10 ნომრის მოწინავედ ქვეყნდება ლენინის სტატია «ახალი აღმავლობა».

პარტიულ კრებაზე პეტერბურგში ლენინი გამოდის მოხსენებით რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შედეგების შესახებ.

მაისი, 9 (22). გაზეთ «ვოლნას» მე-12 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «სათათბირო და ხალხი» (მოწინავე), «ჟურნალ-გაზეთებს შორის» და «ბოლშევიკების რეზოლუციისათვის სახელმწიფო სათათბიროს შესახებ».

ლენინი კარპოვის გვარით სახალხო მიტინგზე გრაფ. პანინას სახლში გამოდის სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს მიმართ რსდმ პარტიის ტაქტიკის შესახებ. კრება იღებს ლენინის მიერ შეტანილ რეზოლუციას.

მაისი, 10 (23). ლენინი გამოდის მოხსენებით რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შედეგების შესახებ პეტერბურგის ფრანგ-რუსთა ქვერაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კრებებზე.

გაზეთ «ვოლნას» მე-13 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «მუშათა ჯგუფი სახელმწიფო სათათბიროში» (მოწინავე) და «ორგანიზაციული საკითხისათვის».

მაისი, 11 (24). ლენინი გამოდის მოხსენებით რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შესახებ მოსკოვის რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კრება-

ზე პეტერბურგში და შესწორება შეაქვს კრებაზე წარდგენილ რეზოლუციაში. კრება იღებს ლენინის შესწორებას.

გაზეთ «ვოლნას» მე-14 ნომრის მოწინავედ ქვეყნდება ლენინის სტატია «გლეხთა ანუ «შრომის» ჯგუფი და რსდმ პარტია».

მაისი, 12 (25). გაზეთ «ვოლნას» მე-15 ნომრის მოწინავედ ქვეყნდება ლენინის სტატია «მიწის საკითხი სათათბიროში».

მაისი, 13 (26). გაზეთ «ვოლნას» მე-16 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «რეზოლუცია და რევოლუცია».

მაისი, 14 (27). გაზეთ «ვოლნას» მე-17 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «არც მიწა, არც თავისუფლება» (მოწინავე) და «სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო გამარჯვება თბილისში».

მაისი, 18 (31). გაზეთ «ვოლნას» მე-20 ნომრის მოწინავედ ქვეყნდება ლენინის სტატია «მთავრობა, სათათბირო და ხალხი».

ლენინი წერს სტატიას «კადეტები ხელს უშლიან სათათბიროს მიმართოს ხალხს». სტატია იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» 21-ლ ნომერში 19 მაისს (1 ივნისს).

მაისი, 19 (ივნისი, 1). გაზეთ «ვოლნას» 21-ლ ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «შევაჭრებაც კი არა სურთ!» და «სახელმწიფო სათათბიროს მუშათა დეპუტატების მოწოდების გამო».

ლენინი წერს სტატიებს «მიწის საკითხი და თავისუფლებისათვის ბრძოლა» და «ბორემიკინელები, ოქტიაბრისტები და კადეტები». სტატიები იბეჭდება გაზეთ «ვოლნას» 22-ე ნომერში 20 მაისს (2 ივნისს).

მაისი, 20 (ივნისი, 2). გაზეთ «ვოლნას» 22-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «კრიტიკის თავისუფლება და მოქმედების ერთიანობა».

მაისი, 21 (ივნისი, 3). გაზეთ «ვოლნას» 23-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «ცუდი რჩევა» (მოწინავე), სადაც გაკრიტიკებულია პლეხანოვის გამოსვლა გაზეთ «კურიერში» და «მითქმა-მოთქმა და ხმები სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შესახებ».

ლენინი გამოდის მოხსენებით რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის მუშაობის შესახებ პეტერბურგის ნარვის რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კრებაზე.

მაისი, 23 (ივნისი, 5). ყოველკვირეულ ჟურნალ «ვესტნიკ ჟიზნის» მე-6 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «კაუტსკი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ».

პეტერბურგის სან-გალის ქვერაიონის მუშათა კრებაზე ლენინი კითხულობს ლექციას აგრარულ საკითხზე; იმავე კრებაზე მუშების თხოვნით წარმოთქვა სიტყვა სახელმწიფო სათათბიროსადმი ბოლშევიკებისა და მენშევიკების დამოკიდებულების შესახებ.

მაისი, 24 (ივნისი, 6). გაზეთ «ვოლნას» 25-ე ნომრის მოწინავედ ქვეყნდება ლენინის სტატია «კადეტები, შროშის ჯგუფელები და მუშათა პარტია».

მაისი, 26 (ივნისი, 8). გაზეთ «ვპერიოდის» პირველ ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «როგორ მსჯელობს ამბ. პლეხანოვი სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკაზე?». სტატიას 1906 წელს ცალკე ბროშურად სცემს პეტერბურგის წიგნის გამომცემლობა «ვპერიოდი».

მაისი, 27 (ივნისი, 9) გაზეთ «ვპერიოდის» მე-2 ნომერში იბეჭდება ლენინის დაწერილი «რსდმპ ბ. კ.-ის რეზოლუცია (II) სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ» (გამოქვეყნებულია რსდმ პარტიის ბ. [illegible] ... 1906 წლის მაისში) და სტატია «სათათბიროს სამინისტროს ლოზუნგის შესახებ».

ლენინი წერს სტატიას «თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ». სტატია იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» მე-3 ნომრის მოწინავედ 28 მაისს (10 ივნისს).

მაისი, 30 (ივნისი, 12). გაზეთ «ვპერიოდის» მე-4 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «პროლეტარიატის ტაქტიკა და მომენტის ამოცანები».

მაისი, 31 (ივნისი, 13). გაზეთ «ვპერიოდის» მე-5 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «გერმანიის სოციალ-დემოკრატია კადეტების შესახებ» და «ჟურნალ-გაზეთებს შორის».

მაისი. ლენინი წერს ბროშურას «მოხსენება რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ (წერილი პეტერბურგის მუშებისადმი)». ბროშურა იბეჭდება 1906 წლის ივნისში.

ივნისი, 1 (14). გაზეთ «ვპერიოდის» მე-6 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «დაე მუშებმა გადაწყვიტონ».

ლენინი წერს სტატიას «ზევით კი არა, ქვევით უნდა ვიცქირებოდეთ». სტატია დაიბეჭდა გაზეთ «ვპერიოდის» მე-7 ნომრის მოწინავედ 2 (15) ივნისს.

ივნისი, 2 (16). ლენინი წერს სტატიას «რეაქცია შეიარაღებულ ბრძოლას იწყებს». სტატია დაიბეჭდა გაზეთ «ვპერიოდის» მე-9 ნომრის მოწინავედ 4 (17) ივნისს.

ივნისი, 6 (19). გაზეთ «ვპერიოდის» მე-10 ნომერში ქვეყნდება ლენინის დაწერილი «რსდმპ ბ. კ.-ის რეზოლუცია (III) სათათბიროს სამინისტროს საკითხზე».

შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . . IX.

1905 წ.

ჩვენი ამოცანები და მუშათა დეპუტატების საბჭო (წერილი რედაქციას) . . . . . 1 — 14

პარტიის რეორგანიზაციის შესახებ . . . . 15 — 27

I 15

II 20

III 25

პროლეტარიატი და გლეხობა . . . . . 28 — 33

პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა . . . . . 34 — 41

პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს ალმასრულებელი კომიტეტის 1905 წ. 14 (27) ნოემბრის დადგენილება ლოკაუტთან ბრძოლის ზომების შესახებ . . . . . 42 — 43

ჩაშლილი პროვოკაცია . . . . . 44 — 46

ჯარი და რევოლუცია . . . . . 47 — 50

სასწორი ქანაობს . . . . . 51 — 53

ისწავლეთ მტრებისაგან . . . . . 54 — 55

რევოლუციური კანცელარიულობა და რევოლუციური საქმე . . . . . 56 — 60

მომაკვდავი თვითმპყრობელობა და ხალხის ძალაუფლების ახალი ორგანოები . . . . . 61 — 66

სოციალიზმი და ანარქიზმი . . . . . 67 — 71

სოციალისტური პარტია და უპარტიო რევოლუციურობა . . . . . 72 — 82

I 72
II 76

V სოციალიზმი და რელიგია . . . . . 83 — 89

«უმრავლესობის» ტამერფორსის კონფერენციის რეზოლუცია აგრარულ საკითხზე. 1905 წ. 12—17 (25—30) დეკემბერი . . . . . 90 — 91

რევოლუციის ეტაპები, მიმართულება და პერსპექტივები . . . . . 92 — 95

1906 წ.

მუშათა პარტია და მისი ამოცანები თანამედროვე ვითარებაში . . . . . 96 — 99

გამოვუცხადოთ თუ არა ბოიკოტი სახელმწიფო სათათბიროს? «უმრავლესობის» პლატფორმა . 100 — 104
სახელმწიფო სათათბიროს და სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკა . . . . . 105 — 118

რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ტაქტიკა . . . . . 119 — 128

რსდმპ პეტერბურგის საერთო საქალაქო კონფერენცია. 1906 წ. 11 (24) თებერვალი . . . . 129 — 132

კონფერენციაზე ოკრუგისა და ვიბოლგის ორგანიზაციების წარმომადგენლობის უფლებამოსილების საკითხის შესახებ გამოსვლები . . . 129

რეზოლუცია მარტოვის წინადადების წინააღმდეგ პ. კ.-ის მოხსენების მოხსნის შესახებ . . 131
რეზოლუციის დასაბუთება 131

წინადადება პ. კ.-ის მოხსენების გამო . . . 131

გამოსვლა წინადადების დასაცავად . . . 131

შენიშვნა ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ წარდგენილი რეზოლუციის გამო 132

რსდმპ პეტერბურგის საერთო საქალაქო კონფერენცია (II). 1906 წ. თებერვლის დამლევი (მარტის დამდეგი) . . . . . 133 — 137

გამოსვლები ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ წარდგენილი რეზოლუციის დასაცავად 133

მოსაზრებანი რეზოლუციის პროექტის მე-3 და მე-6 მუხლების შესწორებათა წინააღმდეგ . . 134

გამოსვლები რეზოლუციის პროექტის მე-7 და მე-8 მუხლების განხილვის დროს 135

წერილობითი განცხადება კონფერენციის ბიუროს 137

რეზოლუცია ბოიკოტის ტაქტიკის დასაბუთების შესახებ 137

ქალაქ პეტერბურგისა და მისი მიდამოების ყველა მუშასა და მუშა-ქალს . . . . . 138 — 142

რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის რეზოლუცია ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ . . . . . 143 — 147

რუსეთის რევოლუცია და პროლეტარიატის ამოცანები . . . . . 148 — 161

I 148
II 152
III 157

ტაქტიკური პლატფორმა რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობისათვის. პროექტი რეზოლუციებისა რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობისათვის . 163 — 184

დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტი 166

შეიარაღებული აჯანყება 168

პარტიზანული საბრძოლო გამოსვლები . . 171

დროებითი რევოლუციური მთავრობა და რევოლუციური ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები 172

მუშათა დეპუტატების საბჭოები 174

დაეოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისადმი 176

დამოკიდებულება ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიებისადმი 178

პროფესიული კავშირები 180
დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროსადმი 181
პარტიის ორგანიზაციის საფუძვლები . . . 183
მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა . . . . . 185 — 223
I. აგრარულ საკითხზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა ისტორიული განვითარების მოკლე ნარკვევი 189
II. ოთხი მიმდინარეობა სოციალ-დემოკრატიის შიგნით აგრარული პროგრამის საკითხზე 196
III. ამხ. მასლოვის მთავარი შეცდომა 208
IV. ჩვენი აგრარული პროგრამის ამოცანები . . . 216
V. აგრარული პროგრამის პროექტი 222
წინასიტყვაობა რუსულ ენაზე გამოცემული ბროშურისა: « კ. კაუტსკი. ალარ არსებობს სოციალ-დემოკრატია!» . . . . . 224 — 225
კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები . . . . . 227 — 329
I. რა ობიექტური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს მონაწილეობას სათათბიროს არჩევნებში? 229
II. პირველი არჩევნების სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა 241
III. რას წარმოადგენს სახალხო თავისუფლების პარტია? 246
IV. კადეტური სათათბიროს როლი და მნიშვნელობა . 256
V. კადეტური თვითკმაყოფილების ნიმუში . . . 278
გადახვევა. საყოველთაოდ გასაგები საუბარი კადეტ პუბლიცისტებთან და სწავლულ პროფესორებთან . 284
VI. დასკვნა 321
რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობა. 1906 წ. 10 (23) აპრილი — 25 აპრილი (8 მაისი) . . . . . 331 — 371
1. საბოლოო სიტყვა აგრარულ საკითხზე . . 333
2. საბოლოო სიტყვა თანამედროვე მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამო-

ცანების საკითხზე 346

3. გამაერთიანებელ ყრილობაზე წარდგენილი პროექტი რეზოლუციისა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ 350

4. თანამოხსენება სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხზე . . 353

5. სიტყვა შეიარაღებული აჯანყების საკითხზე . 360

6. პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ მურატოვის (მოროზოვის) შესწორების დასაცავად გამოსვლა . . 363

7. განსაკუთრებული აზრი რსდმპ საპარლამენტო ფრაქციის შემადგენლობის საკითხზე . 364

8. რეზოლუცია ყრილობის წინაშე სამანდატო კომისიის ანგარიშგების შესახებ . . . 367

9. განცხადება ყრილობის მიერ ოქმების დამტკიცების საჭიროების შესახებ 368

10. წერილობითი განცხადება ყრილობის მე-17 სხდომაზე 369

11. წერილობითი განცხადება ყრილობის 21-ელ სხდომაზე 370

12. წერილობითი განცხადებანი ყრილობის 26-ე სხდომაზე 371

პარტიისადმი მიმართვა გამაერთიანებელი ყრილობის დელეგატებისა, რომლებიც «ბოლშევიკთა» ყოფილ ფრაქციას ეკუთვნოდნენ . . . . . 372 — 378

მოხსენება რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ. (წერილი პეტერბურგის მუშებს) . . 379 — 463

I. ყრილობის შემადგენლობა 384

II. ბიუროს არჩევა. ყრილობის დღის წესრიგი . . 389

III. აგრარული საკითხი 392

IV. რევოლუციური მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შეფასება 418

V. დამოკიდებულება სახელმწიფო-სათათბიროსადმი . 427

VI. შეიარაღებული აჯანყება 439

VII. ყრილობის დასასრული 447

VIII. ყრილობის შედეგები 454

დანართი. მასალები რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის მუშაობის შეფასებისათვის 462

ბრძოლა თავისუფლებისათვის და ბრძოლა ძალაუფლებისათვის . . . . . 464 — 467

ახალი აღმავლობა . . . . . 468 — 474

ყრილობის შედეგებისათვის . . . . . 475 — 479

სათათბირო და ხალხი . . . . . 480 — 484

ჟურნალ-გაზეთებს შორის . . . . . 485 — 486

ბოლშევიკების რეზოლუციისათვის სახელმწიფო სათათბიროს შესახებ 487

მუშათა ჯგუფი სახელმწიფო სათათბიროში . . 488 — 492

ორგანიზაციული საკითხისათვის 493

სიტყვა სახალხო მიტინგზე გრ. პანინას სახლში 1906 წ. 9 (22) მაისს . . . . . 494 — 495

I. «ნევსკაია გაზეტას» მოკლე ანგარიში . . . 494

II. გაზეთ «ვოლნას» მოკლე ანგარიში 495

რეზოლუცია, მიღებული სახალხო მიტინგზე გრ. პანინას სახლში 1906 წ. 9 (22) მაისს . . . 496 — 497

გლეხთა ანუ «შრომის» ჯგუფი და რსდმპ . . . 498 — 502

მიწის საკითხი სათათბიროში . . . . . 503 — 506

რეზოლუცია და რევოლუცია . . . . . 507 — 510

არც მიწა, არც თავისუფლება . . . . . 511 — 512

სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო გამარჯვება თბილისში . . . . . 513 — 516

მთავრობა, სათათბირო და ხალხი . . . . 517 — 521

კადეტები სათათბიროს ხელს უშლიან, რომ ხალხს მიმართოს . . . . . 522 — 523

შევაჭრებაც კი არა სურთ! . . . . . 524 — 526

სახელმწიფო სათათბიროს მუშათა დეპუტატების მოწოდების გამო . . . . . 527 — 528

მიწის საკითხი და თავისუფლებისათვის ბრძოლა . 529 — 533

ბურჟუაზიკინელები, ოქტიაბრისტები და კადეტები . 534 — 535

კრიტიკის თავისუფლება და მოძმეობის ერთიანობა . . . . . 536 — 538

ცუდი რჩევა . . . . . 539 — 545

მითქმა-მოთქმა და ხმები სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შესახებ . . . . . 546 — 548
კაუტსკი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ . . 549 — 552
კადეტები, შრომის ჯგუფელები და მუშათა პარტია . . . . . 553 — 559
როგორ მსჯელობს ამხ. პლეხანოვი სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკაზე? . . . . . 560 — 587
რსდმპ პ. კ.-ის რეზოლუცია (II) სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ . . 588 — 589
სათათბიროს სამინისტროს ლოზუნგის შესახებ . 590 — 591
თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ . . . . . 592 — 597
პროლეტარიატის ტაქტიკა და მომენტის ამოცანები 598 — 602
გერმანიის სოციალ-დემოკრატია კადეტების შესახებ . . . . . 603 — 608
ჟურნალ-გაზეთებს შორის 609
დაე მუშებმა გადაწყვიტონ . . . . . 610 — 616
«ზევით კი არა, ქვევით უნდა ვიცქირებოდეთ» . 617 — 620
რეაქცია შეიარაღებულ ბრძოლას იწყებს . . . 621 — 627
რეზოლუცია (III) რსდმ პარტიის პ. კ.-ისა სათათბიროს სამინისტროს საკითხზე . . . . . 628 — 629
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი . . . . . 631 — 661
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა დ ა მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს თ ა რ ი ღ ე ბ ი . . . . . 663 — 776

ილუსტრაციები

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ჩვენი ამოცანები და მუშათა დეპუტატების საბჭო». — 1905 წ. ნოემბერი . . 2 — 3
პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რევოლუციის ეტაპები, მიმართულება და პერსპექტივები». — 1905 წ. . . 93
გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა «მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა». — 1906 წ. 187
გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა «მოახსენება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ». — 1906 წ. 381

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/V — 1950.
უე 03311. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 43³/₈.
ფასი 8 მან.

*

საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პოლიგრაფმრეწველობის,
გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სამმართველოს 1-ლი სტამბა.
თბილისი. ორჯონიკიძის ქ. № 50.
შეკვეთის № 320.